კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL
CENTRE OF MANUSCRIPTS

ივანე ჯავახიშვილის ცენტრი

IVANE JAVAKHISHVILI CENTER

„არცერთ ეროვნებას და ქვეყანას
არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა,
თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ
წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია.
ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიც კი,
თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული.“

“No nation or country can reach sustainable cultural growth unless it has a duly developed and perpetually successful science. Every success of a nation, even in the field of the material culture, depends on the success and revitalization of a theoretical science”.

Ivane Javakhishvili

ჯავახიანი

3

თბილისი
2020

UDC(უაკ)94(479.22)(092)
ჯ-144

ალმანახის ამ ტომში წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე დაწერილი ნაშრომები.
ეპოქის სრული სურათის შესაქმნელად სარედაქციო კოლეგიამ საჭიროდ ჩათვალა, მათ გვერდით წარმოედგინა იმავე პეროდში
შექმნილი და იმავე თემასთან დაკავშირებული იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარების ამსახველი სამეცნიერო ნაშრომები,
პირადი წერილები და მთავრობის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც საარქივო მასალის სახით შემოგვრჩა.

The present volume of the Literary Miscellany present s the works written by Ivane Javakhishvili regarding the state borders of Georgia. In order to create a complete picture of the era, the editorial board considered it necessary to also present survired archikal materials such as scientific papers, personal letters and official government documents, created in the same period and related to the same topic, reflecting the political situation of Georgia at that time.

სარედაქციო-საკონსულტაციო საბჭო:
ზაზა აბაშიძე, ნუგზარ ანთელავა, თეიმურაზ გვიმრაძე,
ლევან გორდეზიანი, მალხაზ მაცაბერიძე,
დალი ნიკოლაიშვილი, ზაზა სხირტლაძე, მირიან ხოსიტაშვილი, ოთარ ჯანელიძე

Editorial-Consulting Board:
Zaza Abashidze, Nugzar Antelava, Teimuraz Gvimradze, Levan Gordeziani,
Malkhaz Matsaberidze, Dali Nikolaishvili, Zaza Shkirtladze, Otar Janelidze

სარედაქციო კოლეგია: **დალი ნიკოლაიშვილი, დავით სართანია** (მთავარი რედაქტორი),
ავთანდილ უჯმაჯურიძე, გია ჩხიკვიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე)

Editorial Board: **Dali Nikolaishvili, Davit Sartania** (editor-in chief),
Avtandil Ujmajuridze, Gia Chkhikvishvili (deputy editor-in chief)

ტომის რედაქტორები:

დალი ნიკოლაიშვილი – თსუ გეომორფოლოგიისა და კარტოგრაფიის კათედრის გამგე, თსუ პროფესორი, საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის ეროვნული წარმომადგენელი საქართველოდან
ავთანდილ უჯმაჯურიძე – ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილის ცენტრი

Editors of volume:
Dali Nikolaishvili – Head of Chair of Geomorphology and Cartography, Tbilisi State University, Vice-president of the Geographical Society of Georgia, National member of the International Cartographic Association (ICA) from Georgia
Avtandil Ujmajuridze – Historian, Ivane Javakhishvili Center

ISSN 2449-3198
© ივანე ჯავახიშვილის ცენტრი, 2020
© Ivane Javakhishvili Center, 2020
© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2020
© Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, 2020

საქართველოს საზღვრების პრობლემა
XX საუკუნის I ნახევარში
და
ივანე ჯავახიშვილი

Problem of Borders of Georgia
in the First Half of the XX Century
and
Ivane Javakhishvili

ნაწილი III
Part III

ივანე ჯავახიშვილი პარიზის საზავო კონფერენციის საქართველოს დელეგაციის წევრებს შორის სტამბოლის ქართველთა სავანეში. 1919 წ.

შინაარსი
Contents

ტომის შედგენილობისათვის
For the content of the volume 11
დალი ნიკოლაიშვილი, ავთანდილ უჯმაჯურიძე 11
Dali Nikolaishvili, Avtandil Ujmajuridze 11

I. საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიისადმი მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის შრომები 26
I. The works of Ivane Javakhishvili dedicated to the state borders and territory of Georgia 26
1. ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული 26
1. Ivane Javakhishvili, the borders of Georgia discussed from a historical and modern point of view 26
2. ივანე ჯავახიშვილი, მოხსენება თანამედროვე მომენტზე 77
2. Ivane Javakhishvili, a report on the modern moment 77
3. ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს უფლებები ზაქათალას ოლქზე 84
3. Ivane Javakhishvili, the rights of Georgia on the Zakatala district 84
4. პროფ[ესორ] ივ[ანე] ჯავახიშვილის ლექცია 84
4. Lecture by Prof. Ivane Javakhishvili 84
II. ივანე ჯავახიშვილის თანამედროვე მოღვაწეების პავლე ინგოროყვასა და ილია ოდიშელიძის საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომები 86
II. Papers of Ivane Javakhishvili's contemporary figures Pavle Ingorokva and Ilia Odishelidze dedicated to the state borders and territory of Georgia 86
1. პავლე ინგოროყვა, „კავკასიის" ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო 86
1. Pavle Ingorokva, on the territorial separation of the "Caucasus" countries 86
2. პავლე ინგოროყვა, საქართველო-სომხეთის გამიჯვნის საკითხი 94
2. Pavle Ingorokva, the issue of Georgia-Armenia geographic differentiation 94
3. პავლე ინგოროყვა, საქართველოს სამხრეთი სანაპიროების ჯავახეთისა და ლორის მხარე 109
3. Pavle Ingorokva, the Sothern part of Georgia Javakheti and Lori 109
4. პავლე ინგოროყვა, ტერიტორია და მოსახლეობა კავკასიის რესპუბლიკებისა 110
4. Pavle Ingorokva, the territory and population of the Caucasus republics 110
5. პავლე ინგოროყვა, საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ 112
5. Pavle Ingorokva, on the borders of the territory of Georgia 112
6. ილია ოდიშელიძე, საქართველოს საზღვრები 125
6. Ilia Odishelidze, the borders of Georgia 125
7. ილია ოდიშელიძე, მემორანდუმი 148
7. Ilia Odishelidze, Memorandum 148
III. საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესის ამსახველი დოკუმენტები 156
III. Documents describing the political process related to the borders of Georgia 156
1. საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს სხდომის ოქმი 156
1. Minutes of the meeting of the Interparty Council of Georgia 156
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ოქმები 157
2. Minutes of the meeting of the Government of the Democratic Republic of Georgia 157

– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომა. 17 ნოემბერი, 1918 წელი 157
– Secret session of the Government of the Democratic Republic of Georgia. November 17, 1918 157
– საქართველოს მთავრობის 1918 წლის 21 ნოემბრის სხდომის ოქმი 159
– Minutes of the meeting of the Government of Georgia on November 21, 1918 159
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება პარიზის საზავო კონფერენციის სახელზე და საქართველოს მთავრობის 1918 წლის 21 ნოემბრის სხდომის ოქმი 161
– Report of the Government of the Democratic Republic of Georgia on the Paris Peace Conference and the minutes of the meeting of the Government of Georgia on November 21, 1918 161
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომა. 23 ნოემბერი, 1918 წელი 171
– Secret session of the Government of the Democratic Republic of Georgia. November 23, 1918 171
– 26 ნოემბერი, 1918 წელი 172
– November 26, 1918 172
– 28 ნოემბერი, 1918 წელი 173
– November 28, 1918 173
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომა. 28 ნოემბერი, 1918 წელი 174
– The session of the Government of the Democratic Republic of Georgia. November 28, 1918 174
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომა. 30 ნოემბერი, 1918 წელი 174
– Secret session of the Government of the Democratic Republic of Georgia. November 30, 1918 174
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომა. 22 დეკემბერი, 1918 წელი 175
– Secret session of the Government of the Democratic Republic of Georgia. December 22, 1918 175
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომა. 28 დეკემბერი, 1918 წელი 176
– Secret session of the Government of the Democratic Republic of Georgia. December 28, 1918 176
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა. 17 მაისი, 1919 წელი 177
– The session of the Government of the Democratic Republic of Georgia. May 17, 1919 177
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა. 24 მაისი, 1919 წელი 177
– Secret session of the Government of the Democratic Republic of Georgia. May 24, 1919 177
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი. 27 მაისი, 1919 წელი 178
– The session minutes of the Government of the Democratic Republic of Georgia. May 27, 1919 178
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი. 26 ივნისი, 1919 წელი 179

– The session minutes of the Government of the Democratic Republic of Georgia. June 26, 1919 ... 179
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი. 29 ივლისი, 1919 წელი ... 180
– The session minutes of the Government of the Democratic Republic of Georgia. July 29, 1919 ... 180
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა. 7 აგვისტო, 1919 წელი ... 181
– The session of the Government of the Democratic Republic of Georgia. August 7, 1919 ... 181
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა. 12 აგვისტო, 1919 წელი ... 182
– The session of the Government of the Democratic Republic of Georgia. August 12, 1919 ... 182
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა. 28 აგვისტო, 1919 წელი ... 183
– The session of the Government of the Democratic Republic of Georgia. August 28, 1919 ... 183
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი. 2 ენკენისთვე, 1919 წელი ... 184
– The session minutes of the Government of the Democratic Republic of Georgia. September 2, 1919 ... 184
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი. 6 ენკენისთვე, 1919 წელი ... 185
– The session minutes of the Government of the Democratic Republic of Georgia. September 6, 1919 ... 185
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა. 18 ნოემბერი, 1919 წელი ... 186
– The session of the Government of the Democratic Republic of Georgia. November 18, 1919 ... 186
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი. 2 სექტემბერი, 1920 წელი ... 187
– The session minutes of the Government of the Democratic Republic of Georgia. September 2, 1920 ... 187
3. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის სხდომის ოქმები ... 188
3. The session minutes of the Paris Peace Conference ... 188
– ოქმი 1. 20 ნოემბერი, 1918 წელი ... 188
– Protocol 1. November 20, 1918 ... 188
– ოქმი 2. 20 ნოემბერი, 1918 წელი ... 189
– Protocol 2. November 20, 1918 ... 189
– ოქმი 3. 27 ნოემბერი, 1918 წელი ... 190
– Protocol 3. November 27, 1918 ... 190
– ოქმი 4. 29 ნოემბერი, 1918 წელი ... 191
– Protocol 4. November 29, 1918 ... 191
– ოქმი 5. 4 დეკემბერი, 1918 წელი ... 194
– Protocol 5. December 4, 1918 ... 194
– ოქმი 6. [1918 წ.] ... 200
– Protocol 6. [1918] ... 200
– ოქმი 23. 4 მაისი, 1919 წელი ... 202
– Protocol 23. May 4, 1919 ... 202

4. ქართული უნივერსიტეტი 203
4. Georgian University 203
– ქართული უნივერსიტეტის გამგეობის სხდომის დღიური. ოქმი №4. 1918 წ. 7 დეკემბერი 203
– Minutes of the board session of the Georgian University. Protocol №4. December 7, 1918 203
– ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სხდომის დღიური. 1919 წლის 7 აპრილი 203
– Minutes of the meeting of the Faculty of Philosophy of the Georgian University. April 7, 1919 203
– ქართული უნივერსიტეტის გამგეობის სხდომის დღიური 204
– Minutes of the board session of the Georgian University 204
5. პარიზის საზავო კონფერენცია და ქართული დელეგაცია 205
5. The Paris Peace Conference and Georgian delegation 205
6. აკ. ჩხენკელის მოგონებიდან ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციაში ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ 1918 წლის გაზაფხულზე 209
6. From the memories of Akaki Chkhenkeli on the participation of the delegation of the Transcaucasian Seim at the Trabzon peace Conference 209
7. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ინფორმაცია 210
7. The information of the Minister of Foreign Affairs of the Democratic Republic of Georgia 210
8. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების მიმოხილვა 213
8. A review of the Georgia-Russia agreement 213
9. საქართველოს საზღვრების თაობაზე შექმნილი კომისიები და განმარტებითი ბარათები 217
9. Commission and explanatory cards created about the borders of Georgia 217
– ნოე რამიშვილი, საქართველოს ტერიტორიის საზღვრები 217
– Noe Ramishvili, the borders of Georgian territory 217
– პავლე ინგოროყვა, ცხრილური მონაცემები საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ტერიტორიისა და მოსახლეობის თაობაზე 218
– Pavle Ingorokva, tabular data on the territory and population of Georgia and its neighbouring countries 218
– განმარტებითი ბარათი მახლობელი აღმოსავლეთის საკითხების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის ამერიკული სექციის ხელმძღვანელისადმი ოსმალეთის გამგებლობაში მყოფი ლაზებით და ჭანებით დასახლებული უძველესი ქართული ტერიტორიების საქართველოსათვის მიკუთვნილობის თაობაზე 221
– Explanatory card to the representative of the American section of the International Commission for the study of Near East Issues regarding the belonging to Georgia the ancient Georgian territories inhabited by the Laz and Chans people under the Ottoman administration 221
IV. საქართველოს სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებული ოფიციალური და კერძო წერილები 224
IV. The Official and private letters related to the state borders of Georgia 224
1. საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარის კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძის წერილები საქართველოს მთავრობის

თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას 224
1. Letters of the head of the Georgian delegation, Karlo (Nikoloz) Chkheidze, to the chairman of the Georgian Government, Noe Zhordania 224
2. საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარის კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძის წერილები საქართველოს დელეგაციის – წევრს გრიგოლ რცხილაძეს 231
2. Letters of the head of the Georgian delegation, Karlo (Nikoloz) Chkheidze, to a member of the Georgian delegation, Grigol Rtskhiladze 231
3. საქართველოს დელეგაციის წევრის გრიგოლ რცხილაძის წერილები საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს – ევგენი გეგეჭკორს 237
3. Letters of the member of Georgian delegation Grigol Rtskhiladze to the Minister of Foreign Affairs, Evgeni Gegetchkori 237
4. ევროპაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო წარმომადგენლის – აკაკი ჩხენკელის წერილები საქართველოს დელეგაციის წევრებს პარიზში 245
4. Letters to the members of Georgian delegation in Paris from the Special Representative of the Democratic Republic of Georgia to Europe, Akaki Chkhenkeli 245
5. ევროპაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო წარმომადგენლის აკაკი ჩხენკელის წერილები გრიგოლ რცხილაძეს კონსტანტინეპოლში 267
5. Letters to Grigol Rtskhiladze in Constantinople from the Special Representative of the Democratic Republic of Georgia to Europe, Akaki Chkhenkeli 267
6. ივანე ჯავახიშვილის წერილი იოსებ ყიფშიძესა და აკაკი შანიძეს 271
6. Letter of Ivane Javakhshvili to Ioseb Kipshidze and Akaki Shanidze 271
7. იოსებ გობეჩიას წერილი ივანე ჯავახიშვილს. 1919 წლის 7 ივნისი 272
7. Letter of Ioseb Gobechia to Ivane Javakhishvili. June 7, 1919 272
8. ივანე ჯავახიშვილის წერილები ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანს 273
8. Letter of Ivane Javakhishvili to Anastasia Jambakur-Orbeliani 273
დანართი 276
Appendix 276
დანართი 1. რუკები 276
Appendix 1. Maps 276
დანართი 2. თანმხლები დოკუმენტური მასალა 288
Appendix 2. Accompanying documentary materials 288
დანართი 3. ალექსანდრე სიგუა, ლავრენტი ბერია და ქართული ისტორიული ძეგლები 298
Appendix 3. Alexander Sigua, Lavrenti Beria, and Georgian historical monuments 298
საძიებლები 300
Index 300
პირთა საძიებელი 300
Index of Persoal Names 300
გეოგრაფიულ ობიექტთა საძიებელი 305
Index of Geographical Names 305

„ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს“.

ივანე ჯავახიშვილი

ტომის შედგენილობისათვის

ალმანახ „ჯავახიანის“ წინამდებარე ტომში გრძელდება წინა ტომებში დაწყებული თემა, რომელიც 1917-1921 წწ. საქართველოს საზღვრებს ეხება. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენის რთულ პროცესში მონაწილეობდა ივანე ჯავახიშვილი. ამიტომ, გამოქვეყნებული თუ საარქივო მასალები ისეა შერჩეული, რომ, ერთი მხრივ, **ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი** და, მეორე მხრივ, **ამ მოღვაწეობის კონტექსტი** კარგად წარმოჩინდეს და აიხსნას. ამიტომ, ჩვენ გვერდზე ვტოვებთ უამრავ მასალას, რომელიც მოცემულ საკითხს არ ეხება. ვიმეორებთ, ჩვენი ამოცანაა, მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის მიერ გაწეული შრომა წარმოვადგინოთ, ისე, რომ ნათელი იყოს თუ რა პოლიტიკურ პირობებსა და რა სამეცნიერო-საზოგადოებრივ ატმოსფეროში უხდებოდა მეცნიერს მუშაობა. ეს ყოველივე ხომ განმსაზღვრელია თითოეული მოღვაწის პოზიციის შემუშავებაში.

წინამდებარე ტომი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიისადმი მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები;
2. საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიისადმი მიძღვნილი პავლე ინგოროყვასა და ილია ოდიშელიძის ნაშრომები;
3. საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესის ამსახველი ოფიციალური დოკუმენტები;
4. პირადი წერილები.

მოკლედ დავახასიათებთ თითოეულს:

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიისადმი მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები

თავდაპირველად ვბეჭდავთ ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიას, რომელიც მან სტამბოლში (კონსტანტინეპოლში) დაწერა. იგი ხომ საქართველოს მთავრობის მიერ იმ დელეგაციის წევრად იყო არჩეული, რომელსაც პარიზში გამართულ სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს ინტერესები უნდა დაეცვა. მაგრამ მეცნიერს საფრანგეთის ვიზა არ მისცეს და უკან დაბრუნება მოუწია. აქვეა მოთავსებული ივანე ჯავახიშვილის მცირე მოცულობის ე.წ „დასკვნა“ თუ რატომ ეკუთვნის საქართველოს საინგილო (ზაქათალას ოლქი). ასევე, აქვეა წარმოდგენილი საგაზეთო მასალა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის მიერ 1919 წ. 28-29 აპრილს წაკითხული ლექციის შინააარსს გადმოსცემს.

ამდენად, ტომის **პირველი ნაწილი** საქართველოს საზღვრების შესახებ **ივანე ჯავახიშვილის შრომებს** უჭირავს. თუმცა მეცნიერის ნააზრევი აქ სრულად არაა წარმოდგენილი. მათგან ერთი ალმანახის I ტომშია მოცემული[1] (გვ. 151-158) და მეორე კი მეორე ტომში[2] (გვ. 131-132).

---

[1] ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი შექმნილია 1925 წ.-ს და ვინაიდან 1917-1921 წწ. ქრონოლოგიურ ჩარჩოდან გადიოდა, ასევე იგი დაერთო ვ. გურულისა და ა. არაბულის სტატიას, ამიტომ მოხვდა ალმანახის პირველ ტომში.

[2] ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი საგაზეთო მასალაა და ვინაიდან ალმანახის მეორე ტომში პრესის მასალებმა მოიყარა თავი, მანაც იქ დაიდო ბინა.

ამ საკითხს მეცნიერმა მიუძღვნა რამდენიმე საჯარო მოხსენება და სპეციალური მონოგრაფიაც დაწერა. მონოგრაფიას ეწოდება „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“. იგი დიდმა მეცნიერმა დაწერა 1919 წელს ბათუმსა და კონსტანტინეპოლში[1] ყოფნისას როგორც პარიზის სამშვიდობო კონფერენციის საქართველოს დელეგაციის წევრმა. შემორჩენილია ნაშრომის ხელნაწერები, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მასალებთან ერთად.[2] აქ დაცულია თავფურცელი ივანე ჯავახიშვილის ავტოგრაფით და შემდეგ კი მოცემულია სხვადასხვა პირის მიერ გადაწერილი მონოგრაფიის ტექსტი. აქვეა ამ მონოგრაფიის მანქანაზე გადაბეჭდილი ფრანგული თარგმანიც. ნაშრომის დედანი კი ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ივანე ჯავახიშვილის პირად ფონდში.[3]

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ავტორისეული ხელნაწერი შესრულებულია შავი და ლურჯი მელნით. ხელნაწერი მრავალგან გადახაზულია და აქვს ჩამატებები. როგორც ჩანს, ნაშრომის სათაური ჯერ არაა საბოლოოდ ჩამოყალიბებული, რადგან მას იმჟამად ეწოდებოდა **„საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისისდა მიხედვით“**.[4] ავტორმა ტექსტი საქართველოში დაბრუნების შემდეგ გადაამუშავა და სათაურიც ასე დაზუსტდა: **„საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“.**

მონოგრაფიის გამოქვეყნებულ ვერსიასთან შედარებამ არაარსებითი, თუმცა გარკვეული განსხვავებები დაგვანახვა. ეს განსხვავებები უმთავრესად უკავშირდება კორექტურულ და სტილისტურ ჩასწორებებს. თუმცა არის ერთი-ორი ისეთი მნიშვნელოვანი აბზაციც, რომელიც არ მოხვდა ბეჭდვით გამოცემაში.[5] მოგვყავს ზოგიერთი მათგანი:

- „საქართველოს სახელმწიფოს სამზღვრებში დაახლოებით სამი მილიონზე მეტი მცხოვრები იქნება, რომელთაგან ქართველობა დიდს უმრავლესობას 72 % შეადგენს, თუ ქალაქებსაც ვიანგარიშებთ, და 77 $^{6}/_{10}$ %, თუ ქალაქის მცხოვრებთა რიცხვს არ ჩავთვლით;
- საფიქრებელია, რომ „სომეხთ მეფე კვირიკე და ძმა მისი სუმბატი“ არიან სანაჯიხინის აღმშენებელნი და მათი ქანდაკებაა შენახული სანაჯიხინის ეკლესიის კედელზე...;
- ნაშრომის ბოლო ნაწილში იგი ასეთ დასკვნას აკეთებს, რომელიც თანამედროვე ვითარებასაც ეხმიანება: *„ქართველთა მჭიდრო გაბმული მოსახლეობა უაღრესად განვითარებული ეროვნული თვითშემეცნება, საუკუნეთა ნაანდერძევი კულტურა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ცხადი ნიჭი საქართველოს მომავალი პოლიტიკურ კულტურული აღორძინებისა და აყვავების უტყუარი თავდებია თუ საქართველოს თავის შესაფერისად ხელშემწყობი საერთაშორისო პირობები შექმნილი იქნება“.*

შემორჩენილია აღნიშნული მონოგრაფიის ქართულად დაბეჭდვა-გამოცემის ანგარიშები,[6] საიდანაც ირკვევა, რომ წიგნი 2000 ტირაჟით დაბეჭდილა. 1919 წლის 24 ოქტომბერს სა-

---

[1] ქალაქი კონსტანტინეპოლი უკვე დიდი ხანია სტამბოლის სახელით იყო ცნობილი, თუმცა ივ. ჯავახიშვილი მას კვლავ კონსტანტინეპოლის სახელით იხსენიებს.

[2] საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 1, საქმე 273.

[3] კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივი, № 369.

[4] ამ ხელნაწერის თავფურცელი იხ. დანართი 2.1.

[5] ამჟამად ჩვენ ვერ შევძელით ხელნაწერისა და ნაბეჭდი ტექსტის ერთმანეთთან დეტალურად შედარება. იგი სამომავლო ამოცანად რჩება.

[6] საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 481, აღწერა 1, საქმე 1904, ფურცლები 1-3.

ქართველოს მთავრობის სტამბა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას უგზავნის წიგნის გამოცემისათვის საჭირო ანგარიშს.

დოკუმენტები ჩაკრულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეთა საქაღალდეში სათაურით: „საქართველოს ისტორ. რუკა ივ. ჯავახიშვილის წიგნში ჩასაკრავათ". საქაღალდის ყდაზე მითითებულია 1920 წელი. საქმეში 2 დოკუმენტია ჩართული.

ერთი დოკუმენტი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე შედგენილი ხარჯთაღრიცხვაა რუკის შედგენასთან დაკავშირებით. დოკუმენტი დათარიღებულია 1919 წლის 11 დეკემბრით რუსულ ენაზე კ. ი. მესხიევის ქრომოლითოგრაფიისა და ფოტოტიპიის გამომცემლობის ბლანკზე. როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, დაგეგმილი იყო რუკის 2000 ტირაჟით დაბეჭდვა.[1]

მეორე დოკუმენტი, რომელიც ქართულ ენაზეა, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს სატოპოგრაფიო განყოფილების მიმართვაა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე და თარიღდება 1920 წლის 15 იანვრით. ეჭვგარეშეა, რომ აქ იგულისხმება ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრების რუკა", რომელიც თან ერთვის[2] მის მიერვე შედგენილ ნაშრომს „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული" [1919, ქართული გამოცემა] და არა „საქართველოს ისტორიული რუკა" [1923].

ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრების" ერთ-ერთი გამოცემის [1996] ბოლოსტყვაში წიგნის რედაქტორი დ. ცინცაძე წერდა, რომ რუსეთ-საქართველოს 1920 წ. 7 მაისის *„ხელშეკრულების მესამე და მეოთხე მუხლებში ლაპარაკია სწორედ საქართველოსა და რუსეთს შორის დასამტკიცებელ სახელმწიფო საზღვარზე. აქედან გარკვევით ჩანს, აღნიშნული რუკა შედგენილი თუ არა, შესწორებული მაინც უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, სხვანაირად ბოლო პირობითი ნიშანი, რომელიც რუკაზეა აღნიშნული, არ შეიძლებოდა ავტორს მოეცა. და თუ ეს ასეა, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ* ***ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია „საქართველოს საზღვრები" 1919 წლის რუკის გარეშე გამოიცა,*** *ხოლო უფრო გვიან,* ***1920 წლის 7 მაისის შემდგომ პერიოდში, აღნიშნულმა სამხედრო ტოპოგრაფიამ პროფ. ან. ბენაშვილს ხელშეწყობით მაინც მოახერხა მისი გამოცემა.*** [ხაზგასმა – რედ.] *ვფიქრობ, შემდგომში ამან განაპირობა ის გაურკვევლობა, რაც აღნიშნული რუკის ირგვლივ შეიქნა."*[3] თუმცა ალმანახის სარედაქციო კოლეგია ამ მოსაზრებას არ იზიარებს და საჭიროდ მიიჩნევს, ამ საკითხთან დაკავშირებით გააკეთოს რამდენიმე კომენტარი:

– რუკის დამზადებისათვის ივ. ჯავახიშვილი მადლობას უხდის სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილებას და მის უფროსს – გენ. ან. ბენაშვილს.[4] ეს იმას ნიშნავს, რომ იგეგმებოდა მონოგრაფიასთან რუკის თანდართვაც. იმ პერიოდში ივ. ჯავახიშვილის მხოლოდ ერთადერთ რუკაზე შეიძლება მსჯელობა – „საქართველოს საზღვრების რუკა" [1919, ქართული გამოცემა]. მართალია, ამავდროულად იგი მუშაობდა მხოლოდ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენ რუკაზე, რომელიც გამოიცა პარიზში 1919 წელს. თუმცა ამ რუკებს (ქართულ და ფრანგულ გამოცემებს) შორის არსებითი განსხვავებები არ არის. ზოგან მეტი ინფორმაციაა, ზოგან კი – ნაკლები. მაგალითად, ქართულენოვანი გამოცემა უფრო შევსებულ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს, ვინადიან მასზე ასახულია

---

[1] იხ. დანართი 2.3.

[2] როგორც თვით ავტორს აქვს მითითებული ბოლოსიტყვაში.

[3] დურმიშხან ცინცაძე, ბოლოსიტყვაობა. იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, რედაქცია გაუკეთა და ბოლოსტყვაობა დაურთო დურმიშხან ცინცაძემ. თბ., 1996 წ.

[4] ჯავახიშვილი, 1919. გვ. 51.

საქართველოს ისტორიული საზღვრები დროის სხვა პერიოდებისათვისაც, აგრეთვე სომხების მიერ მოთხოვნილი საზღვრებიც;

– აღნიშნული რუკა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის „საქართველოს საზღვრების" [1919] დანართია. ამაზე მეტყველებს აგრეთვე ქვემოთ მოცემული 2 დოკუმენტი, სადაც რუკის შესახებ ნათქვამია: „საქართველოს ისტორ. რუკა ივ. ჯავახიშვილის წიგნში ჩასაკრავათ", „წიგნში დასართავი რუკისთვის". ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქ იგულისხმება მცირე ფორმატის რუკა, როგორც 1919 წლის გამოცემაა და არა – კედლის რუკა, როგორც ეს 1923 წლის გამოცემის შემთხვევაშია;

– აღნიშნული რუკა ასევე იმავე ტირაჟით დაიბეჭდა, როგორც მონოგრაფია. ეს შეიძლება უბრალო დამთხვევად ჩაითვალოს, თუმცა ზემოთ მოცემული არგუმენტების ფონზე, იგი ამ მოსაზრებას კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის. ასეთივე არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საქართველოს ცენტრალური არქივის ბიბლიოთეკაში შემორჩენილია ამ მონოგრაფიის ერთი ეგზემპლარი, რომელსაც მართლაც თან ერთვის რუკა;

– (ვგულისხმობთ „საქართველოს საზღვარს რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს") თვალს მივადევნებთ, იგივე არგუმენტი საპირისპიროს ღაღადებს. რუკაზე ეს საზღვარი დატანილია მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ საზღვარზე – ლორი-განჯის მონაკვეთზე (რუკაზე იგი მოცემულია წითელი ფერით).[1] მოსკოვის ხელშეკრულებით დადგინდა საქართველო-რუსეთის საზღვარი და მას არ განუსაზღვრავს საქართველო-სომხეთის საზღვარი.

საქართველოს დელეგაციას სტამბოლში ყოფნისას გადაუწყვეტია ივ. ჯავახიშვილის ამ ნაშრომის ფრანგულად თარგმნა, რის შესახებაც იუწყება 1919 წლის 23 მაისი ოქმი: „*დადგენილია, საჩქაროთ გადაითარგმნოს ფრანგულათ ჯავახიშვილის მონოგრაფია საზღვრების შესახებ, და აგრეთვე დაჩქარდეს თარგმნა და გამოცემა ყველა სხვა საჭირო მასალის, რომელიც დელეგაციას აქვს*".[2] მართლაც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, საქართველოს მთავრობის საარქივო მასალებში ხელნაწერის სახით ინახება ივანე ჯავახიშვილის ამ ნაშრომის ფრანგული თარგმანი. ივანე ჯავახიშვილს დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად საფრანგეთში გასამგზავრებელი ვიზა არ მისცა თავად საფრანგეთის მთავრობამ. საქართველოს დელეგაციისათვის კი ივანე ჯავახიშვილის პარიზში არყოფნა დიდი დანაკლისი იყო, რომლის შევსებას მის მიერ მიწოდებული ცნობებით ცდილობდნენ. ამის თაობაზე მეტყველებს პირადი წერილები. ისინი აქვე წერილების განყოფილებაში იბეჭდება.

2. ივანე ჯავახიშვილის თანამედროვე მოღვაწეების პავლე ინგოროყვასა და ილია ოდიშელიძის საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომები

პავლე ინგოროყვა მრავალმხრივ დაუცხრომელი მკვლევარი იყო. მან არაერთი მოხსენება გააკეთა 1917-1918 წწ. საქართველოს საზღვრებისა და ტერიტორიის შესახებ და პრესაშიც დაბეჭდა.[3] ამის გარდა 1918 წ. კონსტანტინეპოლში, ქართელთა სავანის მიერ გამოიცა მისი ნაშრომი „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ". გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში ინახება პავლე ინგოროყვას ხელნაწერი, რომელიც კიდევ უფრო ავსებს ჩვენს ცოდნას საქართველოს საზღვრების თემაზე მეცნიერის ნააზრევის

[1] იხ. დანართი 1.5.

[2] საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 129, ფურცლები 6, 6ბ.

[3] იხ. ალმანახი „ჯავახიანი", ტ. 2.

შესახებ. ასევე აქ იბეჭდება საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული პავლე ინგოროყვას მიერ საქართველოს მთავრობისათვის მომზადებული მასალაც.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია პავლე ინგოროყვას ხელნაწერი საქართველო-სომხეთის გამიჯვნის თაობაზე.[1]

როგორც ჩანს, ეს მასალები, რომელიც შესრულებულია მწვანე მელნით, რაღაც სხვა მიზნით იყო დაწერილი. იგი შემდეგ ავტორს გადაუკეთებია სულ სხვა მიზნით – ბევრი ადგილი გადაუხაზავს წითელი ფანქრით, ხოლო ახალი ტექსტი დაუწერია შავი მელნით. ამდენად, შავი მელნით ნაწერი ნაშრომის ბოლო რედაქციაა.

თავდაპირველ ტექსტსა და ბოლო რედაქციას შორის გარკვეული დრო უნდა იყოს გასული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თავდაპირველი ტექსტი გათვლილი უნდა ყოფილიყო რუსეთის მთავრობის მიერ ადმინისტრაციულ გამიჯვნაზე, ხოლო ბოლო რედაქცია – საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრის დადგენაზე. მწვანით დაწერილი ტექსტი ასე იწყებოდა: *„ამიერკავკასიის ეროვნულ ტერიტორიული გამიჯვნის პროექტი საერობო რეფორმის შემოღების გამო შემუშავებული რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, შემდეგნაირად შემოფარგლავს საქართველოსა და სომხეთს შუა მდებარე...“*. აქედან ჩანს, რომ მწვანე ფერით დაწერილი ტექსტი რუსეთის იმპერიის დროინდელია, ხოლო შავი ფერით დაწერილი შემდგომი პერიოდისა. ხელნაწერის ბოლოს საუბარია სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში თვითმმართველი ოლქების შექმნის საჭიროებაზე. საქართველოში კი ასეთებად დასახელებულია **საინგილო, ქართლის ოსეთი, აფხაზეთი** და **სამუსლიმანო საქართველო.** ამგვარ თემებზე საუბარი სცილდება და შეუძლებელიც იყო რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის ფარგლებში. იგი, უდავოდ, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველოს პირობებშია დაწერილი.

საქმე ისაა, რომ პ. ინგოროყვამ 1917 წ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე წაიკითხა მოხსენება საქართველოს ტერიტორიასა და მის საზღვრებზე.[2] ეს მოხსენება გამოქვეყნდა კიდეც.[3] ხოლო შემდეგ 1918 წ. 7 თებერვალს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე კიდევ გააკეთა მოხსენება იმავე საკითხზე. იგი დაიბეჭდა იმავე წელს ჟურნალ „პრომეთეს“ მე-2 ნომერში, რომელსაც, ალბათ, გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა. კერძოდ, ჟურნალ „პრომეთეში“ დაბეჭდილი მასალის დასაწყისში მოცემულია მთელი მოხსენების შინაარსი, რომელიც 3 ნაწილისგან ყოფილა შედგენილი: 1. შესავლის მაგიერ, 2. საქართველოს საზღვრები, 3. საქართველო-სომხეთის გამიჯვნის საკითხი. ნაბეჭდ მასალაში პირველი ორი მოცემულია კიდევაც, და მესამე კი, ალბათ, მომდევნო ნომერში უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ეტყობა, თავად ავტორმა თქვა უარი მის გამოქვეყნებაზე. ამის შესახებ იქვე ვკითხულობთ: *„P. S. ჩვენ აქ აღარ დავამთავრებთ წინადადებასაც... ეს გვერდები უკვე დაბეჭდილი იყო, როდესაც მდგომარეობა შეიცვალა და ჯერხნობით ზედმეტად მიგვაჩნია გამოვაქვეყნოთ ამ მოხსენების დარჩენილი ნაწილი საქართველოსი და მეზობელი ქვეყნების სადაო ტერიტორიული საკითხების პრეციზული განხილვა. ჩვენი წინადგრძნობა მართლდება. 17 ამ თვეს ტელეგრაფმა მოგვიტანა სამწუხარო ცნობა, რომლის განმეორება აქ გვიძნელდება და არც არის საჭირო... და ეს იქნებ მხოლოდ პრელუდია იყვეს კატასტროფის... მაინცა და მაინც, თუ ძალთა განწყობილება არ შეიცვალა, ბათომიდან იჭედება პირველი რგოლი იმ რკალისა, რომელზედაც ზემოთ ვამბობდით, პირველი რგოლი ჯაჭვისა, რომლითაც პრომეთე კავკასიონზე უნდა მილურსმონ“*.[4]

---

[1] გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, პავლე ინგოროყვას ფონდი, №27669.

[2] ცნობები ამ მოხსენებების შესახებ მოცემულია ალმანახ „ჯავახიანის“ მე-2 ტომში. იხ. გვ. 69-72.

[3] გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 12 (24) მკათათვე (ივლისი). № 150, გვ. 2-3; 3 (26) მკათათვე. 1917 წ., №151. გვ. 3-4.

[4] იხ. აქვე წინამდებარე ალმანახში: პავლე ინგოროყვა, „კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო, ბოლო აბზაცი.

პავლე *ინგოროყვა* გულისხმობს 1918 წ. 17 თებერვალს მიღებულ ცნობას, რომ ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთი აპირებდა ოსმალეთისათვის დაეთმო ყარსი, ბათუმი და არდაგანი. დაბეჭდილი მასალის გაგრძელება უნდა ყოფილიყო ის, რაც დასაწყისში მითითებულია და მესამე საკითხადაა მიჩნეული, მაგრამ იქ არაა დაბეჭდილი. ხოლო პოსტსკრიპტუმში ავტორი აცხადებს, რომ შექმნილი ვითარების გამო გაგრძელებას არ ვაქვეყნებო. ესაა „საქართველო-სომხეთის გამიჯვნის საკითხი.“ ლიტერატურის მუზეუმში დაცული მასალა სწორედ ამ საკითხს ეხება. ეს გარემოება ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ *მოხსენების თავდაპირველი ვარიანტი რუსეთის იმპერიის არსებობისას არის შედგენილი* და შემდეგ გადაკეთდა და მიესადაგა იგი დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველოს ტერიტორიულ პრობლემებს.

ამ განყოფილებაშივე იბეჭდება ივანე ჯავახიშვილი მეორე თანამედროვის გენერალ ილია ოდიშელიძის მოხსენება, რომელიც შედგენილია რუსულ ენაზე და ითარგმნა ქართულად (დ. ნიკოლაიშვილი). ილია ოდიშელიძეც იყო იმ დელეგაციის წევრი, სადაც ივანე ჯავახიშვილიც ირიცხებოდა. მათი ნაშრომები ბევრგან ამჟღავნებენ აზრობრივ თანხვედრას, რაც მათ მჭიდრო თანამშრომლობაზე მეტყველებს .

ილია ზურაბის ძე ოდიშელიძე 1865 წლის 25 მარტს დაიბადა და 1925 წელს ემიგრაციაში გარდაიცვალა.[1]

ილია ოდიშელიძემ დაამთავრა კადეტთა კორპუსი და 1885 წელს სწავლა განაგრძო ალექსანდრეს სახელობის მე-3 სამხედრო სასწავლებელში, რომელიც 1888 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა და მიიღო პოდპორუჩიკის სამხედრო წოდება. ამის შემდეგ იგი ინიშნება რუსეთის იმპერიის 39-ე საარტილერიო ბრიგადაში.

1891-1894 წლებში რუსეთის იმპერიის გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემიაში სწავლობს და მას პირველი ხარისხის თანრიგით ამთავრებს. ამის შემდეგ იწყება მისი სამხედრო კარიერის აღმავლობა. მას სამხედრო წოდებები შემდეგი თანმიმდევრობით მიენიჭა:

– პორუჩიკი (1891 წ.);
– შტაბს-კაპიტანი (1894 წ.);
– კაპიტანი (1896 წ.);
– პოდპოლკოვნიკი (1900 წ.);
– პოლკოვნიკი (1904 წ.);
– გენერალ-მაიორი (1910 წ.);
– გენერალ-ლეიტენატი (1914 წ.);

ილია ოდიშელიძეს მიღებული აქვს შემდეგი ჯილდოები:

– წმინდა სტანისლავის III ხარისხის ორდენი (1902 წ.);
– წმინდა ანას III ხარისხის ხმლებითა და ბაფთით (1905 წ.);
– წმინდა ვლადიმირის IV ხარისხის ხმლებითა და ბაბთით (1905 წ.);
– წმინდა ვლადიმირის III ხარისხის ხმლებით (1905 წ.);
– ოქროს იარაღი „მამაცობისათვის“ (1905 წ.);
– წმინდა ანას II ხარისხის ორდენი ხმლებით (1906 წ.);
– წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით (1907 წ.);
– წმინდა სტანისლავის I ხარისხის ორდენი (1912 წ.);
– წმინდა ანას I ხარისხის ორდენი ხმლებით (1906 წ.);

რუსეთში ბოლშევიკების გაბატონების შემდეგ გენერალ-ლეიტენატი ილია ოდიშელიძე ქართული არმიის მშენებლობაში მონაწილეობს. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების

[1] ილია ოდიშელიძის ბიოგრაფიული ცნობები გადმოცემულია მ. ბახტაძის ნაშრომის მიხედვით. იხ. მიხეილ ბახტაძე, გენერალ-ლეიტენატი ილია ოდიშელიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 2013, გვ. 298-328.

შემდეგ იგი ქართველი ერის სამსახურში დგება და სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის სამხედრო საქმეში. 1918 წლის 25 სექტემბერს იქმნება კომისია ილია ოდიშელიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც ევალება სამხედრო ცხოვრებაში ყველა საჭრო წესდების გადასინჯვა, თარგმნა, გამოცემა, სამხედრო ფორმის ახალი პროექტის განხილვა და ჯარების სამსახურთან და მოწყობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესწავლა. შემდეგ კი მას უფრო დიდი მისია დაეკისრა. იგი გახდა საზავო კონფერენციის დელეგაციის სამხედრო ექსპერტი. მან 1919 წლის 1 მაისს მთავრობას წარუდგინა დოკუმენტი, რომელშიაც ისტორიული, ეთნოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული არგუმენტების გათვალისწინებით დადგენილი იყო საქართველოს ისტორიული საზღვრები. როგორც მისი შინაარსიდან ჩანს, იგი ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობით უნდა იყოს შედგენილი.

3. საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესის ამსახველი ოფიციალური დოკუმენტები

(1917-1921 წლები)

ეს განყოფილება თემატურად 5 ნაწილად შეიძლება დაიყოს:

I. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს[1] სხდომის ოქმი.

აქ მხოლოდ ერთი ოქმია მოცემული და ისიც მხოლოდ ფრაგმენტი. იგი შერჩეულია ერთი ნიშნით – ამ საბჭოს ოქმებში, მხოლოდ მასშია საქართველოს საზღვრებზე საუბარი.

II. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომის ოქმები

ალმანახში შესულია 13 ოქმი (1918 წლის 17 ნოემბრის, 21 ნოემბრის, 23 ნოემბრის, 28 ნოემბრის, 30 ნოემბრის, 22 დეკემბრის, 28 დეკემბრის, 1919 წლის 17 მაისის, 24 მაისის, 7 აგვისტოს, 12 აგვისტოს, 28 აგვისტოს, 18 ნოემბრის).[2]

---

[1] რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილმა დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის სამართავად შექმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი (ოზაკომი), რომელშიაც შევიდნენ რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები: რუსი ვ. ხარლამოვი (თავმჯდომარე), სომეხი მ. პაპაჯანოვი, აზერბაიჯანელი მ. ჯაფაროვი, ქართველები – კ. აბაშიძე და აკ. ჩხენკელი. ოფიციალური ხელისუფლების პარალელურად მოქმედი პოლიტიკური პარტიები, ბოლშევიკების გარდა, თავადვე ცდილობდნენ კრიზისიდან გამოსვლას და კომპრომისის მიღწევას. ისინი უკვე აპრილშივე შეიკრიბნენ და დაიწყეს ქართველი ერის წინაშე მდგარი მწვავე საკითხების მოგვარებაზე მსჯელობა. ხოლო 1917 წ. 12 აგვისტოს შეიქმნა საქართველოს ინტერპარტიული ბიურო. 1917 წ. 21 აგვისტოს მას საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო უწოდეს. მასში 4 პოლიტიკური პარტიიდან (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები) 10-10 წარმომადგენელი იქნა არჩეული. სწორედ ამ საბჭომ მოიწვია 1917 წ. 19 ნოემბერს საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა და შეიქმნა საქართველოს ეროვნული საბჭო. ამ უკანასკნელმა 1918 წ. 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომის ოქმები დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში. ალმანახისათვის შეირჩა მხოლოდ ის ოქმები, რომლებიც უშუალოდ ასახავენ პარიზის სამშვიდობო კონფერენციისათვის მზადების საკითხებს. ფონდის დასახელება და ნომერი მითითებულია თვით დოკუმენტებთან.

I მოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ანტანტამ დაამარცხა რა გერმანია და მისი მოკავშირეები, გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლები ემზადებოდნენ პარიზში სამშვიდობო კონფერენციაზე შესახვედრად – ომის შედეგები ახლა პოლიტიკურად უნდა გაეფორმებინათ. ეს იყო მზადება მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის, ახალი პოლიტიკური რუკის შესაქმნელად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც ემზადებოდა პარიზის კონფერენციისათვის. ალმანახის ამ ნაწილში მოცემულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ოქმები. სხდომა მოწვეულ იყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის, სათანადო დოკუმენტური მასალების მომზადებისათვის, დელეგაციის დამტკიცებისა და მათთვის სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრისათვის.

1918 წლის 21 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მოქმედების გეგმა და დელეგაცია, რომელიც 3 პირისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე, ნიკო ნიკოლაძე და გიგო რცხილაძე. სხდომაზე შეიმუშავეს დელეგაციისათვის სახელმძღვანელო პრინციპები:

– კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწიონ ძველი რუსეთის აღდგენას და მასში საქართველოს ჩართვას;

– არ წავიდნენ ამიერკავკასიის კონფედერაციის შექმნაზე;

– სომხების აგრესიული გეგმების შესარბილებლად დაუჭირონ მხარი მათთვის ზღვაზე გასასვლელის მიცემას;

– იბრძოლონ სამაჰმადიანო საქართველოს შემოერთებისათვის;

– საქართველო შევიდეს პატარა ერთა კავშირში;

– თუ საჭიროებამ მოითხოვოს ნებისმიერი ოდენობის ვალის გადახდაზე დათანხმდნენ;

– ხოლო თუ დამოუკიდებლობის შენარჩუნება ვერ მოხერხდეს, მაშინ იბრძოლონ რომელიმე ევროპული ქვეყნის პროტექტორატის ქვეშ შესასვლელად.

როგორც ოქმიდან ირკვევა, საქართველოს დელეგაციის მთავარი დავალება იყო რუსეთის იმპერიის ძველ საზღვრებში (ანუ საქართველო როგორც მისი ნაწილი) აღდგენის წინააღმდეგ მტკიცე პოზიციით გამოსვლა. დელეგაციას უფლება ეძლეოდა ერთადერთ დათმობაზე – მხოლოდ რომელიმე ევროპულ სახელმწიფოს პროტექტორატზე: „*დელეგაცია წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს, თუ ვინიცობაა მოკავშირეებმა მიზნად დაისახეს რუსეთის აღდგენა ძველს ფარგლებში; თვითონ რომ აღდგენილიყო რუსეთი თავისი ძალით, მაშინ შესაძლოა კიდევ – ეს საკითხი სხვა სახეს მიიღებდა. დღეს კი ხელოვნური აღდგენა რუსეთისა და მერე მისი მიტოვება ისევ ანარქიას გვიქადის [..] თუ დამოუკიდებლობის საკითხი ძალიან გამწვავდა და არას გზით არ იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, იმ შემთხვევაში, დელეგაციას ნება ეძლევა დაუთმოს, მხოლოდ ერთი განსაზღვრით: თუ იქნება პროტექტორატი, – მხოლოდ რომელიმე ევროპულ სახელმწიფოთა*“.

აქვე იყო ნათქვამი, რომ სხვადასხვა უწყებამ ყველა საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს დელეგაციასო. საჭირო ცნობების მიმწოდებელ ერთ-ერთ დაწესებულებად ახალდაარსებული თბილისის უნივერსიტეტიც უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც იქ ივ. ჯავახიშვილი მოღვაწეობდა. მას მართლაც ბევრი სასარგებლო რჩევის მიცემა შეეძლო ხელისუფლებისათვის და ასევე საჭირო მასალებით მომარაგებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილმა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა ვერ შეძლო – მას ევროპაში შესასვლელი ვიზა არ მისცეს.

7 დეკემბრის სხდომაზე დელეგაციის ახალი შემადგენლობა დამტკიცდა, რომელიც გაცილებით უფრო წარმომადგენლობითი იყო. საბოლოოდ დელეგაციამ შემდეგი სახე მიიღო:

ნიკო (კარლო) ჩხეიძე[1] (თავმჯდომარე); ირაკლი (კაკი) წერეთელი;[2] დელეგატები: გრიგოლ რცხილაძე,[3] ნ. ჯაყელი, **პროფ. ივანე ჯავახიშვილი,**[4] გენერ. ილია ოდიშელიძე;[5] მოთათბირენი: ვლადიმერ მგელაძე,[6] ვახტანგ ღამბაშიძე,[7] ვიქტორ ბაბე,[8] ივანე ზურაბიშვილი;[9] სეკრეტარიატი: ი. გოგოლაშვილი, ა. დეკანოზიშვილი, ე. წერეთელი; თავმჯდომარის პირადი მდივანი დ. შარაშიძე; საინფორმაციო ნაწილი: ი. ნაკაშიძე, გრიგოლ რობაქიძე;[10] სამეურნეო ნაწილის გამგის თანაშემწე ა. გვათუა; საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე ნაზარაშვილი; რადიოს სპეციალისტი პორფირე წვერავა.

---

[1] **ჩხეიძე (კარლო) ნიკოლოზი** (1864-1926) – ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, ,,მესამე დასის'' ერთ-ერთი დამფუძნებელი, რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ კი ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების მერე პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე. 1921 წლიდან მიდის ემიგრაციაში. მისი ნაშრომებია: ,,მარქსიზმი და ლენინიზმი'', ,,ბოლშევიზმის დახასიათება'', ,,ხუთი წელია ბოლშევიკები აბედნიერებენ საქართველოს'' და სხვ.

[2] **წერეთელი (კაკი) ირაკლი** (1881-1959) – ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, პუბლიცისტი, დამფუძნებელთა კრების წევრი, რუსეთში მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, სოციალ-დემოკრატი, რუსეთის დროებითი მთავრობის ფოსტის მინისტრი, 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში და მოღვაწეობდა საფრანგეთსა და აშშ-ში.

[3] **რცხილაძე (გიგო) გრიგოლი** (1876-1934) – იურისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის ერთ-ერთი წევრი. მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთები ,,მეგობარი'' და ,,სახალხო გაზეთი'', ლიტერატურული კრებული ,,გრდემლი''.

[4] არსებული ოქმებიდან ჯერჯერობით ნათელი არაა ივანე ჯავახიშვილი მომლაპარაკებელი დელეგატია თუ მოთათბირე.

[5] **ოდიშელიძე ილია** (1865-1925) – ინფანტერიის გენერალი, კავკასიის არმიის სარდალი (1917-1918), ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწე, პარიზის სამშვიდობო კონფერენციის საქართველოს დელეგაციის სამხედრო ექსპერტი.

[6] **მგელაძე ვლადიმერი** – ამიერკავკასიის რესპუბლიკური კონფერენციის რკინიგზის და ფოსტა-ტელეგრაფის კომისიის წევრი საქართველოდან.

[7] **ღამბაშიძე ვახტანგი** (1872-1951) – ექიმი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე, ,,ქართული ეროვნული კომიტეტის'' საფრანგეთში შექმნის ინიციატორი და ხელმძღვანელი.

[8] **ბაბე (ბაბეტი) ვიქტორი** – საფრანგეთში საქართველოს საელჩოს თანამშრომელი. მისი მეუღლე ანეტა მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთსაცავის გამგედ. მან შეადგინა საქართველოს ეკონომიკური რუკა (Carte conomique de la G`orgie), რომლის გამოცემის თარიღი განსხვავებულადაა მოცემული წყაროებში: 1900-იანი წლები (პარიზი, გეოგრაფიის ეროვნული ინსტიტუტი), 1910-იანი წლები (პარიზი, ლობროტის გამოცემა), 1918 წელი (პარიზი, საქართველოს საინფორმაციო ბიურო) და 1921 წელი (პარიზი, გამომცემელი არ არის იდენტიფიცირებული). მისი ნაშრომებია: ,,საქართველოს ბუნებრივი რესურსები. სამთამადნო სიმდიდრეები'', ფრანგულ ენაზე [პარიზი, 1920]; ,,საქართველოს მანგანუმის მადანი'', ფრანგულ ენაზე [პარიზი, 1921] და სხვ.

[9] **ზურაბიშვილი (ვანო) ივანე** (1872-1940) – საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის ხელმძღვანელი, თბილისის ნაფიც ვექილთა საზოგადოების თავმჯდომარე. 1921 წლიდან ემიგრაციაშია. მისი ნაშრომებია: ,,საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა'', ,,კარგ ქართველთა ხსოვნისათვის''.

[10] **რობაქიძე გრიგოლ** (1882-1962) – მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1918-1921 წლებში იყო საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრების აქტიური მონაწილე, პოლიტიკური ემიგრანტი, რომელიც 1931 წლიდან მოღვაწეობდა გერმანიასა და შვეიცარიაში.

III. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის დელეგაციის სხდომის ოქმები[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის ბოლოსა და 1919 წლის დასაწყისში მოიწვია სპეციალური სხდომები, სადაც მცოდნე პირთა და სპეციალისტების დახმარებით უნდა გამორკვეულიყო საქართველოს დელეგაციის ევროპაში გამგზავრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი: დელეგაციის შემადგენლობა, მათი მატერიალური და დოკუმენტური მასალებით უზრუნველყოფა, სამშვიდობო კონფერენციაზე ოფიალურად წარსადგენი შესაბამისი დოკუმენტების მომზადება და სხვ. **სხდომებს ესწრება ივანე ჯავახიშვილიც.**

დელეგატებს შორის იყო ივ. ჯავახიშვილიც. თუმცა თავიდან მას არ სურდა დელეგაციაში ყოფნა. ამის მიზეზი კი ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის საქმეებია. მაგრამ სხდომის თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე და უკვე დელეგატად არჩეული გრიგოლ რცხილაძე აუცილებლობად მიიჩნევენ ივ. ჯავახიშვილის პარიზში გამგზავრებას: – გრიგოლ რცხილაძე: *„ბევრი ისეთი მასალა იქნება საჭირო, რომელიც ჯავახიშვილს მოეპოვება და თუ მოგვიხდა მემორანდუმის წერა ისტორიულად და ეთნოგრაფიულად დასაბუთებული, ვინ მოგვაწვდის მასალებს, თუ ბ-ნი ჯავახიშვილი არ იქნა დელეგაციაში“*; ნ. ჩხეიძე: *„ჯავახიშვილი ყოყმანობს ამ დროს კი მისი წამოუსვლელობა ყოვლად შეუძლებელია. თუმცა დასახელებულია მეორე სპეციალისტიც ბ-ნი ინგოროყვა, მაგრამ უკანასკნელი ვერ გასწევს ჯავახიშვილობას, და თუ ჯავახიშვილი წამოვიდა, მაშინ ინგოროყვა საჭირო აღარ იქნება“*. სხდომამ მიიღო დადგენილება: წერილობით ეთხოვოს ივ. ჯავახიშვილს, რომ მისი მონაწილეობა დელეგაციაში აუცილებლად საჭიროა და თუ ის დათანხმდება, მაშინ პავლე ინგოროყვას წასვლა საჭირო აღარ იქნება. ივანე ჯავახიშვილი დათანხმდა და პავლე ინგოროყვას კანდიდატურაც მოიხსნა.

დელეგაციას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. მათ უნდა დაერწმუნებინა მსოფლიო კონგრესი საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობაში, დაესაბუთებინა საქართველოს დელეგაციის მიერ წარდგენილი მოთხოვნილი საზღვრების მართლზომიერება. თუმცა, როგორც ჩანს, ქართულ საზოგადოებაში მაინც იყო ნიჰილისტური დამოკიდებულება. გაზეთი წერდა: *„თითქმის საბა სულხანისებური დაბრკოლებების დაძლევა მოუხდებათ ჩვენს დესპანებს“* [1918 წ., 31 ქრისტეშობისთვე [დეკემბერი], №253. გვ. 2].

15 ივნარს გაზეთი „საქართველო“ წერდა: „დაიწყება დიდი ბრძოლა ტერიტორიული საზღვრებისათვის და აქ დაგვეტაკებიან ჩრდილოეთით იგივე რუსეთი, სამხრეთით ოსმალეთი და სომხეთი და აღმოსავლეთით ადერბაიჯანი“ [№10 გვ. 3]. ასეთი რთული ვითარებაა შექმნილი ჩვენი ქვეყნის საზღვრების გასწვრივ. ეს კარგად ესმის ივ. ჯავახიშვილს. იგი ჩვეული პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს. მას დაკისრებული აქვს საკითხების მომზადება ქვეყნის ტერიტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ. *„აქ ვაგროვებთ მასალებს, რომ ყველას ჯეროვანი პასუხი გავცეთ,“* – ამბობს სხდომაზე ივ. ჯავახიშვილი [ოქმი № 5, 4 დეკემბერი, 1918 წელი]. ცხადია, იგი გულისხმობდა ქვეყნის საზღვრების სადავო მონაკვეთებს. ერთ-ერთი უმწვავესი საკითხია საზღვარი სომხეთთან. შემაშფოთებელია ის ცილისწამებლური ცნობები, რომლებიც იბეჭდება უცხოურ გაზეთებში დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. სხდომაზე ივ. ჯავახიშვილი *„დეტალურად ეხება სომხების პრეტენზიების ყოველ მხარეს და განმარტავს თუ რა საბუთები აქვს ამის დასარღვევად“* [იგივე ოქმი].

7 დეკემბრის სხდომაზე ივ. ჯავახიშვილს დაევალა მოხსენების გაკეთება მთავრობის სხდომაზე საქართველოს საზღვრების შესახებ, ი. ოდიშელიძეს – რუსეთის დაწესებულებათა

[1] შედგენილია ა. მენთეშაშვილის მიერ 1992 წელს „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის [№ 2. გვ. 160-177] მიხედვით.

ლიკვიდაციის, ხოლო ნ. ჯაყელს – საკანონო საკითხების შესახებ. დაიგეგმა მოხსენების წინასწარი განხილვა უახლოეს სხდომაზე.

საქართველოს დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. აქ შედიოდნენ: სამთავრობო წარმომადგენლები, საქართველოს ისტორიისა და ეკონომიკის მცოდნენი, აგრეთვე დელეგაციის დამხმარე პერსონალი [ოქმი №6, 1918 წლის 4 დეკემბერი].

რადგანაც პარიზის საზავო კონფერენციაზე ერთ-ერთი სადავო და გადასაწყვეტი საკითხი სახელმწიფოთა ახალი საზღვრების დადგენა იყო, საფიქრებელია, ივანე ჯავახიშვილი საქართველოს დელეგაციაში სწორედ იმიტომ იყო ჩართული, რომ ყველაზე კომპეტენტური იყო საქართველოს ისტორიულ საზღვრებზე სამსჯელოდ. ამიტომ, მას, როგორც დელეგატს, სათანადო მასალები თან რომ ჰქონოდა, გასაკვირი არაა. არც ისაა გასაკვირი, რომ გემისა და ვიზის მოლოდინში ამ მასალების დამუშავება და წიგნად ქცევა რომ დაეწყო. როგორც ეტყობა, მან ეს მასალები ევროპაში წასულ დელეგაციის სხვა წევრებს გაატანა და თანაც ადრე, სამშობლოში, მათთან ერთად ბევრი იმუშავა აღნიშნულ საკითხზე. ამაზე მეტყველებს თუნდაც ერთი დამთხვევა:

საქართველოს მთავრობამ საგანგებო მემორანდუმი წარუდგინა პარიზის კონფერენციას, რომელშიც ვკითხულობთ:

„საქართველოს დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა საზავო კონფერენციაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შუამდგომლობისათვის, ვალდებულად მიიჩნევს, განსაზღვროს სახელმწიფოების წინაშე თავისი სახელმწიფოს ტერიტორიალური შემადგენლობა.

განსაზღვრავს რა თავის საზღვრებს, საქართველოს მთავრობა მოითხოვს მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ყოველთვის ეკუთვნოდა ქართველ ხალხს და, რომლებსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, ამავე დროს, სხვა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს არ ეხება.

საქართველო არ მოითხოვს იმ საზღვრების აღდგენას, რომელიც მას აყვავების ეპოქაში ჰქონდა. უარს ამბობს იმ ტერიტორიებზეც, რომლებიც მას 1801 წელს რუსეთთან შეერთების დროს ეკუთვნოდა და, რომლებიც მეზობელი ხალხების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.“ [მენთეშაშვილი ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია პარიზის 1919 წლის საზავო კონფერენციაზე, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 წ. 24 იანვარი, გვ. 9].

ახლა ვნახოთ ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიის შემდეგი ადგილი:

„კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებაზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს. მაგ. აღმოსავლეთით, საინგილოში სამზღვრად გიშის წყლის მაგიერ კაცა-ჩაი დასდვას, სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრის ხაზად კი ისტორიულის მაგიერ დებედას შემდინარეების წყალთ-გამყოფელი მთა აირჩიოს, ხოლო სამხრეთის ხაზად ისტორიულის საზღვრის ერევნის (= ბამბაკის) მთების მაგიერ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ბერდუჯის (= რუს. ბეზობდალის) მთები მიიჩნიოს მოსაზღვრე ხაზად: საქართველოს ხელში ბერდუჯის მთები იქმნება, სომხეთის ზღუდედ და სამზღვრად ერევნის მთები [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 51].

მგონი საკითხი ნათელია: ივანე ჯავახიშვილისეულ და მემორანდუმისეულ ტექსტებში ერთი და იგივე აზრია გატარებული – საქართველო კი არ უნდა ეპოტინებოდეს ყველა იმ ტერიტორიას, რომელიც მას ოდესმე ჰკუთვნებია, არამედ მხოლოდ იმას უნდა დასჯერდეს, რომელიც თავის სახელმწიფოებრივი არსებობისათვის აუცილებელია და რომელიც მეზობელი სახელმწიფოებისათვის არაა საზიანო.

გარდა ამისა, მემორანდუმში მოკლედ, ხოლო მონოგრაფიაში ვრცლადაა საქართველოს საზღვრები მითითებული. მათ შორის მსგავსებაც აშკარაა. გარდა ამისა მემორანდუმში ნათქვამია: „რუკას განმარტებებით ვთავაზობთ კონფერენციას.“ [მენთეშაშვილი ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია პარიზის 1919 წლის საზავო კონფერენციაზე, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 წ. 24 იანვარი, გვ. 9] აღნიშნულ თემაზე კი რამდენიმე რუკა

არსებობს, ერთი ქართულენოვანია და ორი კი ფრანგულენოვანი. ეს უკანასკნელი ორი პარიზშია დაბეჭდილი, მაგრამ დიდი ალბათობით იგი ივანე ჯავახიშვილის მიერ მიწოდებული მასალების მიხედვითაა შედგენილი. ამიტომაც ამ რუკების ერთ-ერთ ავტორად ივანე ჯავახიშვილიც უნდა იქნას მიჩნეული.

IV. სხვა ოფიციალური დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია პარიზის სამშვიდობო დელეგაციის საქმიანობა, ქვეყნის ტერიტორიისა და საზღვრების ფორმირებასთან, აგრეთვე საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებული 9 დოკუმენტი, რომლებიც დალაგებულია ქრონოლოგიურად:

- ქართული უნივერსიტეტის გამგეობის სხდომის დღიური, ოქმი № 4 (1918 წლის 7 დეკემბერი);
- საქართველოს დელეგაციის წევრთა ხელმოწერები განცხადების გაცნობის თაობაზე (1919 წლის 7 მაისი);
- გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება (1920 წლის 18 ნოემბერი);
- ქართული უნივერსიტეტის გამგეობის სხდომის დღიური (1918 წლის 7 დეკემბერი);
- ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სხდომის დღიური, ოქმის № 12 (1919 წლის 7 აპრილი);
- ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრებისა და ეკონომიკური საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებული კომისიის შესახებ (1920 წლის დამდეგი);
- ნოე ჟორდანიას განცხადება დამფუძნებელ კრებაზე (1921 წლის 21 თებერვალი);
- ივანე ჯავახიშვილი საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი საზღვრების გადამიჯვნის კომისიაში (1921 წლის 6 და 7 ივნისი);
- განმარტებითი ბარათი მახლობელი აღმოსავლეთის საკითხების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის ამერიკული სექციის ხელმძღვანელისადმი ოსმალეთის გამგებლობაში მყოფი ლაზებითა და ჭანებით დასახლებული უძველესი ქართული ტერიტორიების საქართველოსათვის მიკუთვნებულობის თაობაზე (უთარიღო).

V. პარიზის სამშვიდო კონფერენციაზე წარდგენილი დოკუმენტები

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მრავალი დოკუმენტი იქნა წარდგენილი, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფოები ცდილობდნენ, წარმოეჩინათ თავიანთი ქვეყნის ისტორია, ტერიტორიული მომცველობა და მოთხოვნილი საზღვრები. 1926 წელს სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ, კალიფორნია) გამომცემლობამ გამოაქვეყნა „პარიზის კონფერენციაზე სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ წარდგენილი დოკუმენტების კატალოგი". როგორც ამ გამოცემიდან ირკვევა სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილი დოკუმენტები ორ ძირითად კატეგორიად იყო წარმოჩენილი:

- დელეგაციის მიერ ავთენტურად მიჩნეული დოკუმენტები (Propaganda Authenticated by the Delegations);
- დელეგაციის არაავთენტური დოკუმენტები (Propaganda Unauthenticated by the Delegations). ცხადია, ანალოგიური დოკუმენტებით წარდგა საქართველოც. ამ დოკუმენტთა ნუსხაში ჩამოთვლილია რუკებიც, რომლებიც ივ. ჯავახიშვილის ხელდასმით შეიქმნა.

საქართველოს მხრიდან უმაღლესი რანგის შეხვედრაზე წარდგენილ დოკუმენტებს შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია „პარიზის კონფერენცია, 1919. საქართველო" (Paris. Peace Conference, 1919. Georgia... Memories pr`sent` á la Conf`rence de la paix (revendications politiques-fronti`res) suivi de l'cate de l'independance de la G`orgie et d'une carte. Paris [Imp. M. Flinikowski] 1919. 1 p. 1., [5] – 22 p., 11. map, 27 cm. At head of title: D`l`gation g`eorgienne á la Conf`rence de la paix, გვ. 11). ეს დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტების განყოფილე-

ბაში [(იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1918 წლის 21 ნოემბრის სხდომის ოქმი]. ეჭვგარეშეა, რომ ამ დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობას იღებდა ივ. ჯავახიშვილიც. გამოცემას თან ერთვის ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი „საქართველოს რუკა" ფრანგულ ენაზე.

აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ საქართველოს დელეგაცია შუამდგომლობით მიმართავს კონფერენციაზე შეკრებილ სახელმწიფოებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტა კი უცილობლად ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების მოგვარებასაც საჭიროებდა.

4. პირადი წერილები

ალმანახში შესულია მიმოწერა, სადაც ასახულია 1919 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. ისინი ხშირად ასახავენ იმ რეალურ ვითარებასა და სირთულეებს, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ პარიზის კონფერენციის დელეგატები.

საქართველოს დელეგაცია, რომელიც თბილისიდან გაემგზავრა 1919 წლის 10 იანვარს და ჩავიდა ბათუმში [გაზეთი „ბორბა" (Борьба), 10 იანვარი, 1919 წ., № 6 (262), გვ. 3]. აქედან სტამბოლის გავლით პარიზში უნდა გამგზავრებულიყვნენ. ძლიერ შეყოვნდა მათი გამგზავრება ჯერ ბათუმში, შემდეგ კი სტამბოლში. 1919 წ. 11 იანვარს ივ. ჯავახიშვილი ბათუმიდან წერს აკაკი შანიძესა და იოსებ ყიფშიძეს: „*ინგლისელების სიტყვა ისევ მრუდე აღმოჩნდა: გემი აქ არ არის და ერთ კვირაზე ადრე არც იქნება*" [11 ინვარი, 1919 წ.]. იმავე დღეს იგი წერილს უგზავნის მეუღლე ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანსაც და იმავე საკითხზე ჩივის: „*ბათუმში ვზივარ, რათგან ინგლისელების ცნობა სწორე არ გამოდგა, როგორც ხშირად სხვა დროსაც, გემი არ არის ვითომც გუშინ წინ წასულიყოს რაკი სტამბოლითგან ბრძანება მოსვლოდეს. როდის მოვა ჯერ არ იციან, შეიძლება ერთ კვირასაც დაუგვიანდესო, უსაქმოდ ვართ. აქ მშვენიერი დარია, თბილა. ხალხი ძალიან ცოტაღა დარჩენილა. დღეს ინგლისელი გენერლები უნდა ჩამოვიდნენ ტფილისიდან და იმედია როგორც შეგვაცდინეს, ისევე გამოასწორებენ და გემს გვიშოვიან*"[იხ. აქვე]..

იგივე ვითარებაა სტამბოლშიც. 1919 წელის 27 იანვარს იგი კვლავ გულისტკივილით წერს თავის მეუღლეს სტამბოლიდან: „*ერთ კვირაზე მეტია რაც ჩამოვედით, მაგრამ ჯერაც საფრანგეთიდან ჩვენი იქ წასვლის ნებართვა არ მოსულა. ვზივარ აქ და ვუცდით. მე ძალიან ბევრი სამუშავო მაქვს და საწერი ისე, რომ დღევანდლამდის არსადა ვყოფილვარ. მხოლოდ დღეს დავათვალიერე აქაური მუზეუმი*" [იხ. აქვე]. ანალოგიური გრძლედება შემდეგშიც: „*მე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს-და-ბოლოს სიმართლე გამოირკვევა, მაგრამ ეხლა-კი ჩვენ პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ვართ: სომხები პარიზში არიან და თავიანთ საქმეს არიგებენ როგორც უნდათ, ალბად ათასგავრ ტყუილს ავრცელებენ და თაღლითობას სჩადიან, ჩვენ-კი აქ განზრახ ჩაგვსვეს, რომ მათ პასუხის გამცემი არავინა ჰყავდეთ და მათს სიცრუეს პირში მთქმელი სიმართლისა არ წარუდგეს.*"

კონსტანტინეპოლიდან კარლო ჩხეიძის ნოე ჟორდანიისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ, რომ ინგლისის სრულუფლებიან მინისტრ სოხლერისათვის მას დაუსვამს კითხვა, რა მიზეზით ფერხდებოდა ქართული დელეგაციის პარიზში გამგზავრება, „*მაშინ როდესაც სომხის დელეგაციები ასე ადვილად მიდიან, მან მითხრა სომხებს ბევრი დელეგაციები ჰყავსო და ამ საგანზე ლაპარაკს თავი აარიდა*" [საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის წერილი ნოე ჟორდანიას, 1919 წლის 27 იანვარი, ქ. კონსტანტინეპოლი, წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე № 148. ფ. 15-16]. ყველგან ერთი და იგივეს უსმენდნენ დელეგატები „პასუხს უნდა მოუცადოთო". ისიც ნიშანდობლივია, რომ ასევე გართულდა ადერბაიჯანის, მთიელთა, აგრეთვე დონის, ყუბანის დელეგაციების წარმო-

მადგენლების პარიზში გამგზავრება. ძალზე იოლად გადალახეს ბარიერები მხოლოდ სომხეთის დელეგაციამ. საქართველოს დელეგაციამ სტამბოლიდან გამგზავრება შეძლო მხოლოდ 13 თებერვალს, ისიც არასრული შემადგენლობით – კარლო ჩხეიძემ და ირაკლი წერეთელმა. ეს ორი პიროვნებაა მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში, თითქმის ყველგან. თუმცა კონსტანტინეპოლიდან გ. რცხილაძის მიერ 25 თებერვალს მიწერილ წერილში ვკითხულობთ, რომ „*13 თებერვალს წავიდნენ პარიზისკენ კ. ჩხეიძე და ი. წერეთელი, ბაბე და ელ. წერეთელი*“ [საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის წერილი ნოე ჟორდანიას, 1919 წლის 25 თებერვალი, ქ. კონსტანტინეპოლი, წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე № 148. ფ. 41-42].

მაშინ, როცა სომხეთის დელეგაცია პარიზში იყო თითქმის ერთი თვით ადრე. ამავე წერილში, რომელიც 27 იანვრითაა დათარიღებული, ვკითხულობთ, რომ „*სომხებს რამოდენიმე დელეგაცია უკვე გაემგზავრა პარიზში. მაგ. პაგარონიანი რომელიც ჩვენთან ერთად წამოვიდა თბილისიდან უკვე პარიზშია. ცნობების შეკრების წესი თითქო ყველასათვის ერთია, მაგრამ სომხები მაინც ახერხებენ ადრე წასვლას*“.

საქართველოს შესახებ ცილისწამებლური კორესპოდენციები, როგორც ჩანს, მრავლად იბეჭდებოდა კონსტანტინეპოლის გაზეთებში. თოთქოს „*საქართველოს მთავრობა ყოფილიყოს წინააღმდეგი კონფერენციისა და მშვიდობიანად სადაო საკითხების გადაწყვეტისა, ვითომც ომის დამწყობი ყოფილიყოს საქართველო, ვითომც ომში გამარჯვებული სომხეთი ყოფილიყოს, ქართველებს თბილისი დაეცალოთ, მიხაილოვოში გაქცეულიყვნენ და სხვ.*“ – აღნიშულია [რცხილაძის წერილი კონსტანტინეპოლიდან, 1919 წლის 25 თებერვალი. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე № 148. ფ. 41-42].

არასწორი ინფორმაცია ვრცელდებოდა არა მარტო საქართველოზე, არამედ თვით დელეგაციის წევრებზეც. ცრუ ინფორმაცია შეეხებოდა დელეგაციის შემადგენლობას, მათ საქმიანობას, მგზავრობას და ა.შ. იყო ძალზე არაკორექტული შეფასებებიც. ერთ-ერთ გაზეთში ქართულ დელეგაციას არასასურველიც კი უწოდა [საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის წერილი ნოე ჟორდანიას, 1919 წლის 27 იანვარი, ქ. კონსტანტინეპოლი, წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე № 148. ფ. 15-16]. „*ბევრს წერენ აგრეთვე იმაზე, ვითომც ქართველებმა შეუშალეს ხელი სომხებს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვითომც ქართველების ბრალი იყოს ერზერუმის, ყარსის და სხვა ადგილების დაცლა*“ [რცხილაძის წერილი კონსტანტინეპოლიდან, 1919 წლის 25 თებერვალი. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე № 148. ფ. 41-42]. იყო ცილისწამება გენერალ ოდიშელიძეზეც, რომელსაც ბრალდებოდა ყარსის ციხის დაცემა. თუმცა ოდიშელიძემ შეძლო თავისი სიმართლის დამტკიცება. ამ ფაქტის შესახებ აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილიც თავის მოხსენებაში 1919 წლის 4 მაისს „თანამედროვე მომენტზე“: „*ძალიან საძაგელი წერილები დაიბეჭდა იმ დროს გენ. ოდიშელიძეზე. მას აბრალებდნენ, რომ მან ოსმალეთიდან აიღო ქრთამი, და აზრუმი და ყარსი უბრძოლველად გადასცა ოსმალეთს. ეს სისაძაგლე ვერ მოითმინა ოდიშელიძემ და მან დასაბუთებული წერილი დაბეჭდა გაზეთში, საცა ამტიცებდა აზრუმის და ყარსის დაკარგვაში თვით სომხები არიან დამნაშავენი*“ [პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე. გაზეთი „საქართველო“, 4 მაისი, 1919 წ., № 95, გვ. 4].

ცხადია, ჩვენი დელეგაცია ცდილობდა როგორმე გაებათილებინათ ცილისწამებლური კამპანია, მაგრამ, როგორც თვით ოფიციალური მიმოწერიდან ჩანს, ამას დიდი შედეგი არ მოჰქონდა. ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია, რომ ეს დელეგაცია ყალბი ცნობების გაფანტვას ცდილობდა ისე, „*რამდენადაც შესაძლებელი*“ იყო „*აქაურ პირობებში*“-ო. მართალია, დელეგაციამ იმასაც მიაღწია, რომ ერთ-ერთ გაზეთს მათთვის ცალკე სვეტი დაეთმო. მაგრამ დელეგაციის წევრები წუხდნენ იმ გარემოების გამო, რომ კონსტანტინეპოლიდან მათი გამგზავრების შემდეგ, ვითარება ძველებურ რეჟიმში გაგრძელდებოდა. ამიტომ სთხოვდნენ ისინი მთავრობას მოეძებნათ სათანადო პირი, მცხოვრები კონსტანტინეპოლში, რომელიც ითავდებდა სწორი ინფორმაციის გაზეთებში განთავსებას.

ივანე ჯავახიშვილი, დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად თბილისიდან ბათუმში, 1919 წლის 9 იანვარს გაემგზავრა, ხოლო 17 იანვარს ბათუმიდან სტამბოლში. აქ მან კარგა ხანს დაჰყო და უშედეგო ლოდინის მერე 2 აპრილს თბილისში დაბრუნდა. თუმცა ,,თავისუფალ'' დროს მისთვის უქმად არ ჩაუვლია – ,,ბევრი სამუშავო'' შეუსრულებია. ამ ორიოდე თვეში ივ. ჯავახიშვილმა ორი მონოგრაფია დაწერა: ,,საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული'' და ,,დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში''.

მკვლევარი ო. ჯანელიძე თავის ნაშრომში ,,ივანე ჯავახიშვილი (ბიოგრაფიის მივიწყებული ფურცლები)'' აღნიშნავს: ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დიდად აფასებდა ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ კეთილსინდისიერებას, მის ცოდნასა და განსწავლულობას. ამიტომაც, როდესაც 1920 წლის დამდეგს, ინგლისის მთავრობის წინადადებით, დაისვა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრებისა და ეკონომიკური საკითხების მოგვარების შესახებ, საარქივო დოკუმენტის ცნობით, საზღვრების კითხვის გასარკვევად შედგა კომისია, რომელშიც შევიდნენ გენერალი ი. ოდიშელიძე, ივ. ჯავახიშვილი, ექვ. თაყაიშვილი და პ. ინგოროყვა. კომისიას დაევალა მასალების მომზადება, რათა იგი საქართველოში ინგლისის წარმომადგენლის უორდროპის ხელით ლონდონში გაეგზავნათ. იმავე წყაროს თანახმად, ,,საქართველოს მთავრობას აზრად ჰქონია ოდიშელიძისა და ჯავახიშვილის გაგზავნა პარიზსა თუ ლონდონში საზღვრების გამოსარკვევად მოწვეულ კონფერენციაზე''. (საქ. ცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საქმ. № 753, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიულეტენი, № 10). საარქივო დოკუმენტში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, შედგა თუ არა საერთოდ ასეთი კონფერენცია ევროპაში და მიიღო თუ არა მასში მონაწილეობა ივ. ჯავახიშვილმა. უფრო სავარაუდოა, რომ ამგვარი კონფერენცია არ გამართულა. ამ ამბებიდან არც თუ დიდი ხნის შემდეგ ხომ ინგლისელებმა საქართველო დატოვეს''.[1]

ვერც ჩვენ შევძელით ამ სკითხის გარკვევა. მეტიც, ო. ჯანელიძის მითითებული საარქივო მასალაც ვერ მოვიძიეთ, რადგანაც საქართველოში სათანადო არქივის მასალები შემდეგ ხელახლა აღრიცხეს და ნომრებიც შეუცვალეს. ამდენად, არსებული ნომრებს მიხედვით რაიმეს გარკვევა შეუძლებელი გახდა.

წინამდებარე ტომით ვამთავრებთ მოცემულ თემაზე მასალების პუბლიკაციას, თუმცა ვფიქრობთ, რომ საჭირო მასალები შესაძლოა კიდევ იყოს დავანებული სხვადასხვა ფონდში. მოსაძიებელი და დასამუშავებელია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული როგორც სომხურენოვანი და თურქულენოვანი, ისე რუსეთისა და ევროპის ქვეყნების საარქივო და პერიოდიკის მასალები. ვიმედოვნებთ, რომ გამოჩნდება ჩვენნაირი ენთუზიასტი და ამ საქმეს გაუძღვება.

P.S. ალმანახის რედკოლეგია და ტომის შემდგენლები მადლობას მოახსენებენ:

1. **ნათია ჩანტლაძეს** – არმენოლოგს, ივანე ჯავახიშვილის მიერ მითითებული სომხური წყაროების ლექსიკური მასალების სწორად ამოკითხვასა და დაწერაში დახმარებისათვის;

2. **მამუკა ჭანტურაიას** – ფილოლოგს, ფრანგულენოვანი მასალების ქართულად თარგმნისათვის;

3. **ნანა მჟავიას, რუსუდან კობახიძეს, თამუნა ბჟალავას** – რუკების მოძიებაში გაწეული დახმარებისათვის.

დ. ნიკოლაიშვილი
ა. უჯმაჯურიძე

[1] ო. ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილი (ბიოგრაფიის მივიწყებული ფურცლები), თბ., 1996, გვ. 20.

I. საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიისადმი მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები

1. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული[1]

წყარო: ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. დედანი დაცულია
აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ივანე ჯავახიშვილის ფონდი, № 369

შესავალი

საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს სამზღვრები არა ერთხელ ტომობრივ მოსახლეობის სამზღვრებს გასცილებია, და ძლიერების ხანაში XI-XIII ს[აუკუნე]მდე, განსაკუთრებით მე-XII-ე საუკუნეში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს საქ[ართვე]ლოს, მთელი ამიერი კავკასიაც-კი ეკუთვნოდა. ქვემომოყვანილს მონოგრაფიაში განხილულია საქ[ართვე]ლოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული სამზღვრები, ისე როგორც თვით ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრედვე გეოგრაფიულ[ი] და ეკონომიურ[ი][2]

---

[1] *ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ გამოიცა რამდენიმეჯერ:*

***ნაშრომი პირველად გამოვიდა** 1919 წელს ქ. ტფილისში „სახელმწიფო სტამბის“ მიერ [56 გვ.]. თუმცა იგი შესრულებულია 1919 წლის იანვარ-მარტში ბათუმსა და კონსტანტინოპოლში, როცა ივანე ჯავახიშვილი, როგორც პარიზის სამშვიდობო დელეგაციის წევრი, სხვა დელეგატებთან ერთად, გაემგზავრა ბათუმში და აქედან კონსტანტინოპოლში. სწორედ ამ ქალაქებში შეასრულა მან ეს ნაშრომი;*

***მეორე გამოცემა** ეკუთვნის აკაკი ბაქრაძეს 1989 წელს კრებულში „ისტორიული რარიტეტები“ [გვ. 5-62]. იგი გამოსცა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა, კოოპერატივმა „ბბნ“-მა;*

***მესამე გამოცემა** ეკუთვნის დურმიშხან ცინცაძეს, რომელმაც რედაქცია გაუკეთა და ბოლოსტყვაობა დაურთო [იხ. აქვე]. ნაშრომი გამოვიდა 1996 წელს [48 გვ.];*

***მეოთხე გამოცემა** ჩართულია ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტ ტომეულში, ტომი XII [გვ. 459-497], რომელიც გამოვიდა 1998 წელს როინ მეტრეველის რედაქციით. გამოცემას თან ერთვის 2 რუკა: საქართველოს საზღვრების რუკა [1919, მასშტაბი 1:3,000,000 – იხ. აქვე] და Carte de la Gerogie [1919, მასშტაბი 1:3,000,000 – იხ. აქვე];*

გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2009 წლის 23-29 ნოემბერი, № 47. გვ. 2, 4, 6, 6, 8, 10, 12. თანდართულია „საქართველოს საზღვრების რუკა“.

წინამდებარე ალმანახში აღნიშნული ნაშრომი იბეჭდება დედნის მიხედვით, შესწორებულია მხოლოდ ორიოდე ორთოგრაფიული და კორექტურული შეცდომა, რაც სქოლიოშია მითითებული. უცვლელადაა დატოვებული სასვენი ნიშანი „წერტილი“ სათაურების ბოლოს. შემოკლებები და ქარაგმები გახსნილია და ისინი კვადრატული ფრჩხილშია ჩასმული. ტექსტში ჩართული ლიტერატურის მითითებები სქოლიოშია ჩატანილი, რომელსაც მოსდევს დახრილი შრიფტით იგივე ლიტერატურის თანამედროვე წესით მითითება.«ამ უკანასკნელის სია ნაშრომს ბოლოში ერთვის [რედ.].

[2] *ავტორი სიტყვა „ეკონომიურს“ იყენებს „ეკონომიკურის“ მნიშვნელობით* [რედ.].

პირობების წყალობით იგი ჩამოყალიბდა. თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქ[ართვე]ლ[ი] ერ-ისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი[1] ჩრდილოეთით და მაღალ[ი] მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით-კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავ-ლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოვოდ გარემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს. სხვათა შორის ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივ[ი] ისტორიულ[ი] არსებობის დროს მრავალ[ი] და ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერ[ი] მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა. ეს გარემოება საქ[ართვე]ლოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არა-ერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა და ჩამოშორება უცდიათ. მაგრამ საქ[ართვე]ლოს პოლიტიკურ მოღვაწეებს და მთავრობასაც თავისი სახელმწიფოს ამ ბუნებრივ სამზ-ღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი ერის არსებობისათვის მშვენიერად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წადილს მედგარს წინააღმდეგობას უწევდენ.

წინამდებარე მონოგრაფია სწორედ საქ[ართვე]ლოს სამზღვრებს არკვევს ისტორიულადაც, – თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში ან როგორ იცავდა ამ სამზღვრებს ქ[ართვე]ლი ერი საუკუნეთა განმავლობაში, – და თანამედროვე ცხოვრებისა და აწინდელ[ი] პირობებისდა მიხედვით, – თუ რა ნაირად უნდა შემოიხაზოს საქ[ართვე]ლოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამზღვრები ამ ჟამად, რომ საერთაშორისო სამართლისა, 1783 წ. რუსეთთან დადებულ[ი] ხელშეკრულობითა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფი-ლი ქ[ართვე]ლი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილი იქმნას.

სამზღვრების მიმოხილვა ჯერ დასავლეთ-ჩრდილოეთითგან იწყობა, შემდეგ ჩრდილოეთ-აღ-მოსავლეთისაკენ მიდის, მერმე აღმოსავლეთის სანაპირო ხაზს[2] და სულ ბოლოს სამხრეთის სამზღვარს ეხება აღმოსავლეთითგან მოყოლებული დასავლეთის ხაზის უკიდურეს წერტილამდე.

I თავი

ჩრდილოეთის სამზღვარი

§ 1. ჩრდილო-დასავლეთის ხაზი. აფხაზეთ-ჯიქეთი

სრულიად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს სამზღვარზე აბხაზეთი[3] იყო და ეხლაც იგივე კუთხე ჰსაზღვრავს საქ[ართვე]ლოს რესპუბლიკას. ისტორიულის ცნობების მიხედვით მე-XI-ე ს[აუკუნ]ეში ეს მოსამზღვრე ხაზი საქ[ართვე]ლოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა, სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყობოდა. მოსამზღვრე ხაზად მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა.[4] ასე ჩრდილოეთით იმიტომ იყო სამზღვარი წაწეული, რომ მაშინ ჯიქეთი და ალანთა ქვეყანაც აბხაზეთს ეკუთვნოდა. თუ ჯიქნი აბხაზთა მოძმე ტომი იყო და მათი

---

1 *უნდა იყოს: „მთაგრეხილი“* [რედ.].

2 *იგულისხმება არა ზღვის სანაპირო ხაზი, არამედ სახმელეთო საზღვარი ქვეყნის აღმოსავლეთ მიჯნაზე* [რედ.].

3 *ავტორი აფხაზეთს ორი სახელით იხსენიებს: „აფხაზეთი“ და „აბხაზეთი“* [რედ.].

4 ლ. მროველი, ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 311 და 266. *იგულისხმება: ქართლის ცხოვრება, 1906; ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 311, 266* [რედ.].

აბხაზეთთან ერთობა სრულებით ბუნებრივად უნდა მიჩნეული იქმნას, ალანთა შესახებ ამის თქმა არ შეიძლება.

მაინცადამაინც ცხადია, რომ დოაბზუ ანუ ტუაფსე აფხაზთა საკუთრება იყო იმიტომ, რომ თვით ეს საგეოგრაფიო სახელი სწორედ ამასა ნიშნავს. მაგრამ საკუთრივ აბხაზეთის ჩრდილოეთის სამზღვარი ბიჭვინტის[1] მონასტრის ჩრდილოეთით მდებარეობდა[2] ხოლო ამის შემდგომ უკვე აბხაზთა ტომის ჯიქების მიწა-წყალი იწყობოდა.

ვახუშტის სიტყვით მის დროინდელს, მე-XVIII-ე ს[აუკუნ]ის, აბხაზეთსა და ჯიქეთს შორის სამზღვრად ზღვა და კაპოეტის წყალი იყო[3], ჯიქეთის ჩრდილოეთის სამზღვარი-კი წინანდებურად კავკასიონის ქედი ყოფილა. დასავლეთ საქ[ართვე]ლოს 1732 წ. რუკაზეც[4] ჯერ სწერია „კაპოეტის წყალი", შემდეგ ხაზია გასმული და ნათქვამია „აქეთ ჯიქეთი"-ო,[5] ე.ი. ჯიქეთი კაპოეტის წყლის იქით, ანუ ჩრდილოეთით მდებარეობსო. თანამედროვე რუკებზე კაპოეტის წყალი არ არის აღნიშნული, მაგრამ 1732 წ. ალექსანდრე მეფის ბრძანებით შედგენილს დასავლეთ საქ[ართვე]ლოს რუკაზე[6] და სრულიად საქ[ართვე]ლოს მოსკოვში 1743 წ. გადახატულ რუკაზე ეს მდინარე ბიჭვინტის ჩრდილოეთით არის აღნიშნული. მაშასადამე კაპოეტი ეხლანდელი მდ. ბზიბის[7] ძველი სახელი უნდა იყოს.

თუ 1743 რუკას დავხედავთ, იქითგან სჩანს, რომ სამზღვარი მდ. კაპოეტის წყალზე ანუ ბზიბზე-კი არა ყოფილა, არამედ ამ მდინარის ჩრდილოეთით მდებარე კავკასიონის ქედ-ქედ. ბურნაშევის მიერ შედგენილს რუკაზედაც სამზღვარი კაპოეტის წყლის ანუ ბზიბის საკმაოდ მოშორებით, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და მიმდინარეობს. **ყველა ამ საბუთების გამო უნდა დავასკვნათ, რომ მდ. ბზიბი მთლად თავის შემდინარეებით აფხაზეთის სამზღვრებ-**

---

1 *ავტორი ბიჭვინთას „ბიჭვინტად" იხსენიებს* [რედ.].

2 ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 315. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 315* [რედ.].

3 გ[ეო]გრაფია, 406 და 408. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 406 და 408.* [რედ.].

4 *იგულისხმება ტიმოთე გაბაშვილის მიერ შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკა – იხ. დანართი 1.1* [რედ.].

5 *იგულისხმება: იგულისხმება ტიმოთე გაბაშვილის მიერ შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკა – იხ. დანართი 1.1* [რედ.].

6 *ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული რუკის შექმნის თარიღად მითითებული აქვს 1732 წელი, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს რუკა უფრო გვიან უნდა იყოს შედგენილი. ირაკლი მათურელის აზრით, გაუგებრობა გამოიწვია რუკის უკანა მხარეს შავი ფერით გაკეთებულმა წარწერამ, სადაც ოთხნიშნა ციფრიდან ცუდად იკითხება ბოლო ორი ციფრი. ივანე ჯავახიშვილმა იგი „1732"-ად ამოიკითხა. რუკის შედგენის ზუსტი თარიღის დასადგენად ი. მათურელს მოჰყავს 2 არგუმენტი [ი. მათურელი. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. თბ., 1990. გვ. 33-34]: 1) რუკაზე გაკეთებულია წარწერა, რომ ქალაქ ჩხარის წმინდა გიორგის მონასტერი 1737 წელს აუშენებიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ რუკა ვერ შედგებოდა 1737 წელზე უადრესად; 2) ფრანგ მოგზაურს ჟაკ ფრანსუა გამბას ნაშრომში „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ ამიერკავკასიაში, რომელიც განახორციელა 1820-24 წლებში შევალიე გამბამ, მეფის კონსულმა თბილისში. ოთხი გეოგრაფიული რუკით" [**"Voyage dans la Russie méridionale et particulièrement dans les provinces situées au delà du Caucase fait depuis 1820 jusqu'en 1824, par le chevalier Gamba, Consul du bol a Tiflis. Avec quatre Cartes géographiques"**] აქვს ასეთი ჩანაწერი: „ეს რუკა გადმოღებულია ორიგინალიდან, რომელიც შესრულებულია ქართულად, რუსულად და ინახება პარიზის საზღვაო არქივში. იგი გაუგზავნია იმერეთის მეფეს ალექსანდრეს რუსეთის იმპერატრიცასათვის 1738 წ. და ქუთაისის მიტროპოლიტს ტიმოთეს მიურთმევია მისი უდიდებულესობისათვის პეტერბურგში 1738 წლის 8 ივლისს". სწორედ ამ არგუმენტებით დასტურდება, რომ რუკა შედგენილია 1737 ან 1738 წელს.*

რუკა ამჟამად დაცულია მოსკოვის ცენტრალურ ისტორიულ არქივში, ხოლო ასლი სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის კარტოგრაფიულ განყოფილებაში. რუკის სხვა ასლები დაცულია სხვადასხვა ქვეყნის საცავებში. ივანე ჯავახიშვილს ეს რუკა საგანგებოდ უკვლევია, რასაც საარქივო მასალები ადასტურებს. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემორჩენილია ივანე ჯავახიშვილის 8-გვერდიანი ხელნაწერი – „ქართული რუკათმხაზველობის ერთი ძეგლთაგანი", შესრულებული ქართულ და რუსულ ენებზე [რედ.].

7 *ავტორი მდინარე ბზიფს „ბზიბად" იხსენიებს* [რედ.].

ში იყო. ამიტომ მოსამზღვრე ხაზი უეჭველია ამ მდინარის აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გამყოფელი ქედის-ქედ უნდა ყოფილიყო[1].

ამ ადგილითგან მოყოლებული აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადახრილი სამზღვრის ხაზი კავკასიონის მთავარ უღელტეხილის[2] ქედ-ქედ მიდიოდა და ეხლაც მიდის სვანეთამდის.

ტომობრივ მოსახლეობის მხრივ მე-XVIII-ე ს[აუკუნ]ის დასასრულს აფხაზეთი შემდეგ ნაწილებად იყოფებოდა: ერთი იყო ბზიბის ხეობა, რომელიც შეიცავდა მდ. ბზიბის ქვემო ნაწილისა და აღმოსავლეთით გუდაუთამდე, მეორე გუდაუთსა და მდ. კოდორს შუა საკუთრივ აფხაზთა სათემო იყო. მესამე, აფშილეთი, მდ. კოდორსა და ღალიძგას შუა მდებარეობდა. მეოთხე სამურზაყანო, რომელშიაც მოსახლეობა მეგრული იყო და ეხლაც არის, მხოლოდ აბხაზური ენა და ზნე-ჩვეულებაც შეთვისებული აქვთ, მოთავსებული იყო ღალიძგასა და ენგურს შორის შავი ზღვის ნაპირას და მეხუთეს, წიბელდას[3] მდ. კოდორის ხეობის შუა ნაწილი ეკავა.

ცნობილია, რომ აღმ[ოსავლეთი] საქ[ართვე]ლოს 1783 წ. რუსეთთან დადებულ[მა] ხელშეკრულობამ და შემდეგ 1801 წ. შეერთებამ მთელი საქ[ართვე]ლოს ბედ-იღბალიც გადასწყვიტა და სრულიად საქ[ართვე]ლოს რუსეთის მიერ შეერთება მხოლოდ-და-მხოლოდ ხელსაყრელ დროზე იყო დამოკიდებული. ვერც აფხაზეთი გადაურჩა ამ ბედს. თუმცა 17 თებერ[ვალს] 1810 წ. აბხაზეთის მთავარმა სეფერბეი შარვაშიძემაც რუსეთის მფარველობა მიიღო, მაგრამ კარგა ხანს მე-XIX-ე საუ[კუ]ნის მეორე ნახევრის დამდეგამდე აბხაზეთში მაინც რუსებმა ფეხი მტკიცედ ვერ მოიკიდეს და მხოლოდ 1 მაისს 1864 წელს აბხაზეთი რუსეთთან საბოლოოდ შეერთებული იყო, თვით აბხაზეთის მთავარს-კი მთელის შთამომავლობით მთავრის უფლება სამუდამოდ ჩამოერთვა. აბხაზები უბრძოლველად არ შეჰრიგებიან დამოუკიდებლობის მოსპობას და 1866 წელს აბხაზეთში აჯანყება დაიწყო, რომელიც რუსთა ძლიერ ჯარის მოსვლისთანავე ჩაქრა. მაგრამ 1877 -78 წ. ომის დროს აბხაზეთში კვლავ აჯანყება მოხდა.

ყველაზე ძლიერსა და მედგარს წინააღმდეგობას რუსეთის გაბატონებას აბხაზეთში წიბელდა უწევდა. მე-XIX-ე ს[აუკუ]ნის 30 წლებითგან მოყოლებული რუსეთის მთავრობა არა ერთხელ ამ კუთხეში დამსჯელ რაზმებს გზავნიდა ხოლმე და ბოლოს მკვიდრი მცხოვრებნი იქითგან აყრილ და განდევნილ იქმნენ[4].

1840 წ. ატეხილ ამბოხების გამო ამ კუთხის მაღლობი ადგილებითგან, დალითგანაც, რუსებმა ყველა მეკომურნი აჰყარეს.[5] ხოლო 1867 წლის აბხაზეთის აჯანყების შემდგომ, წიბელდის მოსახლეობის უკანასკნელი ნაწილიც დიდით პატარამდე, დედაბუდიანად აყრილი და ოსმალეთში განდევნილი იყო.[6] ჯერ კიდევ 1850 წელს აქ 14000 სახლობა ითვლებოდა. 1867 წელს-კი მთელს ამ კუთხეში რუსთა წყალობით 27 ოჯახის მეტი აღარავინ იყო.[7] ამ დროითგან მოყოლებული კოდორის და მის შემდინარეების ხეობანი სრულებით გაუკაცრიელდა. ამის შემდგომ რუსეთის მთავრობა მთელს თავის პოლიტიკას შავი ზღვის ნაპირას ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით-კი ქართველთა საწინააღმდეგოდ აწარმოებდა: ქართველებს აქ დასახლება და უძრავი ქონების შეძენა აკრძალული ჰქონდათ, რუსებს-კი, განსაკუთრებით

---

1 *ზოგიერთი ადგილი დედანში ავტორის მიერ გახაზულია და 1919 წლის გამოცემაშიც განსხვავებული შრიფტითაა მოცემული, რასაც წინამდებარე გამოცემაშიც ვინარჩუნებთ: ყოველთვის უპირატესობას დედანს ვანიჭებთ* [რედ.].

2 *უნდა იყოს: „მთაგრეხილი“* [რედ.].

3 *ავტორი წებელდას „წიბელდად“ იხსენიებს* [რედ.].

4 В. Т. Маевскій, Кутайсская губерния. Военно-статисстическое описание. ტიფლისის 1896 წ. დამატება № 1. გვ. 54. *იხ.* В. Т. Маевскій, Кутайсская губерния. Военно-статисстическое описание. *ტფილისი, 1896 წ. დამატ. № 1, გვ. 54* [რედ.].

5 იქვე, 56. *იხ.* В. Т. Маевскій, Кутайсская губерния. Военно-статисстическое описание. *ტფილისი, 1896 წ. დამატ. № 1, გვ. 56* [რედ.].

6 იქვე, 57. *იხ.* В. Т. Маевскій, Кутайсская губерния. Военно-статисстическое описание. *ტფილისი, 1896 წ. დამატ. № 1, გვ. 57* [რედ.].

7 Иваненко, Гражд. упр. 430. *იგულისხმება: Иваненко В.Н. 1901. გვ. 430* [რედ.].

მოხელეებსა და სამხედრო პირებს, ჩალის ფასად აძლევდენ ამ სამოთხესავით მშვენიერსა და ბუნებით უხვად დაჯილდოვებულს მხარეს. მხოლოდ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წყალობით გაჩნდა ქართველების გვერდით სხვა ეროვნების ხალხიც.

რუსეთის მთავრობის ზემოაღწერილი პოლიტიკისა და საახალშენო მოღვაწეობისდა მიუხედავად სამურზაყანო – აბხაზეთში და ჯიქეთის სამხრეთის მცირე ზოლში, ანუ სოხუმისა და სოჭის ოლქებში 1916 წ. აღწერისდა თანახმად 141.000 მცხოვრებთა შორის 71.000 ქართველი და 43.000 აბხაზი იყო, 6.000 სომეხი და 21.000 სულ სხვადასხვა ეროვნებისა.

§ 2. ჩრდილოეთის ხაზი. დვალეთი

საქ[ართვე]ლოს ჩრდილოეთის სამზღვარი აფხაზეთის შემდგომ სვანეთის ჩრდილოეთის სამზღვრით არის მოხაზული და აქაც ეს ხაზი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს, კავკასიონის მთავარ უღელტეხილის[1] მარადთოვლიანს ქედს რაჭის სამზღვრამდის. შემდეგ საქ[ართვე]ლოს უკიდურესი ჩრდილოეთი თემი რაჭაა და მისი სამზღვრის ხაზიც ჩრდილოეთით იმავე უღელტეხილის[2] მთავარ ქედზე მიდის დვალეთამდე.

დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის[3] ორ, მთავარსა და პირიქითელს,[4] ქედებს შუა არის მოქცეული. ეს ქვეყანა ყოველმხრივ მარადთოვლიან მთებით არის გარშემოზღუდული, ისე-კი, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქედი, ე.ი. პირიქითელი სამხრეთისაზე უფრო მაღალია და ერთ ალაგს გარდა სრულიათ გაუვალია. ეს დვალეთი ამ ადგილას საქ[ართვე]ლოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო.

ძველითგანვე დვალეთი საქ[ართვე]ლოს ეკუთვნოდა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ამ სამზღვარს მე-XII-ე ს[აუკუნ]ითგან მიექცია და პოლიტიკურად მტკიცედ აქ ქართველობამ ფეხი მოიკიდა დავით აღმაშენებელის დროს.[5] შემდეგშიაც, თვით საქ[ართვე]ლოს პოლიტიკურ[ი] დაუძლურების დროსაც, მე-XVIII-ე ს[აუკუნ]ის დამდეგსაც, დვალეთი ქართველთა ხელში იყო და ვახუშტის მოწმობით „მეფეთა ქართველთა... მისცემენ დღემდე ხარკსა.“[6] ვახტანგ მე-VI-ე იყო ის მეფე, რომელმაც საქ[ართვე]ლოს ჩრდილოეთის სამზღვრის ეს მონაპირე კუთხე 1711 წელს ჯარითურთ შემოიარა, შევიდა შიგ, „ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის-ხევი და გარდმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული“. სწორედ მან კვლავინდებულად მტკიცედ „დაიპყრა დვალეთი და დასდვა ხარკნი“.[7]

[8]აღმოსავლეთით მას საზღვრავს „თრუსოს და ჯევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამჯრიდან ჩდილოდ და დასწყდების ჯევის ბოლოს მდინ-

---

1 *უნდა იყოს: „მთაგრეხილი“* [რედ.].

2 *უნდა იყოს: „მთაგრეხილი“* [რედ.].

3 *უნდა იყოს: „მთაგრეხილი“* [რედ.].

4 ავტორი პირიქითის, ანუ გვერდით ქედს „პირიქითელის“ სახელით იხსენიებს [რედ.].

5 ც[ხოვრებ]ა მ[ეფი]სა დ[ავი]თისი, გვ. 301. *იგულისხმება: ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 515. იხ. ქართლის ცხოვრება, 1906. გვ. 301; ჯავახიშვილი, 1913-1914, გვ. 515. ივ. ჯავახიშვილის მიერ მითითებულ წყაროში მეცნიერი დიდ პოლიტიკურ გამარჯვებად აფასებს დავით აღმაშენებლის ამ ქმედებას: „ყივჩაყნი და ოსები შეათანხმა... და ყო შორის მათსა მშვიდობა და სიყუარული... ამას გარდა მეფემ ჩამოართვა მათ „ციხენი დარიალ[ან]ისნი და ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასიის მთისანი“ და ასე „შექმნა გზა მშვიდობისა“ ყივჩაყთა იმ ლაშქრისათვის, რომელიც საქართველოს სამსახურში აპირებდა შემოსვლას... ეს დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო: მარტო ის რადა ღირდა, რომ ჩრდილოეთის ყველა კართა ციხენი ამიერითგან საქართველოს ხელმწიფის ხელში იქმნებოდა?“* [რედ.].

6 გ[ეო]გრაფია, 460. *იხ. ვახუშტი, 1842. გვ. 460.*

7 ვახუშტი, ს[აქართველო]ს ც[ხოვრე]ბა, 118. *იგულისხმება: ვახუშტი, 1913. გვ. 118* [რედ.].

8 *ავტორს ამ აბზაცის დასაწყისში დაუწერია და შემდეგ გადაუშლია: „დვალეთი ს[აქართვე]ლოს ეკუთვნოდა ძველითგანვე. ეს ვახუშტისაც აქვს აღნიშნული (გ[ეო]გრაფია, 427). დვალეთი შემდეგ ხეობებად*

არესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე ვიდრე ხეთაძე ჩერქეზის მთამდე.[1] სამჯრით მზღვრის კავკასი ჯვის ყელიდამ წარსული დასავლეთად, რომელ არს ბრუც საბძელამდე და ზეკარ-კედელა და რაჭა-დიგორ-ბასიან შორისი კავკასნი. ხოლო ჩდილოთ ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი... და დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჭასა და ჟღელეს შორისი, მერმე ბასიანსა და სვანეთს შორისი".[2] ეხლანდელ[ი] რუსულ[ი] საგეოგრაფიო სახელები რომ ვიხ-მაროთ, მაშინ დვალეთის სამზღვარი ასე გვეხატება, ჩრდილოეთით ადაჲ-ხოხითგან (=ქართულ ხოხის მთას) ხაზი მიდის აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ არხონამდის (=ქართულ ახოტს), ხოლო დასავლეთით ამავე ადაჲ-ხოხის მწვერვალითგან ხაზი სამხრეთისაკენ მიდის ქედ-ქედ მწვერვალ ყაზი-ხოხამდის. შემდეგ სამხრეთის სამზღვარი იწყობა ამ ადგილითგან და ქედ-ქედ მიდის: საუხოხზე, ხალიწაზე, ზეკარზე, ბრუტსაბძელზე, ხოხზე, შემდეგ როქზე არხონამდის.

დვალეთი ძველადაც და ეხლაც რამდენიმე ხეობად იყოფებოდა: კასრის ხევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად.[3]

ამ დვალეთზე „გარდავლენან... გზანი დიგორს... და... გზანი ვალაგირსა და ფაიქომსა"[4] **იქ, სადაც კასრის ჯობა „მოვიწვროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა და გლოლისა და ამის შორის კავკასის ჩამოსულის კლდითა", გაკეთებული ყოფილა „კარი კლდისაგან და ქვით-კირით ქმნული, დიდ-კამაროვანი მდინარესა ზედა".** ეს კარი-ბჭე თურმე საქართველოს „მეფე-თაგან ქმნული" ყოფილა **იმ მიზნით, რომ „არა ვიდოდენ თეინიერ მათსა ოვსნი".** ამგვარად ბუნებრივადაც და ხელოვნურადაც „არს ხეობა ესე ფრიად მაგარი და შეუვალი"[5].

ძველად **ამ კუთხეს საქართველოსთან პოლიტიკურს გარდა სარწმუნოებრივი და კულტურუ-ლი კავშირიც ჰქონდა:** ქრისტიანობა აქ ქართველი მქადაგებლების მიერ იყო გავრცელებული და თვით ეკლესიის ნანგრევებს, მაგ. როქის ხეობაში ეხლაც ეტყობა ქართული ასომთავრული წარწერები. ვახუშტის სიტყვით **ამ ქვეყნის მკვიდრნი იყვნენ „სამწყსონი ნიქოზლისანი".[6]** მე-XVIII-ე ს[აუკუნ]ის დამდეგს **ბლომად ყოფილა „ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვითკირისანი", რომელნიც საქართველოს „მეფეთაგან ნაშენნი" ყოფილან.** თვით ხალხში ამ ძეგლების შესახებ თქმულებები ყოფილა და ვახუშტის ცნობით **„უმეტეს იტყვიან... თამარ მეფისაგან"[7] აგებუ-ლადო.[8]**

მე-XVIII-ე ს[საუკუნე]ში **ეს კუთხე ეკონომიურადაც საქართველოსთან ყოფილა დაკავშირე-ბული:** მარილს, ცხვრის ტყავს, სვიას და სხვა სახმარს, რაც-კი თავიანთ ცივ ქვეყანაში ვერ შოულობდენ, თურმე ქართლითგან და რაჭითგან ზიდავდენ.[9]

ბუნებამ დვალეთი მადნით უხვად დააჯილდოვა და იქ ვახუშტის სიტყვით „გამოიღებენ მი-წიდამ ბრპენსა, გვარჯილასა, გოგირდსა".[10] ამასთანავე „ლითონი ბრპენისა მრავალი" ყოფილა. ხოლო „გოგირდი ფრიად კარგი" იყო და ზემოაღნიშნულის გარდა იქ არსებობდა „ლითონიცა ვერცხლისა".[11]

განიყოფებოდა: კასრის ჯვად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად (იქვე, 428). კასრის ჯობა „იწოდების აწცა დვალეთად"-ო ამბობს სახელოვანი ქ[ართვე]ლი გეოგრაფი (იქვე, 444). მისი სიგრძე ყოფილა „ზეკარის კავკასიდამ ვიდრე ჩერქეზამდე" (იქვე)" [რედ.].

1 *აქ და სხვაგან ავტორი „მთის" სახელით იხსენიებს ქედებს. მაგალითად, ჩერქეზეთის მთა ნაცვლად ჩერქეზეთის კავკასიონისა, ხოხის მთას ნაცვლად ხოხის ქედისა და ა.შ.* [რედ.].

2 იქვე, 428-430. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 428-430* [რედ.].

3 ვახუშტი, გ[ეო]გრაფია, 428. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 428* [რედ.].

4 ვახუშტი, გ[ეო]გრაფია, 444. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 444* [რედ.].

5 იქვე, 444. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 444* [რედ.].

6 გ[ეო]გრაფია, 434. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 434* [რედ.].

7 *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში აღნიშნულია: „...ძველადნი არიან ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტ-კირისანი, მეფეთა-გან ნაშენნი, და უმეტეს იტყვიან იგივივე თამარ მეფისაგანსა"* [რედ.].

8 იქვე, 438. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 438* [რედ.].

9 ვახუშტი, გ[ეო[გრაფია, 438. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 438* [რედ.].

10 იქვე, 438. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 438* [რედ.].

11 იქვე, 444. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842 გვ. 444* [რედ.].

ამ ჟამად ამ კუთხეს არდონის ანუ ნარდონის ქვაბ-ხეობა ეწოდება. ეს **არდონის ქვაბა-ხეობა,** რომელიც ყოველმხრივ გარშემოზღუდულია, მაგრამ რომელსაც ჩრდილოეთისაკენ მხოლოდ ერთად-ერთი ზემოაღნიშნულ ხეობაზე მდებარე გასავალი აქვს, სამხრეთით-კი საქართველოსთან მას 11 გარდმოსავალი აერთებს,[1] **მე-XIX-ე საუკუნეშიც თავდაპირველად ტფილისის გუბერნიის სამზღერებში იყო მოქცეული და ამ გუბერნიის მთიულეთის ოლქს[2] ეკუთვნოდა.[3] მისი სივრცე 497 ოთხკუთხ ვერსს[4] არ აღემატება. შემდეგში რუსეთის მთავრობამ დვალეთი ანუ არდონის ქვაბ-ხეობა საქართველოს ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა.**

საუკუნეთა განმავლობაში, როგორც დავინახეთ, **საქ[ართვე]ლოს მთავრობა ამ კუთხეს საქ[ართვე]ლოსთვის ფრიად მნიშვნელოვან კარად სთვლიდა და ამის გამო მას ფხიზელ დარაჯად უდგა, საგანგებოდ არდონის გასავალთან ზღუდეც-კი ააგო,** რომ თუ საჭირო იქმნებოდა მტრის შემოსვლის მხრივ ამ სახიფათო გზის კარის დახშვა ადვილად შესძლებოდა. **ამ კუთხის ბუნებრივ აგებულებასა და თვისებას თუ დავაკვირდებით, ცხადი იქმნება, რომ იგი საქ[ართვე]ლოსთან უფრო მრავალრიცხოვან გზებით, სხვადასხვა მხრით თერთმეტი გარდმოსავლით, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქ[ართვე]ლოსთან არის შედარებით მჭიდროდ დაკა-**

---

[1] *ივ. ჯავახიშვილი კრიტიკულად აფასებდა კვლევისათვის გამოყენებულ წყაროებს და მათში მოცემული ცნობები მექანიკურად არ გადმოჰქონდა თავის ნაშრომებში. ამის მკაფიო დასტურია მის მიერ დამოწმებული ვ. ფილიპოვის ნაშრომი [Филипов, 1872]. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ დვალეთს სამხრეთისაკენ – საქართველოსთან 11 გარდმოსავალი აკავშირებს, თუმცა ვ. ფილიპოვთან მითითებულია მხოლოდ 4 უღელტეხილი, რომელთაგან ავტორი მხოლოდ ორს ასახელებს: «Доступъ въ Горійскій уѣздъ возможенъ по четыремъ тропамъ, изъ которых лучшія проходят:1. Переваломъ Зикари-Фондакъ, изъ верховьевъ Наръ-Дона къ верховью р. Паща, праваго притока р. Б.* ბარტოლდი *Ліахвы, чрезъ ледникъ г. Зикари на аб. высотѣ ... 10,509 футъ. 2. Переваломъ Рокскимъ, въ 15 верстахъ къ сѣверо-востоку отъ предыдущаго, чрезъ г. Резъ-Хохъ на аб. высотѣ ююю 9,940 футъ». 1:100,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების მიხედვით კი კავკასიონის მთავარი ქედის ამ მონაკვეთზე, რომელიც დვალეთის ქედის სახელწოდებითაა ცნობილი, აღნუსხულია 11 უღელტეხილი, რომლებიც მდ. არდონისა და მისი შენაკადების აუზებს (ამჟამად ალანია – რუსეთი) აკავშირებს მდ. რიონ-მტკვრის შენაკადების აუზებთან (საქართველო): მამისონის (ზ.დ. 2820.1 მ; გადასვლის დრო: V-X თვეები), კოზის (3072.6 მ; VI-X), კოდორის (3532.0 მ; VI-IX), ძედო (2994.0 მ; IV-X), ზეკარის (VII-X), ბაკფანდაღი (2925 მ; V-X), კუთხი (2681 მ; V-X), როკის (V-X), სბავსკის (2904.0 მ; V-X), ავსანდაღის (3339.0 მ; VI-X), თრუსოს (3132.3 მ; VI-X)* [რედ.].

[2] *შეცდომითაა მითითებული „მთიულეთის ოლქი“. უნდა იყოს „გორის ოლქი“* [რედ.].

[3] Филипов, Военный обзор Тифлис. Губ. СПБ. 1872 წ. გვ. 7-8. *იგულისხმება:* Филипов, 1872, *გვ. 7-8. ივ. ჯავახიშვილი კრიტიკულად აფასებდა კვლევისათვის გამოყენებულ წყაროებს და მათში მოცემული ცნობები მექანიკურად არ გადმოჰქონდა თავის ნაშრომებში. ამის მკაფიო დასტურია მის მიერ წინადადების ბოლოს დამოწმებული ვ. ფილიპოვის ნაშრომი [*Филипов, 1872*]. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ დვალეთს სამხრეთისაკენ – საქართველოსთან 11 გარდმოსავალი აკავშირებს, თუმცა ვ. ფილიპოვთან მითითებულია მხოლოდ 4 უღელტეხილი, რომელთაგან ავტორი მხოლოდ ორს ასახელებს:* «Доступъ въ Горійскій *уѣздъ возможенъ по четыремъ тропамъ, изъ которых лучшія проходят:1. Переваломъ Зикари-Фондакъ, изъ верховьевъ Наръ-Дона къ верховью р. Паща, праваго притока р. Б. Ліахвы, чрезъ ледникъ г. Зикари на аб. высотѣ ... 10,509 футъ. 2. Переваломъ Рокскимъ, въ 15 верстахъ къ сѣверо-востоку отъ предыдущаго, чрезъ г. Резъ-Хохъ на аб. высотѣ 9,940 футъ». 1:100,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების მიხედვით კი კავკასიონის მთავარი ქედის ამ მონაკვეთზე, რომელიც დვალეთის ქედის სახელწოდებითაა ცნობილი, აღნუსხულია 11 უღელტეხილი, რომლებიც მდ. არდონისა და მისი შენაკადების აუზებს (ამჟამად ალანია – რუსეთი) აკავშირებს მდ. რიონ-მტკვრის შენაკადების აუზებთან (საქართველო): მამისონის (ზ.დ. 2820.1 მ; გადასვლის დრო: V-X თვეები), კოზის (3072.6 მ; VI-X), კოდორის (3532.0 მ; VI-IX), ძედო (2994.0 მ; IV-X), ზეკარის (VII-X), ბაკფანდაღი (2925 მ; V-X), კუთხი (2681 მ; V-X), როკის (V-X), სბავსკის (2904.0 მ; V-X), ავსანდაღის (3339.0 მ; VI-X), თრუსოს (3132.3 მ; VI-X). ივ. ჯავახიშვილის მიერ დამოწმებულ წყაროში [*Филипов, 1872*], მთებით გარშემორტყმული და უტყეო არდონის ხეობა, წარსულში ტიფლისის გუბერნიის გორის ოლქს (ოკრუგს) მიეკუთვნებოდა:* «Самая западная и совершенно безлѣсная Нардонская котловина, составлявшая прежде часть Горскаго округа Тифлисской губерніи и впослѣдствіи вошедшая въ составъ Осетинскаго округа Терской области, простирается съ южной стороны по гребню водораздѣльнаго хребта на 24 версты, а площадь ея занимаеть до 497 кв. версть. Она орошается верховьемъ р. Наръ-Дона и его притоковъ, ниспадающихъ съ крутых скатовъ обоихъ хребтовъ» *როგორც აქვეა აღნიშნული, ამ ტერიტორიის, ანუ დვალეთის ფართობია დაახლოებით 497 კვ. ვერსტი* [რედ.].

[4] *იგულისხმება კვადრატული ვერსი* [რედ.].

ვშირებული. ჩრდილოეთთან-კი მას მხოლოდ ერთი გასავალი აერთებს. ყველა ამ მოსაზრების გამო უფრო **ბუნებრივია** და ხელსაყრელი, რომ **წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილ იქმნას: რუსეთის მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი, ანუ არდონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთს საქ[ართვე]ლოს, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს. მაშინ ამ ადგილას საქ[ართვე]ლოს სახელმწიფო სამზღვარი იმ ხაზს გაჰყვება, რომელიც ხოხის მთას (=ადაꙋ ხოხ) და ახოტის მთას (=არხონ) შუა გაივლება.**

§ 3. ჩრდილოეთის ხაზი. დარიალანი და საქართველოს კარი

დვალეთის აღმოსავლეთით საქ[ართვე]ლოს ჩრდილოეთის სამზღვარი ისევ კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ქედზე მიდის და მხოლოდ დარიალის ხეობასთან იგი ქედს იქით გადადიოდა და უფრო ჩრდილოეთით იყო წაწეული. აქ, დარიალის ხეობაში საქ[ართვე]ლოს მისაბჯენ ციხედ ჰქონდა „გორის ციხე, ფრიად ძველი, ძველებურ წესზე აგებული, კოშკებით შემკული სიმაგრე, რომელიც მდ. თერგის სათავის მიდამოებში, მთებში მდებარეობდა". ამ ციხეს „ფრიად მაგარი მდებარეობა ჰქო[ნ]და"[1]. ეხლანდელ რუკებზე ამგვარი საგეოგრაფიო სახელი არ არის აღნიშნული, ამის გამო ამ ციხის მდებარეობაც გამოურკვეველი რჩება.

მაგრამ უფრო დაწვრილებითი და მკაფიო ცნობები საქ[ართვე]ლოს ჩრდილოეთის სამზღვრის შესახებ ბატონიშვილს ვახუშტსა აქვს. მისი სიტყვით თერგს **„გველეთს ქვეით ერთვის... ჯევი", რომელიც „სამჯრეთ-აღმოსავლეთიდამ გამოსდის გუდამაყრისა[2] და ძურძუკის კავკასსა... ამ ჯევს ქვეით დავიწროვდების ჯევი ესე კლდითა და აქა არს ციხე დავითისა... აღმაშენებელის აღშენებული. ამას ქვეით არს დარიელა", თერგის „აღმოსავლით კიდესა ზედა მეფის მირვანის მიერ" აგებული. მან „შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათჳს, რათა უმისოთ ვერაღარა ვიდოდნენ." ხოლო „ამას ქვეით ნასასახლევი მეფეთა: ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად მუნ დადგიან"-ო.[3]**

სახელოვან ქ[ართვე]ლ გეოგრაფის აღწერილობა იმდენად ნიშანდობლივია, რომ თვითეული მის მიერ დასახელებული ადგილის პოვნა ეხლანდელს 5-ვერსიან რუკაზე ძნელი არ არის. ამაში მისივე შედგენილი რუკაც დიდად გვშველის. **გველეთის ჩრდილოეთით თერგს** მართლაც **სამხრეთ-აღმოსავლეთითგან ერთი პატარა წყალი ერთვის, რომელსაც ქისტურა** (Кистинка) **ეწოდება. აქ** ვიწრო ხეობაში **ყოფილა მეფე დავით აღმაშენებელის მიერ აგებული ციხე. ეს ის ადგილი უნდა იყოს, რომელსაც საქართველოს-სამხედრო გზაზე რუსებმა სად[გური] „Даріальское" დარიალისა უწოდეს.** აქ მართლაც რუკაზე ნათქვამია („Бывшее укрепление") „ციხის ნანგრევიო". ამის ჩრდილოეთით **მირვან მეფის მიერ აგებული ყოფილა დარიალის კარი, რომელიც ოს-ხაზართათვის გზის შესაკრავად იყო განკუთვნილი.** ეს **ის ადგილი უნდა იყოს, სადაც ეხლა სად[გური] ლარსია. ამაზე უფრო ჩრდილოეთით-კი ყოფილა საქ[ართვე]ლოს სამფლობელოს უკანასკნელი ფეხმოსაკიდებელი ადგილი „ნასასახლევი მეფეთა", რომელიც დაახლოებით ეხლანდელს „ჯერახოვსკოე"-ს მიდამოებში უნდა ყოფილიყო.** აქაც, 5-ვერსიან რუკაზეც[4] ნათქვამია ციხის ნანგრევიო (Бывшее укрепленіе) თვით **ბატონიშვილ ვახუშტის**

---

[1] Бурнашевъ, Картина Грузии или описание полит. состояния царствъ Карталинскаго и Кахетинскаго. Тифлисъ, изд. Бегичева 1896. წ. გვ. 9. *იგულისხმება: Бурнашев С.Д.*, 1896) [რედ.].

[2] *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში აღნიშნულია: „სამჯრ-აღმოსავლეთიდამ გამოსდის გუდამაყარისა..."* [რედ.].

[3] გ[ეო]გრაფია 228. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842 წ. გვ. 228* [რედ.].

[4] *პირველი ტოპოგრაფიული აგეგმვები კავკასიაში დაიწყო 1833 წელს, როცა შეიქმნა სამხედრო-ტოპოგრაფიული ასეული (*рота*). 1836 წელს დაიწყო აფხაზეთისა და სვანეთის ტოპოგრაფიული აგეგმვა, 1836-37 წლებში – შავი ზღვის სანაპიროსი. სხვა ტერიტორიის აგეგმვები XX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფ. ფ. შუბერტის (*Ф. Ф. Шуберт*), ი. ა.*

დაწვრილებითს **რუკაზე**[1] (იხ. ბროსსეს გამოც.. №3 karthli au N. Dukour) **„ნასასახლევი მეფეთა“** (Résidence royale) **მართლაც „ჯარიეხის“** (=ეხლანდელს „ჯერახოვსკოე“-ს) **მახლობლად, ცოტა სამხრეთით არის აღნიშნული და სწორედ საქ[ართვე]ლოს სახელმწიფოს ჩრდილოეთის სამზღვარი ამ ადგილის წინ**, დაახლოვებით ჯარიეხითგან **ერთი ვერსით, სამხრეთით მიდიოდა**[2].

ზემოაღნიშნულ მოსამზღვრე ადგილითგან მოყოლებული სამზღვარი მდ. ქისტურას ხეობის გაყოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იხევდა და კვლავ კავკასიონის უღელტეხილის მთავარს ქედს აღწევდა, ხოლო შემდეგ საქ[ართვე]ლოს სამზღვარი მუდამ სწორედ ამ მთავარ უღელტეხილს ქედ-ქედ მიდიოდა იმგვარადვე როგორც მე-XIX-ე ს[აუკუნე]შიაც რუსთა მფლობელობის დროს აღმოსავლეთ საქ[ართვე]ლოს, ტფილისის გუბერნიის სამზღვარი იყო მოხაზული.

---

*სტრელბიცკისა (*И. А. Стрельбицкий*) და ა. ი. მენდეს (*А. И. Менде*) რუკები. 5-ვერსიანი რუკების (მასშტაბი 1:210,000) გამოცემა დაიწყო 1877 წლიდან, რომლებიც იმდროისათვის უზუსტესი რუკები იყო. სწორედ ამ რუკებით სარგებლობდა ივ. ჯავახიშვილი. ისინი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. რუკებზე შემორჩენილია ივ. ჯავახიშვილის მიერ გაკეთებული მინაწერები ქართულ და რუსულ ენებზე. არის გრაფიკული მონიშვნებიც. გამოყენებული სახვითი საშუალებების მრავალფეროვნება იმაზე მიუთითებს, რომ მეცნიერი მათზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა [რედ.].*

[1] იხ. ბროსეს გამოც. N 3, Karthli an N. de Konr. *იგულისხმება: ბროსეს გამოც. Bagrationi, 1842. რუკა N 3, Karthli – იხ. დანართი 1.2* [რედ.].

[2] იხ. იგივე რუკა. *იგულისხმება: ბროსეს გამოც. Bagrationi, 1842. რუკა N 3, Carthli – იხ. დანართი 1.2* [რედ.].

II თავი

აღმოსავლეთის სამზღვარი

§ 1. აღმოსავლეთის ხაზი. ჰერეთი

საქ[ართვე]ლოს ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთს კუთხეს მტკვრამდის ძველ დროს ჰერეთი ეწოდებოდა. ჯერ ამ კუთხის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უნდა იყოს განხილული, რომლის **სამზღვრად ჩრდილო-აღმოსავლეთით დაღესტანის მთები იყო,** სახელდობრ **კავკასიონის მთავარ[ი] უღელტეხილის ალაზნის შემდინარეების გამყოფელი ქედი. ჩრდილოეთით მას არიშის წყალი, სამხრეთით-კი ჯერ ალაზნისა და იორის შესართავი ჰსაზღვრავდა, ხოლო შემდეგ საზღვარი ალაზნის პირას ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა იმ ადგილამდის, საცა გიშის წყალი ალაზანს ერთვის. მერმე მოსამზღვრე ხაზი ამ გიშის წყალს სამხრეთით მდინარის გასწვრივ მისდევდა მის სათავემდე, რომელიც კავკასიონის უღელტეხილში იყო**[1] რომ სამზღვარი გიშის წყლის სამხრეთით იყო, ეს ბურნაშევის 1784 წ. რუკითაც მტკიცდება.[2]

მაგრამ სამხრეთის ამ ხაზის მდებარეობა ჩვენთვის ცხადი მხოლოდ მაშინ გახდება, თუ-კი გიშის წყლის მდებარეობა გამორკვეული გვექნება. თანამედროვე რუსულ რუკებზე ამგვარი მდინარე და ციხე არსად არის აღნიშნული, მაგრამ **ძველ ქართულს გიშს 5-ვერსიან რუკის მდ. კიში** (р. Кишъ) **უდრის, ხოლო გიშის ციხე დაახლოვებით იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ეხლა კიშ-კიშლაღი** (Кишъ-кишлахъ) **არის აღნიშნული** (ქ 9[3], 64[0] 30,- 41[0] 15,). ამ ქამად რუკებზე სახელები ისე სწერია, რომ გიშის წყალი არსად ერთვის ალაზანს, არამედ იგი ე.წ. აგრი-ჩაის შემდინარეა. ცხადია, რომ **ძველ დროს თვით ეხლანდელს აგრი-ჩაისაც იმ ადგილითგან მოყოლებული, სადაც ეხლანდელი გიში** (Кишъ) **ერთვის, გიშის წყალი რქმევია**. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ გიშის წყალი მართლაც ალაზნის შემდინარედ გამოვა და ამ ადგილას საქ[ართვე]ლოს განმსაზღვრელი ხაზის მდებარეობა სრულებით ნათლად წარმოგვიდგება.

საქ[ართვე]ლოს ამ ნაწილს დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. აქეთგან ავრცელებდა ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივს გავლენას დაღესტანზე და შაქზე. მაშინაც-კი, როდესაც საქართველო მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით პოლიტიკურად დასუსტებული იყო, ქ[ართვე]ლ ერს იმოდენი კულტურული ძალა შესწევდა, რომ თავისი განმანათლებელი მოღვაწეობა არ შეუწყვეტია და დაღესტანში ქრისტიანობას ჰფენდა.[4] ისტორიას შენახული აქვს ცნობა, რომ მე-XIII-ე ს[აუკუნ]ის დასასრულს გამოჩენილმა ქ[ართვე]ლმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ სალოსმა ბელაქნითგან თავისი ქადაგება ლეკეთში[ც]-კი გადაიტანა, „ნათესავი ლეკთა წარმათობისაგან მოაქცივნა“ და გააქრისტიანა.[5] წერილობითი მოწმობის გარდა ქ[ართვე]ლთა დაღესტანში განმანათლებელ მოღვაწეობის ძეგლებიც, ეკლესიის ნანგრევების სახით იქაურ ეკლესიის ნანგრევის ქვა არის შენახული და თვით ხუნზახშიაც-კი იყო ქ[ართუ]ლ[ი] ასომთავრული წარწერით შემკული.[6]

---

[1] ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 309. დავახუშტი. გ[ეო]გრაფია 304. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1914. გვ. 309; ვახუშტი ბატონიშვილი, 1842. გვ. 304* [რედ.].

[2] იხ. რუკა. *იგულისხმება: აღნიშნული რუკა დაბეჭდილია ს. ბურნაშევის 1901 წლის ნაშრომში* [Бурнашев, 1901]. *იხ. დანართი 1.4* [რედ.].

[3] *Ж9 მიანიშნებს 5-ვერსიანი რუკის ფურცელზე* – იხ. დანართი 1.3 [რედ.].

[4] *ავტორს ჯერ დაუწერია სიტყვა „ავრცელებდა“, რომელიც შემდეგ გადაუხაზავს და დაუწერია „ჰფენდა“. ნაბეჭდში კი შემდეგნაირი ფორმა გვხვდება: „ქრისტიანობა გაუვრცელებია“* [რედ.].

[5] ჟამთაღ[მწერელი] * 889, გვ. 731. *იგულისხმება: ქართლის ცხოვრება, ხელნაწერი გვ. 889; ქართლის ცხოვრება, 1906. გვ. 731* [რედ.].

[6] იხ. ე. თაყაიშვილი, Арх. экскурсий. *იგულისხმება:* Такаишвили, 1905. стр. *63* [რედ.].

ვითარცა მოსამზღვრე კუთხეს საქ[ართვე]ლოს ამ ნაწილსაც ბედმა მრავალჯერ მიაყენა ზიანი და არა ერთხელ გაანადგურა. პირველად ჯერ კიდევ მე-XIII-ე ს[აუკუნე]ში მონღოლთა ბატონობის წყალობით სხვათა შორის ჰერეთიც ძალზე დაზიანდა.[1] მაგრამ ამ ქვეყანას განსაკუთრებით შაჰაბაზმა მიაქცია თავისი მსახვრელი ყურადღება და ჯერ ისე ააოხრა და გააუკაცრიელა, რომ მცხოვრებნი აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა, ხოლო შემდეგ მათ მაგიერ თავის ერთგულ მაჰმადიან ტომს მისცა. მეტადრე მე-XVI1-ე ს[აუკუნ]ითგან მოყოლებული სპარსეთის შაჰების წყალობით და დაღესტანელთა შემოსევის და დაშენების გამო, მაჰმადიანობამ ქრისტიანობას დაძლევა დაიწყო და ქ[ართვე]ლ[ი] მოსახლეობაც შემცირდა. ძველი საგეოგრაფო სახელების მაგიერ ახალი გაჩნდა. გარეშე ძალის გავლენით ეს კუთხე სამ ერთეულად გაიყო. ერთს დაერქვა „ალის-სასულთნო", მეორეს „ელისენი", მესამეს „ჭარი". უკანაკნელი სახელი ფიფინეთის ხეობას დაერქვა. ვახუშტის ცნობით ეს ხეობა არჩილ მეფის „შემდგომად იწოდა ჭარი".[2] რუსულ 5-ვერსიან რუკაზე ფიფინეთის მაგიერ მთა ფიფანი (დიდი და პატარა – М. Пипанъ, Б. Пипанъ) არის აღნიშნული, ჭარის მაგიერ-კი „ჯარი"-ა (Джары) დაბეჭდილი. მეფე ლევანმა ვახუშტის სიტყვით აქ თურმე ლეკები დაასახლა და ყოველწლიურად გადასახადად მხოლოდ ის მოვალეობა დააკისრა, „რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიდამ ყინული".[3] მაშასადამე ფიფინეთის ხეობა ანუ ჭარი დაღესტნის მოსამზღვრე ნაწილია. ელისენად იწოდებოდა ქვეყანა ბელაქნის „წყალსა და გიშის წყალს შორისი ალაზნამდე და კავკასამდე".[4] მაგრამ ნამდვილად-კი ელისენსა და კავკასიონის ქედსშუა, შუაგულში მაინც, ჭარი იდვა. ამიტომ ცხადია, რომ ამ ადგილას ელისენი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით კავკასიონის ქედს ვერ აღწევდა.

ალისულთნის სამფლობელოს სამზღვრები ვახუშტს გარკვევით არა აქვს აღნიშნული.[5] ანტონ კათალიკოზს თავის 1757 წ, დაწერილს თხზულებაში ნათქვამი აქვს ალისულტანი თავდაპირველად „კახის სულტნად სახელდებული" ყოფილა.[6] მაგრამ სამზღვრები არც მას, აქვს დასახელებული.

ე.წ. თათრებისა და დაღესტნითგან ლეკების ჩამოსახლებამ საქ[ართვე]ლოს მტრებს ჩვენს ქვეყანაში ამ მხრითგან შემოსევა გაუადვილა, რათგან სარწმუნოებრივი ერთობის წყალობით სპარსეთის შაჰის ჯარს ადვილად ემხრობოდენ ხოლმე. **საქართველოს მეფეებსა და იმ დროინდელს მოღვაწეებს კარგად ესმოდათ ამ კუთხის უაღრესი მნიშვნელობა, რომ რაკი „არს ქვეყანა ესე ძნელად შესასვლელი, ტყიანი, მრავალ-წყლიანი და მაგარი",**[7] ამიტომ საქ[ართვე]ლოსთვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით საუცხოვო საფარს წარმოადგენდა. თუმცა ლეკები, რომელნიც ჭარში იყვნენ ჩასახლებულნი დრო-გამოშვებით არამც თუ ურჩობდნენ, არამედ **ცარცვაგლეჯასაც-კი მისდევდნენ კახეთში,** მაგრამ მაინც ერეკლე მეფის დროს, რუსეთთან 1783 წ. **ხელშეკრულობის დადების დროსაც ეს კუთხე, როგორც საქართველოში მყოფ რუსეთის იმდროინდელ ელჩის ბურნაშევის რუკაზეც**[8] **აღნიშნულია, საქართველოს სამზღვრებში შედიოდა და კახეთის ნაწილად ითვლებოდა.**

როდესაც რუსეთის მთავრობამ აღმ[ოსავლეთ] საქ[ართვე]ლოს დამოუკიდებლობა მოსპო და შემოიერთა, ჭარი და ბელაქნის ოლქი, როგორც მას რუსები უწოდებდენ, ანუ საინგილო,

---

1 ჟამთაღ[მწერელი] * 875, გვ. 719. *იგულისხმება: ქართლის ცხოვრება, ხელნაწერი, გვ. 875; ქართლის ცხოვრება, 1906 გვ. 719* [რედ.].

2 გ[ეო]გრაფია 306. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 306* [რედ.].

3 იქვე, 306. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 306* [რედ.].

4 ვახუშტი, გ[ეო]გრაფია 306. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 306* [რედ.].

5 გ[ეო]გრაფია 304. შეად. 306. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 304. შეად. 306* [რედ.].

6 იხ. მ. ჯანაშვილის საინგილო. ძველი საქართველო, II, 14. *იგულისხმება: ჯანაშვილი, 1910. გვ. 14* [რედ.].

7 კ[ათალიკო]ზი ანტონი, იხ. ჯანაშვილის საინგილოში, გვ. 15. *იგულისხმება: კათალიკოზი ანტონი, იხ. ჯანაშვილი, 1910. გვ. 15* [რედ.].

8 იხ. რუკა. *იგულისხმება: აღნიშნული რუკა დაბეჭდილია ს. ბურნაშევის 1901 წლის ნაშრომში [*Бурнашев, 1901]. *იხ. დანართი 1.4* [რედ.].

როგორც ქ[ართვე]ლები ეძახიან, ამ დროს არ დაუპყრიათ, არამედ მხოლოდ 1803 წ. დაიდო საინგილომ ხარკი და მორჩილება განაცხადა, საბოლოოდ-კი 1830 წ. იყო შემოერთებული.

1886 წელს ზაქათალის ოლქში სულ 74449 მცხოვრები ითვლებოდა, აქეთგან 40225 ლეკი იყო, 21090 მუღანლო[1] და 12430 ქართველი, 521 სომეხი.[2]

1916 წელს ზაქათალის ოლქში მცხოვრებთა საერთო რიცხვი 76000 იყო. აქეთგან 19000 ქ[ართვე]ლი და 45000 ლეკი, ხოლო თურქები, სპარსელები და ქურთები 12000 ითვლებოდა.

---

[1] *მ. ჯანაშვილს ორი სახელით აქვს მითითებული: „თათარი (მუღანლო)“* [რედ.].

[2] ჯანაშვილი, საინგილო, 6. *იგულისხმება: ჯანაშვილი, 1910. გვ. 6. მ. ჯანაშვილს დასახელებული აქვს აგრეთვე სხვა ეროვნებების წარმოადგენლები: 167 რუსი, 8 პოლონელი, 8 ურია. ამგვარად, ჯამში სულ 74449 მცხოვრები. ამის შემდე 1 წინადადება დაუწერია და შემდეგ გადაუხაზავს:* „1897 წელს ზაქათალას ოლქში ქართული დედაენად 12394 სულს მიაჩნდა (იქვე, 20) [რედ.].

III თავი

სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი

§ 1. ჰერეთი, ქიზიყი, ყარაია[1]

ზაქათალის ოლქის შემდგომ საქართველოს უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვარი იწყობა. ძველ დროს მთელი ეს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილიც მტკვრამდე და დებედას წყალთ-გამყოფელ მთებამდე ჰერეთის ნაწილად ითვლებოდა. მისი უკიდურესი აღმოსავლეთი კუთხე, რომელიც ზაქათალის ოლქს ზედ ეკვრის კამბეჩოანის ანუ ქიზიყის სახელით არის ცნობილი. **ძველი ქიზიყის,** რომელიც ეხლა სიღნაღის მაზრად იწოდება, **სამზღვრად იყო „სამ]რით უფადარი და წინამინდორი ხორანთამდე“.**[2] **წინამინდორად იწოდებოდა ის ველი,** რომელიც სამხრეთით იორისა და ალაზნის შესართავთან თავდებოდა.[3] [იგი][4] **დაახლოვებით ეხლანდელს ელდარის მინდორს უდრის, უფადარად-კი,** დაახლოვებით ის სამხრეთით მდებარე **ადგილი იყო, რომელსაც ეხლა ჯეირან-ჩელი ეწოდება.** მაშასადამე **სამზღვარი იწყობა ჯერ იქ, სადაც გიში ალაზანს ერთვის, შემდეგ სამხეთისაკენ მიდის ალაზნის გასწვრივ, მისი და იორის შესართავამდე. აქეთგან დაწყობილი სამზღვარი პირდაპირ მტკვარზე გადადიოდა**[5] **და მერმე** საქ[ართვე]ლოს სამხრეთის **სამზღვარი ამ მდინარის პირს დასავლეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით მისდევდა დაახლოვებით იმ ადგილამდის, სადაც მდ. აღსტაფურა მტკვარს ერთვის**. ძველად საქ[ართვე]ლოს ეს სამხრეთის კუთხეც, როგორც აღნიშნული იყო, ჰერეთის ნაწილად ითვლებოდა.

საქართველოს სამხრეთის მოსამზღვრე ქვეყნის აღმოსავლეთს კიდეს იმ ადგილითგან მოყოლებული, **სადაც სამზღვრის ხაზი იორ-ალაზნის შესართავითგან მტკვარზე გადმოდიოდა ყარაიამდე ჯეირან-ჩუღურეთის ველის სახელი ერქვა. შემდეგ-კი ყარაია იწყობოდა.** ამ ყარაიას ველის მდებარეობის შესახებ ვახუშტს ნათქვამი აქვს, რომ მთა „იალღუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი,[6] ხოლო აწ ნაგები“-ო. ამ ნაგებისა და მაშასადამე იალღუჯის „აღმოსავლით[7] და სამხრით არის ველი დიდი ყარაიისა“.[8] აი სწორედ ეს ველიც ძველად ჰერეთს ეკუთვნოდა. შემდეგში-კი, და უკვე ვახუშტის დროს, მას თურმე „ყარაიას“ უწოდებდენ.[9] ეს სახელი მას ეხლაც შერჩენილი აქვს.

ჰერეთის ამ ნაწილს სამზღვრად ჰქონდა ჩრდილო-დასავლეთით მთა გარეჯისა მწარე-წყლამდე, ხოლო სამხრეთით მწარე წყალი,[10] ე.ი. დაახლოვებით იმ ადგილამდის, სადაც აღსტაფურას წყლის შესართავია.

ეს კუთხე ოდესღაც ქ[ართუ]ლი კულტურის დიდებული კერა იყო.[11] საკმარისია ადამიანმა დაათვალიეროს ქ[ართუ]ლი ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლი და ქ[ართუ]ლი მხატვრობის მრავალი განმაცვიფრებელი ნაწარმოები, რომელნიც დავით გარესჯის უდაბნოში

---

[1] *სასვენი ნიშნები დედანში ასეა დასმული, მაგრამ ნაბეჭდში შემდეგნაირადაა: „ჰერეთი: ქიზიყი, ყარაია.“* [რედ.].

[2] ვახუშტი, გ[ეო]გრაფია 310. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 310; ციტირება მთლად ზუსტი არაა. ამ გამოცემაში აღნიშნულია: „სამხრით, უფადარი და წინა-მინდორი, ხორანთა-იორამდე“* [რედ.].

[3] იხ. ვახუშტის რუკა № 4. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. რუკა N 4, Cakhéthi,* [რედ.].

[4] *დედანში არაა, ნაბეჭდში კი* [რედ.].

[5] ვახუშტი, გ[ეო]გრაფია 310-312 და ბურნაშევის 1784 წ. რუკა. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 310-312;* Бурнашев С.Н., 1901, *რუკა* [რედ.].

[6] *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: „რუს-თავი“* [რედ.].

[7] *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: „აღმოსავლათ“* [რედ.].

[8] ვახუშტი, გ[ეო]გრაფია 180. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 180* [რედ.].

[9] იქვე, 182. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 182* [რედ.].

[10] იქვე, 180. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 180* [რედ.].

[11] იქვე, 182. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 182* [რედ.].

შენახული [არიან][1] და რვა საუკუნის განმავლობაში ყოველგვარ მტრის გამანადგურებელ შემოსევას გადურჩენ, რომ ნათლად წარმოიდგინოს ადამიანმა რამდენად დაწინაურებული ქ[ართუ]ლი კულტურული ცხოვრების ასპარეზი იყო ეს კუთხე.

სამხედრო ბედის ულმობელმა ტრიალმა მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით ეს ქვეყანაც გააუკაცრიელა და უდაბნოდ აქცია. შემდეგში სპარსთა შაჰების გეგმისაებრ აქ უბინადრო ელი დემურჩი-ასანლუ შემოვიდა, რომელიც თარაქამათა ტომს ეკუთვნოდა და მესაქონლეობას მისდევდა.[2]

ჰერეთის იმ ნაწილს, რომელიც ბოლოს დროს ყარაიად იწოდა, დასავლეთ-სამხრეთით უკვე **ქვემო ქართლი** ეკვროდა და ამ ადგილითგან მოყოლებული სწორედ ეს ქვეყანა იყო იმავე დროს **საქართველოს აღმოსავლეთ-სამხრეთის სამზღვარი და მონაპირე კუთხე**.

§ 2. საქართველოს სახელმწიფოებრივ სამზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ხაზი

ქვემო ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი და სამზღვარი იმავე დროს გარდაბანის საერისთავოს ნაწილი და სამზღვარი იყო და მას ჰსაზღვრავდა „აღმოსავლეთით მტკვარი და ხუნანის გამართებით ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა“.[3] მაშასადამე **ქვემო-ქართლის ანუ ეხლანდელი ბორჩალოს მაზრის აღმოსავლეთის სამზღვრად ჯერ მდ. მტკვარია დაახლოვებით ყიზყალას ციხის ნანგრევების ცოტა აღმოსავლეთ-სამხრეთით,** ხოლო **შემდეგ ქურდ-ვაჭრის ხეობის ქედი, რომელიც დებედას აღმოსავლეთით მდებარეობს და დებედას შემდინარეების გამყოფელი მთა არის.**

მაგრამ საქ[ართვე]ლოს სახელმწიფოებრივი სამზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით საქ[ართვე]ლოს პოლიტიკურ სისუსტის დროსაც, თუნდა მე-XVIII-ე [საუკუნე]შიც, იქ-კი არ თავდებოდა, სადაც ქვემოქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვარი იყო, არამედ გაცილებით უფრო შორს მიდიოდა. თუნდაც, რომ განჯისა და ერევნის სახანოებს თავი დავანებოთ, რომელიც აღმოს[ავლეთ] საქ[ართვე]ლოს მეფე ერეკლეს ყმად ნაფიცნი იყვნენ და ყოველწლიურად ნებაყოფლობით ხარკს იხდიდნენ და რომელთა მმართველები ხანებად მეფის მიერ იყვნენ ხოლმე დამტკიცებულნი,[4] ყაზახი, შამშადილი და შამქორი ხომ საქ[ართველო]სთან უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებულნი და მუდამ ქ[ართვე]ლთა ერთგულობას იჩენდენ. ამ ორთავე ქვეყნითგან ომიანობის დროს საქ[ართვე]ლოს საუკეთესო, 6000 კაცისაგან შემდგარი, ცხენოსანი ჯარი მოსდიოდა ხოლმე.[5] განსაკუთრებით საყურადღებოა ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომ ეს მაჰმადიანი ხანები საქ[ართვე]ლოსთან უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი და ქ[ართვე]ლობის უფრო ერთგულნი ყოფილან, ვიდრე თვით ერთმორწმუნე და თანამონათესავე სპარსეთის შაჰებისა. ამ მხრივ მეტად საგულისხმიეროა, რომ ერევნისა და ყარაბაღის ხანები

---

1 *დედანში არაა, ნაბეჭდში კი* [რედ.].

2 ვახუშტი, გ[ეო]გრაფია 180. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 182* [რედ.].

3 ვახუშტი, გ[ეო]გრაფია 178. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 178* [რედ.].

4 Бурнашевъ, Картина ete. 12, 13, 14. და Инструксия из Госуд. Коллегии, Коваленскому 1799 წ. А.К А.Г.К. წ. I, 94 $ 7. *იგულისხმება:* Бурнашевъ, 1896. стр. *12, 13,14; Записака с.с. Коваленскаго..., 1866. стр. 94, § 7* [რედ.].

5 იქვე, 6, 16. *იგულისხმება:* Бурнашевъ, 1896. стр. *6, 16; წყაროში არასწორადაა მითითებული: 6000 ათასი, ანუ 6 მლნ ადამიანი (მუსულმანი, ყაზახი და შამშადილი):* „Благородные служать всѣ на конѣ, равно и всѣ имущіе, воиновъ всякаго состоянія, въ бытность нашу собиралось до 6000 тысю Магометанъ, Казаховъ и Шамшадыль, лучшихъ военныхъ людей...“ *(გვ. 6)* [რედ.].

სპარსეთის შაჰს აღამამედხანს-კი არ მიემხრენ, არამედ ერეკლე მეფესთან საგანგებოდ შაჰის საწინააღმდეგოდ ხელშეკრულება დასდეს და ფულიც მიაშველეს ამ საქმის განსახორციელებ-ლად[1]. ამიტომაც არის, რომ **ბურნაშევის მიერ 1784 წ-ს შედგენილს საქ[ართვე]ლოს რუკაზე[2] ყაზახი, შამშადილი, შამქორი განჯითურთ ქ[ართ]ლის სამზღვრებივით წითელი ფერით არის შემოხაზული.**

---

[1] Записка с.с. Коваленскаго о Грузии А. К. А. Г. К. წ. I, გვ. 118. *იგულისხმება:* ..., Записка с.с. Коваленскаго..., 1866. стр. *118;* Картина Грузии или Описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, сделанное, пребывающим при его высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером Бурнашевым в Тифлисе, в 1786 г.. - Тифлис: К.Н. Бегичев, 1896 (Тип. И.А. Мартиросянца) [რედ.].

[2] იხ. რუკა. *იგულისხმება: აღნიშნული რუკა დაბეჭდილია ს. ბურნაშევის 1901 წლის ნაშრომში [*Бурнашев, 1901]. *იხ. დანართი 1.4* [რედ.].

IV თავი

სამხრეთის საზღვარი ქვემო ქართლი. გამყოფელი ხაზი საქართველოსა და სომხეთს შორის

ქვემო ქართლის სამხრეთის სანაპირო ხაზი იმავე დროს ქართველთა და სომეხთა მიწაწყლისა და სამფლობელოს გამყოფელი სამზღვარი იყო ძველ დროითგანვე მოყოლებული.

§ 1. ისტორიული მიმოხილვა. ბრძოლა ამ საზღვრის გამო II ს[აუკუნიდან] ქ[რისტეს] წ[ელთაღრიცხვამდე] – XI ს[აუკუნემდე] ქ[რისტეს] შ[ემდეგ]

ჯერ კიდევ ქრისტეს წინათ საქართველო და სომხეთი მეზობლად ყოფილან. მაგრამ თავდაპირველად სომხეთს მცირე მიწაწყალი ეკავა და მხოლოდ მას შემდგომ რაც ანტიოქოს დიდის სარდლებმა არტაქსიმ და ზარიადრმა ცალ-ცალკე ორი სომეხთა სამეფო დაარსეს, თვით სომხეთის ვითარცა პოლიტიკურ ერთეულის სამზღვრებიც გაფართოვდა.[1] ეს ზრდა მათი მოსახლეობის ბუნებრივ განვითარებისა და გამრავლების შედეგი არა ყოფილა.[2] სხვათა შორის **სტრაბონის ცნობით** სომხეთის მეფეებმა ქართველთა ტომებს, **იბერებს** წაართვეს **პარიადრის სანახები, რომელიც ტაოსა და სპერს შეიცავდა, ხორზენი და გუგარეთი** (გუგარენი), **ხოლო ხალიბებსა და მოსინიკებს – კარინი და დერქსინი.**[3] ეს ამბავი 191 წ[ელს] ქ[რისტეს] წ[ელთაღრიცხვის] შემდეგ მომხდარა და **სომეხთა პირველი იერიშია ქართველთა მიწა-წყლის დასაპყრობად.**[4] ამ დაპყრობილი ქვეყნების ბედი ამით სამუდამოდ და საბოლოოდ არ გადაწყვეტილა.

---

[1] ჩემი ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], I, 59. Адонцъ, Арм. 395. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 59;* Адонцъ, *1908.* стр. *395* [რედ.].

[2] *აქ, დედანში, გადახაზულია შემდეგი წინადადება: „არამედ ომისა და დაპყრობის საშუალებით მოხერხდა: თავიანთ მეზობლებს არტაქსმა და ზარიადრმა ქვეყნები წაართვეს და დაისაკუთრეს“. დედანი, ფ. 61* [რედ.].

[3] იქვე და იქვე. იხ. Адонцъ, *1908.* стр. *395; ივ. ჯავახიშვილის ამ სიტყვების დასამოწმებლად მოგვყავს ციტატა ნ. ადონცის აღნიშნული ნაშრომიდან:* «Один из рѣшительных моментовъ формаціи ея схваченъ исторіей. Онъ относится ко времени Зарiадра и Артаксія и выразился въ выработкѣ единаго языка, доступнаго всему народу *(იმოწმებს სტრაბონს). При нихъ именно, по доставѣрному свидѣтельству, Арменія*, прежде малая, разрослась за счёт сосѣдныхъ земель: у мидійцев отбила она Каспіану, Савпиту, Басоропеду, у иберовъ – предгорья Парiадра (Тайкъ и Сперъ), Хорзену, Гогарену, у халибов и мосинойковъ – Карсниту и Дерксену, у катаоновъ – Акилисену и, наконец, у сирійцевъ – Тамориту» *(იმოწმებს სტრაბონს)* [რედ.].

[4] *ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ [1913-1914] უფრო დეტალურად აღწერს ამ ისტორიულ ცნობებს: „იბერიის აღმოსავლეთის სამზღვარი პლინიუსს უფრო ნიშანდობლივ აქვს აღნიშნული: მდინარე მტკვრიდან მოყოლებული (ავტორი კასპიის ზღვიდან იწყობს) მთელ მინდვრებზე ალბანელები მოსახლეობენ; შემდეგ კი იბერნი; ალბანელებსა და იბერებს მდინარე ალაზანი ჰყოფს, რომელიც კავკასიის მთებიდან ჩამოდის და მდინარე მტკვარს ერთვის“ო, მოგვითხრობს პლინიუსი (... იქ შეცდომით სწერია „ოკაზანე“ „ალაზან“ეს მაგიერ), მაშასადამე იბერიისა და ალბანიის აღმოსავლეთის სამზღვრად მდ. ალაზანი და კამბეჩოვანი ყოფილა. სამხრეთ-დასავლეთით სომხეთი იდო; სამხრეთის სამზღვარი არც სტრაბონს, არც პლინიუსს გარკვეულად აღნიშნული არა აქვთ, მხოლოდ პტოლ-*

სტრაბონის გუგარენა ანუ გუგარეთი ეხლანდელ[ი] ბორჩალოს მაზრის სამხრეთის ნაწილს უდრიდა, რომელიც დაახლოვებით ჭოჭკანისა, ბოლნის-დბანისის, ლოქის ხეობათა, ლორესა, ტაშირს, აბოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს შეიცავდა. ზოგჯერ გუგარეთს პოლიტიკურ მიზეზების გამო უფრო ვრცელი მნიშვნელობა ენიჭებოდა და უფრო ფართოდაც იყო ხოლმე შემოხაზული. ამ ქვეყნის წინანდელი სახელის კვალი შერჩენილა ეხლანდელ საგეოგრაფიო სახელ გუჯარეთში.[1] ქ[ართუ]ლი საგეოგრაფიო ტერმინთლოგიით ეს გუგარეთი უფრო ხშირად ქვემოქართლად იწოდებოდა, ხოლო რუსთა ბატონობის შემდგომ ბორჩალოს მაზრის სახელით არის ცნობილი.[2]

ტოპოგრაფიულად ეს გუგარეთი ანუ ქვემოქართლი სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით თვით ბუნების მიერ არის გარემოზღუდული: სამხრეთით მას უდარაჯებენ მაღალი (8000 ფ[უტი]) ციცაბო, ორ ადგილს გარდა გარდაუვალი, ტყით მოცული ერევნის მთები, რომელთაც რუსული საგეოგრაფიო ტერმინოლოგიით ბამბაკის ქედი ეწოდება. ამ მთების გასწვრივ ჩრდილოეთით მდებარეობენ ე.წ. სომხეთის მთები, რომელიც აგრეთვე მაღალია ისე, რომ ზოგიერთი მწვერვალი 8000 ფ[უტამ]დე აღწევს. **მთელი ეს ქვეყანა გეოგრაფიულად ისე მჭიდროდ არის საქართველოსთან დაკავშირებული, რომ როგორც თვით ქვეყანას, ისევე ყველა იქაურ მდინარეებსა და რასაკვირველია გზებსაც ჩრდილოეთისაკენ, მტკვრისა და ტფილისისაკენ აქვთ პირი მიბრუნებული.**

სტრაბონის დროსაც I ს[აუკუნ]ის დასასრულს ქ[რისტეს] წ[ელთაღრიცვამდე] და I ს[აუკუნ]ის დამდეგს ქ[რისტეს] შ[ემდეგ] ეს კუთხე ჯერ კიდევ სომეხთა ხელში ყოფილა. მაგრამ უკვე 35 წ-ითგან ქ[რისტეს] შ[ემდეგ] მოყოლებული, როდესაც ტაციტის სიტყვით იბერიის მეფეები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ სომხეთში შემოჭრილ სპარსელებს ებრძოდნენ, და როცა თვით სომხეთშიც-კი ქართველი უფლისწული გამეფდა, ცხადია მდგომარეობა თვალსაჩინოდ უნდა შეცვლილიყო.

შესაძლებელია ამავე დროს ქართველებს სომეხთა მიერ მითვისებული გუგარეთიც უკან დაებრუნებინათ.[3] ამას ის მეგობრული განწყობილებაც გვაფიქრებინებს, რომელიც აღმოს[ავლეთ] საქ[ართვე]ლოს მეფეებს რომის კეისრებთან ჰქონდათ.[4]

პლინიუსის სიტყვებითაც მტკიცდება, რომ თეზი და თრიალეთი მაინც, რომელიც აგრედვე ფართოდ ნაგულისხმევ გუგარეთის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, პირველ

ემაღოსს 67" და 44° 40, შორის აქვს ნაჩვენები. სამხრეთ-დასავლეთით მესხების ქვეყანა, კოლხიდის ერთი ნაწილი და მცირე სომხეთი იყო. სტრაბონი ამბობს, მტკვარს სათავე სომხეთში აქვსო ... იქნებ ეს ადგილი სამცხის იმ ნაწილს ეკუთვნოდეს, რომელიც სტრაბონის სიტყვით სომხებმა დაიპყრეს. იგივე ავტორი მოგვითხრობს, რომ იბერიას თავდაპირველად გაცილებით უფრო მეტი ადგილი სჭერია: პარიადრის მთები, ხორძინა და გუგარკიც მას ჰქონებია. მერე ეს სამივე მაზრა იბერებს სომხებმა წაართვეს და თავიანთი ენა გაავრცელესო [იმოწმებს წყაროს - რედ.]. .... გუგარკი იბერებს თავიანთთვის ეკუთვნოდა. „გუგარქი უტის მახლობლადა დევს და ცხრა ხეობას შეიცავს, რომელნიც ქართველებს უჭირავთ..." თითოეულ ამ ცნობას მითითებული აქვს წყარო [რედ.].

[1] Адонцъ, 425, შენ[იშვნა]. *იგულისხმება:* Адонцъ, 1908 [რედ.].

[2] *ამას მოსდევს აბზაცი, რომელიც გადაშლილია: „ჯერ კიდევ სტრაბონის დროს, პირველ საუკუნის დასასრულს ქ[რისტეს] წ[ელთაღრიცხვით] და I ს[საუკუნის] დამდეგს ქ[რისტეს] შ[ემდეგ], ეს კუთხე სომეხთა ხელში ყოფილა. მაგრამ საფიქრებელია, რომ უკვე 35 წ[ლი]თგან მოყოლებული ქ[რისტეს] შ[ემდეგ], როდესაც ტაციტის სიტყვით იბერიის მეფე სომხეთს შეესივნენ, შემოჭრილ სპარსელებს გაუმკლავდნენ და ქართველთა უფლისწულმა სომხეთის სამეფო ტახტი დაიპყრა, მდგომარეობა უნდა შეცვლილ[იყო]"* [რედ.].

[3] ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], I, 173-177. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. I73-177. [რედ.].*

[4] იქვე, 178-9. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 178-179; ამ ცნობების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციაა მოცემული „ქართველი ერის ისტორიაში": „...კეისარმა სომხეთის ტახტის მეფედ წინდაწინვე იბერიის მეფის ფარსმანის ძმა მიჰრდატი დანიშნა... იბერნი დიდი ჯარითურთ სომხეთს შეესივნენ და ქალაქი არტაშტი (არტაქსატა) დაიპყრეს..." ფარსმანმა „... რომაელების ჯარი ციხე-სიმაგრეების ასაღებად მიუჩინა, ხოლო იბერების მხედრობა ბარს მოეფინა; ქართველებმა სარდალი დიმონაკტი დაამარცხეს თუ არა, სომხებს წინაარმდეგობა აღარ გაუწევიათ"* [რედ.].

საუკუნეში ქ[რისტეს] შ[ემდეგ] უკვე იბერთ ჰკუთნებიათ.[1] მაგრამ გუგარეთის ქართველთა მიერ უკან დაბრუნების შესახებ გარკვეული პირდაპირი ცნობები მე-IV-ე ს[აუკუნ]ითგან ქ[რისტეს] შ[ემდეგ] მოიპოვება. 374 წ. სომეხთა მეფე პაპი მოკლულ იქმნა და ამის შემდგომ სომეხ არ-შაკუნიანთა სამეფო შეუჩერებლივ ეცემოდა. ამ სამეფოს პოლიტიკურს დაუძლურებას ხელი შეუწყო იმ ქიშპობამ და ბრძოლამ, რომელიც ამ ქვეყანაში უფლისწულთა არშაკისა და ხოს-როს შორის ატყდა სომხეთის სამეფო ტახტის გამო. ეს ცილობა 387 წ. სომხეთის ორ სამეფოდ გაყოფით დამთავრდა და სწორედ ამ დროს **ქართველებსაც სომხებისაგან თავიანთი ქვეყნები გუგარეთი, გარდაბანი და კარწახი უკან დაუბრუნებიათ.**[2]

მალე თვით სომეხთა ამ სამეფოების დამოუკიდებელი არსებობაც მოისპო და სომხეთი სპარსეთისა და ბიზანტიას შორის იქმნა განაწილებული: სომეხთა ამგვარმა დაუძლურებამ ზემოჩამოთვლილი ქვეყნების ბედი და საქართველოსთან შეერთება ხანგრძლივობით განამტკი-ცა.[3] იმ ხნის განმავლობაში, როდესაც გუგარეთი სომეხთა ხელში იყო, ამ კუთხეში ქ[ართუ]ლ მოსახლეობას სომხობაც შეერია და ქართულის გარდა სომხურიც გავრცელდა.[4]

მე-V-ე საუკ[უნე]შიაც მაგ. ვახტანგ გორგასალის მეფობაში გუგარეთი წინანდებურად იბე-რიის სამეფოს საზღვრებში შედიოდა.[5] მაგრამ **მარტო პოლიტიკურად კი არა, არამედ საეკლე-სიო წესწყობილების მხრივაც** იგი საქართველოს განუყოფელს ნაწილს შეადგენდა: როგორც მე-VI-ე საუკ[უნ]ის დამდეგს მომხდარ საეკლესიო კრების მონაწილე მღვდელმთავართა სიითგან სჩანს, ბოლნისის, ცურტავისა და რუსთავის საეფისკოპოსოები მცხეთისა კათალიკოზს ექვემდე-ბარებოდენ.[6]

გუგარეთის საქართველოსთან დაკავშირების სიმტკიცე და მისი განუყრელი კუთვნილება შემდეგში მომხდარ უბედურებამაც გამოააშკარავა, **როდესაც სპარსთა მიერ 532 წ. აღმოსავ-ლეთ საქ[ართვე]ლოში მეფობა ძალმომრეობით მოსპობილ იქმნა** და ქვეყანას თვით სპარსთა შაჰები დაეპატრონენ.[7] **ასეთ უკიდურეს გაჭირვების და პოლიტ[იკური] ბედის უკუღმართობის დროსაც გუგარეთი საქართველოს სამზღვრებში შედიოდა. მე-V11-ე საუკ[უნ]ის დამდეგსაც, როცა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებრივი უთანხმოება და მტრობა ჩამოვარდა,** რომელიც ამ ორი ერის ეკლესიების სრული განხეთქილებითა და განშორებით დამთავრდა, იგი **კვლავინდებურად ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა.**[8] საქართველოს ამ პოლიტიკურ დაკნინებისა

---

1 Natur, his. cap. VI § 26. ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], I, 60. *იგულისხმება:* Плиний Старший, 1904. стр. 181-182, *VI § 26; ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. I-60* [რედ.].

2 Адонцъ, Арм. 225-226; *იგულისხმება:* Адонцъ, 1908. стр. 225-226; *მართლაც, ადონცის ამავე ნაშრომში საუბარია სომხეთის ტერიტორიის შემცირებაზე:* «Въ наброшенныхъ предѣлахъ марзбанская Армен*ія* *знчительно усткпала по величинѣ Арменіи царскаго періода. Окраинный поясъ земель оставался внѣ ея границъ, именно: 1. Гогарена, 2. Отена, 3. Арцахъ, 4. Пайтакаранъ-Баласаканъ, 5. Парс*ка-hайкъ-Перс-армен*ія. 6. Кортечея и 7. Арзанена...* Отложен*і*е указанныхъ земель отъ Армен*і*и датируется временемъ паден*і*я Аршака во второй половинѣ IV столѣт*і*я, наканунъ раздѣла Армен*і*и... При преемникѣ Яаршака Папѣ, была попытка отвоевать отколовш*і*яся области... Гогарена – и съ этой стороны Кура стала по прежнему границей между Армен*і*ей и Ивер*і*ей...» [რედ.].

3 იქვე, 230. *იგულისხმება:* Адонцъ, *1908. стр. 230* [რედ.].

4 იქვე, 230. *იგულისხმება:* Адонцъ, *1908. стр. 230* [რედ.].

5 Адонцъ, Арм. 395; *იგულისხმება:* Адонцъ, 1908. стр. 395; *ივანე ჯავახიშვილის მსჯელობის საილუს-ტრაციოდ და ამავე ცნობის დასტურად კვლავ ნ. ადონცის ნაშრომი მოგვყავს:* «... пограничныя съ Ивер*і*ей *армянскія горы, гдѣ сидѣль Вахтангъ, находились вблизи или даже въ самомъ Кангарѣ; а Кангаръ считался въ области Гугарены и занималъ южный уголъ ея; значить, Гугарена выходила за предѣлы Арменіи*» [რედ.].

6 იხ. Գիրք թղթոց 183. *ავტორის მიერ მოყვანილია სომხური წყარო „გირქ თღთოც“, რაც სიტყვასი-ტყვით ნიშნავს „ეპისტოლეთა წიგნს“. საუბარია თბილისში გამოცემულ სომხურ საღვთისმეტყველო ეპისტოლეების კრებულზე, რომელიც ასახავს სოეხთა და ქართველთა საეკლესიო დავიის პერიპეტიებს. სომხური ტექსტის დაზუსტებაში დაგვეხმარა არმენოლოგი ნათია ჩანტლაძე, რისთვისაც მას დიდი მადლობას მოვახსენებთ* [რედ.].

7 ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], I, 195-197. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 195-197* [რედ.].

8 იხ. ჩემი История церков. разрива. *იგულისხმება:* Джавахишвили, 1908 [რედ.].

და განსაცდელის ხანაშიაც რომ გუგარეთი მართლაც კვლავ საქართველოს ეკუთვნოდა, სულიერად და პოლიტიკურადაც მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, **ამას თვით სომხურივე მე-VII-ე საუ[კუნე]ში შედგენილი საისტორიო გეოგრაფიაც ცხადად ამტკიცებს.** იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ეს ქვეყანა ამ დროს ქართველების ხელში იყო.[1]

643-645 წ[ლებ]ში არაბთა ლაშქარი და სარდალი ეწვია კავკასიას და საქართველოს. მთელი სამხრეთი და აღმოსავლეთი კავკასია და აღმოს[ავლეთი] საქ[ართვე]ლოც არაბთა ბატონობის ქვეშ მოექცა. სომხეთიცა და აღმოს[ავლეთი] საქ[ართვე]ლოც მათ ემორჩილებოდა. თავისდა თავად ცხადია, რომ ამ დროს შეუძლებელი იყო საქართველო-სომხეთის სამზღვრებში რაიმე ცვლილება მომხდარიყო: გუგარეთი წინანდებურად ქართველთ უცილობელი კუთვნილება იყო. არაბთა პოლიტიკურმა ძლიერებამ რომ შემდეგში თანდათანობით იკლო და მათი შეუჩერებელი მიდრეკილება განკერძოებისადმი ცხადი გახდა იმ მხრივაც, რომ ერთი მთლიან[ი] სახელმწიფოებრივ[ი] სხეულის მაგიერ მრავალი სანახევროდ დამოუკიდებელი საამიროები დაარსდა, დაპყრობილმა ქვეყნებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. სხვათა შორის ტფილისისა და ქართლის საამიროც შეიქმნა. ტფილისის ამირათა ურჩობა ასუსტებდა არაბთა ბატონობას კავკასიაში, საქ[ართვე]ლოსი და სომხეთის აღდგენას-კი ხელს უწყობდა. ტფილისისა და ქ[ართ]ლის საამიროს სამზღვრებში შედიოდა სხვათაშორის ქვენაქართლის ის ნაწილი, რომელსაც გუგარეთი ერქეა.

მე-IX-ე საუკ[უნით]გან მოყოლებული საქართველოსა და სომხეთს პოლიტიკური მოღონიერება დაეტყო. ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა: ჯერ რამდენიმე საერისთავთერისთავოები გაჩნდა, შემდეგ დაიწყო ცალცალკე ბრძოლა საქართველოსა და სომხეთის გაერთიანებისათვის. ასეთ პირობებში ბრძოლა ტფილისისა და ქ[ართ]ლის ამირასთანაც და ურთიერთთან აუცილებელი იყო: არაბებს უნდა ჩამორთმეოდათ მათ მიერ დაპყრობილი აღმ[ოსავლეთ] საქ[ართვე]ლოს მიწა-წყალი. ქ[ართვე]ლ ერისთავთერისთავთა ურთიერთშორის ბრძოლას-კი მიზნად დანაწ[ილებული] საქ[ართვე]ლოს გაერთიანება ჰქონდა. ყოველი ქ[ართვე]ლი მთავარი და მეფე ხან პირადად, ცალცალკე, ხან ჯგუფობრივ, შეერთებულს ძალით ამ საქმის განხორციელებას ცდილობდა. სხვათა შორის საქ[ართვე]ლოს არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლებას გუარამ მამფალიც († 882 წ.) მამაცურად ხელს უწყობდა. მედგარი ბრძოლის წყალობით მან დაიპყრა კიდეც ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი.[2] თრიალეთი, ტაშირი და აბოცი როგორ ვიცით სწორედ ძველ გუგარეთს ეკუთნოდენ. მაშასადამე, **საქ[ართვე]ლოს განახლების განთიადზე ქ[ართვე]ლმა მთავრებმა ეს კუთხე ისევ საქ[ართვე]ლოს სამზღვრებში მოაქციეს.**

მაგრამ საქ[ართვე]ლოს გაერთიანებისათვის პროცესში მალე გარეშე ძალაც ჩაერია: სომეხთა ერისთავთერისთავმაც აშოტ ბაგრატუნიმ ამ ბრძოლაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, მხოლოდ რასაკვირველია თავის სასარგებლოდ.

აშოტ ბაგრატუნი სომეხთა ე[რისთავთერისთა]ვი, რომელმაც სომხეთის სამეფო აღადგინა, თავის სამფლობელოს სამზღვრების გასაფართოებლად ჩრდილოეთისკენ მოისწრაფებოდა და ქ[ართ]ლის დაპყრობას ლამობდა.[3] იგი ამ ქვეყანას აფხაზთა მეფეს ეცილებოდა, რომელიც თავის მხრივ კარგა ხანია საქ[ართვე]ლოს გაერთიანებისთვის იღვწოდა[4] და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს მხარს უჭერდა. გვარამ მამფალმა სამაგიეროდ „აბოცი განუყო ცოლის ძმასა თჳისსა სომეხთა მეფესა“.[5] ამგვარად საქ[ართვე]ლოს გაერთიანებისათვის მებრძოლთა შორის სომეხთა მეფეც გაერია და აფხაზთა მოწინააღმდეგე ჯგუფში ჩადგა. **ამის წყალობით სომეხთა მეფეებს**

---

[1] [იქვე] გვ. 20. ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], I, 60. *იგულისხმება:* Джавахишвили, 1908, стр. 20; *ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 60* [რედ.].

[2] მ[ატიანე] ქ[ართლისა]ჲ, * 445, გვ. 223, ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 378. *იგულისხმება: ქართლის ცხოვრება, 1906, გვ. 445; გვ. 223. ჯავახიშვილი, 1914. გვ. 378* [რედ.].

[3] ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 379. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1914. გვ. 379* [რედ.].

[4] იქვე, 380. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1914. გვ. 380* [რედ.].

[5] მ[ატიანე] ქ[ართლისა]ჲ, * 445-6, გვ. 223, ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 380. *იგულისხმება: მატიანე ქართლისა, ხელნაწერი, გვ. 445; ქართლის ცხოვრება, 1906, 223; ჯავახიშვილი, 1914. გვ. 380* [რედ.].

ქვემოქართლის ნაწილის ზოგიერთი ადგილები ჩაუგდია [ხელში], სხვათა შორის ტაშირი.[1] **ამ გარემოებას აშოტ ბაგრატუნი ესეოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რომ მან თავის თავისათვის სომეხთა და ქ[ართვ]ელთა ერისთავთერისთავის სახელწოდება მიუკუთვნებია.**[2] **აქეთგან ცხადია, რომ გუგარეთი მასაც ქართლად და ქ[ართვე]ლთა მიწაწყლად მიაჩნდა და სწორედ ამ ქ[ართვე]ლთა ქვეყნის დაპატრონების ძალით მან თავის თავს ქ[ართვე]ლთა ე[რისთავთერისთა]ვი დაარქვა.** ალბად მას კარგად ესმოდა, რამდენად ძვირფასი იყო ქართლის ის ნაწილი, რომელიც მას ხელში ჩაუვარდა, საქ[ართვე]ლოს თავდაცვისათვის.

ამგვარად[,] **ეს სომეხთა მეორე იერიში იყო საქ[ართვე]ლოს სამხრეთის სამზღვრების გადმოსალახავად და ქვენაქართლის, ყოფილ[ი] გუგარათის დასაპყრობად.** საგულისხმიეროა, რომ სომხეთის და საქ[ართვე]ლოს პოლიტიკური განახლება ამ დროსაც სომეხთა შემოსევით დაიწყო.

სტეფანე მტბევარის მიერ 814-918 წ.[3] დაწერილი გობრონის წამება ამტკიცებს, რომ შემდეგშიაც „ტაშირი და კაღფაქარი"[4] მეფის სუბატის ხელში ყოფილა.[5] შემდეგშიაც ეს კუთხე მათ ხელითგან არ გაუშვიათ. რაკი სამხრეთით და დასავლეთით ძლიერი მეტოქეები, არაბები და ბიზანტიელნი, ჰყავდათ, ჩრდილოეთით-კი მათ იმ დროს ღონიერი მოწინაღმდეგე არ ეგულებოდათ, რათგან საქ[ართვე]ლოს ჯერ კიდევ ძალა მთლად მოკრებილი არ ჰქონდა, ამიტომ სომეხთა ენერგია იქითკენ მიისწრაფებოდა, სადაც ნაკლებ წინააღმდეგობას მოელოდნენ.

მე-X-ე საუკ[უნ]ის დასასრულსაც ტაშირი და „ქართველთა ველი" („Վրաց դաշտ"), ბოლნის-დმანისის ხეობანი, სომეხთ ეჭირათ და დავით გურგენის შვილს ეპყრა. ქ. სამშვილდე მან თავის საჯდომად აქცია და ქ. დმანისიც აიღო. გაგის ციხის მფლობელი დემეტრე მარზპანი, თუმცა გრიგორიანი იყო, მაგრამ მოინათლა და ქართველებს მიემხრო. მისი შვილი ტაშირის „მამფალი" იყო. დავით გურგენის შვილმა იგი გაგითგან განდევნა, მაგრამ უკვე 1001 წ. თვით დავითიც მისი ბიძის სომეხთა მეფის გაგიკის მიერ დამორჩილებული იქმნა.[6]

§ 2. ქვემოქართლის ვითარება და მნიშვნელობა XI-XII ს[აუკუნეებ]ბში

ვერც ამ მეორეგზისმა სომეხთა მიერ დაპყრობამ შესცვალა არსებითად ქვემოქართლის, ანუ გუგარეთის ძირითადი კუთვნილების საკითხი. თუმცა მართალია თავიანთ მფლობელობის დროს სომხებმა აქა-იქ საეკლესიო ძეგლები და კულტურული კერა შეჰქმნეს, რომელთაც სომეხთათვის თავის დროზე მნიშვნელობა ჰქონდათ და თვით მოსახლეობაშიაც დროებითი პოლიტიკური ბატონობის წყალობით სომხობა წინანდელთან შედარებით უფრო უნდა გაძლიერებულიყო, მაგრამ **თვით ქვეყანა წინანდებურად ქართული იყო და ქვემოქართლის სამხრეთ ნაწილად ითვლებოდა.**

ამიტომაც იყო, რომ **მე-XI-ე ს[აუკუნი]ს ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს** ქართლის სამზღვრად აღნიშნული აქვს **„აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდაოჯისი... სამხრითა მთა, რომელი მიჰყუების ბერდაოჯის მდინარის თავსა"-ო.**[7] მაშასადამე[,] **ტაშირიც, ლორეც, ბოლნის-დბანისის ხეობანიც მას წინანდებურად ქართლის კუთვნილებად და ნაწილად მიაჩნდა.**

---

1 იქვე, 380-381. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 380-381* [რედ.].

2 ასოღიკ, ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 380. *იხ. ტარონეცი, X-XI სს.; ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 380* [რედ.].

3 იხ. ისტორიის მიზანი, 44. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1916. გვ. 44* [რედ.].

4 საბინ. გამოც. კაქფაქარი. შეად[არე] კაქვარის.

5 საქ[ართვე]ლოს სამოთხე, 394. *იგულისხმება: საბინინი, 1882. გვ. 394* [რედ.].

6 ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 420-421. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 420-421. ამ აბზაცს მოსდევს ახალი წინადადება, რომელიც გადახაზულია: „მე-XI-ე საუკ[უნ]ის პირველ ნახევრითგან მოყოლებული თანდათან მდგომარეობა იცვლება"* [რედ.].

7 ლ. მროველი, ც[ხოვრებ]ა მ-ეფე]თა* 97, გვ. 2, ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია] II, 283. *იგულისხმება:*

საისტორიო **გეოგრაფიას სომეხთა დროის ამ კუთხეში პოლიტიკური მბრძანებლობის სახსოვრად ტერმინი „სომხითი“ შერჩა. ეს სახელი ძველად სრულებით უცნობი იყო და მხოლოდ მე-X-ე საუკ[უნ]ითგან** მოყოლებული **გვხდება**. „სომხითი“ ეწოდებოდა მხოლოდ ბოლნის-დბანისის ხეობებს და ლორეს ველსაც და საყურადღებო ისაა, რომ **ვითარცა საგეოგრაფიო ტერმინი მარტო ქართულად და ქ[ართუ]ლ მწერლობაში იხმარებოდა: სომხები და სომხური საისტორიო მწერლობა ამ ქვეყანას „სომხითს“ არ ეძახდენ. პირიქით ისინი ლორე-ტაშირის ველს „ქართველთა ველს“ უწოდებდენ**[1] **და ამ ტერმინში უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია შენახული, რომ თავიანთ პოლიტიკურ ბატონობისდა მიუხედავად თვით ქვეყანას სომხებიც თავისდათავად ქართველთა კუთვნილებად სთვლიდენ.**

მე-XI-ე საუკ[უნ]ის პირველ ნახევრითგან მოყოლებული თანდათან მდგომარეობა იცვლება. მას შემდგომ რაც ბაგრატ III-ემ აღმოსავლეთ-დასავლეთი საქ[ართვე]ლო საბოლოვოდ გააერთიანა, ქ[ართვე]ლობამ წელი გაიმაგრა და საქ[ართვე]ლოს მერმინდელი მეფეები ჩვენი ქვეყნის იმ კუთხის მტრისაგან განთავისუფლებას შეუდგენ, რომელიც ჯერ კიდევ უცხო, გარეშე ძალის ხელში შერჩენილი იყო. ტფილისის საამირო და სომეხთა მიერ დაპყრობილი მიწები იყო შემოსაერთებელი და მე-XI-ე ს[აუკუნე]ში ქართველთა მთელი ძალ-ღონე სწორედ ამ მიზნის განხორციელებას მოჰხმარდა.

1032 წ. ლიპარიტ ე[რისთა]ვმა და ი[ოან]ე აბასასძემ ბაგრატ IV თანხმობით ტფილისის ამირას ჯაფარს **ბირთვისი** წაართვეს,[2] ხოლო ცოტა ხნის შემდგომ 1037-8 წ[ლებში] იმავე ტფილისის ამირას ხელითგან გამოაცალეს ციხეები **ორბეთი** და **ფარცხისი**.[3] ამ გვარად ქ[ართვე]ლობა ტფილისს ზურგით მოექცა და იქითგან მაჰმადიან ტფილისის ამირებს სამხრეთის დანარჩენ მაჰმადიანობასთან კავშირი მოუსპო. და გზები შეუკრა.

უფრო სამხრეთით სომეხთა მიერ დაპყრობილი ქვეყანა იწყობოდა. აქ 1065 წ. სამშვილდეში „სომეხთა მეფედ“ კვირიკე იჯდა, რომლის ძმასაც სუმბატი ერქვა. მას ემორჩილებოდენ „ორნი ერისთავნი“: „ლოკის ე[რისთა]ვი და კაქვაქარისა“, რომელთა ხელთ იყვნენ ოფრეთის, ქობა[ირ]ისა[4] და ვარზაქარის ციხეები. ბაგრატ IV-მ კვრიკე მეფე ქუეშის ჭალას დააჭერინა და თუმცა სომეხთა ე[რისთა]ვები სამსავე ციხეს აძლევდენ, მაგრამ „შეეწყალნეს ბაგრატ მეფესა“ და ამიტომ სამშვილდის მეტი არა ჩამოურთმევია რა.[5] სამაგიეროდ **საქართველოს მეფეს მონებდეს სომეხნი“.**[6]

ამგვარად ამ „სომხითის“ დამოუკიდებლობაც მოისპო და მისი მეფენი საქართველოს მოხარკედ იქცნენ.

ამის შემდგომ თვით ტფილისიც კვლავინდებურად საქართველოს მეფეს დაემორჩილა. 1068 წელს ბაგრატ IV ტფილისის ამირობა სითილ არაბს უწყალობა, მაგრამ თავის მოხარკედაც გახადა და სხვა ციხე-ქალაქებიც ჩამოართვა.[7]

სელჩუკიან თურქთა შემოსევამ კავკასიაში და კერძოდ საქ[ართვე]ლოშიაც გიორგი II-ის მეფობაში **გარეშე ძალის მიერ დაპყრობილი ქვემოქართლის კუთხის შემოერთების პროცესი დროებით შეაფერხა: თურქობა** კვლავ **ტფილისს, სამშვილდეს, აგარათ, რუსთავს დაეპატრონა.**

ქართლის ცხოვრება, 1906. გვ. 2; ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 283 [რედ.].

1 იხ. ზევით და Brjsset Description geographique de la Georgie ete 148 შენ[იშვნა] 2. *იგულისხმება: Bagrationi, 1842. 148 გვ. 2* [რედ.].

2 ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 433. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 433* [რედ.].

3 იქვე, 434. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 434* [რედ.].

4 *აღდგენა ეკუთვნის ავტორს* [რედ.].

5 *აქ ავტორს სქოლიო აქვს, რომელიც შემდეგ გადაუხაზავს: „საფიქრებელია რომ ეს „სომეხთა მეფე კვირიკე და ძმა მისი სუმბატ“ არიან სანაჰინის აღმშენებელნი და მათი ქანდაკებაა შენახული სანაჰინის ეკლესიის კედელზე (იხ. ნ. მარრის* Сананинская *???* скул *???* группа ктиторов *XI* в *I, ნაკვ. ??? III, 350)“. მარის ნაშრომის სათაური კარგად არ იკითხება* [რედ.].

6 ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 449. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 449* [რედ.].

7 ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 455. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 455* [რედ.].

მათვე დაიპყრეს მთელი „სომხითიც“.[1] ამის შემდგომ ქართლის სამხრეთს ნაწილში **„სომხითის“ მეფობის არსებობაც მოისპო. ამიტომ** როდესაც **დავით აღმაშენებელმა** 1110 წ. ძერნა და სამშვილდე კვლავ დაუბრუნა საქ[ართვე]ლოს,[2] ხოლო ამის შემდგომ თავზარდაცემულმა თურქებმა უბრძოლველად დასცალეს **„უმრავლესნი ციხენი სომხითისანი“.**[3] 1118 წელს-კი[4] მან მტერს **„სომხითის ციხე ლორე“ და აგარანი წაართვა,**[5] **ეს უკვე ქართლის სამხრეთის ნაწილის სომეხთა ბატონობისა და მძლავრობისაგან განთავისუფლება კი არ იყო,** – მაშინ ხომ „სომხითი“ ვითარცა პოლიტიკური ერთეული უკვე აღარ არსებობდა, – **არამედ სელჩუკიან თურქთა კლანჭებისაგან გამოგლეჯა. ამიერითგან მოყოლებული მთელი ეს კუთხე ქ[ართ]ლის სამხრეთი ნაწილი და თვით „სომხითი-“ც საქართველოს უცილობელ და განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა და სომხებს არას დროს აღარა სჭერია.**

ძველ დროსაც რომ **ქართველებს ქვემოქართლის სამხრეთი ნაწილის ე.წ. სომხითის უაღრესი მნიშვნელობა საქართველოს თავდაცვისათვის კარგად ესმოდათ და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდენ,** ეს იქითგანაც სჩანს, რომ საქ[ართვე]ლოს მეფეებმა ჯერ მიზნად ამ კუთხის უცხო ძალისგან განთავისუფლება დაისახეს, ხოლო შემდეგ, როდესაც ტფილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა ქართველთა ხელში იყო, თვით დროებით მიტაცებულს საქ[ართვე]ლოს დედაქალაქის შემოერთებას შეუდგენ. ტფილისის აღების შემდგომაც „სომხითს“ საქ[ართვე]ლოს მთავრობის თვალში თავისი დიდი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, ამას ის გარემოებაც ნათლად ცხადჰყოფს, რომ **„სომხითის ციხე ლორე“ სრულიად საქართველოს ჯარის მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის „საჯდომა“-დ ანუ რეზიდენციად ითვლებოდა,** უეჭველია **იმ აზრით,** რომ **აქეთგან სამხრეთით მომავალი მტრისაგან საქ[ართვე]ლოს დაცვა საუკეთესოდ შეიძლებოდა** და აქ მცხოვრებ სამხედრო მინისტრს უფრო ფხიზლად ეჭირებოდა თვალი სახელმწიფოს ამ ფრიად მნიშვნელოვან საზღვრებზე.

§ 3. საქართველოს ვითარცა მფარველ და თავშესაფარ სახელმწიფოს მნიშვნელობა და მიმზიდველობა სომეხთათვის

დავით აღმაშენებლის (1089-1125 წ.) მეფობითგან მოყოლებული საქართველო იმდენად ძლიერ სახელმწიფოდ იქცა, რომ მისი ზრდა შეუჩერებლივ წინ მიდიოდა მე-XIII-ე ს[აუკუნ]ის პირველ მეოთხედამდის. ვითარცა ერთადერთი ძლევამოსილი საქრისტიანო სახელმწიფო მცირე აზიაში, საქ[ართვე]ლო მაჰმადიანთა მონობაში მყოფ სხვადასხვა ქრისტიან ერების მფარველად და მხსნელად იყო. განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში და შევიწროებული იყო სომხის ერი, რომელიც ამიერკავკასიაში რამოდენიმე მაჰმადიან სახელმწიფოს შორის განაწილებული და იმდენსავე სულტანის ან მთავრის (შირვანშას, არმენ შაჰის, კარის ამირას, რუმის სულტანის და სხვათა) თვითნებობას ემორჩილებოდა. მაშინ სომეხნი პირადადაც შევიწროებულნი იყვნენ და მათი სარწმუნოებრივი და ეროვნული გრძნობაც იმდენად შელახული იყო, რომ

---

[1] ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 447-453. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914 გვ. 447-453* [რედ.].

[2] იქვე, 511. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1913-1914. გვ. 511* [რედ.].

[3] იქვე, 512. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1913-1914. გვ. 512* [რედ.].

[4] *ნაბეჭდში მითითებულია: „1198“, ნაცვლად „1118“ წლისა. 1198 წლისათვის დავით აღმაშენებელი (1073-1125) უკვე გარდაცვლილია. ამასთან „ქართველი ერის ისტორიაში“ [ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 514] ლორისა და აგარანის ციხეების აღების თარიღად მითითებული აქვს 1118 წელი. შეცდომის წყაროა დედანში (ფ. 88) 1118-ის მესამე ერთიანს თავზე კალმის უნებლიე მოსმის სიმრგვალე ეტყობა* [რედ.].

[5] იქვე, 514. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1913-1914. გვ. 514* [რედ.].

მათი საუკეთესო სალოცავი კათოლიკე ეკლესია ანისში მიზგითად იყო გადაკეთებული,[1] ხოლო წირვის დარეკვის უფლებაც არა ჰქონდათ.

ამიტომაც იყო რომ **სომხობა** ასეთი **სიხარულით ეგებებოდა საქართველოს სამხრეთისაკენ ძლევამოსილს წინსვლას. ქართველთა ბატონობას მათთვის ფიზიკურ[ი] განადგურებისაგან და მაჰმადიან მმართველთა აუტანელ[ი] და თავმოყვარეობის შემლახველ[ი] ძალმომრეობისაგან ხსნა მოჰქონდა.**

სწორედ ამ დროს, დავით აღმაშენებელის, დიმიტრი I, გიორგი III და თამარის მეფობაში, როდესაც საქართველომ მცირე აზიაში არზრუმის სულტანს მოახრევინა ქედი, ხოლო სპარსეთში ქ. ყაზმინამდე და გურგანამდე მიაღწია, შავი ზღვითგან კასპის ზღვამდე იყო გადაჭიმული. სომხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს: მათ ძლიერი მფარველი ჰყავდათ. შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ქ. ანისის კულტურულ[ი] და მოქალაქეობრივ[ი] უაღრეს[ი] აყვავების ხანა სწორედ ქართველთა პოლიტიკურ[ი] ბატონობის დროს იყო. **უეჭველია, საქართველოს ძლევამოსილ[მა] წინსვლამ სამხრეთისაკენ სომეხთა ერს საუკეთესო საშუალება მისცა თავისი ფიზიკური არსებობაც შეენარჩუნებინა და მომავალ განსაცდელის საბრძოლველადაც მოღონიერებულიყო.**

§ 4. ქვემოქართლის მნიშვნელობა საქართველოსთვის და სამხრეთის სამზღვრები XVI-XVIII ს[აუკუნეებში]

შემდეგში **როცა საქართველო პოლიტიკურად დაუძლურდა** და რამდენიმე სამეფოდ იქცა, სახელმწიფოებრივი სამზღვრებიც მე-XII-ე ს[აუკუნ]ესთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, **ქვემოქართლის ანუ ლორე-ტაშირ-„სომხითის“ საქართველოს გარეშე მტრისაგან თავდაცვისათვის უაღრეს[ი] მნიშვნელობა უფრო ცხადი და თვალსაჩინო გახდა. ამიტომაც იყო, რომ მთელი ეს ტფილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა[ს] ქ[ართუ]ლი სახელმწიფო სამართლის მიხედვით „მეწინავე დროშა“ ეწოდებოდა:** ეს კუთხე იყო, რომ სამხრეთითგან შემოსეულს მტერს უნდა დახვედროდა და სწორედ ამ მიწაწყალზე უნდა გაეწია ქართველ ჯარს მისთვის პირველი და გადამწყვეტი წინააღმდეგობა.

საქ[ართვე]ლოს მტრებსაც ამ ქვეყნის უდიდესი მნიშვნელობა მშვენიერად ჰქონდათ გათვალისწინებული. მათ ესმოდათ, რომ **მისი დაპყრობა აღმოსავლეთ საქ[ართვე]ლოსა და ტფილისში შემყვანელ[ი] კარების ხელში ჩაგდებას უდრიდა**. აკი საქ[ართვე]ლოს დაუძინებელმა მტერმა შაჰაბაზმა გიორგი მეფეს მოსთხოვა: „ჯერ-არს რათა მომცე ჯილდოდ ლორე ბერდუჯის მდინარით“-ო. მაშინ ბერდუჯის მდინარე საზღვარი იყო ქ[ართ]ლის სამეფოსი და ძალზე შეწუხდა, „შეუძნდა ესე ფრიად მეფესა“. ჯილდოს შენგან მოველოდდი და არა წართმევას „მიხმასა საზღვართა ჩემთასა“-ო. მაგრამ შაჰაბაზმა იცოდა რასაც თხოულობდა და სწორედ ამიტომაც მისი სურვილი შეუდრეკელი იყო.[2] სახელოვანი ქ[ართვე]ლი მეცნიერი ბატონიშვილი **ვახუშტი სრულებით მართალი იყო, როდესაც ამ გარემოების შესახებ ამბობდა: ეს ქვეყანა „შაჰ-აბაზ ამისის განზრახვით მიიღო რამეთუ „მექმნებისო შესავალ-გასავალი ქართლსა შინა-ო“.**[3] დიაღაც ეს გარემოება იყო და არის, რომ საქ[ართვე]ლოს მტრებს ეს კუთხე ასე იზიდავს და ყურადღებას იპყრობს.

---

[1] მათე ურჰაელის ისტ[ორია], 451-452 და ვარდანის მსოფლიო ისტ[ორია], 156-157 და ქ[ართვე]ლი ერის ისტ[ორია], II, 526-527. *იგულისხმება: ურჰაელი, XII ს. გვ. 451-445; არაველცი, XIII ს. გვ. I56-157; ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 526-527* [რედ.].

[2] ვახუშტი, საქ[ართვე]ლოს ცხოვრებ]ა, ჭიჭ. 52. *იგულისხმება: 1913. გვ. 52. ვახუშტი, 1913. გვ. 52* [რედ.].

[3] გ[ეოგრა]ფია, 140-142. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 140-142* [რედ.].

იგივე გარემოება მეორეს მხრით თვით საქართველოს მმართველ წრეებს და ერს საქართველოს ამ მართლაცდა „მოწინავე დროშისა“ და სამხრეთის ერთად-ერთ საფარის ფხიზელ დარაჯად ხდიდა და თუმცა სპარსეთის ბრძანებელნიც, ოსმალეთის ფაშებიც მუდამ ამ კუთხის დაპყრობას ლამობდენ, მაგრამ ქართველობას ამ ქვეყნის შესანარჩუნებლად თავისი სიცოცხლეც არ დაუზოგიათ.

და სწორედ ამიტომაც გაიმარჯვა კიდეც: თვით აღმ[ოსავლეთ] საქ[ართვე]ლოს დაკნინების დროსაც-კი, **ვახტანგ VI მეფობაში და მე-XVIII-ე ს[საუკუნ]ის პირველ ნახევარშიაც, ქ[ართ]ლის სამეფოს სამზღვარი სამხრეთით იყო იქვე, სადაც თავდაპირველად**. წერილობითი ცნობებს გარდა ამას ის **საქ[ართვე]ლოს 1743 წ. რუკაც ამტკიცებს, რომელიც ინახება რუსეთის მთავარ შტაბის სამხედრო-სამეცნიერო არქივში №-ით 505** «Иверская Земля».[1]

ერეკლე მეფის დროსაც, თუნდ 1783 წ., **როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება დაიდო, სამხრეთით სამზღვარი და მთელი ქვენა ქართლი, ანუ სომხით-ლორე-ფამბაკ-ბორჩალუ საქართველოს უცილობელს საკუთრებას შეადგენდა** და კვლავინდებურად **სამზღვარი უფრო სამხრეთისაკენაც მდებარეობდა და გამყოფელ ხაზად ერევნის (=ფამბაკის) მთები ითვლებოდენ. ეს შეურყევლად მტკიცდება საქართველოში იმ დროს მყოფ რუსეთის ელჩის ბურნაშევის, როგორც წერილობით აღწერილობითგან,**[2] რომელიც მის მიერ 1786 წ. არის შედგენილი,[3] ისევე და **უფრო თვალსაჩინოდ მის მიერვე 1784 წ. დახატულ საქ[ართვე]ლოს საერთო რუკითგან,**[4] **სადაც სამზღვარი წითლად არის შემოხაზული.**[5]

დასასრულ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **აღამაჰმადხანის შემოსევის შემდგომაც და აღმ[ოსავლეთ] საქართველოს რუსეთთან შეერთების დროსაც ეგრედ წოდებული „სომხითი“ ბორჩალო, ფამბაკი, ყაზახი, და შამშადილი საქ[ართვე]ლოს უცილობელს კუთვნილებას შეადგენდა და შურაგელიც მასვე ეკუთვნოდა.**[6]

---

1 Копироваль её въ Москвъ въ мъсяцъ Іюль 1743 г. полевой артиллеріи каптенармусь Даника Гем...» გვარი სრულად არ იკითხება (იხ. დედნის ფოტოტ. პირი და С.Н. Бурнашевъ. Новая Мат. для жизнеописанія дъятельности С.Д. Бурнашева. СПБ. 1901. გვ. IV). *იგულისხმება:* Бурнашевъ С.Н. 1901 [რედ.].

2 იხ. Картина Грузіи, полн. описание etc. გვ. 2. *იგულისხმება: Бурнашев С.Д.*, 1896) [რედ.].

3 *ს. ბურნაშევის ნაშრომი [*Картина Грузіи…, 1793*] საქართველოს (ქართლის და კახეთის სამეფოების) პოლიტიკური ვითარების აღწერის შესახებ, გამოიცა ქ. კურსკში (რუსეთი). თუმცა აქ ივ. ჯავახიშვილი გულისხმობს ამავე ნაშრომის სხვა გამოცემას [*Картина Грузіи…, 1896*], რომელიც ქ. ტიფლისშია (კ.ნ. ბეგიჩევის მიერ) გამოქვეყნებული. ორივე გამოცემის სახელწოდებაში აღნიშნულია, რომ აღწერა ს. ბურნაშევმა შეასრულა **1786 წელს**. 1783-1787 წლებში იგი იყო უფლებამოსილი პირი საქართველოში* [რედ.].

4 იხ. რუკა. *იგულისხმება: აღნიშნული რუკა დაბეჭდილია ს. ბურნაშევის 1901 წლის ნაშრომში [*Бурнашев, 1901]. *იხ. დანართი 1.4* [რედ.].

5 იხ. С.Н. Бурнашевъ-ის Новая Мат. *რუკა მეორე. აქ ივ. ჯავახიშვილი გულისხმობს ს. ბურნაშევის კიდევ ერთი ნაშრომს [Новые материалы..., 1901], რომელიც გამოქვეყნდა ქ. სანკტ-პეტერბურგში. როგორც რუკიდან ირკვევა, იგი მომზადდა 1784 წელს ქ. ტიფლისში, თუმცა ტექნიკური ფოტოგრაფირება, გრაფიკა და დაბეჭდვა განხორციელდა სანკტ-პეტერბურგში ა. ილინის კარტოგრაფიულ დაწესებულებაში. მოგვინებით ეს რუკა თან დაერთო ს. ბურნაშევის 1901 წლის გამოცემას* [რედ.].

6 Дубровинъ, Истор. ტ. III, 381-382; *იგულისხმება: Дубровин Н.* 1886. *ამ ფაქტის დასტურად მოგვყავს ივ. ჯავახიშვილის მიერვე დამოწმებული ცნობა ნ. დუბროვინის ნაშრომიდან:* «Центральное владеніе нынѣшнягл Закавказья, Грузія граничила къ сѣверу Кавказскимъ хребтомъ; къ западу Имеретіею, отъ которой отдѣлялась Хопинской долиною, а оть Ахалцыхскаго пашалыка горами, на продолженіи оть урочища Топаравана до Ахбабы. Съ юга оть Карскаго пашалыка она отдѣлялась рѣкою Арпачаемъ, а отъ ханства Эриванскаго озеромъ Гокча. Къ востоку рѣка Джагороъ отдѣляла отъ ханства Шанжинскаго, а рѣка Алазаньотъ Джаро-Бѣлоканъ... Присоединенная къ Росс*і*и страна заулючала въ себѣ Карталин*і*ю и Кахет*і*ю, раздѣленныя одна отъ другой течен*і*емъ Арагви. Въ Карталин*і*и насчитывалось тогда 1,682 деревни и села, а въ Кахет*і*и 324; всѣ они были по большей части разорены... Карталин*і*я разделялась на верхнюю, средн.. Груз*і*ю и Сомхет*і*ю (состоявшкю изъ Тр*і*олеты и Борсалы), Казахи, Шамшадыль, Памбаки и Шурагель». *საქართველოს რუსეთის იმპერიაში შეერთების მომენტისათვის ქვეყნის სამხრეთ საზღვრად აქ მითითებულია მდ. არფაჩაი, გოქჩის ტბა და ჭარ-ბელაქანი. ამგვარად, ცხადია, რომ „ეგრედ წოდებული „სომხითი“ ბორჩალო, ფამბაკი, ყაზახი და შამშადილი საქართველოს უცილობელს*

განმსაზღვრელ ხაზის მდებარეობის გამოსარკვევად მკაფიო ცნობები ვახუშტსა აქვს მოყვანილი. მისი სიტყვით **„სომხით-ერევნისა[1] და ამისი (ე.ი. ბაბაკის)[2] გამყოფელ[3]** არს **მთა** დიდი, **მაღალი** და **მარადის თოვლიანი და კალთათა ტყიანი**... რომელი წარვლის[4] დასავლით არტანამდე[5][.] ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შუა განვლის[,] და ვიდრე რაკსამდე[6] მივალს[:] მთისა ამის სამხრით კერძი სომხით-ერევნისა არის,[7] ხოლო ჩრდილოთ კერძი ბერდუჯისა და რანისა... ხოლო **მთა მცირე ბერდუჯისა** ძეს ჩრდილოეთით და სამხრით[,] და მიადგების **წინ-თქმულსა[8] ერევნის მთას**. აღმოსავლეთის კერძი მთისა ამის [არს] რანისა[,] და დასავლეთით[9] კერძი არს ბერდუჯისა“.[10]

ამ სიტყვებითგან სჩანს, რომ **ვახუშტი ორ მთას ასახელებს საქართველოს სამხრეთით**: ერთს, რომელიც დიდი და მაღალია იმდენად[,] რომ მარადის თოვლიანად მიაჩნდა[,] დასავლეთით არტაანამდის აღწევს, აღმოსავლეთით კი რანსა და გელაქუნს შუა გადის და რაკსამდე მიდის, **ერევნის მთა ჰრქმევია**. ხოლო **მეორე მთა პატარა ყოფილა** და როგორც ეტყობა ორ ტოტად იყოფებოდა ისე, რომ ვახუშტის სიტყვით ეს მთა „ძეს ჩრდილოეთით და სამხრით“ ამასთაავე იგი თითქოს ერევნის მთის შტოდ გამოდის და მას „მიადგების“-ო. **ამ მთას ბერდუჯის მთა ჰრქმევია.**

ამ ტექსტის ფრანგულს თარგმანში აკად. მ. ბროსსეს შენიშვნაში ერევნის მთის შესახებ ნათქვამი აქვს, ვითომც იგი რუსულს ბეზობდალის მთას უდრიდეს.[11] მაგრამ საკმარისი იყო ბროსსეს თავის გამოცემული ვახუშტის მიერ დახატული რუკა აეღო, სადაც ქვემო ქართლია[12] და იქ ჩაეხედა, რომ მაშინვე დარწმუნებულიყო, რამდენად **შემცდარი იყო მისი** ზემოაღნიშნული **აზრი.** იქ სახელდობრ ერევნის მთა მდ. ბამბაკის სამხრეთით არის დახატული. მაშასადამე ცხადია, რომ ყოვლად შეუძლებელია ვახუშტის ერევნის მთები რუსთა საგეოგრაფიო სახელს ბეზობდალის მთებს უდრიდეს იმიტომ, რომ ეხლანდელი ბეზობდალის მთები ბამბაკის ჩრდილოეთით მდებარეობენ. იგივე გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ **ვახუშტის „ერევნის მთები“ შეიძლება მხოლოდ აწინდელს რუსულს რუკაზე აღნიშნულს „ბამბაკის მთებს“ უდრიდეს**, რომელთა მიმდინარეობაც აღმოსავლეთით მართლაც ისეთია, როგორც ვახუშტს აქვს აღწერილი, და გელაქუნის ანუ გოგჩის ტბის ჩრდილოეთით უვლის.

ვახუშტის იგივე რუკა ამტკიცებს, რომ ბერდუჯის მთები უნდა მდ. ბერდუჯის ანუ დებედას, რომელსაც ამ ადგილას რუსები კამენკას უწოდებენ, სამხრეთით მდებარედ ვიგულისხმოთ. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ [ცხადი გახდება, რომ] **ვახუშტის ბერდუჯის მთა უნდა რუსების მეზობდალის მთებს უდრიდეს.**

ამგვარად ირკვევა, რომ **საქართველოს სამხრეთით (სომხეთისაგან) ერევნის სახანოსაგან გამყოფელ ხაზად ერევნის მთები ითვლებოდა, რომელთაც ეხლა „ბამბაკის მთები“ ეწოდება**. ამ დასკვნის სიმართლეს მოსკოვში **1743 წ. [დახატული] რუსულ-ქართული რუკაც ადასტურებს, რათგან ამ რუკაზეც საქ[ართვე]ლოს სამხრეთის სამზღვარი ბამბაკის მდინარის სამხრეთით**

კუთვნილებას შეადგენდა [რედ.].

1 *ბროსეს გამოცემაში [1842] მითითებულია: „სომხითისა, ერევნისა...“* [რედ.].

2 *ფრჩხილების ტექსტი არ არის ბროსეს გამოცემაში [1842]. იგი ივ. ჯავახიშვილისეული განმარტებაა* [რედ.].

3 *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: „გამყოფელი“* [რედ.].

4 *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: „წარივლის“* [რედ.].

5 *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: „არტანადმდე“* [რედ.].

6 *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: „რაკსადმდე“* [რედ.].

7 *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: „არს“* [რედ.].

8 *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: „წინთქმულს“* [რედ.].

9 *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: „დასავლით“* [რედ.].

10 ვახუშტი, გეოგრაფია, 140. *იგულისხმება:* ვახუშტი ბატონიშვილი. 1904 [რედ.].

11 გეოგრაფია, 141, შენ. 1; *იგულისხმება: ვახუშტი ბატონიშვილი. 1842. როგორც ამ ჩანაწერიდან ირკვევა, ივ. ჯავახიშვილი მხოლოდ ქართულ ტექსტს არ ეცნობოდა. მარი ბროსეს თარგმანსაც წყაროდ განიხილავდა და კვლევისას ფრანგი ქართველოლოგის მოსაზრებასაც ითვალისწინებდა [რედ.].*

12 # 2. Géorgie au s. du Kour. *იგულისხმება: ვახუშტი ბატონიშვილი. 1842* [რედ.].

არის გახაზული. ბურნაშევის მიერ 1784 წ.-ს შედგენილ **საქ[ართვე]ლოს რუკაც ამასვე ამტკიცებს**: იქაც ეს სამზღვარი მდ. ბამბაკის კარგა სამხრეთით ხატია. მაშასადამე[,] მე-XVIII-ე ს[აუკუნი]ს დასასრულსაც, საქ[ართვე]ლოს რუსეთთან 1783 ხელშეკრულობის დადების ჟამსაც საქ[ართვე]ლოს სამხრეთის სამზღვრად კვლავინდებურად ერევნის, ანუ, როგორც ეხლაა მიღებული „ბამბაკის მთები" ყოფილა.

§ 5. ქვემოქართლის უაღრესი ეკონომიური მნიშვნელობა საქართველოსთვის

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ **ქვემოქართლი მარტო სამხედრო თვალსაზრისითა და მნიშვნელობით-კი არ იყო დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, არამედ მაშინაც მთელ თავის მდებარეობით და გზებით, მთელ თავისი ქონებრივი ძალღონითაც, ეკონომიურადაც ის დანარჩენ საქართველოსთან და აღმ[ოსავლეთ] საქართველო მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული.** პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულებითგან[1] სჩანს, რომ **ტფილისი სომხით-ბორჩალოთგან, სამხრეთითგან შემოსულ სურსათით იკვებებოდა**. მაგრამ მარტო ეს არა კმარა. თუმცა აღმოს[ავლეთ] საქ[ართვე]ლოს სხვადასხვა ადგილას ოქროსი და ვერცხლისა, უფრო-კი სპილენძის მადნები ქონდა. განსაკუთრებით მაინც მადნეულობა იმ მთებში მოიპოვება უხვად, საქართველოს რომ ერევნისაგან ჰსაზღვრავდენ.[2]

ქვემო-ქართლში, ან ე.წ. „სომხით"-ში მდებარე ოქრო-ვერცხლისა და სპილენძის მაღაროების საქ[ართვე]ლოს ეკონომიურ კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის უაღრეს[ი] მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ვახტანგ VI-ეს და ერეკლე მეფეს, რომელთაც არაფერი დაუზოგიათ, რომ დროთა ვითარების გამო მიტოვებული და მივიწყებული სამთამადნო საქმე კვლავ განახლებულიყო და გაცხოველებულიყო.

ეს მადნები საქ[ართვე]ლოს სახელმწიფოს ფულის მოსაჭრელ ლითონსაც აძლევდენ, – ამით სჭრიდენ მეფეები ქ[ართუ]ლ ფულს, – და **ამასგარდა წმინდა შემოსავალსაც**, რომელსაც მეფეები ჩვენი ქვეყნის გარეშე მტრისაგან დაცვას ახმარებდენ. ნ. ბუტკოვს აღნიშნული აქვს, რომ მის დროს 1778 წ. ერეკლე მეფემაც თავის სახელმწიფოს ყოველ-წლიური შემოსავალი გააძლიერა ახტალაში და სხვა ადგილებში აღმოჩენილ[ი] ოქრო-ვერცხლისა, სპილენძისა და რკინის მადნეულობით, რომ მან ამ მადნების დასამუშავებლად ბერძნები გამოიწერა და შემოსავლით ნაქირავებ ჯარს ინახავდა საქ[ართვე]ლოს დასაცავად.[3]

საქ[ართვე]ლოს მეფეების მზრუნველობა ქვამადნის განვითარებაზე რომ ბრძნული იყო და ანგარიშში არ მოტყუებულან, ამას ის მრავალმეტყველი გარემოებაც ამტკიცებს, რომ ერეკლე მეფის უკანასკნელ წლებშიაც-კი, მე-XVIII-ე ს[აუკუნ]ის დასასრულს, მადნის მაღაროების წმინდა შემოსავალი სახელმწიფოს ყოველწლიურ ოქროსა და ვერცხლის ფულად შემოსავლის ერთს მეოთხედს უდრიდა: 400 000 მინ.-ში[4] 100 000 მინ.-მდე მადნების წმინდა შემოსავალი იყო.

.

---

[1] *ივ. ჯავახიშვილი გულისხმობს „საქართველოს ცხოვრების" 1913 წლის გამოცემას, რომლის II ნაწილი აღწერილია პაპუნა ორბელიანის მიერ* [რედ.].

[2] ბურნაშევ[,] Картина 2; *იგულისხმება* Бурнашевъ, 1901. *რუკა* [რედ.].

[3] Материаль для истории Кавказа, I, 337. *იგულისხმება:* Бутков, 1869, *I.* стр. *337* [რედ.].

[4] ბურნაშევ[,] Картина 5; *იგულისხმება:* Бурнашев, 1869, стр. *5* [რედ.].

§ 6. ამ კუთხის მოსახლეობის ბედიღბალი XVII-XVIII ს[საუკუნეებში] და სომეხთა გადმოსახლება

თვით ქვემოქართლის სტრატეგიული მდგომარეობის გამო, ვითარცა საქ[ართვე]ლოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანს ქვეყანასა და ,,მეწინავე სადროშოს", მას ხშირად ბრძოლისა და მტრის თავდასხმის ასპარეზად ხდიდა და ამის გამო **მოსახლეობა აქ მრავალჯერ დაზარალებულა და არაერთხელ სრულებით ამოწყვეტილა კიდეც.** უფრო ძველ დროსაც რომ თავი დავანებოთ, მარტო შაჰაბაზის შემოსევამაც ამ მხრივ დიდი ზიანი მოუტანა. ამას გარდა, სპარსეთის შაჰებს რომ საქ[ართვე]ლოში მუდამ ერთგული წინამავალნნი და მომხრენი ჰყოლოდენ, შაჰაბაზმა აქ თურქთა ელი ბორძალუ ჩაასახლა. თანდათანობით ყაზახ-შამშადილო-**ლორეს ხანებიც** გაჩდენ.[1] ხშირი სამხედრო მოქმედების გამო ეს ქვემოქართლი, ,,თრიალეთი, **ტაშირი და აბოცი" მთლად აოხრებული იყო: იქ ,,კაცნი არღარა იყუნენ" და მხოლოდ ვახტანგ V-ემ[2] კვლავ დაასახლა იგი.[3]**

თუ საქართველო, რომელსაც თავისი სახელმწიფო ჰქონდა მე-XVI-XVIII-ე ს[აუკუნეებ]ში შეწუხებული იყო გარეშე მტრისაგან, ადვილი წარმოსადგენელია რა საშინელს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო სომხობა, რომელიც მე-XI-ე ს[აუკუნი]ითგან მოყოლებულ[ი] საკუთარ სახელმწიფოებრივობას მოკლებული იყო და მე-XVI-ე ს[აუკუნი]ითგან მოყოლებული ხომ მაჰმადიან თურქ სახანოების ქვეშევრდომებად ითვლებოდა. **აუტანელ მდგომარეობის გამო, სარწმუნოებრივ და ეროვნულ-პოლიტიკურ დევნისაგან სომხობა თავის ქვეყნითგან იყრებოდა,** მამაპაპეულს მიწაწყალს სტოვებდა **და სხვა უფრო მყუდრო ქვეყნებში და სახელმწიფოებში ეძებდა თავშესაფარს**. საქართველო სომხებისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა და სამეფო იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, – საქართველოლოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა, – და თანაც საქართველოში შემოხიზნულს სომხებს უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, რომ თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, იქითგან თავიანთ სამშობლოში ადვილად დაბრუნდებოდენ. ამიტომ იყო, რომ **დევნილი სომხები საქ[ართვე]ლოში იხიზნებოდენ, ჩვენში ეძებდენ და პოულობდენ კიდეც თავიანთვის თავშესაფარს**.

სრულებით ბუნებრივია, რომ **ისინი სახლდებოდენ განსაკუთრებით იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა**. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისინი შემოიხიზნებოდენ ხოლმე **სწორედ ქვემოქართლში, რომელიც ჩრდილოეთით ერევნის მთებს ეკრა ე.წ. სომხითში, ლორეში, ტაშირში და სხვაგან**. ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ ,,სომხით"-ში ვახტანგ VI დროს **,,მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნით ქართულითა"**-ო.[4] **ტაშირის შესახებაც** მას ნათქვამი აქვს, რომ იქ ,,მსახლობელნი არიან სარწმუნოებით სომეხნი... და მოსილნი არიან ბინძურად და გაზეთილნი, გრძელ-ჩოხიანნი, ავფერად-უშვერად, გარნა[5] არიან ჰაეროვანნი და ტანოვანნი, შემძლენი, ლაშქრობათა შინა გამოუცდელნი, უკმარნი"-ო.[6]

მაგრამ **არც ეს სომხური შემოხიზნული მოსახლეობა შერჩენილა აქ დიდ ხანს**. თურქების შემოსევის დროითგან მოყოლებული მე-XVIII-ე ს[აუკუნ]ის მეორე მეოთხედშიც, თურქებისა და ლეკებისაგან სხვებზე უფრო ძლიერად ეს კუთხე დაზიანდა[7].

---

1 ვახუშტი[,] 70. *იგულისხმება: ვახუშტი, 1913. გვ. 70* [რედ.].

2 *უნდა იყოს: ვახტანგ VI* [რედ.].

3 იქვე[,] 82. *იგულისხმება: ვახუშტი, 1913 გვ. 82* [რედ.].

4 გეოგრაფია[,] 146. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 146* [რედ.].

5 *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: ,,ავ-ფერ-უშვერად, განა"* [რედ.].

6 იქვე[,] 148. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 148; ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: ,,ლაშქრობათა შინა გამოუცდელნი, უკმარნი"* [რედ.].

7 ვახუშტი, სა[ქართვე]ლოს ც[ხოვრებ]ა, 122, 137, 139, 140. პ. ორბელიანი. *იგულისხმება: ვახუშტი, 1904. გვ. 122, 137, 1.39*; *ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, 1913* [რედ.].

ამ ხნის განმავლობაში ეს საქ[ართვე]ლოს სამხრეთის კუთხე ისე აოხრდა და გაუკაცრიელ-და, რომ 1760 წ.-ისათვის **მოსახლეობის 1-2%-ზე მეტი შერჩენილი არ იყო** [როგორც] რუსეთის ხელმწიფისათვის გაგზავნილს აღწერილობაში ერეკლე მეფე სხვათა შორის ამბობს[.][1]

მე-XVIII ს[აუკუნ]ის მეორე ნახევარში ამგვარ აოხრებისა და ხალხის გადასახლების წყალობით სომეხთა მოსახლეობა თვით მათს მკვიდრს მიწა-წყალზეც ისე შემცირდა, რომ ერევანის სახანოში ითვლებოდა 3000 სახლობა, ნახჭავანში 500, ყარაბაღში 7000, ყარადაღში 300, განჯაში 1500. დანარჩენნი უკვე მათ სამშობლოში აღარა სცხოვრობდენ. დარუბანდში 1000, შირვანში 2000, შექში 1000, მარაღაში 200,[2] ხოიში 1000 სახლობა ითვლებოდა.[3] ამგვარად სომეხთა რიცხვის ჯამი მთელს ამიერკავკასიაში 17000 ოჯახობას უდრიდა.[4]

§ 7. სომეხთა გადმოსახლების განსაკუთრებული ხასიათი XVIII-XIX ს[საუკუნეებ]ში

ერეკლე მეფის დროს სომეხთა საქართველოში შემოხიზნის ხასიათი, როგორც ეხლა ირკვევა, **თვალსაჩინოდ იცვლება. თუ წინათ ეს გადმოსახლება სტიქიური თვისებისა იყო და** მას **არავითარი პოლიტიკური მიდრეკილება და მნიშვნელობა არ ჰქონდა, მე-XVIII-ე საუკ[უნ]ის დასასრულს გარკვეული პოლიტიკური ელფერიც ზედ დაერთო.** თუ წინათ საქ[ართვე]ლოში მომავალი სომხები საქართველოს მფარველობისა და ქვეშევრდომობის მოიმედენი იყვნენ ხოლმე, **ამიერითგან ისინი უკვე გარეშე ძალის მფარველობას ეძებდენ და მათის დახმარებით ცდილობდენ თავიანთ საქმის გაკეთებას საქართველოში.** როდესაც სომხებმა შეიტყეს, რომ ერეკლე მეფე რუსეთთან ხელშეკრულობასა სდებდა და რუსეთის კავშირსა და მფარველობას ეძებდა, ჯერ კიდევ ხელშეკრულობა დადებული და ხელმოწერილი არ იყო, რომ სომეხთა ეპისკოპოსებმა, მელიქებმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა რუსეთის მთავრობას 1783 წ. 3 მარტს შედგენილ[ი] თხოვნა მიართვეს, რომელშიაც ყარაბაღისა და ყარადაღის სომხები რუსეთის სამეფო სახლობას ერთგულებას უცხადებდენ და თანაც უცხო თესლთა ბატონობისან განთავისუფლებას სთხოვდენ.[5] რუსეთის მთავრობას ეს რასაკვირველია მოეწონა და მან გადასწყვიტა მეფე ერეკლეს

---

[1] *დედანში აქ ორწერტილია დასმული, მაგრამ სათანადო ციტატა არაა მოყვანილი* [რედ.].

[2] *ივ. ჯავახიშვილს დედანში შეცდომით მითითებული აქვს 2000, რაც არასწორია. N6 ბუტკოვის ნაშრომის [*Бутков, 1869, II стр. 143*] მიხედვით უნდა იყოს: 200* [რედ.].

[3] ნ. ბუტკოვი, Материалы [,] II 142. *იგულისხმება:* Бутков, 1869, II стр. 142-143, *სქოლიო; ივ. ჯავახიშვილს მითითებული აქვს მხოლოდ: „გვ. 142“* [რედ.].

[4] *მცირე უზუსტობაა გამოთვლებში. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის მიერ დასახელებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ სომეხთა რიცხოვნობას შევაჯამეთ. მივიღებთ და არა 17000-ს. ამასთან პ. ბუტკოვის მიერ დამოწმებული წყაროში ასევე დასახელებულია სომხები შირვანში (2000), შექში (1000) და თავრიზში (500), რაც საერთო ჯამში 18000-ია. აქედან თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე 3 დასახლებაა (თავრიზი, მარაღა, ხოი).*

დასახლება	ტერიტორიული მიკუთვნებულობა	კომლთა რიცხოვნობა	დასახლება	ტერიტორიული მიკუთვნებულობა	კომლთა რიცხოვნობა
განჯა	აზერბაიჯანი	1500	ყარაბაღი	აზერბაიჯანი	7000
დერბენდი	დაღესტანი	1000	ყარადაღი	აზერბაიჯანი	300
ერევანი	სომხეთი	3000	შექი	აზერბაიჯანი	1000
თავრიზი	ირანი	500	შირვანი	აზერბაიჯანი	2000
მარაღა	ირანი	200	ხოი	ირანი	1000
ნახჭევანი	აზერბაიჯანი	500	**ჯამი**		**1800**

საინტერესოა საკითხი, თუ სად ატარებდა ივ. ჯავახიშვილი ამიერკავკასიის (და საერთოდ) კავკასიის სამხრეთ საზღვარს, რაც შემდგომი კვლევის საგანია [რედ.].

[5] *მართალია, პ. ბუტკოვის წყაროზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ გეორ-*

დახმარებით შუშის ხანი დაემხო და ყარაბაღითგან და ყარადაღითგან **ერთი სომხური ოლქი** (областъ) **შეედგინა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რუსეთისაგან უნდა ყოფილიყო დამოკიდებული.** ამ ოლქს მართვა-გამგეობა სომეხთა თანამემამულეს უნდა ჩაჰბარებოდა და კარგად უნდა მოწყობილიყო, რომ დანარჩენ სომხების ოლქებსაც ყარაბაღელ[ი] სომხებისათვის მიებაძათ და მათთან შეერთებულიყვნენ. ამ გზით რუსეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ აზიაში საქრისტიანო სახელმწიფოს ა[ა]ღორძინებდა.[1]

ეს უკვე **გარკვეული პოლიტიკური გეგმაა**, რომელიც თითქოს სომეხთა საკეთილდღეოდ იყო შედგენილი, მაგრამ რომლის განხორციელებაც **რუსეთს ამიერკავკასიაში მტკიცედ ფეხს მოაკიდინებდა.** საქრისტიანო სომხურ სახელმწიფოს აღორძინება უეჭველია სომეხთა გულითადი ნატვრა იყო და საფიქრებელია, რომ რუსეთის მთავრობის მიერ სწორედ მათ მისაზიდავად და აღსაფრთოვანებლად იყო ამ გეგმაში ეს აზრი შეტანილი.[2]

ამიერითგან მოყოლებული უცნაური მდგომარეობა შეიქმნა: **სომხები ორმაგს კავშირს იჭერდენ ერთის მხრით საქართველოსთან,** მეფე ერეკლე II ან გიორგი მეფესთან, საქართველოში შემოიხიზნებოდენ ხოლმე, ვითარცა დევნილნი, და შედარებით მყუდრო თავშესაფარს პოულობდენ. იმავე დროს, **მეორე მხრით-კი იდუმალ რუსეთის მფარველობას ამოეფარებოდენ ხოლმე და რუსეთის მთავრობის დახმარებით საქართველოში თავიანთ საქმეს იკეთებდენ**.

როგორც არა ერთხელ ეს ქართველებსაც შემთხვევიათ, სომხებმაც პირადად გამოსცადეს, რამდენად სახიფათო იყო რუსეთის დახმარების მოიმედეობა: რუსეთმა რომ ერეკლე მეფესთან დადებული ხელშეკრულობისდა მიუხედავად საქართველოთგან მეშველი ჯარი მთლად გაიყვანა და ჩვენი ქვეყანა გააფთრებულ მტრების პირისპირ დასტოვა, ამის საბედისწერო შედეგი მარტო საქართველომ კი არ იგრძნო, არამედ სომხებმაც და თვით ყარაბაღის მფლობელმა იბრაჰიმ ხანმაც. **აღამახმედ ხანის შემოსევის დროს ყარაბაღის ხანი იძულებული იყო ყველა სომხებისათვის**, ვისაცა-კი იარაღის ხმარების უნარი არ ჰქონდა ან ციხეში არ დაეტივნენ, **მეზობელთა სამფლობელოებში, განსაკუთრებით საქართველოში, გახიზვნის ნება მიეცა იმ იმედით**, რომ როცა ქარიშხალი დაწყნარდებოდა **ისევ უკან დაებრუნებინა, მაგრამ** არამც თუ **გახიზნებული სომხები ყარაბაღში აღარ დაბრუნებულან, სხვებმაც-კი მათ მიჰბაძეს**: თავიანთ[ი] მელიქების წინამძღოლობით აიყარნენ და ზოგი განჯაში, ზოგი კიდევ ისევ საქართველოში გადასახლდენ.[3]

ფრიად დამახასიათებელია, რომ სომეხთა კ[ათალიკო]ზმა ლუკამ სა[ქართვე]ლოს ასაოხრებლად 1795 წ. მომავალს სპარსეთის შაჰს აღამაჰმედხანს, ალბად შიშით, სამხედრო ხარჯების დასაფარავად" 100.000 მ. მისცა, ხოლო მეორეს მხრით იმავე დროს შეძლებული სომხები ყარაბაღითგან, ერევნითგან, ნახჭავნითგან და სხვა ადგილებითგან მაჰმადიან მცხოვრებლებთან ერთად საქ[ართვე]ლოში გამორბოდენ და იქ ფამბაკის ხეობაში იხიზნებოდნენ იმ იმედით, რომ აღამაჰმედხანი საქ[ართვე]ლოში შესევას ვერ გაბედავდა.[4]

გიევსკის ტრაქტატის (1783 წ. 24 ივლისი) დადებამდე სომეხთა ეპისკოპოსებმა, მელიქებმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა რუსეთის მთავრობას 1783 წ. 3 მარტს შედგენილი თხოვნა მიართვეს, სადაც ყარაბაღისა და ყარადაღის სომხები რუსეთის სამეფო სახლობას ერთგულებას უცხადებდენ და თანაც უცხოელთა ბატონობისან განთავისუფლებას სთხოვდენ, თუმცა იგი არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს ფარულად განხორციელდა: «Когда принятіе Грузіи подъ верховную власть россійской державы было рѣшнено, карабагскіе и карадагскіе Армяне, чрезъ тайную *[ხაზგასმა – რედ.]* посылку, изъявили россійскому двору свою преданность и умоляли освободить ихъ отъ иноплеменнаго ига... о всемъ томъ подписано всѣми ихъ архіереями, меликами и другими знатнѣйшими людьми» [რედ.].

1 ნ. ბუტკოვი, Материалы [,] II 142. *იგულისხმება:* Бутков, II, 1869. стр. 142 [რედ.].

2 *აქ გაგეძელება გადახაზულია, სადაც ეწერა: „თორემ რა დასაჯერებელია, რომ ის რუსეთი, რომელიც უამითოდაც (?) დამოუკიდებელ სახელმწიფოებს სპობდა, ვისიმე სხვისთვის, თუ არა თავის თავისთვის ჩასაყლაპავად ახალს დაარსებდა."* [რედ.].

3 იხ. Записка с.с. Коваленскаго о Грузии, АКАГК т. I, გვ. 120. *იგულისხმება:* Записка с.с. Коваленскаго..., 1866. стр. 120-121 [რედ.].

4 Бутковъ, Материалы II, 337. *იგულისხმება:* Бутков, II, 1869. стр. 337 [რედ.].

ტფილისის აოხრების შემდგომაც მელიქები აბოვი და მეჯლუმი თავის ყმებიანად ისევ ერ-ეკლე მეფეს შეეხეეწნენ და საქ[ართვე]ლოში დასახლების ნებართვა სთხოვეს.[1] ერეკლე მეფემ მელიქ აბოვის ვედრება შეისმინა, ს. ბოლნისი მისცა და კოლპის გზის დაცვა ვალად დააკისრა.[2]

დანარჩენმა სომეხმა მელიქებმა სხვა გზა ირჩიეს: მელიქების ჯიმშედისა და ფრიდონის მეთაურობით საქართველოს მეფეს ზურგი აუქციეს და პირდაპირ რუსეთის მთავრობასთან დაიჭირეს საქმე. წავიდენ და ხუთივე სომეხ მელიქის სახელით რუსთ ხელმწიფეს იდუმალ[ი] თხოვნა მიართვეს, **თქვენ ქვეშევრდომებად და მფარველობის ქვეშ მიგვიღეთო.** ამასთანავე **ისინი თხთულობდენ, რომ მათ რუსთ ხელმწიფესაგან, ან რუსეთში შეხიზვნის, ან იმავე პირობებით საქართველოში დასახლების ნებართვა მისცემოდათ.**[3]

უეჭველია ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო: საქართველოს დამოუკიდებ-ელ არსებობის წყალობით სომხები თავიანთთვის საქ[ართვე]ლოში აუცილებელ განადგურებისა-გან თავშესაფარს პოულობდენ და მადლობის მაგიერ საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება ჰსურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა [და] ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს.

როგორც ეტყობა სომეხი მელიქები ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ. იმათ კარგად იცოდნენ რასაც სჩადიოდნენ და დარწმუნებული იყვნენ, რომ თავიანთ მიზანს მიაღწევდენ.

მართლაც, **რუსეთმა ისინი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო და, თუმცა-კი ეს დადებული ხელშეკრულობის დარღვევა იყო, მაგრამ მაინც რუსთ ხელმწიფეს მათთვის სხვის სახელმწიფო-ში, საქართველოში, დასახლების ნებართვა მიუცია. ასე იყო ეს საქმე მოწყობილი ფარულად. ოფიციალურად-კი რუსეთის ელჩს საქართველოში დავალებული ჰქონდა,** რომ ის საქ[ართვე] ლოს მეფესთან ცდილიყო და სომეხ მელიქებისა და მათ ყმებისთვის დასასახლებელი მიწები განსაკუთრებით შეღავათიან პირობით დაეთმობინებინა. მიწერილობაში ნათქვამი იყო, რომ ელჩს უნდა **ჩაეგონებინა მეფისთვის, ვითომცდა რუსეთის მთავრობა თვით საქართველოს სა-კეთილდღეოდ ცდილობდა და კისრულობდა ამ საქმეში შუამავლობას.**[4]

ყველამ კარგად იცის, რომ დიდ „მფარველ" სახელმწიფოს „თხოვნა" პატარა სახელმწიფოს-თვის იძულებას უდრის. ამის წყალობით **სომხებმა** და **რუსეთის მთავრობამ თავიანთ წადილს მიაღწიეს: სომხებმა მიწები მიიღეს, რუსებმა-კი საქ[ართვე]ლოში იდუმალ[ი] ქვეშევრდომები და თავიანთ გაბატონების უერთგულესი წინამავალი რაზმი გაიჩინეს.** ერეკლე მეფემ დაასახლა ისინი ზოგი თელავში, ზოგი სიღნაღში.

ქვემო ქართლში ე.წ. **სომხითში და ლორეში,** მელიქ აბოს გარდა არავინ დასახლებულა. ის მაშინაც, როცა საქ[ართვე]ლო რუსეთს შეუერთდა, თითქმის უკაცრიელი იყო და **მხოლოდ 1827-9 წ[ლებ]ში, როდესაც ოსმალეთითგან 100 000 სული მცხოვრები, ხოლო სპარსეთითგან 30 000 სული შემოიხიზნა და ნაწილი მათგანი ბორჩალოს მაზრაში,** ნაწილი ერევნის გუ-ბერნიაში **დაეშენა, მხოლოდ ამ დროითგან მოყოლებული ჩნდება ქვემოქართლში მჭიდრო და შედარებით მრავალრიცხოვანი სომეხთა მოსახლეობა.**[5]

---

1 АКАГК т. I, 123 და 134. *იგულისხმება:* Отношение с.с. Ковалеснкаго..., *1866.* стр. *134,* § *47* [რედ].

2 იქვე, I, 116. შენ. *იგულისხმება:* Записка с.с. Коваленскаго..., 1866. стр. 116, *სქოლიო; ივ. ჯავახიშვი-ლის მიერ დამოწმებულ წყაროს მიხედვით იმ კომლთა რაოდენობა, რომელთა დასახლების ნებართვას ითხოვდნენ ერეკლე მეფისაგან მელიქები აბოვი და მეჯლუმი, 1000-ით განისაზღვრებოდა:* «Один изъ влятельнѣйших Армянъ въ – Царь Ираклїё пригласилъ его къ себѣ ему во владѣнїе сел Болнисъ, имѣвшее около 100 дымовъ, гдѣ ему поручено было наблюдать за безопасностїю дорогами, но которой Грузины отправлялись за солью въ Кульпы» [რედ.].

3 იქვე I, 123 და 134. *იგულისხმება:* Записка с.с. Коваленскаго..., 1866. стр. 123б § 34; Отношение с.с. Коваленскаго..., 1881. стр. 134; § 47 [რედ.].

4 იხ. Иностр. изъ Госуд. Кол. Иностр. делъ Коваленскому. АКАГК т. I, 94 § 10. *იგულისხმება:* Инструкция, данная..., *1866.* стр. *94-95, - 10* [რედ.].

5 ივანენკო[,] История гражд. упр. და Шахатунянъ, Админ. перед. 168-179. *იგულისხმება:* Иваненко, *1901;* Шахатунянъ, 1918. стр. *168-179;* *ა. შახატუნიანს XIX საუკუნის I ნახევარში ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული სურათის შეცვლას ხნის არა მარტო სომხების აქ დასახლებით, არამედ ამ მხ-*

§ 8. ქვემო ქართლის კუთვნილების საკითხი ისტორიულისა და თანამედროვე თვალსაზრისით

ამგვარად[,] **ორი გარემოებაა სრულებით ცხადი:**[1] **ერთი ის, რომ ამ კუთხის ახალშენი სომხები იმ სომეხთა მემკვიდრეები არ არიან, რომელნიც ოდესღაც საქართველოს ამ კუთხის სომეხთა მიერ ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ მიტაცებისა და ბატონობის გამო აქ ქართველ მკვიდრ მცხოვრებთა შორის გაჩნდენ, არც იმ სომეხთა მემკვიდრენი არიან, რომელნიც შემდეგ საუკუნეებში საქ[ართვე]ლოს მთავრობის ნებართვით დროგამოშვებით სახლდებოდენ.** (ის მოსახლეობა ხომ რამდენჯერმე ხან აიყარა სამუდამოდ, ხან მტრის მრავალგზისი შემოსევისაგან მკვიდრ ქართველებთან ერთად ამოწყდა), – **მეორეც ის, რომ სომეხ მცხოვრებთა ეხლანდელი სიმრავლე საქ[ართვე]ლოს სამხრეთის სამზღვარზე გარემოებათა ბუნებრივი შედეგი კი არ იყო, არამედ მხოლოდ რუსთა მთავრობის პოლიტიკურ გეგმისდა თანახმად მათი უცხოეთითგან ხელოვნურ[ი] გადმოსახლების შედეგი.**

ამ ხელოვნურ ხელშემწყობ პირობებისდა მიუხედავად სომხები მაინც მცხოვრებთა შორის აბსოლუტურ სიმრავლეს კი არ შეადგენენ, არამედ მხოლოდ შედარებითს. 1897 წ-ის საყოველთაო აღწერისდა თანახმად ბორჩალოს მაზრაში სულ 128 587 მცხოვრები ითვლებოდა და მათ შორის სომხები 48 609, თურქ-თათრები 37 609, ბერძნები 21 347 და ქართველები 6 685.[2]

საგულისხმიეროა და დამახასიათებელი, რომ **საქართველოს და სომხეთის პოლიტიკური განახლება და დამოუკიდებლობის აღდგენა ამ ჟამადაც სომეხთა იერიშით და ომით დაიწყო ისევ საქ[ართვე]ლოს იმავე სამხრეთის სამზღვარზე მდებარე ქვეყნის, ქვემოქართლის, ანუ როგორც იგი რუსების მიერ წოდებულია, ბორჩალოს მაზრის დასაპყრობად.**

ზემოთქმული ვრცელი მიმოხილვის შემდგომ, რომელშიაც აღნუსხული იყო საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ამ კუთხის მდგომარეობა, დასკვნის გამოყვანა ძნელი არ არის. თავისდა-თავად ცხადია **სომეხთა უკანასკნელი დასახლება ქვემო ქართლში საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილის მდგომარეობას ვერც ერთის მხრით ვერ შესცვლიდა. რუსეთთან 1783 წ. დადებული ხელშეკრულების ძალითაც და პოლიტიკურად რეალური მფლობელობითაც საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს იგი საქ[ართვე]ლოს უცილობელი კუთვნილება იყო. ხოლო რუსეთთან შეკრულ[ი] კავშირსა და მფარველობის ერთად-ერთი მიზანი საქართველოსთვის ჩვენი ქვეყნის მიწაწყლისა და დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობა შეადგენდა. ეს დებულება თვით ხელშეკრულებაშიც არის შეტანილი** და იქ მეორე მუხლში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელმწიფე თავდებობას კისრულობს, რომ მეფე ერეკლეს მაშინდელ სამფლობელოს ანუ სამეფოს მთლიანობა და ხელშეუხებლობა დაცული იქნებოდა (Е.В. даетъ Императорское свое ручательство на сохраненіе целости настоящихъ владеній Е. С. Царя Ираклія Теймурзовича). **მაშასადამე, როდესაც რუსეთის მთავრობა ამ ქვემოქართლში სომხებს დასახლების ნებას აძლევდა, ეს შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ეთნოგრაფიული თვისების**

არიდან მეზობელ ქვეყნებში მუსულმანების გადასახლებითაც: «*... обстоятельства, имѣвшія* мѣсто послѣ этнографическую карту Армянскаго нагорья въ пользу армянъ. Послѣ этихъ войнъ, послѣдовала эмиграція мусульманъ изъ занятыхъ областей въ Турцію и отчасти Персію и иммиграція армянъ турецкихъ и персидскихъ въ предѣлы Закавказской Арменіи изъ мѣсть занятыхъ русскими войсками, но потомъ возвращенныхъ. На Армянскомъ плоскогоріи устроилось до 100 тысячъ турецкихъ и до 30 тыссичъ персидскихъ армянъ, главнымъ образомъ въ предѣлахъ теперешней Эриванской и южной части Тифлисской губерніи Образовалось сплошное армянское населене Ахалкалакскаго, Александропольскаго и Новобаязетскаго уѣздовъ» [რედ.].

[1] *აქ გადახაზულია შემდეგი წინადადება: „ერთი ის რომ აქ სომეხ მცხოვრებთა სიმარავლე საქ[ართვე]ლოს სამხრეთის სამზღვარზე საქმეთა ბუნებრივი მიმდინარეობის შედეგი კი არ არის, არამედ მხოლოდ მათი უცხოეთითგან ხელოვნურ გადმოსახლების წყალობით შეიქმნა“* [რედ.].

[2] იხ. აგრედვე А. Шахатунянъ, Адм. пер.72. *იგულისხმება:* Шахатунянъ, *1918.* стр. *70-72. ავტორის მიერ დასახელებული რიცხვები ზუსტი არაა. ცალკეული ეროვნებების რიცხვითი მაჩვენებლების ჯამი უდრის 114 250-ს* [რედ.].

მოვლენა ყოფილიყო და თვით საქართველო და ქართველობა ამ გარემოებას ვერას გზით მის მიწა-წყლის სახელმწიფოებრივ სამზღვრებს შემცვლელ გარემოებად ვერ ჩასთვლის მით უმეტეს, რომ სომეხთა სამშობლოთგან აყრა და საქ[ართვე]ლოში გადმოსახლება მათი ოსმალეთისა და სპარსეთს მიერ დევნის შედეგი იყო და ცხადია, რა წამს მდგომარეობა მათთვის საკეთილ-დღეოდ შეიცვლებოდა, ისინი ისევ თავიანთ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნ.

რაკი სომეხთა დასახლებით ქვემოქართლში, ბორჩალოს მაზრაში[,] იმ კუთხის გეოგრაფიული თვისებებიც, თავის-თავად ცხადია, არ შეიცვლებოდა, **საუკეთესო გზებიც ტოპოგრაფიული პირობების გამო ტფილისისაკენ არის მიმართული და ამის გამო ეს მხარე წინანდებურად დანარჩენ საქ[ართვე]ლოსთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული. ამიტომ ეკონომიურ[ი] დამოკიდებულების ვითარებაც მისა და ჩვენ[ი] ქვეყნის დანარჩენ ადგილებს შორის არ შეცვლილა,** – კვლავინდებურად ეხლაც ეს კუთხე საქართველოსთან არის დაკავშირებული. **ეს გარემოება ამ კუთხის თვით ადგილობრივ დაწესებულებთა წარმომადგენლებსაც არა-ერთხელ ხმამაღლა აღუნიშნავთ** იმ დროსაც, როდესაც პოლიტიკური საკითხის წამოყენება ჯერ ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, იმ დროს, როდესაც კავკასიაში მეფის მოადგილედ სომეხთა თავგამოდებულ მომხრეობით ცნობილი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი იყო. სომხებმა ისარგებლეს ამ ხელსაყრელ შემთხვევით და ვორონცოვ-დაშკოვის წყალობით წამოაყენეს საკითხი ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების შესახებ, რომ ამგვარი სრულებით ხელოვნურ[ი] საშუალებით გუმბრის (ალექსანდროპოლის) გუბერნია შეექმნათ.

რომ სომეხთა სურვილი განხორციელებულიყო ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა ეს საკითხი შეესწავლათ და შესაფერისი მოხსენება დაემზადებინათ. ამიტომ 1913 წელს, 6 ნოემბერს და 18 დეკემბერს ტფილისის გუბერნატორმა ბორჩალოს სამაზრო კომისიას მიწერილობა გაუგზავნა, რომ მას მცოდნე პირთა თანდასწრებით ადგილობრივ გამოერკვია, შესაძლებელია თუ არა, რომ ბორჩალოს მაზრა გუმბრს (ალექსანდროპოლს) შეუერთდეს ერთ საგუბერნიო ერობის შესადგენად. **ამ სამაზრო კომისიამ, რომელშიც** ერთი რუსი იყო (მომრიგებელი მოსამართლე ბურნაშოვი), **6 სომეხი** (გადასახადთა ინსპექტორი ზახარიანცი, შულავერის საზოგადოების წარმომადგენელნი ერიბეკოვი და ვ. მეჰრაბოვი, ჯალალოღლის საზოგადოების წარმომადგენელნი ვ. სააკოვი და მ. ბახშინოვი, ბოლნის-ხაჩინის საზოგადოების წარმ[ომადგენე]ლი ვ. ავეტისოვი), 4 თათარი (მეჰტი-აღა-სულთანოვი, ახმედ მირზა მამედ-ოღლი შამილი, აბბას-ოღლი და აბდურახმან გაიბმოვი), 1 გერმანელი (იაკობ ტაუში) და 2 ქართველი (მაზრის უფროსის თანაშემწე ინალიშვილი, გადასახადთა ინსპექტორი ბარათაშვილი), **ერთმხრივ დაადგინა, რომ ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფა სასურველი არ არის** („единогласно высказались за нежелательность выделешя Борч. у. изъ состава Тифл. г.“). **თავიანთი დასკვნა მათ იმ მოსაზრებით აქვთ დასაბუთებული, რომ ეს მაზრა აღმოსაელეთით და სამხრეთით მთებით არის მორტყმული და გუმბრისაკენ მიმავალი ორი საურმო (ბეზობდაღისა და გულიბულახის) გზატკეცილები ზამთარში ნამქერების გამო გაუვალი ხდება, დანარჩენი გარდასავლები კი ამ მთებზე ზამთარში სრულებით შეკრულია ხოლმე, რომ ეკონომიურად მთელი ეს მხარე ტფილისთან არის დაკავშირებული:** იქ ჰყიდის თავის მოსავალს და იქვე ყიდულობს თავისთვის რაც რამე დასჭირდება.

ბორჩალოს სამაზრო კომისიის ეს დადგენილება 24 იანვარს 1914 წ.-ს ტფილისის საგუბერნიო განსაკუთრებულმა საბჭომ, რომელშიაც 11 რუსი სხვადასხვა მოხელე იღებდა მონაწილეობას გუბერნატორითგან მოყოლებული (ჩერნევსი[1], ს. პანოვი, სმირნოვი, კორვინ-პავლოვსკი, კ. სლავინსკი, მ. შესტაკოვი, ე. ციგანკოვი, მ. მისენკო, ს. პერშკე, იზიუმსკი და ჟდანოვი), 3 ქართველი (კ. აბხაზი, ი. აბხაზი და ტ. ქიქოძე) და 2 სომეხი (კ. იუზბაშევი და ელიმიზროვი), **მოიწონა და თითონაც სრულებით მიემხრო[2].**

---

[1] *1919 წ. გამოცემაში წერია „ჩერნიავსკი“, დედანში კი „ჩერნევსი“ წერია. ვინაიდან წყარო ვერ მოვიძიეთ, მაიც დედანს გამოვუცხადეთ ნდობა* [რედ.].

[2] იხ. ტფილ[ისის] გ[უბერნი]ის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრის ივ. აბხაზის მოხსენება. *ეს* დო-

ამ ერთმხრივ დასკვნას ორსავე განსაკუთრებულ საბჭოში და [1] ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიის სამზღვრებითგან გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების აზრის ამ ერთ-მხრივ უარყოფას ორთვე განსაკუთრებულ საბჭოში მით უმეტეს აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ თვით ამ საბჭოების მონაწილეებმა კარგად იცოდენ, რამდენად ამ აზრ[ი]ს განხორციელებას თვით მეფის მოადგილე და მისი თანაშემწე თანაუგრძნობდენ. ამიტომ **მოსალოდნელი იყო** კიდეც, **რომ ისინი კავკასიის უმაღლეს მთავრობისა და სომეხთა გულისწადილს კვერს დაუკრა-ვდენ. თუ ამისდა მიუხედავად ეს აზრი ერთმხრივ უარყოფილიყო ორჯერვე, ცხადია, რომ ბორ-ჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუმბრთან შეერთება სრულებით შეუწყნარებელი და ბუნებრივ პირობების მოუხეშავი დარღვევა იქმნებოდა**.

კუმენტი ჩენ ვერ მოვიძიეთ. ამ აბზაცს მოსდევს ახალი აბზაცი, რომელიც არც დასრულებულია და ასევე გადახაზულია: „თვით ადგილობრივმა მაცხოვრებლებმაც 1917 წ.ს, როდესაც ბორჩალოს მაზრის გამოყოფის და გუმბრთან შეერთ-“ [რედ.].

[1] *ამ წინადადებაში „ერთმხრივ უარყოფას“ აქაც წერია და მომდევნო სიტყვების შემდეგაც. კალმ-ისმიერი ლაფსუსია. ვტოვებთ მხოლოდ მეორეგან* [რედ.].

V თავი
სამხრთ-დასავლეთის სამზღვარი

მესხეთი ანუ ზემო ქართლი

საქ[ართვე]ლოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილს საზოგადო სახელად ზემოქართლი ეწოდებო-და, საკუთრივ-კი და უფრო ხშირად მას **მესხეთს ეძახდნენ** და სწორედ ამ სახელით იქმნება იგი ქვემოთ ნახსენები ხოლმე.

მესხეთი ბევრს სხვადასხვა სახელის მატარებელს თემს შეიცავდა. **მესხეთის სანაპირო თემებად** აღმოსავლეთითგან რომ მოვაყოლოთ შემდეგი ადგილები იყო: **ჯავახეთ-აბოცი, არტაჰ-ან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ[1]-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდის უკვე ლაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო**.

§ 1. პალაკაციო, ანუ აბოცი და საქართველოს ამ სამზღვრის ხაზი

აბოცი ჯავახეთის სამხრეთით მდებარეობდა და ვითარცა მესხეთისა და ქვემოქართლის შუა მდებარე თემი ზოგჯერ მესხეთს ეკუთვნოდა. მაგრამ ხშირად და მე-XVII-XVIII-ე ს[აუკუნეებ]ში განსაკუთრებით ქვემოქართლის საზღვრებში იყო მოქცული.

ძველად აგრედვე პალაკაციოსაც ეძახდენ **აბოცს. შემდეგში**-კი, თუნდა მაგ. ვახტანგ VI-ის დროს, **ყაიყული ეწოდებოდა.** იგი ,,გამოხვეულია სრულიად მთითა და შუაში ვაკეა''.[2] აბოცს ტაშირისაგან იმგვარადვე როგორც ბერდუჯს, ანუ დებედას ბამბაკისაგან ,ჰყოფს **მთა ირჯანისა** და **აწ ყარაღაჯად წოდებული''.**[3] ამავე უკანასკნელ[ი] სახელით არის ეს მთა ეხლაც ცნობილი. მას ჩრდილო-სამხრეთით აქვს მიმართულება, ,,მდებარებს სამხრიდამ ჩრდილოთ კერძ''.[4] მაღალია, ,,მარადის თოვლიანი[,] და უტყეო[,] და კალთათა ბალახოვანი''.[5]

დასავლეთ-სამხრეთით აბოცს სამზღვრად აღაბაბას მთა ჰქონდა, რომელიც ერთის მხრით ტბა **,,პალაკაციოს** (Чалдырское оз.)[6] და აბოცს შორის'' მდებარეობდა და **ამასთანავე იყო ,,საზღვარი ქართლისა და ყარსისა[,] ვიდრე თეთრციხემდე[7] და ტბამდე ტაშაღანისა''.**[8]

ამ აბოცში მდებარეობდა ,,ყაზანჩი'', რომელიც თურმე ,,იყო ქალაქი მცირე''.[9] ორივე სახელი ყაიყულიცა და ყაზანჩიც ვითარცა ნაშთი ეხლაც არის საგეოგრაფიო სახელად შენახული რუკებზე ,,ყაიყული-ყაზანჩი''-ს სახით სწორედ ყარაღაჯის ქედსა და აღაბაბას მთას შორის მდებარე მაღლობ ვაკეზე.

მაშასადამე, **აბოცის სამხრეთის სამზღვარი იწყობა იქ, სადაც ირჯინის ანუ ყარა-ღაჯისა და ბერდუჯის (ბეზობდალის) მთების შესაყარია. აქეთგან ხაზი მიდის ბაბას მთების ქედ-ქედ დიდ**

---

1 *აქ და ყველგან უნდა იყოს თორთომი* [რედ.].

2 ვახუშტი. გეოგრაფია[,]. 148-150. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 148-150; ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: ,,გამოხვეული სულიად მთითა, და შუა-ში ვაკე''* [რედ.].

3 იქვე. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 148* [რედ.].

4 იქვე. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 148* [რედ.].

5 იქვე. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 148* [რედ.].

6 *ფრჩხილების რუსული ტექსტი არ არის ბროსეს გამოცემაში [1842]. იგი ივ. ჯავახიშვილისეული განმარტებაა* [რედ.].

7 *ვახუშტის 1842 წლის გამოცემაში მითითებულია: ,,თეთრი-ციხემდე''* [რედ.].

8 ვახუშტი. გეოგრაფია[,]. 150. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 150* [რედ.].

9 იქვე. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842, გვ. 150* [რედ.].

ალბაბის მწვერვალამდე, შემდეგ უკვე საკუთრივ მესხეთის სამზღვარი იწყობა და იმ მთავარ, ძველად ყარსის მთებად წოდებულ[ი], წყალთგამყოფელს მთების ქედს მისდევს, რომელიც მტ-კვრისა და ჭოროხის შემდინარეების აუზს არეზის აუზისაგან ჰყოფენ და რომელნიც ამ ჟამად ჯერ ყარსის გუბ[ერნი]ის არტაანის ოლქისა და მერმე ოლთისის ოლქის სამხრეთ აღმოსავ-ლეთს სამზღვარს ჰქმნის. შემდეგ სამზღვარი მიდის ძველ დროს ირიჯლუს მთებად წოდებულ ჭოროხისა და არეზის შემდინარეების წყალთგამყოფელს მთების ქედზე, მერმე ჩრდილო-დასავ-ლეთით უხვევს, სანამ ლაზისტანის სამზღვარს არ მიადგება.

§ 2. ტაო-ისპირის მოსახლეობა უძველეს დროს და VIII-XII ს[აუკუნეებში]

[1]უძველეს დროს ლაზისტანივით **ტაო და ისპირიც ქართველთა ტომს ლაზებს (ხალიბებს)** ეკუთვნოდა. მაგრამ **მე-II ს[საუკუნეში] ქ[რისტეს] წ[ელთაღრიცხვამდე] სომხებმა მათ ტაო წაართვეს** და ამის წყალობით **აქ შერეული მოსახლეობა გაჩნდა.** გაქრისტიანების დროსაც ეს ქვეყანა ისევ სომეხთა ხელში ყოფილა. სპარსეთ-ბიზანტიას შორის მე-VI-ე საუკუნეში გამწვავებული და ხანგრძლივ[ი] ომიანობისა და ხოლერის მსგავსი საშინელი მოარულის მძვ-ინვარების გამო თითქმის მთელს ზემოქართლში, ანუ მესხეთში, განსაკუთრებით-კი სამცხეში, შავშეთ-კლარჯეთში და ტაოში, ხალხი თითქმის სრულებით მოისპო[2]. სხვათა შორის **ტაოში ყოფილი შერეული მოსახლეობაც ამოწყდა და თითქმის მთელი ტაო უდაბურ ტყით შეიმოსა. მხოლოდ მე-IX-ე ს[აუკუნე]ში აქ კვლავ ქართული მოსახლეობა ჩნდება:** შიდაქართლითგან ჯერ მეუდაბნოენი და მონაზონები შემოდიან და სახლდებიან, ხოლო მათ კვალს მდაბიო ხალხიც გაჰყვა, დაბურული ტყეები გაჩეხა, დასახლდა და ბერებისა და ახალშენთა დაუღალვი შრომის წყალობით ეს ქვეყნები ქ[ართულ]ი საეკლესიო და სამოქალაქო კულტურის ნაყოფიერ ასპარ-ეზად იქცა. **მე-IX-XIV-ე ს[აუკუნე]ების ქართული ხელოვნების მრავალი საუცხოვო ძეგლე-ბი, რომელთა ნაშთმა მთელს მესხეთში მრავლად მოაღწია ჩვენამდისაც კი, ამ გარემოების მჭერმეტყველი დამამტკიცებელი საბუთია.** მესხ მოღვაწეთა და მწერლების ენაც საუკეთესო ქართულად ითვლებოდა.[3]

§ 3. მესხეთის მდგომარეობა და პოლიტიკური ბედიღბალი XIII-XVIII ს[აუკუნეებში] და მისი გამაჰმადიანება

ზემო ქართლი, ანუ მესხეთი საცხე-ჯავახეთითგან მოყოლებული ტაო-ისპირამდე ერთს საგ-ამგეო ერთეულს, საერისთავთ-ერისთავოს და სამთავროს შეადგენდა. მე-XIII-ე ს.-ის მეორე ნახევარში მესხების მთავრის განსაგებელი იწყობოდა ბორჯომის ხეობითგან, ტაშისკარითგან

---

[1] *ეს აბზაცისხვაგვარად იწყებოდა, რომელიც შემდეგ გადაუხაზავს: „საქ[ართვე]ლოს სამხრეთ-დასავ-ლეთი ნაწილი ზემო ქართლად იწოდებოდა. ზემო ქართლი მესხეთითგან შესდგებოდა და და ბევრს სხვადასხვა თემს შეიცავდა. მესხეთის ანუ ზემო ქ[ართ]ლის სანაპირო ქვეყნად აღმოსავლეთითგან მოყოლებული ჯავახეთ-აბოცი, არტაან-კოლა. კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. კლარჯე-თის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდის უკვე ლაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო“* [რედ.]

[2] იხ. ქ[ართველ]ი ერის ისტ[ორია], II, 320, 327, 333. *იგულისხმება: ჯავახიშვილი, 1913-1914. გვ. 320, 327, 333* [რედ.].

[3] *ამას მოჰყვება შემდეგი გადახაზული წინადადება: „მაგრამ მთელს მცირე აზიაში და ევროპულ ბი-ზანტიაში ოსმალების გაბატონებამ საქ[ართვე]ლოს ეს აყვავებული კუთხეც საშინელს განსაცდელში ჩააგდო. სა-“* [რედ.].

და კარნუქალაქამდის აღწევდ.[1] მე-XIII-ე ს.-ის დამდეგს თამარ მეფის მიერ დაარსებულს ტრაპიზონის იმპერიაში მოექცა **ლაზისტანი, ანუ ჭანეთი, მაგრამ შემდეგში იგი საქ[ართვე]ლოს შემოუერთდა და ჯერ მესხეთის მთავარს, შემდეგ გურიელს ეჭირა, ხოლო 1511 წ. სამცხის მთავრის, ათაბაგის ხელში გადავიდა.**[2]

ოსმალთა გაბატონებამ მცირე აზიაში და კონსტანტინეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქ[ართვე]ლო, მეტადრე **ეს** უკანასკნელი **მონაპირე კუთხე, საშინელს განსაცდელში ჩააგდო.** საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი **დაუცხრომელ[ი] სიმედგრით საქ[ართვე]ლოს ამ ძვირფას და მშვენიერ[ი] ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა.** ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიური შევიწროებით იგი **ცდილობდა, რომ ქრისტიანობა დაემხო აქაურ ქართველთა შორის და ქვეყანა გაემაჰმადიანებინა:** ჯერ უმაღლეს წრითგან დაიწყეს, შემდეგ ხანგძლივ ბრძოლის საშუალებით თვით ხალხშიც გაავრცელეს მაჰმადიანობა. მე-**XVII-ე ს-ის პირველ მეოთხედითგან დაიწყო გამაჰმადიანების პროცესი**[3] **და მთელ მე-XVIII-ე და მე-XIX-ე ს-ის დამდეგამდის გაგრძელდა**. რომ წინანდელი დამოუკიდებლობისა და ქართველობის ხსენებაც-კი მოესპოთ, **ოსმალებმა სამცხის მფლობელნი „ახალციხის ფაშა"-დ გახადეს,** მხოლოდ ეს ღირსება ამავე საგვარეულოს მემკვიდრეობითი კუთვნილებად დასტოვეს. ამ საშუალებით ოსმალეთმა ეს მშვენიერი ქვეყანა საქართველოს მოსწყვიტა და მთლად შთანთქვა. **ოსმალთა ბატონობის დროს ახალციხის საფაშო (ფაშალიკ) კვლავინდებურად მთელ[ი] ჭოროხის მხარესაც შეიცავდა და 24 თემად ანუ სანჯაყად იყოფებოდა. თვითეულს თემს ან სანჯაყს სათავეში მემკვიდრეობითი მფლობელები სანჯაყბეგები უდგნენ.**

§ 4. უფლებრივი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასა და მესხეთს შორის XVIII ს[აუკუნეში]

ადვილი წარმოსადგენია, რომ **საქ[ართვე]ლო ასეთი კუთხის დაკარგვას და ამოდენი მოძმე ქართველობის მოწყვეტას ისე ადვილად ვერ შეურიგდებოდა.**[4] უფრო ძველ დროითგანაც რომ არ დავიწყოთ, ისიც საკმარისი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ მე-XV1II-ე ს[აუკუნე]შიაც მაგ. **თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის დროს, საქართველოს მთავრობა ცდილობ[დ]ა** ახალციხის ფაშებთან, რომელთაც მაჰმადიანობისდა მიუხედავად თავიანთი ქართველობა დავიწყებული არ ჰქონდათ, ერთის მხრით განსაკუთრებით კეთილი მეზობლურ კავშირი ჰქონდათ და ეს ცდა უნაყოფო არ ყოფილა,[5] მეორეს მხრით **ყოველ[ი] ხელსაყრელ[ი] შემთხვევით სარგებლობდა, რომ თავიანთი უფლება მესხეთზე ანუ ახალციხის საფაშოზე გამოეაშკარავებინა**. ამიტომ იყო, რომ საქ[ართვე]ლოს მეფეები თავიანთ თავს ასე ხაზ-გასმით სამეფო სახელწოდებაში ამ ქვეყნის მემკვიდრეობით მფლობელად აცხადებდენ.[6] **ამავე მიზნის მისაღწევად, სრულიად საქ[ართვე]ლოს გაერთიანების განხორციელების ხელშემწყობ პირობების შესაქმნელად, განსაკუთრებით-კი სწორედ ამ ძველ ქვემოქართლის,**[7] **ახალციხის საფაშოს, საქართველოსთან შემოსაერთებლად იყო სხვათა შორის 1783 წ. ხელშეკრულება ერეკლე მეფისა და ეკატერინე II შორის დადებუ-**

---

[1] ჟამთააღ[მწერელი], * 875, გვ. 719. *იგულისხმება: ჟამთააღმწერელი, ხელნაწერი, გვ. 875; ქართლის ცხოვრება, 1906. გვ. 719* [რედ].

[2] ვახუშტი, საქ[ართვე]ლოს ც[ხოვრებ]ა. 241. *იგულისხმება: ვახუშტი, 1904. გვ. 241* [რედ.].

[3] ვახუშტი, საქ[ართვე]ლოს ც[ხოვრებ]ა. 254-257. *იგულისხმება: ვახუშტი, 1904. გვ. 254-257* [რედ.].

[4] *დედანში წერია „შეურიგდებოდნენ". კალმისმიერი ლაფსუსია და ნაბეჭდი ვარიანტს ვტოვებთ* [რედ.].

[5] Бурнашевъ, Картина Грузии. 14. და Н. Бутков, Материалы II, 141-142. *იგულისხმება:* Бурнашевъ, *1896.* стр. *141-14. Бутков П.Г. 1869* [რედ.].

[6] იხ. Бурнашевъ-ის Op. cit. 14 და Н. Бутков, Материалы II, 130. *იგულისხმება:* Бурнашевъ, *1896.* стр. *130;* Бутковъ, *1869.* стр. *130* [რედ.].

[7] *შეცდომაა: უნდა იყოს ზემოქართლი* [რედ.].

ლი.[1] ერეკლე მეფის წარმომადგენლებმა ამ **ხელშეკრულებაში მეორე მუხლად შეატანიეს,** რომ რუსეთის ხელმწიფე არამცთუ ერეკლე მეფის მაშინდელ სამეფოს სამფლობელოს ხელშეუხებლობის თავდებობას კისრულობდა, არამედ ისეთისაც, რომელიც შემდეგში შეძენილი იქმნებოდა. და რომ ეს მუხლი სწორედ იმ აზრით იყო ჩართული ხელშეკრულობაში, ამას იმდროინდელი რუსეთის ერთ-ერთ წარმომაგენელის ნ. ბუტკოვის სიტყვებიც ცხად-ჰყოფენ. მას პირდაპირ აქვს ნათქვამი, რომ ამ **„მეორე მუხლის შინაარსი სწორედ საქ[ართვე]ლოს მეფეთა ძველ სამფლობელოს, ახალციხის საფაშოს, ანუ სამცხო-საათაბაგოს ეხებოდა“**-ო.[2] სწორედ ასე გაიგო ამ ხელშეკრულობის შინაარსი იმდროინდელმა ახალციხის ფაშამ და რაკი დარწმუნდა, რომ საქ[ართვე]ლოს მეფისგან მის ფაშობას განსაცდელი მოელის, ამიტომ რუსეთთან ხელშეკრულობის დადების შემდგომ მეფე ერეკლეს გადაეკიდა და მტრობა დაუწყო.[3]

§ 5. რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთება და მისი შედეგი სომეხთა გადმოსახლება ამ კუთხეში

როდესაც რუსეთმა საქ[ართვე]ლო შემოიერთა, მესხეთი, ანუ ახალციხის საფაშო, ოსმალეთს შერჩა და მხოლოდ **1828 წ.-ს დაპყრობილ იქმნა ამ საფაშოს ერთი ნაწილი, ანდრიანოპოლის ზავით რუსეთმა შემოიერთა 24-თიგან მხოლოდ 10 სანჯაყი: ქობლიანისა, ოძრხისა (= აბასთუმანისა), ახალციხისა, აწყვერისა, ასპინძისა, ხერთვისისა, ახალქალაქის, ჯარაქისა, ფოცხოვისა და პალაკაციოსი (= ჩალდირისა), რაც ძველსა სამცხეს, ჯავახეთს, პალაკაციოს და ერუშეთს უდრის,** ხოლო რუსთა მიერ შემდეგში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრად და ფოცხოვის უბნად იყო წოდებული.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წ. ომის შემდგომ მესხეთის მეორე ნაწილიც იყო შემოერთებული, სახელდობრ აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი, ოლთისი. აქეთგან სამი პირველი თემი, ანუ სანჯაყი ბათუმის ოლქად იქმნა წოდებული, ხოლო ერუშეთი, არტაანი და ოლთისი რუსეთის მთავრობამ ყარსის ოლქის სამზღვრებში მოაქცია, თუმცა ერუშეთი (= ფოცხოვის უბანს) ყარსის მხარეს 7-8 თვის განმავლობაში მოწყვეტილია და ფოცხოვის უბნის ბოქაული ამის გამო იძულებულია ახალციხეში იცხოვროს.

მთელ ამ კუთხეში, განსაკუთრებით ქ[ართვე]ლ[ი] მაჰმადიანები ცხოვრობდენ.[4] რუსეთის აქ შესვლას **1828 წელს ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, მეტადრე ჯა-**

---

[1] *საინტერესო ცნობებს იგულისხმება: ა პ. ბუტკოვი გეორგიევსკის ტრაქტატისათვის უფლებამოსილ ქართველთა მოთხოვნის შესახებ, რომელიც შეეხებოდა ერეკლე II-ის ტიტულატურას. ამ მოთხოვნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, ვინაიდან ამ ტიტულატურით განისაზღვრებოდა ქვეყნის ტერიტორიები. თუმცა, იგი არ იყო მიღებული:* «Полномочные грузинск*и*е, при заключен*и* трактата, предложили слѣдующую форму титула царя Иракл*и*я*:* Иракл*и*й *II,* царь кахетинск*и*й и царь карталинск*и*й, наслѣдный князь самцхе-саатабагск*и*й *(სქოლიოში მითითებულია:* Ахалцихск*и*й пашалыкъ Турковъ.*),* князь казахск*и*й *(სქოლიოში მითითებულია:* Татары, въ Грузиобитающ*и*е.*),* князь борчальск*и*й *(სქოლიოში მითითებულია იგივე),* князь шамшадильск*и*й *(სქოლიოში მითითებულია იგივე),* князь кахск*и*й *(სქოლიოში მითითებულია:* Кахъ и Илису, отторженныя мѣста отъ Кахетии шахомъ Аббасомъ.*),* князь шакск*и*й *(სქოლიოში მითითებულია: i*Шаки, гдѣ городъ Нуха, самостоятельное ханство, отторженное шахомъ Аббасомъ отъ Кахетии.*)* и князь ширванск*и*й *(სქოლიოში მითითებულია:* Ширваномъ собственно называется шамах*и*йское ханство.*);* владѣтель и покровитель гандж*и*йск*и*й, эриванск*и*й и проч. Однако, въ трактатѣ сей титулъ не принять» [რედ.].

[2] – „Содержание 2-го артикула трактата... указывало прямо на ахалцихский пашаликъ или Самцхе-Саатабаго, древнее достояние царей грузинскихъ“. Н. Бутков, Материалы II, 142. *იგულისხმება:* Бутковъ, *1869. II.* стр. *142* [რედ.].

[3] Н. Бутков, Материалы II, 142. *იგულისხმება: Бутковъ, 1869. II. стр. 142* [რედ.].

[4] Иваненко, История гражданскаго управ. на Кавказе 265, 260. *იგულისხმება:* Иваненко, *1901* стр. *265, 260* [რედ.].

ვახეთითგან (= ეხლანდელს ახალქალაქის მაზრას) და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც (= ახალციხის მაზ[რა]). რუსებმა რომ ახალციხე აიღეს, კავკასიის მაშინდელს მთავარმართებელს ქ[ართვე]ლ[ი] თავადაზნაურები წარუდგენ და საქ[ართვე]ლოს მეფეთა წყალობის წიგნები მიუტანეს, რომლებითაც სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობითი უფლება მტკიცდება, და ამ საბუთების ძალით თავიანთ[ი] უფლების აღდგენას თხოულობდენ, მაგრამ პასკევიჩს არამცთუ ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, პირიქით განრისხდა კიდეც[1] **ამავე დროს ოსმალეთითგან, ყარსისა და არ-ზუმის საფაშოებითგან, იქაური სომხობა გამორბოდა და საქ[ართვე]ლოში თავშესაფარს ეძებ-და. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითოს 25 მან. დახმარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადისგან გაათავისუფლა. ამის წყალობით 90 000 მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა.** მათ დასასახლებლად საახალშენო კომიტეტი იყო დაარსე-ბული და ზემო მოყვანილი რიცხვითგან **30 000-მდე სომეხი დასახლებულ იქმნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში.**[2]

ამ გარემოებათა წყალობით **ახალციხ[ე]-ახალქალაქის მაზრების მოსახლეობის სურათი არსებითად შეიცვალა: წინათ იქ შედარებით მჭიდრო მოსახლეობა იყო,** 1832 წ. აღწერამ-კი დაამტკიცა, რომ მთელს ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანაში 50 000 ორთავე სქესის მცხ-ოვრებიც-კი აღარ იყო. უწინ მაგ. 1828 წ. ამოდენი ხალხი მარტო ქ. ახალციხეში ითვლებოდა. **ეროვნულ[ი] შემადგენლობის მხრივაც მდგომარეობა ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრაში ძირ-ფესეიანად შეიცვალა: თუ წინათ აქ მხოლოდ ქ[ართვე]ლობა ცხოვრობდა, 1832 წ.-ს.** ქ[ართვე]ლთა მაგიერ **უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდენ და ქ[ართვე]ლ მაჰმადიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილი-ღა ეჭირათ.**[3]

ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდენ სომხები ჯავახეთში, ქ[ართუ]ლი კულტურის ამ ძვ-ელის ძველს კერაში.

---

[1] АКАГК. VIII № 291 და Иваненко[,] op. cit. 199. *იგულისხმება:* Отношеніе барона..., *1881.* стр. *423-427, – 291;* Иваненко, *1901.* стр. *199; წყაროს მიხედვით, მკაფიოდ იკვეთება თვით ავტო-რის განწყობაც, რომ ქართველ თავადთა ეს მოთხოვნა არასამართლიანია. როგორც ჩანს, ეს რუსული იმპერიული სისტემის საერთო განწყობა იყო:* «... многочисленные князья Мачабели и Эристави ксанск*і*е заявили, что всѣ аулы, почитаемые теперь якобы завоеванными, съ давнихъ поръ принаджлежатъ имъ и составляютъ ихъ помѣщичью собственность, и потому они просять, удалить назначенныхъ туда приставовъ, разрѣшить имъ вступить въ управлен*і*е своими именѣн*і*ями. Заявлен*і*е это привело кавказское начальство въ величайшее негодован*і*е и на первыхъ порахъ оно было оставлено безъ всякаго разсмотрѣн*і*я. Паскевичъ все еще находился подъ впечатлѣн*і*мъ сцены, поразившей его еще подъ стѣнами Ахалциха. Едва только эта крѣпость была взята, какъ къ нему явились нѣсколько грузинскихъ князей и предьявили мвои помѣщичньи права на завоеванный пашалыкъ, представляя въ доказательство того жалованныя грамоты древныхъ царей (*სქოლიოში დამოწმებულია ამავე ნაშრომი-დან ცნობა). Беззастѣнчивость этихъ господъ не остановилась ни передъ вѣками, въ течен*і*е* которыхъ когда-то пожалованныя ихъ предкамъ земли находились во владѣн*і*и Турц*і*и, ни передъ потоками русской крови, пролитой для ихъ завоеван*і*я. Негодован*і*е Паскевича было совершенно понятно» [რედ.].

[2] Иваненко[,] op. cit. 265-266. *იგულისხმება:* Иваненко, *1901.* стр. *265-266* [რედ.].

[3] Иваненко[,] op. cit. 267. *იგულისხმება:* Иваненко, *1901.* стр. *267* [რედ.].

§ 6. სომეხთა წამოდავება ჯავახეთის სომხეთთან შესაერთებლად და ამ საკითხის ახლო წარსული

[1]**სომხებმა დაივიწყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთითგან მოვიდენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილნი, რომ სრულებით შემთხვევით ამ უძველეს დროითგან საქ[ართვე]ლოს უცილობელს კუთხეში ისინი უმრავლესობად იქცენ[2] და ამ გარემოებისდა მიუხედავად მაინც ახალქალაქის მაზრაც სომხეთის მიწაწყლად გამოაცხადეს.[3]** რომ ეს განხორციელებულიყო, მათ ამ მაზრის ტფილისის გუბერნიის, ანუ აღმოსავლეთ საქ[ართვე]ლოს საზღვრებითგან გამოყოფა მოითხოვეს, იმ მიზნით, რომ იგი დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეეერთებინათ და ამ გზით ერთი მთლიანი სომხური საერობო თვითმართველი ოლქი შეექმნილიყო. ეს აზრი წამოყენებული იყო სომხების მიერ 1913 წ.-ს, როდესაც კავკასიაში მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ილ. ვორონცოვ-დაშკოვი იყო. მათი წადილი რომ უფრო სამართლიანად და ობიექტურ მოსაზრებით ნაკარნახევად სჩვენებოდა ადამიანს, სომხებმა საბუთად ისიც-კი წამოაყენეს, ვითომც ჯავახეთი ანუ ახალქალაქის მაზრა ეკონომიურად ტფილისის გუბერნიასთან-კი არა, არამედ გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული.

ვორონცოვის სურვილისდა თანახმად, იმავე წელს ბრძანება იყო გაცემული, რომ ტფილისის გუბერნიის **ახალქალაქის სამაზრო კომისია** შემდგარიყო და გამოერკვია, შეიძლება თუ არა და რამდენად ხელსაყრელია, რომ ახალქალაქის მაზრა ტფილისის გუბერნიას ჩამოსცილდეს და გუმბრისას (ალექსანდროპოლს) მიემატოს, რომ მასთან ერთად ცალკე განსაკუთრებით სომხებით დასახლებული გუბერნია შემდგარიყო. ამ კომისიაში თავმჯდომარითურთ სულ **14 კაცი იღებდა მონაწილეობას, რომელთგან 8 კაცი რუსი იყო** (თავმჯდომარე მაზრის უფროსი პოდპოლკ. კალინინი, მომრიგებელი მოსამართლე მიტკევიჩი, ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსი დელიბაში, სამაზრო ბეითალ[ი] ტოროპოვი, საუბნო ბოქაულები ჩაპლიგინი და ლაზარევი, დუხობორების წარმომადგენელნი ალექსი უგლოვი და ვას. გრემიაკინი), 4 ქართველი (გადასახადთა ინსპექტორი თ[ავა]დი მაყაშვილი და მემამულეთა წარმომადგენელი ქ[ართვე]ლ-მაჰმადიანნი მამედ-ალი-ბეგი და მუსტაფა-ბეგი ფალავანდიშვილები, ბარალეთის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი მურჯიკნელი), და 2 სომეხი (ქალაქის მამასახლისი მეწატუნიანცი და ბოგდანოვკის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი კაროიანცი).

ბჭობის შემდგომ **სამაზრო კომისიამ ერთმხრივ უარჰყო ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) და ერევანთან შეერთება.** თავის **აზრის დასასაბუთებლად კომისია,** სხვათა შორის, **პირველად სწორედ** ამ კუთხის **ეკონომიურსა და მიმოსვლის საკითხს შეეხო და დაადგინა: შემცდარი აზრია, ვითომც ახალქალაქის მაზრა ქ. გუმბრთან** (ალექსანდროპთლთან) **ყოფილიყოს დაკავშირებული: მთელი ვაჭრობა** და ყველა საჭირბოროტო ინტერესები მცხოვრებლებს **განსაკუთრებით ტფილისთან აერთებთ,** სადაც ისინი თავის საქონელს, სანოვაგესა და ადგილობრივ ნაწარმოებს ასაღებს და საითგანაც მოაქვთ საქონელი და ყველაფერი სახმარი მთელი მაზრისათვის. ამასათანავე **საქონლის გადატან-გადმოტანა მთელი წლის განმავლობაში, ზაფხულშიც და ზამთარშიაც, სწარმოებს ახალციხე-ბორჯომ-ბაკურიანის შარაგზით, აგრედვე როდიონოვკა-წალკა-მანგლისზე მოკლე, პირდაპირი საურმო გზით, რომელიც ზამთარშიაც-კი არ სწყდება ხოლმე. გუმბრთან-კი** (ალექსანდროპოლთან) ზამთარში ნამქერების გამო, ხოლო გაზაფხულზე წყალდიდობის და ტალახების გამო **მთელ თვეობით ყოველგვარი კავშირი, საფოსტოც-კი სრულებით შეწყვეტილია ხოლმე.** ზაფხულშიც-კი, როდესაც გუმბრის (ალექსანდროპოლის) გზა გახსნილია, მთელი სავაჭრო საქონელი ჯავახეთითგან (ახალქალაქის მაზ[რა]) მაინც ახალციხეზედ, ბაკურიანზე მიდის და

---

[1] *ეს აბზაცი ისწყება სიტყვებით: „სრულებით მოულოდნელად“, რაც გადახაზულია* [რედ.].

[2] *აქ ფრჩხილებში წერია, რომელიც შემდეგ გადაუხაზავს: „ამჟამად ისინი იქ მარტო 30 %-ღა შეადგენენ* [რედ.].

[3] Шахатунянъ, Административный переделъ Закавк. края. გვ. 70-72 და 132–133. *იგულისხმება:* Шахатунянъ, *1918*. стр. *70-72; 132–133* [რედ.].

მხოლოდ ამ მაზრის ბოგდანოვკის უბნის სამხრეთს ნაწილს, ზოგიერთი საქონელი, მეტადრე ბრინჯი, ზაფხულობით გუმბრითგან (ალექსანდროპოლთგან) მოსდის ხოლმე.

ახალქალაქის სამაზრო კომისიის ზემოაღნიშნული **ერთმხრივი დადგენილება 24 იანვარს 1914 წ. ტფილისის განსაკუთრებულმა საბჭომ** იმავე შემადგენლობით, როგორიც ბორჩალოს სამაზრო კომისიის მსგავსივე საკითხის შესახები დადგენილების განსახილველად იყო შეყრილი, ერთმხრივ დაამტკიცა.[1]

§ 7. ჯავახეთ-სამცხის უმჭიდროესი ეკონომიური კავშირი საქართველოსთან წარსულშიცა და ეხლაც

თუ იმისდა მიუხედავად რომ **ზემოაღნიშნულ ორთავე საბჭოს წევრებმა რუსმა მოხელეებმა მეფის მოადგილის სურვილი იცოდენდნენ და მათ გაგონილი ჰქონდათ, რომ ის ამ გამოყოფას თანაუგრძნობდა, მაინც ეს აზრი ერთმხრივ უარჰყვეს, ცხადია ჯავახეთის ჩამოშორება ტფილისის გუბერნიისგან და გუმბრთან შეერთება მართლაც სრულებით შეუწყნარებელი და ნაძალადევი გეგმა ყოფილა.** მართლაც-და, საკმარისია ადამიანმა ახალქალაქის გეოგრაფიული პირობები გაითვალისწინოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რამდენად თვით ამ ქვყნის ბუნებრივი აგებულობა ეწინააღმდეგება მის შეერთებას გუმბრთან (ალექსანდროპოლთან). ერევნის გუბერნიისა და გუმბრსა და ყარსისაგან ჯავახეთს და სამცხე-ერუშეთს ანუ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს და ყარსის ოლქის ფოცხოვის უბანს მაღალი 7-8 თვის განმავლობაში თოვლიანი და გაუვალი ჯერ ბერდუჯის მთების (=რუსულს Безобдальскій хреб.) დასავლეთი ნაწილი, შემდეგ აბოცის მთების (=რუსულს Мадатапинскій хреб.), მერმე ნიალისყურის მთის (=რუსულს Чаддырскій хреб. და Ульгарскій хреб. აღმოსავლეთს ნაწილს), დასასრული ერუშეთის მთის (=რუსულს Ульгарскій хреб.) სახელებით ცნობილი უღელტეხილი ჰყოფს. **ამ გვარ ოროგრაფიული თვისების გამო ეს მთები მტკვრის შემდინარეების წყალთ-გამყოფველი ქედია და გზებსაც ბუნებრივი მიმართულება სწორედ მტკვრის ხეობისაკენ, ე. ი. ჩრდილოეთისაკენ, აქვს და არა სამხრეთისაკენ. ამიტომაც არის, რომ ეკონომიურადაც ამ კუთხეს მხოლოდ საქართველოსთან შეეძლო რომ ჰქონოდა კავშირი. ასე იყო ყოველთვის წარსულშიც.** ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის სიტყვები მაგ. ცხად-ჰყოფენ, რომ **მე-XVIII-ე ს[აუკუნე]შიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქ[ართვე]ლოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც-კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით-კი ჯავახეთსა და სამცხეს საქართველოსთან მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება ჰქონდა და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები,** სანოვაგე, განსაკუთრებით-კი პური **ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად.**[2]

ჯავახეთის (ახალქალაქის) სამაზრო კომისიის ზემომოყვანილი დადგენილება ამტკიცებს, რომ **ეხლაც ეკონომიურ[ი] დამოკიდებულების ვითარება და მიმართულება არ შეცვლილა**: კვლავინდებურად იქითგან საქონელი ტფილისში ჩამოდის. მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებო ის გარემოებაა, რომ **ჯავახეთსა და სამცხეს, ანუ ახალაქალაქისა და ახალციხის მაზრებს,** როგორც რკინისგზის საკომერციო განყოფილების ყოველწლიურ[ი] ანგარიშებითგანა სჩანს, **მარტო აღმოსავლეთ საქართველოსთან-კი არ ჰქონია ეკონომიური კავშირი** (საქონელი მარ-

---

[1] Докладъ члена Тифлиск. губерн. по крестьянскимъ делам Присуствия И. Абхази Председателю Особаго Закавказскаго Комитета къ № 3651. *იგულისხმება:* Докладъ члена..., № 265. *ნაბეჭდში შეცდომაა. წერია № 2651. ხელნაწერ დედანში კი არის 3651* [რედ.].

[2] იხ. ბროსეს გამ. Historie Le Georgie II, 466 და გორელი ქედხუდების არზა ერეკლე II-დმი მირთმეული. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 466; ხოლო „გორელი ქედხუდების არზა ერეკლე II-დმი მირთმეული“ ვერ ვიპოვეთ* [რედ.].

ტო რკინის გზით-კი არა, იქითგან პირდაპირი, შარა და საურმე გზებითაც მოდის), არამედ დასავლეთ საქართველოსთანაც, ქუთაისის გუბერნიასთანაც. აი მაგ. ომამდის რამდენი პური და სხვა მარცვლეულობა გამოდიოდა ყოველწლივ ამ კუთხიდან დასავლეთ-აღმოსავლეთ საქ[ართვე]ლოში და რამდენი მიდიოდა მთელს დანარჩენს ამიერკავკასიაში, სომხეთში და ადერბეჯანში (ყარსში, ერევანში, ქამარულში, ბაქოში და სხვაგან):

	საქართველოში:	**დანარჩენ ამიერკავკასიაში:**
1910 წ.	60 557 ფ.	462 ფ.
1911 წ.	152 858 ფ.	1 800 ფ.
1912 წ.	207 752 ფ.	3 588 ფ.
1913 წ.	96 074 ფ.	1 312 ფ.
[1]1914 წ.	17 144 ფ.	1 238 ფ.

მაგრამ მარტო მიწათმოქმედების მხრივ-კი არ იყო ეს კუთხე დანარჩენ საქ[ართვე]ლოსთან დაკავშირებული, **მესაქონლეობისა და მეცხვარეობის მთელი მეურნეობა საქართველოში უმ-ჭიდროესად, შეიძლება ითქვას განუყრელად, ამ კუთხესა და ბორჩალოს მაზრის საზაფხულო საძოვრებთან არის დაკავშირებული. ასე იყო ძველად**, მაშინაც-კი, როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, ასეა ახლაც. რაკი საუკუნეთა განმავლობაში ადგილობრივ ჰავის პირობებისდა გვარად შემუშავებულმა ტეხნიკამ უთუო აუცილებლობით დაამტკიცა საზაფხულო საძოვრე-ბის საჭიროება, ამიტომ სწორედ აქ, თვით ბუნების მიერ შექმნილს საზაფხულო საძოვრებზე იყრიდა ხოლმე თავს საქ[ართვე]ლოში მყოფი საქონელი. ეს კუთხე იმდენად აუცილებელი იყო საქ[ართვე]ლოს მესაქონლეებისათვის, რომ **მაშინაც-კი როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, საქონლის პატრონები, განსაკუთრებით მეცხვარეები[,] იძულებული იყვნენ სხვა სახელმწიფოში გადასულიყვნენ საქონლით და მთელი ზაფხული იქ გაეტარებინათ.**[2]

მესაქონლეობის მხრივ ეხლაც საქ[ართვე]ლოში იგივე პირობებია, როგორიც წარსულში იყო. მთელს აღმოსავლეთს საქარ[თ]ველოში სულ 857 000 დეს[ენტინა] საზაფხულო საძოვარი ითვლება, აქეთგან საუკეთესო საძოვრები ქვემო ქართლში და ჯავახეთში, ანუ ბორჩალოს [და] ახალქალაქის მაზრებშია, სადაც 291 000 დ[ესენტინა] საძოვარია.

ამჟამად მთელ აღმოსავლეთ საქ[ართვე]ლოში 3 683 000 თავი საქონელი არსებობს, სომხ-ეთის საზღვრებში-კი (ერევნის გუბ[ერნია], ყარსის ოლქ[ი] და განჯის მაღლ[ობი]) სომეხთა მთელ მოსახლეობას სულ 3 561 000 თავი საქონელი [ჰყავს]. ამ მაღლობ[ებ]ზე სომხებს დიდ-ძალი 2 000 000 დეს[ენტინა] საუკეთესო საძოვარი აქვთ ისე, რომ მთელი ბალახი მოძოვილი იყოს მათი საქონელი ამისთვის საკმარისი არ არის და ვერც შესძლებს. ამიტომ სრულიად ცხადია, რომ **სომხებს მეტი საზაფხულო საძოვრები სრულებით არ ესაჭიროებათ. მაშასადამე მათთვის ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრები ამ მხრივ, ეკონომიურად არც გამოსადეგნი**

---

[1] *დედანში აქ წერია „ომი“. ალბათ პირველი მსოფლიო ომის დაწყების წელი აღნიშნა.* [რედ.].

[2] იხ. ვახუშტის გ[ეო]გრაფია[,] 182. *იგულისხმება: ვახუშტი, 1842. გვ. 182; ვახუშტი ბატონიშვილს აღწ-ერილი აქვს, რომ მდ. მტკვრის პირას დასახლებული „ელნი დემურჩი-ახალნუ“ მისდევდნენ მომთაბარე მესაქონლეობას, რომელთაც სადგომები ჰქონდათ გარეჯში, ხოლო ზაფხულში ისინი ყაიყულსა და პალაკაციოს მთებში აძოვებდნენ საქონელს: „ყარაიის ჭალას ქვეით მტკვრის კიდეს ესახლნენ ელნი დემურჩი-ახალნუ, სავსენი პირ-უტყვითა: რამეთუ ზამთარ სითბოთი, და ტყითა და ბალახითა მოუკ-ლებელი არს ადგილი ესე, და პირ-უტყვნი მათი დგებოდნენ გარეჯის მთასა ზედა: რამეთუ რაოდენ-ნი წყარონი სდიან მთასა-მას მლაშენი არიან და პირ-უტყვთა შემრგონი... ხოლო რაოდენნი ელნი დავსწერენით ქართლს ზამთარ არიან ამ ადგილებთა შინა, და ზაფხულს აღვლენან ყაიყულისა და პალაკაციოს მთასა ზედა“. მომთაბარეობის მასშტაბებზე ვახუშტის ის სიტყვები მიგვანიშნებს, რომ ქართლში ამ მოსახლეთა რა რაოდენობაცაა ზამთარში, იმდენივე არიან ისინი ყაიყულ-პალაკაციოში ზამთარშიო: „რაოდენნი ელნი დავსწერენით ქართლს ზამთარ არიან ამ ადგილებთა შინა“. სწორედ ამით ადასტურებს ივ. ჯავახიშვილი, რომ მესხეთისა და ქვემო ქართლის მესაქონლეობისა და მეცხვა-რეობის მთელი მეურნეობა უმჭიდროესად იყო* [რედ.].

არიან და არც საჭირო. სულ სხვა მდგომარეობაშია აღმოსავლეთი საქართველო: უამმაზრეობოდ აქ მთელი მესაქონლეობა უკიდურეს გაჭირვებაში და განსაცდელში ჩავარდება, საქონელი, განსაკუთრებით ცხვარი, დაეხოცება.

თვით ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთაც შედარებით იმდენი საქონელი არა ჰყავს (ორთავეში 515 772 თავი ითვლება), რომ მარტო მათმა საქონელმა მთელ[ი] ამ ფართო და ღონიერ[ი] საზაფხულო საძოვრებს მოჭმა შესძლოს. მაგ. ბორჩალოს მაზრაში საიჯარო საზაფხულო საძოვარი **46 000 დეს[ეტინა] ითვლება, აქეთგან 26 სომეხთა სოფლის საზოგადოება 10 000 დეს[ენტინ]ით სარგებლობს საქონლის საძოვრად, დანარჩენი 36 000 დეს[ენტინა]-კი აღმოს[ავლეთ] საქ[ართვე]ლოს სხვა მაზრებითგან მოსულს მესაქონლეებს უჭირავთ.**[1] პირიქით[,] როგორც წარსულშიც, საუკუნეთა განმავლობაში, ეხლაც აღმოსავლეთ საქ[ართვე]ლოს დიდძალი საქონელი პატრონებს აქ მოჰყავთ და აძოვებენ. მაშასადამე სრულებით **ცხადია, რომ თუმცა მე-XIX-ე ს.-ში შემთხვევითი მიზეზების გამო ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებში სომეხი ლტოლვილები დაეშენნენ და ქ[ართვე]ლთა მოსახლეობა აქ მცირერიცხოვანია, მაგრამ მთელს აღმოსავლეთ საქ[ართვე]ლოს დანარჩენს მოსახლეობას ამ მაზრებთან არამცთუ ეკონომიური კავშირი არ შეუწყვეტია, არამედ წინანდებურად უმჭიდროესად არის მასთან დაკავშირებული.**

§ 8. როგორ უნდა შევხედოთ სომეხთა წადილს ჯავახეთის დაპატრონებისას?

ყველა ზემონათქვამის შემდგომ **ცხადია, თუ როგორ შეიძლება შეხედოს ქართველობამ სომეხთა წადილს ჯავახეთის (ახალქალაქის მაზ[რა]) დასასაკუთრების შესახებ. საქართველოს ერეკლე მეფის პირით რასაკვირველია რუსეთთან იმისთვის არ დაუდვია 1783 წ. ხელშეკრულება, რომ მას შემდგომ, რაც მესხეთი ოსმალეთს ჩამოერო, ეს უხსოვარ დროითგან საქ[ართვე]ლოს კუთვნილი ქვეყანა ქ[ართუ]ლი კულტურის ერთი ძლიერ[ი] კერათაგანი, სომხებს გადასცემოდა. სომეხთა ამ კუთხეში დასახლებისათვის ქართველობას შეეძლო შეეხედა მხოლოდ ვითარცა დროებითი მოვლენისათვის,** ვითარცა ოსმალთა მიერ დევნილი ხალხის დროებითი შემოხიზნისა და თავშეფარებისათვის. რა წამს სომეხთათვის პოლიტიკურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, – ეხლა ხომ სწორედ ასეთი ხანა დადგა, – ეს ოსმალეთითგან შემოხიზნული სომხობა კვლავ თავის სამშობლოს, მამა პაპათა კერას უნდა დაუბრუნდეს, იქითგან-კი, ოსმალეთითგან აქ დაბრუნდებიან ამ მიწა-წყლის წინანდელი პატრონები. მე-X1X-ე ს[აუკუნ]ის განმავლობაში ამ ოსმალეთში გადასახლებულ ქ[ართვე]ლ მაჰმადიანებს არა-ერთხელ უნდოდათ გულით თავიანთ სამშობლოში დაბრუნება და ჯავახეთ-მესხეთში, მამა-პაპეულ მიწებზე დასახლება, მაგრამ მათი ადგილი დაჭერილი იყო. ეხლა რაკი სომხები თავიანთ წინანდელ ქვეყანაში, სომხეთში წავლენ, მაშინ სამართლიანობა აღდგენილი იქმნება და ორთავე ერს თავისი მამა-პაპეული კერა დაუბრუნდება.

[1] დაწვრილებითი ცნობები ამ საგნის შესახებ. იხ. აგრონომ ყაზახიშვილის თხზულებაში „საქართველოს საეროვნო მეურნეობის მოთხოვნილებანი გადამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით“ [რედ.].

VI თავი

საქართველოს სამზღვრის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის ხაზი

§ 1. კოლა-არტაანი, ტაო, თორთუმი და ისპირი

რაკი ეხლა საკითხი ჯავახეთის (ახალქალაქის მაზრის) შესახებ უკვე ყოველმხრივ გამორკვეული გვაქვს, უნდა საქართველოს დანარჩენ მონაპირე კუთხეების შესახებ ზოგიერთი ზედმეტი ცნობები დავურთოთ.

ზევით უკვე აღნიშნული იყო, რომ ეხლანდელ ყარსის გუბ[ერნი]ის არტაანისა და ოლთისის ოლქები, რომლებიც ძველად კოლა-არტაანსა და ტაოს ჩრდილოეთს ნაწილს უდრის და რომ საუკუნეთა განმავლობაში ეს ქვეყანა ქ[ართვე]ლ მოსახლეობას და ერს ეკუთვნოდა. მხოლოდ XVI1 ს[აუკუნ]ითგან მოყოლებული არტაანისა და ოლთისის ოლქში ქართველ მაჰმადიანებს თურქთა 200 წლის ბატონობისა და ისლამის წყალობით[1] ქართული ენა დავიწყებული აქვთ. მოსახლეობა აქ თხელია და 1897 წ..[2] **არტაანის ოლქში** 65 763 სული იყო და აქეთგან **მხოლოდ 1923 სომეხი ითვლებოდა. ოლთისის ოლქში** მთლად 31 519 მცხოვრებთა შორის **სომეხი 3 130 იყო.**

ამგვარად[,] ცხადია რომ **არტაანისა და ოლთისის ოლქებში სომხები მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობას წარმოადგენენ. ამას ჯერ კიდევ** შარშან, **1918 წ. თვით სომხებიც არ უარჰყოფდენ და ა. შაჰატუნიანი** მაგ[ალითად] **ამბობდა: აქ „სომხები უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ"-ო და ამის გამო ამიერკავკასიის გადამიჯვნის დროს სომხეთის სამზღერებს გარეშე დავტოვეთო.**[3] ეს გარემოება სომხებს ეხლა ალბად დავიწყებიათ და სომხეთის სახელმწიფოს

---

[1] *აქ სიტყვები „ქართველ მაჰმადიანებს" მეორდება* [რედ.].

[2] *1919 წ. გამოცემაში წერია 1889 წ", ხელნაწერ დედანში კი „1897 წ."* [რედ.].

[3] Административный переделъ Закавк. края[,] ტფილისი[,] 1918 წ. გვ. 73-74 და 75. *იგულისხმება:* Шахатунян, 1918. стр. *73-74, 75; ა. შაჰატუნიანს არტაანისა და ოლთისის ოლქებისათვის მოჰყავს უფრო დეტალური მონაცემები:* «Два западные округа области – Ардаганскій и Ольтинмкій имѣютъ очень рѣдкое и смѣшанное населеніе, среди котораго армяне составляютъ незначительное меньшинство». *1897 წლის აღწერის მონაცემებით, რომელიც ამავე წყაროშია მოცემული, მოგვყავს ცხრილის სახით. როგორც ამ ციფრებიდან ირკვევა, სომხები არტაანისა (არდაგანის) და ოლთისის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის მხოლოდ 5.2 % იყვნენ* [რედ.].

ეროვნებები	ოლქები	
	არდაგანის	ოლთისის
თურქ-თათარი тюрко-татары	27,300	19,719
ყარაფაფახი карапапахы	7,866	
თურქმენები Туркмены	4,321	1,000
ქურთები курды	12,550	3,500
ბერძნები греки	7,836	2,704
რუსები русские	1,020	1,020
სომხები армяны	1,923	3,130
სხვა ეროვნებები	2,947	446
სულ	65,763	31,519

სამზღვრებში მოქცევა ჰსურთ არტაანისა და ოლთისის ოლქისაც, რომელიც მათ არც ისტორიულად და არც სომეხთა თანამედროვე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არ ეკუთვნით.

ხოლო ოსმალეთის სამზღვრებში დარჩენილს მესხეთის ზემო ტაოს ნაწილში[,] **თორთუმის ხეობაში მთელი მცხოვრებნი 14 000[1] სული მთლად გამაჰმადიანებული ქართველები არიან, მაგრამ ქ[ართუ]ლი დავიწყებული აქვთ. ისპირში-კი,** პარხალის, ხევეკის, გუდახევის და ჭირჭიმის ხეობებში **ყველგან ქ[ართვე]ლ-მაჰმადიანები ცხოვრობენ და ქართულად ლაპარაკობენ**.

§ 2. ლაზისტანი

ქართველთა მოსახლეობის უუკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაპირი ჭანებს, ანუ ლაზებს უჭირავთ. ასე იყო წარსულშიაც. მათი კილო მეგრულს ახლო უდგება. ოდესღაც ლაზების ანუ ჭანების მოსახლეობა ტრაპიზონსაც-კი სცილდებოდა და თვით ეს ქალაქი და ოლქიც მათ ქვეყანას ეკუთვნოდა. ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში, მაგ. 1868 წ. ლაზთა რაოდენობა ინგლისის კონსულის ვ. ჯიფფორდ პალჰერის ცნობით რამდენსამე ასიათასს აღემატებოდა.[2]

პროფ. ნ. მარრის ადგილობრივმა დაკვირვებამ გამოარკვია, რომ ისლამის წყალობით ლაზების გათურქება მსწრაფი ნაბიჯით წინ წასულა.

ამ ჟამად ლაზური ან ჭანური მოსახლეობა მხოლოდ რიზეს სანჯაყით განისაზღვრება, რომელსაც ლაზისტანის სანჯაყსაც უწოდებენ. მაგრამ ეს მიწაწყლიც ორ მთავარ ნაწილად უნდა გაიყოს: რიზესა და ათინას ოლქად. პირველში ხალხს უკვე დედაენა დავიწყებული აქვს და თურქული შეუთვისებია, მეორეში-კი მცხოვრებთა დედაენა ჭანური ანუ ლაზურია. ეს **ათინას ოლქი** საკუთრივ ათინასა და ხოფას ყაზებისგან შესდგება. **სამხრეთ-დასავლეთით მისი სამზღვარი ქემერის კონცხთან (ქემერ-ბურუნ) იწყობა, შემდეგ აჰყვება მდ. ყინლი-დერეს, გადასჭრის ათინას წყალის და ბეჲუკ-დერეს სათავეებს და მიადგება პონტოს ქედის მწვერვალს, რომელსაც ვარსამბეკი (ვერშემბეკი) ჰქვიან. აქეთგან მოყოლებული ჭანეთის მიწა-წყალი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიემართება და პონტოს ქედსა და შავზღვას შუაა მოქცეული**. ეს ზოლი თანდათან ვიწროვდება და ბათუმის ოლქში სარპთან[3] თავდება.

ათინას ოლქი ექვს უბნად იყოფება: ხოფას, არქაბეს, ვიწეს, არტაშენის, ათინას და ხემშინის უბნებად. სულ 178 სოფელი არის, აქეთგან 39 სოფელი ხემშინის ოლქში ითვლება, რომელშიც 12 778 სული მცხოვრებია. ხემშინები გამაჰმადიანებული და გათურქებული სომხები არიან. თვით ლაზთა რაოდენობის შესახებ ზედმიწევნითი ცნობები იმ გვარადვე, როგორც ოსმალეთში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა შესახებ, არ მოიპოვება. რუსეთის გენერ[ალური] შტაბის საიდუმლო გამოცემაში გენ[ერალ] ავერიანოვს თავს მონოგრაფიაში „Этнографическій и военно-политическій обзоръ азіатскихъ владеній Оттоманской имперіи“[4] ლაზების რაოდენობა 200 000-ად აქვს აღრიცხული, როდესაც რუსეთის ჯარმა ამ მსოფლიო ომის დროს ლაზისტანი დაიჭირა, მცხოვრებთა უმრავლესობამ ოსმა[ლ]თა ჯართან ერთად უკან დაიხია და ადგილობრივ მხოლოდ 35 000 ლაზი-ღა იყო დარჩენილი. პროფ[ესორ] იოს[ებ] ყიფშიძის მიერ ადგილობრივ შეკრებილ[ი] ცნობების მიხედვით ათინას ოლქში მკვიდრ ლაზთა რაოდენობა თუ მეტი არა, 80 000-მდე მაინც უნდა ყოფილიყო. ზედმიწევნითი რიცხვის გაგება მხოლოდ ეხლა შეიძლება, როდესაც მცხოვრებნი თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდნენ[,] ისიც მხოლოდ ხალხის აღწერის საშუალებით.

---

[1] *1919 წ. ნაბეჭდ წიგნში მითითებულია „1400 სული“, ხოლო ხელნაწერ დედანსი „14 000 სული“* [რედ.].

[2] Извест. Кавк. отд. геог. Обш. 1881 წ. VII[,] წ. № 1, დამატება გვ. 15, IX, 59-60 და 68. *იგულისხმება: Известия Кавказского, VII, кн. 1, дополнение, 1881. стр. 15, 17, 59-60, 68* [რედ.].

[3] *სოფ. „სარფს“ ამ ფორმით მოიხსენიებს* [რედ.].

[4] СПГ.1912 г. издание отд. генералъ-квартирмеистера, გვ. 20. *იგულისხმება:* Аверьянов, 1912. стр. 20 [რედ.].

ბოლოსიტყვაობა[1]

ყველა ზემოაღნიშნული მკითხველს უეჭველია ნათლად დაანახვებდა, თუ რა სამზღვრები ჰქონდა საქართველოს და როგორის თავგამოდებით იცავდა მათ ჩვენი ერი საუკუნეთა განმავლობაში. ამ სამზღვრებში მოქცეული მიწაწყალი და მოსახლეობა მთლიანს ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივ ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და, თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურადაც ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. თუმცა ისტორიული და საერთაშორისო სამართლის ძალით საქართველოს სწორედ ის სამზღვრები უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ზევით იყო აღნუსხული, მაგრამ ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უვნებლად დათმობა შეიძლება. საქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიაც კარგი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს.

სახელმწიფოებრივს ერთეულს თავისი აუცილებელი მოთხოვნილება და არსებობის პირობები აქვს, რომელთა შორის საპატიო ადგილი სამზღვრებს უჭირავს. საქართველოს სამზღვრების საბოლოვო მოხაზულობის გამორკვევის დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს. მართალია სომეხთა მმართველი წრეები და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა ჩვენს ერსა და მთავრობას მხოლოდ ეთნოგრაფიულ თვალსაზრისით ხელმძღვანელობას ურჩევენ, მაგრამ რამდენად მათი რჩევა გულწრფელია და გამოსადეგი, ის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ თვით მათ პირადად ამ თვალსაზრისით არასდროს თავიანთ პოლიტიკურ გეგმაში არ უხელმძღვანელიათ. მათ მიერ თავდაპირველი კონფერენციისათვის წარსადგენად დამზადებული დიდი სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრები შავი ზღვითგან ხმელთაშუა ზღვამდე გადაჭიმული და ტფილისისა, ბათომისა და ტრაპიზონ-სინოპის შემცველი, ნათლად მოწმობს, რომ თვით მათ თავიანთი სახელმწიფოს სამზღვრების შემოხაზვის დროს არცთუ თანამედროვე ეთნოგრაფიულ მოსახლეობის პირობებით არ უხელმძღვანელიათ, არამედ ზოგან მეტისმეტად შორეულს ისტორიულს საბუთებზე, უფრო-კი მხოლოდ საკუთარ ნება-სურვილზე დაუმყარებიათ თავიანთი მიწაწყლის მოხაზულობის რუკა. ამის შემდეგ სწორედ გასაოცარია, როდესაც სომეხთა პოლიტიკური და გავლენიანი წრეები ჩვენი მთავრობის წევრებს ნ. ჟორდანიას და ე. გეგეჭკორს და საქართველოს საზავო დელეგაციის წარმომადგენლებს ნ. ჩხეიძეს და ირ. წერეთელს სტამბოლის სომხურს პრესაშიაც-კი პრინციპების ღალატსა და იმპერიალისტობას სწამებდენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვის დროს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ხელმძღვანელობენ და არა მარტო ეთნოგრაფიულით. როცა საერობო ერთეულზე იყო ლაპარაკი, ამგვარი მოსაზრება ასე-თუ-ისე კიდევ გასაგები იყო, სახელმწფოს სამზღვრების შემოფარგვლის დროს კი უმთავრესი საფუძველი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი უნდა იყოს.

რატომ არის, რომ თვით სომეხთა პოლიტიკოსები ყოველთვის და ყოველგან სომხეთის რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვის დროს ეთნოგრაფიულს პრინციპებს არ ემყარებიან? იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ეს პრინციპი თვით სომეხთათვის არის საზარალო. თუ ამისდამიუხედავად ისინი ჩვენს მთავრობასა და წარმომადგენლებს ამ პრინციპით ხელმძღვანელობას ურჩევენ, ისინი ალბათ ფიქრობენ, რომ ეს თვალსაზრისი მხოლოდ საქართველოსთვის არის სავალდებულო, სომხეთს-კი უფლება აქვს ყოველგვარი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს და რომ მაშინაც-კი, როცა ისინი სომხეთისათვის საფრანგეთზე დიდი მიწაწყლის დასაკუთრებას ლამობდენ და თავიანთ რესპუბლიკის საზღვრებში სომხებზე უფრო მრავალრიცხოვან უცხო ტომთა მოქცევაზე ოცნებობდენ, ეს იმპერიალისტობა-კი არ არის, არამედ უაღრესი დემოკრატობაა.

სახელმწიფოს არსებობისათვის უცილებლად საჭიროა, რომ მას გარეშე მტრის შემოსევისაგან თავდაცვის საშუალება ჰქონდეს და მისი მყუდრო სამოქალაქო ცხოვრება უზრუნველყ-

---

[1] *სამწუხაროდ დედანს ბოლოსიტყვა აკლია. ვბეჭდავთ მას 1919 გამოსული მონოგრაფიის მიხედვით* [რედ.].

ოფილი იყოს. ამიტომაც არის, რომ ქართველი ერის შეგნებულს ნაწილს, მისს მოთავეებს და რესპუბლიკის მთავრობას არ შეუძლიანთ თავიანთ სახელმწიფოს სამზღვრების მოხაზულობას სამხედრო თვალსაზრისითაც არ შეხედონ. თვით სომხებმა და არარატის რესპუბლიკის მთავრობამ ამ მხრივ ქართველობას რასაკვირველია თავისდა უნებურად, დიდი სამსახური გაუწიეს და მეზობლურ ძმობა-ერთობაზე ტკბილ საოცნებო სიზმრებითგან გამოაფხიზლეს, როდესაც წინასწარი ფარული სამხედრო მომზადების შემდგომ მოულოდნელად საქართველოს სამხრეთის სამზღვრები გადმოლახეს და დაუნდობელი საომარი მოქმედება დაიწყეს. ბ-ნ ჩალხუშიანის როსტოვის რუსულ-სომხურ გაზეთში ამ ამბავის ერთი თვით უწინარეს მოთავსებული ცნობა, რომ სომეხ-ქართველთა შორის ომია და ძლევამოსილი სომხები ტფილისს მიადგნენ, რომელიც დღე-დღეზე სომეხთა ჯარის მიერ აღებული იქნებაო, აგრეთვე ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილი სომხეთის წარმომადგენელთა მიერ სომხეთისათვის მოთხოვნილი სამზღვრების მოხაზულობა და სტამბოლში გამოცემული სომხეთის ორი რუკა, რომლებშიაც ტფილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებშია მოქცეული, დასასრულ სომეხთა საომარ მოქმედების მთელი მსვლელობა სრულის სიცხადით ააშკარავებენ, რამდენად ფართო გეგმა ჰქონდათ სომხეთის მთავრობასა და ხელმძღვანელებს. მათი მიზანი ტფილისის დაპყრობა და დასაკუთრება იყო, ხოლო თუ სამხედრო ბედი გაუღიმებდათ, იქმნებ სომხურ რუკაზე მოხაზული მიწა-წყლის აღებაც. ადვილი წარმოსადგენელია, როგორი ძმობა-ერთობის ჰანგებზე დამღერდენ დაშნაკელთა ბელადები და რა სამზღვრებს მიაკუთვნებდენ ისინი საქართველოს, მათ მოუფიქრებელს მოქმედებას მთელი ქართველობა რომ დიდით პატარამდე, კიდით კიდემდე არ შეეძრა და შემოსეული მტერი მედგრად არ უკუეგდო. თუ ეხლანდელი საშინელი განსაცდელისა და უბედურების შემდგომაც, თუ ისტორიისა და თანამედროვე მრავალი მწარე გაკვეთილებისდა მიუხედავადაც სომხეთის გავლენიანი წრეები მაინც საქართველოს სამზღვრების გადმოლახვას არ დაერიდენ და ჩვენ დედაქალაქის ძალით ხელში ჩაგდება მოისურვეს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენად მათ მადა მოემატებათ შემდეგში, როდესაც წარსულისა და აწმყოს მწარე დღეები დავიწყებული ექმნებათ. ამიტომ ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობასა და არც კეთილ მეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან გადაარჩენს. სწორედ ამ კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებაზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს, მაგ., აღმოსავლეთით, საინგილოში სამზღვრად გიშის წყლის მაგიერ კაშკა-ჩაი დასდვას, სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვრის ხაზად-კი ისტორიულის მაგიერ დებედას შემდინარეების წყალთ-გამყოფელი მთა აირჩიოს, ხოლო სამხრეთის ხაზად ისტორიულის სამზღვრის ერევნის (=ბამბაკის) მთების მაგიერ უფრო ჩდრილოეთით მდებარე ბერდუჯის (=რუს. ბეზობდალის) მთები მიიჩნიოს მოსამზღვრე ხაზად: საქართველოს ხელში ბერდუჯის მთები იქმნება, სომხეთის ზღუდედ და სამზღვრად ერევნის მთები.

ამ მონოგრაფიას დართული აქვს რუკა,[1] რომელიც დამზადებულია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილების მიერ, რისთვისაც მის უფროს პროფ. გენ. ან. ბენაშვილს და ტოპოგრაფიულს განყოფილებას დიდს მადლობას მოვახსენებ.

ბათუმი – კონსტანტინეპოლი
1919 წ. იანვარი – მარტი.

[1] საქართველოს საზღვრების რუკა, ქართულ ენაზე. მასშტაბი 1:3,000,000.

შემოკლებულად დაბეჭდილი სათაურების განმარტება[1]

АКАГК- = Акти, собранные Кавказской Археографической комиссіею.

Бурнашевъ. Картина = С. Д. Бурнашевъ. Картина Грузіи или описаніе политическаго состоянія царствъ Карталинскаго и Кахетинскаго, Тифлисъ изд. Бегичева 1896 г.

С. Н. Бурнашевъ Новые Мат. = Новые Материалы для жизнеописанія С. Д. Бурнашева, бывшаго въ Грузіи съ 1783 по 1787 г., собралъ и издалъ съ приложеніемъ картъ, портретовъ и факсимиле С Н. Бурнашевъ СПБ. 1901 г.

ნ. ბუტკოვი Матеріалы = П. Г. Бутковъ Матеріалы для новой нсторіи Кавказа съ 1722 по 1803 годъ I da II w. - СПБ. 1869 წ.

უმთავრეს შეცდომების გასწორება[2]

გვ. 37. სტრ. 5. უნდა გასწორდეს კორექტ. შეცდომა, რომელიც აზრს ამახინჯებს და წინათქმულსაც ეწინააღმდეგება. უნდა იყოს: „მხოლოდ მე-IX-ე ს-ში“ და სხვა.

შინაარსი

შესავალი

I თავი. ჩრდილოეთის სამზღვარი

§ 1. ჩრდილო-დასავლეთის ხაზი. აფხაზეთ-ჯიქეთი
§ 2. ჩრდილოეთის ხაზი. დვალეთი
§ 3. ჩრდილოეთის ხაზი. დარიალანი და საქართველოს კარი

II თავი. აღმოსავლეთის სამზღვარი

§ 1. აღმოსავლეთის ხაზი. ჰერეთი და საინგილო

III თავი. სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვარი

§ 1. ჰერეთი: ქიზიყი, ყარაია
§ 2. საქართველოს სახელმწიფოებრივ სამზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ხაზი

[1] წყაროების ეს ჩამონათვალი თან ერთვის ნაშრომს [რედ.].

[2] ეს შეცდომა წინამდებაარე ტექსტში გასწორებულია, მაგრამ დანარჩენი, რადგან დასახელებული არაა იგივე ფორმით დარჩა [რედ.].

IV. სამხრეთის სამზღვარი. ქვემო ქართლი. გამყოფელი ხაზი საქართველოსა და სომხეთს შორის

§ 1. ისტორიული მიმოხილვა. ბრძოლა ამ სამზღვრის გამო II ს. ქ. წ. – XI ს. ქ. შ.

§ 2. ქვემო ქართლის ვითარება და მნიშვნელობა XI-XII ს. – ში

§ 3. საქართველოს ვითარცა მფარველი და თავშესაფარ სახელმწიფოს მნიშვნელობა და მიმზიდველობა სომეხთათვის

§ 4. ქვემო ქართლის მნიშვნელობა საქართველოსათვის და სამხრეთის სამზღვრები XVI-XVIII საუკუნეებში

§ 5. ქვემო ქართლის უაღრესი ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოსათვის

§ 6. ამ კუთხის მოსახლეობის ბედ-იღბალი XVII-XVIII ს.ს. და სომეხთა გადმოსახლება

§ 7. სომეხთა გადმოსახლების განსაკუთრებული ხასიათი XVIII-XIX ს-ში

§ 8. ქვემო ქართლის კუთვნილების საკითხი ისტორიულისა და თანამედროვე თვალსაზრისით

V. სამხრეთ-დასავლეთის სამზღვარი. მესხეთი ანუ ზემო ქართლი

§ 1. პალაკაციო, ანუ აბოცი და საქართველოს ამ სამზღვრის ხაზი

§ 2. ტაო-ისპირის მოსახლეობა უძველეს დროს და VIII-XII ს.ს.

§ 3. მესხეთის მდგომარეობა და პოლიტიკური ბედ-იღბალი XIII-XVIII ს. და მისი გამაჰმადიანება

§ 4. უფლებრივი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასა და მესხეთს შორის XVIII ს.

§ 5. რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთება და მისი შედეგი. სომეხთა გადმოსახლება ამ კუთხეში

§ 6. სომეხთა წამოდავება ჯავახეთის სომხეთთან შესაერთებლად და ამ საკითხის ახლო წარსული

§ 7. ჯავახეთ-სამცხის უმჭიდროესი ეკონომიური კავშირი საქართველოსთან წარსულშიცა და ეხლაც

§ 8. როგორ უნდა შევხედოთ სომეხთა წადილს ჯავახეთის დაპატრონებისას

VI თავი. საქართველოს სამზღვრის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის ხაზი

§ 1. კოლა-არტაანი, ტაო-თორთუმ-ისპირი

§ 2. ლაზისტანი

ბოლოსიტყვაობა

შემოკლებულად დაბეჭდილ სიტყვების განმარტება

უმთავრეს შეცდომების გასწორება

შინაარსი

რუკა[1]

[1] რუკა დაიბეჭდა მოგვიანებით და ამიტომ წიგნს თავის დროზე არ დართვია [რედ.].

დამოწმებული ლიტერატურა[1]

1. *არაველცი ვარდან. მსოფლიო ისტორია, XIII ს.*

2. *გორელი ქედხუდების არზა ერეკლე II-დმი მირთმეული.*

3. ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე ბატონიშვილის ვახუშტის მიერ. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან. თბილისი, 1913.

4. ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის რედაქციით. ტფ., 1904.

5. ვახუშტი ბატონიშვილი. ღეოღრაფიული აღწერა საქართველოისა ვახუშტის მიერ. მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსსეტისაგან, მისსივე წინასიტყვაობით, 1842. Bagrationi (Batonichvili) Vakhouchti (1696-1757). Description geographique de la Georgie, par la tsarevith Wakhoucht, publiee d'apres l'original autographe / par M. Brosset. - S.-Peterbourg, 1842 (La Typ. de l'Acad.). 6 რუკით.

6. საქართველოს ცხოვრება: ახალი მოთხრობა 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე ორ წიგნად აღწერილი: II. პაპუნა ორბელიანისა, 1913.

7. საბინინი გ. სრულის აღწერაჲ ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა. შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ. პეტერბურგი, ჩყპბ (1882).

8. *ურჰაეცი (ურჰაესი) მათეოსი. ყამთააღმწერლობა, XII ს.*

9. *ტარონეცი (ასოღიკი) სტეფანოს. მსოფლიო ისტორია, X-XI სს. სომხურ ენაზე.*

10. ქართლის ცხოვრება: მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა №79, 1906.

11. *ყაზახიშვილი. საქართველოს საეროვნო მეურნეობის მოთხოვნილებანი გადამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით.*

12. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I და II; ტფილისი, 1913-1914.

13. ჯავახიშვილი ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა V-XVIII სს. ტფილისი, 1916.

14. ჯანაშვილი მ. საინგილო. თბ., 1910.

15. Аверьянов П.И. Этнографическій и военно-политическій обзоръ азіатскихъ владеній Оттоманской империи. СПБ, 1912.

16. Адонц Н.Г. Армения в эпоху Юстиниана. СПб, 1908.

17. Бурнашев С.Д. Картина Грузии или Описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, сделанное, пребывающим при его высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером Бурнашевым в Тифлисе, в 1786 г.. Тифлис: К.Н. Бегичев, 1896 (Тип. И.А. Мартиросянца).

18. Бурнашевъ С.Н. Новые Материалы для жизнеописанія дъятельности С.Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г. с приложением карт, портретов и факсимиле. // собр. и изд. С.Н. Бурнашев; под ред. [и с предисл.] А. А. Цагарели.. СПБ, 1901.

19. Бутков П.Г. Материалы для новой историй Кавказа с 1722 по 1803 год. часть второя (с пятью планами). часть I, II. СПБ, 1869.

20. Джавахишвили И.А. История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII в. // ИИАН. 1908. Сер. 6. № 5. стр. 433-446.

---

[1] ალმანახის რედაქცია შეეცადა მოეძია ყველა ის ნაშრომი, რომელიც ივანე ჯავახიშვილს აქვს ამ მონოგრაფიაში ნახსენები, რომ ერთმანეთისათვის შეედარებინა დედნის ციტატები ნაბეჭდთან. სამწუხაროდ აქ მოხმობილი ნაშრომების გარკვეული ნაწილი ბიბლიოთეკებში ვერ მოვიძიეთ. მათ დახრილი შრიფტით ვბეჭდავთ, რომ იქნებ სხვა მკვლევარნი გამოგვეხმაურონ და შეგვავსებინონ ის, რაც ჩვენ ვერ შევძელით [რედ.].

21. Докладъ члена Тифлиской губерний по крестьянскими деламъ Присутствия И. Абхази Председателю Особаго Закавказскаго Комитета къ № 2651.

22. Дубровин Н. История войны и владичество Русскихъ на Кавказе, СПБ, т. III, 1886.

23. Записка с.с. Коваленскаго о Грузіи. // АКАГК (Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею). т. I. Напечатан. подъ редакциею предсъдателя комиссіи, ст. сов. Ад. Берже. Тифлис, 1866. стр. 111-124, § 34.

24. Известия Кавказского отдела Императорского Русского географического общества*, 1881.* т. *VII.* кн. *1.* дополнение.

25. Инструкция, данная по имянному Е.И.В. указу, изъ Государственной Коллегіи иносьранныхъ дѣлъ, министру въ Грузіи, с. с. Коваленскому, въ 16 день апреля 1799 г., въ С.-Петербургъ. Грузія при царъ Георгій XII // АКАГК (Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею). т. I. Напечатан. подъ редакциею предсъдателя комиссіи, ст. сов. Ад. Берже. Тифлис, 1866. стр. 93-95, § 7, 10.

26. Иваненко В.Н. Гражданское управление Закавказьем от присоединенія Грузія до намѣстнычества Великвго князя Михаила Николаевича. Исторический очерк. Тифлис, 1901.

27. Маевский В.Т. Кутаиская губерния. Военно-политическое описание. Тифлис, 1896.

28. Отношеніе барона Розена къ гр. Чернышеву, отъ... августа 1834 года, VI, Осетія // АКАГК (Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею). т. VIII. Изданъ подъ редакциею предсъдателя комиссіи, д.с.с. Ад. Берже. Тифлис, 1881. стр. 423-427, § 291.

29. Отношение с.с. Коваленскаго къ ген.-л. Кноргину, отъ 13-го августа 1800 года, за № 307. // АКАГК (Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею), т. I. Тифлис, 1866. стр. 134-136, §47.

30. Плиний Старший. Есте́ственная исто́рия. // Латышев В.В. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. Том II. Латинские писатели. Выпуск 1-й. Том II. Латинскіе писатели. Выпуск 1-й. Плиній Секунд, книга VI, § 26. Санкт-Петербург, 1904. стр. 181-182.

31. Страбонъ. География Страбона // Латышев В.В. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. Том I. Греческіе писатели. Санкт-Петербург, 1890. стр. 91-163.

32. Такаишвили Е. Археологические экскурсий. Розысканья и заметки, вып. II, Тифлис, 1905.

33. Филипов В.Н. Военный обзор Тифлисской Губернии Закатальскаго округа. Составиль Генеральнаго штаба подполковникъ Филировъ, СПБ, 1872.

34. Шахатунян А. Адмистративный передел Закавказского края. Тифлис: Тип. „Ашхатавор“, 1918.

დამოწმებული რუკები

35. ტიმოთე გაბაშვილი. 1737 წლის დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) რუკა.

36. სრულიად საქართველოს მოსკოვში 1743 წ. გადახატულ რუკაზე.

37. ჩანართი რუკები ვახუშტი ბატონიშვილის 1842 წელს გამოცემული ნაშრომისათვის (ფრანგულ ენაზე): Bagrationi (Batonichvili) Vakhouchti (1696-1757). Description geographique de la Georgie, par la tsarevith Wakhoucht, publiee d'apres l'original autographe / par M. Brosset. - S.-Peterbourg, 1842 (La Typ. de l'Acad.):

- № 1. Samtzkhé.
- № 2. Géorgie au s. du Kour.
- № 3. Karthli au n. du Kour.
- № 4. Cakhéthi.

- № 5. Iméréthi.
- № 6. Carte Générale des pays Géeorgiens.

38. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრების რუკა. 1919. მასშტაბი 1:3,000,000.

39. Бурнашев С.Н., 1901. Генеральная карта Грузинскихъ царствъ; Кахетіи, Карталиніи и царства Имеретіи еъ его Княжествами Гуріей и Мингреліей уъ обладающими областями и народами обитающими въ кавкаскихъ городахъ. Составлена Подполковникомъ и кавалеолмь Бкрнащовымъ въ 1784 года Въ г. Тбилисѣ.

40. 5-ти верстовая карта. Лист Ж9, Елизаветополской губерніи.

2. ივანე ჯავახიშვილი, მოხსენება თანამედროვე მომენტზე[1]

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1919 წ. 4 მაისი, №95, გვ. 4; 7 მაისი, №97, გვ. 2-3; 8 მაისი, №98, გვ. 3-4.

სახელმწიფო უნივერსიტეტში 28 და 29 აპრილს პრ. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება თანამედროვე მომენტზე. მოხსენებას თითქმის მთელი სტუდენტობა და პროფესურა დაესწრო. მოხსენება მეტად საინტერესო იყო და პატივცემულ მომხსენებელს სტუდენტობამ მხურვალე მადლობა გადაუხადა.

პროფ. ჯავახიშვილი ჯერ ჩვენს ისტორიულ პოლიტიკას შეეხო. იგი ამტკიცებდა, რომ რამდენადაც ჩვენი წინაპრები გამოცდილნი იყვნენ აღმოსავლეთ სახელმწიფოებთან (სპარსეთ-ოსმალეთთან) პოლიტიკის წარმოებაში, იმდენად გულუბრყვილონი იყვნენ ევროპელებთან პოლიტიკის წარმოებაში. ჩვენ[ს] წინაპრებს ეგონათ, რომ ძლიერი ქრისტიანი ერი უანგარო დახმარებას გაუწევს მცირე ქრისტიან ერს, და ძლიერ[ი] ერის პოლიტიკაში ვერაგობას, ადგილი არ ექნებოდა. მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა. თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსიც. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს, მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსათვის დახმარების გაწევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და საქართველოსათვის ზრუნვა მხოლოდ სიტყვის მასალა იყო.

იმპერიალისტური პოლიტიკა რუსეთში დაიწყო პეტრე I დიდის დროს. ჯერ სუეცის არხი არ იყო მაშინ გაყვანილი და ევროპიელები ინდოეთში მიდიოდნენ სავაჭროდ აფრიკის გარშემო. რასაკვირველია ეს ძალიან შორი გზა იყო, ამისთვის პეტრე პირველმა განიზრახა დაეპყრო სპარსეთი და სპარსეთიდან ინდოეთში გადასულიყო. ეს გზა უფრო მოკლე იყო და ინდოეთის ვაჭრობაც ადვილი ჩასაგდები იყო ხელში. პეტრე დიდის აზრით უნდა დაარსებულიყო კასპიის ზღვის ნაპირას რამოდენიმე ქალაქი. საცა მოეწყობოდა ინდოეთიდან გამოტანილ საქონლის საწყობი. სპარსეთზე გალაშქრებისათვის პეტრე დიდს დასჭირდა საქართველო. 1721 წელს მოულოდნელად თბილისში ჩამოვიდა პეტრე დიდის დესპანი, იგი წარუდგა მეფე ვახტანგ მე-VI-ეს, დაჰპირდა რუსეთის მფარველობა, საქართველოს გაერთიანება, დახმარება ჯარით, ფულით, იარაღით და მოუწოდა მას რუსეთთან ერთად სპარსეთისათვის ომი გამოეცხადებინა. ეს გეგმა საერთოდ სპარსეთზე დაცემისა ისეთი მიმზიდველი იყო, რომ ვახტანგ მეექვსე გადიხარა მისკენ. მან მოიწვია დარბაზი (პარლამენტი),[2] დარბაზის უმრავლესობა წინაღუდგა მეფის

---

[1] საგაზეთო მასალები ჩვენ მოვათავსეთ ალმანახ „ჯავახიანის“ მე-2 ტომში. იქ სხვა ავტორებთან ერთად განთავსდა ივ. ჯავახიშვილის მიერ 1918 წ. 22 დეკემბერს გაკეთებული მოხსენება „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“. იგი თავის დროზე გაზეთებში „სახალხო საქმე“ (1918 წ. 25 დეკ. № 416, გვ. 2) და „ხალხის მეგობარი“ (1918 წ. 27 დეკ. № 339, გვ. 4) გამოქვეყნდა. ამას გარდა, გაზეთი „საქართველო“ 1919 წ. 3 მაისს (№ 94, გვ. 2) ათავსებს შემდეგ ცნობას: „***ჯავახიშვილის მოხსენება.*** *საქართველოს საზავო დელეგაციის წევრმა პროფესორ ჯავახიშვილმა სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამედროვე მომენტზე საყურადღებო მოხსენება წაიკითხა. მოხსენებას სტუდენტობის და პროფესორების გარდა გარეშე ხალხიც დაესწრო. უადგილობის გამო ბევრი უკან დაბრუნდა. მოხსენების ანგარიში ჩვენი გაზეთის სახვალიო ნომერში დაიბეჭდება*“. ეს ცნობა ჩვენ მოვათავსეთ ჩვენი ალმანახის მე-2 ნომერში (გვ. 181), მაგრამ მომდევნო ნომრების მასალების დაბეჭდვა გამოგვრჩა და ამ შეცდომას ახლა ვასწორებთ. მოხსენების შინაარსი ჩაიწერა ვინმე გ. ბ-ძე-მ და ამავე გაზეთში გამოაქვეყნა სათაურით „**პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე**“ (იხ. „საქართველო“ 1919 წ. 4, 7 და 8 მაისი. შესაბამისად №№ 95, 97, 98.) მოხსენება 2 დღის მანძილზე მიმდინარეობდა და იგი უფრო ვრცელი იქნებოდა, ვიდრე ამის შესახებ გაზეთი გადმოგვცემს [რედ.].

[2] „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობაზე დამყარებით ივ. ჯავახიშვილს „დარბაზობა“ თანამედროვე პარლამენტის მსგავს დაწესებულებად ესახებოდა. მეცნიერი თამარის მეფობის პერიოდზე მსჯელობისას წერს: „*საქართველოს სახელმწიფოს უზენაეს ორგანოდ სახელმწიფო „დარბაზი“ იყო*“ [ივ. ჯავახიშვი-

განზრახვას, დარბაზი შესდგებოდა აღმოსავლეთ პოლიტიკაში დახელოვნებულ პირებისაგან და მან გაითვალისწინა ის უბედურება, რომელიც ამით საქართველოს დაატყდებოდა. მეფე არ დაემორჩილა დარბაზის დადგენილებას და პეტრე დიდთან ერთად სპარსეთს ომი გამოუცხადა. ვახტანგმა აიღო განჯა, გადავიდა ყარაბახს, საცა პირობებისამებრ უკვე პეტრე დიდის ლაშქარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პეტრე დარუბანდიდან უკან გაბრუნებულიყო. ვახტანგ მეექვსესათვის კი შემოეთვალა: „შენ ნუ შეშინდები, განაგრძე სპარსეთთან ომიო". ვახტანგი თავისი ჯარით დაბრუნდა უკან და საქართველომ იწვნია სპარსთა შემოსევა, რომელთაც მოსრეს და მოაოხრეს სრულიად აღმოსავლეთ საქართველო. თვით ვახტანგმა მიატოვა თავისი სამეფო და თავისის მახლობლებით გადასახლდა რუსეთს. ასე ძვირად დაუჯდა საქართველოს პირველად რუსეთთან დაახლოვება. მაგრამ ქართველმა მაშინდელმა პოლიტიკოსებმა მაინც ამით ჭკუა ვერ ისწავლეს და ისევ ისე გულუბრყვილონი დარჩნენ პოლიტიკაში.

დიდი ვაივაგლახის შემდეგ საქართველო კვლავ წამოდგა, წელში გაიმართა. თეიმურაზ მეფემ მოამზადა ნიადაგი ირაკლი მეორის სახელოვან მეფობისათვის. ირაკლი გენიოსი იყო, როგორც აღმოსავლეთ პოლიტიკაში, ისე სარდლობაში. საქართველო გაძლიერდა, დამყარდა მშვიდობიანობა, ერეკლეს ჰმორჩილებდა განჯა და ერევანი. მთელ ამიერ-კავკასიაში, და მის გარედაც კი ირაკლის დიდი გავლენა ჰქონდა და საქართველოს ყველა პატივსა სცემდა. ერეკლეს სწადდა გაერთიანებული საქართველო. აღმოსავლეთი საქართველო რომელშიაც შედიოდა სხვათა შორის ლორი, ბამბაკი, ყაზახი – უკვე გაერთიანებული იყო. ერევნის ხანს და განჯის ხანს ერეკლესათვის არამც თუ არ უღალატნიათ არც როდის, არამედ მუდამ ერეკლესთან ერთად იბრძოდნენ სპარსელების წინაღმდეგ. დასავლეთ საქართველოც გაერთიანებული იყო მეფე სოლომონის მიერ. მხოლოდ სამხრეთი საქართველო ეჭირათ ოსმალებს და ერეკლეს საზრუნავი იყო როგორმე ეს მხარე ისევ დედა საქართველოსთვის შემოეერთებინა. ამ დროს რუსეთში მეფობდა ეკატერინე მეორე, რომლის დროსაც კვლავ შედგენილ იქმნა პეტრე დიდის მიხედვით გეგმა სპარსეთის და ოსმალეთის დაპყრობისა და ინდოეთთან ვაჭრობის გაჩაღებისა. კიდევ დასჭირდათ საქართველო. ეკატერინეს შიკრიკი დაჰპირდა ირაკლის რუსეთის მფარველობა, დახმარება, ჯარი, იარაღი, მხოლოდ ირაკლის უნდა ომი გამოეცხადებინა რუსეთთან ერთად ოსმალეთისათვის. მართლაც თბილისში ჩამოვიდა ასი ბატალიონი[1] რუსის ჯარისა ცნო-

---

ლი, ქართული სამართლის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, თბ. 1984, გვ. 179;] სხვა ნაშრომში კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს: „... *თამარის მეფობის დროს ... შეიქმნა შეზღუდული, კონსტიტუციური მონარქია*" [ივ. ჯავახიშვილი, რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი", იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 17]. სინამდვილეში კი „დარბაზი" სამეფო სასახლეს და „დარბაზობა" მეფესთან აუდიენციას ნიშნავდა [ამის შესახებ იხ.: ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეებში, თბ., 1983, გვ. 162-171; ასევე დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები, თბ., 2002, გვ. 256-280]. სამწუხაროდ, ამ მცდარმა შეხედულებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი და მას სხვადასხვა პოპულარულ გამოცემასა და სახელმძღვანელოში ხშირად შეეხვდებით. რაც შეეხება ვახტანგ VI-ის დროინდელ ვითარებას დავით გურამიშვილს ვახტანგ VI-ის თათბირი თავის დიდებულებთან (და არა პარლამენტის სხდომა) ასე აქვს აღწერილი: „*შეკრბენ ქართველთ ბატონ-ყმანი, ერთად თავი მოიყარეს, დასხდენ რიგით, ივეზირეს, წინ წიგნები დაიყარეს... მათ მიუთხრეს: ... ვინემ რუსნი გვიშელიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების... მეფემ აღარა ბძანა რა, ინება თვისი წადილი; გულში დაესკვნა საქნელად იგი პირველი ქადილი. გათავდა რჩევა, გარდასწყდა!*" მართალია, დ. გურამიშვილის ქმნილება პოეტური ნაწარმოებია, მაგრამ ისიც, როგორც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", თანადროული ვითარებისა და რეალიების ზუსტ ანარეკლის შემცველია. ამიტომაც უნდა ვენდოთ დავით გურამიშვილს, რომელიც მეფესთან ამ თათბირს „რჩევას" უწოდებს. დიდებულები მხოლოდ რჩევას აძლევენ მეფეს და მეტი არაფერი. ისინი რაიმე სახის დადგენილებას, რომელსაც იურიდიული ძალა ექნებოდა, არ იღებენ. მეფე აქ რაიმეთი შეზღუდული არაა. ამიტომაც მეფე ამ რჩევას არ ითვალისწინებს და ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას იღებს [რედ.].

[1] თავად ივ. ჯავახიშვილს სხვა ნაშრომში ამის შესახებ უწერია: „*რუსეთის მთავრობამ საქართველოში ოსმალეთის საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებისათვის გენ. გრაფი ტოტლებენი გამოგზავნა ერთი ქვეითი პოლკით, 2 ასეული ცხენოსანი კარაბინერებით, 2 ასეული ცხ. გუსარებით, 200 დონის*

ბილ ტოტლებენის წინამძღოლობით და ირაკლიმ გამოუცხადა ომი ოსმალეთს. საქართველოში არ იცოდნენ არც ზარბაზნის ჩამოსხმა, არც მათი მოხმარება. ტოტლებენის ჯარში მყოფმა ქართველმა ოფიცრებმა რატიშვილმა და თარხნიშვილმა დაუწყეს ქართველებს ზარბაზნების ჩამოსხმისა და მოხმარების სწავლება. სწორეთ ბრძოლის დაწყების წინ ტოტლებენმა მიატოვა ირაკლი, თუმცა ირაკლი ეხვეწა მას, მაგრამ ტოტლებენი წავიდა და მტერს ირაკლი პირში მისცა. ირაკლის გენიოსობამ საქართველო იხსნა განსაცდელისაგან. ტოტლებენმა რატიშვილი და სხვა ქართველი ოფიცრები ციხეში ჩასხა და ციმბირში გადაასახლა იმისათვის, რომ მათ ქართველებს ზარბაზნების ხმარება ასწავლეს. ყველა სახტად დარჩა მოკავშირე რუსეთის ასეთი ქცევით. როგორც საიდუმლო არქივებიდან ირკვევა რუსეთს სრლიადაც აზრად არა ჰქონდა საქართველო გაეძლიერებინა, არამედ უნდოდა იგი სრულიად დაუძლურებულიყო, რომ შემდეგ ადვილი მოსასპობი ყოფილიყო. მაგრამ ამ ვერაგობამ ვერ გაუხილა ქართულ პოლიტიკას თვალები, იგი მაინც გულუბრყვილო დარჩა და ეგონა რომ ძლიერი უანგაროდ დაეხმარებოდა მაჰმადიანებით გარემოცულ ქრისტიან ერს. 1783 წლის ცნობილი ხელშეკრულება დაწერილია, როგორც ირკვევა, არა ირაკლის თხოვნით, არამედ პოტიომკინის კარნახით. ამ ტრაქტატის დედანიდან ჰსჩანს რომ იგი დაწერილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსათვის, მაგრამ შემდეგ იმერეთის მეფე სოლომონის სახელი წაშლილია და ტრაქტატიც დაიწერა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან. განზრახული ყოფილა, რომ ხელშეკრულებ[ისათვის] ხელი უნდა მოეწერა იმერეთის მეფე სოლომონსაც, მაგრამ რუსეთსა და ოსმალეთს საქართველო უკვე გაეყოთ და დასავლეთ საქართველო ოსმალეთისათვის გადაეცა რუსეთს. საერთაშორისო უფლების მცოდნე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს ტრაქტატი არის მხოლოდ მოკავშირეობის ტრაქტატი და იგი სრულებითაც არა ჰგულისხმობს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას. ეს ტრაქტატი ძალიან ძვირად დაუჯდა საქართველოს. იმ დროს, როცა ეს ტრაქტატი თბილისში ირჩეოდა, მაშინ აქ იყო აღა-მაჰმად ხანის მიერ გამოგზავნილი დესპანი. აღა-მაჰმად ხანი სთხოვდა ირაკლის, რომ მას თავი დაენებებინა რუსეთთან დაახლოვებისათვის და ჰპირდებოდა აზერბაიჯანს თავრიზამდე.

ირაკლიმ მაინც უარი არა სთქვა და ეს საქართველოს ძვირად დაუჯდა. აღა მაჰმად-ხანმა მოაოხრა თბილისი და თვით ირაკლი თბილისიდან ილტვოდა. ირაკლი თავის დროზედ სთხოვდა რუსეთს ხელშეკრულება შეესრულებინა და მაშველი ჯარი გამოეგზავნა, მაგრამ ამაოდ. თბილისის მოოხრების შემდეგ აღა მაჰმად-ხანმა ირაკლის კვლავ დესპანი გაუგზავნა, ჰპირდებოდა, დანგრეული ქალაქების აღდგენას, წაყვანილი ტყვეების განთავისუფლებას, ოღონდ ირაკლის რუსეთისათვის პირი მოერიდებინა. ირაკლიმ ამაზედ არავითარი პასუხი არ გაცა. ის მაინც შველას ელოდა რუსეთიდან, მაგრამ ამაოდ. ირაკლი ისე გარდაიცვალა, რო[მ] მან ვერ იხილა კვლავ აღდგენილი საქართველო. ირაკლის სიკვდილის შემდეგ პეტერბურგში მალე გამოქვეყნდა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი. მაგრამ ამ მანიფესტის გამოქვეყნებას თბილისში ვერა ჰბედავდნენ. მეფე გიორგი მეცამეტესთან პავლე პირველი აწარმოებდა მიწერ-მოწერას ... დამატებით პუნქტების შესახებ. ბოლოს, ორი წლის შემდეგ, როცა საქართველოს შეერთების მანიფესტი უკვე გამოქვეყნებული იყო პეტერბურგში, პავლე პირველის დელეგატებმა წამოიღეს ეს მანიფესტი თბილისში, ამ მანიფესტზედ ხელი უნდა მოეწერა გიორგი მეცამეტეს და შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო. მაგრამ დელეგატები გზაში იყვნენ, როცა გიორგი მეფე გარდაიცვალა. საქართველოს ახალ[მა] მთავარსარდალმა კნორრინგმა შეკრიბა სიონის ტაძარში ყველა დიდებულნი, უფლისწულნი, დედოფალნი, შემოარტყა ჯარი, წაუკითხა მათ მანიფესტი და მოითხოვა რომ ყველას ხელი მოეწერა მანიფესტზე. ვინც ხელს არ მოაწერდა, მას დახვრეტავდნენ. ბევრი არ შეუშინდა ამას და ხელი არ მოაწერა მანიფესტს. ამგვარად, მოხდა „ნებაყოფილობითი“ შეერთება საქართველოსი რუსეთთან. ქართულ პოლიტიკის გულუბრყვილობამ, უსუსურობამ მიიყვანა საქართველო ოკკუპაციამდე.

ყაზახით, 300 ყალმუხით და 1 საველე ზარბაზნით“ [ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. 12. თბ. 1998, გვ. 407] [რედ.].

ას ჩვიდმეტმა წელმა გაიარა და საერთაშორისო განწყობილების წყალობით საქართველოს მონობა კვლავ მოეხსნა. [მაგრამ] ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა.

რუსეთს ყველაზე გვიან საქართველო ჩამოშორდა. ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა და ამისათვის საქართველო თანდათანობით სცილდებოდა რუსეთს. ჯერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა, შემდეგ კი უკვე საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს თანდათანობა არ იყო განზრახ მოგონილი, როგორც სწამებენ ჩვენ მმართველ პარტიას სომხები და რუსები. მაგრამ ეს თანდათანობა ძლიერ კეთილი იყო საქართველოსათვის. საქართველო რომ უეცრად ჩამოსცილებოდა რუსეთს, მას გაანადგურებდა ან რუსის ან სომხის მობოლშევიკე ჯარი. Წრთი სიტყვით, პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გად[ა]იდგა თავის დროზედ და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია.

დამარცხდა გერმანია და მოკავშირეებიც შემოვიდნენ კავკასიაში. მოკავშირეები მოვიდნენ აქ ჩვენდამი მტრულ განწყობილებით. ისინი ვერ შერიგებოდნენ იმას, რომ ჩვენ აქ გერმანელები შემო[ვ]უშვით. როგორც იყო, ასე თუ ისე, მოვაგვარეთ საქმე მოკავშირეებთან და მივიღეთ ნება, რომ ჩვენ დელეგაციას შეეძლო პარიზის კონფერენციაზედ გამგზავრება. წინა დღით გადმოგვცეს, რომ ჩვენს დელეგაციას ბათუმში საგანგებო გემი ელოდება და იქ მალე უნდა გავმგზავრებულიყავით. საჩქაროდ მოვემზადეთ და ბათუმს გავემგზავრეთ, მაგრამ იქ გემი არ დაგვხ[ვ]ედრია. მოკავშირეებმა დაგვარწმუნეს, რომ შეცდომა მოხდა და გემი აქამდის რაღაცა მიზეზებით არ ჩამოვიდაო. კვირაზედ მეტი ველოდეთ იმ ჩვენთვის საგანგებოდ გამოგზავნილ გემს, მაგრამ ის გემი დღესაც არ ჩამოსულა ბათომში. სომხების დელეგაცია კი ჩასვლის უმალ ნაღმოსნით გაგზავნეს კონსტანტინეპოლში. ზოგიერთ ჩვენ[ს] დელეგაციის წევრებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მოკავშირენი გულწრფელნი იყვნენ გემის დაგვიანების მიზეზების ახსნაში. აქაც სჩანდა ჩვენი გულუბრყვილო პოლიტიკოსობა. ერთი კვირის შემდეგ ჩვენ ბათომიდან გაგვგზავნეს გემით, რომელიც სალონიკში მიდიოდა. ამ გემს ჩვენ სალონიკში უნდა წავეყვანეთ. სალონიკიდან კი ადვილი იყო საფრანგეთში გამგზავრება, მაგრამ ეს გემი უნებლიეთ სტამბოლში გაჩერდა და ჩვენ ქვევით არ გაგვიშვეს. კონსტანტინეპოლში ჩვენი ცხოვრება მაინც სასარგებლო აღმოჩნდა. საქართველოში ჩვენ არ ვიცოდით თუ ქვეყანაზედ რა ამბები ხდებოდა. აქ კი გავიგეთ რომ მთელი რუსეთი და ევროპა გარშემორტყმულია მოკავშირეების მიერ. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ნება დაურთველათ არავის არსად უშვებენ: ბელგიელს ბელგიაში წასვლა არ შეუძლიან, დანიელს დანიაში, ისპანიელს ისპანიაში და სხვა. წერილებზედ სასტიკი ცენზურაა, რომელიც ომის დროსაც კი არ იყო. თუმცა ამ გარშემორტყმას მოკავშირეები ხსნიან ბოლშევიზმის გავრცელების შიშით, მაგრამ გარშემორტყმულნი არიან ის სახელმწიფოებიც კი, საცა სრულებით არ არის ბოლშევიზმი, ნეიტრალური სახელმწიფონიც კი განიცდიან ამ გარშემორტყმას. ნეიტრალობაც კი მოკავშირეებს საეჭვოდ მიაჩნიათ. საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან გამოაცხადა ნეიტრალობა: საქართველომ სწორი გეზი აიღო. ომის ბედი ცვალებადია და ამ მსოფლიო ომში საქართველო არც ერთ მხარეზედ არ გადაიხარა. სტამბოლში ჩასვლისას მოკავშირეთა ჟანდარმერიამ დაარღვია ჩვენ დელეგატთა ელემენტარული უფლება ხელშეუხებლობისა: დაიწყეს გამოკითხვა რომელი დელეგატი რა პარტიას ემხრობოდა და რა აზრისა იყო ამ მსოფლიო ომზედ. საზოგადოთ საქართველოს დელეგაციას კარგის თვალით არ უყურებდნენ. მოკავშირენი საქართველოს სთვლიდნენ გერმანიის მოკავშირედ, ამავე დროს კი სომხეთს ისინი თავიანთ მოკავშირეთა[დ] სთვლიდნენ და საკმარისი იყო გქონოდათ მოწმობა რომ თქვენ სომხეთის ქვეშევრდომი ხართ და თავისუფლად შეგეძლოთ შესვლა და გასვლა კონსტანტინოპოლიდან. სომხეთს დიდი უპირატესობანი ჰქონდა მინიჭებული: თვით მუსულმანებს, სპარსელებს და ოსმალებს არ უშვებდნენ სტამბოლში, თუ მათ სომხის პატრიარქიდან არ ექნებოდათ მოწმობა, რომ ამასა და ამ მუსულმანს სომხების ჟლეტაში მონაწილეობა არ მიუღია. სომხებმა საზოგადოთ გამოიჩინეს დიდი უნარი დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში საზოგადოებრივ აზრის სომხეთის სასარგებლოდ შემუშავებისა. მარტო სტამბოლში გამოდის ხუთი სომხური გაზეთი და ორიც ფრანგული, რომელსაც

სომხები მეთაურობენ. საქართველოს დელეგაციის იქ ყოფნის დროს ამ გაზეთებში ძალიან ბევრი წერილები იწერებოდა საქართველოს წინააღმდეგ.[1] ჯერ წერილი დაიბეჭდებოდა ხოლმე სომხურ გაზეთებში, შემდეგ ის განმეორდება ფრანგულში. სომხების საქართველოსადმი ზიზღი პირდაპირ საკვირველია.

რა ჭორი, რა ცილის-წამება არ იბეჭდებოდა ამ გაზეთებში. სხვა და სხვანაირად იმეორებდნენ იმ აზრს, რომ საქართველო კიდევ ომის წინად პირობით შეეკრა გერმანიას, რომ ქართველები ხელს შეუწყობენ რუსეთის დანგრევას და სამაგიეროდ მიიღებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. მართლაც ქართველებმა დაანგრიეს რუსეთი, შეასუსტეს ამით მოკავშირეები და სამაგიეროთ მიიღეს დამოუკიდებლობა. ჩვენ[ი] საზოგადო მოღვაწეთ მასხრად იგდებდნენ, ჟორდანიას, ჩხენკელს და სხვა მინისტრების სახელს უეჭველად ოსმალურ სახელებს უმატებდნენ, ესე მაგ. სწერდნენ ენვერ გიორგაძემ ესა და ეს სისაძაგლე ჩაიდინა სომხების წინააღმდეგო. სომეხ-ქართველთა ომს ისინი აბრალებდნენ ქართველებს. ქართველებმა ასტეხეს ეს ომიო. ამ ომში სომხის ძლევა-მოსილმა მხედრობამ სასტიკად დაამარცხა ქართველებიო და მოკავშირეები რომ არ ჩარეულიყვნენ ჩვენი მხედრობა სომხეთის ქალაქს თბილისს აიღებდაო.

ქართველებს აბრალებდნენ ღალატს. მხოლოდ საქართველოს ღალატმა გერმანია მოიყვანა ამიერ-კავკასიაშიო. ქართველებს რომ სომხებისათვის მხარი მიეცათ, გერმანელები ვერ გაბედავდნენ კავკასიაში მისვლასო. ჩვენი დელეგაციის წევრნი სტამბოლში რომელ დაწესებულებაშიაც კი არ უნდა წასულიყვნენ, ყველგან ერთსა და იმავეს ეუბნებოდნენ: „როგორ შეუშვით გერმანელები საქართველოშიო“. რა მოსაზრებანიც კი არ უნდა მოეყვანათ ჩვენ[ს] დელეგატებს გერმანელების ჩამოსვლის შესახებ, ისინი მაინც თავისას იმეორებდნენ, არ უნდა შეგეშვათ გერმანელებიო.

ძალიან საძაგელი წერილები დაიბეჭდა იმ დროს გენ. ოდიშელიძეზე. მას აბრალებდნენ, რომ მან ოსმალეთიდან აიღო ქრთამი და არზუმი და ყარსი უბრძოლველად გადასცა ოსმალეთს. ეს სისაძაგლე ვერ მოითმინა ოდიშელიძემ და დასაბუთებული წერილი დაბეჭდა გაზეთში, საცა ამტკიცებდა აზრუმის და ყარსის დაკარგვაში თვით სომხები არიან დამნაშავენიო:[2] ჯერ მტერი არც კი მოახლოებოდა აზრუმს, რომ სომხის ჯარის კაცები გაიქცნენ იქიდან. მათ ღენერალ ანდრანიკს უნდოდა ისინი შეეჩერებინა, მაგრამ ჯარისკაცებმა დასჭრეს იგი და აზრუმს თავი მიანებეს. ესევე ამბავი ყარსში დატრიალდა. ამის შემდეგ სომხებმა თავი გაანებეს ასეთ ამბებზე წერას. შემდეგ საზოგადოდ საქართველოს წინააღმდეგ იწყეს წერა. სომხები აბრალებდნენ ქართველებს, რომ მათ შეკრეს ყველა გზები და სომხეთში არ უშვებდნენ არავითარ სანოვაგეს, არც მედიკამენტებს და ხელს უწყობდნენ სომეხთა ამოჟლეტას. ქართველები გამოქცეულებს სასტიკად ეპყრობიან და ჟლეტენ მათ. ერთი სიტყვით არავითარი სისაძაგლე არ დარჩა, რაც სომხებს ქართველებისთვის არ მიეწერნათ. ამავე დროს სომხები გამოდიოდნენ ქომაგად ყველა დაჩაგრულ ერისა. მაგალითად დაბეჭდილი იყო წერილი აბხაზეთზე – წერილი ჰღაღადებდა: „ქართველები ჟლეტავენ და ავიწროებენ პატარა თავისუფლებისმოყვარე ერს აფხაზებს. მხოლოდ სომხები ეხმარებიან მათ და სცდილობენ იხსნან ისინი ქართველობის მტარვალობისაგან[“]. ამ გაზეთების აზრით ერთად-ერთი ერი, რომელზედაც შეიძლება დაემყარნენ მოკავშირენი, არიან სომხები, რომ მხოლოდ სომხები იყვნენ ინგლის-საფრანგეთის მოკავშირენი და როგორც ასეთებს, მხოლოდ მათ უფლება აქვთ დაშვებულ იყვნენ საზავო კონფერენციაზედ. ამავე დროს გამოქვეყნდა ის ტერიტორიალური მოთხოვნილებანი, რომელიც წარუდგინა სომხების დელეგაციის თავმჯდომარემ ნუბარ-ფაშამ[3] პარიზის კონფერენციას. სტამბოლის გაზეთებში და

---

[1] აქ 2 წინადადებაში შეცდომა დაშვებული, ეტყობა ასოთამწყობის მიერ. სიტყვა „საქართველო“ მეორე წინადადებაში უნდა ეწეროს, არადა შეცდომით პირველში მოხვდა. ზემოთ გავასწორეთ. აქ კი დედნის ვარიანტი მოგვყავს: „*მარტო სტამბოლში გამოდის ხუთი სომხური გაზეთი და ორიც ფრანგული საქართველოს რომელსაც სომხები მეთაურობენ, დელეგაცის იქ ყოფნის დროს ამ გაზეთებში ძალიან ბევრი წერილები იწერებოდა საქართველოს წინააღმდეგ*“ [რედ.].

[2] ილია ოდიშელიძის აღნიშნულ წერილს „აზრუმის აღება“ ვბეჭდავთ წინამდებარე ალმანახში – იხ. დანართი [რედ.].

[3] შეცდომაა. სომხეთის დელეგაციის ხელმძღვანელი იყო ავეტის აჰარონიანი [რედ.].

თბილისის გაზეთებშიც ეს მოთხოვნილებანი სისწორით არ იყო მოყვანილი. მალე სტამბოლში მივიღეთ ინგლსურფრანგული გაზეთები და იქედან გავიგეთ აშკარად თუ რა მოუთხოვნია ნუბარ-ფაშას. მხოლოდ მაშინ მივხვდით, თუ ასეთის გაშმაგებით რათ ებრძოდნენ საქართველოს სომხები. სომხებს უნდოდათ რომ კონფერენციაზედ ქართველები არ ყოფილიყვნენ, რათა სომეხთა ტერიტორიულ მოთხოვნილებებისათვის კრიტიკა არავის გაეწია. სომეხთა ტერიტორიული პრეტენზიები კი ძალიან გადაჭარბებული იყო. ინგლისის გაზეთებში დაიბეჭდა რუქა[1] იმ ტერიტორიისა, რომელსაც ნუბარ-ფაშა მოითხოვდა. ეს რუქა შემდეგ დაიბეჭდა ფრანგულად სხვა და სხვა საღებავებით. სომხების დელეგაცია სომხეთის უდავო ტერიტორიად სთვლიდა იმ ადგილებსაც კი, რომელნიც სომხეთს არც როდის არა სჭერია. მაგალითად, თბილისი, მცხეთა, ბათუმი ნუბარ-ფაშას აზრით უდავო კუთვნილებაა სომხეთისა. სომხეთს უჭირავს უზარმაზარი ტერიტორია. აღმოსავლეთიდან სომხეთი ისაზღვრება კასპიის ზღვით, ბაქოც სომხეთში შედის. ჩრდილოეთიდან სომხეთის საზღვარი გადმოდის განჯის და თბილისის გუბერნიებზედ, ასდევს მტკვრის ხეობას, ისე კი რომ რკინის გზის ლიანდაგი სომხეთში რჩება, გადადის ახალციხეზედ და ჩადის ბათომში. სამხრეთით თითქმის მთელი ჩრდილო სპარსეთი ქალაქ თავრიზით შედის სომხეთში. მცირე აზიის დიდი ნაწილი და კილიკიაც სომხეთის ნაწილებს შეადგენენ. ერთი სიტყვით სომხებს ძალიან დიდი იმპერიალისტური მადა გამოუჩნდათ. სომხები ქართველებსა სწამებდნენ იმპერიალისტობას და იმპერიალისტობაში მათ ყველაფერს გადააჭარბეს. ამ მოთხოვნილებამ საფრანგეთის პრესაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, სომხებისადმი კარგად განწყობილი ფრანგული გაზეთები ურჩევდნენ, რომ სომხებს შეემცირებინათ თავიანთი მოთხოვნილებანი. ფრანგული გაზეთები აშკარად სწერდნენ, რომ ისინი კილიკიას ცოცხალი თავით სომხებს არ დაუთმობდნენ. ინგლისური გაზეთებიც სწერდნენ, რომ მესოპოტამიას ინგლისი არ დაუთმობს სომხებს. როგორც გამოირკვა 1916 წლის ხელშეკრულებით ოსმალეთი უკვე განაწილებული ყოფილა მოკავშირეთა შორის და კილიკია შეხვედრია საფრანგეთს, მესოპოტამია კი ინგლისს. ამან გამოიწვია ინგლის-სომხეთის და საფრანგეთ-სომხეთის დამოკიდებულობის გაცივება. სომხებს მოუსპეს ყველა უპირატესობანი. სტამბოლის სომხურ-ფრანგული გაზეთები ამის შესახებ სდუმდნენ. მაგრამ სომხებს იარაღი არ დაუყრიათ და თავის მფარველად მათ გამოაცხადეს ამერიკა. მხოლოდ სომხები ისე მოიქცნენ, რომ ამერიკის მფარველობა თითონ კი არ წამოაყენეს, არამედ ბერძნებს წამოაყენებინეს საზავო კონფერენციაზედ. მაგრამ ამ წინადადებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია. სომხეთის დელეგაცია საზავო კონფერენციაზედ არ დაუშვეს მიუხედავად იმისა, რომ მთელი დედა მიწის ზურგიდან საზავო კონფერენციას მისდიოდა აუარებელი დეპეშები, რომელნიც მოითხოვდნენ სომხეთის დელეგაციის დაშვებას. საზავო კონფერენციაზედ ჯერ არ წამოუყენებიათ ისეთი საკითხები, რის გადაჭრაშიც საჭირო ყოფილიყო საქართველოს დელეგაციის დასწრება. საქართველომ იმით არაფერი წააგო, რომ კონფერენციაზედ დროზედ არ გაუშვეს. საქართველოსთვის იმისთანა პირობებია, რომ მის დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელის. თუმცა საფრანგეთსა სურდა ძველი რუსეთის აღდგენა, რომ მას გერმანიის წინააღმდეგ მოკავშირე ჰყოლოდა, მაგრამ თითონაც დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელია. ინგლისს ძალიან ეშინიან რომ კვლავ მოღონიერებულ[მა] რუსეთმა ინდოეთისკენ არ გაიწიოს, ამისთვის მის ინტერესს შეადგენს რუსეთის ბატონობა კავკასიონის ქედს აქეთ არა სცილდებოდეს. მაშასადამე, ამ მხრივ საქართველოს საფრთხე არ მოელის.[2] საჭიროა მხოლოდ რომ საქართველოს პოლიტიკური აზროვნება შეეჩვიოს იმ აზრს, რომ საქართველო მუდამ უნდა ემყარებოდეს თავის თავს და თავისის ძალღონით მას

[1] იხ. დანართი.

[2] ივანე ჯავახიშვილის ხელთ არსებული ინფორმაციით, ეტყობა იმ მომენტში ასე ჩანდა. მისთვის ხელმიუწვდომელი იქნებოდა ამ ქვეყნებში პოლიტიკური პროცესების დეტალები, რომელიც თანდათანობით რუსეთის კავკასიაში აქტიურ მოქმედებას არ ეწინააღმდეგებოდა. მაგ. დიდმა ბრიტანეთმა ლოიდ ჯორჯის სახით განუცხადა საბჭოთა დიპლომატს კრასინს, რომ დიდი ბრიტანეთი კავკასიას უყურებს, როგორც რუსეთის გავლენის სფეროს. [იხ. „კომუნისტი", 1925 წ. 5 მარტი. მ. ჩიჩერინის მოხსენება]. ამ შეცვლილმა ვითარებამ განაპირობა 1921 წ. თებერვალში საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობა [რედ.].

შეუძლია შემუსროს გარედან შემოსეული მტერი. საქართველოსთვის საჭირო არ არის ვისიმე პროტექტორატი.[1] ბედი ცვალებადია. სხვისი მფარველობა კი ჩვენ მოგვადუნებს. საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს. ჩვენი სამშობლო ისეა შემოფარგლული, რომ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მას ბუნებრივი სიმაგრეები საზღვრავენ. დასავლეთიდანაც საზღვრავს ზღვა. მხოლოდ ერდადერთი საზღვარი[ა], რომელიც ღიაა. ეს არის აღმოსავლეთის საზღვარი. საქართველოს თავის დასაცავად მხოლოდ ამ საზღვრის ხელოვნურად გამაგრება დასჭირდება. მშვენიერი საზღვრების გამო, საქართველოს არ დასჭირდება დიდი ჯარის შენახვა. საჭირო დროს საქართველო შემოჰკრებს თავის შეგნებულ შვილთ, რომელნიც სამშობლოს დაიცავენ. საჭიროა მხოლოდ რომ ყოველ ქართველს ჰქონდეს სამხედრო ცოდნა. ჩვენ[ს] სამშობლოს რამდენიმე ათეული საუკუნე უცხოვრია. ბევრი ჭირ ვარამი გადაუტანია, მაგრამ იგი ისევ ისე სდგას, როგორც სალი კლდე, მაშინ როცა მის[ი] დამპყრობი სახელმწიფონი დაშლილან, განადგურებულან და ბევრი მათგანი სრულებით აღგვილან დედამიწის ზურგიდან.

ამგვარად, ჩვენი სამშობლოსათვის საზრუნავია, რომ მან განამტკიცოს თავის[ი] დამოუკიდებლობა, დაემყაროს მხოლოდ თავის ძალებს, დარჩეს კვლავად ნეიტრალური ამ მსოფლიო ომში და [სხვა] სახელმწიფოთ ფეხის ხმას არ აჰყვეს.

გ. ბ-ძე[2]

---

[1] როგორც ჩანს, ივანე ჯავახიშვილი არ იზიარებს მაშინდელი საქართველოს ხელისუფლების პოზიციას, რომლის მიხედვითაც საქართველოს დელეგაციას განსაზღვრული ჰქონდა მანდატი. იხ. აქვე საქართველოს მთავრობის 1918 წ. 21 ნოემბრის სხდომის ოქმი [რედ.].

[2] ფსევდონიმია და იგი ლექციის ჩამწერია. მისი ვინაობა უცნობია [რედ.].

3. ივანე ჯავახიშვილი
საქართველოს უფლებები ზაქათალის ოლქზე[1]

წყარო: საქართველოს საისტორო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 274, ფ. 1-2.

ზაქათალის ოლქზე საქართველოს უცილობელი უფლება აქვს ჯერ ერთი იმიტომ რომ ეს კუთხე უძველეს დროითგან ქართველ ერის მკვიდრ მიწა წყალს შეადგენდა და ჰერეთის სახელით ცნობილ ქართულ კულტურისა და ხელოვნების ასპარეზად ითვლებოდა. მე-XVII-ე ს-ის პირველ მეოთხედამდე ის მუდამ ქართველთა უდავო სამფლობელოსა და საკუთრებას შეადგენდა. თათრები, ანუ თურქები აქ მხოლოდ შაჰაბაზის, საქართველოს ამ დაუძინებელ მტრის წყალობით გაჩნდენ: ჩვენი ქვეყნის აოხრების შემდეგ მან აქ თავისი ერთგული მაჰმადიანი ტომი ჩაასახლა, რომ ამით სპარსეთს შემდეგში საქართველოში შესვლა გაადვილებოდა. ამ გარემოებას ქართველთათვის რასაკვირველია ახალი უფლებრივი მდგომარეობის შექმნა არ შეეძლო და შემდეგშიაც ჰერეთიც, იგივე საინგილო, ანუ ზაქათალას ოლქი საქართველოს კუთვნილებად ითვლებოდა. ეს მარტო ქართულ წყაროებით არა მტკიცდება, არამედ რუსულ ოფიციალურ წყაროებშიაც არის აღბეჭდილი: სახელდობრ 1743 წ. მოსკოვში დახატულ მაშინდელ საქართველოს რუსულს რუკაში, რომელიც პეტერბურგში სამხედრო სამინისტროში ინახება, ეს კუთხე კახეთის სამეფოს განუყოფელ ნაწილად არის აღნიშნული. ხოლო რუსეთის ელჩის ბურნაშევის მიერ 1784 წ. შედგენილ საქართველოს რუკა ცხადად ამტკიცებს, რომ ერეკლე II-ის მიერ რუსეთთან 1783 წ. ხელშეკრულების დადების დროსაც ზაქათალის ოლქი საქართველოს უცილობელ კუთვნილებად ითვლებოდა. მაშასადამე საქართველოს ამ ოლქზე უფლება დადებულ ხელშეკრულების ძალით რუსეთიც მოვალე იყო მთელი თავისი ძალით დაეცვა.

ივ. ა. ჯავახიშვილი
ტფილისი.
1920.12.V.

4. პროფ[ესორ] ივ[ანე] ჯავახიშვილის ლექცია[2]

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წელი, 20 დეკემბერი, №244

18 ქრისტეშობისთვეს, საღ[ამოს] 6 ს[აათზე], სახელმწიფო უნივერსიტეტის 1-ლ აუდიტორიაში, პროფ[ესორმა] ივ[ანე] ჯავახიშვილმა რიგს გარეშე წაიკითხა ლექცია ქართველ-სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა“.

პატივცემულ[მა] პროფესორმა ლექციას მომენტის შესაფერი შესავალი წარუმძღვარა. შემდეგ დაამტკიცა, რომ სადავო ადგილები: ახალციხე-აქალქალაქი, ლორე და ბამბაკი ეკონომიურად სულაც არ არიან დაკავშირებული სომხეთთან, როგორც სომეხთა საზოგადო მოღვაწენი ამტკიცებენ, ამ ადგილებზე მცხოვრებთ ბუნებრივი სიმაღლეების გამო სომხეთისაკენ გადასვლა ძლიერ ეძნელებათ, მაშინ, როცა ჩრდილოეთისაკენ (ჩვენსკენ) მშვენიერი გზატკეცილები აქვთ, პურს ახალციხე-ახალქალაქიდან 300 000 ფუთს რომ საქართველოში შემოიტანენ, შეიძლება 2

---

[1] საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება დაიდო 1920 წ. 7 მაისს, სადაც საზღვრებიც იყო ნახსენები. იგი აზერბაიჯანმა გააპროტესტა. სწორედ ამ მოვლენას ეხმიანება ივანე ჯავახიშვილის მოცემული მოკლე დასკვნა. იგი საქართველოს მთავრობის არქივში აღმოჩნდა, რაც გვავარაუდებინებს, რომ აღნიშნულ თემაზე აზრის გამოთქმა სთხოვეს მეცნიერს. ამ დასკვნის ფორმაც ამ ვარაუდს აძლიერებს. ეს დასკვნა სულ 7 წინადადებისაგან შედგება, რომელსაც აქვს სათაური და ხელმოწერაც ძალზე ოფიციალურია. მამის სახელის აღნიშვნას ივანე ჯავახიშვილი იშვიათად მიმართავდა [რედ.].

[2] *წინამდებარე ნაშრომი საგაზეთო მასალაა. იგი ალმანახის წინა ნომერში უნდა ყოფილიყო. «ამ ხარვეზს ახლა ვასწორებთ და აქ ვბეჭდავთ* [რედ.].

ან 3 ათასი სომხეთში გაიტანონ. ეს მტკიცება რომ ამ მაზრებს მეტი მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს [სომხეთთან], ვიდრე საქართველოსთან, ჭეშმარიტების უკუღმა შებრუნება იქნებაო.

ამ მაზრების სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ, პატივცემულ პროფესორმა სთქვა: „ეს მაზრები ბუნებრივი მდებარეობის გამო, იმ დროს, როცა საქართველო სადროშოებათ იყო დაყოფილი მოწინავე სადროშოდ იწოდებოდა და ამის მნიშვნელობა ადვილი გასაგებია, სომხეთიდან შემოსეულ მტერს პირველად ამ მაზრებში მცხოვრებნი უნდა შეგებებოდნენო. აქ მცხოვრებთა სამხედრო წესრიგი საუკუნოებით იყო შექმნილი [-] საქართველოს სამხედრო მინისტრის საჯდომი ლორის ციხე იყოო. თვითონ ამ ადგილებს ბუნებრივი მდებარეობა იმ უპირატესობას აძლევს, რომ ვისაც ის უჭრავს, მის ხელშია ფაქტიურად აღმოსავლეთ საქართველოც. მან ადგილების სახელწოდებითა და სხვა და სხ[ვა] დროის ისტორიული ფაქტებით დაამტკიცა, რომ ეს მაზრები ისტორიულადაც საქართველოს ეკუთვნიან. ერთადერთი საფუძველი, რომელსაც ამის შემდეგ სომხეთი უნდა ემყარებოდეს, რეალური მოსახლეობის პრინციპია. რუსეთის მოსვლის დროს ამ მ[ა]ზრებიდან აიყარა ქართველი მაჰმადიანობა და მათ ადგილზე კი მშვიდობიანის გზით შემოსული სომხობა დასახლდა. ამიტომ არის, რომ ისინი დღეს ამ ადგილებში მცხოვრებთა მეტ პროცენტს შეადგენენ.

მაგრამ არც ეს აძლევს სომხეთს საბუთს, რომ მათ ეს ადგილები მოითხოვონ. განა ამერიკაში გადასახლებულ 10 მილიონ გერმანელებს ნება აქვთ ის ადგილები, რომლებზედაც ისინი ცხოვრობენ გერმანიის კუთვნილებად გამოაცხადონო?

შემდეგ აღნიშნა რომ სომხეთის შემოსევა ამ ადგილების დასაპყრობად პირველი ცდა არ არის, რომ ეს საუკუნოებით შექმნილი მათი სურვილია. რომ საქართველოს არა ერთხელ მოულოდნელად შემოსეულ სომხების წინაშე გალაშქრება. და დღესაც, როცა განახლებული საქართველო მათთან მეგობრული განწყობილების განმტკიცებას ცდილობდა, სომხეთი მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს და ჰსურს მისი დამოუკიდებლობა საფრთხეში ჩააგდოს.

ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფები უნდა დარწმუნდნენ რომ იმ ერთან, რომელიც წარსულშიაც და ახლაც საქართველოს საფრთხეს უმზადებს, არავითარი კონფერენციების მართვა არ შეიძლება. ჩვენ თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა გვსურს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ვებრძოლოთ სომხის ერს, რომელიც ამ დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უმზადებსო.

„საქართველოს - სთქვა მან – არასოდეს არ გასჭირვებია სომხეთთან ომი და არც ახლა გაუჭირდება, მაგრამ თუ ვინიცობაა გაუჭირდა, ქართველურად ქუდზე კაცი გავალთ და საქართველო, რომელიც 30 საუკუნე არსებობდა, ჩვენი მკერდით დაცული კვლავ იარსებებსო“. ასე დაათავა საყვარელმა პროფესორმა თავისი ლექცია.

მსმენელებმა ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა იგი.

დარბაზში ისმოდა „გაუმარჯოს საქართველოს. გაუმარჯოს ქართველ მხედრობას“.

ელპარიძე[1]

[1] ეს ფსევდონიმი ალბათ ნიშნავს „ელისე პატარიძე-ს“, რომელიც საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. იგი ცნობილი პუბლიცისტი იყო [რედ.].

II. ივანე ჯავახიშვილის თანამედროვე მოღვაწეების – პავლე ინგოროყვასა და ილია ოდიშელიძის საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომები

პავლე ინგოროყვა
„კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო

მოხსენება

წყარო: პ. ინგოროყვა, „კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გადამიჯვნის გამო, ჟურნ. „პრომეთე“, № 2, 1918 წ., გვ. 72-83.

მოხსენება
საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე
7 თებერვალს 1918 წ.

შინაარსი პირველი მოხსენებისა: 1. შესავლის მაგიერ, 2. საქართველოს საზღვრები, 3. საქართველო-სომხეთის გამიჯვნის საკითხი.

1. შესავალის მაგიერ

საუბარს პატარა მიმოხილვით, უფრო სწორედ – მოგონებით დავიწყებ.

ამ ერთი წლის წინად, როდესაც ჩვენს საისტორიო საზოგადოებაში პირველად წავიკითხე ნარკვევი: „რა ტერიტორიულ საზღვრებში უნდა განხორციელდეს თვით-მმართველობა საქართველოსი, სომხეთის, ადერბეჯანის და კავკასიის მთეულეთისა“, შემთხვევა მქონდა აღმენიშნა – არსებულ პოლიტიკურ სქემათა განხილვის დროს – ერთი უცხო მოვლენა, რომელიც ინტელექტუალური პატოლოგიის დარგს უნდა მიეკუთვნოს; მოვლენა – რომლისათვის დღესაც ვერ მომინახავს სხვა სახელი თუ არა – სიტყვის ფეტიშიზმი. და სჩანს, მართლაც არსებობს ასეთი ინტელექტუალური სენი, თორემ სხვაგვარათ შეუძლებელია აიხსნას ის უცნაური ზეგავლენა, რომელიც ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაზე ჰქონდა სიტყვა-ფიქციებს: ამიერკავკასია, კავკასია. ამ სიტყვა-ფეტიშების ნიშნის ქვეშ მიდიოდა უკანასკნელი ათეული წლების ჩვენი პოლიტიკური აზროვნება; არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთი სქემა ჩვენი და მეზობელი ქვეყნების მომავალი წყობილებისა, სადაც უკვე თავისთავად არ ყოფილიყვეს ნაგულისხმევი ამ ფიქტიური სახელების რეალობა: ბოლოს და ბოლოს აქ საუბარი იყო მარტოოდენ უნიტარულ, ან – თუნდა – ფედერატიულ ამიერკავკასიაზე (resp. კავკასიაზე).

მაგრამ ნამდვილად ხომ ქვეყანა ამიერკავკასია, კავკასია არ არსებობს. თუ რაიმე არის სახელები და ბოლოს, ეს – მხოლოდ ადმინისტრატიული ტერმინოლოგია რუსეთის იმპერიისა, და საყურადღებოა არავინ გულისხმაში არ ჩააგდო ჯერ მარტო ამ ტერმინების შინაარსის ცვლამ წარსულ საუკუნის მანძილზე: 1801 წელს კავკასია შესდგებოდა მარტოდენ ქართ-კახეთისაგან, ხოლო 1813-ის წლიდან მოკიდებული აქ შედიოდა დასავლეთი საქართველოცა, ჩრდილოეთი ადერბეჯანი, და კავკასიის მთეულეთის ზოგი ადგილები; 1828 წლამდე ერევნისა და ნახჭევანის პროვინციები კავკასიად არ ითვლებოდა, ხოლო – 29 წლიდან კავკასიას შეადგენდა ჩრდილო-სომხეთთან ერთად ჩრდილო-მესხეთიც. 1878 წლამდე ყარსსა, ან ოლთისს ჯერ-კიდევ არ ეძახოდნენ კა-

ვკასიას, ხოლო მიმდინარე ომების ბედი რომ სხვაგვარად წარმართებულიყო, ვინ იცის კავკასიად არ მოენათლათ ტრაპიზონი, და მასთან ერთად არზრუმი, და თავრიზიც...

ამ კონგლომერატს არაფერი აერთებდა დღემდე გარდა სამხედრო დიქტატურისა. ეგრეთ წოდებულ „კავკასიაში" მხოლოდ ხმალის გზით არის შეერთებული სხვადასხვა ქვეყნები და ქვეყნების ჩამონაჭრები; აქ შემთხვევით არის თავშემოკრებილი ერთ ჭერ ქვეშ სხვადასხვა ერი, – რომლებიც არ არის გადაჭარბება ამისი თქმა, სხვადასხვა ისტორიულ ფორმაციას ეკუთვნის:

მართლაც რა აერთებს კულტურულად სომხობას, მაგალითად, და მთეულეთის ლეკ-ჩაჩნებს?

ან რა აკავშირებს კულტურულ-ისტორიულად და რასსიულად – თურქ ადერბეჯანლებსა, ინდო-გერმანელ სომხებსა და რასსიულად განმარტოებით მდგომარე ქართველებს?

ანა-და თუნდა რა აქვს საერთო ჯერ მარტო ფიზიკო-გეოგრაფიულადაც-კი „ამიერ-კავკასის" ქვეყნებს: ადერბეჯანის ბარსა, სომხეთის პლატო-ზეგანს, და საქართველოს, ხეობათა ამ კლასიკურ ქვეყანას;

ანა-და რამდენად განსხვავებულია ურთიერთშორის ეს ქვეყნები როგორც სამეურნეო ერთეულები: თვითეული მათგანი წარმოადგენს სულ სხვა-და-სხვა ეკონომიურ-სამეურნეო პროვინციას, შემოფარგლულს ბუნებრივის საზღვრებით; და ამასთან – საქართველოს, მაგალითად, გაცილებით მეტი ეკონომიკური მიზიდულობა აქვს ყუბანთან, უკრაინასთან, და დასავლეთ ევროპასთანაც, ვიდრე თუნდა მეზობელ სომხეთთან.

ცხადია, პოლიტიკური კავშირი ასეთი კონგლომერატის, ამ განსხვავებული ქვეყნებისა და ამავე დროს აქ მოსახლე კულტურულად ჰეტერონომი ერების, შეუძლებელი იქნებოდა თავისთავად, თანაბრად მიუღებელი თვითეული ერთეულისთვის. განსაკუთრებით კი საზიანო კულტურულად დაწინაურებული ერისთვის.

და ამასთან კიდევ ერთი პირობაც: ეგრეთ-წოდებულ ამიერკავკასიაში ხომ შემოკრებილია არა მრთელი ქვეყნები, არამედ უმთავრესად ქვეყნების ჩამონაჭრები; ადერბეჯანის – და სომხეთისაც – ეროვნულ-ტერიტორიული მეტროპოლიები „ამიერკავკასიის" გარეთ მდებარეობენ; და რაიმე მუდმივსა და მტკიცე პოლიტიკურ ერთიანობას ასეთი ერთეულებისას შეუძლებელს გახდიდა ჯერ მარტო ეს გარემოება, რადგან აქ თავს იჩენდა ბუნებრივი მიდრეკილება ჩამონაჭრებისა თავის დედა-ერთეულებისაკენ, აქ ადგილი ექნებოდა მუდმის რყევას – პოლიტიკური იდეალების წინააღმდეგობის მიზეზით, და პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში დაირღვეოდა ეს კონგლომერატი... ასეთი პოლიტიკური ორგანიზმი ემსგავსებოდა ორსულ არსებას, რომელსაც მეცხრე თვეზე დედობრივი ტკივილები მოუვა...

ერთობლივი „ამიერკავკასიის" შესახებ ესოდენ ითქვას, აქ კი ხაზი უნდა გაესვას ჩვენს პოლიტიკურ დილეტანტობას. ეს უცილებელი ფაქტი, რომ არ არსებობს ქვეყანა ამიერკავკასია (რესპექტ. კავკასია) თითქოს ნათელი უნდა ყოფილიყო თავისთავად, მაგრამ – სწორედ საოცარია – ეს ცხადლივი მოვლენა აღარ დარჩა ასე ადვილ დასანახი, და დავრწმუნდი, რომ ჩვენი პოლიტიკური აზრის ბევრმა პასუხისმგებელმა მესვეურმა დასახელებული მოხსენებიდან მოისმინა პირველად, სახელები კავკასია-ამიერკავკასია რომ ფიქცია არის, და ეგრეთ წოდებული კავკასია ნამდვილად რომ ოთხი ქვეყანა: საქართველო, სომხეთი, ადერბეჯანი და კავკასიის მთეულეთი. და საინტერესოა აქ ერთი დეტალი: მოხსენების დროს ერთმა მოკამათემ თითონ ტერმინი ადერბაიჯანიც-კი პირველად ნახმარი ჩვენს პოლიტიკურ ლიტერატურაში („ამიერკავკასიის" აღმოსავლეთი სექტორის შესახებ), გამოგონილად მიიჩნია...

მაგრამ ფაქტები უფრო დამაჯერებელია, ვიდრე იდეები.

საკმაო იყო რომ ცხოვრების განვითარებას ბუნებრივი სარბიელი მისცემოდა, რათა ასე მოკლე მანძილზე ნათელი გამხდარიყო, რომ „კავკასია" მხოლოდ მექანიკურ შეერთებას წარმოადგენს სხვადასხვა ორგანული ერთეულებისას:

«ადერბაიჯანმა უკვე დაარღვია თავისი გაჩერება და ახლა მისთვის სახელის ძებნა ძველს ანნალებში საჭირო აღარ არის; და ნუ თუ ისიც ცხადი არ უნდა იყვეს ყველასათვის, ვისიც-კი პოლიტიკური დალტონიზმი საბოლოოდ განუკურნებელი არ გამხდარა, რომ ადერბეჯანი ამიერკავკასიის ერთეულში ირრედენტა იქნებოდა თავისი ეროვნული მეტროპოლიის;

ან-კიდევ კავკასიის მთეულების კლანები, რომელთა პოლიტიკურ მომავალზე არავინ ფიქრობდა (გარდა ზოგი შორსმხედველი ადამიანისა), განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა გაიცნობენ მთეულეთის ეთნოგრაფიულ რუკას, სადაც წარმოდგენილია ტომთა და ენათა ნამდვილი ხალიჩა, – კავკასიის მთეულებში თავი იჩინა ბუნებრივმა რასსიულმა მიზიდულობამ და დღეს კავკასიის მთეულეთის ცალკე პოლიტიკური ერთეულის ფაქტთან გვაქვს საქმე;

სომხეთში ეროვნული ძალების ინტენსიური შემოკრება ხდება, და თუ აქ დღემდე არ გადადგმულა გადამწყვეტი პოლიტიკური ნაბიჯი, ამისი მიზეზია ერთის მხრივ ის მეტად გართულებული მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება სომხის ერი, და ამასთან ნაციონალისტების ანექსიონისტური პოლიტიკაც მიმართული ჩრდილოეთისაკენ...

და ასე ერთი წლის მანძილზე ყველა თვალხილულისთვის ნათელი უნდა იყვეს ცხოვრების განვითარების ტენდენცია. რუსეთის ადმინისტრატიული ტერმინოლოგიის მიერ შექმნილი მირაჟი თანდათან იფანტება და დღეს ვფიქრობ განთავისუფლებული ვარ წინანდელი მოვალეობისაგან კიდევ გავავრცელო სიტყვა საანბანო საგნებზე.

მაინცა და მაინც თუ ამ ერთი წლის წინათ გაუგებრობად იყო მიჩნეული საუბარი იმის შესახებ, თუ რა ტერიტორიულ საზღვრებში უნდა შემოიფარგლოს თვითმყო პოლიტიკური ერთეულები: საქართველო, სომხეთი, ადერბეჯანი და კავკასიის მთეულეთი, – დღეს ეს უახლოესი პრაქტიკული პრობლემაა, რომელიც თითონ სინამდვილემ წამოაყენა გადასაჭრელად.

ჩვენი საუბრის საგანიც ეს – დღეს უკვე მორიგი – პოლიტიკური პრობლემა არის: გაშუქება „კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის ძირეული საკითხებისა.

***

სანამ გადავიდოდეთ ჩვენი საუბრის პირდაპირს საგანზე, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ დღეს სულ სხვა პირობებში გვიხდება საუბრის გამართვა ვიდრე წარსულ წელს. დღეს იქნებ ახდეს კიდეც ჩვენი შარშანდელი ყორნისებული ჩხავილი და აკადემიური მსჯელობა ამ საგანზე ეხლა ზედმეტიც გამოდგეს. ფაქტი მაინც ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს კატასტროფის წინაშე სდგას. და ამისი პასუხისგება არ აშორდება ჩვენი პოლიტიკის დილეტანტ მესვეურებს.

მართლაც, ჩვვენ სრულიად უქმად ჩავატარეთ წარსული საბედისწერო წელი, წელი – რომელსაც ინტენსივი შემოქმედების ნიშნის ქვეშ უნდა გაევლო. ჩვენ გადავაგდეთ ჩვენი ეროვნული ენერგია ჯერ რუსეთუმეს, თუმცა უკვე ადრევე ნათელი გახდა ამისი უმიზნობა; ჩვენ ასევე გაკრეტინებულის სიმტკიცით შევრჩით ირრელიგატი ამიერკავკასიის მთლიანობის იდეას, მაშინ როდესაც „ამიერკავკასიის“ ხაზის გვერდით – ჩვენ გვმართებდა ეროვნული გეზის აღებაც, გვმართებდა არ დაყოვნება ეროვნული თვითორგანიზაციით, მით უფრო რომ ბედმა გვარგუნა საბედისწერო გეოგრაფიულ მიჯნაზე ყოფნა და მცირეოდენი ცვალება საერთაშორის განწყობილებაში ამ კატა[კ]ლიზმის დროს ჩვენ გვიქადოდა სრულს განადგურებას, ან ველური ურდოების წინ ქედის მოხრას.

და ჩვენ დავიგვიანეთ კიდეც.

მაინც და მაინც თუ **წარსული წლის** მანძილზე არც ერთი დამორჩილებული ერი რუსეთის სახელმწიფოსი არ იმყოფებოდა ისეთს ხელსაყრელ პირობებში – როგორც ჩვენ – ეროვნულ იდეალების უკლებრივ მისაღწევად, დღეს ჩვენი ხელმძღვანელი დასე-

ბის პოლიტიკური დილეტანტობის წყალობით სრულიად უორგანიზაციო ეროვნულად და ყოველსავე რეალურ ძალას მოკლებული ვდგევართ უფსკრულის პირას. არასოდეს პანმონგოლიზმის საფრხე (ისტორიული – მე ვიტყოდი, როგორც წარსულის ისე კიდევ უფრო სამერმისო საფრთხე) არ ყოფილა ისე ახლო ჩვენთან, როგორც დღეს. ადვილად შესაძლოა ჩვენ შემოგვერტყას კიდეც ის საბედისწერო რკალი, რომლისაგან თავის დაღწევას ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ. რკალი დაწყებული ბათომიდან, და იქნებ გათავებული აფხაზეთით (ბორჩალოს და საინგილოს მიჯნებზე შემოვლებული). ეს იგეთივე ფატალური რკალია, რომელშიაც მოექცა სომეხთა ერი წინა საუკუნოებში, და თუ ეს ახდა, შეგეძლება ვთქვათ, რომ ჩვენც სომეხთა ერის შემდგომ „საბედისწერო რიგში ჩავდექით“[1]... და ამ კატასტროფას აგვაშორებდა, და თუ ვერა, მის შედეგებს მაინც გაანელებდა ჩვენი დროული თვითორგანიზაცია და ეროვნული ენერგიის ინტენსიური შემოკრება, და ამასთან – იმ საერთაშორისო განწყობილებაში, რომელიც იყო წარსული წლის მანძილზე და თითქმის დღემდე, – წინდახედული ეროვნული პოლიტიკა მიმართული სამხრეთის კერძო[2]...)

ასეთია დღევანდელი ვითარება.

ჩვენ არ ვიცით როგორ გადაივლის ეს საბედისწერო კრიზისი. იქნებ აგვცდეს კიდეც ბედის რისხვა, მაგრამ ფაქტი კი ის არის, ასეთი განსაცდელის დროს ჩვენ მართლაც რომ მარტოოდენ ამ ბედის ანაბარა ვართ მიშვებულნი, და გვიხდება მოიმედე ვიყვეთ იმ „ერთობლივი“ ამიერკავკასიისა, რომელსაც შესაძლოა სწორედ დღეს დაუდგეს ის მეცხრე თვე, რომელზედაც ზემოთ ვამბობდით. დღეს ჩვენ სავსებით დამოკიდებული ვართ გარეშე ძალთა განწყობილებისაგან, რომლის განაჩენი სრულის მორჩილებით უნდა მივიღოთ. და თუ მოსალოდნელი განსაცდელი მართლაც აგვცილდა, შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენ დიდი პოლიტიკური ავანტიურა შევირჩინეთ.

ასეთ პირობებში, როდესაც მოახლოვებული კატასტროფა კიდეც ლანდებს ისვრის წინ, გამართვა აკადემიური საუბრისა „კავკასიის“ ეროვნული კოლექტივების საზღვრების შესახებ – უფლებისა და ადამიანური სამართლიანობის სახელით – მეტად სამძიმოა ჩვენთვის მორალურად; და ისედაც გორდის კვანძი აქ, ადვილად მოსალოდნელია ალექსანდრეს ხმალმა გაჰკვეთოს, და „ამიერკავკასიის სეიმი“ (ეს ჯერჯერობით უკანასკ-

---

[1] ტიუტჩევის თქმა (მისი ლექსიდან – უფროსი ძმის სიკვდილზე).

[2] არა მარტო სამხრეთის, ახლო ჩრდილოეთის მხრითაც. ამ საბედისწერო რკალის გარღვევის პოლიტიკა ჩვენ გვიკარნახებს ახლო კავშირს კავკასიის მთიულებთან, და საამისოდ მართლაც არის რეალური პირობები. მთიელებს ჩვენთან აერთებს არა მარტო ძმური რასსიული ნათესაობა, არამედ – საარსო ინტერესებიც. პანმონგოლიზმის საფრთხე ორმხრივ ელის ქართულ-კავკასიურ რასსას: სამხრეთით – თურქებისა, ჩრდილოეთით – რუსების; ერთი – პირველ რიგში ემუქრება საქართველოს, მეორე – მთიულეთს. და თუ საქართველოს ავანგარდი მესხეთი კულტურულად ჩამოგვაშორა ოსმალეთმა წარსულ საუკუნეებში, რუსეთმა – უკანასკნელ ას წელში სრულებით ამოშალა მთიულეთის რუკითგან საჩერქეზო, და ეთნოგრაფიულად კავკასიის კარებს მიებიჯნა. ამ სამერმისო პერსპექტივაზე მქონდა პატივი მელაპარაკნა კავკასიის მთიელთა პირველ ეროვნულ ყრილობაზე (წარსულ მაისს), ხოლო საქართველოში მარტოოდენ აკადემიურ წრეებში, რადგან ჩვენში მხოლოდ აკადემიურ წრეში თუ შეიძლება ასეთ საგნებზე ლაპარაკი...

ჩვენ აქაც დავიყოვნეთ, იქნებ სამუდამოდ, რომ არა ვთქვათ იმ კულტურული მისსიის შესახებ, რომელიც ქართველობას ევალებოდა – და ეხლაც ევალება – კავკასიის მთიულეთში (ამ კულტურულ მისიაზე საუბარს ჩვენ გვექნება შემთხვევა კიდევ დავუბრუნდეთ), – აქ აღვნიშნავდი მხოლოდ, რომ წარსული წლის მანძილზე მართლაც იყო ნიადაგი მთიულეთთან ახლო კავშირისათვის; მთიულებში ბუნებრივი რასსიული მიზიდულობა არის ქართველობასთან („ქედს გადაღმა მთიელებთან“ – როგორც ხსენებულ ყრილობაზე ითქვა), და თითომ მთიელების ხელმძღვანელი წრეები იზიარებდნენ კიდეც ქართულ ორიენტაციას, ვიდრე უიმედო არ გამოდგა ჩვენი პოლიტიკური თვით გამორკვევის ლოდინი. და უნდა ვიცოდეთ, მომავალში ეს კავშირი იქნებ შეუძლებელიც გახდეს, რადგან მთიულეთი მეთოდიურის თანდათანობით თურქდება როგორც კულტურულად, ისე ლინგვისტურად, და არც ისე შორეულ მერმისში საბოლოოდ გადაგვარდება, თუ-კი იგი თურქების უშუალო გავლენის ზონაში მოჰყვა და მაშინ ჩვენი ისტორიის მაგისტრალი დასრულდება კიდეც...

ნელი ეტაპი რუსეთის ადმინისტრატიული ტერმინის პოლიტიკური მგზავრობისა), რომელსაც მივალებული აქვს ამგზის ამ კითხვით გადაჭრა, – იქნებ ვერც-კი მოესწროს ამაზე მსჯელობას. მაინც, მე ვფიქრობ, ბაასი ამ საგანზე თავისთავადაც არ უნდა იყვეს უმნიშვნელო, რადგან იშვიათია სხვა ხალხი, რომელიც ასე ნაკლებად იცნობდეს თავის ქვეყნის ისტორიასა და ეთნოგრაფიას, ვიდრე ჩვენ...

* * *

ამ წინადგრძნობით შეპყრობილი გადავდივართ საუბრის საგანზე. პირველ რიგში განვიხილავთ საქართველოს საკითხს, მიმდევნოთ სხვა ქვეყნების კითხვებს შევეხებით.

შემოვფარგლოთ ჯერ საქართველოს ბუნებრივი (ამავე დროს ისტორიული) საზღვრები.

2. საქართველოს ტერიტორია

საქართველოს პოლიტიკური საზღვრები ხშირად იცვლებოდა წარსულში, მაგრამ საქართველო ყოველთვის ერთსა და იმავე ტერიტორიას ერქვა; ეს არის ის რვა პროვინცია, რომელზედაც ქართველი ერი მოსახლეობს მთელი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე: **ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო** (– ეხლანდელი სამუსულმანო საქართველო: მესხეთი – ლაზისტანით), **იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი** და **აფხაზეთი.**

ეს ტერიტორია, **საქართველო**, გარდა იმისა, რომ იგი ერთი მთლიანი კულტურულ-ისტორიული ერთეულია, – იგი ამავე დროს ერთი მთლიანი და განუყოფელი ფიზიკო-გეოგრაფიული პროვინცია არის, ერთი **ქვეყანა** შემოფარგლული ბუნებრივი საზღვრებით. ჩრდილოეთით მას არტყია კავკასიონის ქედი; სამხრეთით მას აკრავს სომხეთის ზეგანი, რომლისაგან გამიჯნულია თოვლიანი მთების ერთი განუწყვეტელი სისტემით; დასავლეთით არტყია ზღვა; და მხოლოდ ერთი ვიწრო პირით – სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან – ეკვრის საქართველო ადერბეჯანის ბარსა, მაგრამ აქედანაც მას ჰერეთის უდაბური ველები და საქართველოს რეინი მტკვარი გაჰყოფს.

აი დეტალურად საქართველოს ისტორიული და ამავე დროს ბუნებრივი გეოგრაფიული საზღვრები:

ა) ჩრდილოეთით: საზღვარი იწყება შავი ზღვის პირას გაგრის კარებიდან და მისდევს ჯერ კავკასიონიდან გაგრის მასივსს[1]; აქედან მიჰყვება კავკასიონის მთავარ ქედს ვიდრე ხევამდე; ხევიდან საზღვარი გადადის კავკასიონის უმაღლეს მთაგრეხილზე – პირიქითელ შტოზე – რომელიც შემოფარგლავს ხევს, ხევსურეთსა და თუშეთს; თუშეთიდან საზღვარი ხელახლა მიჰყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს ვიდრე კახის (ქურმუხის) თავამდე საინგილოს ბოლოში;

ბ) აღმოსავლეთი საზღვარია – ხაზი კავკასიონის ქედიდან ვიდრე მტკვარ-ალაზანის შესართავამდე (ქურმუხის ხეობის აღმოსავლეთი მიჯნა).

გ) სამხრეთით: ჯერ მტკვარი – ალაზნის შესართავიდან ქცია-ხრამის შესართავამდე, შემდეგ მთების ერთი მთლიანი წყება: ყაზახ-ბორჩალოს ქედი, სომხეთის ქედი, აბოც-ჩილდირის ზეგანის სამხრეთი კვერნაქი, მესხეთის (ირიჯლუს) ქედი, საქართველოს

[1] ივანე ჯავახიშვილი გაცილებით ჩრდილო-დასავლეთით ატარებს სართველოს საზღვარს ამ მონაკვეთზე [ჯავახიშვილი, 1919, გვ. 4]. როგორც იგი აღნიშნავს, „*მოსაზღვრე ხაზი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა, სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყობოდა. მოსაზღვრე ხაზად მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა...*“ [რედ.].

ყელის (გურჯი-ბოღაზის) შტო, ლაზისტანის ქედი და აქედან ჩამოსული კვერნაქი, რომელიც მიადგება შავ ზღვას რკინის-პალოს კარებთან რიზეს სამხრეთით.

დ) დასავლეთი საზღვარია – შავი ზღვა რკინის-პალოს კარებიდან მოკიდებული ვიდრე გაგრის კარებამდე.

ამ ტერიტორიას დღევანდელის ადმინისტრატიულის დანაწილებით შეიცავს: **ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათომის მხარე, სოხუმისა, ზაქათალის, არტაანის და ოლთისის ოლქები**[1] და ამათ გარდა ოთხი ჩამონაჭერი მიწერილი არა ქართულ ადმინისტრატიულ ერთეულებზე: **გაგრის უბანი, ქვემო-ყარაიას ველები, ბამბაკი** და **აბოცი**[2].

ეს რუსეთის საქართველო. ოსმალეთის საქართველოს ტერიტორიას შეიცავს: **კისკიმის, თორთუმის და ისპირის ყოფილი კაზები და ლაზისტანის ყოფილი სანჯახი.**

ასეთია საქართველოს ტერიტორიის ფარგლები. ეს ტერიტორია არის **საქართველო** ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ქართველი ერის მიწა-წყალი, სადაც მას უწარმოებია თავისი ისტორია, და რომლის ყოველი მიდამო მოფენილია ქართული მრავალფეროვანი კულტურის მონუმენტებით. აქ არ არის მითვლილი არც ერთი ნაჭერი მიწა, რომელიც დაპყრობით ან სხვა რაიმე გზით ყოფილიყვეს შემოერთებული (ისეთი პროვინციებიც – როგორც ცნობილია – არა ერთი და ორი შედიოდა საქართველოს სახელმწიფოში, თვით რუსეთთან შეერთების დროსაც), აქ შემოფარგლულია მარტოოდენ ძირეული ქართული ქვეყნები.

* * *

მთელი ეს ტერიტორია, საქართველო, სულ უკანასკნელ დრომდე დასახლებული იყო ერთიან ქართველობით. ბოლო დროებში, საქართველოს პოლიტიკურად დასუსტების ხანაში, ზოგ განაპირა ოლქში უცხო ელემენტი გაძლიერდა. განსაკუთრებით საზიანო იყო საქართველოს ეთნოგრაფიული მთლიანობისთვის წარსული საუკუნე, საუკუნე რუსთა მფლობელობის დამკვიდრებისა კავკასიის ქედს გადმოღმა. რუსეთის პოლიტიკა აშკარად იყო მიმართული იქითკენ, რომ საქართველოს ტერიტორია, ყველაზე კომპაქტი და ეროვნულად ერთფეროვანი ერთეული ამიერ-კავკასიის სამფლობელოში ეთნოგრაფიულად აეჭრელებია და ამით გამოეწვია დასუსტება ქართველობის, როგორც ყველაზე კულტურული და სახელმწიფოებრივი ერისა ტრანს-კავკასიაში. სწორედ ამ პოლიტიკის წყალობით მოხდა მასიური ემიგრაცია მაჰმადიანი ქართველებისა მესხეთის ოლქებიდან, და მათ ნაოხარზე გადმოსახლებული იქმნა უცხოელობა, ასე – ჯავახეთში; ამავე მიზნითვე ყოველნაირად ხელს უწყობდნენ სამშობლოში დარჩენილ მაჰმადიან ქართველების ლინგვისტურად გათურქებას, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ თუ მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე თითქმის მრთელი მესხეთი ქართულ დედა-ენაზე ლაპარაკობდა, წარსული საუკუნის მანძილზე აქ ბევრგან თურქული ენა გავრცელდა; ასეთსავე

---

[1] ბუნდოვნადაა მოცემული იმდროინდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სქემა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე 2 გუბერნია (ტფილისისა და ქუთაისის) და 1 ოლქი (ყარსის) მდებარეობდა. რაც შეეხება ბათომის მხარეს (ოკრუგს), სოხუმისა, ზაქათალის, არტაანის და ოლთისის ოლქებს (ოკრუგებს), ისინი შედიოდნენ ზემოთ დასახელებულ გუბერნიებსა და ოლქში [რედ.].

[2] გაგრის უბანი – ეს აფხაზეთის ჩრდილოეთი სექტორი არის, მიწერილი დღეს სოჭის ოლქზე; ქვემო-ყარაია – კახეთის ნაწილია (შირაქის ველების პირდაპირი გაგრძელება მტკვრამდე), რომელიც მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში ადმინისტრატიული გადამიჯვნის დროს მიაწერეს ადერბეჯანის მაზრებს (ყაზახსა და განჯას); ბამბაკი და აბოცი ქართლის სამხრეთი ოლქებია, რომლებიც აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნეში შეუერთეს სომხეთის მაზრებს (ალექსანდროპოლსა და ყარსს).

ამათ გარდა საჭიროა კიდევ ორგან შესწორდეს დღევანდელი ადმინისტრაციული საზღვრები. სახელდობრ, ხევის განაპირა ნაწილი – მიწერილია დღეს თერგის მხარეზე (–სოფელ ლარსის რაიონი), ხოლო ქისტეთის რამდენიმე სოფელი შემოერთებულია ჩვენს ხევსურეთზე (–სახანოს საზოგადოება).

პირობებში გაძლიერდა უცხოელთა მოსახლეობა ქართლის სამხრეთ სანაპიროებზე, ასე წალკაზე და სამხრით, სადაც წარსულ საუკუნეთა ხშირი ომიანობის გამო ძირეული ქართული მოსახლეობა მეტად შემცირებული იყო და სადაც მზა-მზარეული საკოლონიზაციო მიწის ფონდი მოიპოვებოდა.

დღეს საქართველოს ტერიტორიული ავანგარდები, ნარევ-მოსახლეობიანი ოლქები, სადაოდ არის აღიარებული ზოგი პოლიტიკური წრეების მიერ. ეროვნული მაქსიმალისტები მომიჯნავე ერებისა მოითხოვენ ბოლო დროს შექმნილი ეთნოგრაფიული ურთიერთობის მიხედვით შეცვლას ისტორიული საზღვრებისას, თუმცა ეს უკანასკნელი საზღვრები – როგორც ვნახეთ – თითონ ბუნებისაგან გამოკვეთილ მიჯნებს გასდევს.

რეალური მოსახლეობის პრინციპი, რომელითაც ამართლებენ თავის პრეტენზიებს ეროვნული მაქსიმალისტები, საზოგადოდ დღეს მეტად პოპულარულია ჩვენში. ბევრი მზად არის კიდეც, მარტოოდენ ამ საზომით მიუდგეს „კავკასიის" გამიჯვნის კითხვას. მართლაც ეს პრინციპიც უსაცილოდ მისაღებია სახელმძღვანელოდ, მაგრამ სხვა ფაქტორების გვერდით, რომელზედაც ქვემოთ გვქონდა საუბარი და ამასთან რეალური მოსახლეობის პრინციპს თან უნდა ახლდეს ისტორიული კრიტერიუმი. წამოყენება რეალური მოსახლეობის პრინციპისა სამართლიანი იქნება მხოლოდ იქ, სადაც ეს სამართლიანობა დარღვეული არ ყოფილა მოსახლეობის ეხლანდელი სახის შექმნის დროს. მაგრამ თუ დღეინდელი მოსახლეობის მიხედვით გადავწყვეტთ ისეთ მხარეთა ბედს, რომელიც, კონოლიზაციისა და ძალმომრეობის გზით არის გადარჯულებული, ეს ყველაზე ნაკლებ შეიძლება გამართლებულ იქმნას სამართლიანობის სახელით. გაზომვა აქ „რეალური" მოსახლეობის მეტრით, ეს ბოლოს და ბოლოს „რეალური" უსამართლობა იქნება და ძალმომრეობის დაკანონება და მოკლედ რომ მოვჭრად – რეალური მოსახლეობის პრინციპით ხელ მძღვანელობის დროს ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს არამარტო დღეინდელი მოსახლეობა, არამედ მოსახლეობა მრთელი ისტორიის მანძილზე, – უნდა ვითვალისწინებდეთ არა მარტოოდენ დღეის დღეს არამედ წარსულსაც და მომავლის პერსპექტივას, ერის სამერმისო სა[ჭ]იროებას... და ჩამორთმევა ქართველი ერისათვის ძირეული ქართველი ქვეყნებისა იმიტომ მხოლოდ, რომ აქ მისი პოლიტიკურად უფლება-ახდილობის ხანაში გაძლიერდა უცხო ელემენტი, – ქვეყნებისა, მორწყულია მისი ოფლითა და სისხლით, რომელთანაც გადაბმულია იგი თანამედროვე და სამერმისო რეალური საჭიროებით, ეს იქნებოდა ყოველგვარი სამართლიანობის დათრგუნვა და ქართველის ერის უფლებათა აბუჩად აგდება. ქართველობა ვერ შეურიგდებოდა ამ ძალადობას, – და ეს ნაკლების უფლებით, ვიდრე ჩეხები ბოჰემიის ოლქების დაკარგვას, პოლონელები პოზნანის სანაპიროების ჩამოშორებას, და ან ჩვენი მეზობელი სომხები სამხრეთი-სომხეთის მოტაცებას.

საქართველოს ტერიტორიულ ავანპოსტებზე – ზემოთ რომ ვახსენეთ, – არა ერთი და ორი პრეტსენდენტი აცხადებს უფლებას და აკი კიდეც საქართველოს სახელმწიფო გერბზე თითქოს წინასწარმეტყველებით წარწერილი იყო სიტყვები" „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ჩემსა ზედა იყარეს წილი"...

* * *

P.S. ჩვენ აქ აღარ დავამთავრებთ წინადადებასაც... ეს გვერდები უკვე დაბეჭდილი იყო, როდესაც მდგომარეობა შეიცვალა და ჯერხნობით ზედმეტად მიგვაჩნია გამოვაქვეყნოთ ამ მოხსენების დარჩენილი ნაწილი საქართველოსი და მეზობელი ქვეყნების სადაო ტერიტორიული საკითხების პრეციზული განხილვა. ჩვენი წინადგრძნობა მართლდება. 17 ამ თვეს ტელეგრაფმა მოგვიტანა სამწუხარო ცნობა,[1] რომლის განმეორება

[1] 1990 წ. გამოცემის რედაქტორის (რ. ჩხეიძის) შენიშვნა: *„17 თებერვლის „სამწუხარო ცნობა" გულისხმობს დეპეშას, რომლითაც საქართველოში შეიტყვეს, რომ რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა ხელი მოეწერა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებისთვის და ამ აქტით ოსმალებისთვის დაეთმო ყარსი, ბა-*

აქ გვიძნელდება და არც არის საჭირო... და ეს იქნებ მხოლოდ პრელუდია იყვეს კატასტროფის... მაინცა და მაინც, თუ ძალთა განწყობილება არ შეიცვალა, ბათომიდან იჭედება პირველი რგოლი იმ რკალისა, რომელზედაც ზემოთ ვამბობდით, პირველი რგოლი ჯაჭვისა, რომლითაც პრომეთე კავკასიონზე უნდა მილურსმონ.

თუმი და არდაგანი" [რედ.].

2. პავლე ინგოროყვა
საქართველო-სომხეთის გამიჯვნის საკითხი[1]

წყარო: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი [პავლე ონგოროყვას ფონდი, №27669

საქართველო-სომხეთის ტერიტორიული გამიჯვნის ზემოთმოხსენებული პროექტი[2] საქართველოს ტერიტორიიდან სადაოდ აღიარებს ჯავახეთის პროვინციასა და ქართლის სამხრეთ სანაპიროს. პროექტი შემდეგნაირად შემოფარგლავს საქართველოსა და სომხეთს შუა მდებარე სადაო ტერიტორიის ზონას: ახალქალაქის მაზრა, ლორის უბანი, ალავერდის სამრეწველო უბანი, ბორჩალოს უბნის ექვსი საზოგადოება – შინიხისა, ჭოჭკანისა, ოფრეთისა, შულავრისა, სადახლოსი და სარალისა (უკანასკნელი ორის მხოლოდ ნაწილი), დასასრულ თრიალეთის უბნის სამი საზოგადოება – ნარდევანისა, ავრანლოსი და აშკალასი. გადამიჯვნის პროექტის დასკვნით, ეს ტერიტორია ისტორიული საქართველოსი უნდა გამოეყოს ქართულ ერთეულს და შეუერთდეს – მოსახლეობის შემადგენლობის მიხედვით – სომხეთს.

სანამ არსებითად განვიხილავდეთ ამ პროექტს, საჭიროა ჯერ შესწორდეს სადაო ტერიტორიის საზღვრები. შემოფარგვლა სადაო ზონისა წარმოდგენილ პროექტში არ შეეფერება სინამდვილეს: ჯერ ერთი – სადაო ტერიტორიის სამხრეთ მიჯნად პროექტში მიღებულია დღევანდელი ადმინისტრატიული[3] საზღვრები და არა ბუნებრივი ფიზიკო-გეოგრაფიული და ამავე დროს ისტორიული საზღვარი საქართველოსა და სომხეთს შორის; უკანასკნელი საზღვარი უფრო სამხრეთით გასდევს ვიდრე დღევანდელი ადმინისტრატიული მიჯნა; მეორე მხრით, ჩრდილოეთიდან, სადაო ტერიტორიაზე მითვლილია ორი განაპირა კუთხე ქვემო ქართლისა, რომლებიც სადაოდ ვერ ჩაითვლება.

შესწორებაც სადაო ტერიტორიის ფარგლებისა ამისდა მიხედვით უნდა მოხდეს:

1. სამხრეთ საზღვარზე. პროექტის მიერ შემოფარგლულს სადაო ზონას უნდა მიემატოს სამხრეთის მხრით ბამბაკი და აბოცი,[4] რომლებიც დღეს მიწერილია სომხურ ადმინისტრატიულ ერთეულებზე. ეს ორი ოლქი ოსტორიულ-კულტურულად საქართველოს ნაწილს შეადგენს. ფიზიკო-გეოგრაფიულადაც – ბამბაკი პირდაპირი გაგრძელებაა სამხრეთი ქართლისა, ეკუთვნის საქართველოს მდინარეთა აუზს, მტკვარ-ხრამის შემდინარე დებედას ხეობას, დაფენებულია საქართველოსაკენ, მაშინ როდესაც სომხეთიდან იგი მოწყვეტილია მტკვარ-არაქსის წყალთა-გამყოფი ქედით; ხოლო აბოცი გეოგრაფიულად წარმოადგენს მესხეთის ოლქებსა და ბამბაკზე გარდამავალ ზეგანს. ძველად, მრავალ საუკუნეთა ისტორიის მანძილზე, აგრეთვე რუსეთთან შეერთების დროსაც, ბამბაკი და აბოცი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა, და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში „ამიერკავკასიის“ ადმინისტრატიული გადამიჯვნის დროს შეუერთეს ისინი სომხურ ერთეულებს.[5] გარდა

---

[1] ხელნაწერის ტექსტს ვაქვეყნებთ ავტორის ბოლო რედაქციის მიხედვით [რედ.].

[2] აქ გადახაზულია: „წარმოდგენილი სომხის ეროვნული მაქსიმალისტების მიერ“ [რედ.].

[3] ავტორისეულ ორთოგრაფიას უცვლელად ვტოვებთ [რედ.].

[4] იხ. ბამბაკი და აბოცი ამ წერილებთან დართულს რუკაზე (ბამბაკი აქ აღნიშნულია ციფრით – 8, აბოცი – ციფრით 5).

[5] რუსეთთან შეერთების დროს ამ ორი ოლქიდან მარტო აბოცის დასავლეთი ნახევარი მოწყვეტილი იყო საქართველოს და ეჭირათ ოსმალებს მესხეთის სხვა ძირეულ ქართულ ოლქებთან ერთად. დღევანდელის ადმინისტრატიულის დანაწილებით ბამბაკს შეადგენს ალექსანდროპოლის მაზრის ჩრდილოეთი სექტორი (ბამბაკის უბანი ალიხანის საზოგადოების მიმატებით), ხოლო აბოცს ყარსის მხარისა და იმავე ალექსანდროპოლის მაზრის ჩრდილოეთი სექტორები (შვიდი საზოგადოება: დუზქენდი,

ამ ორი ოლქისა სადაო ტერიტორიის ზონაში სამხრეთის მხრიდან ჰყვება აგრეთვე მესხეთის ერთი ოლქიც, ძველი პალაკაციო – ძაღლის ხევი, ანუ როგორც ეხლა ეძახიან ჩილდირი.[1] გადამიჯნვის პროექტი ჩილდირის შესახებ არას ამბობს, ნამდვილად კი ჩილდირი სოლივით არის შეჭრილი ახალქალაქის მაზრასა და სომხეთს შუა და უნდა შევიდეს სომხეთის ერთეულში, თუ კი ახალქალაქის მაზრა სომხეთთან იქნება შეერთებული.

ეს რაც შეეხება სადაო ტერიტორიის საზღვრის შესწორებას სამხრეთის მხრით.

2. ჩრდილოეთ საზღვარზე. ჩრდილოეთის მხრით სადაო ტერიტორიის ზონიდან გამორიცხულ უნდა იქმნეს ქვემო ქართლის ორი განაპირა კუთხე: ზემო წალკის სექტორი (საზოგადოებანი ნარდევანისა, ავრანლოსი და აშკალასი) და შუა ბორჩალოს სექტორი (საზოგადოებანი ალავერდისა ს. აქორის მიმატებით, ოფრეთისა, შულავერისა, ჭოჭკანისა, სადახლოსი და სარალისა), სულ ორსავე სექტორში ცხრა საზოგადოება.[2] არა გვგონია საცილობლად ჩაითვალოს ის დებულება, რომ როდესაც ქვეყნების საზღვრებს რეალური მოსახლეობის მიხედვით ვატარებთ, მაშინაც კი დაცული უნდა იყვეს ტერიტორიული მთლიანობა უწვრილესი განუყოფელი გეოგრაფიული ერთეულებისა, ასე ვთქვათ გეოგრაფიული ატომებისა. მოხსენებული ორი სექტორის, ზემო წალკისა და შუა ბორჩალოს შესახებ, გადამიჯვნის პროექტში დარღვეულია ეს ელემენტარული პირობა. ერთადერთი პირველი ბუნებრივი ზღუდე, რომელსაც ებჯინება ერთის მხრით პროექტის სადაო ზონა, მეორე მხრით ქვემო ქართლი და ტფილისი, ეს არის ჯავახეთის ქედი (Мокрыя гора) ლოქისა და მისადევარი ქედი, რომელიც ლალვარისა და ლეჯანის მწვერვალებიდან ჩამოსული შტოებით მიადგება მდ. დებედას. მოხსენებული ორი სექტორი წარმოადგენს ტფილისის პროვინციის პირდაპირს უშუალო გაგრძელებას, მდებარეობს ამ ბუნებრივ ზღუდეთა გადმოღმა და სოლივით არის შემოჭრილი ქვემო ქართლის ტერიტორიაში. ჩამოშორება ქვემო ქართლის გეოგრაფიულად განუყოფელი ერთეულისაგან ამ ორი ჩამონაჭრისა, დაარღვევდა საქართველოს სულ ელემენტარულ ტერიტორიულ მთლიანობას.

მაგრამ გამოყოფა საქართველოდან ამ ორი სექტორისა არ შეიძლება გამართლებულ იქმნეს, რომ არა ვსთქვათ სხვა პირობებზე – ჯერ თითონ იმ რეალური მოსახლეობის მიხედვითაც, რომელზედაც ემყარება გადამიჯვნის პროექტი.

გავიცნოთ ამ კუთხეთა ადგილობრივი პირობები და პირველ რიგში მოსახლეობა.

ა). **ზემო წალკის სექტორი**. წალკა, სადაც – პროექტით – უნდა ჩამოიჭრას ზემო ნაწილი (სამი საზოგადოება), გეოგრაფიულად განუყოფელი ერთეულია, ერთი მთლიანი პლატო. მოსახლეობენ აქ უმთავრესად მეცხრამეტე საუკუნის კოლონისტები, გადმოსულები ოსმალეთიდან 1829 წელს. უკანასკნელის სტატისტიკით 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერისა, რომლის ცნობებს სავსებით ეთანხმება ტფილისის საგუბერნიო საკრებულოში არსებული ცნობები, წალკაზე დღეს შემდეგი მოსახლეობაა:

ბერძნები 21.009 სული
სომხები 7.805 სული
თათრები 1.953 სული
ქართველები 774 სული

სულთანაბადი, ხოზიქენდი, სელდაღლანი, მაგარაჯიქი, ამასია, ყიზილკოჩი – სოფელ ალაქილისას მიმატებით).

[1] იხ. ჩილდირი ამ წერილებთან დართულს რუკაზე აღნიშნულია აქ იგი ციფრით – 4. ჩილდირს შეიცავს ჩილდირის ტბის აუზი და მდინარე ყარაჩაის ხეობა. დღევანდელის ადმინისტრატიულის დანაწილებით ჩილდირს შეადგენს არტაანის ოლქის ჩილდირის უბნის ცხრა საზოგადოება: კამაროვანი, ჭალა, წინწალი, ფექრაშენი, მერედისი, სუხარა, ჩამდრა, ჯამბაზი და კარაბელი.

[2] იხ. სექტორები რუკაზე (ზემო წალკის სექტორი აღნიშნულია რომაული ციფრით I, შუაბორჩალოს სექტორი – II).

გერმანელები 447 სული
სულ 31.160 სული.[1]

წალკის პლატოს ზედვე აკრავს მეორე პლატო – გომარეთისა, რომელიც როგორც გეოგრაფიულად, ისე მოსახლეობის მხრით პირდაპირი გაგრძელებაა წალკისა. მოსახლეობენ აქაც ბერძნები ქართველების გვერდით. ბერძნობა აქ ითვლება 2.547 სული, ქართველობა 3. 388 სული. ერთობლივ მთელ წალკა-გომარეთზე სახლობს:

ბერძნები და ქართველები 27.718 სული (აქედან ბერძნები 23.556)
სომხები 7.805 სული
სხვები 2.400 სული
სულ 37.923 სული

ბერძნობა ქართველებთან ერთად შეადგენს მრთელი მოსახლეობის სამ-მეოთხედს, მარტო ბერძნობა ორ-მესამედს.

ამნაირად წალკის რაიონი ბერძნულ ოლქს წარმოადგენს.

რაც შეეხება წალკის სომხურ მოსახლეობას, გარდა იმისა რომ სომხობა წალკაზე უმცირესობაში არის, სომხებით დასახლებული ორი საზოგადოება ნარდევანი და აშკალა გაყოფილია შუაზე ბერძნული ავრანლოს საზოგადოებით. ამასთან მოსახლეობა ავრანლოს ბერძნული საზოგადოებისა იმდენივეა, რამდენიც ორისავე სომხური საზოგადოებისა ერთად. 1916 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის სტატისტიკით ავრანლოში (საზოგადოებაში) ითვლება ბერძნობა 7.068 სული (ქართველებთან ერთად, რომელთა რიცხვი უდრის 579 სულს), ხოლო ნარდევან-აშკალაში სომხობა 7.221 სული. ამნაირად, წალკაზე არ არის ერთი მთლიანი სექტორი სომხური მოსახლეობისა, მაგრამ გადამიჯვნის პროექტის ავტორნი მაინც სცდილან წალკიდან სომხობის გამოყოფას. პროექტით შუაზე უნდა გაიჭრას წალკის მთლიანი პლატო, ჩამოეშოროს აქედან მოხსენებული ორი სომხური საზოგადოება და ამასთან ბერძნული ავრანლოს საზოგადოებაც, სომხური მოსახლეობის შუაზე რომ არის შეჭრილი და მიეკროს აქალქალაქის მაზრის საშუალებით სომხეთსა (ალექსანდროპოლის პროვინციას). მხედველობაში რომ არ მივიღოთ ის გარემოება, რომ ასეთი დანაწილება წალკის მთლიანი პლატოსი წინააღმდეგ ადგილობრივ მკვიდრთა ეკონომიურ ინტერესებს (წალკა არის არა მარტო გეოგრაფიული, არამედ ეკონომიური მთლიანიც, მაგ. ბაილები და საძოვრები ქვემო წალკელებს წალკის ზემო გამოსაყოფ სექტორშიაც აქვთ). ეს ეწინააღმდეგება, როგორც მოყვანილი ციფრებიდან სჩანს, მოსახლეობის შემადგენლობასაც: წალკის ამ გამოსაყოფ სექტორში ბერძნული და სომხური ელემენტი სავსებით თანაბარია, – ეს ერთი; მეორედ რამდენად სამართლიანი იქნება ასეთი შუაზე გაჭრა ბერძნების კომპაქტი მოსახლეობისა, ასეთი გამოყოფა ბერძნული ოლქიდან მისი ერთი ნაწილისა – უმცირესობის სასარგებლოდ.

ამნაირად, გადამიჯვნის პროექტს წალკის შესახებ არ ამართლებს ჯერ ეთნოგრაფია. მაგრამ ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ წალკის პლატო ახალქალაქის მაზრიდან მოწყვეტილია ჯავახეთის ქედით, რომელიც ზამთრობით გადაუსვლელია, ხოლო სომხეთიდან (ალექსანდროპოლის პროვინციისაგან) წალკას გამოყოფს გარდა ჯავახეთის მთებისა კიდევ სამი წყება სხვა ქედების (ლოქისა, ჩუბუხლოსა და ბამბაკის მთების სისტემა) რომელთაგან ორი უკანასკნელი სამხრეთი ქედი ალპიურ ზონას სცილდება და ზამთრობით იკეტება. გეოგრაფიული მოწყვეტილობასთან ერთად წალკას არაფერი აქვს საერთო ეკონომიურად ჯავახეთთანაც და მით უფრო სომხეთთან. ერთადერთი შედეგი ამ პროექტის მიხედვით გადამიჯვნისა ის იქნებოდა, რომ არა იშვიათი დარჩებოდა შემთხვევები, როცა ზამთრობით წალკელებს მოუხდებოდათ ახალქალაქში სიარული მანგლის-ტფილის-ბორჯომ-ახალციხის გზით, ე.ი. მრთელი ტფილისის გუბერნიის

[1] შეცდომაა. ზემოთმოცემული რიცხვების ჯამი გვაძლევს 31.988-ს [რედ.].

შემოვლით, ხოლო სომხეთში ტფილის-ბორჩალოს გზით, იმავე მანგლის-ტფილისზე გავლით.

მეორე მხრით წალკის პლატო პირდაპირი გაგრძელებაა ტფილისის მაზრისა და უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიური და სამეურნეო პირობებით ტფილისთან, რომელთანაც წალკას აქვს ყოველგვარი აღებ-მიცემობა. და ეს კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ წალკის ბერძნობა, მაგალითად, არათუ წინააღმდეგობას აცხადებდა ამ კუთხის ტფილისის გუბერნიიდან გამოყოფაზე, არამედ გამოთქმული იყო კიდეც სურვილი, რათა წალკა გამოჰყოფოდა ბორჩალოს მაზრასაც კი და პირდაპირ შეერთებოდა ტფილისის მაზრას. ამგვარივე დადგენილება გამოიტანა წალკის შესახებ ბორჩალოს სამაზრო კომისიამაც, რომელიც შესდგა ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით 1913 წელს, როდესაც პირველად იქმნა აღძრული კითხვა საერობო გადამიჯვნისა. შეერთება წალკის სექტორისა ახალქალაქთან კომისიამ შეუწყნარებლად მიიჩნია, რადგან წალკას (ბორჩალოსთან ერთად) ბუნებრივი ეკონომიური მიზიდულობა აქვს ტფილისთან, კერძოდ იმიტომაც, რომ წალკა – ამ ადგილობრივ კომისიის ჩვენებით – ზამთრობით აბსოლუტურად მოწყვეტილია როგორც ბორჩალოს დანარჩენ ნაწილსა, ისე ახალქალაქის მაზრას და აქვს პირდაპირი ურთიერთობა ტფილისთან მანგლისის გზით.[1] ასეთი პირობისა გამო კომისიამ ერთმხრივი დადგენილება გამოიტანა, რომ საჭიროა წალკის გამოყოფა თითონ ბორჩალოს საზღვრებიდანაც და უშუალოდ შეერთება ტფილისის მაზრასთან, როგორც ეს წინადაც იყო.

მაინცადამაინც – წალკა, დარჩება იგი ბორჩალოს მაზრის ფარგლებში თუ შეუერთდება ტფილისის მაზრას, ეს მხარე როგორც ეთნოგრაფიულად ერთფეროვანი (ბერძნული) უნდა გამოიყოს ცალკე უბნად ადმინისტრატიული თვითმმართველობის მინიჭებით საქართველოს საზღვრებში, მაგრამ ამ კითხვის შესახებ ცალკე.

ბ). **შუა ბორჩალოს სექტორი**. შუა ბორჩალოს შესახებაც იგივე ითქმის არსებითად, რაც ზემო წალკაზე. ბორჩალოს ეს სადაოდ გამოცხადებული სექტორი სრულიად ხელოვნურად არის გამოჭრილი ბორჩალოს შუაგულიდან, სადაც ის სოლივით არის შეჭდეული, გადასჭრის სხვადასხვა მდინარეთა აუზებს და საზოგადოდ ამ სექტორს არავითარი ფიზიკო-გეოგრაფიული მთლიანობა არ ახასიათებს. ამასთან სადახლო-სარალის თურქული (თათრული) საზოგადოებანი აქ შუაზე არის გაყოფილი, ცხადია რათა მიღებულიყო ამ სექტორში სომხური მოსახლეობის მცირეოდენი უმრავლესობა. პროექტით განზრახული საზღვარი გადაჰკვეთს მუსულმანთა სოფლების მიწებს – ემირისას, ზემო ყულარისას, აშაღა სარალისას, იუხარი სარალისას, ახალი ლალაოსი, გეურ-არხისას და მამაისას, აქედან ნაწილი მიწებისა გადადის სომხეთში (პროექტის ალექსანდროპოლის გუბერნიაში), ნაწილი კი რჩება საქართველოში (ტფილისის გუბერნიის საზღვრებში). ასეთი ჭრა-კერვა ტერიტორიებისა ცხადია რომ ყოვლად შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს.

მოსახლეობა. სულ ამ ექვს საზოგადოებაში ითვლება 20.000 სული მცხოვრები. აქედან უკანასკნელის სტატისტიკით 1916 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერისა სომხობა არის – სამხრეთის განაპირა სოფლის აქორის მიუთვლელად – 8.776 სული.[2] აქორის მითვლით – 10. 211 სული. მაგრამ ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ სომხური ელემენტი აქ მოსახლეობს უმთავრესად შულავერში, რომელიც პატარა ქალაქს წარმოადგენს. სომხობა აქ ითვლება 4.174 სული. ქალაქებს უმთავრესად ეთნოგრაფიულ კუნძულების ხასიათი აქვს და რეალური მოსახლეობის სურათის წარმოდგენის დროს ქალაქები მხედველობაში ვერ მიიღება. შულავერის გამოკლებით მთელს ამ სექტორში

---

[1] იხ. აქტი კომისიისა, დაცული ტფილისის საგუბერნიო საკრებულოში, საერობო რეფორმის საქმეში.

[2] 13 სომხურ სოფელში. ესენია: შულავერი (დიდი და პატარა), ყუდრო, ჭოჭკანი, ბერდაძორი, გჲულიბულახი, დამია, აჩკაძორი, ხოჟორნი, ჩანახჩი, ახქერპი, ხოხმელი და დარბაზი.

ითვლება სომხობა ხუთი ათასი.[1] ხოლო მოსახლეობის დანარჩენი ათი ათასი არასომხური ელემენტია, უმთავრესად აქაც ბერძნობა – როგორც წალკაზე, აგრეთვე თურქები (თათრები) და ქართველები. ბერძნებით დასახლებულია ამ ექვსი საზოგადოებისგან მთელი ალავერდის საზოგადოება და მეტი ნაწილი ოფრეთის საზოგადოებისა, თურქებით (თათრებით) ორი საზოგადოება – სადახლოსი და სარალისა, ქართველებით – სოფლები სიონი, ზემო წერაქვი და ქვემო წერაქვი. ამნაირად შუა ბორჩალოს სექტორი სომხურად ვერ ჩაითვლება.

მაგრამ თუნდაც სომხური ელემენტი ამ რაიონში ბევრად მეტი ყოფილიყო, მაინც ამ სექტორის გამოყოფა საქართველოდან უცხოელთა უბრალო უმრავლესობით ვერ გადაწყდებოდა: ამ სექტორში მდებარეობს ალავერდის მდიდარი მადნები, რაც მრავალ საუკუნეთა მანძილზე შეადგენს ქართველი ერის საკუთრებას. ალავერდში, როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწიფოს ზარაფხანა იყო და ეს მადნები ჩაიბარა რუსეთის სახელმწიფომ, როგორც საქართველოს სახელმწიფო მამული. ჩამორთმევა ქართველ ერისათვის ამ სიმდიდრისა იმიტომ მხოლოდ, რომ აქ რამდენიმე ათასი უცხოელი ჩამოსახლდა და ისიც საქართველოს სახელმწიფოს კეთილგანწყობილი მფარველობის მეოხებით, (შულავერში, მაგალითად, სადაც მოსახლეობს მთელი ამ რაიონის სომხობის ნახევარი, სომხობა გადმოსახლებულია მეთვრამეტე საუკუნის გასულს, საქართველოს სახელმწიფო მთავრობის მიერ – თვით სომეხთა თხოვნით – ყარაბაღიდან, სადაც სომხობა აუტანელ პირობებში იმყოფებოდა და დევნას განიცდიდა ადგილობრივ ხანების მიერ) – ეს იქნებოდა ყოველგვარი ადამიანური სამართლის დათრგუნვა და ქართველი ერის უფლებათა აბუჩად აგდება.

ამაზე შეგვიძლია დავამთავროთ საუბარი ქვემო ქართლის ამ ორი განაპირა სექტორის, ზემო წალკისა და შუა ბორჩალოს შესახებ. გათვალისწინება ამ კუთხეთა ადგილობრივი პირობებისა და პირველ რიგში მოსახლეობისა – გვიმტკიცებს, რომ ეს ორი მხარე სრულიად უსაფუძვლოდ არის მოქცეული გამიჯვნის პროექტით სადაო ზონაში და ისინი გამორიცხულ უნდა იქმნენ სადაო ტერიტორიის ფარგლებიდან.

საზღვრების ამ შესწორების შემდეგ როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის მხრით, საქართველო-სომხეთის სადაო ტერიტორიის ზონა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ჯავახეთი[2] და ქვემო ლორი,[3] ბამბაკი, აბოცი და ჩილდირი. მთელი ეს ტერიტორია გეოგრაფიულად განიყოფება ორ დიდ მხარედ (საზღვარია მათ შორის ჯავახეთის ქედი). ესენია: ერთად – **ჯავახეთის მხარე**, რომელსაც შეადგენს ჯავახეთი და მისი მისადევარი ოლქები ჩილდირი და აბოცი, და მეორე – **ლორის მხარე**, რომელშიაც შედის ზემო ლორი, ქვემო ლორი და ბამბაკი.[4]

ჩვენც ამ სადაო ქვეყნების საკითხის გარჩევას შეუდგებით და პირველ რიგში განვიხილავთ ამ მხარეთა მოსახლეობას.

ჯავახეთის მხარე. დასავლეთი რაიონი საქართველო-სომხეთის სადაო ტერიტორიისა, ჯავახეთის მხარე, მოსახლეობის მხრით განიყოფება ხუთ ეთნოგრაფიულ სექტორად. აქედან ჯავახეთის პლატო შეიცავს სამ ეთნოგრაფიულ სექტორს, ჩილდირი და აბოცი წარმოადგენენ ცალკე სექტორებს. ეროვნული შემადგენლობის მხრით ეს სექტორები, ეთნოგრაფიული ოლქები, ასეთია:

ქვემო ჯავახეთი, რომელიც აკრავს ახალციხის მაზრას, დასახლებულია უმთავრესად ქართველებით (მათ შორის მუსულმანებით); შუა ჯავახეთი – ქ. ახალქალაქითურთ

---

[1] აქორის მიუთვლელად 4.602, მითვლით – 5.947 სული.

[2] ჯავახეთი – ეხლანდელი ახალქალაქის მაზრა.

[3] ზემო და ქვემო ლორი – ეხლანდელი ლორის უბანი ს. აქორის გამოკლებით და შინიხის საზოგადოების მიმატებით.

[4] იხ. რუკა. (ჯავახეთის მხარეს შეადგენს რუკაზე შემოფარგლული ხუთი სექტორი, აღნიშნული ციფრებით: 1; 2; 3; 4; და 5; ხოლო ლორის მხარეს სექტორები: 6; 7 და 8).

მოსახლეობის მხრით – სომხურია; ზემო ჯავახეთი – ეგრედ წოდებული დუხობორჟე, რომელიც აკრავს ბორჩალოს მაზრას, დასახლებულია რუსებით; ჩილდირი – თურქული (თათრული) ოლქია; აბოცის მოსახლეობის უმრავლესობას აგრეთვე თურქები შეადგენენ.[1]

ამ ოლქების მოსახლეობის შესახებ ქვემოდ წარმოდგენილია ორნაირი სტატისტიკური მასალა:

1. სამაზრო ადმინისტრაციის სტატისტიკური ცნობები 1910 წლისა, შემოწმებული თვითეულ სოფელზე ერთის მხრით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მასალების მიხედვით და მეორე მხრივ ადგილობრივ გაგზავნილ ეთნოგრაფ მკვლევართაგან;
2. სტატისტიკური ცნობები 1917 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერისა – შემოწმებული იმავე მასალებით. ორივე წყაროს ცნობები სავსებით უდგებიან და ამართლებენ ერთი-მეორეს.

ეს მასალები წარმოგვიდგენენ შემდეგ სურათს თვითეული ოლქის მოსახლეობისას:

1. ქვემო ჯავახეთი (ქართულ-მუსულმანური სექტორი). აქ ითვლება 48 სოფელი. ამათგან 10 სოფელი დასახლებულია მართლმადიდებელი ქართველებით: სარო, ჩუნჩხა, პრტენა, ქილდა, გოგაშენი, აფნია, კოთელია, ბალანთა, ჭიხარულა, ბარალეთი.[2] ორი სოფელი დასახლებულია ქართულად მოლაპარაკე კათოლიკე ქართველებით: ხიზაბავრა და ვარგავი; ორი სოფელი არის თურქულად მოლაპარაკე კათოლიკე ქართველებისა: ვარევანი და ტურცხი; 18 სოფელია მუსულმანი ქართველებისა: თოკი, შვინდრევანთა, ხუმრისი, ყარა-ყუზე, ხერთვისი, გელსუნდა, გოკია, მარგასტანი, კვარშა, ალჯუა, ოკამი, დანგალი, აზმანა, ღართა, ქარცები, დავნია, ხავეთი და ერინჯა. სომხებისა არის 12 სოფელი: მოდეგა, ღადო, კაჭიო; ზაქი, ორჯა, ხანდო, ლომატურცხი, მუარუკალი, კუმურდო, ბურნაშეთი, აზავრეთი, ალასტანი. 4 სოფელია ქურთების: ნაქალაქევი, არაშხანი, ანაკერტი და ბერთაყანა.

მოსახლეობა ამ სოფლებისა შემდეგია 1910 წლის ცნობებით: 31 ქართულ სოფლებში ითვლება ქართველობა 15.811 სული (მათ შორის მართლმადიდებელი ქართველები 5.958, კათოლიკე ქართველები 3.915, მუსულმანები 5.938); 12 სომხურ სოფელში – 11.808 სული სომეხი. ქურთების 4 სოფელში 628 სული ქურთი. ერთობლივ ქვემო ჯავახეთში ითვლება 28.247 სული მცხოვრები.

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის სტატისტიკით ამ სოფლებში ითვლება – ქართველი 16.064 სული, სომეხი 11.985 სული, ქურთი 921 სული. მთელი მოსახლეობა – 28.960 სული.[3] ქართველობა შეადგენს მთელი სექტორის მოსახლეობის 55.1/2 %-ს.

2. შუა ჯავახეთი (სომხური სექტორი). შუა ჯავახეთისა და ქვემო ჯავახეთის საზღვარია: ყარა-ყუზეს ქედი, ბარალეთის წყალი სათავიდან დაწყებული ვიდრე შესართავამდე, აქედან პირდაპირი ხაზი ხოზაფინის ტბამდე გავლებული სულდას, გიუნეს და ყარა-ოღლის მწვერვალებზე (6.669 ფუტის, 7.259 ფუტის და 7.560 ფუტის სიმაღლეებისა). დასავლეთით შუა ჯავახეთს საზღვრავს დუხობორჟე. შუა ჯავახეთში არის 55 სოფელი და ერთი ქალაქი (ახალქალაქი). აქედან ახალქალაქი და 47 სოფელი დასახლებულია სომხებით. 1 სოფელში – ყულარისში – მოსახლეობის ნახევარი სომხობაა, ნახევარი თურქობა. დანარჩენ შვიდ სოფელში მოსახლეობენ ქართველები: ამათგან – მართლმადიდებელი ქართველობა მოსახლეობს ს.

---

[1] ეს სექტორები რუკაზე აღნიშნულია ციფრებით: ქვემო ჯავახეთი – 1; შუა ჯავახეთი – 2; ზემო ჯავახეთი – 3; ჩილდირი – 4; აბოცი – 5.

[2] პირველი რვა სოფელი წმიდა ქართულია მოსახლეობის შემადგენლობით, უკანასკნელ ორ სოფელში ქართველობა შეადგენს მოსახლეობის ნახევარს, მეორე ნახევარი სომხობაა.

[3] შეცდომაა. უნდა იყოს 28. 970.

მურჯახეთში;[1] კათოლიკე ქართველები, თურქულად მოლაპარაკე (ეგრედწოდებული „ველელები“ – გადმოსახლებულნი ს. ველიდან არტაანის მხარისა), – სამ სოფელში: ხულგუმოში, კარტიკამში და ბავჩაში; მუსულმანი ქართველები – სამ სოფელში: დიდ ხოსპიოში, საღამოში და პატკანაში.

სულ მთელს შუა ჯავახეთში, ახალქალაქის მიუთვლელად, შემდეგი მოსახლეობაა: 1910 წლის ცნობებით – სომხები 43.209 სული, ქართველები 4.443 სული, თურქები 161 სული. მთელი მოსახლეობა 47. 813 სული. 1917 წლის ცნობებით – სომხები 48. 695, ქართველები 3. 487, თურქები 232. მთელი მოსახლეობა 52. 486 სული.[2]

რაც შეეხება ახალქალაქს აქ ითვლება 1916 წელს 7. 055 სული მცხოვრები, მათ შორის სომხობა 6. 151.[3]

3. ზემო ჯავახეთი (დუხობორიე). აქ არის სულ ცხრა სოფელი: ბოგდანოვკა, გორელოე, ვლადიმიროვკა, ეფრემოვკა, ორლოვკა, როდიონოვკა – ფარავანი, სპასკოე, ტროიცკოე და ტამბოვკა. დასახლებულია რუსი სექტანტებით. 1910 წლისათვის ისინი ითვლებიან აქ 6. 697 სული. 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკით კი ზემო ჯავახეთში ითვლება: რუსი – 6.714, ქართველი – 41, სომეხი – 23, ქურთი – 6. მთელი მოსახლეობა – 6. 784 სული.

ცხრილი მთელი ჯავახეთის მოსახლეობისა (უახალქალაქოდ):

1910 წელს:					
	ქართველები	სომხები	რუსები	სხვები	სულ
ქართულ სექტორში	15.811	11.808	-	628	28.247
სომხურ სექტორში	4.443	43.209	-	161	47.813
რუსულ სექტორში	-	-	6.697	-	6. 697
მთელს ჯავახეთში	20.254	55.017	6.697	789	82.757
1917 წელს:					
ქართულ სექტორში	16.064	11.985	-	921	28.970
სომხურ სექტორში	3.487	48.695	-	232	52.414
რუსულ სექტორში	41	23	6.714	6	6. 784
მთელს ჯავახეთში	19.592	60.703	6. 714	1231	88.168[4]

გადავდივართ ჯავახეთის სამხრეთით მდებარე ოლქების მოსახლეობის განხილვაზე.

4. ჩილდირი. 1910 წლისათვის აქ ითვლება 10.543 სული მცხოვრები, ყველა მუსულმანები. ამათგან ს. წყაროსთავში და ჩაისში მოსახლე მუსულმანები ქართული

---

[1] ქართველობა არის სამი მეოთხედი მოსახლეობისა, დანარჩენი მეოთხედი სომხობაა.

[2] შეცდომაა. უნდა იყოს 52.414.

[3] ახალქალაქის სტატისტიკა – ადმინისტრაციის ჩვენებით: 1910 წლის, აგრეთვე 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკაში ახალქალაქის მოსახლეობის შესახებ ცნობები შეტანილი არ არის.

[4] ზედმეტი არ იქნება შედარება ამ ცხრილებისა 1897 წლის რუსეთის საყოველთაო აღწერის ცნობებთან, რომელსაც ჩვეულებრივ ემყარებიან. ამ აღწერაში ჯავახეთის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს ორი კორექტივი:

1. ჯავახეთის ქართველი კათოლიკეებიდან აღწერაში ქართველებთან მითვლილია მარტო სოფელ ხიზაბავრის ქართველი კათოლიკენი. დანარჩენი ექვსი სოფლის კათოლიკე ქართველობა ჩათვლილია სომხებად. ამ უკანასკნელთა რიცხვი 1910 წლისათვის უდრიდა 4.889 სულს. 1897 წლისათვის უნდა ვიანგარიშოთ სულ ცოტა 3.920 სული (ე.ი. 20 %-ის გამოკლებით).
2. ქართველი მუსულმანები ამ აღწერაში ჩათვლილია თურქებად. მათი რიცხვი 1897 წელს ეთნოგრაფიული მასალების შეფარდებით აღწერის ციფრებთან უდრიდა 6.545 სულს.

ამ კორექტივის შეტანის შემდეგ ჯავახეთის მოსახლეობა (უახალქალაქოდ) ასე წარმოგვიდგება: სომეხი 44.83; ქართველი 16.787; რუსი 4.750; სხვები 1.249. მთელი მოსახლეობა 67.269 სული.

1897 წლის სტატისტიკით %-ული დამოკიდებულება სხვა და სხვა ეროვნული ჯგუფებისა ჯავახეთში ისეთივეა ცოტა მეტნაკლებობით, როგორიც 1910 წლისა და 1917 წლის სტატისტიკით (სომხების % აქ ცოტათი კიდეც ნაკლებია).

შთამომავლობის არიან. მათი რიცხვი უდრის 632 სულს. დანარჩენი ჩილდირში მოსახლე მუსულმანობა თურქებია – 9.911 სული.

5. აბოცი. 1829 წლამდე აბოცში თურქების ერთიანი მოსახლეობა იყო. შემდეგში აქ გადმოსახლებული იქმნენ სომხის კოლონისტები. მაინც თურქები აქ დღესაც უმრავლესობას შეადგენენ.

1910 წლისათვის აქ ითვლება: თურქი – 9.888, სომეხი – 7.165, სხვები[1] – 340. სულ მთელს აბოცში 17.393 სული მცხოვრები.

ასეთია მოსახლეობა საქართველო-სომხეთის სადაო ტერიტორიის დასავლეთი ნახევრისა.

რას გვეუბნება აქ ეთნოგრაფია, რაც ერთადერთ საბუთად მოჰყავთ ამ ოლქების სომხეთთან შეერთების სასარგებლოდ და რასაც იმოწმებს საქართველო-სომხეთის გამიჯნვის ზემოთ მოხსენებული პროექტიც? ჩვენ ვხედავთ ეთნოგრაფია აქ სრულებით არ ლაპარაკობს სომხეთთან შეერთების სასარგებლოდ. სადაო ზონის ხუთი ოლქიდან სომხური არის მხოლოდ ერთი ოლქი, შუა ჯავახეთი. დანარჩენი ოთხი ოლქი, რომლებიც რკალივით გარს არტყია შუა ჯავახეთსა და აშორებს ამ სომხურ კოლონიას სომხეთის მეტროპოლიისაგან, დასახლებლია არასომხური ელემენტით.

სულ ხუთსავე სექტორში ითვლება 1910 წლისათვის 110.693 სული მცხოვრები[2]. აქედან შუა ჯავახეთში – 47.813 სული, დანარჩენს ოთხ არასომხურ სექტორში 62.880 სული.

სავსებით ასეთივე პროპორციაა – შებრუნებით, თუ ავიღებთ სომხურ მოსახლეობას ხუთსავე სექტორში ერთად და არასომხურ მოსახლეობას ხუთსავე სექტორში ერთად: სომხობაა 62.182, არასომხური ელემენტი 48.511. პირველ შემთხვევაში პროცენტული დამოკიდებულება 44 და 56, მეორე შემთხვევაში 56 და 44.

ამნაირად, ეთნოგრაფიის ჩვენება ორივე კერძ ერთნაირია, როგორც სომხების, ისე არასომხების მხრივ.

მაგრამ ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი პირობები:

ჯერ ერთი, თუ წმინდა ეთნოგრაფიას დავემყარებით და არ მივაქცევთ ყურადღებას ბუნებრივს (ამავე დროს ისტორიულ) საზღვრებს, როგორც ამას ჩადის გადამიჯნვის პროექტი საქართველოს შესახებ, მაშინ საქართველოსა და სომხეთს შუა მდებარე ტერიტორიაზე სომხების % გაცილებით ნაკლები აღმოჩნდება. საქმე ის არის, რომ ამ ხუთი ოლქის სამხრეთით, ამათ და სომხეთს შუა მდებარეობს კიდევ ერთი არასომხური ოლქი, ზარიშტიანი (რომელსაც შეადგენს ეხლანდელი ზარუშადის უბანი და მასზე მიკრული შვიდი საზოგადოება: ორთა-ქილისა, გიული-ბულახი, დალავერი, ქემული, ოხჩი, ოღლი, ყარა-ქილისა და მოქუზი). აქ ითვლება (1910 წელს) 35.742 სული მცხოვრები, აქედან სომხობა მხოლოდ 3. 216 სული, დანარჩენ მოსახლეობას კი შეადგენს თურქები და სხვა მუსულმანები – 26.346, რუსები 6.180. ეს ერთი.

მეორე. ჯავახეთის მთეულეთი ნაწილი ზაფხულობით უჭირავს დიდძალ ქართველობას, რომელთაც აქა აქვთ საძოვარი იალაღები და უდგათ საქონელი. ზემოდმოყვანილ სტატისტიკურ ცხრილებში ეს ქართველობა მითვლილი არ არის. მაგრამ რასაკვირველია ამ ქართველობას, რომლებიც სარგებლობენ მოხსენებული საძოვარი ადგილებით უხსოვარი დროიდანვე, არანაკლები უფლება აქვთ თავის სამშობლო მიწა-წყალზე, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის კოლონისტებს.

დასასრულ მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ჯავახეთის მხარის ოთხი არა-სომხური სექტორი გაცილებით მეტია ტერიტორიულად, ვიდრე შუა-ჯავახეთი. ეს

---

[1] ბერძნები და მცირეოდენი ქართველობაც ს. ალაქილისაში.

[2] აქ არ ვთვლით ახალქალაქს. ზემოთაც შევნიშნეთ, ქალაქებს ეთნოგრაფიული კუნძულების ხასიათი აქვს და რეალური მოსახლეობის სურათის წარმოდგენის დროს ქალაქები მხედველობაში ვერ მიიღება. მაინც ახალქალაქის ჩათვლა არ შესცვლიდა საზოგადო სურათს.

გარემოება ანგარიშ გასაწევია, რადგან თავისუფალი მიწები ჯავახეთისა, ამ ძირეული ქართული ქვეყნისა, უნდა ჩაითვალოს ქართველი ერის საკუთრებად და კერძოდ იმ ქართველ მუსულმანთა მიწის ფონდად, რომლებშიც ბედის უკუღმართობით გადასახლდნენ ოსმალეთში, და როცა კი პირობები შეიცვლება, ცხადია, რომ ნაწილად მაინც მოისურვებენ სამშობლოში დაბრუნებას.[1] ამიტომაც უფრო პატარა ტერიტორიული ერთეულის სასარგებლოდ ვერ გადაიჭრება გაცილებით მეტი ტერიტორიული ერთეულის ბედი.

ეთნოგრაფიის შესახებ ესოდენ ითქვას. როგორც გამოირკვა ეთნოგრაფია აქ სრულებით არ უჩვენებს ამ მხარის სომხეთთან შეერთების სასარგებლოდ.

რაც შეეხება დანარჩენ რეალურ პირობებს მათი ჩვენება გაცილებით უფრო პირდაპირია და დამაჯერებელი, ვიდრე ორკერძი ჩვენება ეთნოგრაფიისა, და ეს პირობები კი გადაჭრით უჩვენებენ, რომ ჯავახეთი საქართველოს საზღვრებში უნდა დარჩეს. ამას პირველ რიგში ამართლებს ეკონომიური და სამეურნეო ვითარება მრთელი ამ მხარისა და კერძოდ ჯავახეთის.

ჯავახეთის ეკონომიური არსებობა საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია. ჯავახეთი მჭიდროდ არის გაერთიანებული საქართველოსთან ეკონომიურ ნიადაგზე და ეს მოვლენა წინასწარგანსაზღვრულია ამ მხარის გეოგრაფიული მდებარეობით. ჯავახეთი უშუალო გაგრძელებაა საქართველოს ტერიტორიისა, ეკუთვნის საქართველოს მდინარეთა აუზს, დაფენებულია საქართველოსაკენ, ხოლო სომხეთიდან იგი მოწყვეტილია მცირე-კავკასიის მთების სისტემით. ტოპოგრაფიული და კლიმატური პირობები შეუძლებლად ხდის საქონლის გაცვლა-გამოცვლასა და სხვაგვარ ურთიერთობას სომხეთთან მთელი ნახევარი წლის მანძილზე, ხოლო საქართველოსაკენ ჯავახეთს ღია კარები აქვს გახსნილი, საქართველოსთან ჯავახეთს აერთებს ყველა არტერიები და ყოველგვარი აღებ-მიცემა ჯავახეთსა საქართველოსთან აქვს. ეს ბუნებრივი ეკონომიური მიზიდულობა ჯავახეთისა საქართველოსაკენ იმდენად ცხადლივი მოვლენაა, რომ აქ საჭირო არ უნდა იყვეს ამის შესახებ სიტყვის გავრცელება. მოვიყვანთ მხოლოდ ჩვენებას ამ საგანზე საგანგებო კომისიისას, რომელიც შესდგა ადგილობრივ, ჯავახეთში, 1913 წელს, როცა პირველად იქმნა წამოყენებული საკითხი ჯავახეთის გამოყოფისა საქართველოდან (ტფილისის პროვინციიდან) კომისიამ, რომელშიაც მონაწილეობდა ჯავახეთის მოსახლეობის წარმომადგენლებიც, ერთხმად და გადაჭრით წინაღუდგა ჯავახეთის ჩამოშორებას საქართველოსაგან და სომხეთის ალექსანდროპოლ-ერევნის პროვინციაზე შეერთებას და შემდეგი ჩვენება წარმოადგინა ადგილობრივი ეკონომიურ-სამეურნეო პირობების შესახებ:

უწინარეს ყოვლისა – ნათქვამია კომისიის რეზოლუციაში – შემცდარია ის მოსაზრება, თითქოს ახალქალაქის მაზრას მიზიდულობა ჰქონდეს ალექსანდროპოლისაკენ. მთელი ვაჭრობა და ეკონომიური ინტერესები მოსახლეობისა გადაბმულია მხოლოდ ტფილისთან, სადაც ერთის მხრით იგზავნება ხვადაგი (ოთხფეხა საქონელი), დამუშავებული პროდუქტები და ადგილობრივი ნაწარმოებნი, და საიდანაც მეორე მხრით მიიღება საქონელი და ყველაფერი საჭირო მრთელი მაზრისათვის. ამასთან საქონლის მიმოტანა, როგორც ზაფხულს, ისე ზამთრობით ხდება ახალციხე-ბორჯომისა და ბაკურიანის გზებით, აგრეთვე სასოფლო ტრაქტით როდიონოვკა-მანგლისზე ტფილისამდე. ქ. ალექსანდროპოლთან – ზამთრობით ზვავების მიზეზით, ხოლო გაზაფხულზე წყალდიდობის გამო, ყოველგვარი მიმოსვლა, საფოსტოც კი მთელი თვეების მანძილზე სწყდება. ზაფხულშიაც, როცა მიმოსვლა არის ალექსანდროპოლთან, მთელი საქონლის მოძრაობა მაზრისა მიმართულია ისევე ბაკურიანისა და ახალციხის გზით და მხოლოდ ბოგდანოვკის უბნის ქვემო ნაწილი ღებულობს საქონელს, უმთავრესად ბრინჯს, ალექსანდროპოლიდან... ადმინისტრატიული მართვის მხრივაც გამოყოფა ახალქალაქის

[1] აქ სქოლიოს ნიშანია, მაგრამ არც შავ და არც თეთრ ვარიანტში არაფერია მითითებული [რედ.].

მაზრისა – დაასკვნის კომისია – წარმოადგენდა უხერხულობას, რადგან პირდაპირი ურთიერთობა სამაზრო ადმინისტრატიული ერთეულებისა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ზაფხულის თვეებში, მაშინ როდესაც მიმოსვლა ტფილისთან მთელი წლის განმავლობაში სწარმოებს. არ იქნებოდა იშვიათი შემთხვევები, როცა ერევანში (და ალექსანდროპოლშიაც, პ.ი.) მისასვლელად საჭირო იქნებოდა მოვლა ახალციხე-ბორ-ჯომ-ტფილისის გზით და ამნაირად ზედმეტი 353 ვერსტის გაკეთება.

ასეთია კომისიის ჩვენება ადგილობრივი პირობების შესახებ.

ამ ჩვენებას უნდა დაემატოს ისიცა, რომ არა მარტო ჯავახეთი ეკონომიურად არის დამოკიდებული საქართველოსაგან, არამედ საქართველოს სხვა ნაწილებსაც თავის მხრივ მჭიდრო კავშირი აქვთ ჯავახეთთან ამავე ნიადაგზე. ჯავახეთთან ორგანულად არის დაკავშირებული ქართლ-კახეთის ოთხი მაზრის მოსახლეობა. საკმარისია აღვნიშნოთ თუნდ მარტო ის გარემოება, რომ ჯავახეთის საძოვრებით სარგებლობენ არა მარტო ჯავახელები, არამედ მთელი აღმოსავლეთი საქართველოს მცხოვრებნი, რომელთაც აქა აქვთ საძოვარი იალაღები და ზაფხულობით საქონელი უდგათ. საქართველოს მთიელებს, მაგალითად, რომლებიც უმთავრესად საქონლის მოშენებას მისდევენ, ან ქიზიყს, არც კი შეუძლიათ არსებობა ჯავახეთის იალაღების უიმისოდ. მოკლედ, ჯავახეთის ჩამოჭრა საქართველოდან დაარღვევდა საქართველოს ეკონომიურ მთლიანობას, ეს იქნებოდა ერთი მთლიანი და განუყოფელი ეკონომიური სხეულის გაჩეხვა.

ჩვენ ვამთავრებთ ჯავახეთის მხარის საკითხის განხილვას და დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ ყურადღება მივაქციოთ საქართველოს ისტორიულ უფლებებს ამ მხარეზე, რაც ჯავახეთის ბედის გადაჭრისათვის არა ნაკლებ საგულისხმო უნდა იყვეს, ვიდრე დღეის-დღის ეთნოგრაფია ან სხვა რაიმე პირობები. როცა ჯავახეთის ბედის გადაჭრას მიუდგებით, არ უნდა გვეპარებოდეს მხედველობიდან, რომ ჯავახეთი კი არ არის საქართველოს მიერ დაპყრობის გზით შემოერთებული პროვინცია, არამედ ძირეული ქართული ოლქია, რომელიც თაობითვე, მრავალ საუკუნეთა მანძილზე შეადგენს ქართველი ერის მიწა-წყალს და რომელიც მოფენილია ქართული კულტურის ნაშთებით. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში გაძლიერდა ჯავახეთში უცხო ელემენტი, როდესაც რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წყალობით მოხდა ემიგრაცია ადგილობრივი მკვიდრი მუსულმანი ქართველებისა ოსმალეთში და მათ ადგილას 1829 წლიდან ჩამოასახლეს უცხოელები, სომხები და სხვები. მიტაცება საქართველოსათვის ამ ძირეული ქართული ოლქისა იმიტომ მხოლოდ, რომ აქ საქართველოს უუფლებობის ხანაში ხელოვნურად გააძლიერეს უცხოელთა მოსახლეობა, ეს იქნებოდა ყოველგვარი ადამიანური სამართლიანობის დათრგუნვა. და ეს ყველაზე წინ და ყველაზე უფრო გასაგები უნდა იყვეს თითონ სომხის ერისათვის, რომელიც იმედოვნებს სამშობლო მიწა-წყლის დამკვიდრებას მხოლოდ თავის წმინდა ისტორიულ-კულტურულ უფლებებზე დამყარებით. ვგულისხმობთ სამხრეთ სომხეთს, რომელიც არა გუშინდელი დღიდან, როგორც ჯავახეთი, არამედ უკვე რამდენიმე საუკუნეა რაც ეთნოგრაფილად სომხეთი აღარ არის.

***

ლორის მხარე

აღმოსავლეთი ნახევარი საქართველო-სომხეთის სადაო ტერიტორიისა, ლორის მხარე, ფიზიკო-გეოგრაფიული პირობების მხრით განიყოფება სამ ბუნებრივ ერთეულად, სამ ოლქად. ეს ოლქებია: ზემო ლორი, ქვემო ლორი და ბამბაკი. ქვემო ლორის ოლქი თავის მხრით განიყოფა სამი პატარა კუთხედ. ეს კუთხეებია: ბორჩალოს კარი, ლორის კარი და ბამბაკის კარი.[1]

ლორის მხარის მოხსენებული სამი ოლქიდან – ორი ოლქი მოსახლეობის მხრით სომხურია. მესამე ოლქში ზემო ლორეში ნარევი მოსახლეობაა.

სომხურ ოლქებში ითვლება მცხოვრები.[2]

1). ბამბაკში: სომეხი 42.887 სული
თურქი 5.442 სული
რუსი 1.718 სული
ბერძენი 353 სული
ერთად 50.400 სული.

2). ქვემო ლორეში: სომეხი 29.931 სული
ბერძენი 985 სული
ერთად 30.916 სული

ერთად ორსავე სომხურ ოლქში ითვლება 81.316 სული მცხოვრები, ამათგან სომხები 72.818 სული.

რაც შეეხება მეხუთე ოლქსა[3] ნარევი მოსახლეობით, ზემო ლორეს, აქ მოსახლეობენ: **რუსები** – რვა სოფელში (ეს სოფლებია: ვორონცოვკა, რუსის ჯაჯალ-ოღლი, გერგერი, ნოვო-მიხაილოვკა, ნოვო-ალექსანდროვკა, ნიკოლაევკა, ნოვო-პოკროვკა, პრივოლნოე); **თურქები** (თათრები) 9 სოფელში (ეს სოფლებია: ილმაზლო, ირგანჩაი, ყარა-ყალა, ჯუჯაქენდი, სოუხ-ბულახი, თაზაქენდი, ყიზილ-ქილისა, ლოქ-ჯანდარი, ყიმიშლო) და აგრეთვე 30 ჟაილაზე ყარაღაჯის, აღლაღანის და ჩუბუხლოს მთებისა; **ბერძნები** ორ სოფელში (ვოგოსსა და იაგდანში); და **სომხები** დანარჩენ სოფლებში.

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის სტატისტიკით ზემო ლორეში ითვლება
სომეხი 13.142 სული
თურქი 17.092 სული (ამათგან ჟაილაზე სული)[4]
რუსი 9.224 სული
ბერძენი 1.780 სული

---

[1] იხ. რუკა: ზემო ლორი აღნიშნულია რუკაზე ციფრით 6, ქვემო ლორი – ციფრით 7, ბამბაკი – ციფრით 8; ხოლო ქვემო ლორის ცალკე კუთხეები: ბორჩალოს კარი აღნიშნულია რუკაზე ლიტერით ა, ლორის კარი – ლიტერით ბ, ბამბაკის კარი – ლიტერით ც. – დღევანდელის ადმინისტრატიულის დანაწილებით ამ ოლქებს და კუთხებს შეადგენს: ბამბაკის ოლქისა – ეხლანდელი ბამბაკის უბანი ალიხანის საზოგადოების მიმატებით; ზემო ლორის ოლქისა – ლორის ველი, ეხლანდელი ლორის უბანი კოგოს-გერგერის ხაზამდე; ქვემო ლორის ოლქისა – დანარჩენი ნაწილი ლორის უბნისა (ს. აქორ-კაჩაჩქუთის გამოკლებით და შინიხის საზოგადოების მიმატებით); ... – რაც შეეხება ქვემო ლორის ცალკე კუთხეებს, ამათგან – ბორჩალოს კარს შეადგენს სულ ხუთი სოფელი: ახპატი, სანაინი, ვორნაქი, შინიხი და არჩისი; ლორის კარს სამი საზოგადოება: უზულარისა, მღართისა (სოფ. ოვანდარას გამოკლებით) და გჲულ-აგარაკისა; ბამბაკის კარს შეადგენს სამი საზოგადოება: დისეხისა, ლორუტისა და შაჰ-ალისა.

[2] მოსახლეობა ლორის მხარის ოლქებისა, ბამბაკის გარდა ნაჩვენებია უკანასკნელი სტატისტიკით 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერისა. ბამბაკის მოსახლეობა, რადგან უკანასკნელი აღწერის მასალა ბამბაკის შესახებ არ არის ჯერ დამუშავებული, ნაჩვენებია 1908 წლის ადმინისტრაციის მიერ შეგროვილი სტატისტიკური ცნობების მიხედვით, რომელზედაც მითვლილია უკანასკნელი წლების მომატება – 10 %.

[3] აქ შეცდომა უნდა იყოს: „მეხუთეს“ ნაცვლად უნდა ეწეროს „მესამე“ [რედ.].

[4] აქ ადგილია გამოტოვებული, სადაც ალბათ დაზუსტების მერე ჩაწერდა, თუ რამდენი თურქია იაილაზე [რედ.].

სხვები 114 სული
ერთობლივ 41.352 სული

სომხობა შეადგენს ქვემო ლორეში მრთელი მოსახლეობის 31,1/2½%-ს, თურქები (თათრები) 41 %-ს, მრთელი არასომხური ელემენტი 68,1/2 %-ს.

ასეთია მოსახლეობა ლორის მხარის სამივე ოლქისა.

თუ როგორ უნდა გადაიჭრას ლორის პროვინციის ორი ოლქის საკითხი ბამბაკისა და ქვემო ლორისა, რომელ ერთეულს მიაკუთვნონ ისინი – საქართველოს თუ სომხეთს, ეს კითხვა შეიძლება აქ ღიად დაიტოვოს. ეს ოლქები მოსახლეობის მხრივ თაობიდანვე ერთნაირ გარდამავალ ზონას წარმოადგენდა საქართველოსა და სომხეთს შორის, მოსახლეობდნენ აქ ქართველების გვერდით სომხებიც. და საყურადღებოა ქართველობა ამ ოლქებს სომხითს ეძახოდა, სომხები კი მას საქართველოს უწოდებდნენ. სახელმწიფოებრივად კი ეს ოლქები საქართველოს საზღვრებში შედიოდა. ეს იმითაც აიხსნება, რომ ეს ოლქები – ქვემო ლორიცა და ბამბაკიც საქართველოს ეკუთვნის. ამ ოლქების სამხრეთით, მათ და სომხეთს შორის ამართულია მტკვარ-არაქსის წყალთა-გამყოფი (სომხეთის) ქედი; საქართველოსაკენ კი ამ ოლქებს ღია კარები აქვთ და როგორც გეოგრაფიულად ისე ეკონომიურადაც გამოუყოფელნი არიან საქართველოსაგან... მაინც რაკი ეს ოლქები ეთნოგაფიულად დღეს წმინდა სომხეთია, მათი ბედის გადაჭრა საერთო შეთანხმების საგანი უნდა გახდეს.[1]

რაც შეეხება მესამე ძველ ქართულ ოლქსა ზემო ლორეს, ანუ როგორც ძველად ეძახოდნენ ტაშირს, იგი, როგორც აღნიშნული იყო, ეთნოგრაფიულადაც არ არის სომხეთი. რაც შეეხება სხვა პირობებს, ეკონომიურად, – მაგალითად – ზემო ლორი პირდაპირ დაკავშირებულია ქვემო ქართლთან, რომლის უშუალო გეოგრაფიულ გაგრძელებას წარმოადგენს ეს ოლქი და კერძოთ ტფილისთან, რომელთანაც ქვემო ლორი შეერთებულია პირდაპირის გზებით. სამხრეთით კი ეს მხარე არა მარტო სომხეთისაგან მოწყვეტილია სომხეთის (ბამბაკის) მთებით, არამედ თითონ ბამბაკისა და აბოცისაგან გამიჯნულია ყარაღაჯისა და აღლაღან-ჩუბუხლოს თოვლიანი ალპებით. ჩამოჭრა ზემო ლორისა მისი ბუნებრივი მეტროპოლია ტფილისიდან, რომელთაგანაც ამ კუთხესა აქვს ყოველგვარი აღებმიცემა-ურთიერთობა, ეს იქნებოდა ზემო ლორის სრული ეკონომიური დაქვეითება. საყურადღებოა რომ 1846 წელს, როდესაც მოხდა ადმინისტრატიული გადამიჯვნა საქართველოსი და მეზობელი ქვეყნების პროვინციებისა, ლორი მიწერილ იქმნა ერევან-ალექსანდროპოლის პროვინციაზე, მაგრამ რადგან ლორი ბუნებრივი ზღუდეებით მოწყვეტილია სამხრეთის მხრით, იგი იმავე წელსვე შეუერთეს ტფილისს თვით ადგილობრივ მკვიდრთა თხოვნით.

***

ჩვენ ვამთავრებთ საქართველო-სომხეთის სადაო ოლქთა საკითხის განხილვას. დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ კიდევ ზოგ პრინციპიალურ მხარეს.

სომხის ეროვნული მაქსიმალისტების პროექტი საქართველო-სომხეთის ტერიტორიული გამიჯვნისა, როგორც აღვნიშნეთ, ემყარება მარტოოდენ ტიტველ ეთნოგრაფიულ პრინციპს. დეტალების განხილვის დროს ჩვენ დავინახეთ ამ პროექტის შეუსაბამობა ჯერ მარტო ამ მხრივაც. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ პროექტს არ ამართლებს, რომ არა ვსთქვათ სხვა პირობებზე, ჯერ თითონ რეალური მოსახლეობა სადაო ოლქებისა.

მაგრამ ამასთან არის კიდევ ერთი გარემოება: ამ პროექტში არა მარტო თვითეული სადაო მხარის ეთნოგრაფიული ურთიერთობა არ არის სისწორით ნაჩვენები, არამედ აქ ბოლოს და ბოლოს დამახინჯებულია თითონ რეალური მოსახლეობის პრინციპიც. აქ არა მარტო შეცდომით არის გაშუქებული დეტალები, არამედ შემცდარია თითონ მთავარი ხაზი. საქმე შემდეგშია: რეალური მოსახლეობის პრინციპით ხელმძღვანელო-

[1] აქ ადგილია გამოტოვებული, სადაც ალბათ დაზუსტების მერე ჩაწერდა [რედ.].

ბის დროს ჩვენ უნდა ვითვალისწინებდეთ პირველ რიგში მთელის პერსპექტივას; ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს არა მხოლოდ ცალკე კუთხეების მოსახლეობა, არამედ მთელი მხარე, უნდა გამოვდიოდეთ ქვეყნის მთელი ეთნოგრაფიული შემადგენლობიდან. სომხის მაქსიმალისტების პროექტში კი ეს მთელი განგებ ჩრდილშია დატოვებული. და თუ ჩვენ ამ ჩრდილსაც ნათელს მივაყენებთ, პროექტის სრული უნიადაგობა კიდევ უფრო ნათელი გახდება ჩვენთვს.

მართლაც, რომ შევუდაროთ მრთელი საქართველოს მოსახლეობა მის მეზობელი ქვეყნების მოსახლეობას, დავინახავთ რომ საქართველო, ეგერედწოდებული სადაო ოლქთა მითვლითაც გაცილებით უფრო მთლიანია ეთნოგრაფიულად, ვიდრე ადერბეიჯანი და მით უმეტეს სომხეთი. საზოგადოდ არც ისე ბევრია სხვა დამორჩილებული ერის ქვეყანა, რომელიც ისე ერთფეროვანი იყვეს ეთნოგრაფიულად, როგორათაც საქართველო. სტატისტიკური მასალების დეტალური კრიტიკით ირკვევა, რომ მრთელ საქართველოში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჯარსა და დროებით ჩამოსულ უცხოელებს) ქართველობა შეადგენს მრთელი მოსახლეობის 75.8 %-ს. ადერბეიჯანში და განსაკუთრებით სომხეთში გაცილებით მეტია უცხო ელემენტი. ადერბეიჯანში თურქები და საზოგადოდ ყველა მუსულმანები შეადგენენ მრთელი მოსახლეობის 68,2 %-ს, სომხეთში სომხობა შეადგენს მოსახლეობის მხოლოდღა 55,9 %-ს.

მიუხედავად ამისა სომხის მაქსიმალისტების პროექტით, რომელიც ვითომდა რეალური მოსახლეობის პრინციპზეა აგებული, სომხეთი საზღვრების გადამიჯვნით არაფერს ჰკარგავს. სომხეთი ეთნოგრაფიულად ძალზე აჭრელებული ტერიტორიულად არაფერს ჰკარგავს, არამედ იგებს კიდეც, ხოლო საქართველო გაცილებით მთლიანი ეთნოგრაფიულად, ჰკარგავს იმავე პროექტით ძირეულ ქართულ ოლქებს. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ საქართველოში უცხო ელემენტი პერიფერიებში მოსახლეობს, ხოლო სომხეთში კი ცენტრში. გადამიჯვნის პროექტი არსებითად მხედველობაში იღებს მხოლოდ განაპირა ოლქთა მოსახლეობას. აქედან კი ის ახირებული დასკვნა გამოდის, რომ სომხეთი ეთნოგრაფულად მეტისმეტად ნარევი, ტერიტორიულად უნდა გაიზარდოს სხვა უფრო მთლიანი ეთნოგრაფიული ერთეულების ანგარიშზე!

ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს თუ რა სიდუხჭირეს შეიცავს რეალური მოსახლეობის პრინციპის იმნაირი გაგება, როგორსაც პროექტში ვხედავთ.

ფაქტია, რომ სომხეთი, სხვა და სხვა ისტორიულ გარემოებათა მიზეზით ძალზე აირია ეთნოგრაფიულად. სომხეთის აუზი, ასე ვთქვათ, აივსო და სომხური მოსახლეობის ტალღამ ნაპირებიდან გადმოხეთქა. დღეს სომეხთა ხელმძღვანელი პოლიტიკური წრეები სცდილობს დაიმკვიდრონ თავისი მიწაწყლის ეთნოგრაფიულად ნარევი ცენტრი და ამავე დროს იმ არასომხური ოლქების ანექსიაც მოახდინონ, სადაც სომხობა ეთნოგრაფიულად გაძლიერდა. ეს რასაკვირველია მიუღებელია და ყველაზე ნაკლებ შეიძლება გამართლებულ იქმნეს რეალური მოსახლეობის პრინციპის მიხედვით.

გავიმეორებდით: ეთნოგრაფიული პრინციპით ხელმძღვანელობის დროს უნდა გამოვდიოდეთ მთელი მხარისა და არა ცალკე კუთხის ეთნოგრაფიული შემადგენლობისაგან. და თუ ამ ერთადერთი სწორი თვალთახედვით მივუდგებით საკითხს, ეს იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ საქართველო გაცილებით ერთგვაროვანი ეთნოგრაფიულად, ვიდრე მისი მეზობელი ქვეყნები და უნდა დარჩეს უცვლელად თავის ბუნებრივ-ისტორიულ საზღვრებში. და ამასთან დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, თუ ადერბეიჯანში არ დაიჩაგრება 32 % უცხოელებისა, სომხეთში 44 %, მით უმეტეს ეროვნული უფლებები საქართველოში მოსახლე 24 % უცხოელებისა არანაკლების სავსებით იქნებიან დაცულნი. რასაკვირველია, ამ უცხოელთათვის სომხეთში – მაგალითად, არავითარ უპირატესობას არ ჰქმნის ის გარემოება, რომ ისინი აქ ცენტროში მოსახლეობენ და არა პერიფერიებში, როგორათაც ეს საქართველოშია.

ეთნოგრაფიის კითხვასთან ერთად, საჭიროა აქ უფრო ფართედ დავსვათ აგრეთვე მეორე კითხვაც – ეკონომიური განვითარების ტენდენცია, რომელსაც ჩვენ ზემოთ მხოლოდ გაკვრით, ცალკე სადაო ოლქთა მასშტაბით შევეხეთ.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სასარგებლოდ ეთნოგრაფიულზედ არა ნაკლებ მჭერმეტყველად ლაპარაკობს ეს ეკონომიური პირობებიც. საქართველო ამ მხრივ წარმოადგენს ერთს განუყოფელს მთლიანს. საქართველო არის არა ოცი ან ოცდაორი მაზრა, ორით მეტი ან ნაკლები, არამედ ერთი განუყოფელი და ბუნებრივი საზღვრებით შემოფარგლული სამეურნეო-ეკონომიკური პროვინცია. ჩრდილოეთით მას არტყია კავკასიონის ქედი (აფხაზეთის თავიდან საინგილოს ბოლომდე); სამხრეთით მას მიჯნავს სომხეთის ზეგანი, რომლიდანაც მას გაჰყოფს მთების გაუწყვეტელი ბარიერი (ბამბაკიდან – ლაზისტანამდე); დასავლეთით მას აკრავს შავი ზღვა (ლაზისტანიდან აფხაზეთამდე) – და მხოლოდ აღმოსავლეთ-სამხრეთის ვიწრო პირით ეკვრის საქართველო ადერბეიჯანის ველსა, მაგრამ აქედანაც მას მტკვარზე მიბჯენილი ჰერეთის უდაბური ველი გაჰყოფს. ამ ზღუდეებში მოთავსებული მხარე-კუნძული მოქცეულია ერთგვარ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში – არის ერთი ქვეყანა, ერთნაირის ბუნებით და სამეურნეო-ეკონომიური პირობებით. ტენდენცია მისი უფროდაუფრო მჭიდრო გაერთიანებისა ეკონომიურ ნიადგზე წინასწარ განსაზღვრულია ამ ბუნებრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული მთლიანობით. თვითეული მხარე ამ ქვეყნისა მჭიდრო სამეურნეო ურთიერთობით არის შეკავშირებული დანარჩენ მხარეებთან, ამავე დროს მეზობელი ქვეყნებიდან მოწყვეტილია ბუნებრივი ზღუდეებით, ასე რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია დამოუკიდებელი ეკონომიური ცხოვრება მთლიან საქართველოს გარეშე. ჩამოჭრა საქართველოდან რომელიმე პროვინციისა ეს იქნებოდა ერთი მთლიანი და განუყოფელი სხეულის გაჩეხვა.

შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ როდესაც კი წარსულში საქართველოს ცხოვრება ნორმალურ პირობებში ეწყობოდა, აქ ყოველთვის თავს იჩენდა ტენდენცია ამ ქვეყნების გაერთიანებისა ზემოხსენებულ ბუნებრივ საზღვრებში. ეს რასაკვირველია არ იყო შემთხვევითი მოვლენა და გამომდინარეობდა საქართველოს ორგანული სამეურნეო-ეკონომიური მთლიანობიდან.

ამასთან მეორე გარემოებაც. სომხეთს, მაგალითად, უჭირავს ერთი მთლიანი ზეგანი, რომელიც კუნძულივით არის ამართული საქართველოსა, ქურთისტანის, ადერბეიჯანის და ანატოლიის შუა და რომელიც საქართველოდან გამიჯნულია მტკვარ-არაქსის და ჭოროხ-არაქსის წყალთაგამყოფ ქედებით. ასევე მთლიანია, როგორც გეოგრაფიული და სამეურნეო ერთეული, ადერბეიჯანი, რომელსაც უჭირავს მტკვრის ნაპირებზე შეფენილი ველები, შემოზღუდული ერთის მხრით კასპიის ზღვითა და ყარაბაღის ქედით, მეორე მხარეზე კავკასიონის კვერნაქებით და ირანის ზეგანით.

ჩვენ არას ვამბობთ კავკასიის მთეულეთზე, რომელიც ჩვენ მეზობელ ქვეყანათა შორის ყველაზე მკვეთრად არის გამომიჯნული თავისი მკაფიო საზღვრებით და ბუნების ინდივიდუალობით.

ასეთ განსაკუთრებულ პირობებში რასაკვირველია შეუძლებელია იმ გზაზე დადგომა, რომელზედაც ჩვენ მიგვითითებს სომხის ნაციონალისტების პროექტი. ყოვლად შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს ასეთი ჭრა-კერვა ტერიტორიებისა, ასეთი ხელოვნური გამოთიშვა ცალკე ჩამონაჭრებისა მთლიანი ტერიტორიული ერთეულებიდან. ერთადერთი სწორი გზა „კავკასიის" ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნისა ეს იქნება დატოვება თვითეული მათგანის იმ ბუნებრივ საზღვრებში, რომელიც ნათლად არის გამოკვეთილი მათი ფიზიკო-გეოგრაფიული და ეკონომიური მთლიანობით და ამავე დროს მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული პირობებით. რაც შეეხება ეთნოგრაფიულად განსხვავებულ ოლქებს, მათ უნდა მიენიჭოს საოლქო თვითმართველობა ამ მთლიანი ტერიტორიების საზღვრებში. კერძოდ, საქართველოში, საქართველო-სომხეთ-ადერბეიჯანის საზღვრებზე ასეთი საოლქო თვითმმართველობა უნდა მიეცეს: – ერთად **ბორ-**

ჩალო-ლორის პროვინციას, მეორედ **ჯავახეთის პროვინციას**; ასეთივე თვითმმართველი ოლქი იქნება სომხეთის საზღვრებში **სამხრეთი სომხეთის ბარი** (ნარევი სომხურ-თურქული ოლქი თურქულის უმრავლესობით). ასეთივე თვითმმართველ ოლქად უნდა აღიარებულ იქმნას ადერბეიჯანის ფარგლებში დასავლეთ **ადერბეიჯანის ზეგანი** (ნარევ სომხურ-თურქული ოლქი სომხურის უმრავლესობით). ასეთივე თვითმმართველობა უნდა მიეცეს დანარჩენს ეთნოგრაფიულად ან სხვა რაიმე პირობებით განსხვავებულ ოლქებს; საქართველოში **საინგილოს, ქართლის ოსეთსა, აგრეთვე აფხაზეთს** და **სამუსლიმანო საქართველოს,** ხოლო ადერბეიჯანში: **ეუბის ლეზგისტანს, ტატების ორ ოლქს** და **თალიშს**. მაგრამ ეს უკანასკნელი საკითხი – თვითმმართველ ოლქთა შესახებ – გამოდის ამ მოხსენების ფარგლებიდან და მას ჩვენ ცალკე შევეხებით სხვა დროს.

3. პავლე ინგოროყვა
საქართველოს სამხრეთი სანაპიროების ჯავახეთისა და ლორის მხარე

წყარო: პავლე ინგოროყვას ხელნაწერი. იხ. გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. პავლე ინგოროყვას ფონდი, №27675.

(გადმოღებულია კავკასიის გენერალური შტაბის რუსული რუკითგან)
მასშტაბი - ინგლისურ დიუმში ათი ვერსტი

ნიშანთა ახსნა:

ნიშანთა ახსნა	ლიტერებისა და ციფრების მნიშვნელობა		
//////////////////////////////// სადაო ზონის საზღვრები xxxxxxxxxxxxxxxxxxxxxx ცალკე ეთნოგრაფიული ოლქების საზღვრები დღევანდელი ადმინისტრატიული საზღვრები (მაზრებისა)[1]	I - ჯავახეთის მხარე I-ა - ქვემო ჯავახეთი (= ქართული სექტორი) I-ბ- შუა ჯავახეთი (= სომხური სექტორი) I-ც-ზემო ჯავახეთი (=რუსული სექტორი) I-დ-ჩილდირი (= თურქული სექტორი) I-ე-აბოცი (= თურქული სექტორი) 6-10 6 7 8 9 10 «- ზემო წალკა B-შუა ბორჩალო2	II. ლორის მხარე II-ა-ბამბაკი (=სომხური სექტორი) II-ბ-ბამბაკის კარი (=სომხური სექტორი) II-ც-ლორის კარი (=სომხური სექტორი) II-დ-ზემო ლორი (= სექტორი ნარევი მოსახლეობით)	III- წალკა-გომარეთის პლატო III-ა- ზემო წალკა III-ბ- ქვემო წალკა III-ც- გომარეთის პლატო IV- შუა ბორჩალო

შენიშვნა: ეს არის სამუშაო ფურცელი, რომელიც დევს იმ ტექსტთან ერთად, სადაც „კავკასიის“ ტერიტორიის გამიჯვნაზეა საუბარი. ეტყობა, ავტორი ამ ფურცელს შესაბამისი რუკისთვის ამზადებდა. ტექსტშიც ხომ ახსენებს რუკას და მასში ლიტერების ახსნასაც იძლევა. რუკას კი ვერ მივაკლვიეთ [რედ.].

[1] პირობითი ნიშანი არაა მოცემული [რედ.].

[2] აქ განივად მიწერილია: „და ეს როცა ჩანს მხარეზეა“. გაურკვეველია რას გულისხმობს ავტორი [რედ.].

4. პავლე ინგოროყვა
ტერიტორია და მოსახლეობა კავკასიის რესპუბლიკებისა

წყარო: მასალა დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. იხ. პ. ინგოროყვას ფონდი, №27 668.

ა) **დამფუძნებელი კრების ტერიტორია**	ტერიტორია (კვადრატული კილომეტრი)	მოსახლეობა (1914 წლისთვის)
1. ტფილისის გუბერნია	39.699,99	1.366.556
2. ქუთაისის გუბერნია	21.555,66	1.017.934
3. სოხუმის ოლქი (მდ. მეჰადირის ხაზამდე)	8.656,69	189.907
4. ბათომის მხარე (ჩრდილო არტაანის რაიონი)	8.818,09	208.138
	78.730,43	**2.816.535**
ბ) საქართველოს ტერიტორიები, გამოცხადებულნი ნეიტრალურად, აგრეთვე ტერიტორიები დაჭერილი სომხეთისა და აზერბეიჯანის მიერ[1]		
1. ჩრდილოეთ ლორის რაიონი, გამოცხადებული საქართველო-სომხეთს შორისი ნეიტრალურ ზონად	1.500,00	35.000
2. სამხრეთ ლორის რაიონი, დაჭერილი სომხის ჯარის მიერ	1.100,00	25.000
3. სამუსლიმანო საქართველოს პროვინციები (სამხრეთ არტაანის რაიონი და ოლთისის ოლქი, დაჭერილი სომხის ჯარის მიერ)	6.488,61	90.609
4. ზაქათალას ოლქი და ქვემო ყარაიას ველი, დაჭერილი ადერბეიჯანის მიერ	1.100.00	84.657
	14.588,61	**235.000**
	93.319,04	**3.051.81**

[1] აქ ნაჩვენებია უცილობელი ტერიტორიები საქართველოსი, რომელთა ჩამოშორება დაარღვევდა საქართველოს ტერიტორიის ელემენტარულ მთლიანობას. არ არის მითვლილი შემდეგი პროვინციები ისტორიული საქართველოსი:

ა) ბამბაკი და ყაზახ-შამშადილი, სადაო სომხეთთან და ადერბაიჯანთან;

ბ) ლაზისტანი და ისპირი, რომელიც უჭირავს ოსმალეთს;

გ) ჯიქეთი (სოჭის პროვინცია), დაჭერილი მოხალისეთა ჯარის მიერ.

B) აზერბაიჯანის რესპუბლიკა
საქართველოს პროვინციებისა (ზაქათალას ოლქისა და ქვემო ყარაიას ველისა)

	ტერიტორია (კვადრატული კილომეტრი)	მოსახლეობა (1914 წლისათვის)
ბაქოს გუბერნია		1.181.907
განჯის გუბერნია (ზემო ყაზახისა და ქვემო ყარაიას გარდა)		1.105.836
	80.019,27	**2.287.743**

შენიშვნა: იმ ოლქებთან ერთად, რომელიც აზერბაიჯანს უჭირავს საქართველოს ტერიტორიიდან, ე.ი. ზაქათალას ოლქისა და ქვემო ყარაიას ველის მითვლით, აზერბაიჯანის ტერიტორია ამჟამად შეიცავს 85, 519, 27 კვადრატ კილომეტრს, 2. 372. 400 სული მცხოვრებით

C) სომხეთის რესპუბლიკა
ა) სომხეთის ფაქტიური ტერიტორია გარდა საქართველოს პროვინციებისა (სამხრეთ ლორისა და სამხრეთ არტანის და ოლთისის პროვინციებისა)

1. ერევნის გუბერნიის ხუთი მაზრა: ერევნის, გუმბრის, ეჩმიაძინის, ახალბაიაზეთის და სურმალუსი		822.843
2. ყარსის მხარის ორი ოლქი: ყარსისა და ყაზიმანისა		257.106
3. განჯის გუბერნიიდან – სამხრეთი სექტორი ყაზახის მაზრისა		60.000
	33.649,31	**1.139.949**

შენიშვნა: იმ ოლქებთან ერთად, რომელიც უჭირავს საქართველოს ტერიტორიიდან, ე.ი. სამხრეთ-ლორის რაიონისა, სამხრეთ-არტაანის რაიონის და ოლთისის ოლქის მითვლით, სომხეთის ტერიტორია ამჟამად შეიცავს 41.237.92 კვადრატ კილომეტრს 1.255.558 სული მცხოვრებით

ნეიტრალური ზონა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის

1. ნახიჩევანის მაზრა		136.174
2. შაურ-დარალაგიოზის მაზრა		85.080
	7.736.07	**221.254**

5. პავლე ინგოროყვა

საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ[1]

წყარო: პავლე ინგოროყვა, საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესხებ, კონსტანტინეპოლი, 1918 წ.

საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს – ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად. საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული, სხეული, შეკავშირებული მრავალ-საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით.

საქართველო ამავე დროს ერთი მთლიანი ფიზიკალ-გეოგრაფიული პროვინცია არის, ერთი ქვეყანა – შემოფარგლული ბუნებრივის საზღვრებით. საქართველო მიაგავს ციხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები არტყია:

– ჩრდილოეთით მას აკრავს კავკასიონის ქედი – მისი მთავარი შტოებით;

– სამხრეთით მას ზღუდავს – აგრეთვე თოვლიანი მთების ერთი მთლიანი სისტემა: სამხრეთ-კავკასიის მთავარი წყალთაგამყოფი ქედი (– მტკვარისა და ჭოროხის აუზების სამხრეთ მიჯნაზე შემორტყმული);

– დასავლეთით არტყია შავი ზღვა;

– და მხოლოდ ერთის ვიწრო პირით – აღმოსავლეთის მხრიდან – ეკვრის საქართველო ადერბეიჯანის ბარს, მაგრამ აქედანაც მას მდინარეების ერთიანი ხაზი გაჰყოფს: კავკასიის მთავარი მდინარე მტკვარი, თავისი შემდინარეებით: ძეგამით და ალაზან-ქურმუხით.

საქართველოს საზღვრების ეს ბუნებრივი დამთავრება გეოგრაფიულ მიჯნებზე – წინასწარ განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიურ მთლიანობას. ამ ტოპოგრაფიულ ზღუდეებში მოქცეული მხარე –კუნძული არის ერთი ქვეყანა, ერთი ბუნებრივი ორგანიულად მთლიანი სამეურნეო-ეკონომიური პროვინცია. თვითეული მხარე ამ ქვეყნისა მჭიდრო სამეურნეო ურთი-ერთობით არის შეკავშირებული დანარჩენ მხარეებთან, და ამავე დროს მეზობელ ქვეყნებიდან მოწყვეტილია ბუნებრივი ზღუდეებით, და ამიტომაც არც ერთ კუთხეს საქართველოსას არ შეუძლია ეკონომიური არსებობა მთლიან საქართველოს გარეშე. ჩამოჭრა საქართველოდან რომელიმე კუთხისა, რომელიც – თითონ გეოგრაფიული პირობებისა გამო, – ყველა არტერიებით გადაბმულია მრთელთან,

---

[1] *პავლე ინგოროყვას ნაშრომი „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ გამოიცა რამდენიმეჯერ:*

პირველად გამოიცა 1918 წელს კონსტანტინეპოლში კათოლიკე ქართველთა სავანის სტამბის მიერ. გამოცემას [13 გვ.] თან ერთვის რუკა;

მეორე გამოცემა ეკუთვნის როსტომ ჩხეიძეს 1990 წელს. გამოიცა რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობის მიერ „სარანგში“;

წინამდებარე ალმანახში აღნიშნული ნაშრომი იბეჭდება პირველი გამოცემის მიხედვით, რომელიც თითქმის უცვლელი სახითაა აქ მოცემული. შესწორებულია მხოლოდ ორთოგრაფიული და კორექტურული შეცდომები. ნაშრომის ხელნაწერის შავი მასალები დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. იხ. პ. ინგოროყვას ფონდი, №27652. პირველ გამოცემას ბოლოში აქვს მინაწერი: „დამზადებულია კონსტანტინეპოლის კონფერენციისათვის სამახსოვრო ცნობად. ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგში მითითებულია, რომ პირველ გამოცემას რუკაც თან ახლავს, მაგრამ იგი არცერთ წიგნს თან არ აღმოაჩნდა. ვერც ლიტერატურული მუზეუმის არქივში, სადაც ინახება მკვლევარის ხელნაწერები და მისი კუთვნილი და ასევე მის მიერ შექმნილი რუკები, მას ვერ მივაგენით [რედ.].

– ეს იქნებოდა ერთი ორგანიული სამეურნეო ეკონომიური სხეულის დასახიჩრება. და თავისთავად შემთხვევითი როდია ისტორიული გაერთიანება საქართველოსი ერთ კოლექტივად ზემოხსენებულ ბუნებრივ საზღვრებში: ისტორიას აქ ჰქმნიდა გეოგრაფიის ლოღიკა; ისტორიას გენეტიური კავშირი ჰქონდა საქართველოს ორგანიულ ეკონომიურსა ღა ტერიტორიულ მთლიანობასთან.

დასასრულ, საქართველოს ქვეყანა ეთნოგრაფიულადაც მთლიან ერთეულს წარმოადგენს. როდესაც ეთნოგრაფიაზე ვამბობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს რასაკვირველია არა ცალკე სოფლები, ან ცალკე რაიონები. რომლის გამოთიშვა შეუძლებელია მისი ბუნებრივი სამეურნეო-ეკონომიური ჰინტერლანდისაგან; ეთნოგრაფიაზე მსჯელობის დროს, ცხადია, სახეში უნდა გვქონდეს მრთელის პერსპექტივა, ქვეყანა აღებული მის ბუნებრივს გეოგრაფიულსა და ეკონომიურ ფარგლებში, – და არა ცალკე ხელოვნური ჩამონაჭრები ორგანიულად მთლიანი ტერიტორიული სხეულისა. და საქართველო, – **ასე კლასიკურად დამთავრებული თავის საზღვრებში, – თითონ ბუნებისაგან გამოკვეთილ მიჯნებზე; ჩამოქნილი ერთ ორგანიულ სხეულად – როგორც ბუნებრივი სამეურნეო-ეკონომიური მთლიანობით, ისე მრავალ-საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და ისტორიულ-კულტურული პირობებით**, – ეს ქვეყანა ეთნოგრაფიულადაც დიდ ერთფეროვნებას წარმოადგენს. ეთნოგრაფიული მთლიანობის მხრით საქართველო ბედნიერი გამონაკლისია კავკასიის სხვა ქვეყნებიდან: საქართველოში – ქართული ელემენტი მრთელი მოსახლეობის სამ მეოთხედამდე აღწევს (საქართველოში – გარდა ქალაქებისა – ქართველობა შეადგენს 77,6 % -ს მრთელი მოსახლეობისას, ხოლო ქალაქების მითვლით – 72,5 %-ს). მეზობელი ქვეყნებიდან – თათარისტანში (ადერბეიჯანში) – მაგალითად, – თურქები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 61 %-ს; კიდევ უფრო ნაკლებია სომხების % სომხეთში. და საზოგადოდ იშვიათია მეორე ერი, როგორც ქართველობა, რომელსაც პოლიტიკური უფლებების დაკარგვის ხანაში, – საზღვრების ღიად დარჩენის დროს – შეენარჩუნებინოს ასეთი ეთნოგრაფიული ერთფეროვნება თავისი მიწა-წყალისა. ასე მაგ., იმ ქვეყნებში, რომელთაგან შესდგა ახალი სახელმწიფოები რუსეთის ნანგრევებზე: პოლონეთში, უკრაინაში ან ლიტვაში ადგილობრივი ერების % არ სჭარბობს ქართველებისას. ბევრად ნაკლები იყო ადგილობრივი ელემენტი მაგ., ბულგარეთში, როდესაც აქ ახალი – ბულგარეთის სახელმწიფო შეიქმნა.

ამნაირად ქართველობამ დღემდე შეინარჩუნა ეთნოგრაფიული მთლიანობა თავისი ქვეყნისა იმ მრავალი განსაცდელის მიუხედავად, რომელიც მას ისტორიამ არგუნა. და ამ მხრივ ხომ განსაკუთრებით საფრთხეს განუმზადებდა საქართველოს მთლიანობას წარსული საუკუნე რუსთა მფლობელობისა, როდესაც რუსეთის მმართველობა ყოველნაირად ხელს უწყობდა საქართველოს კოლონიზაციას უცხო ელემენტების მიერ, რათა ამით დაესუსტებია ქართველობა – როგორც ყველაზე კულტურული ერი კავკასიაში, და ამასთან ერთად-ერთი ერი ამ მხარეში, რომელსაც ჰქონდა სახელმწიფოებრივი წარსული.

ქვემოდ წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დეტალური მოხაზულობა, და მოკლე სტატისტიკური ცნობები საქართველოს მოსახლეობის შესახებ.

საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები

საზღვრები საქართველოს სახელმწიფოსი (ეს ამავე დროს საქართველოს ისტორიული საზღვრებია) – შემდეგი არის:

ა) ჩრდილოეთით: **კავკასიონის მთავარი ქედი და მისი შტო კავკასიონის პირიქითელი ქედი.**

საზღვარი დაიწყება მდინარე მაკოფსეს შესართავიდან შავ ზღვასთან, – საცა კავკასიონის მთავარი ქედი უახლოვდება შავ ზღვას, და რომლის ჩრდილოეთით ეს ქედი ჰკარგავს ველურ ხასიათს. საზღვარის ხაზი გასდევს ჯერ მდინარე მაკოფსეს – შესართავიდან დაწყებული ვიდრე სათავეებამდე, გაივლის დიდი ფსეუშხოს მწვერვალს, მიჰყვება წყალთაგამყოფ ხაზს მდინარეების ტუაფსესა და აშეს შუა, და მიადგება კავკასიონის მთავარ (წყალთაგამყოფ) ქედს. – გოითხის უღელტეხილიდან 20 კილომეტროზე სამხრეთ-აღმოსავლეთით. მოკიდებული ამ პუნქტიდან საქართველოს საზღვარი მიჰყვება კავკასიონის ქედებს: ვიდრე ვაინქ-ფარსის მწვერვალამდე – კავკასიონის მთავარ (წყალთაგამყოფ) ქედს; ვაინქ-ფარსის მწვერვალიდან ვიდრე შავი-კლდის მწვერვალამდე – ყაზბეგის მთის სისტემას, ეგრედ წოდებულ კავკასიონის პირიქითელ ქედს (რუსულად Bokovoi Kavkazskii Khrebet), რომელიც ერთი უმთავრესი მთაგრეხილთაგანია კაეკასიონის ქედზე; შავი კლდის მწვერვალიდან მოკიდებული – ხელახლა კავკასიონის მთავარ (წყალთაგამყოფ) ქედს ვიდრე მწვერვალამდე 11389 ფუტის სიმაღლისა, რომელიც მდებარეობს ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ მიჯნაზე. მრთელი ეს ჩრდილოეთი საზღვარი საქართველოსი კავკასიონის ქედებზე, – მიჰყვება დღევანდელ ადმინისტრატიულ საზღვრებს შავი ზღვის სანაპირო გუბერნიისას, სოხუმის ოლქისას, ქუთაისის გუბერნიისას, ტფილისის გუბერნიისას და ზაქათალის ოლქისას – შემდეგის მცირეოდენის ცვლილებით ტფილისის გუბერნიის საზღვრებზე: საქართველოს საზღვრებში შემოდის სოფ. ლარსის რაიონი (= მდინ. თერგის ხეობა – ვიდრე პუნქტამდე სოფ. ლარსიდან ორ კილომეტროზე ჩრდილოეთით), რაც შეადგენს საქართველოს მხარის ხ ე ვ ი ს ნაწილს; ხოლო ტფილისის გუბერნიიდან გადადის საჩეჩნოს საზღვრებში სოფ. სახნოს რაიონი (= მდ. არღუნის ხეობის ნაწილი – დაწყებული პუნქტიდან, რომელიც მდებარეობს მდ. ბლუხას შესართავის და მდ. მეშეხის შესართავის შუა მანძილზე).

ბ) აღმოსავლეთით: მდინარეების – **ქურმუხისა და ალაზნის აუზების აღმოსავლეთი მიჯნა, მდ. მტკვარი, და მდ. ძეგამი.**

საზღვარის ხაზი მიჰყვება ჯერ ქედს, რომელიც ჩამოვარდება ზემოხსენებული მწვერვალიდან 11389 სიმაღლისა და გაივლის რა გზად მწვერვალებს: ქასაპს, უსახელო მწვერვალს 8568 ფუტის სიმაღლისა, უსახელო მწვერვალს 3682 ფუტის სიმაღლისა, – მიადგება მდ. ყაშყაჩაის ამ უკანასკნელი მწვერვალიდან ოთხ კილომეტროზე სამხრეთით. აქედან საზღვარის ხაზი მიჰყვება მდ. ყაშყაჩაის (ცნობილს ქვემოდ ყარაჩაის სახელით) – ვიდრე ეს მდინარე შეერთვოდეს მდ. აგრიჩაის. მოკიდებული ამ პუნქტიდან საზღვრის ხაზი გაივლის ჯერ ბოზ-დაღის მწვერვალს, შემდეგ უსახელო მწვერვალს 1684 ფუტის სიმაღლისა (რომელიც მდებარეობს ყონჯიშინის ქედზე), და მიადგება მდ. მტკვარს – მდ. ალაზნის შესართავთან. მოკიდებული აქედან საქართველოს საზღვარია ჯერ მდ. მტკვარი ვიდრე მდ. ძეგამის შესართავამდე, ხოლო შემდეგ – მდ. ძეგამი ვიდრე სათავეებამდე (ალაგელარის მწვერვალამდე – მტკვარ-არაქსის წყალთაგამყოფ ქედზე).

გ) სამხრეთით: **მტკვარ-არაქსის მთავარი წყალთაგამყოფი ქედი**, – ვიდრე ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საზღვრამდე, საიდანაც იწყება სადაო ოლქები საქართველოს და ოსმალვთს შორის.

საზღვარი, მოკიდებული ალაგელარის მწვერვალიდან, მიჰყვება მთავარ წყალთაგამყოფ ქედს, რომელიც გასდევს მდინარეების მტკვარისა და არაქსის აუზების შუა და მიდის სულ ამ ქედზე გაყოლებით ვიდრე უჩთაფალარის მწვერვალამდე, – საიდანაც დაიწყება ბრესტის საზღვარი.

ბრესტის ხაზის სამხრეთით მდებარე საქართველოს ორი მხარე: ბათომი და არტაანი – ამჟამად ბრესტის ხელშეკრულების ზონაში შედის.[1] თან[ა]ხმად ამ ხელშეკრულებისა

[1] სამხრეთი საზღვარი საქართველოს ამ ორი მხარისა – ბათომისა და არტაანისა – შემდეგია: ჯერ ჩილდირის მთების სისტემა, რომელიც სამხრეთის მხრით ზღუდავს ჩილდირის ტბას; შემდეგ მტკვარ-არაქსის მთავარი წყალთაგამყოფი ქედი – ვიდრე მდ. მტკვრის სათავეებამდე; აქედან ჭოროხ-არაქ-

– ამ მხარეთა მცხოვრებთ მიენიჭათ ეროვნულ-პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლება; დღეს-დღეობით კი ბათომი და არტაანი, წინააღმდეგ ბრესტის ხელშეკრულებისა დაჭერილია ოსმალეთის ჯარის მიერ. – ოსმალეთმა ამავე დროს მოახდინა ოკუპაცია ბრესტის სამიჯნო ხაზის ჩრდილოეთითაც – საქართველოს ნაწილის ახალციხე-ახალქალაქის მხარისა ვიდრე აბასთუმანამდე და აწყურამდე.

დ) საქართველოს დასავლეთი საზღვარია – **შავი ზღვა**.

ტერიტორიას საქართველოს სახელმწიფოსას, მოთავსებულს ამ საზღვრებში, შეადგენს დღევანდელის ადმინისტრატიულის დანაწილებით შემდეგი პროვინციები (გარდა ბათომის და არტაანის მხარეებისა, რომლებიც ბრესტის ხელშეკრულების ზონაში შედიან):

გუბერნიები – ტფილისისა და ქუთაისისა;[1] ოლქები – სოხუმისა, სოჭისა და ზაქათალისა; და ტფილისის პროვინციის სანაპირო მხარეები (ჩამონაჭრები ტფილისის პროვინციიდან რუსვთის მმართველობის მიერ მოხდენილი ადმინისტრატიული გადამიჯნით): ქვემო-ყარაიას ველი, ბამბაკი და ყაზახ-შამშადილი.

სოჭის ოლქი – ძველს საზღვრებში (მდ. მაკოფსეს ხაზამდე). ზაქათალის ოლქი – ხაზის ზემოდ ნაჩვენები მცირეოდენის შესწორებით აღმოსავლეთ მიჯნაზე (მდ. ყაშყაჩაის გასწვრივ).

სის მთავარი წყალთაგამყოფი ქედი – ვიდრე ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრამდე 1914 წლისა.

[1] ტფილისის გუბერნია ხაზის შესწორებით – ჩრდილოეთის მხრით – საქართველოს ისტორიულ საზღვარზე, ე.ი. სოფელ ლარსის რაიონის მიმატებით და სოფელ სახანოს რაიონის გამოკლებით.

საქართველოს მოსახლეობა

1. საქართველოში – გარდა ახალციხე-ახალქალაქის, ბათომის და არტაანის მხარეებისა[1]

საქართველოში შემდეგი ორი ბუნებრივი, გეოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიური რაიონია:

1) აღმოსავლეთი საქართველო (ანუ ტფილისის გუბერნია),

2) დასავლეთი საქართველო (ანუ **ქუთაისის** გუბერნია).

დანარჩენი ადმინისტრატიული ერთეულები, პატარა სანაპირო მხარეები საქართველოსი, – წარმოადგენენ უშუალო გეოგრაფიულ გაგრძელებას ამ მთავარი პროვინციებისას და სამეურნეო პირობებით გამოუყოფელი არიან მათგან. ეს მხარეებია:

3). სამურზაყანო-აფხაზეთ-ჯიქეთის მხარე (=სოხუმის და სოჭის ოლქები), რომელიც დასავლეთ საქართველოსთან ერთად შეადგენს ერთ ეკონომიურ ოლქს; და

4). აღმოსავლეთ საქართველოს სანაპიროები: ქვემო-ყარაიას ველი, ბამბაკი, ყაზახ-შამშადილი და ზაქათალა, – რაც ტფილისის პროვინციის განუყოფელ ჰინტერლანდს წარმოადგენს.

მოსახლეობა ამ პროვინციებისა შემდეგია:

1.–2. **ტფილისის და ქუთაისის გუბერნიები**.

საქართველოს ამ ორ მთავარ პროვინციაში ქართველობა შეადგენს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. სულ ორსავე გუბერნიაში 1916 წლისათვის ითვლება (გარდა ჯარში გაწვეულებისა) 2.236.000 სული მკვიდრი მცხოვრები, მათ შორის ქართველი – 1.765.000 სული=78,9%; დანარჩენები სხვადასხვა მცირერიცხოვანი ჯგუფებია.

ასეთ ჯამს ვღებულობთ ქალაქების მითვლით, სადაც, როგორც ყოველგან, შედარებით მეტია უცხო ელემენტი; ქალაქების მიუთვლელად ამ ორს პროვინციაში ითვლება 1.862.000 სული მკვიდრი მცხოვრები,[2] მათ შორის ქართველები 1.600.000 სული, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა პატარა ჯგუფები – 262.000 სული; ქართველობა შეადგენს მრთელი მოსახლეობის 85,9 %-ს.

3. **სამურზაყანო-აფხაზეთ-ჯიქეთის მხარე** (სოხუმის და სოჭის ოლქები).

აქედან ჯიქეთი (=სოჭის ოლქი) თითქმის დაუსახლებელია.[3]

---

[1] საქართველოს ამ სამი მხარის (ახალციხე-ახალქალაქის, ბათომის და არტაანის) შესახებ, რომლებიც დღეს ოსმალთა ჯარების მიერ არის დაჭერილი, – სტატისტიკური ცნობები წარმოდგენილია ქვემოდ ცალკე.

[2] აქ მითვლილია აგრეთვე საქართველოს მკვიდრი მცხოვრებნი, დროებით გასულნი სამუშაოდ ერთი პროვინციიდან მეორეში, სულ – 27.00,0 სული (ტფილისის გუბერნიაში – 14.000; ქუთაისისაში – 13.000).

[3] ჯიქეთი დაცარიელდა ადგილობრივი მკვიდრი ელემენტის აფხაზ-უბიხების გადასახლებისა გამო თავისი მიწა-წყლიდან წარსული საუკუნის სამოციან წლებში, – რაც რუსეთის მმართველობის ბარბაროსული პოლიტიკის წყალობით მოხდა. ამის შემდეგ ეს ოლქი განზრახული იყო რუსული კოლონიების მოსაწყობად, მაგრამ რადგან მასსიური ჩამოსახლება რუსებისა ვერ მოხერხდა ადგილობრივი კლიმატიური პირობების გამო, ხოლო აფხაზ-ქართველებს დიდ დაბრკოლებას უჩენდნენ აქ მამულის შესაძენად, ამიტომ ეს მხარე დღემდის თითქმის დაუსახლებელი დარჩა. დღეს სოჭის ოლქში ითვლება მკვიდრი მოსახლეობა (გარდა დროებით მცხოვრებთა): სოფლებში – 15.000 სული, ქ. სოჭში – 2.000 სული, ე. ი. მთელი 4.000 კვადრატის კილომეტრის მანძილზე 17.000 სული. ეროვნებათა მიხედვით, ამათ შორის ქართველი არის 1.700, აფხაზი – 1.400, სხვებიც ასეთი პატარა ჯგუფებია: რუსები, ბერძნები, სომხები, მოლდაველები, ესტონელები და გერმანელები (რაც შეეხება დროებით მცხოვრებთა – ამათ შორის ქართველია: სოფლებში 3.600, ქ. სოჭში 1.300 სული).

სამურზაყანო-აფხაზეთში (სოხუმის ოლქში) მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს ქართველობა; შემდეგი ადგილი უჭირავს ქართველების ძმურად მონათესავე ტომს აფხაზებს, სხვები – მცირერიცხოვანი უმნიშვნელო ჯგუფებია. სულ სოხუმის ოლქში 1916 წლისათვის ითვლება – ქ. სოხუმის გარდა – 126.000 სული მკვიდრი მცხოვრები, აქედან ქართველი 70.000 სული, აფხაზი – 42.000 სული. რაც შეეხება ქ. სოხუმს, იგი ეროვნული შემადგენლობით ქართულს ქალაქს წარმოადგენს (ქართველობა ითვლება აქ 25 000 სული, აფხაზები 400 სულამდე). ამნაირად, აფხაზეთ-სამურზაყანოში, რომ არ მივიღოთ მხედველობაში ქ. სოხუმი, რომელსაც სპეციფიური ქართული ხასიათი აქვს, და რომ ავიღოთ მარტოოდენ სოხუმის ოლქის სოფლების მკვიდრი მოსახლეობა, აქ ქართველობა არის – 55,6%; აფხაზები – 33,3%; სხვა და სხვა პატარა ეროვნული ერთეულები – 11,1%; ხოლო ერთად მრთელი ქართული ჯგუფი (ქართველები და აფხაზები) – 88,9%.

კერძოთ აფხაზების შესახებ, რომელთაც ჩვენ აქ ქართველებთან ერთად ვასახელებთ ერთ ჯგუფში, – უნდა ვიცოდეთ: აფხაზებს ქართველებთან აერთებს არა მარტო ახლო რასსიული ნათესაობა (ისინი ეკუთვნიან ქართულ-მთიულურ ენათა ოჯახს, და ლინგვისტურად აფხაზურ ენას უჭირავს საშვალო ადგილი ქართულ ენასა და მთიულურ ენებს შუა), მათ აერთებს ქართველებთან არა მარტო სარწმუნოება (მთელს ამ მხარეში აფხაზთა შორის ქრისტიანია 80 პროცენტამდე: 35.000 სული), არამედ აფხაზობა ქართველობასთან შეკავშირებულია მრავალ-საუკუნოვანი კულტურული ერთობით. აფხაზობა თაობითვე შედიოდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთეულში, და აფხაზთა ტომს, მიუხედავათ მისი რიცხვობრივი სიმცირისა, დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ისტორიის წინაშე; აფხაზეთში დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღორძინება (ამის ანარეკლი შენახულა ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიაც, რომელიც ასე იწყებოდა: „მეფე აფხაზთა და ქართველთა“) ქართული დინასტიაც-კი ნახევრად აფხაზური იყო, აფხაზებმა მისცეს ამ ქვეყანას არა ერთი და ორი გამოჩენილი პირი (ცნობილია თვითონ ბიზანტიური წყაროებით ქართველი ფილოსოფოსი იოანე, ტომით აფხაზი), მოკლედ – საქართველოს ოც-საუკუნოვანი ისტორია ეს ამავე დროს აფხაზეთის ისტორია არის.

4. **აღმოსავლეთ საქართველოს სანაპიროები**: ქვემო ყარაია, ზაქათალა, ბამბაკი და ყაზახ-შამშადილი.

ა) **ქვემო ყარაიას ველი** – დაუსახლებელია.

ბ) **ზაქათალის ოლქში** – ვიდრე იმ ხაზამდე, სადაც გასდევს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი (მდ. ყაშყაჩაის მიჯნამდე), 1909 წლისათვის ითვლება – ადმინისტრაციის ოფიციალური ცნობებით – 69.825 სული მკვიდრი მცხოვრები.[1] მოსახლეობს აქ ოთხი ხალხი:[2] ჭარელები (–ლეკის ცალკე ტომია, ენით შორეული ნათესაობა აქვთ ავარიელებთან) – 29.785 სული – 42,6 %; წეხურელები (ესენიც ლეკის ტომთა ჯგუფს ეკუთვნიან, ცალკე ენა აქვთ) – 11.485 სული = 16,5%; მუღალები (– ტომით მონგოლები არიან; მონგოლური დავიწყებული აქვთ, ლაპარაკობენ თურქულს) – 11.121 სული = 15,9 %; და ქართველები, რომლებიც ჭარელების შემდეგ ყველაზე დიდ ერთეულს შეადგენენ ზაქათალის ოლქში: ქართველობა ითვლება აქ 17.434 სული (=25 %), მათ

[1] გარდა პატარა ქალაქის ზაქათალისა, სადაც ითვლება (იმავე წელს) 1.498 სული მკვიდრი მცხოვრები.

[2] ეთნოგრაფიული შემადგენლობა ზაქათალის ოლქის მოსახლეობისა წარმოდგენილია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოკვლევის თანახმად; ამ საზოგადოების მიერ გაგზავნილ მკვლევართ საგანგებოდ შეადარეს თვითეულ სოფელზე ეთნოგრაფიული ცნობები ზემოდ-ნახსენები 1909 წლის ოფიციალური სტატისტიკისა.

შორის ქრისტიანი ქართველი 4.263 სული, მუსულმანი ქართველი – 13.171 სული.[1] როგორც ქრისტიან, ისე მუსულმან ქართველებს წმიდად შეუნახავთ ქართული დედა-ენა.

ზაქათალის ოლქის ამ ოთხ პატარა ეროვნულ ჯგუფებს შორის ადგილობრივი მკვიდრი ელემენტი ქართველები არიან, ხოლო სხვები ბოლო დროს არის ჩამოსახლებული ამ ძირეულ ქართულ პროვინციაში. ასე, – ჭარელ-წეხურელები გადმოიყვანა დაღესტნიდან სპარსეთის მმართველობამ მეჩვიდმეტე საუკუნეში (როცა აღმოსავლეთი საქართველო ერთ ხანად დაიჭირეს შაჰ-აბაზის ურდოებმა) და დაასახლა ადგილობრივი მკვიდრი ქართველობის პარტახზე, რომლებიც აჰყარეს აქედან, რიცხვით 100.000-ზე მეტი და გადაიყვანეს სპარსეთში,[2] ჩასახლება არაქართული ელემენტისა ზაქათალაში მოხდენილ იქნა სტრატეგიული მიზნით, და მართლაც ზაქათალის ოლქი, შემოჭრილი საქართველოს ველების შუაგულში (ალაზნის ველის შუა წელში) ნამდვილი შემოსავალი კარებია ტფილისის პროვინციისა.

გ-დ) **ბამბაკი და ყაზახ-შამშადილი.** სულ ორსავე კუთხეში ითვლება 1916 წლისათვის 178.000 სული მკვიდრი მცხოვრები, უმთავრესად საქართველოს სომხები და თათრები.[3] ჩამოსახლებულნი საქართველოს ამ ოლქებში სხვადასხვა დროს,[4] ეს ხალხი ხანგრძლივი მეზობლური ურთიერთობისა გამო ქართველობასთან – კულტურულად დაუახლოვდა საქართველოს მკვიდრ მცხოვრებთ. ამიტომაც იყო ეს მხარე, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოსახლეობის დიდ პროცენტს შეადგენდა მუსულმანობა, ყველაზე ლოიალური პროვინცია იყო საქართველოს სახელმწიფოსი და მისი ჩამოშორება ვერ შესძლეს დიდმა მეზობელმა – მუსულმანურ სახელმწიფოებმა მაშინაც-კი როდესაც ამ სახელმწიფოთა გავლენა საქართველოზე ვრცელდებოდა. – ჩვენ აქ არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ეს მხარე მჭიდრო სამეურნეო ურთიერთობით არის გადაბმული საქართველოსთან, და რომ ჩამოშორება საქართველოდან ისტორიულად ამ მისი განუყოფელი ნაწილებისა დაარღვევდა საქართველოს როგორც ეკონომიურსა, ისე ტერიტორიულს მთლიანობას: ეს იქნებოდა მორღვევა საქართველოსი სამხრეთ-კავკასიის ქედიდან, საქართველოს ამ ბუნებრივი მიჯნისაგან სამხრეთის მხრით.

საქართველოს პროვინციების ამ მოკლე მიმოხილვის შემდგომ დაგვრჩენია წარმოვადგინოთ საზოგადო სურათი საქართველოს მოსახლეობისა. ამას წარმოგვიდგენს შემდეგი ცხრილი:[5]

---

[1] ქ რ ი ს ტ ი ა ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს სოფლებია: კაკი, მეშაბაში, დიდი ალათემური, პატარა ალათემური, ბაზარ-თალა, ბახთალა, საკანი, ყარამეშა, ქეშ-გუთანი, ხარაბ-თალა, ალი-ბეგლო, ქოთუქლო, და ყორაღანი (ამ უკანასკნელში ნახევარი მოსახლეობისა ქრისტიანი ქართველებია; დანარჩენებში მარტო ქრისტიანი ქართველები მოსახლეობენ); მ უ ს უ ლ მ ა ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს სოფლებია: ალიაბათი (ანუ ელისენი), სოსკანი, მარსანი, ლალაფაშა, ჩუდულო, ძაგამი, თასმალო (რამდენიმე კომლი ქრისტიანი ქართველებიც ურევია), შოთავარი, ბაბალო, ვერხვიანი, ენგიანი, მოსული, ფადარი, ყანდახი, ყაფანახჩი, ითი-თალა.

2 ქართველობის იმ ერთ ნაწილს, რომლებიც გადასახლებული არიან ფერეიდანის მიდამოებში, (ისპაანის ახლოს), დღემდე წმიდათ დაუცავთ ქართული დედა-ენა და ქართული შეგნება. ამ ქართველების რიცხვი იქ აღწევს 50.000-მდე.

[3] სახელდობრ ბამბაკში: სომეხი 40.000, თათარი 5.000, სხვები: 2.000; ხოლო ყაზახ-შამშადილში: სომეხი – 60.000, თათარი – 65.000, სხვები 6.000.

[4] კერძოდ, სომხების ერთი ნაწილი ოსმალეთიდან არის გადმოხვეწილი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე; ნაწილი გადმოსახლებულია მათისავე თხოვნით საქართველოს მეფის ერეკლე 11-ის მიერ მეთვრამეტე საუკუნის გასულს ყარაბაღიდან, საცა სომხობა დიდ დევნას განიცდიდა.

[5] მთავარი წყარო საქართველოს მოსახლეობის ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილისა არის უკანასკნელი სტატისტიკა. სასოფლო-სამეურნეო აღწერა 1916-ის წლისა, მოხდენილი რუსეთის მმართველობის მიერ. ამ სტატისტიკის ცნობების სინამდვილეს ადასტურებს მეორე წყარო, რუსეთის სახელმწიფოს საყოველთაო აღწერა 1897 წლისა, რომლის მიხედვითაც ვღებულობთ თითქმის იმავე პროცენტებს საქართველოში მოსახლე ცალკე ეროვნებათა ჯგუფებისას.

ამ მთავარი წყაროდან (1916 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერიდან) – ჩვენს სტატისტიკურ ცხრილ-

წარმოდგენილი ცხრილის განხილვით არ შეგვიძლია არ დავასკვნათ, რომ საქართველო მის ისტორიულ საზღვრებში (და ეს საზღვრები ამავე დროს საქართველოს ბუნებრივი გეოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიური ფარგლებია) ეთნოგრაფიულადაც მთლიან ერთეულს წარმოადგენს. რასაკვირველია აქ შეუძლებელია სახეში ვიქონიოთ ცალკე სოფლები, ან ცალკე რაიონები, რომლის გამოთიშვა შეუძლებელია ორგანულად შენაწევრებული ტერიტორიული სხეულიდან; მთლიან საქართველოში ქართველობა შეადგენს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. ქართველობა ითვლება (– გარდა მესხეთის პროვინციისა, რომელიც დღესდღეობით დაჭერილია ოსმალთა ჯარების მიერ – 72,5 %.

ეს რიცხვი დიდ პროცენტულ ერთეულად უნდა ჩაითვალოს არა მარტო კავკასიური მასშტაბით.

2. მესხეთის პროვინცია

მხარეები ახალციხე-ახალქალაქისა და ბათომ-არტაანისა

საქართველო-ოსმალეთს შორისი ამ სადაო მხარეების საერთაშორისო-უფლებრივი მდგომარეობა შემდეგია:

საქართველოს პროვინცია მესხეთი (ეს არის ძირეული ქართული ქვეყანა, რომელიც საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ქართული კულტურის ავანგარდს წარმოადგენდა) მეჩვიდმეტე საუკუნეში ოსმალეთმა მოსწყვიტა საქართველოს. მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ხელახლა შემოერთებული ოსმალეთისაგან (ახალციხე-ახალქალაქის მხარე – 1829 წელს, ბათომი და არტაანი – 1878 წელს), ეს მხარეები ამის შემდეგ ხელახლა შეადგენენ საქართველოს განუყოფელ ნაწილს, თანახმად 1783 წლის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებისა, რომლითაც რუსეთის მმართველობა სდებდა პირობას – „на сохраненье целости настоящихъ владений~ Грузинскаго Царства, „предполагая распространить таковое ручательство и на такья владения, кои въ течений времени и по обстоятельствамъ приобретены и прочнымъ образомъ за нимъ утверждены будуть“; იხ. მეორე არტიკლი; იხ. აგრეთვე მეოთხე-სეპარატი არტიკლი: „Е. И. В. обещаеть вь случай войны употребить всевозможное старание пособиемь оружия, а вь случай мира - настояниемь о возвращении земель и местъ издавна къ Царству Карталинскому и Кахетинскому принадлежавшихъ, кси тскъ и останутся во владенш Царей тамошнихъ“ – на техь-же основаняхь трактата.

ში ნაჩვენებია პირველი სამი უმთავრესი რუბრიკა: მოსახლეობა ტფილისის გუბერნიისა, ქუთაისის გუბერნიისა და სამურზაყანო–აფხაზეთ-ჯიქეთის მხარისა (უქალაქებოდ).

რაც შეეხება ჩვენი ცხრილის დანარჩენს პატარა რუბრიკებს (მოსახლეობას ქალაქებისას, აღმოსავლეთ საქართველოს სანაპირო მხარისას, აგრეთვე საქართველოს მოძრავ მოსახლეობას) – ესენი ნაჩვენებია მეორე ოფიციალური წყაროდან (სამაზრო ადმინისტრაციის ოფიციალური ცნობებიდან) – იმავე 1916 წლისა, რადგან მთავარი წყარო ჩვენი ცხრილისა – სამეურნეო აღწერის სტატისტიკა – შეიცავს ცნობებს მარტოოდენ სოფლების მკვიდრი მოსახლეობის შესახებ და ამასთან აქ არ არის ჯერჯერობით დეტალურად დამუშავებული ცალკე რაიონებზე აღმოსავლეთ საქართველოს სანაპირო მხარე.

კერძოთ ქ. ტფილისის მოსახლეობა ნაჩვენებია თანახმად აღწერისა, რომელიც მოხდა წარსულ წელს საქალაქო არჩევნებისა და დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

დასასრულ, საქართველოდან გაწვეული ჯარის რიცხვი, – ზედმიწევნითი სტატისტიკის უქონლობისა გამო, ნაჩვენებია სამხედრო საკრებულოს დაახლოებითი ცნობების თანახმად, რომლის მიხედვით 1916 წლის დამლევისათვის, რა დროსაც ეკუთვნის ჩვენი სტატისტიკა, კავკასიიდან და კერძოთ საქართველოდან – ჯარში გაწვეული იყო ცხრა პროცენტიდან ათ პროცენტამდე მთელი ქრისტიანი მოსახლეობისა (აფხაზებისა და ზაქათალის ოლქის ქრისტიან ქართველების გარდა).

ახალციხე-ახალქალაქის მხარის შესახებ ეს საერთაშორისო-უფლებრივი მდგომარეობა დღემდე არ შეცვლილა; პირიქით 1856 წლის პარიზის ტრაქტატი განმეორებით ადასტურებს, რომ ოსმალეთს ამ მხარეზე არავითარი უფლება არა აქვს.

რაც შეეხება ბათომსა და არტაანს, მათთვის 1918 წლის ბრესტის საზავო ხელშეკრულება ახალ უფლებრივ მდგომარეობას ჰქმნის, მაგრამ – ჯერ ერთი:

– ტრაქტატის ეს მუხლი, რომელიც ეხება ბათომსა და არტაანს, არ შეიძლება ჩაითვალოს სავალდებულოდ, რადგან რუსეთი არ იყო უფლებამოსილი დაეთმო საქართველოს მიწა-წყალი. შეერთებული მასთან განსაზღვრული პირობებით, მით უფრო, რომ ვიდრე ბრესტის ხელშეკრულება დაიდებოდა – რუსეთმა ფაქტიურად დასტოვა საქართველო, გაიყვანა რა თავისი ჯარები საქართველოს საზღვრებიდან, – და ამით დაჰკარგა ყოველგვარი უფლება საქართველოზე, თანახმად იმავე საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებისა, რომელიც ერთადერთი ლოიალური ფუძე იყო საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-უფლებრივი ურთიერთობისა.

და დამოუკიდებლად ამისგან, – თითონ ბრესტის ტრაქტატის მოხსენებული პუნქტი სრულიადაც არა სცნობს ბათომსა და არტაანს ოსმალეთის კუთვნილებად, არამედ ამ მხარეს ეროვნულ-პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლებას ანიჭებს; ოსმალეთის მიერ ჯარების შემოყვანას ამ მხარეში არ შეიძლება სხვანაირი განმარტება მიეცეს, თუ არა დარღვევა ბრესტის ხელშეკრულებისა.

აქვე ვადგენთ ცნობას ამ მხარეების მოსახლეობის შესახებ.

სამივე მხარეში (ახალციხე-ახალქალაქსა, ბათომსა და არტაანში), მოსახლეობის მთავარ ელემენტს შეადგენს ქართველობა, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა მუსულმანია სარწმუნოებით, ნაწილი ქრისტიანი.

1) **მუსულმანი ქართველები**. მუსულმანობა გავრცელდა აქაურ ქართველთა შორის მეჩვიდმეტე საუკუნიდან, მას შემდეგ რაც ეს მხარეები ოსმალეთმა მოსწყვიტა საქართველოს. ქართველ მუსულმანებში წმიდად არის დაცული ქართული რასსა, დიდ ნაწილს შეუნახავს ქართული დედა-ენა, და მთელი ხალხი დღემდე თავისთავს გურჯს (ე.ი. ქართველს) ეძახის.

კერძოთ ქართული ენის გავრცელების შესახებ – უნდა შევნიშნოთ:

საქართველოს მოსახლეობა

გარდა ახალციხე-ახალქალაქის, ბათომის და არტაანის მხარეებისა

წინამდებარე ცხრილი საქართველოს მკვიდრი მოსახლეობისა შედგენილია უკანასკნელი ოფიციალური სტატისტიკის (1916 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის) მიხედვით).

საქართველოს პროვინციები: (ქალაქების მოსახლეობა ნაჩვენებია ცალკე)	სივრცე (ოთხკუთხი კილომეტრებით)	მოსახლეობა	ეთნოგრაფიული შემადგენლობა მოსახლეობისა						შენიშვნები
			ქართველთა ჯგუფი		სხვა ერები				* ჭარელები და წეხურელები.
			ქართველები	აფხაზები	სომხები	თურქები, სპარსელები, ქურთები	ლეკის ტომები	სხვა და სხვა წვრილი ჯგუფები	
1. **აღმოსავლეთი საქართველო** (= ტფილისის გუბერნია)	36.184	812.000	563.000		91.000	76.000		82.000	** სოჭის ოლქი – ძველ საზღვრებში: მდ. მაკოფსეს ხაზამდე.
2. **დასავლეთი საქართველო** (= ქუთაისის გუბერნია)	21.556	1.023.000	1.010.000		1.000	1.000		11.000	
3. **სამურზაყანო-აგხაზეთი-ჯიქეთი** (= სოხუმის და სოჭის ოლქები **)	12.247	148.000	71.000	43.000	6.000			21.000	*** ვიდრე მდ. ყაშყაჩაის ხაზამდე.
3. **აღმოსავლეთ საქართველოს სანაპირო მხარეები**									**** სახელდობრ: აღმოსავლეთ საქართველოში – 14,000 სული მცხოვრები, დასავლეთ საქართველოში – 13.000 სული, სამურზაყანო-აფხაზეთ-ჯიქეთში – 23.000 სული.
ა) ქვემო ყარაიას ველი	1.200				ДАУSАХЛЕВЕЛІА				
ბ) ბამბაკი	1.040	47.000			40.000	5.000		2.000	
გ) ყაზახ-შამშადილი	5.408	131.000			60.000	65.000		6.000	
დ) ზაქათალის ოლქი ***	3.564	76.000	19.000			12.000	45.000		
საქართველოს მკვიდრი მცხოვრებნი, გასულნი დროებით თავისი პროვინციიდან საქართვ. სხვა პროვინციებში ****		50.000	50.000						
ჯარში გაწვეული სოფლებიდან		199.000	167.000		20.000			12.000	
სულ – ქალაქების მიუთვლელად	81.209	2.479.000 100 %	1.880.000 75,9 %	43.000 1 %	218.000 8,8 %	159.000 6,4 %	45.000 1,8 %	134.000 5,4 %	
ქალაქები		427.000	192.000	1.000				106.000	
ჯარში გაწვეული ქალაქებიდან		40.000	19.100						
სულ – ქალაქების მითვლით	81.209	2.946.000 100 %	2.091.000 71,0 %	44.000 1,5 %					

მთელი ქართველი მუსულმანობისათვის ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე, და მეცხრამეტე საუკუნეშიც, დედა-ენა ქართული იყო. ბოლო დროებში – წარსული საუკუნის მანძილზე – ქართული ენის ცოდნა ზოგ ადგილას შემცირდა. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსულ რეჟიმს. რუსეთის მმართველობა, რომლის პოლიტიკა მიმართული იყო ქართველობის დასუსტებისაკენ, ყოველნაირად ხელს უშლიდა მუსულმანი ქართველების დაახლოვებას მათ ქრისტიან მოძმეებთან. ყველაფერი ქართული აქ დიდ დევნას განიცდიდა. თუ სადამდე მიდიოდა კერძოთ ქართული ენის შევიწროება ამ მხარეში – ადვილად წარმოსადგენია მარტო იმ ფაქტიდან, რომ აქ თურქების მფლობელობის დროს სოფლის სამმართველოსა და სამსაჯულოში ქართული ენა იხმარებოდა, რუსეთის მმართველობამ კი რუსული და თურქული ენები შემოიღო. რუსულ-თურქული ენა შემოღებულ იქმნა აგრეთვე სკოლებში. ქართულ ენის ასეთ დევნას შედეგად ის მოჰყვა, რომ ახალციხე-ახალქალაქის მხარეში – მაგალითად, სადაც მთელი მუსულმანი ქართველობა მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე ქართულ დედა-ენაზე ლაპარაკობდა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ენა აქ ზოგ კუთხეში დავიწყებას მიეცა. ასეთ რაიონებში ძველ თაობას დღემდე ახსოვს ქართული, ახალგაზრდობა კი ვეღარ ლაპარაკობს დედა-ენას. ასევეა აგრეთვე არტაანის კუთხეებში – ფოცხოვის და ტაოსკარის რაიონებში.

ქართული ენის გავრცელების დღევანდელი სურათი – შემდეგია:

ა) ახალციხე-ახალქალაქის მხარე. აქაურ მუსულმან ქართველებიდან ქართულს დედა-ენაზე ლაპარაკობს 50%-დან 60%-მდე[1]. ქართული განსაკუთრებით შენახულა აწყურის უბანში, აგრეთვე ზემო-ქობლიანში და ურაველის უბნის ქვემო სექტორში.

ბ) ბათომის მხარე. აქ ყველაზე კარგად არის დაცული ქართული ენა. ბათომის მხარე განიყოფება ორ ოლქად: ბათომისა და ართვინისა; აქედან ბათომის ოლქის მრთელი მუსულმანი ქართველობა ლაპარაკობს უწმინდეს ქართულ ენას. ართვინის ოლქის მუსულმან ქართველების უმრავლესობა (დაახლოებით 60 %-მდე) აგრეთვე ლაპარაკობს ქართულს დედა-ენაზე, სახელდობრ – მურდულის, ლივანის, იმერხევის და ზემო-შავშეთის მოსახლეობა.

გ) არტაანის მხარე: ქართული ენა აქ ძალზე შესუსტებულია. ქართული შემონახულა ადგილ-ადგილ ფოცხოვის უბანში არტაანის ოლქისა, ტაოსკარის უბანში ოლთისის ოლქისა, და არტაანის ოლქის ცალკე სოფლებში, მაგ., სოფ. ველში.

სამივე მხარეში ახალციხე-ახალქალაქში, ბათომში და არტაანში ითვლება ქართველი მუსულმანობა: სოფლის მოსახლეობა 238.000 სული, ქალაქებში 5.000 სულამდე; მათ შორის ქართულ დედა-ენაზე ლაპარაკობს არა ნაკლები 140.000-ისა.

2. **ქართველი ქრისტიანები**. (მართლმადიდებელი და კათოლიკე). ესენი ითვლებიან აქ 50.000 სულამდე: სოფლებში (უმთავრესად ახალციხე-ახალქალაქის მხარეში) – 30.000 სული, ქალაქებში – 20.000 სულამდე. ქრისტიანი ქართველების დედა-ენა – ქართულია.[2]

რაც შეეხება დანარჩენ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს – ესენია:

თურქები. მათი რიცხვი არც თუ ისე დიდია (ისინი აღწევენ აქ 20.000 სულამდე). თურქები მოსახლეობენ (თანახმად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზო-

---

[1] ოფიციალური რუსული სტატისტიკით 1916 წლისა, რომელიც ამ შემთხვევაში ენის პრინციპით ხელმძღვანელობს, ამ მხარის 59.000 მუსულმანი ქართველებიდან ქართულად მოლაპარაკე ჯგუფში ნაჩვენებია 38.000 სული.

[2] მარტო ერთი ნაწილი ქართველ კათოლიკეთა, ეგრეთ წოდებული „ველელი" კათოლიკე ქართველები, გადმოსახლებულნი არტაანის მხარიდან, – ლაპარაკობენ თურქულს. მათი რიცხვი აღწევს 5.000-მდე; მოსახლეობენ ისინი სოფლებში: ხულგუმოს, კარტიკამს, ბავრას, ტურცხს და ნაწილად ვარევანს. (რაც შეეხება ქართულ დედა-ენაზე მოლაპარაკე ქართველ კათოლიკეებს – ესენი მოსახლეობენ: ქ. ახალციხეს, სოფლებში – უდეს, ვალეს, არალს, ბოლაჯურს, ბნელას, ხიზაბავრას და ვარგავს).

გადოების სპეციალური გამოკვლევისა) არტაანის მხარის ცალკე კუთხეებში: ჩილდირში, ტამალის საზოგადოებაში, და პენიაკჩაის სათავეებში. რაც შეეხება ახალციხე-ახალქალაქისა და ბათომის მხარეებს, აქ თურქების მხოლოდ თითო-ოროლა სოფლებია, როგორაც – სოფ. გონია (ბათომის მხარეში) და სოფ. ყულალისი (ახალქალაქის მაზრაში).

სომხები (კოლონისტები). მოსახლეობენ უმთავრესად ახალქალაქის მაზრის შუა სექტორში, აგრეთვე ქალაქებში. სომხობა გადმოსახლებულია ამ მხარეში რუსეთის მმართველობის მიერ 1829 წელს.

დანარჩენი პატარა ჯგუფებია: ქურთები, ბერძნები და რუსები.

მოსახლეობა ახალციხე-ახალქალაქის, ბათომის და არტაანის მხარეებისა												
	სივრცე (ოთხკუთხი კილომეტრებით)	მოსახლეობა (კარდგ ქალაქებისა)	ეთნოგრაფიული შემადგენლობა მოსახლეობისა									შენიშვნები
			ქართველთა ჯგუფი				სხვა ერები					
			მუსულმანი ქართველები	ორთოდოქსი ქართველები	კათოლიკე ქართველები	სულ ქართველები	სომხები	თურქები	ქურთები	სხვა ერები (ქრისტიანები)	სხვა ერები (მუსულმანები)	ქართველ მუსულმანთა შორის ქართულ დედა-ენაზე ლაპარაკობს:
I. ახალცხე-ახალქალაქის მხარე												
1. ახალციხის მაზრა	2.706	72.000	52.000	8.000	6.000	66.000	4.000		2.000			}50-60 %
2. ახალქალაქის მაზრა	2.793	101.000	7.000	7.000	8.000	22.000	70.000	1.000	1.000	7.000		
სულ – მთელს მხარეში	5.499	173.000	59.000	15.000	14.000	88.000 50,9 %	74.000	1.000	3.000	7.000		32.000 (დაახლოვებით)
II. ბათომის მხარე												
1. ბათომის ოლქი	3.779	82.000	73.000	1.000		74.000		1.000	2.000	4.000	1.000	100 %
2. ართვინის ოლქი	3.339	61.000	56.000			56.000	4.000			1.000	აფხაზი	60 %-მდე
სულ – მთელს მხარეში	7.118	143.000	129.000	1.000		130.000 90,9 %	4.000	1.000	2.000	5.000	1.000	107.000 (დაახლოვებით)
III. არტაანის მხარე												
1. ფოცხოვის უბანი	588	15.000	15.000			15.000						5-10 %
2. არტაანის ოლქი	5.137	56.000	15.000			15.000		16.000	12.000	13.000		
3. ოლთისის ოლქი	3.051	32.000	20.600			20.000	2.000	3.000	4.000	3.000		}1-5 %
სულ – მთელს მხარეში	8.776	103.000	50.000			50.000 48,8 %	2.000	19.000	16.000	16.000		2.000 (დაახლოვებით)
სულ – სამივე მხარეში	21.293	419.000		16.000	14.000	268.00 64,0 %	80.000	21.000	21.000	28.000	1.000	141.000

საზოგადო სურათს მესხეთის სამთავე მხარის მოსახლეობისას წარმოგვიდგენს შემდეგი ცხრილი:[1]

ამნაირად მესხეთის პროვინციაში მოსახლეობის მთავარ ელემენტს შეადგენს ქართველობა.

ამავე დროს, – და ეს ყოვლის უწინარეს მისაღებია მხედველობაში – ქართველ ერს ამ მხარეზე წმიდა ისტორიული უფლება აქვს. ეს პროვინცია – ძირეული ქართული ქვეყანა არის, აკვანი ქართული კულტურისა, რასაც მისი ქვანიც კი ღაღადებენ, – მრავალფეროვან ქართულ კულტურის მონუმენტები...

პ.ი. კონსტანტინეპოლი, 4-6 ივლისი, 1918

დამზადებულია კონსტანტინეპოლის კონფერენციისათვის სამახსოვრო ცნობად.[2]

[1] მესხეთის მოსახლეობის ქვემოდ წარმოდგენილი ცხრილი შედგენილია თანახმად ადმინისტრაციის ოფიციალური ცნობებისა. – ადმინისტრაციის სტატისტიკაში მოსახლეობის დანაწილება ცალკე ჯგუფებად ნაჩვენებია უმთავრესად სარწმუნოების მიხედვით, ჩვენს ცხრილში ბოლომდე გატარებულია ეროვნული პრინციპი. ამ კორეკტივის შეტანის დროს ვხელმძღვანელობდით სპეციალური გამოკვლევით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა ამ საგანზე, რომლიდანაც არის ნაჩვენები ზემოდ ტექსტში ცნობები მესხეთის ეთნოგრაფიაზე.

ახალციხე-ახალქალაქის მხარისათვის აღებულია 1916 წლის უკანასკნელი ოფიციალური ცნობები; ბათომის მხარისათვის – რადგან იგი ომის ასპარეზად გადაიქცა 1915-1916 წლებში – აღებულია ომის წინადროინდელი – 1914 წლის სტატისტიკა. ხოლო არტაანის მხარისათვის – უცვლელად განმეორებულია ადმინისტრაციის ოფიციალური სტატისტიკა 1909 წლისა, ადგილობრივ შედარებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კომისიის მიერ.

ჩვენი ცხრილი უჩვენებს სოფლების მოსახლეობას. ქალაქებს ამ მხარეში ეთნოგრაფიული კუნძულების ხასიათი აქვს და ისინი მხარის ზოგადი ეთნოგრაფიული სურათის წარმოდგენის დროს მხედველობაში ვერ მიიღება. სულ აქ არის ორი დიდი ქალაქი: ბათომი და ახალციხე, და ოთხი პატარა დაბა-ქალაქები: ართვინი, ახალქალაქი, არტაანი და ოლთისი. მთავარი ქალაქებიდან – 1) ბათომში ითვლება 39.000 სული მცხოვრები: მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს ქართველები (ქრისტიანები), შემდეგი ადგილი უჭირავს სომხებს და რუსებს. 2) ახალციხეში ითვლება 24.000 სული: უმრავლესობა არის სომხები, შემდეგ მოსდევს ქართველები (ქრისტიანები) და ქართველი-ებრაელები. – რაც შეეხება დანარჩენ ოთხ პატარა დაბა-ქალაქებს აქ ოთხთავეში ითვლება ერთად – 22.000 სული, მათ შორის – სომხები უმთავრესად, აგრეთვე ქართველები, რუსები და სხვ.

[2] კონსტანტინეპოლის კონფერენციის შესახებ მასალები ვერ მოვიძიეთ [რედ.].

6. საქართველოს საზღვრები შეადგინა ინფანტერიის გენერალმა ოდიშელიძემ მაისი, 1919 წელი, ქალ. ტიფლისი

Одишелидзе. Границы Грузии Составиль Генераль инфантерій май 1919 г. гор. Тифлись

(დ. ნიკოლაიშვილის თარგმანი)

წყარო: საისტორიო არქივი, ფონდი 1969, აღწ. 4, საქმე 9. ფ. 1-17.

საქართველოს საზღვრები[1]

I.

საქართველოს საზღვრები შავიზღვისპირეთის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში

თვით ბუნებამ შემოფარგლა საქართველოს საზღვრები და თვით ისტორიამ დაადგინა იგი. ჩრდილოეთიდან კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი იყო ის ბუნებრივი ზღუდე, რომლის გადაღმა იშვიათად გადადიოდა ქართული მოსახლეობა. საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის სამ ათასწლეულზე მეტი ხნის მთელს პერიოდში, თითქმის რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებამდე, კავკასიონის მთავარი ქედი მწვერვალებით **ჩურა**[2] [Чура[3]], **დონღუზ-ორუნ-ბაში**[4] [Донгузъ-орунъ-баши] (იალბუზის სამხრეთით [южнъеЭлъбруса]), **ადაიხოხი** [Адай-хохъ], **არხონი** [Архонъ], **ყაზბეგი**[5] [Казбекъ] და **კამაცანადაღი** [Камацана-дагъ], იყო ის ბუნებრივი ბარიერი, რომლის გადაღმა, ჩრდილოეთით არც საქართველო არ გადადიოდა და არც მისი ჩრდილოელი მეზობლები არ გადმოდიოდნენ სამხრეთით. და ამას ადგილი ჰქონდა მთლიანად მთელი კავკასიონის ქედის გასწვრივ – იქ, სადაც მას შენარჩუნებული აქვს ველური და რთულად მისადგომი ხასიათი; იქ, სადაც იგი არ ასრულებდა დაბრკოლების ფუნქციას; ანუ საქართველოს სამფლობელოები გადაჭიმული იყო შავიზღვისპირეთის სანაპიროს გასწვრივ – ჩრდილო-დასავლეთიდან იმ ადგილამდე, სადაც მთავარი ქედი ჰკარგავს რა მიუწვდომლობის ხასიათს, თანდათან იკარგება ჩრდილოეთის მიმართულებით: საქართველოს გაერთიანებისა და აყვავების ხანაში XI, XII და XIII საუკუნეებში, ე.ი. თითქმის სამასი წლის მანძილზე, საქართველოს საზღვრები შავი ზღვის სანაპიროზე სცილდებოდა ანაპას და აღწევდა **მდ. ყუბანის** [Кубани] შესართავს.[6] შემდგომ, XIV

---

[1] კითხვისას წინ უნდა გვქონდეს კავკასიის 5- და 20-ვერსიანი რუკები [იხ. დანართი].

[2] ხაზგასმა აქაც და ქვემოთ რედაქციისაა. ალ. ჯავახიშვილის რუკაზე [1931-32] დატანილია: მ. ჩური (2247 მ) [რედ.].

[3] გეოგრაფიული სახელწოდებები აქ და ქვემოთ მრგვალ ფრჩხილებში მოცემულია რუსულადაც, ანუ ისე როგორც დედანშია [რედ.].

[4] საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის [2009] მიხედვით: დონღუზ-რუნი (4454 მ) [რედ.].

[5] იგივე მყინვარწვერი (5047 მ) [რედ.].

[6] ლეონტი მროველის წყაროზე დაყრდნობით ამგვარადვე ატარებს საქართველოს საზღვარს ივ. ჯავახიშვილიც [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 4]: „*ისტორიულის ცნობების მიხედვით მე-XI-ე საუკუნეში ეს მოსამზღვრე ხაზი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა,*

საუკუნეში საზღვრებმა თანდათან უკან დაიხია **მდ. მაკოფსემდე** [Макопсе][1] და XV საუკუნიდან XIX საუკუნემდე, ანუ საქართველოს ამ ნაწილის რუსეთთან შეერთებამდე, საზღვარი ყოველთვის იყო **მდ. მაკოფსე** (ტუაფსეს სამხრეთით). ამას სრულიად მკაფიოდ ამბობს ისეთი ისტორიული ავტორიტეტი, როგორიცაა მეფე ვახტანგ VI-ის ვაჟი ვახუშტი ბატონიშვილი თავის გეოგრაფიაში[2] და ამასვე ადასტურებს ამ საკითხში უთუოდ ისეთი მიუკერძოებელი რუსი დესპანი ქართველი მეფის კარზე – ბურნაშევი, თავის საქართველოს რუკაზე.[3] ჩვენ უნდა შევჩერდეთ ამ მდინარეზე შემდეგი მიზეზების გამო: კავკასიონის მთავარი ქედი სწორედ აქ, ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის მიუდგომელ ხასიათს, ბუნებრივად შემოფარგლავს რა ჩრდილოეთიდან საქართველოს და სწორედ აქ, იგივე ეს ქედი ყველაზე ახლო მიდის შავ ზღვასთან და რაც შესაძლებლობას აძლევს ქართველებს გამოიყენონ ვიწრო ზღვისპირა დეფილე[4] – უფრო მარტივად და მოხერხებულად დაიცვან საქართველო ჩრდილო-დასავლეთიდან, ზღვის სანაპიროს გასწვრივ მომავალი მტრულად განწყობილი ძალებისაგან. ეს დამტკიცდა კიდეც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიითა და ქართველთა ბოლოდროინდელი ბრძოლით ბოლშევიკებთან.

ეს გეოგრაფიული და სამხედრო მოსაზრებანი, რომლებიც მიგვანიშნებენ ჩვენი საზღვრის მდ. მაკოფსეზე გატარების აუცილებლობაზე, მტკიცდება ქართველთა ისტორიული უფლებებითაც: აფხაზეთი ყოველთვის შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში და როგორც მონათესავე ხალხები, ისინი მასთან ერთად ცხოვრობდნენ ერთიანი სახელმწიფოებრივი ცხოვრებითა და ისტორიული სვე-ბედით; IX ს-დან XV ს-მდე,[5] ანუ 600 წლის მანძილზე საქართველოს მეფეების ტიტულებში პირველ ადგილზე იდგა აფხაზეთის მეფის ტიტული, ხოლო XV საუკუნიდან XIX საუკუნემდე,[6] ანუ 300-ზე მეტი წლის მანძილზე, იგივე ეს ტიტული ყოველთვის ეკუთვნოდა საქართველოს, უმთავრესად კი იმერეთის მეფეთაგან ერთ-ერთს. აფხაზთა და ქართველთა ეს შერწყმა იყო იმდენად ორგანული და იმდენად ბუნებრივი, რომ უცხოელები და უცხოელი ისტორიკოსები, ამოკლებდნენ რა ქართველ მეფეთა ტიტულებს, მათ უწოდებდნენ უბრალოდ აფხაზ მეფეებს, ისე როგორც მაგალითად, არაბი ისტორიკოსები ტაბარი (Тобари),[7] მოსუდი (Мосуди)[8] და სხვანი. და ბოლოს, თვით აფხაზმა ხალხმა, რომლებიც

სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყობოდა. მოსამზღვრე ხაზად მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა" [რედ.].

1 მაკოფსე – მდინარე კრასნოდარის მხარეში, შავ ზღვას ერთვის სოფ. მაკოფსესთან (ლაზარევსკოდან 8 კმ მანძილზე ჩრდილო-დასავლეთით). ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „საქართველოს საზღვრები" [1919] არ ასახელებს მდ. მაკოფსეს, თუმცა ამ მდინარეზე აქვს გატარებული საზღვარი 1919 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილ რუკაზე (ფრანგული გამოცემა 1) [რედ.].

2 იგულისხმება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" [რედ.].

3 იგულისხმება ბურნაშევის მიერ 1784 წელს შედგენილი „საქართველოს რუკა" (Генеральная карта Грузинскихъ царств; Кахетіи, Карталиніи и царства Имеретіи съ его княжествами Гуріей и Менгреліей съ облегающими областями и народами обитающими в Кавказскихъ горахъ. СоставленаПолклвникомь икавалеромьБурнашевымьвь 1784 годувъг. Тифлисіи) [რედ.].

4 დეფილე – ვიწრობი, ვიწრო გასასვლელი ძნელად მისადგომ ადგილზე [რედ.].

5 აქ არასწორადაა მითითებული საუკუნეები. საქართველოს მეფეების ტიტულებში პირველ ადგილზე იდგა აფხაზთა მეფის ტიტული 978 წლიდან (როცა ბაგრატ III ქუთაისში საზეიმოდ ეკურთხა მეფედ) 1490 წლამდე (ოფიციალურად გამოცხადდა ერთიანი საქართველოს დაშლა) [რედ.].

6 1490 წლიდან 1810 წლამდე აფხაზეთის სამთავრო (ზოგჯერ ნომინალურად) შედიოდა იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში [რედ.].

7 იგულისხმება ალ-ტაბარი, იგივე აბუ ჯაფარ მუჰამად იბნ ჯარირ ალ-ტაბარი (839-923) – არაბი ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი. მის ნაშრომებში მოიპოვება ცნობები თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ბუღა თურქის ლაშქრობის დროს (853 წ.) [რედ.].

8 იგულისხმება ალ-მასუდი, იგივე აბულ-ჰასან ალი იბნ ალ-ჰუსეინ ალ-მასუდი – არაბი ისტორიკოსი და მოგზაური, რომელიც მოღვაწეობდა X საუკუნეში. იმოგზაურა ინდოეთში, ირანში, სირიაში, ეგვიპტეში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და სხვაგან. მის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან შემორჩენილია მხოლოდ ორი, რომელშიც მოიპოვება მეტად საინტერესო ცნობები საქართველოს შესახებაც [რედ.].

იმგვარად აღრეულია ქართველებთან აფხაზეთში, რომ თავიანთ ეროვნულ თავყრილობაზე მკაფიოდ და ზუსტად დაადასტურეს თავიანთი საბოლოო გადაწყვეტილება, სურვილი– არავითარ შემთხვევაში არ გაწყვიტონ ათასწლოვანზე მეტი ორგანული სახელმწიფოებრივი ერთობა მშობლიურ საქართველოსთან[1]. როგორც უკვე აღინიშნა, ამ ერთიანი საქართველო-აფხაზეთის საზღვრები 300 წლის მანძილზე მდ. ყუბანის შესართავს აღწევდა, ხოლო 200 წლის მანძილზე იგი მნიშვნელოვნად სცილდებოდა მდ. მაკოფსეს ჩრდილო-დასავლეთით და ამგვარად ტუაფსე მოქცეული იყო საქართველოს ფარგლებში, ხოლო XV-XIX საუკუნეებში, ანუ 300 წელზე მეტხანს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იყო მდ. მაკოფსე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთელი ზოლი შავ ზღვასა და კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს შორის, გაგრის დეფილედან [Гагрское дефиле] მდ. მაკოფსეს შესართავამდე, ანუ მთელი დღევანდელი სოჭის ოკრუგი, ყოველთვის იყო საქართველოს ფარგლებში მანამ, სანამ თვით საქართველო თავისი კეთილი ნებით, რაც დაფუძნებული იყო ისტორიულ გარემოებებზე, არ შევიდა რუსეთის შემადგენლობაში.

ამრიგად, სრულიად ცხადია, რომ საქართველოს მომავალი საზღვარი უნდა იწყებოდეს ისე, როგორც ეს იყო XV-XIX საუკუნეებში: იგი უნდა მიემართებოდეს **მდ. მაკოფსეს** შესართავიდან მის ზემო წელამდე და აღწევდეს **მთა დიდ ფსეუსხეს** [Больш. Псеусхе], გადიოდეს მდინარეების – ტუაფსესა [Туапсе] და აშეს [Аше] წყალგამყოფზე კავკასიონის მთავარ ქედამდე, იმ წერტილამდე, რომელიც 20-ვერსიან რუკაზე გოითხის უღელტეხილიდან [перевал Гойтхе] სამხრეთ-აღმოსავლეთითაა. ამ წერტილიდან საზღვარი უნდა მიემართებოდეს ყოფილი შავიზღვისპირეთის ოკრუგის ჩრდილოეთ მიჯნამდე, ანუ კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარე მთამდე-9889 (5-ვერსიან რუკაზე). ამ საზღვრებში მოქცეული მთელი ეს ტერიტორია წარმოადგენს ახლანდელი სოჭის ოკრუგს თითქმის მთლიანად, რაზედაც საქართველოს აქვს უფლება ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც: 1894 წელს რუსი მკვლევრის, გენერალ ა.ნ. კუზმინა-კარავაევის[2] სიტყვების მიხედვით, სოჭის ოკრუგის რუსი მოსახლეობა მთელი მოსახლობის 1/7-საც კი არ შეადგენდა. აი, ციფრები აღებული გენერლის კუზმინა-კარავაევის წიგნიდან:

	პუნქტების დასახელება	სულთა საერთო რაოდენობა	ხალხები				შენიშვნა
			რუსები	ქართველები	შაფსუღები	სხვა ცხრა ხალხები	
1	ქ. სოჭში	460	11	440	-	9	
2	სოჭის ოკრუგში	5811	805	836	731	3439	
				1576			

[1] «Акт об автономии, принятый 20го марта 1919 г., содержал всего два пункта: 1) Абхазия входит в состав Демократической республики Грузия, как её автономная единица, о чём поставить известность правительство республики Грузия и её Учредительное собрание; 2) для конституции автономной Абхазии и определения взаймноотношении между центральной и автономной властью изберается смешанная комиссия в равном числе членов от Учредительного собрания Грузии и Абхазского народного совета и выработанные ею предложения по принятию их Учредительным собранием Грузии и Абхазским *н*ародным советом должны быть внесены Конституцию Демократической республики Грузия» [О.Х. Бгажба., С.З. Лакоба. История Абхазии, Сухум, 2006, стр. 330-331].

[2] კუზმინა-კარავაევი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1862-1923) – რუსი გენერალ-ლეიტენანტი. 1889 წლიდან მოღვაწეობდა კავკასიის სამხედრო ოლქში.

ამრიგად, თვით სოჭში, რომელიც ისევე როგორც დღეს, წმინდა ქართული ქალაქია, რუსი იყო სულ 11, ხოლო მთელ ოკრუგში მათი რაოდენობა ქართველებზე ნაკლებია და ორჯერ ნაკლები, ვიდრე ქართველები და შაფსუღები (აფხაზების მონათესავეები) ერთად აღებულნი, ანუ ის ხალხები, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ ძველმოსახლეები და ქვეყნის მეპატრონეები, ე.ი. მხოლოდ ისინი, ვისაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია სოჭის ოკრუგზე. სულთა დანარჩენი რაოდენობა მოდის სხვა 11 ხალხზე, რომლებიც მოსულები არიან ამ ოკრუგში: გერმანელები, ლატვიელები, სომხები, ბერძნები და სხვ. უნდა ვივარაუდოთ, რომ არც მათ აქვთ უფლება იყვნენ მეპატრონეები და ოკრუგის განმკარგავნი.

მართალია, 1894 წლის შემდეგ რუსთა რაოდენობა სოჭის ოკრუგში გაიზარდა, მაგრამ ქართველები მაინც შეადგენდნენ ოკრუგის მთელი მოსახლეობის 22 %-ს, წარმოდგენილი 14 ეთნოსით... რუსი მოსახლეობის ეს ზრდა აიხსნება რუსეთის მთავრობის უაღრესად საშინელი, არაადამიანური პოლიტიკით, რომელიც დახასიათებულია თვით რუსი გენერლის კუზმინა-კარავაევის გამონათქვამებით (წიგნი «Черноморский округ», გვ. 2): „ჩვენმა ბრძოლამ დასავლეთ კავკასიის მცხოვრებლებთან მიიღო განსაკუთრებული, ისტორიაში გაუგონარი ხასიათი: გადაწყვეტილი იყო არა მარტო ქვეყნის დაპყრობა და მის მკვიდრთა დამორჩილება, არამედ მათგან გაწმენდაც კი. თვით ავტორი რუსთა ამ ქმედებას ადარებს ძველი ხალხების ქმედებას, როცა „მთელი ერები მონებად მიჰყავდათ, როგორც ეს მოხდა ებრაელების შემთხვევაში“... ამ მჭერმეტყველურ სიტყვებს უნდა დაემატოს რუსული კანონებიც, რომლებიც გამოიცა მიწათმოქმედების მინისტრის [Министръ Земледълія] ერმოლოვის პერიოდში, როცა აკრძალვები დაწესდა ქართველებისათვის – ჩასახლებულიყვნენ ამ ძველ ქართულ პროვინციაში და ეყიდათ აქ მიწები. იგივე კანონი საჩუქრად გასცემდა ქართულ მიწებს რუს ჩინოვნიკებსა და გენერლებზე, რომლებიც გენერალ დენიკინისაგან სწორედ დღეს თხოულობენ სოჭის ოკრუგს – ბოლშევიკების მიერ დაბრუნებულს ქართველებისათვის, თხოულობენ როგორც თავიანთ ძველ სამფლობელოს, რომ ის არ დაუბრუნდეს მათ [იგულისხმება ქართველები – რედ.], ვინც [ოკრუგის მოსახლეობის – რედ.] 22 %-ია, თუ არ ჩავთვლით მონათესავე აფხაზებსა და შაფსუღებს .

პარიზის კონფერენციის მიერ საქართველოს ამ სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე და შემდგომი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით მოხალისეთა არმიასთან, რომელიც ქართველებმა **მდ. მეხადირს იქით** [Мехадыръ] გადაისროლეს, საქართველოს დროებითმა სახელმწიფო საზღვარმა უნდა გაიაროს ამ მდინარეზე, მისი შესართავიდან ზემო წელამდე და შემდგომ წყალგამყოფ ქედამდე, მდინარეების – **მეხადირის, ხაშუფსეს** [Хашупск],**გეგისა** [Геша] (სამხრეთიდან) და მდ. **ფსოუს** [Псоу] აუზებს (ჩრდილოეთიდან) შორის; შემდგომ: **კაცირხლას ქედის** [хребет Кацырха] სიმაღლით ნიშნულზე 8498 (**ახ-აგის** [Ах-Агъ] სამხრეთი მთები), მწვერვალებზე – 7077 და 8470, **მთა აგეფსთაზე** [Агепста] (10.699) და ამავე სახელწოდების მყინვარის მიღმა, აგრეთვე ტბა მზის [озеро Мзи] მიღმა, უღელტეხილების **ახუკ-დარასა** [Ахукъ-дара] და **სოხუმის** [Сухумския] გავლით მწვერვალ 9889-მდე, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარ ქედზე (ყველა პუნქტი დატანილია 5- და 20-ვერსიან რუკებზე).

ამრიგად, საქართველოს ხელში სამართლიანად დარჩება გაგრის უბანი, რომელიც 1894 წლამდე და ქართველებისათვის ამკრძალავ კანონების შემოღებამდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში, ანუ უცილობლად საქართველოში, მაგრამ საზღვრების ასეთი დროებითი ფიქსაცია გამოწვეულია უმთავრესად სამხედრო და პოლიტიკური მოსაზრებებით: ქართველთა ხელში დარჩება გაგრის დეფილე და **გაგრის ქედი** [Гагрскій хребетъ], რომელიც ზემოხსენებული გენერალ კუზმინ-კარავაევის მტკიცებით, წარმოადგენს „სერიოზულ თავდაცვით ხაზს, მტკიცე კედელს (ამ წიგნის მე-3-7-ე გვერდები). ამასთან აუცილებელია ითქვას, რომ გაგრის ქედი – ხელუხლებელი, მიუდგომელი

და უღელტეხილებს მოკლებული, ზღვაში შთაინთქმება სწორედ მდ. მეხადირის შესართავთან, სწორედ იქ, სადაც დგას გაგრის სიმაგრე [Гагринское укръпленіе], რომელიც ჩრდილოეთიდან კეტავს გაგრის დეფილეს – ერთადერთ ხელმისაწვდომ ადგილს შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მოძრავი საკმაო რაოდენობის სამხედრო ძალებისათვის. ვინაიდან ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებს გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიასა და ბოლშევიკებს შორის ბრძოლის შედეგებს, რომლის გამოც მალე ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ საქართველოს მეზობლად, საქართველოს რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს, რომ გაგრის დეფილე და გაგრის ქედი მთლიანად, მთელი თავისი ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფერდობებით, მოექცეს ქართველთა ხელში. მეორე მხრივ, თვით მოხალისეთა არმიის მეზობლობა, რომელთა რეაქციული, გამაერთიანებელი და აგრესიული იდეალები არ უთავსდება საქართველოს დემოკრატიულ და თავდაცვით იდეალებს, ასევე სახიფათოა საქართველოსათვის, რომელიც შეიძლება მალე იძულებული გახდეს აწარმოოს თავდაცვითი ბრძოლა თავისი ტერიტორიისა და თავისუფლებისათვის.

ამ შემთხვევაში პოზიცია მდ. მეხადირზე, გაგრის ქედსა და გაგრის დეფილეზე საქართველოს გაუწევს შეუფასებელ სამსახურს.

ი. ოდიშელიძე
1 მაისი, 1919 წ.
ქ. ტიფლისი.

II.

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის გაგრძელება კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ და ზაქათალის ოკრუგის, შირაქისა და ელდარის სტეპების საკითხი

(იხ. 5- და 20-ვერსიანი რუკები)

ათასწლეულების მანძილზე საქართველოს ბუნებრივი და ისტორიული საზღვარი მიემართებოდა კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ, სიმაღლითი ნიშნულიდან 9889 სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მყინვარით შემოსილი მწვერვალებისა და მაღალი უღელტეხილების გავლით, ისე როგორც ნაჩვენებია 5- და 20-ვერსიან რუსულ რუკებზე, – ერთი მხრივ, ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების ზაქათალის ოკრუგთან (სამხრეთიდან) და, მეორე მხრივ, ყუბანის, თერგისა და დაღესტნის ოლქებთან (ჩრდილოეთიდან) საზღვრების სახით, თუმცა შემდეგი გამონაკლისებით:

ა) **ადაიხოხისა** (Адай-хохъ) და **არხონის** (Архонъ) მთებს შორის საზღვარი გადიოდა არა წყალგამყოფზე, მდინარეების **არდონისა** (ჩრდილოეთიდან) და **რიონის, ლიახვის** ზემო წელს შორის, არამედ თოვლიანი კავკასიონის მთავარ ქედზე,[1] ანუ **ადაიხოხის, არხონისა** და **ყაზბეგის** ხაზზე, რომელიც დეტალურადაა ნაჩვენები 5-ვერსიან რუკაზე. ეს ხაზი იყო უფრო მოკლე, უფრო მაღალი, თითქმის მთლიანად მიუდგომელი და მთე-

[1] არამართებულადაა გამოყენებული გეოგრაფიულიი სახელწოდება „კავკასიონის მთავარი ქედი". აქ უნდა იყოს: „კავკასიონის გვერდითი ქედი", რომელიც მთავარ ქედზე მაღალიცაა და მარადი თოვლითა და მყინვარებით მეტად შემოსილიც. როგორც ჩანს, ავტორი სწორედ ამ გარემოებას გულისხმობდა, როცა მიუთითებს, რომ ქედი „თოვლიანი"-აო [რედ.].

ლი რიგი ათასწლეულების მანძილზე ყოველთვის ასრულებდა საქართველოს როგორც გეოგრაფიული, ისე ეთნოგრაფიული ჩრდილოეთის საზღვრის ფუნქციას, რამეთუ სამხრეთი ოსეთი, რომელსაც დღეს ეკუთვნის მდ. არდონის ზემო წელი, ყოველთვის იყო საქართველოს შემადგენლობაში.[1] იყო დრო, კერძოდ, XI და XII საუკუნეებში, მეფე დავით IV აღმაშენებლის,[2] მისი ვაჟის, მისი ცნობილი შვილიშვილის – თამარ დედოფლისა და მისი უახლოესი შთამომავლების მეფობის ხანა, როცა საქართველოს საზღვრები შორს მიდიოდა **იალბუზის** (Эльбрусъ), **ადაიხოხის**, **არხონისა** და **ყაზბეგის** (Казьбекъ)ხაზის ჩრდილოეთით, რომლებიც ქმნიან კავკასიონის მთავარი ქედის ღერძს;[3] ამასთან საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა ჩრდილოეთი ოსეთი, და პაჭანიკების ქვეყანა [страна Печеноговъ],[4] რომელიც მოხსენიებულია აგრეთვე რუსულ ისტორიაშიც. მაგრამ XIII საუკუნიდან საზღვარი თანდათან უბრუნდებოდა თავის ბუნებრივ მიჯნებს და XV საუკუნიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ანუ XIX საუკუნემდე, 400 წლის მანძილზე, საზღვარი გადიოდა კავკასიონის მთავარ ქედზე დაახლოებით ადაიხოხის, არხონისა და ყაზბეგის ხაზზე.

გარდა სხვა მოსაზრებებისა, საზღვრების ასეთი მოხაზულობა საჭირო იყო და საჭიროა წმინდა სამხედრო თვალსაზრისითაც: თუ საზღვარი გავა წყალგამყოფზე, უფრო დაბალ და მისადგომ ხაზზე, ანუ ისე, როგორც რუსეთმა გაატარა აქ, ტფილისის გუბერნიის შემთხვევაში – რკალით ქვემოთ, **მამისონის** [Мамисонскій], **ავაშეჯი-ბარონდის**[5] [Авашеджи-барзондъ], **ხალაწის** [Халаца] (მთა ხალაწის დასავლეთით)[6] უღელტეხილებზე (იხ. 5-ვერსიანი რუკა), **ძედოზე** [Дзедл] (მთა ხალაწის აღმოსავლეთით), **ზეკარზე** [Зикарскому], **ბახ-ფანდახზე** (Бахъ-Фандахъ), **კუპახზე** [Купахъ], **როკზე** [Рокскій], **სბაზვაიცსა** [Сбазвайцъ] და **თრუსოზე** [Трусо], მაშინ ჩრდილოეთის მხრიდან მტრული ქმედებისას, მოგვიწევს ვიფიქროთ ჩრდილოეთიდან მომავალი მტრისაგან ყველა ამ ~~ათიოდე~~ უღელტეხილის თავდაცვაზე, ნაცვლად მხოლოდ ერთი – ადაიხოხ–არხონის ქედზე გასასვლელისა, კასარის ხეობის [Касарский щель], ანუ უფრო სწორად, კასარის ზოლის გავლით, სადაც ერთადერთია ოსეთის სამხედრო გზა, რომელთანაც თავს იყრის ზემოთ დასახელებული ათიოდე უღელტეხილიდან მომავალი ყველა სხვა გზა (სოფელ ზარამახამდე [Зарамахъ]). ამ ათიოდე უღელტეხილის დაცვისათვის საჭირო იქნება ათჯერ მეტი მეომარი, ვიდრე ერთი კასარის უღელტეხილის დაცვისათვის, სადაც უფრო მეტად ქმედითი იქნება ტექნიკა, ვიდრე მეომართა ცოცხალი ძალა;

ბ) როგორც ზემოთ დასახელებული ისტორიული დოკუმენტებიდან ჩანს, საზღვარი **დარიალის ხეობის** რაიონში იწყებოდა **ჩასხოხის ქედის** [гора Часъ-хохъ] (იხილე 5-ვერსიანი რუკა) ღერძიდან **კაჯანის ქედამდე** [хребет Каджан] (დარიალის ხეობის დასავლეთით), **მთა ჩასამდე** [гора Часъ] და მდ. თერგის გადაკვეთით **ჯერახოვსკის სიმაგრის** [Джераховскаго укрепленія] სამხრეთ ადგილამდე; შემდგომ სოფელ **ქვ. ოზმის** [Н. Озми] მოპირდაპირედ, იგი მისდევდა მდ. **კისტინკის** (Кистинка)[7] მარცხენა ნა-

---

[1] ივ. ჯავახიშვილიც მდ. არდონის ზემო წელის აუზს საქართველოს ფარგლებში განიხილავს [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 6-9] და აღნიშნავს, რომ საქართველოსთან ძველად დვალეთს, პოლიტიკურის გარდა, კულტურული და სარწმუნოებრივი კავშირიც ჰქონდა [რედ.].

[2] დედანში მითითებულია: „დავით II აღმაშენებელი“ [რედ.].

[3] აქაც უზუსტობაა. დასახელებული მწვერვალები მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე და ისინი არ ქმნიან კავკასიონის მთავარი ქედის ღერძს [რედ.].

[4] პაჭანიკები სხვადასხვა მომთაბარე ტომთა დიდი კავშირია, რომელიც VIII-IX საუკუნეებში და მის შემდგომ განსახლებული იყო მდინარეების ვოლგისა და დუნაის ქვემო წელს შორის [რედ.].

[5] ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს რესპუბლიკის რუკაზე“ [1922] დატანილია: ავეშენჯი-ბარზონდი [რედ.].

[6] აქ შეცდომითაა ერთი და იგივე ტოპონიმი ორჯერ გამეორებული. შესაძლებელია ავტორი გულისხმობს მწვერვალებს – საუხოხსა და ხალაწას. მ. საუხოსი (ზ.დ. 3711 მ) მდებარეობს მ. ხალაწის (ზ.დ. 3938 მ) დასავლეთით [რედ.].

[7] კისტინკა, იგივე ხდე, ხდისწყალი, ქისტურა, ბროლისწყალი – მდინარე ყაზბეგის მუნიციპალიტეტში,

პირს, ხოლო მის აყოლებით სოფელ **ლიაჟგიმდე** [Ляжги], მისგან სამხრეთით ქედის აყოლებით გასდევდა კავკასიონის მთავარ ქედს სიმაღლით ნიშნულებზე – 8383, 9975 და 12075 (**მთა მალჩოჩ-კორტი** [Малъчочъ-кортъ]), რომლებიც მოცემულია 5-ვერსიან რუკაზე. ზუსტად ასე უნდა გატარდეს საქართველოს საზღვარი ახლაც, – ამას ითხოვს საქართველოს არსებითი თავდაცვითი ინტერესები: ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით ხელსაყრელი – **თამარ მეფის ციხესა** [замок царицы Тамары][1] და **სოფ. ლარსს** [Ларсъ] შორის მოქცეული დარიალის ხეობისა და საქართველოს სამხედრო გზის თავდაცვისუნარიანობა შემცირდება იმ გარემოებების გამო, თუ სოფლების **ქვ.** და **ზ. ოზმის** [Н. и В. Озми], **მაგუჩკალის** [Магучкалъ], **ტახტარტის** [Тахтарты], აგრეთვე **დარიალის სიმაგრისაკენ** [Тахтарты] მიმავალი გზები, რომლებიც მარჯვნიდან და ზურგიდან გვერდს უვლიან დარიალის სიმაგრეს, არ იქნება საქართველოს ხელში, როგორც ეს იყო ყოველთვის მრავალი საუკუნის მანძილზე, ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე.

საქართველოს არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედზე გადიოდა მთა **მალჩოჩ-კორტიდან** (Мальчочъ-кортъ, 12075) მდ. **კაშკადჩაის** [Кашкая-чай] ზემო წელამდე, იგი ემთხვეოდა ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოკრუგის ახლანდელ ჩრდილოეთ საზღვარს. საზღვრის ეს ნაწილი, ისევე როგორც წინა შემთხვევაში – კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ, მთლიანად არის საქართველოს ბუნებრივი, ისტორიული და ეთნოგრაფიული საზღვარი. რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე და თვით შეერთების მომენტისათვის საქართველოს საზღვარი უხვევდა სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მდ. **კაშკაჩაის** [Кашка-чай] გაყოლებით, მისი მდ. **აირიჩაიში** (აგრიჩაის [Аири-чай, Агри-чай]) ჩადინებამდე; შემდგომ იგი მიემართებოდა ქვემოთ მდ. აირიჩაის გაყოლებით, მისი მდ. **ალაზანთან** [Алазанъ] შეერთებამდე და მდ. ალაზნის გაყოლებით მისი **მდ. მტკვარში** [Кура] ჩადინებამდე. ამრიგად, მთელი ზაქათალის ოკრუგი, **შირაქისა** და **ელდარის სტეპები** ყოველთვის მთლიანად შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, და ახლახან აღწერილი ეს საზღვრები – კავკასიონის მთავარი ქედიდან მდ. მტკვრამდე, დღესაც საქართველოს უნდა შეუნარჩუნდეს. ამისათვის არსებობს მთელი რიგი ისტორიული, ეკონომიკური და სამხედრო მიზეზები:

ა) XVII საუკუნეში ამჟამინდელი ზაქათალის ოკრუგი, რომელიც მაშინ არ ატარებდა ამ სახელს, მხოლოდ კახეთის გაგრძელება და ქართველებით მჭიდროდ დასახლებული იყო. თუმცა ამავე საუკუნეში[2] ლევან მეფემ უფლება მისცა ზოგიერთ დაღესტნელ ლეკებს დასახლებულიყვნენ ქართველებს შორის იმ მიზნით, რომ მათ მთიდან ეზიდნათ მათთვის ყინული. იმავე საუკუნეში კახეთის ეს ნაწილი დაარბია სპარსეთის შაჰმა აბას I-მა და ქართველების დიდი ნაწილი, ოჯახებითურთ, გადაასახლა სპარსეთში, სადაც ისინი დღესაც ცხოვრობენ, თუმცა მათ არ დაუკარგავთ თავიანთი ენა და თავიანთი კეთილგანწყობა ძველი სამშობლოს მიმართ. მათ ნაცვლად კი მან [იგულისხმება შაჰ აბას I – რედ.] აქ დაასახლა სპარსეთიდან ჩამოყვანილი მომთაბარე თურქები. მას შემდეგ აქ შემოაღწიეს როგორც ლეკურმა, ისე თურქულმა ელემენტებმა და პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში, ძალით გამუსულიმანებულ ქართველებთან ერთად, ამ ოკრუგში შექმნეს ქართული, თვითმართვადის მსგავსი პროვინცია. ეს პროვინცია, რუსეთთან საქართველოს შეერთებამდეც კი, ყოველთვის იყოს საქართველოს შემადგენლობაში, ვინაიდან ვერც შაჰ აბას I, ვერც საქართველოს შემდგომი ამაოხრებლები – ნადირ-შაჰი და აღა-მაჰმად-ხანი, ვერ დამკვიდრდნენ საქართველოში, რომლის

მდ. თერგის მარჯვენა შენაკადი. სათავე აქვს კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე და ერთვის თერგს დარიალის ხეობაში ყაზბეგის ჰესთან [რედ.].

[1] დარიალის ხეობაში მაღალ კლდეზე მდებარე ციხე (შემორჩენილია ნანგრევები) თამარის ციხის სახელწოდებითაა ცნობილი, თუმცა ეს სახელი მას არასწორად შეერქვა. მას არანაირი კავშირი არ აქვს თამარ მეფესთან [რედ.].

[2] ლევანი კახეთში მეფობდა მე-16 საუკუნეში, 1520-1574 წლებში [რედ.].

აოხრების შემდეგ ისინი უკან მიემართებოდნენ მთელი თავისი ველური, უმეტესად ცხენოსანთა ურდოებით. ამგვარად, ზაქათალის ოკრუგზე აზერბაიჯანის პრეტენზია, რომელიც 1918 წლამდე არც არასოდეს არ არსებობდა, არ ეფუძნება არანაირ ისტორიულ ფაქტებს: შაჰ აბასი არ იყო აზერბაიჯანელი, და საეჭვოა, რომ თვით ეს სახელი მისთვის ცნობილი ყოფილიყო, – ის იყო სპარსეთის შაჰი – ქვეყნისა, რომელიც დღეს თვით აყენებს პრეტენზიებს აზერბაიჯანის გარკვეულ პროვინციებზე. არასაკმარისადაა დასაბუთებული აზერბაიჯანის უფლება ზაქათალის ოკრუგზე ეთნოგრაფიულადაც: ამ თვალსაზრისით ლეკებს, ქრონოლოგიურად და რაოდენობითაც, არანაკლები უფლებებით შეუძლიათ საუბარი, ვიდრე აზერბაიჯანელებს: თუმცა უკანასკნელი აღწერით ზაქათალის ოკრუგის მუღანლოელები, რომლებიც არ შეიძლება წმინდა აზერბაიჯანელებად მივიჩნიოთ, მხოლოდ 11.744 კაცს ითვლის, ხოლო ლეკები ოთხჯერ მეტს, ქართველი მუსლიმანები ან ინგილოები – 14.964 კაცს, ანუ უფრო მეტს, ვიდრე მუღანლოელები. ამრიგად, ეთნიკური ნიშნით (რელიგიური ნიშნის მხედველობაში მიღება არ შეიძლება), აზერბაიჯანს ზაქათალის ოკრუგში აქვს ყველაზე ნაკლები უფლებები. დაღესტნელების ეთნოგრაფიული უფლებები კი ამ ოკრუგში ანულირდება საქართველოს ისტორიული უფლებებით: ახლანდელი ზაქათალის ოკრუგი, რომელიც ყოველთვის იყო საქართველოს პროვინცია და კახეთის ნაწილი, არასოდეს არ შედიოდა დაღესტნელთა პატარა-პატარა თავისუფალ საზოგადოებებში და ამ მთიელთა საზოგადოებებს არც არასოდეს არ ჩამოუყალიბებიათ აქ არანაირი სახელმწიფო და არც შეეძლოთ ჩამოეყალიბებინათ.

დასახელებული ისტორიული და ნაწილობრივ ეთნოგრაფიული მოსაზრებების გარდა, ძალზე მნიშვნელოვანი წმინდა სამხედრო მოსაზრებებიც არ აძლევს უფლებას საქართველოს, უარი თქვას ამჟამინდელ ზაქათალის ოკრუგზე – კვლავ მოქცეულს მუსულმანობაზე, რომელიც რუსეთთან საქართველოს შეერთებისას ატარებდა საინგილოს, ანუ ქართველთა ქვეყნის სახელს.

სამხედრო თვალსაზრისით შეფასების მიზნით, საქართველოს მთელი საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედსა და მდ. მტკვარს შორის, უნდა დაიყოს ორ ნაწილად: პირველი ნაწილი, რომელიც მიუყვება მდინარეებს **კაშკაჩაისა** და **აირიჩაისს**, თავიანთი ბუნებრივი წყლისმიერი მიჯნებით, არ წარმოადგენს რაიმე სერიოზულ ბარიერს აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან კახეთში მომავალი მტრისათვის და სწორედ ამიტომ ამ საზღვარზე, ამჟამინდელ ზაქათალის ოკრუგზე, როგორც ბუნებრივ და მოსახერხებელ ჭიშკარზე, ყოველთვის გადიოდა გზა სპარსეთის ლაშქრისათვის, რომელიც კახეთის ასაოხრებლად მოემართებოდა. მე ვამბობ „ბუნებრივ და მოსახერხებელ“ ჭიშკარზე იმიტომ, რომ საქართველოს ამ მხარის სხვა ტერიტორიები – მდ. ალაზანი და მისი მიმდებარე **შირაქის** (Ширакская), **ელდარისა** (Эльдарская)და **ჯეირანჭალის** [Джейранъ-Чала] სტეპები, მდ. **ივრის** [Иори] ჩათვლით, თავიანთი ბუნებრივი პირობების გამო, ქმნის სერიოზულ დისკომფორტს მეომართა დიდი მასის გადასაადგილებლად. გარდა ამისა, ზაქათალის ოკრუგმა (საინგილომ), რომელიც წარმოადგენს კახეთის ბუნებრივ ნაწილს და მდებარეობს ქალაქ სიღნაღიდან ერთი დღის სავალზე (ერთი გადასასვლელის გავლით), შემდგომში აზერბაიჯანლების ხელში მოქცეულმა, თავისი სიმდიდრისა და დაბალი ცნობიერების მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის წყალობით, იოლად შეიძლება შეასრულოს მოსახერხებელი პლაცდარმის როლი – დაღესტნიდან მთიელი ბანდების, აზერბაიჯანიდან და თვით სპარსეთიდანაც კი კიდევ უფრო დიდი ძალების თავმოსაყრელად; და ეს მოხდება, თუ იგი აღმოჩნდება ერთმორწმუნე და ნაწილობრივ ერთტომობრივ აზერბაიჯანელებთან ერთობაში საქართველოს წინააღმდეგ. აი, ერთ-ერთი ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზეზი, თუ რატომ უნდა დარჩეს საქართველოს ეს მარადიული პროვინცია, რომელიც არასოდეს არ ყოფილა არც აზერბაიჯანის და არც დაღესტნის პროვინცია, კვლავ საქართველოს რესპუბლიკის

შემადგენლობაში, ცხადია, ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის ყველა არსებითი უფლებების შენარჩუნებით.

გარდა ამისა, საკმარისია დავხედოთ რუკას და დავრწმუნდებით, რომ ზაქათალის ოკრუგი, რომელიც მდებარეობს კახეთის გზიდან 20-40 ვერს მანძილზე და დაკავშირებულია მასთან ორი მისასვლელი გზატკეცილითა და ერთი დიდი, კარგად მოწყობილი გრუნტის გზით, ეკონომიკურად მიიზიდება საქართველოსაკენ: ტფლისი ყოველთვის იყო, ერთადერთი თუ არა, მთავარი ბაზარი მაინც ზაქათალის ოკრუგში წარმოებული პროდუქციისათვის. რუსთა ბატონობის დროს, ადმინისტრაციული თვალსაზრისითაც, ზაქათალის ოკრუგი ხშირად დამოკიდებული იყო ტფლისის გუბერნიაზე: თითქმის ყველა საოლქო სპეციალური სამმართველო, როგორიც იყო მაგალითად, ზაქათალის საინჟინრო დისტანცია[1] და კიდევ რამდენიმე სხვა, ყოველთვის მდებარეობდა ტიფლისში. 1905-1913 წლებში საგუბერნიო საგანგებო სხდომამ, რომელიც მუშაობდა მაზრების საერობო [„ზემსტვო“][2] და ადმინისტრაციულ გარდაქმნებზე, გადაწყვიტა ზაქათალის ოკრუგის 2/3 მიეერთებინა ტფილისის გუბერნიისათვის – იმდენად, რამდენადაც ამ ოკრუგის მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესები მიიზიდებოდა საქართველოსაკენ. ასევე არ შეიძლება ეჭვს იწვევდეს ის, რომ ზაქათალის ოკრუგსა და მდ. მტკვარს შორის მოქცეული მთელი სტეპი[3] ყველა დროს იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი და არცერთი წუთით არ ეკუთვნოდა არასდროს არსებულ აზერბაიჯანს. ამჟამად შემოდგომაზე, ზამთარსა და გაზაფხულზე შირაქის, ელდარისა და ჯეირანჭალის სტეპები ივსება ქართველთა კუთვნილი ფარებით და იგი ძველთაგანვე ირწყვებოდა თამარ მეფის სახელით ცნობილი არხით. შეუძლია კი საქართველოს უარი თქვას მათზე, რა თქმა უნდა, არა.

ი. ოდიშელიძე

2 მაისი, 1919 წელი

ქ. ტიფლისი

---

[1] სამხედრო საინჟინრო სამმართველო, რომლის დაქვემდებარებაში იყო გარკვეულ ტერიტორიზე მდებარე ყველა სამხედრო შენობა-ნაგებობა, საინჟინრო დაწესებულებები და სხვა [რედ.].

[2] ერობა (Земство, Земскиеучреждения) – ადგილობრივითვი თმმართველობის არჩევითი ორგანო რუსეთის იმპერიაში და მცირე ხნით იმპერიის არსებობის შემდეგაც 1864-1919 წლებში. იგი შემოიღეს მიწის რეფორმის შედეგად საქართველოშიც. ამასთან დაისვა საკითხი, რომ ეროვნულობის გარდა, გათვალისწინებული ყოფილიყო სარწმუნოების საკითხიც. ამ შეხედულებებმა დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და საზოგადო მოღვაწეები განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ამ თვალსაზრისით. ერობების არსებობამ გაამწვავა სახელმწიფოთა შორის საზღვრების გატარების ისედაც სადავო საკითხი, ვინაიდან საერობო ტერიტორიის შემოფარგვლა უნდა დაფუძნებოდა ადგილზე დამაგრებული მოსახლეობის ეროვნული, ზოგიერთ შემთხვევაში კი, რელიგიური შემადგენლობის პრინციპს. ეს კი დიდ დარტყმას აყენებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ვინაიდან ქვეყნის განაპირა მხარეებში ძნელბედობის ჟამს გადმოსახლებული სხვა ეროვნებისა და კონფესიის წარმომადგენლები სახლობდნენ. ამიტომ ქართული საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებდა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის (1919 წ.) ქართული დელეგაცია, გამოხატავდა რა ქვეყნის სტრატეგიულ ნებას, საქართველოს რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვისას სახელმწიფოებრივი თვალსაზრსით ხელმძღვანელობდნენ. ერობას უარყოფითი შეფასება მისცა ივ. ჯავახიშვილმაც თავის ნაშრომში „საქართველოს საზღვრები“ [1919]. კერძოდ, იმ მიზნით, რომ საქართველოს უცილობელი კუთხე – ახალქალაქის მაზრა სომხებს სომხეთის მიწა-წყლად გამოეცხადებინათ, „მათ ამ მაზრის ტფილისისგუბერნიის- ანუ აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებითგან გამოყოფა მოითხოვეს, იმ მიზნით, რომ იგი დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეეერთებინათ და ამ გზით ერთი მთლიანი სომხური საერობო თვითმართველი ოლქი შეექმნათ, ეს აზრი წამოყენებული იყო სომხების მიერ 1913 წ., როდესაც კავკასიაში მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ილ. ვორონცოვ-დაშკოვი იყო.“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ.] [რედ.].

[3] იგულისხმება ივრის ზეგანი, რომელიც გრძელდება თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და იქ იგი აჯინოურის ზეგნის სახელითაა ცნობილი [რედ.].

III.

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი აზერბაიჯანთან. სამხრეთი საზღვარი სომხეთთან. ყაზახის, ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების საკითხები

არ არის სადავო, რომ ამა თუ იმ პროვინციის ამა თუ იმ ქვეყნისადმი მიკუთვნების ნებისმიერი საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ეთნოგრაფიული მოსაზრებებით. ამ საკითხების გადაჭრისას ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და სამხედრო არგუმენტებს, და საერთოდ, მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების ერთობლიობას აქვს უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე მხოლოდ ეთნოგრაფიულ, ან ერთ რომელიმე აქტუალურ პოლიტიკურ პრინციპს. ამას ამტკიცებს მეცნიერება და ცნობს თვით ცხოვრება. მართლაც, რა იქნებოდა, თუ ნებისმიერი დიდი ზესახელმწიფოსათვის, რომელმაც ესესაა დაასრულა მსოფლიო ომი, ერთადერთი ეთნოგრაფიული ნიშნით გადაეწყვიტა ტერიტორიული საკითხები. ამ მოსაზრების მომხრენი იყვნენ რუსეთის სამინისტროებიც 1905-1916 (საიმპერატორო) და 1917 წლებში (რევოლუციური), როცა მათ დააყენეს საკითხი განხორციელებულიყო ამიერკავკასიის ყველა გუბერნიის მხოლოდ საერობო [„ზემსტვო“] (და არა სახელმწიფო-ტერიტორიულ) გარდაქმნა. რაკი რუსული მთავრობა მაშინ არ ემხრობოდა სომხურ მოსახლეობას, იგი ცდილობდა არაფერი არ გადაეწყვიტა მის სასარგებლოდ, თუმცა 1917 წელს ის მაინც იძულებული გახდა ფაქტობრივად ეცნო შემდეგი: „მხედველობაში მიღებული ყოფილიყო არა მარტო ეთნოგრაფიული, არამედ ეკონომიკური, კულტურული, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ტოპოგრაფიული პირობები“. ეს გადაწყდა რუსეთის რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის საგანგებო სხდომაზე 1917 წელს, როცა იხილებოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საკითხი ერთსა და იმავე სახელმწიფოს ფარგლებში. ახლა კი, 1919 წელს, როცა წყდება ტერიტორიული საკითხები ცალკეულ სახელმწიფოებს შორის, აუცილებელია ზემოთ დასახელებული მოტივების გარდა, მხედველობაში იქნეს მიღებული ისტორიული და სამხედრო მოტივებიც, რაც ერთობლიობაში, ნებისმიერი ქვეყნისათვის საციცოცხლო ინტერესებს წარმოადგენს. ყველა ამ თვალსაზრისით განხილული იქნება ყაზახის, ბორჩალოსა და ახალქალაქის საკითხები.

ყველა ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მეტყველებს საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებაზე, აგრეთვე ქართველი მეფის კარზე რუსი ელჩის ბურნაშევის მიერ შედგენილი საქართველოს რუკა და საქართველოს საპატრიარქოს ისტორიული დოკუმენტები ერთხმად და სრულიად ცალსახად ერთნაირად აღნუსხავენ საქართველოს საზღვრებს მდინარე ალაზნის შესართავიდან შემდეგნაირად:[1]

მდ. ალაზნის შესართავიდან საქართველოს **საზღვარი** მიემართება **მდ. მტკვრის** აყოლებით **მდ.ძეგამის** (Дзегам) შესართავამდე და მცირე კავკასიონის ქედამდე, რომელიც ასრულებს მდინარეების – მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფის ფუნქციას, შემდგომ მიემართება დასავლეთით ამ წყალგამყოფის გაყოლებით (აწ უკვე წოდებული **ბამბაკის ქედად**) **ჯანჯურის** [Джандурский перевал] უღელტეხილამდე. ამგვარად, საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, მის ნებაყოფლობით რუსეთთან შეერთებამდე: ყაზახის მაზრა,[2] რომელზეც დღეს პრეტენზია აქვს აზერბაიჯანს, ალექსანდროპოლის

---

[1] იგივე დოკუმენტები ასეთივე სიზუსტითა და ერთნაირად ღაღადებენ ზაქათალის ოკრუგის მთლიანად საქართველოსადმი მიკუთვნებულობას.

[2] ყაზახის მაზრა – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ელისავეტოპოლის გუბერნიაში 1849-1930 წლებში. ადმინისტრაციული ცენტრი იყო ყაზახი (გაზახი). ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორიული რუკის“ [1923] მიხედვით მთლიანად საქართველოს შემადგენლობაშია, მათ შორის 1783 წლის მდგომარეობითაც [რედ.].

მაზრის[1] ნაწილი (ბამბაკის ხეობის ზემო წელი), რაზეც პრეტენზია აქვს სომხეთს, და მთელი ბორჩალოს მაზრა,[2] რის გამოც სომხებმა დაიწყეს ომი საქართველოსთან მიმდინარე 1919 წელს.[3]

ყაზახ-შამშადილის მხარეს[4] (ყაზახის მაზრა), რომელიც დასახლებულია მხოლოდ თათრებით და ნაწილობრივ სომხებით, უკვე აღარ ატყვია ქართული მფლობელობის ღრმა კვალი და არც წარმოადგენს საქართველოსათვის არც ეკონომიკურ, არც კულტურულ-სამეურნეო და არც გეოგრაფიულად საციცოცხლო ინტერესს. დაახლოებით ასეთივე სიტუაციაშია ალექსანდროპოლის მაზრის ნაწილიც – მდ. ბამბაკის ზემო წელი (მოქცეული სამხრეთიდან ბამბაკის და ჩრდილოეთიდან ბეზობდაღის ქედებს შორის). ერთადერთი მიზეზი, რამაც შეიძლება აიძულოს საქართველო დაჟინებით მოითხოვოს აქ მისი ისტორიული საზღვრები, წმინდა სამხედროა: ერევან-ამამლ-დილიჟან-ყაზახ-ტფილისის [Эриань-Амамлы-Делижан-Тифлись] და ერევან-ელენოვკის [Эривань-Еденовка] (ტბა გოკჩაზე) გზატკეცილები იმ არამოსურნეთათვის, რომლებიც მოისწრაფიან ერევნიდან ტფილისისაკენ (იხ. XX ს. 20-ვერსიანი რუსული რუკა), ამ უკანასკნელთათვის წარმოადგენს აღმოსავლეთიდან შემოვლით გზებს და აქ ტფილისის ერთადერთ ბუნებრივ საფარს ქმნის ბორჩალოს ბასტიონი, რაზეც მსჯელობა იქნება შემდგომაც. ტერიტორია, რომელიც საქართველოს დედაქალაქის ამ ერთადერთი ბუნებრივი საფარის იოლად შემოვლის შესაძლებლობას იძლევა, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია მისთვის და ამასთან ძალზე სახიფათოც, როცა ის არ არის ჩვენს მფლობელობაში. საშიშროება განსაკუთრებით დიდია მაშინ, როცა ეს ტერიტორია ეკუთვნის მხოლოდ ერთ მეზობელს. თუ ყაზახის მაზრა აზერბაიჯანის ხელში აღმოჩნდება, ხოლო ზემო ბამბაკი – სომხეთის, რა თქმა უნდა, ასეთი დიდი საშიშროება აღარ წარმოიქმნება და კეთილმეზობლობის მიზნით შესაძლებელია დათმობა ორივე მეზობლისათვის.

სამაგიეროდ, დათმობა სრულიად წარმოუდგენელია ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების საკითხებში შემდეგი მიზეზების გამო:

ა) ისტორიული მიზეზები. ახლანდელი ბორჩალოს მაზრა ოდითგანვე, ქრისტეშობამდე მრავალი საუკუნით ადრე ატარებდა ქართულ სახელწოდებას „ქვემო ანუ სამხრეთი ქართლი“.[5] იგი ასევე იწოდება იმ სომხურ ულტიმატუმშიც, რომელიც მათ წამოაყენეს

---

[1] ალექსანდრეპოლის მაზრა – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. შეიქმნა 1840 წელს საქართველო-იმერეთის გუბერნიისა და სომხეთის ოლქის გაერთიანებით. ადმინისტრაციული ცენტრი იყო ალექსანდრეპოლი (მოგვიანებით ლენინაკანი, ამჟამად გიუმრი). 1846 წლიდან შედიოდა ტფილისის, ხოლო 1849 წლიდან – ერევნის გუბერნიაში [რედ.].

[2] ბორჩალოს მაზრა – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თბილისის გუბერნიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში 1880-1929 წლებში. ადმინისტრაციული ცენტრი იყო შულავერი (დიდი შულავერი). თავდაპირველად მოიცავდა თანამედროვე საქართველოს (ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის), აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე ტერიტორიებს [რედ.].

[3] ნაცვლად 1918-1919 წლებისა, დედანში მითითებულია 1919 წელი. ეს იყო საქართველოს თავდაცვითი ომი სომხეთის წინააღმდეგ, რომელიც 1918 წლის 18 ოქტომბერს მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს. საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა ბორჩალოსა და ჯავახეთში. ზავის დადების საფუძველზე ომი დასრულდა ამავე წლის 31 დეკემბერს 24 საათზე, მაგრამ საქართველოსა და სომხეთის მთავრობებმა სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1919 წლის 17 იანვარს. ოფიციალურად სწორედ ეს თარიღი ითვლება ომის დასასრულად. (ა. ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბ. 2007 წ. გვ. 228) [რედ.].

[4] ანალოგიურად ყაზახის მაზრისა, შამშადილოც, ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორიული რუკის“ [1923] მიხედვით, მთლიანად საქართველოს შემადგენლობაშია, მათ შორის 1783 წლის მდგომარეობითაც [რედ.].

[5] ტერმინი „სამხრეთი ქართლი“ მოძველებული და მის ნაცვლად გამოიყენება „ქვემო ქართლი“. იგი მოიცავს ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიას, ანუ თანამედროვე ქვემო ქართლსა და საქართველოს მიღმა დარჩენილ ტერიტორიასაც. მისი სამხრეთი საზღვარი გადიოდა ბამბაკ-ერევნის ქედებზე

სომხეთ-საქართველოს უკანასკნელი ომის წინ. თვით სიტყვის **„ქართლის“** „Карталинія“ აზრი და მნიშვნელობა მიანიშნებს, რომ ბორჩალოს მაზრა ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი. ისტორიკოსი სტრაბონი[1] ადასტურებს, რომ მთელი სივრცე ტფილისიდან ამჟამინდელ **ბეზობდაღის ქედამდე** [Безобдагский хребет] (შესაბამისად ლორის მთელი სტეპი), ჯერ კიდევ III საუკუნიდან ქრისტეს შობამდე, ეკუთვნოდა საქართველოს და ლორის სტეპი მჭიდროდ იყო დასახლებული სწორედ ქართველებით. თვით სომხები და მათი ისტორიკოსებიც ვერ უარყოფენ ამას იმდენად, რამდენადაც თვით მათი ისტორიკოსი სტეფანოს ასოხიკი ლორის სტეპს უწოდებს „საქართველოს სტეპს“. ეს დასტურდება, აგრეთვე, მრავალი სოფლის ქართული სახელწოდებითა და ურუჩიშჩეებით.[2] სოფელ ბოლნისში (წმინდა ქართული სახელწოდებაა) იყო საქართველოს ეპისკოპოსის კათედრაც კი, ხოლო ლორის ქართულ ციხეში (ასევე წმინდა ქართული სახელწოდებაა), რომელსაც ჰქონდა უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა, იყო საქართველოს იმ სამხედრო მინისტრების ადგილსამყოფელი, რომლებიც პირადად აგებდნენ პასუხს სახელმწიფოს სამხრეთი საზღვრების ურღვევობაზე და, რომელიც მრავალი საუკუნისა და უკანასკნელი დღეების მანძილზე გადიოდა ბამბაკის ქედზე (ბეზობდაღის ქედის პარალელური, მდებარე მისგან სამხრეთით).

საქართველოს არსებობის ათასწლეულის[3] მანძილზე იყო მხოლოდ ორი მომენტი, როცა სომეხი თავადები ფლობდნენ ამჟამინდელი ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილს: <u>პირველი</u> <u>მომენტი</u> – ქრ.შ.-მდე I საუკუნეში ერთ-ერთმა სომეხმა მთავარმა, რომელმაც ისარგებლა საქართველოში არსებული რთული ვითარებით, დაიპყრო სამხრეთ ქართლის სამხრეთი ნაწილი, ანუ ამჟამინდელი ბორჩალოს მაზრა, და სწორედ მაშინ წარმოიქმნა ლორის სტეპში პირველად ქართველებთან შერეული სომხური მოსახლეობა. ეს გრძელდებოდა ქრ.შ. III საუკუნემდე. მაგრამ III საუკუნის დასაწყისში, როცა საქართველო გაძლიერდა, მან კვლავ დაიბრუნდა ეს ტერიტორია და იგი მას ფლობდა უწყვეტად დაახლოებით 600 წელი, IX საუკუნემდე. <u>მეორე</u> <u>მომენტი</u> – არაბთა ხალიფატის დაშლისა და საქართველოსა და სომხეთის აღორძინების შემდეგ, იწყება დავა მათ შორის; ერთ-ერთმა სომეხმა მთავარმა კვლავ დაიკავა ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი, თუმცა სომხებს იგი ეკავათ დროის მოკლე პერიოდში, X საუკუნემდე. XI საუკუნის დასაწყისში ქვემო ქართლი, ლორის სტეპითა და ბამბაკის ხეობის ზემო წელით (რომელიც ლორის სტეპთან ერთად, ყოველთვის ეკუთვნოდა საქართველოს), საბოლოოდ, ანუ <u>მთელი</u> <u>ათასწლეულების</u> <u>მანძილზე</u>, სამართლიანად გადავიდა ქართველების ხელში და უდავოდ დარჩა იგი საქართველოს შემადგენლობაში იმ მომენტამდე, სანამ რუსეთს არ შეუერთდა XIX საუკუნეში.

ბ) <u>ეთნოგრაფიული</u> <u>მიზეზები</u>. სამხრეთ ქართლის ისტორიული ბედი, ცხადია, ახდენდა დიდ გავლენას ამ ოლქის მოსახლეობის შემადგენლობაზე. ამჟამად აქ განსახლებულია ექვსი ეთნოსი: ქართველები, თათრები, სომხები, ბერძნები, რუსები და გერმანელები. მათგან ათასწლოვანზე მეტხნიანი აბორიგენები, ქვეყნის ისტორიული ძველმოსახლეები არიან მხოლოდ ქართველები, რომლებიც, როგორც ამბობს სტრაბონი თავის ისტორიაში, ჯერ კიდევ ქრ.შ.-მდე სამი საუკუნის წინ მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი მთელი ბორჩალოს მაზრაში. თათრები გამოჩნდნენ მხოლოდ XVII საუკუნეში, როცა სპარსეთის შაჰმა აბას I-მა ქვეყნის მოოხრებით, ქართველთა ნაწ-

---

[რედ.].

[1] სტრაბონი –ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი, რომელიც მოღვაწეობდა ძვ. და ახ. წ.-ის მიჯნაზე [რედ.].

[2] ურუჩიშჩე [Урочище] რუსული სიტყვაა და ნიშნავს ნებისმიერ გეოგრაფიულ ობიექტს ან ადგილს, რომელიც მიმდებარესაგან განსხვავებულია. ამ სიტყვას ხშირად ვხვდებით ძველ რუსულ ტოპოგრაფიულ (ე.წ. „ვერსიან“) და საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე. არსებობს ურუჩიშჩეს სხვაგვარი გააზრებაც [რედ.].

[3] უნდა იყოს: „სამი ათასწლეული“ [რედ.].

ილისა და ყველა სომეხის გაჟლეტით, რომლებიც მათთან შერეულად ცხოვრობდნენ, აქ დაასახლა თათრები. სომხები, რომლებიც აქ ქართველებს შორის სახლდებოდნენ, სომეხთა წვრილთავადური, შედარებით ხანმოკლე მმართველობისას, ვერ დაფუძნდნენ სამხრეთ ქართლში: ისინი არაერთხელ იქნენ განადგურებულნი სხვადასხვა ხალხების მიერ, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ამ ქვეყანას. აქაურობას არაბებმა, სელჩუკებმა და ბიზანტიელებმაც შეავლეს ხელი, უკანასკნელ საუკუნეებში კი, რუსების გაბატონებამდე, განსაკუთრებულად გულმოდგინეობდნენ სპარსეთის შაჰი აბას I დიდი, თურქები და ნადირ-შაჰ სპარსელი. ამ მუსლიმან მფლობელთა მახვილს ცოცხალი ვერ გადაურჩა სამხრეთ საქართველოს ვერცერთი სომეხი, რომლებმაც აქ შემოაღწიეს სომეხ თავადთა მმართველობის ზემოთ ხსნებულ ხანმოკლე ეპოქაში, ან ქართველთა და მათი მეფეების კეთილშობილების გამო, რომლებიც თავშესაფარს აძლევდნენ თურქებისაგან შევიწროებულ სომხებს. ყველა ეს სომეხი, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ლორის სტეპის ძველ მოსახლეებად, დიდი ხანია ამოწყდა. ეს საკმაოდ ზუსტად მტკიცდება უკანასკნელი ქართველი მეფეების ისტორიული მიმოწერითაც რუსეთის მეფეებთან. ბორჩალოს მაზრაში ამჟამად მცხოვრები სომხები არ არიან იმ სომხების შთამომავლები და მათთან საერთო არაფერი აქვთ. ისინი აქ დაასახლა რუსმა მთავარმართებელმა, გრაფმა პასკევიჩმა 1829-1830 წლებში, ანუ საქართველოს რუსეთთან შეერთების 30 წლის შემდეგ. ამრიგად, ეს სომხური კოლონიები საქართველოში ითვლის მხოლოდ დაახლოებით 80 წელს, და მათი წარმოქმნის მიზეზები, რომელთა შორის იყო რუსების სურვილიც, დაესუსტებინათ საქართველოში ქართული ელემენტები, არ აძლევს დღევანდელ სომხებს არავითარ პოლიტიკურ და ტერიტორიულ უფლებებს მათზე.

სომხების ამჟამინდელი ეთნოგრაფიული სიჭარბე ბორჩალოს პროვინციაში საკმაოდ გაზვიადებულია. აი, რას ამბობენ მოსახლეობის უკანასკნელი საყოველთაო აღწერის ოფიციალური რუსული მონაცემები:

სულ პროვინციაში	<u>158.102</u> მცხ.			
მათგან	სომხები	65.777		
	ქართველები	8.146		
	ბერძნები	26.175		
	გერმანელები	2.986		
	რუსები	9.525		
	თათრები	45.493	ჯამი სომხების გარეშე	92.325

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ სომხები სრულებით არ შეადგენენ მაზრის მოსახლეობის უმრავლესობას და მხოლოდ დაახლოებით 40 %-ია. მაშინ რატომ უნდა იყვნენ სწორედ <u>ისინი</u> პოლიტიკური მდგომარეობის მებატონეები. არც ერთ დანარჩენ ხუთ ეთნოსს, რომლებიც მოსახლეობის დაახლოებით 60 %-ია, არცერთხელ არ გამოუხატავს სურვილი ყოფილიყვნენ სომხეთის წარმომადგენლები, პირიქით, თათრებმა, გერმანელებმა, ბერძნებმა და თვით სომხების ნაწილმაც არაერთხელ გამოხატეს საქართველოს ფარგლებში დარჩენის სურვილი. როგორც ირკვევა, ამ მაზრის ქართველები ასეთ მოთხოვნას აყენებენ ეროვნული და უტყუარი ისტორიული უფლების, ხოლო ყველა სხვა ხალხები – სასიცოცხლო, უმთავრესად ეკონომიკური პირობების გამო, რაც ახსნილი იქნება ქვემოთ. არაფერია სათქმელი იმაზე, რომ სომხეთ-თათრების მრავალრიცხოვანი კონფლიქტისა და ამ წლის დასაწყისში ქართველებზე სომხების ვერაგული და მოულოდნელი თავდასხმის შემდე(ამასთან დაკავშირებით იხილეთ წინამდებარე ნაშრომის 41-გვერდის მე-5 სქოლიო), [რედ.]. თათრებისა და ქართველებისათვის, რომლებიც ერთად შეადგენენ 54.000 კაცს, აუტანელი იქნება სომხური ბატონობა, ცხადია,

ყოველი მიუკერძოებელი ადამიანისათვის. ამრიგად, სომხების ერთადერთი კოზირიც – ეთნოგრაფიული პრინციპი, არ არის მომგებიანი არც სომხებისათვის.

გ) ეკონომიკური მიზეზები. მხარის ტოპოგრაფიული და სპეციალური საგზაო პირობები არ აძლევს სომხებს არანაირ უფლებას ბორჩალოს მაზრაზე, ანუ სამხრეთ ქართლზე – „სომხეთის ბუნებრივი გაგრძელებაზე მდინარე ხრამამდე". საჭიროა მხოლოდ ყურადღებით დავათვალიეროთ რუკა, რომ დავრწმუნდეთ სომხების პრეტენზიების სრულიად უსაფუძვლობაში. სომხეთისაგან ბორჩალოს მაზრა გამოიყოფა მაღალი, ხელუხლებელი და მკაცრი ბეზობდაღის ქედით, რომელთა მწვერვალები აღწევს 10.000 ფუტ სიმაღლეს. ყველაზე დაბალი უღელტეხილი, რომელიც აკავშირებს ლორის სტეპს ალექსანდროპოლის მაზრის ბამბაკის უბანთან, აღწევს 7000 ფუტს (**ბეზობ-დაღის უღელტეხილი**) [Безобдагскій переваль], მისი შემდგომი 7500 ფუტი სიმაღლისაა (კარახაჩის უღ.) [перев. Карахачь]. მთელი ამ ქედის სიმაღლეების, მისი დაბალი და საუკეთესო უღელტეხილების, უტყეობის, სასტიკი ქარებისა და ცივი ზამთრის წყალობით, რომელიც აქ არის გაბატონებული, თვით ბუნების მიერ ნაგები ეს რთული საზღვარი საქართველოსა და სომხეთს შორის, თითქმის სრულიად გაუვალია რვა თვის მანძილზე წელიწადში (ოქტომბრიდან ივნისის ჩათვლით). ამაზე მეტყველებს მხარის არა მარტო გეოგრაფიული და სამხედრო აღწერები, არამედ თვით მცხოვრებთა დადგენილებებიც, რაზეც საუბარი იქნება შემდგომ. ეს მაზრა ასეთივე რთულად დასაძლევი ქედითაა გამოყოფილი აზერბაიჯანიდანაც, თუმცა არაფრით არ არის იგი გამოყოფილი ტფილისის მაზრისა და საქართველოს გულის – ტფილისისაგან: ბორჩალოს მაზრის ყველა მდინარე მიედინება მდ. მტკვრისაკენ და ერთვიან მას ტფილისის სიახლოვეს; ამ ქართული პროვინციის ყველა ხეობა მიემართება მდ. მტკვრის ხეობისაკენ და ერთვის მას თითქმის ტფილისის კედლებთან. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ გზათა მთელი ქსელი, გზატკეცილები და კარგი გრუნტიანი გზები, მიემართება ასევე ტფილისისაკენ და არა ერევანისაკენ ან ალექსანდროპოლისაკენ, საქართველოსაკენ და არა სომხეთის ცენტრისაკენ. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მდიდარ გზათა ქსელიდან არცერთი გზა, არცერთი ბილიკი, მიმართული ლორის სტეპიდან ტფილისისაკენ, არ იკეტება არცერთი წუთით წლის მანძილზე, – უწყვეტი ურთიერთობები შესაძლებელია მთელი წლის მანძილზე და არა 4 თვის მანძილზე, როგორც ეს ერევანთანაა. ბუნებრივია, რომ ასეთ გეოგრაფიულ პირობებში, საქართველოს ამ ათასწლოვანი პროვინციის ეკონომიკური ინტერესები მჭიდროდ და განუყოფლად იყო დაკავშირებული და დღესაც მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოსთან და ქართველებთან და არა – სომხეთთან და სომხებთან. სამხრეთ ქართლის მთელი კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრება (ბორჩალოს მაზრა), განსაკუთრებით კი ამ პროვინციის სასოფლო-სამეურნეო და საქარხნო ცხოვრება დღევანდლამდე მიიზიდება ჩრდილოეთ ქართლისა[1] და ტფილისისაკენ. თავიანთი საქმიანობის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის მთლიან პროდუქციას, ისინი ჰყიდიან ტფილისში და ყველაფერ აუცილებელს იღებენ ტფილისისაგან. მაზრის მოსახლეობის ყველა სასიცოცხლო ინტერესი, ეროვნებების განურჩევლად, ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო და ახლაც უზრუნველყოფილია ტფილისიდან. ყველაზე ნათლად ეს გამოხატა თვით მოსახლეობამ 1905-1913 წლებში, რუსეთის იმპერიის პერიოდში და 1917 წელს რუსეთის რევოლუციის პერიოდში.

1905-1913 წლებში დაშნაკელთა სომხური პარტიამ, რომელიც სარგებლობდა რუსეთის მეფის **მეფისნაცვლის** განსაკუთრებული კეთილგანწყობით, საქართველოზე პირველი იერიში მიიტანა იმ იმედით, რომ ჩამოეცილებინა ბორჩალოსა და ახალქალაქის

[1] ჩრდილოეთი ქართლი – ეს ტოპონიმი არ გამოიყენება სამეცნიერო მიმოქცევაში, თუმცა იგი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ავტორი გულისხმობს იმ პერიოდის თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მოქცეულ ქართლის ნაწილს, საპირისპიროდ იმისა, რომელიც არსებობდა ქვეყნის შიგნით [რედ.].

მაზრები ტფილისის გუბერნიისათვის. მეფისნაცვლის სასახლეში დაინიშნა განსაკუთრებული საგუბერნიო სხდომა და შეიქმნა ადგილობრივი სამაზრო კომისია, სადაც რაოდენობითაც და თავიანთი განსაკუთრებული გავლენითაც, ჭარბობდნენ სომხები, მაგრამ ამ ორი პროვინციის ტოპოგრაფიული და საგზაო პირობების ყურადღებით შესწავლისა და ეკონომიკური გამოკვლევის შემდეგ, კომისიამ ერთხმად გამოთქვა მოსაზრება ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების ტფილისის გუბერნიიდან გამოყოფის წინააღმდეგ. კომისიამ ვერ გაბედა მხოლოდ ეთნოგრაფიული და პარტიულ-პოლიტიკური მისწრაფებებისათვის შეეწირა მთლიანად მთელი ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის სომხების, ყველა დიდი სასიცოცხლო ინტერესი. ადგილობრივი მოსახლეობა, შეწუხებული დაშნაკელების იდეებით, თვითონ აპროტესტებდა ტფილისის გუბერნიიდან გამოყოფას, ეყრდნობოდა რა ზემოთ დასახელებულ ეკონომიკურ და ტოპოგრაფიულ შეხედულებებს და განსაკუთრებით კი დაშორებას სომხეთის ცენტრებისა და ელისავეტოპოლისაგან –თათართა ცენტრისაგან. დასტურდებოდა ის, რომ „ერევნის, ალექსანდრეპოლისა და ელისავეტოპოლის გზის აბსოლუტური გაუმტარობის“ გამო, იგი „დიდ დისკომფორტში“ მოექცეოდა – განსაკუთრებით მაშინ, როცა დაიკეტებოდა უღელტეხილები ბეზობდალის ქედზე „ოქტომბრიდან მაისის ჩათვლით“ და სხვ. თვით მოსახლეობა ადასტურებდა, რომ „გზები ტფილისისაკენ ყოველთვის გახსნილია და რომ ბორჩალოს მაზრა წარმოადგენს ტფილისის მაზრის ბუნებრივ გაგრძელებას“.

ზუსტად ასეთივე შედეგი ჰქონდა დაშნაკელთა პარტიის იერიშს საქართველოზე 1917 წელსაც, როცა ეს კამპანია მათ დაიწყეს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროდან. სომეხთა, თათართა, რუსთა, ბერძენთა, გერმანელთა და ქართველთა მრავალმა საზოგადოებამ გაიგო რა გაზეთებიდან დაშნაკელთა ჩანაფიქრი, გამოხატა აღშფოთება და პროტესტი მკაფიო გადაწყვეტილებებით, და ეს გარემოება დღესაც სახეზეა. ამჟამად სომხეთის მთავრობა გვარწმუნებს, რომ რომელიღაც ქართული პარტიები და პოლიტიკური ორგანიზაციები დათანხმდნენ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების სამხრეთ ნაწილების დათმობაზე სომხეთის გუბერნიის სასარგებლოდ, მაგრამ დოკუმენტების საფუძვლიანი კვლევა-ძიება არ ადასტურებს ამას და არც შეიძლება დაადასტუროს, ვინაიდან ასეთი ფაქტი არ არსებობდა; იყო მხოლოდ დაშნაკელების პოლიტიკური მოღვაწეების მძაფრი მიდრეკილება და დაჟინებითი მოთხოვნა, რაც ეფუძნებოდა წმინდა პოლიტიკურ მოსაზრებებს და არ პასუხობდა ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს; მეტი არაფერი არ იყო, მაგრამ სომხების არასამართლიანი და ცუდად დასაბუთებული პრეტენზიები ტფილისის გუბერნიის ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებზე, არღვევენ არა მარტო ამ მაზრების ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ ტფილისის გუბერნიის სხვა ქართული მაზრების ქართველი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს. ძალზე დიდი სასიცოცხლო ინტერესები აქვთ ამ და წმინდა ქართულ მაზრებში, მათ შორის ტფილისის, სიღნაღის, თიანეთის, თელავისა და ნაწილობრივ გორის მაზრებში მცხოვრებ ქართველებსაც – ზაფხულობით გარეკონ თავიანთი ფარები ბეზობდაღის ქედისა და სველი მთების,[1] მთა **აგრიკარის** (Агрикарь), **სოუხ-ბულახის** (Соух-булахъ), **ყარაგაჩის** (Карагачь), **აგლაგანის** (Аглаганъ), (Губухло), **ბეზობდალის** (Безобдалъ), **ჩალტინ-დაღის** (Чаитинъ-дагъ) და **ბაბაკარის** (Бабакаръ) მთებისა და **არსიანის ქედის** საძოვრებზეც კი, რომელიც ახალციხის მაზრისა და ბათუმის ოლქის მოსაზღვრეა. 1884 წლის 29 ივნისის რუსული კანონის მიხედვით, რომელიც ეფუძნებოდა საქართველოს ათასწლოვან ფაქტობრივ და იურიდიულ უფლებებს, ბორჩალოს მაზრის საძოვრების 128 უბნიდან მხოლოდ 4 უბანი გაიცა ალექსანდრეპოლის მცხოვრებლებზე, ანუ სომხებზე, მხოლოდ 2 უბანი – ყაზახ თათრებზე და 122 უბანი – ტფილისის გუბერნიის ზემოთ დასახელებულ 5 უბანზე, ანუ ქართველებზე. თუ მოხდებოდა ისტორიული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უსამართლობა და

[1] სველი მთები – ჯავახეთის ქედის ძველი სახელწოდება [რედ.].

ბორჩალოს მაზრაც მოხვდებოდა სომხეთის ხელში, დაზარალდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მცხოვრების, ანუ ერის ნახევრის სასიცოცხლო ინტერესები; ქართველი მოსახლეობა იგრძნობდა რა თავს მოწყვეტილად თავისი საუკუნოვანი უფლებებისაგან, ადგილი ექნებოდა შეიარაღებულ სტიქიურ კონფლიქტებს ამ უსამართლო პოლიტიკური აქტის პირველივე დღეებიდანვე.

დ) <u>სამხედრო</u> <u>მიზეზები</u>. საქართველოს მთელი ერის კიდევ უფრო მეტ უკმაყოფილებას გამოიწვევდა ქვემო ქართლის მოწყვეტა სამხედრო თვალსაზრისითაც; მას აქვს საქართველოსათვის რეალურად <u>განსაკუთრებულად</u> <u>სასიცოხლო</u> მნიშვნელობა. სამხრეთ ქართლისა (ბორჩალოს მაზრისა და მის მიმდებარე ჯავახეთის) და მისი მოსაზღვრე ახალქალაქის მაზრის რუკების ყურადღებით დათვალიერება მკაფიოდ აჩვენებს, რომ დღევანდელი ბორჩალოს მაზრა დასავლეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოფარგლულია სველი მთებით, ბეზობდაღის ქედითა და მისი ჩრდილოეთი განშტოებებით – **აირი-თაფა–შიშ-თაფათი** (Айри-Тапа-Шиш-тапа); ეს ქედები, განსაკუთრებით პირველი ორი, მაღალი, ხელუხლებელი, რთულად მისაწვდომი ზაფხულშიც კი, სრულიად მიუდგომელია ზამთარში, ქმნიან ბუნებრივ ბარიერებს, თვით ბუნების მიერ ნაგები ვრცელი და ძლიერი ბასტიონით, რომელიც იცავს ტფილისს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან. ამ ბასტიონის შიგნით არის ქედები რედუიტის[1] სახით, მათზე მდებარე შემდეგი მთებით: **ლალვარი** (Ляльварь), **ოსტრაია** (Острая), **ლოქი** (Локъ), **კურუ-ოღლი** (Куру-оглы) და **ყურუტაში** (Куруташь). ბორჩალოს ბუნებრივი ბასტიონის ეს შიდა რედუიტი ნაკლებად საიმედოა, ვინაიდან ადვილი გასასვლელია ყველგან და მისი შემოვლა შეიძლება ორივე ფლანგიდან; ამიტომ სველი მთები და ბეზობდაღის ქედი, როგორც კარგად ცნობილია ყველა სამხედროსათვის და რაზეც მეტყველებს რუსეთის გენერალური შტაბის სპეციალური შრომებიც, წარმოადგენს უკანასკნელ თავდაცვით ხაზს, რომელიც სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან მომავალი არაკეთილმოსურნეებისაგან იცავს ტფილისს უმთავრეს, ისტორიულ და მშვიდობიან გზებზე; ეს არის უმოკლესი, უკეთესი და პირდაპირი გზები ერზერუმიდან (ოლთისის [Ольты], არტაანის [Ардагань], ყარსის [Карс], ალექსანდრეპოლისა [Александропол] და ერევნის გავლით) საქართველოს დედაქალაქამდე. სწორედ ამ გზებით მოდიოდნენ ყოველთვის საქართველოზე არა მარტო თურქები, არამედ არაბები და ბიზანტიელები: სხვა გზები იყო მხოლოდ შემოვლითი და ნაკლებად ხელსაყრელი სამხედრო ძალებისათვის.

ბორჩალოს ანუ სამხრეთ ქართლის მთელი ბასტიონი, მთელი თავისი შიდა სივრცითა და რედუიტებით, არის უკანასკნელი თავშესაფარი იმ ჯარებისათვის, რომლებიც იცავენ ტფილისს; ამ ბასტიონის ნებაყოფლობით გაცემის შემთხვევაში, რომელ მეზობელზეც არ უნდა იყოს ეს, საქართველო ამით ამ მეზობელს აბარებს თავისი დედაქალაქის ბედს, შესაბამისად კი მთელ ქვეყანას.

ამრიგად, ისტორიული, სამხედრო, ეკონომიკური და გეოგრაფიული არგუმენტები მთლიანად და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ადასტურებენ საქართველოს უფლებას სამხრეთ ქართლზე, ანუ ბორჩალოს მაზრაზე მთლიანად. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით კი, თვით ციფრებიც არ ლაპარაკობს სომხების სასარგებლოდ.

რაკი პროვინციის საციცოცხლო ინტერესების 90 % და მოსახლეობა საუბრობს საქართველოს უფლებებზე, მაშინ პროვინციაც უნდა იყოს საქართველოს ნაწილი.

რაც შეეხება ახალქალაქის მაზრას, ანუ ქართულად – ჯავახეთს, ეს პროვინციაც ასევე დიდი ხანია ათასწლეულებით ეკუთვნოდა საქართველოს და არასოდეს პოლიტიკურად არ მიეკუთვნებოდა სომხეთს, თუ არ ჩავთვლით ჩვენი ძველი ისტორიის შორეულ მომენტებს, როცა სომეხი **მთავრები** თავიანთი ბანდებით იჭრებოდნენ ჯა-

[1] რედუიტი – თავშესაფარი [რედ.].

ვახეთში, სარგებლობდნენ რა მათთვის რომელიმე ხელსაყრელი მომენტით. აქ არ არის არანაირი ძველი სომხური ძეგლი, ეკლესიებისა და სხვების სახით.

ეს პროვინციაც, ისევე როგორც დღევანდელი ქართული ახალციხის მაზრა (ქართულად სამცხე ანუ მესხეთი),[1] ბათუმის ოლქი (ქართულად შავშეთი და აჭარა), სპერის პროვინცია და ლაზისტანი, თურქებმა წაართვეს საქართველოს XVI და XVII საუკუნეებში. რაკი საქართველოში შემავალი ყველა ეს ექვსი პროვინცია ყოველთვის იყო გაერთიანებული ერთ დიდ პროვინციად „სამცხე-საათაბაგოს" სახელით და იმართებოდა ერთი პირის მიერ, რომლის ადგილსამყოფელი იყო ახალციხეში, თურქებმაც გააერთიანეს ის ერთ საფაშოში, რომელსაც ჰქონდა ნახევრად დამოუკიდებელი სტატუსი და იმართებოდა შთამომავლობით ქართველი თავადების – ჯაყელების გვარის მიერ მანამ, სანამ ამ საფაშოს ჰქონდა დამოუკიდებლობა საგარეო პოლიტიკაში. ეს ქართველი მმართველები (ერთ-ერთი მათი შთამომავალი, რიზა-ფაშა ჯაყელი, დღემდე ცოცხალია და თურქეთის სენატშია) იყვნენ იმდენად დამოუკიდებელნი პოლიტიკაში, რომ ხშირად მეგობრობდნენ და ამყარებდნენ კავშირს თურქებთან, ქართველ მეფეებთან და განსაკუთრებით მეფე ერეკლე II-თან, რომელიც მუდმივად ებრძოდა თურქებს. ყველა ეს პროვინცია, თურქების მმართველობის მთელ პერიოდში, მჭიდროდ იყო დასახლებული ქართველებით,[2] რომლებიც თანდათან გამუსლიმანდნენ, თუმცა თავიანთ მმართველებთან ერთად, არ დაივიწყეს ქართული ენა მანამ, სანამ რუსებმა არ დაიკავეს ეს ტერიტორია. საქართველოს უფლება ამ პროვინციებზე იყო იმდენად უდავო, რომ რუსეთმა 1783 წლის ხელშეკრულებაში პირობა დადო ერეკლე II-ის წინაშე, რომ რუსული იარაღის გამოყენებით მიეერთებინა ეს ტერიტორიები საქართველოსათვის. 1829 წელს რუსების მიერ ახალქალაქისა და ახალციხის პროვინციების დაპყრობის მომენტისათვის იქ იყო 90 % ჯერ კიდევ ქართულად მოლაპარაკე ქართველი, მაგრამ გენერალ გრაფი პასკევიჩის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ და რუსი სასულიერო პირების მიდრეკილებამ ქართველი მუსლიმანების მიმართ ძალადობრივად უკან მოექციათ ისინი ქრისტიანობაზე, ძირშივე შეარყია ამ მაზრების ქართული მოსახლეობა, რომლებმაც დაიწყეს გაქცევა თურქეთში, რამდენადაც ეს არ უნდა ყოფილიყო რთული მათთვის. ამით ისარგებლა პასკევიჩმა: სწორედ 1829-1830 წლებში ჩნდება სომხები ახალქალაქის მაზრაში, რომლებიც მანამდე საერთოდ არ იყვნენ აქ. ქართველი მემამულეები, დოკუმენტებით ხელში უმტკიცებდნენ პასკევიჩს თავიანთ უფლებებს ამ პროვინციის მიწებზე, მაგრამ პასკევიჩმა, დამპყრობლის უფლებით, გასცა განკარგულება მიეცათ ეს მიწები სომხებისათვის, – რუსებისათვის მომგებიანი იყო თავიანთ ხელში ჰყოლოდათ მადლიერი თურქი სომხები და ამით იმთავითვე კლავდნენ ორ კურდღელს: იყვნენ რუსული საქმის გამტარებლები თურქეთში და ამავდროულად ასუსტებდნენ ქართველებს, რომლებსაც ყოველთვის ახსოვდათ თავიანთი სახელმწიფოებრიობა. ამის შემდგომ კი მათ დაასახლეს რუსებიც. ახლა რუსებს უკავიათ სველი მთების დასავლეთი კალთა (მაზრის აღმოსავლეთი ნაწილი), სომხებს – ცენტრალური, ვაკე ზოლი, ხოლო ქართველებს, რომლებსაც იქ დასახლების უფლებას არ აძლევდნენ – მაზრის დასავლეთი ზოლი.

სომხების განსაკუთრებული მფარველობა იმ ზომამდე მივიდა, რომ მეფის სპეციალური დეკრეტით ქართველ კათოლიკებს ნაბრძანები ჰქონდათ მოხსენიებულიყვნენ სომეხ კათოლიკებად. ამის მიუხედავად, თვით სომხები თვლიდნენ ამ პროვინციას ყოველთვის ქართულად, ჯერ კიდევ არც ისე შორეულ წარსულში, 1886 წელს სომეხი ვერმიშევი თავის ოფიციალურ კვლევაში ქართველებად მიიჩნევდა „ახალქალაქისა და ახალციხის

[1] ავტორი სამცხეს იყენებს მესხეთის მნიშვნელობით, რაც არასწორია. მესხეთი ვრცელი ტერიტორიაა, რომელიც თანამედროვე სამცხეს (ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების) გარდა, მოიცავს ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილსაც [რედ.].

[2] ამას მოწმობს XVI-XIX საუკუნეების არაერთი ოსმალური დავთარი [რედ.].

მკვიდრი მოსახლეობის" სხვადასხვა აღმსარებელს. მხოლოდ ახლა, უკანასკნელი 40-50 წლის მანძილზე, როცა სომხები პოლიტიკურ ვითარებას მათთვის იმდენად ხელსაყრელად თვლიან, რომ გადაწყვიტეს დააარსონ მთელი იმპერია, რომელიც ერთნახევარჯერ მეტი უნდა იყოს საფრანგეთის ფართობზე, მაშინ როცა სომხური მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე მხოლოდ 10 %-ია; და მხოლოდ ახლა მოუნდათ მათ წმინდა ქართული სახელების მქონე ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები, რომლებიც ათასწლობით მიეკუთვნებოდა საქართველოს.

სამხედრო თვალსაზრისით ახალქალაქის მაზრას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ტფილისისათვის, როგორც ბორჩალოს მაზრას: ახალქალაქის მაღალი ვაკე ყოველთვის იყო მდიდარი პურით და მაზრის აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ სველი მთების დასავლეთი კალთა – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით; და იგი, სველი მთების საფარქვეშ, მუდამ ასრულებდა იმ ჯარების თავმოსაყრელად შესანიშნავი პლაცდარმის როლს, რომლებიც მიმართულნი იყვნენ ტფილისისაკენ: ამ ბოლო შესვენების და სველი მთების ბოლო ბარიერის აღების შემდეგ, არაკეთილმოსურნე ყოველთვის მიემართებოდა და ახლაც შეუძლია გაემართოს ტრიუმფალური მარშით ტფილისისაკენ.

მეომრების მხოლოდ განსაკუთრებულმა გამბედაობამ, ერისა და მისი მთავრობის სულის განსაკუთრებულმა ამაღლებამ, ისევე როგორც ეს მოხდა სომხების უკანასკნელი იერიშისას ქართველებზე, შეუძლია შეაჩეროს მტერი. სომხებს, რომლებსაც 7 თვეა უკავიათ ლორის სტეპი და მგზნებარე პროპაგანდით შეამზადეს მოსახლეობის სომხური ნაწილი თავიანთ სასარგებლოდ, დიდი ხანია თვლიდნენ და შეძლებდნენ კიდეც გამხდარიყვნენ ტფილისისა და საქართველოს მფლობელნი, თუ ექნებოდათ უკეთესი განათლება და იქნებოდნენ უფრო მამაცნი, ვიდრე ისინი აღმოჩნდნენ.

ეკონომიკური თვალსაზრისითაც ახალქალაქის მაზრა მიეკუთვნებოდა საქართველოს: გარდა სამი რუსული დასახლებისა: **ბოგდანოვკა** (Богдановка), **გორელოვკა** (Горъловка) და **ტროიცკოე** (Тройцкое), მთელი დანარჩენი მაზრა ეკონომიკურად მიიზიდება ტფილისისა და ტფილისის მაზრისაკენ: სამი დასახლებული სოფელი კი – ალექსანდროპოლისაკენ, თუმცა წელიწადში მხოლოდ 7 თვის მანძილზე, ვინაიდან ტროიცკოეს ანუ **მადათაფის უღელტეხილი** (Мадатапскій переваль) ალექსანდროპოლისაკენ ერთადერთ გზაზე დაკეტილია ხუთი თვით, რაც დაადასტურეს თვით მცხოვრებლებმა 1913 და 1917 წლების თავიანთ პროტესტებში სომხეთთან მიერთების თაობაზე. ყველა სხვა მცხოვრები მესაქონლეობისა და მეპურეობის თავიანთ პროდუქტებს ეზიდებიან მხოლოდ საქართველოში, უმთავრესად ტფილისში – ხრამისა და მანგლისის, ბაკურიანისა და ბორჯომის და განსაკუთრებით ახალციხისა და ბორჯომის გავლით, ვინაიდან ეს გზა გახსნილია მთელი წლის მანძილზე. თუმცა ამათ გარდა, არის სხვა გზებიც.

ამრიგად, ყველა თვალთახედვით, გარდა ეთნოგრაფიულისა, ეს მაზრაც უდავოდ ეკუთვნის საქართველოს. სომხური ეთნოგრაფიული ელემენტი კი აქ მხოლოდ შემთხვევითია და იგი მხოლოდ 80 წელი, რაც არსებობს; ამასთან ისინი მთელი მოსახლეობის 30 პროცენტს თუ შეადგენენ, სადაც ასევე არიან რუსები და ქართველებიც.

ი. ოდიშელიძე

4 მაისი, 1919 წელი

ქ. ტიფლისი.

IV.

საკითხი სამუსლიმანო საქართველოს შესახებ: ახალციხის მაზრა, არტაანისა
და ოლთისის ოკრუგები, ბათუმის ოლქი, სპერი და ლაზისტანი, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრები

ახალციხის მაზრას, თავისი განუყოფელი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ნაწილით – ფოცხოვის უბნით, საქართველოს არცერთი მეზობელი არ განიხილავს სადავოდ, ისე როგორც ეს ახალქალაქის მაზრის შემთხვევაშია, რაზედაც დაჟინებული პრეტენზიები აქვს სომხეთს. ზემოთ დასახელებული მიზეზების გარდა, ეს მოთხოვნები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მართებულად კიდევ იმიტომაც, რომ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების ბედი ყოველთვის განუყოფლად იყო დაკავშირებული მათ კანონიერ მფლობელთან – საქართველოსასთან, თვით თურქების ბატონობის პერიოდშიც კი. ეს ორი ამჟამინდელი მაზრა ყოველთვის ერთ პროვინციას ქმნიდა და იგი იმართებოდა ერთი ადგილობრივი ხელისუფლებით – ყოველთვის ქართულით. ორივე როგორც გეოგრაფიული, ისე ადმინისტრაციული მთლიანობა, ათასწლეულების მანძილზე, ბათუმის ოლქთან ერთად, იყო არა უბრალოდ საქართველოს ნაწილი, არამედ მისი ძველი აკვანიც: აქ ერთ დროს ჰყვაოდა ქართული კულტურა, აქედან იყვნენ წარმომავლობით საქართველოს მრავალი შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე და დიდი მწერლები. და ამასთან ეს პროვინციები ყოველთვის ატარებდა ქართულ სახელებს: „სამცხე“, „სამცხე-საათაბაგო“, „ჭანეთი“, „შავშეთი“, „აჭარა“, „მესხეთი“. თურქული მმართველობის პერიოდში, ჯერ კიდევ რუსეთთან ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების შეერთებამდე, ორივე ეს პროვინცია, არტაანის, ოლთისის, ბათუმისა და სპერის პროვინციებთან ერთად, ერთი საფაშოში ექცეოდა და მას მართავდნენ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ქართველები, რომლებსაც მეფეები ყოველთვის ნიშნავდნენ ჯაყელების გვარიდან – ასე იყო თურქების გაბატონებამდე. თვით რუსეთთან შეერთებამდე, დღევანდელი არტაანისა და განსაკუთრებით ოლთისის ოლქების ჩათვლით. ამ საფაშოს მოსახლეობის 90 % და ბათუმის ოლქისა და ლაზისტანის მოსახლეობის თითქმის 100 % იყო ქართველები. ეს ქართული პროვინციები თურქების ხელში მოხვდა XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში და სწორედ მას შემდეგ მოექცა იგი თურქების ძლიერი გავლენის ქვეშ და ასე მიიღო თანდათან უმრავლესობამ მუსლიმანობა. გამუსლიმანების პროცესი მიმდინარეობდა ძალზე ნელა და საბოლოოდ მხოლოდ XIX საუკუნის შუა წლებში წარმატებით დასრულდა. მუსლიმანებისათვის, თუმცა ქართველური ტომების საკმაოდ ძლიერი რასობრივი მდგრადობის გამო, ენის მოსპობისა და დენაციონალიზაციის მცდელობას ამ საფაშოს უდიდესი ნაწილისათვის წარმატება არ მოუტანია. ქართველების მიმართ არამეგობრული განწყობილების თვით ისეთი რუსი ავტორი გენერალი ლიახოვიც[1] კი, რომელსაც ეკუთვნის ტფილისის გუბერნიის სამხედრო აღწერა და რომელმაც დაიმორჩილა ჩრდილოეთ კავკასიის უმწეო მთიელები, მოიხსენიებს რა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს, სიტყვასიტყვით ასე წერს ქართველების შესახებ (გვერდი 396): „*ყოველ შემთხვევაში მაჰმადიანებმა ვერ შეძლეს ვერც ქართველების შთანთქმა, ვერც მათი დამორჩილება*“. ნამდვილად, მე უკვე

[1] იგულისხმება რუსი გენერალი ვლადიმერ პლატონის ძე ლიახოვი (ЛяховВ.П.,1869-1920) – რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ლეიტენანტი, I მსოფლიო ომში მეთაურობდა კავკასიის ერთ-ერთ სამხედრო კორპუსს. ი. ოდიშელიძეს მოხსენიებული აქვს მისი ნაშრომი: Военно-статистическое описание Тифлисской губерниии Закатальского округа, Тифлис: Тип. Штаба Кавк. воен. окр., 1902-1903 [რედ.].

ვახსენე წინა თავში, რომ ქართველი ახალციხის ფაშა იმდენად იყო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკაში, რომ ხშირად ატარებდა წმინდა ქართულ პოლიტიკას თურქების წინააღმდეგ და მეგობრობდა კიდეც ქართველ მეფეებთან.

მეორე რუსი სამხედრო მწერალი, პოლკოვნიკი ლისოვსკი,[1] ბათუმის ოლქის აღწერაში (გვერდი 31) წერდა: „მართალია მოსახლეობამ მიიღო ისლამი, მაგრამ დარჩა თავისუფალი და დამოუკიდებელი, არ აღიარებდა თურქულ ადმინისტრაციას... ის არ უხდიდა სულთანს არავითარ გამოსაღებსა და გადასახადს, და ვერ ეგუებოდა ვერანაირ მისთვის უცხო მმართველებს". 57-59 გვერდებზე იგივე პოლკოვნიკი ლისოვსკი წერდა: „*აჭარლების მეომრული სულის განვითარება განპირობებული იყო მუდმივი ომებით, რომელსაც ისინი ქართველი ხალხების ავანგარდის როლით იძულებულნი იყვნენ ეწარმოებინათ ქვეყანაში შემოსული დამპყრობლების (თურქების) წინააღმდეგ... ლაზებსა და აჭარლებს არ უყვარდათ თურქები... თურქული ენის სიმარტივის გამო, ის, მეტად თუ ნაკლებად, იცის ყველა მამაკაცმა; თუმცა სასაუბრო ენად მხოლოდ უცხოელებთან ურთიერთობებისას გამოიყენებოდა, აჭარლებიც და ლაზებიც ერთმანეთთან მხოლოდ მშობლიურ ენაზე საუბრობდნენ* ". ქალებს და ბავშვებს დღემდე არ სურთ საუბარი თურქულად და იყენებენ მხოლოდ ქართულ ენას. ასე იბრძოდა სამი საუკუნე გათურქების წინააღმდეგ სამუსლიმანო საქართველოს ქართული მოსახლეობა. ამ საუკუნოვან ბრძოლაში არანაკლებ როლს ასრულებდა სისხლი და ხორცი. აქა-იქ თურქები იმარჯვებდნენ (როგორც არტაანის ოლქში და ტრაპეზუნტის მახლობლად), თუმცა სამუსლიმანო საქართველოს უდიდეს ტერიტორიაზე, როგორიც არის ახალციხის მაზრა, ბათუმის ოლქი, სპერის პროვინცია და მთელი ლაზისტანი, ქართველები, როგორც ერი, დარჩა ქართველად, თავისი ენით, წეს-ჩვეულებებით, თავიანთი ფიზიკური და გონებრივი წყობით და, რომლებმაც შეიცვალეს მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოება მაჰმადიანურზე.

ასეთივე მტრობით, უფრო მეტადაც თუ არა, ქართველი-მუსულმანები შეხვდნენ რუს დამპყრობლებს 1828-1829 და 1877-1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს; პოლკოვნიკ ლისოვსკის ყველა ჩანაწერი – 36-ე გვერდზე თუ მისი შემდგომი, ლაზებისა და აჭარლების რუსებისადმი მტრობის შესახებ, უნდა მიეწეროს არა ერთგულებას ქართველი მუსლიმანებისა თურქებისადმი, არამედ რუსი ხელისუფლების რუსიფიკატორულ და მისიონერულ მიდრეკილებებს, რაც კარგად და დიდი ხანია ცნობილია ქართველებისათვის; თვით ავტორიც ადასტურებს ამავე წიგნში, რომ ლაზებსა და აჭარლებს არ უყვართ თურქები (გვერდი 58). ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობა და თვით ქართველები არასოდეს არ სარგებლობდნენ რუსების კეთილგანწყობით; ამიტომ ზემოთ მოცემული რუსი ავტორების ყველა ციტირება სამუსლიმანო საქართველოზე, არანაირ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ქართველების სასარგებლოდ – ეს ყველაფერი მარტივი სიმართლეა, დამტკიცებული ქართული ისტორიული დოკუმენტებითა და მიმდინარე რეალობით, რომელიც თვალნათელია ყველა ობიექტური ადამიანისათვის.

ეს ისტორიული და ლიტერატურული ცნობები, ისევე როგორც სამუსლიმანო საქართველოს ეთნოგრაფიული შემადგენლობა, რომელიც უეჭველად აშკარად ქართულია, აძლევს უფლებას საქართველოს რესპუბლიკას, მას შეუერთდეს არა მარტო ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, არამედ ყარსის ოლქის არტაანისა და ოლთისის

---

[1] იგულისხმება რუსი გენერალ-ლეიტენანტი ვალერიან იაკობისძე ლისოვსკი (ЛисовскийВ.Я., 1852-1906) – რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალი, კავკასიის სამხედრო კორპუსის შტაბის უფროსი, საქართველოს გრენადერთა მე-14 პოლკის მეთაური. ი. ოდიშელიძეს მოხსენიებული აქვს მისი ნაშრომი: Чорохскийкрай: (Военно-статистическийочерк) / Сост. Ген. штабаполк. В.Я. Лисовский. Вып. 1-2. - Тифли: Отд. Ген. Штаба Окр. Штаба Кавк. воен. окр., 1887 (тип. А.А. Михельсона), 2 т. [რედ.].

ოკრუგები, აგრეთვე, მათი ბუნებრივი გაგრძელება სამხრეთით – სპერის პროვინცია და, რა თქმა უნდა, მთელი ბათუმის ოლქი და თურქეთის ლაზისტანი. დღეს არსებული პოლიტიკური ვითარება პირდაპირ გვკარნახობს ზუსტად ასეთი გადაწყვეტილების მიღებას. მართლაც, რაკი თურქეთი, როგორც დამარცხებული ქვეყანა, არ მიიღებს არაფერს რუსეთის ყოფილი მიწებიდან, მაშინ თავისთავად ისმის საკითხი რომელ ახალ სახელმწიფოებს უნდა მიეკუთვნოს ოლთისის ოკრუგი, სადაც სომხები დღეს აქ არ არიან (1914 წლამდე კი ისინი იყვნენ 1400 კაცზე ნაკლები და ისიც მხოლოდ ორ ქალაქში), ქართული სისხლი კი ჩქეფს ყველა ამ ოკრუგში. და თუ ქართველი მუსლიმანი ფოცხოვის უბანში 95 %-ზე მეტია, ტაოსკარის უძველეს პროვინციაში (ოლთისის ოკრუგი) – 97 %, ხოლო ოლთისის უბანში – 47 %, მაშინ ისმის კითხვა: თუ თურქეთი არა, მაშინ ვინ უნდა იყოს ამ პროვინციების მასპინძელი. რა თქმა უნდა, მათი ათასწლოვანი დედასამშობლო – საქართველო, ვინაიდან 300-წლიანი თურქული ბატონობა არანაირ უფლებას არ აძლევს მათზე სომხებს, რომლებსაც ისინი არ მიეკუთვნებოდა არასოდეს არც პოლიტიკურად, არც ეთნოგრაფიულად: ამ პროვინციების თითქმის მთელ მოსახლეობას საუცხოოდ ახსოვს თავიანთი ქართული წარმომავლობა, ხოლო ზოგიერთმა ფენამ (ბეგები, ხანდაზმულები) შეინარჩუნეს თვით ქართული ენაც კი; ამასთან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი დაეთანხმონ სომხურ მმართველობას. არტაანისა და ოლთისის ოკრუგების დღევანდელი სამხრეთ-აღმოსავლური საზღვარი, რომელიც მიემართება წყალგამყოფ ქედზე, მდ. მტკვრისა და ჭოროხის სისტემებს შორის, ერთი მხრივ, მდ. არაქსის მხრიდან ყოველთვის იყო სომხეთის ეთნოგრაფიული საზღვარი, რომლის ჩრდილოეთით სომხური ტომები არასოდეს არ აღწევდნენ.

რაც შეეხება ბათუმის ოლქსა და ლაზისტანს, დღესაც მთლიანად დასახლებულია ქართული ტომებით და აგრეთვე სპერის პროვინციაც, რომელიც დაფარულია უძველესი ქართული ძეგლებითა და მთლიანად ქართული დასახელების სოფლებით, არც უნდა იყოს სადავო: ბათუმის ოლქი არ შეიძლება მიეკუთვნოს თურქეთს, როგორც გამარჯვებულს; მაგრამ იგი ასევე არ შეიძლება დარჩეს, რა თქმა უნდა, რუსეთს, ვინაიდან რუსეთი თავის უკანასკნელი კავკასიური არმიით სამუდამოდ წავიდა კავკასიონის ქედის იქით; ასე რომ, იგი ბუნებრივად, როგორც საქართველოს მარადიული ნაწილი, ამ უკანასკნელს უნდა დარჩეს. მასვე უნდა დარჩეს სპერიც და ლაზისტანიც, როგორც საქართველოს ძველი პროვინციები, რომლებიც დასახლებულია მხოლოდ ქართველებით. რაკი სომხეთი მიიღებს გასასვლელს შავ ზღვაზე ტრაპიზონთან, ეს ორი ქართული პროვინცია (რომელიც სამი საუკუნე იყო თურქეთის შემადგენლობაში), თურქეთისაგან სომხეთის ზოლით გამოყოფილი, ბუნებრივია დაუბრუნდება დედასამშობლოს-საქართველოს, რომლის შემადგენლობაშიც ის იყო თურქეთის მიერ დამონებამდე. მრავალი ათასწლეულების მანძილზე. საკითხის ასეთი გადაწყვეტა ნაკარნახევია თვით ელემენტარული სამართლიანობით: რუკა გვიჩვენებს, რომ ლაზისტანი წარმოადგენს ბათუმის ოლქის გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ გაგრძელებას მსგავსად იმისა, როგორც თვით ბათუმის ოლქია დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული, ხოლო სპერი ოლთისის ოკრუგის – გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული გაგრძელება, რომელიც თითქმის მთლიანად დასახლებულია ქართველური ტომებით.

ამ თავში განხილული ყველა ქართულ-მუსულმანური პროვინცია წარმოადგენს ერთ მთლიან ტერიტორიას, დასახლებული უმთავრესად ქართველი მუსულმანებით, ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი აბორიგენებით, რა თქმა უნდა, გახდება, სამუსულმანო საქართველოს სახელით, საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი, როგორც ეს იყო თურქების მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობამდე. მეფე დავით აღმაშენებლისა და მის სახელგანთქმული შვილიშვილის – თამარ მეფის[1] ყველა თვალსაზრისით საქართველო ამ საზღვრებში ჰყვაოდა და აძლევდა ცხოვრების შესაძლებლობას მეზობელ

[1] ტექსტში შეცდომაა, თამარი იყო დავითის შვილიშვილის გიორგი მე-3-ის ასული [რედ.].

ტრაპეზუნტის ბერძნულ იმპერიასაც. უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ სამართლიანობის გრძნობა, რომლითაც ხელმძღვანელობენ პარიზის კონფერენციის მოთათბირე წევრები, შეეხებიან საქართველოსაც და მას უკან დაუბრუნდება თურქების ველური ურდოების მიერ წართმეული ეს პროვინციები, რომლებიც თავიანთ დედასამშობლოსთან ერთად, აყვავდებიან ფართო და ბრწყინვალე ეროვნული ცხოვრებით, როგორც თამარ მეფის პერიოდში.

ზემოთ მოყვანილ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ შეხედულებებს აუცილებელია დაემატოს შემდეგი სამხედრო მოსაზრებანიც:

ახალციხე-ფოცხოვის მაღალი პლატო, ახალქალაქის მაღალი ვაკის დასავლეთ ნაწილთან ერთად, იმ გზების თვალსაზრისით, რომლებიც მიემართება ტფილისისაკენ ბორჯომის ხეობით ერევნიდან (ოლთისა და არდაგანი გავლით) და ყარსიდან. (არდაგანის გავლით), ასრულებს ისეთივე როლს, როგორსაც ახალქალაქის პლატო – იმ გზებისათვის, რომლებიც მიემართებიან ტფილისიდან სველი მთებისაკენ: სველი მთების გადასალახად საჭიროა ახალქალაქის პლატოზე შეჩერება; იმისათვის, რომ გადალახო ბორჯომის ვიწრობი აწყურიდან მთა ცხრაწყარომდე, აუცილებელია ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის დასავლეთ ნაწილის პლაცდარმზე შეჩერება. ბარიერის ფუნქციას ახალციხისა და ახალქალაქის პლაცდარმზე ასრულებს არტაანის მაღალი პლატო, სადაც ერთმანეთს კვეთს ყარსიდან და ერზერუმიდან (ოლთისის გავლით) მომავალი გზები, ასევე, სადაც იტოტება ახალციხისა და ახალქალაქისაკენ მიმავალი გზები.

თუ III და ამ თავში მოცემული ყველა მოსაზრება მხედველობაში იქნება მიღებული, მაშინ საქართველოს საზღვრები აზერბაიჯანთან და სომხეთთან უნდა გაგრძელდეს მდ. მტკვრიდან ამგვარად:

მდ. მტკვარზე მდებარე ფოილოს სადგურიდან საზღვარი მიემართება ტფილისის გუბერნიის ამჟამინდელ საზღვრამდე, ანუ შიშ-თაფა – აირი-თაფას ქედის სამხრეთ-დასავლეთისაკენ, შემდგომ უხვევს ჩრდილო-დასავლეთით, გასდევს ბეზობდაღის ქედისა და ტფილისის გუბერნიის საზღვარს, ბეზობდაღისა და აღდაღის მწვერვალების გავლით მიდის ყარახაჩის უღელტეხილამდე, საიდანაც მიემართება მთა დალიდაღისაკენ და მას გვერდს უვლის სამხრეთიდან და დასავლეთიდან, აღწევს მთა ახჭალასა და კეგლიდაღს, შემდეგ უხვევს დასავლეთისაკენ მადათაფის ქედისაკენ მთა უჩ-თაფოლიარამდე (9783). ამ მთიდან საზღვარი უხვევს სამხრეთით მოკლე მერიდიანული ქედისაკენ მთა ახბაბამდე, შემდგომ ხელუხლებელ, რთულად მისაღწევ ქედებამდე, რომელიც გარს ერტყმის ტბა ჩალდირღელის სამხრეთიდან, აღწევს კისირ-დაღამდე (10.572) და შემდგომ სამხრეთ-დასავლეთით მთავარი წყალგამყოფი ქედის გასწვრივ, ყარსის ოლქში მწვერვალების გავლით – ბუღათაფამდე (8946), ყაბაღ-თაფამდე (9996), ახალკპარამდე (10.218), შემდგომ საღანლუღის ქედის ჩრდილოეთ ნაწილში ეშაკ-მაიდანის უღელტეხილის გავლით – სამხრეთიდან კუმრის მთამდე, რომელიც მდინარეების ბარდუს-ჩაისა და ისკანდერ-ჩაის და ხან-ჩაის სათავეების წყალგამყოფია; გაივლის მწვერვალებს: ჰუსეინ-აღა-იურტის, ჩამარდაღს (9241) და 8028 სიმაღლის ნიშნულს, რომელიც რუსეთთან 1914 წლის სახელმწიფო საზღვრის მომიჯნავეა.

მთელი ეს ბუნებრივი საზღვარი მთა უჩ-თოფალარიდან 8028 სიმაღლის მთამდე, რომელიც ქმნის, ერთი მხრივ, ისტორიულად საქართველოს მდინარეების – ჭოროხისა და მტკვრის აუზების, ხოლო, მეორე მხრივ, ისტორიულად სომხეთის მდ. არაქსთან წყალგამყოფს, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, იყო მკაფიო ეთნოგრაფიული საზღვარი, რომლის ჩრდილოეთითაც სომხური ტომები არასოდეს არ აღწევდნენ.

8028 სიმაღლის ნიშნულიდან საქართველოს საზღვარი, რომელიც ამავდროულად ასრულებს მეტ-ნაკლებად ეთნოგრაფიული საზღვრის ფუნქციას, უნდა გაიმიჯნოს შემდეგი ბუნებრივი საზღვრებით: მთა 8028, ჩახირ-ბაბას ქედი, ტონდაღის მთები, სივრიდაღი, აჩინდიუზი, ოსკანცი და დამბლუდაღის ქედი კუშკუშლა-ობაზის მთებამდე. ყველა ეს ქედი და სიმაღლითი ნიშნული ქმნის უწყვეტ წყალგამყოფს, ერთი მხრივ,

სომხური ტომებით დასახლებულ არაქსის ზემოთსა და მეორე მხრივ, ძველად და დღესაც ქართველური ტომებით დასახლებულ შუა ჭოროხს შორის, რომელიც საქართველოს ოთხი მთავარი მდინარეთაგან (ჭოროხი, რიონი, მტკვარი, ალაზანი) ერთ-ერთია.

მთა კუშკუშლა-ობაზიდან საზღვარი უნდა მიემართებოდეს ჩრდილო-დასავლეთისაკენ, მთების – ჭაურმის, ყაზანდაღისა და ყაზანბაშის გავლით და მათ გადაკვეთამდე აგაჩ-ყილისის მთებთან, რომლის შემდეგაც საზღვარმა უნდა მოუხვიოს დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ხალიტ-დაღის ქედამდე, სანამ ეს ქედი არ ჩაიკარგება მდ. ჭოროხში, ყილისა-კაპუს მონასტრის დასავლეთით – იქ, სადაც ერზერუმიდან და ბაიბურთიდან სპერისაკენ მიმავალი საურმე გზები ერთდება და მიემართება სპერისაკენ ერთი გზით – ჭოროხის მარჯვენა მხარეს; საქართველოს საზღვრის ეს ნაწილი არის მდ. ჭოროხისა ზემოთისა და მისი შუა დინების შენაკადების წყალგამყოფი.

შემდგომ საზღვარი კვეთს მდ. ჭოროხს სოფელ მადენის სიახლოვეს (მისგან აღმოსავლეთით.) და მიემართება რა პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ – ლაზისტანის ქედის განშტოების გასწვრივ, გაივლის მასზე დაახლოებით 10 ვერს მანძილზე და ჭაპანაკეის (6456) ადგილას ქმნის დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართულ მუხლს, შემდგომ მიემართება პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ, გასდევს მდ. ჭოროხის შენაკადების წყალგამყოფს, კეშიშკაიას მთის გავლით აღწევს ლაზისტანის ტავრს, სადაც აქ იგი ატარებს კირკლარის სახელს. შემდგომ საზღვარი უხვევს დასავლეთით ლაზისტანის ტავრისაკენ, რომლის დასავლეთი ნაწილი ატარებს საღანლიდაღისა და ნატეხელების სახელს (რაც ქართულად ნიშნავს „წმინდა ხელებს“), საზღვარი აღწევს რა დევებოუნუდაღის მთამდე, უხვევს მკვეთრად ჩრდილოეთისაკენ და მისდევს ყიზიკლის ქედს, რომელიც გადაჭიმულია მდინარე იამბოლიდერეს პარალელურად და იკარგება შავ ზღვაში ირი-ბურუნის კონცხთან (ერეკლეს კონცხის დასავლეთით).

ლაზისტანის სანჯაყის დასავლეთსა და ყიზიკლის ქედებს შორის (ანუ ტრაპეზუნტის სიახლოვეს) მოქცეულ ტერიტორიაზე ლაზური მოსახლეობა თითქმის აღარ ლაპარაკობს თავიანთ ენაზე, თუმცა ახსოვთ, რომ ისინი ქართული ფესვებისანი არიან. მათ შორის არიან თურქებიც, მაგრამ არ არიან სომხები, რომლებსაც ისინი ვერ იტანენ მრავალი მიზეზის გამო. სომხებისადმი მიკუთვნებას ისინი, სავარაუდოდ, ნაკლებად მოინდომებენ, ამიტომ მათი ძალისმიერი მიერთება სომხეთის შემადგენლობაში, სისასტიკეა, ვინაიდან ეს იქნება სომხებთან მუდმივი ომებისა და მათი თანდათანობითი მოსპობის მანიშნებელი. ამ საქმეში სომხები უფრო სასტიკები, უფრო ლოგიკურები და უფრო მეთოდურები არიან, ვიდრე თურქები.

ი. ოდიშელიძე
5 მაისი, 1919 წელი
ქ. ტფილისი
საიდუმლო

7. მემორანდუმი

წყარო: საისტორიო არქივი, ფონდი 1969, აღწ. 4, საქმე 9. ფ.18-23.

ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან საქართველოს ფაქტობრივი საზღვრების გაფართოების აუცილებლობის შესახებ.

დღეს საქართველოს ირგვლივ შეიქმნა ისეთი პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც მას ავალდებულებს უპირველესად იზრუნოს თავისი ნეიტრალიტეტის მუდმივ დაცვაზე, რომელიც მან გამოაცხადა დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებში. ამ მხრივ, განსაკუთრებულ საფიქრებელს ქმნის ვითარება, რომელიც არსებობს ჩვენგან ჩრდილოეთით – რუსეთში, და სამხრეთით – თურქეთში: ორივე მხრიდან უახლოეს მომავალში ჩვენ უნდა ველოდოთ თავდასხმას ჩვენს დამოუკიდებლობაზე და დარტყმას საზღვრებზე.

ჩვენ არ შეგვიძლია ისეთი რაოდენობის ჯარის ყოლა, რომ ღია ველზე შევეჯიბროთ რუსეთს ან თურქეთს, თვით მათ უმცირეს რაოდენობასაც კი. ამიტომ ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ისეთი საზღვრები, რომლებიც თავიანთი სამხედრო თვისებებით, მოგვცემს შესაძლებლობას დავიცვათ იგი მეომართა მცირე რაოდენობით, და შეგვიძლია იმედი გვქონდეს არა მარტო მათი ხარისხის, არამედ ბუნებისაც. საბედნიეროდ, ბუნება, ჩვენი ისტორიული უფლება და საგნების ლოგიკაც – ჩვენს მხარეზეა და თუ ჩვენი დიდი მეგობრები, რომლებმაც ახლახან გვაღიარეს, იქნებიან ამ საკითხში ჩვენი მომხრენი, მაშინ ჩვენ ვიქნებით საკმარისად დაცულნი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან – ბოლშევიკებისაგან და თურქებისაგანაც.

მოთხოვნები საზღვრებზე, წარდგენილი ჩვენ მიერ პარიზის კონფერენციაზე, თვალნათლივ ასახულია თანდართულ რუკაზე (დანართი № 1) და ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არის მომავლის საკითხი; ის, როგორც ჩანს, გადაწყდება მცირე აზიის საკითხთან ერთად. დღევანდელი დღის წესრიგის საკითხი ჩვენთვის არის ფაქტობრივი საზღვრების საკითხი, ანუ თუ რისი გაკეთება შეიძლება დღეს ამ კუთხით, რომ ჩვენმა პატარა არმიამ შეძლოს დაიცვას ქვეყანა როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის მეზობლის ინტერვენციისაგან.

სამხრეთი საზღვარი (თურქეთთან)

დავიწყოთ სამხრეთის საზღვრებიდან (იხ. სქემა № 2). უპირველესად ყურადღება მივაქციოთ ბათუმის ოლქის ვითარებას. იგი უკვე იქცა საერთო აზრად ყველასათვის, ვინც შეისწავლა ეს საკითხი თუნდაც ცოტაოდენი ობიექტურობით, რომ ბათუმი უნდა მიგვეკუთვნებოდეს ჩვენ, ვინაიდან არ არსებობს პორტი ჰინტერლანდის გარეშე, ვინაიდან შეუძლებელია ცოცხალი ორგანიზმის არსებული ნაწილი მოწყვიტო მას, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გარეშე; და, რა თქმა უნდა, ყველასათვის ნათელია, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი, ეს ჩვენი ისტორიული ქონებაა, ეს ჩვენი ეთნოგრაფიული ნაწილია, და იგი სასწრაფოდ ჩვენ უნდა გადმოგვეცეს.[1] ეს აქსიომა მტკიცდება შემდეგი სამხედრო მოსაზრებებით: საზღვარი მდ. ჩოლოქზე, როგორც ყველასათვის ნათელია, არ შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივ საზღვრად, რომელსაც თავისი ბუნებრივი თვისებების გამო, არ შეუძლია თუნდაც რამდენადმე გააძლიეროს ჩვენი ჯარების წინააღმდეგობა; თითქმის ასეთივე სუსტია ქობულეთ-ოზურგეთ-სამტრედიის მიმართულება, ამასთან მთელი შავი ზღვის სანაპიროს სამასვერსიან მანძილზე

[1] დედანში არ არის არაფერი მითითებული [რედ.].

(პილენკოვოდან კამპუშის კონცხამდე) ყველაზე მოსახერხებელი ადგილი დესანტისათვის, მდებარეობს მხოლოდ ბათუმის ოლქში; და თუ ბათუმის სანაპირო ჩვენ არ გვექნება, მაშინ არაკეთილმოსურნეები, რომლებიც დაეშვებიან ბათუმში ან ბათუმის ოლქის სხვა ადგილებში, ან ვინც მოძრაობენ ტრაპეზუნტიდან სანაპიროს გასწვრივ, შეუფერხებლად შემოაღწევენ საქართველოს საზღვრებში. ჩვენი საზღვრების დაცვის თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული ვითარება იქნება, თუ ბათუმი თავისი პორტითა და ციხესიმაგრით, აგრეთვე ბათუმის მთელი ოლქი ჩვენს ხელთ აღმოჩნდება.[1] ბათუმის აქტიური გარნიზონი არ დაუშვებს დესანტის ჩამოსხმას არა მარტო თავის პორტში, არამედ ბათუმის მთელს სანაპიროზე; არაკეთილმოსურნეები კი, რომლებიც მოემართებიან სანაპიროს გასწვრივ, ძალზე მარტივად იქნებიან შეჩერებულნი მეომართა მცირე რაოდენობითაც კი, ვინაიდან ისინი ივლიან სანაპიროს ვიწრო დეფილეს გასწვრივ. სანაპიროს გარდა, სხვა პუნქტები თურქეთის მხრიდან ბათუმის ოლქში შემოჭრისათვის, უბრალოდ არ არსებობს, ვინაიდან მთელი ძველი სახელმწიფო საზღვარი, რომელიც გამოჰყოფს ბათუმის ოლქს თურქეთისაგან, გასდევს ხელუხლებელი ქედებისა და პონტის ტავრის განშტოებებს, რომლებიც მისაწვდომია მხოლოდ ერთეული ადამიანისათვის.

ამრიგად, სამხედრო თვალსაზრისით, თანამედროვე მომენტში, როცა ერზერუმის რაიონის თურქეთის პატრიოტები ძალზე აქტიური და შოვინისტური განწყობისაა, საქართველოს ფაქტობრივმა საზღვარმა უნდა გაიაროს რუსეთის ყოფილ სახელმწიფო საზღვარზე და მთელი ბათუმის ოლქი უნდა მოგვეკუთვნოს ჩვენ. ეს უდავოდ მხედველობაში ჰქონდა მიღებული ინგლისის რაზმის გენერალს ტომსონს, როცა მან ჩვენ გადმოგეცა არტაანის ოკრუგის ჩრდილოეთი ნაწილი მდ. მტკვრის ზემო დინებამდე; მაგრამ არტაანის ოკრუგის შესახებ საკითხის ასეთი გადაწყვეტა არამართებული იყო, ვინაიდან ჩვენს ხელში არ მოხვდა ყველა გზა, მიმავალი ახალქალაქისა და ახალციხის გავლით ბათუმისაკენ, არათუ ყველა გზათა კვანძი და არტაანი, რომელიც არასრულყოფილადაა ჩვენს ხელთ, არამედ არტაან-ზურზუნას გზატკეცილის უბანი, რომელიც ახლა გადაეცემა სომხებს, თუმცა გენერალმა ტომსონმა ჩვენ მოგვცა პირობა, რომ არტაანის ოკრუგის დანარჩენი ნაწილი და ოლთისის ოკრუგი დაკავებული იქნება მხოლოდ ინგლისის ჯარის მიერ; ამ დანაპირებით გენერალმა ტომსონმა დაგვაწყნარა და ჩვენ დავეთანხმეთ დროებით საზღვარზე მდ. მტკვრის ზემო წელის გასწვრივ. ახლა დადგა დრო, რომ ამ დროებითა საზღვარმა უცილობლად გადაიწიოს სამხრეთით. აქ შეიძლება საკითხის ორგვარი გადაწყვეტა:

ა) ჩვენ გადმოგვეცეს მხოლოდ არტაანის ოკრუგი და ჩვენი სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი გატარდეს არსიანის ქედზე – მთა ხოროსანის ღერძიდან ალაივარის მთებამდე, ფანჯურეთისა და აგუნდირის უღელტეხილების გავლით;

ბ) ჩვენ გადმოგვეცეს ორივე – არტაანისა და ოლთისის ოკრუგები და დროებითი საზღვარი გავატაროთ რუსეთის ძველ სახელმწიფო საზღვარზე, რომელიც ოლთისის ოკრუგს გამოჰყოფს თურქეთისაგან (სოღანლუღის ქედამდე).

საკითხის პირველი გადაწყვეტა ჩვენ მიგვაკუთვნებს ახალქალაქიდან და ახალციხიდან ბათუმისაკენ მიმავალ ყველა გზას, თუმცა არა – იმ ყველა უღელტეხილს, რომელიც საკმაოდ იოლი მისაწვდომია იასამალის ქედით, და ამით იხსნება თავისუფალი გზა თურქებისათვის ბათუმისაკენ, ოლთისისა და არტაანის გავლით. გარდა ამისა, დროებითი საზღვრის დაცვის თვალსაზრისით, საკითხის ასეთი გადაჭრა ჩვენ გვაყენებს რთულ მდგომარეობაში: ოლთისისა და არტაანის ოკრუგებს შორის მოსაზღვრე არსიანის ქედის დაცვა საჭიროებს არანაკლებ ერთ-ორ დივიზიას, ხოლო ისეთი კვანძის

[1] ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ინგლისელთა ჯარი უნდა წავიდეს ბათუმიდან: დღეს იმდენად ემთხვევა ჩვენი და ინგლისელთა ინტერესები, რომ მათი ყოფნა ბათუმში თანადროული და ძალზე მნიშვნელოვანია.

დაცვა, როგორიცაა არტაანი – არანაკლებ ორი კორპუსისა, ანუ ორჯერ მეტს, ვიდრე საქართველოს მეომრებია ერთად აღებული. საერთოდ, არტაანის მაღალი პლატოს დაცვა შესაძლებელია ყველა გზით, ყველა სახის იარაღით, მოითხოვს ძალზე ბევრ საველე მეომარს, რომელსაც კარგი მანევრირება შეუძლია.

საკითხის მეორენაირი გადაჭრა არა მარტო ჩვენს ხელში მოაქცევს უღელტეხილებს, რომლებზეც გადის არსიანისა და იასამალის ქედებზე გავლით ბათუმისაკენ მიმავალი გზები, არამედ ჩვენი დროებითი საზღვრის დაცვის შესაძლებლობას (რომელიც აქაც უნდა მიემართებოდეს რუსეთის ყოფილ სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ) უმაღლეს დონეზე შეგვიმსუბუქებს იმ გაღიზიანებული თურქული ძალებისაგან, რომლებიც ახლა თავმოყრილია ერზერუმისა და მოსაზღვრე ვილაიეთებში და ემუქრებიან არა მარტო სომხეთს, არამედ ბათუმს, შესაბამისად თვით საქართველოსაც. საქმე იმაში კი არ არის, რომ ოლთისის ოკრუგის გავლით არტაანისაკენ მიმავალი გზები მიემართება მხოლოდ ორი ხეობის გასწვრივ (სივრიჩაი და ოლთიჩაი), თითოეული მათგანის სიგანეა <u>ნახევარი ვერსი</u>, და სოფლებთან ზარდანესსა და ნარიმანთან მთელი ოკრუგის დაცვა პოზიციებზე მოითხოვს არა უმეტეს 6-6 ბატალიონსა და 2-4 ბატარეას; რომ სოფ. ფანაკთან (Пеніакъ) პოზიციების გადაცემით, რომელიც ერთდროულად იცავს მისასვლელებს ფანჯურეთისა და არგუნდირის უღელტეხილებამდე, თავდაცვისათვის მოითხოვს არა უმეტეს 2 ბატალიონს, ნიაკჩაის ხეობისა და მდ. აგუნდირკის დაცვა კი მოითხოვს მხოლოდ რამდენიმე ასეულს. ამასთან, არტაანის ოკრუგში მხოლოდ ფანჯურეთის უღელტეხილის დაცვა საჭიროებს ფეხოსანთა მთელ დივიზიასა და არტილერიის ბრიგადას, ანუ 12-16 ბატალიონსა და 6-9 ბატარეას; არანაკლები ძალები სჭირდება ამავე ქედის – ზიარეთისა და არგუნდირის უღელტეხილების დაცვას.

საერთო ჯამში, არტაანის ოკრუგის საკუთარ ხელში დასაჭერად აუცილებელი იქნება ორი კორპუსი, საველე არტილერიისა და კავალერიის შესაბამისი რაოდენობებით; იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ოლთისის ოკრუგი და რუსეთის ძველი სახელმწიფო საზღვარი, სრულიად საკმარისი იქნება სამთო არტილერიის 2 პოლკი და 2 დივიზია, ამასთან სავსებით შეიძლება კავალერიის გარეშეც (ჩვენი კავალერიის სიმცირის ფონზე ეს ძალზე მნიშვნელოვანია); სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოლთისის ოკრუგის დაცვა მოითხოვს ხუთჯერ ნაკლებ მეომარს, ვიდრე არტაანის ოკრუგის დაცვა.

ამრიგად, ჩვენთვის ბათუმის ოლქის გადმოცემა უცილობლად გამოიწვევს თავდაცვის აუცილებელ და სასწრაფო ზომებს – არტაანის, განსაკუთრებით კი ოლთისის ჩვენთვის გადმოცემას.

გარდა ამ სამხედრო აუცილებლობისა, არის კიდევ სხვა მოტივები, რომლის მიხედვითაც არტაანისა და ოლთისის ოკრუგები ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს და არა თურქებს ან სომხებს: თურქეთს არ შეუძლია ამ პროვინციების მიღება გამარჯვებული ანტანტისაგან, სხვა შემთხვევაში, უცნაური იქნებოდა დამნაშავე და დამარცხებული მხარე დაჯილდოვდეს ტერიტორიით, რომელიც ომამდე არ იყო მის ხელში; ხოლო სომხებს არ შეუძლიათ მათი მიღება, ვინაიდან იგი არასოდეს არ იყო სომხეთის არც პოლიტიკური, არც ეთნოგრაფიული ნაწილი; 1914 წელს, ომის წინ, ორივე ამ ოკრუგში იყო 1400-ზე ნაკლები სომეხი, ამასთან, როგორც მთელი ათასწლეულების მანძილზე ორივე ეს პროვინცია, სპერის პროვინციასთან ერთად, დასახლებული იყო ქართველური ტომებით, რომლებმაც გამუსლიმანება დაიწყეს მხოლოდ XVII საუკუნეში და დღესაც ბოლომდე გათურქებულები არ არიან; რუსების მიერ ამ პროვინციების დაპყრობის მომენტში მოსახლეობის 90 % ჯერ კიდევ ლაპარაკობდა ქართულად; XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ენა თანდათან შევიწროვდა თურქულით და ახლა ქართულად ლაპარაკობენ მხოლოდ შორეულ სოფლებსა და ღრმა ხეობებში; მაგრამ ფიზიკური ტიპი და სისხლი დარჩა ქართული: მაგალითად, ოლთისის ოკრუგის ტაოსკარის უბნის მოსახლეობის 95 %-ს კარგად ახსოვს თავიანთი ქართული წარმომავლობა; არტაანის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილში – დასახლებისა და საცხოვრებლის

ტიპი წმინდა ქართულია; სპერის პროვინციის რთულად მისაღწევ ხეობებში, განსაკუთრებით ლაზისტანის ტავრის სამხრეთ ფერდობებზე, არა მარტო ყველა სოფელი ატარებს წმინდა ქართულ სახელს, არამედ მთელი მოსახლეობა ლაპარაკობს ქართულად. საერთოდ, მთელი ახალციხის საფაშო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა და განიხილებოდა სამი პროვინცია, არის ქართული სახელწმიფოებრიობის აკვანი და VII საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით, ანუ მთელი ათასწლეული, იყო ქართული კულტურის ცენტრი და საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწეებითა და მწერლებით ამდიდრებდა საქართველოს: ამ პროვინციებიდან, რომელიც თურქთა ბატონობამდე ატარებდა წმინდა ქართულ სახელებს, არის შოთა რუსთაველი – ქართველ პოეტებს შორის უდიდესი. საქართველოს ათასწლოვანი მაღალი კულტურის მოწმეა ქართული წარწერების მქონე აქ მდებარე არქიტექტურული ძეგლების დიდი რაოდენობა, რომლებიც გაბნეულია მთელი ქვეყნის მასშტაბით და რომლებიც გვხვდება მიყრუებულ და შორეულ კუთხეებშიც.

და ბოლოს, უკანასკნელი და შეიძლება ყველაზე დიდი არგუმენტი – ეკონომიკური: ბათუმი ეკონომიკურად მთლიანად დამოკიდებულია არტაანის ოკრუგზე – პურსა და საქონელს ის იღებს მისგან.

ჩრდილოეთის საზღვარი

(რუსეთთან)

რაც შეეხება საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე, აუცილებელია ახლავე, წითელი რუსული არმიის მოსვლამდე, დავადგინოთ შემდეგი ფაქტობრივი საზღვრები:

1) შავი ზღვის სანაპიროდან – მდ. მეხადირის შესართავი (იხ. სქემა № 3), ამ მდინარის აყოლებით მის შესართავამდე, შემდგომ წყალგამყოფი ქედი. სამხედრო თვალსაზრისით, ეს მოსაზრება შესაძლებელია მხოლოდ ამჟამინდელ გაურკვეველ ვითარებაში – ეს საზღვარი ჩვენ აუცილებლად გვესაჭიროება: მეხადირის პოზიცია, მტკიცე თავისი ბუნებით, თითქმის მთლიანადაა უზრუნველყოფილი მარჯვენა ფლანგიდან შემოვლისაგან, იკარგება რა მარცხნიდან ზღვაში, კარგად არის გამაგრებული ჩვენი ჯარების მიერ, რომლებიც აქ უკვე დიდი ხანია დგანან; იგი იცავს ისტორიულად ცნობილ გაგრის გასასვლელს, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს შავი ზღვისათვის, როგორიც დერბენტის გასასვლელს კასპიის ზღვაზე, – ორივე შესაძლებლობას იძლევა ერთი მუჭა მეომრებით შეაჩეროს არაკეთილმოსურნეთა დიდი ნაწილი; ორივე მათგანი – დარიალისა და კასარის ხეობებით, მთავარი გზებია იმ დიდი შეიარაღებული ძალებისათვის, რომლებიც მოემართებიან ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, იქნება ეს მოხალისეთა თუ ბოლშევიკთა არმია; სხვა ყველა დანარჩენ გზას, გამავალთ კავკასიონის ქედზე, არ აქვს ასეთივე დიდი სამხედრო მნიშვნელობა.

შემდგომ საზღვარი უნდა გავიდეს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით კავკასიონის მთავარ ქედზე – მთა ადაიხოხამდე; ეს საზღვარი ემთხვევა კავკასწინეთსა და ამიერკავკასიას შორის არსებულ ყოფილ ადმინისტრაციულ საზღვარს, რომელიც ამჟამად არავის მიერ არ განიხილება სადავოდ.

2) მთა ადაიხოხიდან საზღვარმა უნდა გაიაროს მთავარი ქედის განშტოებაზე, რომელიც შემოსაზღვრულია მდ. ცეის ხეობით ჩრდილოეთიდან – მდ. არდონის

თანაკვეთამდე სოფ. ნუზალთან, საიდანაც უახლოეს განშტოების გავლით უნდა გაიარ-ოს მთა არხონი და შემდეგ კავკასიონის მთავარი ქედი ყაზბეგის მთამდე.

ამრიგად, მდ. არდონის მთელი ზემო დინება სოფ. ზამახის ცენტრით, რჩება საქა-რთველოს ფარგლებში, როგორც ეს იყო ათასწლეულების მანძილზე მთელ ისტორიულ პერიოდში, რუსეთთან შეერთებამდე. საკითხის ასეთი გადაჭრა არდონის (დვალეთი – Dwalethi) ზემოთზე განპირობებულია შემდეგი მოსაზრებებით:

ა) <u>სამხედრო</u> <u>მოსაზრებანი</u>. საკმარისია ყურადღებით დავათვალიეროთ სქემა № 4[1], რათა დავრწმუნდეთ, რომ კავკასიონის მთავარი ქედი, მთა ადაიხოხის მონაკვეთზე, გადის მდ. არდონის გარღვევასთან და კერძოდ, ვიწრო, მკაცრ და ხელუხლებელ კასა-რის ხეობაზე, რომელსაც ისეთივე თვისებები აქვს, როგორც დარიალის ხეობას და ისტორიულად ისევე შეიძლება მისი დაცვა ორი-სამი ასეულით მტკიცე პოზიციის გამო სოფ. ნუზალთან, როგორც დარიალის ხეობაა „თამარ მეფის ციხესიმაგრესთან". სხვა ადგილებში ეს ქედი სრულიდ გაუვალია, თუ არ ჩავთვლით უმაღლეს დონეზე რთულ საფეხმავლო ბილიკს სოფ. აბაიყაუდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ამიტომ ჩვენს წინაპრებს სოფ. ნუზალისა და სოფ. აბაიყაუს პოზიცია ყოველთვის ჰქონდათ ხელში და მთელი დვალეთი ყოველთვის იყო რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ჩვენს ხე-ლში. და მართლაც, თუ ჩვენი წინაპრები ამ ბუნებრივი სამხედრო საზღვრის ნაცვლად დაკმაყოფილდებოდნენ თერგის ოლქის იმ ადმინისტრაციული საზღვრით, რომელიც გადის მდ. არდონსა და მდინარეების – რიონის, ლიახვისა და თერგის ზემო დინებებს შორის არსებულ წყალგამყოფ ხაზზე, მაშინ მათ მოუწევდათ ხაზის დაცვა ჩრდი-ლოეთიდან არა მარტო კასარის ხეობაში (რაზეც საჭირო იყო მაქსიმუმ 2-3 ასეული), არამედ ათ უღელტეხილზე (რისთვისაც საჭირო გახდებოდა არანაკლებ 20-30 ასეული, რომლებიც ერთმანეთისაგან იქნებოდნენ გათიშულნი და სრულიად ვერ შეძლებდნენ ერთმანეთის დახმარებას; იხილე სქემა № 4). ზუსტად ასეთივე მდგომარეობაში ვართ ჩვენ დღესაც: დვალეთი თუ არ იქნება ჩვენს ხელში, მაშინ მოხალისეებისა და ბოლშე-ვიკების არმიების შემოტევა, რომელიც ერთნაირად აგრესიულია ჩვენი მისამართით და იმპერიალისტურია თავისი მისწრაფებებით სამხრეთის მიმართულებით (საქართველოს გავლით მცირე აზიისაკენ), გვემუქრება ერთი პუნქტის ნაცვლად, ათ ადგილას, ამასთან თრუსოს უღელტეხილის გავლით გზა მიდის კობამდე, დარიალის ხეობის ზურგში. ცხადია, რომ ჩვენთვის გაცილებით იოლია ბოლშევიკებისაგან დაცვა, თუ დარიალი გვექნება უკან და ძალზე რთული იქნება, თუ ის ჩვენ წინ აღმოჩნდება. ამიტომ კასა-რის ხეობის ზემო წელი ჩვენ დაუყონებლივ უნდა დავიკავოთ, რომელიც ძლიერ უნდა გავამაგროთ თანამედროვე ტექნიკის საშუალებებით, რისი აქ გათვალისწინება საჭიროა უმთავრესად, ისევე როგორც დარიალის ხეობაში. თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, ბოლ-შევიკებთან ბრძოლა, რომელიც გველის ჩრდილოეთ საზღვარზე, და ამავდროულად, თურქეთთან ჩვენს სამხრეთ საზღვარზე, ჩვენთვის უკიდურესი მძიმე იქნება.

ბ) <u>ისტორიულ-ეთნოგრაფიული</u> <u>მოსაზრებანი.</u>

არდონის ზემო წელი სოფ. ნუზალამდე კასარას ხეობაში, მოცემული სქემაზე № 4, აღწერილია დვალეთის /Dwalethi/ სახელით ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილ „საქართველოს გეოგრაფიაში", როგორც საქართველოს პროვინცია და ამ პროვინცი-ის ცენტრი სოფ. ზარამაგა, სადაც დღემდე განისვენებს მისი ერთ-ერთი მმართველის – უფლისწულ გიორგის ძვლები (იხილე 5-ვერსიანი რუსული რუკა). უკვე ორიოდე ათასწლეულია დვალეთი საქართველოს ტერიტორიის ნაწილია და მისი მცხოვრებ-ნი მართლმადიდებელნი ოსები ლაპარაკობენ დვალურ ანუ ოსური ენის ტუალურ დიალექტზე, ანუ იმავეზე, რომელზეც საუბრობენ გორის მაზრის ოსები, რომლებიც ქრ.შ.-დან II საუკუნიდან არიან ქართველთა ძლიერი გავლენის ქვეშ, ვისგანაც მათ მიიღეს ქრისტიანობა; ეს ცოტათი აისახა მათ მეტყველებაზეც, რომელიც განსხვავე-

[1] ჩვენ ვერ მივაგენით ამ სქემებს [რედ.].

ბულია დიგორულისა და თაგაურისაგან – იმ ენებისაგან, რომლებზეც საუბრობენ ოსი მუსლიმანები, რომლებიც ცხოვრობენ მთავარი ქედის ჩრდილოეთითა და კასარის ხეობაში. დვალეთის ოსებიდანაა წარმოშობით XIV საუკუნის ქართველი პოეტი დვალი[1], რომელიც წარმომავლობით არის სოფ. ცეიდან, ცეისის ხეობიდან, რომელიც მდებარეობს სოფ. ნუზალის სიახლოვეს. ის გარდაიცვალა იერუსალიმში, დატოვა ძალზე საინტერესო ხელნაწერები ქართულ ენაზე.

ეს მოკლე ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობები გვაძლევს ჩვენ მორალურ უფლებასაც დვალეთის დასაკავებლად. ეს ჩვენი უფლება დასტურდება კავკასიის ეთნოგრაფიული რუკის[2] ყურადღებით გაცნობითაც: თუ ჩვენ დროულად არ გამოვყოფთ ჩრდილოეთ ოსებს, რომლებმაც დაიკავეს კასარის ხეობა, სამხრეთისაგან, მაშინ ორივე ეს ტომი, მიუხედავდ იმისა, რომ განსხვავებული რელიგიისაა და ლაპარაკობენ განსხვავებულ დიალექტზე, მალე გაერთიანდება ერთ მძლავრ ჯაჭვად და იოლად გაარღვევს იმ ვიწრო ეთნოგრაფიულ ყელს, რამაც ჯერ კიდევ ვერ გააერთიანა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქართველები.

3) დარიალის ხეობის რაიონში ასევე აუცილებელია აღვადგინოთ ჩვენი საუკუნოვანი ისტორიული საზღვარი. ის მიდოდა (იხილე სქემა № 5) მთა ჩას-ხოხიდან ქაჟდანის ქედამდე (დარიალის ხეობის დასავლეთით), მთა ჩასამდე და გადადიოდა მდ. თერგზე ჯერახოვის ციხესიმაგრესთან, რომელიც უნდა იყოს ჩვენს ხელში, გრძელდებოდა მდ. კისტინკის მარცხენა სანაპიროზე, მის აყოლებით სოფ. ლიაჟგამდე (Ляжга), ხოლო მისგან სამხრეთით ქედის გასწვრივ, რომელიც აღნიშნულია სიმაღლითი ნიშნულებით – 8383, 9975 და 12075 (მთა მალჩოჩკ-კორტი კავკასიონის მთავარ ქედზე). საზღვრების ასეთი მოხაზვა ათასწლეულობით იყო საჭირო და დღესაც საჭიროა წმინდა სამხედრო თვალსაზრისით: საუკეთესო ბუნებრივი პირობებით, დარიალის ხეობის დაცვა ქართულ სოფ. ლარსსა და „თამარ მეფის ციხეს“ შორის ძაფზე იქნება დაკიდებული, თუ გზა ქვ. და ზ. ოზმი-მაგუჩყალა-ტახტარტ-დარიალის ციხესიმაგრე, რომელიც მარჯვნიდან და ზურგიდან უვლის დარიალის პოზიციას, არ იქნება ჩვენს ხელში, როგორც ეს იყო იმ მომენტამდე, როცა ჩვენ შევუერთდით რუსეთს.

ზოგადი დასკვნები

დასკვნისათვის, მე ვთვლი აუცილებლად მოვიყვანო სამი ცხრილი, რომელთა ციფრები ძალზე თვალნათელია, – თვით ამ ციფრების შედარება მოგვცემს იმ დასკვნის შესაძლებლობას, რომელიც საკმაოდ დამაჯერებელი იქნება იმ პირთათვის, ვინც ჩვენი ათასწლოვანი კულტურის ბუდესთან შემოერთებას მიიჩნევენ „ანექსიად“ და „იმპერიალიზმად“. თუ სიტყვები მათზე ჰიპნოზირებს, ეს ციფრები მათ გამოაფხიზლებს.

---

[1] იგულისხმება წმინდა მოწამე ნიკოლოზ დვალი [რედ.].

[2] სავარაუდოდ იგულისხმება „კავკასიის ეთნოგრაფიული რუკა“ [ЭтнографическаякартаКавказа, 3 листа: ТифлисскойиКутайскойгубкрнии, Карскойобласти, 1886. Сост. Е. Кондратенко,масштабъ 20 верстъвъдюймъ] [რედ.].

I.

<u>მაქსიმუმი</u> <u>იმისა,</u> <u>რაც</u> ჩვენი არმიის სრული მობილიზაციისას შეგვიძლია გამოვიყვანოთ:

1/ ბატალიონები -------- 36

2/ ქვემეხი --------- 96

3/ ესკადრონები --------- 3

4/ ტყვიამფრქვევი --------216

II.

<u>მინიმუმი</u> იმისა, რაც ჩვენ დაგვჭირდება ბოლშევიკებთან და თურქებთან პირველი ბრძოლებისას, თუ ჩვენ არ მოგვცემენ შესაძლებლობას ახლავე დავიკავოთ დვალეთი (არდონის ზემოთი), ჯერახოვის ციხესიმაგრე (დარიალის ხეობით), ბათუმის ოლქი და არტაანის და ოლთისის ოკრუგები.

1/ მეხადირის პოზიციის დაცვისათვის ---- 6 ბატ. 12 ქვემეხი, 1 ესკ. 50 ტყვიამფრქვევი.

2/ დვალეთის ათეულობით უღელტეხილის "-" ---- 3 ბატ.8 ქვემეხი, 1 ესკ. 28 ტყვიამფრქვევი.

3/ დარიალის ხეობის "-" ---- 1 ბატ. 4 ქვემეხი, 1/2 ესკ. 12 ტყვიამფრქვევი.

4/ საზღვარი ბათუმის ოლქის მხრიდან ---- 18 ბატ. 24 ქვემეხი, 2 ესკ.144 ტყვიამფრქვევი.

5/ არტაანის ოკრუგის ---- 32 ბატ. 48 ქვემეხი, 4 ესკ.130 ტყვიამფრქვევი.

- -

ჯამი ---- 60 ბატ. 96 ქვემეხი, 8 ესკ. 364 ტყვიამფრქვევი.

III.

<u>მაქსიმუმი</u> იმისა, რაც ჩვენ დაგვჭირდება ბოლშევიკებთან და თურქებთან დაძაბული ბრძოლისათვის, თუ ჩვენ ახლავე დავიკავებთ დვალეთს, ჯერახოვის ციხესიმაგრეს მდ. კისტინკის მარცხენა ნაპირით, ბათუმის ოლქსა და არტაანისა და ოლთისის ოკრუგებს.

1/ მეხადირის პოზიის დაცვისათვის ---- 6 ბატ. 12 ქვემეხი, 1 ესკ. 64 ტყვიამფრქვევი.

2/ მუზალის პოზიცია კასარის ხეობის ,,-" ---- 1 ბატ. 4 ქვემეხი 1/4¼ esk. 8 ტყვიამფრქვევი.

3/ დარიალის ხეობის "-" ---- 1 ბატ. 4 ქვემეხი, ¼1/4 ესკ. 12 ტყვიამფრქვევი. .

4/ რუსეთის ყოფილი სახელმწიფო საზღვარი ბათუმის ოლქში "-" ---- 6 ბატ. 12 ქვემეხი, 1/2½ ესკ. 48 ტყვიამფრქვევი.

- -

ჯამი ---- 24 ბატ. 44 ქვემეხი, 4 ესკ. 196 ტყვიამფრქვევი.

IV.

სამივე ცხრილის ჯამი

	I მეომრების გამოყვანა ომის დროს	II მეომართა საჭიროება, თუ არ გავაფართოვებთ საზღვრებს	მეომართა საჭიროება, თუ გავაფართოვებთ საზღვრებს
ბატალიონები	36	60	24
ქვემეხი	96	96	44
ესკადრილები	3	8	4
ტყვიამფრქვევი	216	364	196

დასკვნები სრულიად მკაფიოა:

თუ ჩვენ არ მოგვცემენ შესაძლებლობას დავიკავოთ ზემოთ ხსენებული პროვინციები, მაშინ ბოლშევიკებისა და თურქების <u>მხოლოდ პირველი დარტყმების მიღებისას</u> ჩვენ დაგვჭირდება თითქმის ორჯერ მეტი მეომარი, ვიდრე შეგვიძლია გამოვიყვანოთ. თუ ჩვენ ახლავე გადმოგვცემენ ამ ტერიტორიებს, მაშინ ბოლშევიკებისა და თურქებისაგან ჩვენი საზღვრების დაძაბული და ხანგრძლივი დაცვისათვის ჩვენ გვეყოფა ჩვენი მეომრების მხოლოდ 2/3, ხოლო 1/3 გვეყოლება საერთო რეზერვში, ყოველ შემთხვევისათვის: მეგობრები ამიერკავკასიაში ჩვენ მცირე გვყავს, ხოლო მტრები, ალბათ, მოიძებნებიან, თუმცა უფრო მცირენი არიან, ვიდრე ბოლშევიკები და თურქები.

ი. ოდიშელიძე
4 თებერვალი, 1920 წელი
ქალ. ტფილისი
სწორია: [ხელმოწერა]

III. საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესის ამსახველი დოკუმენტები

(1917-1921 წლები)

1. საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს სხდომათა ოქმი

(ფრაგმენტი)

წყარო: საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს სხდომათა ოქმები (შავები). საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1823, აღწ. 1, საქმე 6, ფ. 1-8.

ქართულ ინტერპარტიულ პირველ კრებას, რომელიც მოხ. – 1917 წ., აპრილის პირველ რიცხვებში და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ერთგვარ შეთანხმებას საქართველოში არსებულ პარტიათა შორის, ოქმი არ უწარმოებია.

მეორე ინტერპარტიული კრება შესდგა ამ წლის აპრილის 16, კვირას. დაესწრნენ ეროვნულ-დემოკრატების, სოც.-ფედერალისტების და სოც.-დემოკრატების წარმომადგენლები.

ეროვნულ დემოკრატების მხრიდან დაესწრნენ: გ. გვაზავა, გ. ჟურული, დ. ვაჩნაძე, გ. ვეშაპელი, ს. კედია, ბ. ასათიანი.

სოციალ-ფედერალისტებიდან: გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე. ი. ბარათაშვილი, ს. მდივანი, ს. ფირცხალავა, ს. დადიანი, შ. მესხიშვილი.

სოციალ-დემოკრატებიდან: ა. ჩხენკელი, ნ. რამიშვილი. გ. ფაღავა, გ. გიორგაძე, პ. საყვარელიძე.

თვმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ ა. ჩხენკელს, მდივანათ პ. საყვარელიძეს.

[...]

– ა. ჩხენკელი. ჩვენი კრებების მიზანია ეროვნულ საკითხში შეთანხმება. პირველ კრებაზე სამმა პარტიამ (ს.დ., ს.-ფ.) და ნ.-დ.) გააკეთა მოხსენება და გააცნო კრებას თავის შეხედულებ[ა] საგანზე. საკითხი ორად გავყავით: საქართველოს ტერიტორია და ეროვნული სეიმის კომპეტენცია. პირველზე მსჯელობა პირველ კრებაზე გვქონდა. მეორეზე დღეს გევქნება ლაპარაკი. პირველ – ტერიტორიალ კითხვაში / მოხდა ერთგვარი შეთანხმება. საქართველოს ტერიტორიალური ერთეულის საზღვრებისა ერთ[ა]დ ნაჩვენებია, თუმცა დაწვრილებით სახელობითათ ჩამოთვლილი არ იყო ყველა მისი ნაწილები. გარდა ამისა თავის მხრით ტერიტორიულ საკითხის ორი მხარე აღინიშნა: საქართველოს ერთეულის უდაო და სადავო ტერიტორია.

უდაო ტერიტორია ის არის, სადაც ქართველობა უმრავლესობას შეადგენს, ქართველთა რეალური მოსახლეობაა. სადაო ტერიტორია – პერიფერიებია, განაპირა რაიონებია, სადაც უმრავლესობას ქართველობა არ შეადგენს, ან ხალხის სურვილი არ ვიცით საით მოისურვებს წასვლას. ამ ნაირად სადაო ტერიტორიის ბედი საბოლოოდ გადაჭრილი არაა. ამ ტერიტორიის საზღვრებში საქმე უნდა გადაწყდეს ადგილობრივ ხალხის შეკითხვით და რეფერენდუმით.

ქალაქი თბილისი უდაო ტერიტორიის საზღვრებშია შეტანილი. ამაში ყველა პარტიის წარმომადგენელნი შეთანხმდნენ. სადაო ტერიტორიაში რეფერენდუმის გარდა ეკონომიური მოსაზრებითაც უნდა გვეხელმძღვანელა, ზოგიერთის აზრით. მაგრამ ეკონომიურ მხარეს განსაკუთრებული გამოყოფა აღარ ეჭირვება, რადგან ხალხი რეფერენდუმის

დროს მხედველობაში მიიღებს მთელს მდგომარეობას, საკითხის ყოველ მხარეს როგორც ეკონომიურს ისე ეთნოგრაფიულს და საზოგადოებრივ-კულტურულს.

ახლა მეორე საკითხზე გადავიდეთ. კომპეტენციის საგანი გავითვალისწინოთ. როგორც ვთქვით, ტერიტორიალურ საკითხში ერთგვარი შეთანხმება მოხდა, თუმცა ამ შეთანხმებისათვის ჩამოყალიბებული სახე არ მიგვიღია. როცა კომპეტენციის კითხვებში მოვახდენთ აზრთა გაცვლა-გამოცვლას და საერთოდ შევთანხმდებით, ისევ დავუბრუნდებით ტერიტორიას საბოლოვო გადაწყვეტილების გამოსატანად.

თავის-თავად კომპეტენციის საკითხი შეგვიძლია დავანაწილოთ კამათის ნაყოფიერებისათვის შემდგეგ ნაირად:

1) საქართველოს ტერიტორიული ერთეულის კომპეტენცია,

2) ამ ერთეულის დამოკიდებულება სხვა ამიერ-კავკასიაში არსებულ ტერიტორიალურ ერთეულებთან და

3) ამ ერთეულის და სრულიად რუსეთის ცენტრის ურთიერთული დამოკიდებულება. – გთხოვთ ილაპარაკოთ ამ საგანზე.

[...]

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ოქმები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომა
17 ნოემბერი 1918 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომის ოქმი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 5.

საიდუმლო

„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომა. 17 ნოემბ[ერი], 1918 [წ.].

თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია

[...]

მოისმინეს:

1) სტამბოლის დელეგაციის წევრის გ. გვაზავას მოხსენება და

2) გარეშე საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის შესახებ, საგარეო საქმეთა მოხსენება.

დაადგინეს:

I. მიენდოს გარეშე საქმეთა მინისტრს თანამედროვე საქმეთა მიმდინარეობაში განხორციელება შემდეგისა:

ა. სომხეთთან მოლაპარაკების დროს საჭიროა კონფერენციამდე გამოირკვეს [წ]ინასწარ: უნდათ თუ არა სომხებს საკუთარი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა;

ბ) [ს]აერთოდ: სომხეთთან მოლაპარაკების დროს საჭიროა ხაზგასმით იქნას გათვალისწინებული ის აზრი რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაში სომხეთის პოლიტიკური ცენტრი უნდა იწევდეს საოსმალო სომხეთისაკენ.

[...]

დ) შესდგეს ისტორიკოსთა მიერ შემუშავებული მოხსენება ბათომის ოლქის და საერთოდ სამაჰმადიანო საქართველოს ნაწილების ისტორიულ ბედის შესახებ და მემორანდუმის სახით წარმოადგინოს იგი ბათომში ინგლის-საფრანგეთის მისსიას.

II. ევროპაში პროპაგანდისათვის გაიგზავნოს დელეგაცია შემდგარი შემდეგი პირებისაგან: ნიკო (იგივე კარლო) ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სპირიდონ კედია; იმ შემთხვევაში, თუ ნოე რამიშვილის ვერ მოხდა წასვლა, მის მაგიერ იქნეს არჩეული ირაკლი წერეთელი.

[...]

მთავრობის თავმჯდომარე: [ნ. ჟორდანიას ხელმოწერა - რედ.]
საქმეთა მმართველი:
მდივანი: გ. რობაქიძე

საქართველოს მთავრობის 1918 წლის 21 ნოემბრის სხდომის ოქმი[1]

საიდუმლო პირი

საქართველოს მთავრობის 21 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია,

მინისტრები: გ. ჟურული, ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი, ი. ლორთქიფანიძე, შ. მესხიშვილი, გ. გიორგაძე. მინისტრების ამხანაგები: კ. საბახტარაშვილი, პ. გელეიშვილი, შ. ერაძე, კ. კანდელაკი.

სახელმწიფო კონტროლიორი: მ. გოგიჩაიშვილი.

გასაგზავნი დელეგაციის წევრები: კ. ჩხეიძე, ნ. ნიკოლაძე, გ. რცხილაძე.

მთავრობის საქმეთა მმართველის თანამდებობის აღმასრულებელი: ა. ჯაფარიძე. მდივანი: გ. რობაქიძე.

საქართველოს დელეგაციის გაგზავნის შესახებ:
გაცვლა-გამოცვლა.

1. გერმანელებთან ეკონომიური ხელშეკრულების შესახებ.

დელეგაციას შეუძლია აუწყოს ვისაც ჯერ არს, რომ საქართველოს რესპუბლიკა ყოველთვის მზადაა მიიღოს ეს ხელშეკრულებანი მცირე შესწორებებით, – ხოლო ახლა, როცა საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია მეტად გართულდა, საქართველოს რესპუბლიკა არც ამტკიცებს მიღებით ამ ხელშეკრულებებს და არც უარყოფს მათ.

2. დაევალოს სხვადასხვა უწყებათ, საჩქაროდ მიაწოდონ დელეგაციას საჭირო ცნობები.

3. დელეგაციისათვის საჭირო თანხა განსაზღვრული სმეტით მიღებულ იქნას, – და საჭირო მოულოდნელი ხარჯებისათვის დელეგაციის თავმჯდომარეს გაეხსნას კრედიტი იმ ფულიდან, რომელიც დევს „დოიტშე ბანკში" საქართველოს რესპუბლიკის სახელზე.

4. დელეგაცია წაიყვანს სპეციალისტებს სხვადასხვა საკითხებისათვის და აგრეთვე მოაწყობს საინფორმაციო ნაწილს.

5. პოლიტიკური საკითხის შესახებ დელეგაციამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი მოსაზრებებით:

ა) დელეგაცია წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს, თუ ვინიცობაა მოკავშირეებმა მიზნად დაისახეს რუსეთის აღდგენა ძველს ფარგლებში; თვითონ რომ აღდგენილიყო რუსეთი თავისი ძალით, მაშინ შესაძლოა კიდევ - ეს საკითხი სხვა სახეს მიიღებდა. დღეს კი ხელოვნური აღდგენა რუსეთისა და მერე მისი მიტოვება ისევ ანარქიას გვიქადის; რესპუბლიკის დამყარება არც ისე ადვილი და საჩქაროდ მორიგებული საქმეა (– გავიხსენოთ თუ გინდ საფრანგეთი!) ასეთ პირობებში ჩვენი ხელოვნურად შეყვანა, ხელოვნურად აღდგენილ რუსეთში ჩვენს გასრესას მოასწავებდა: ერთი მხრივ, ბოლშევიკებისა და, მეორე მხრივ, რეაქციონერების მიერ.

---

[1] დოკუმენტი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:
ჟურნალი: „მაცნე", 1992, № 2. ავთანდილ მენთეშაშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია. გვ. 161-162;
აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე. საქართველოს ისტორია. საკითხავი წიგნი (1783-1990). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაცია. გამომცემლობა დავით აღმაშენებლის საზოგადოების მრავალდარგობრივი კომერციული ფირმა „მერანი". რედაქტორები: გ. ფანჯიკიძე, ჯ. ოდიშელი. თბილისი, 1992. გვ. 372-373.
მთავრობის ამ სხდომაზე დაამტკიცეს პარიზის საზავო კონფერენციის სახელზე წარსადგენი საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მოხსენება – იხ. აქვე ქვემოთ [რედ.].

ბ) ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი ამიერკავკასიის კონფედერაციისა, – ხოლო ჯერ თვითონ ამიერკავკასიის ერები უნდა განმტკიცდნენ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომ შემდგომ მათი შეკავშირება უფრო ადვილი და თავისუფალი იქნეს; კერძოდ, თუ მოკავშირეებს დასჭირდათ ეკონომიური მიზნით ბათუმ-ბაქოს რკინიგზა ისე, რომ იგი საბაჟოებით არ იყოს დაყოფილი, ამის წინააღმდეგ საქართველოს არაფერი ექნება.

გ) სომხებთან დაახლოება ჩვენთვის საჭიროა მეტად: თუ ჩვენ, ორი საქრისტიანო ერი, ვერ შევთანხმდით, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ საქართველო ვერ შეძლებს საკუთარ არსებობას; და ეს გარემოება, გარდა ამისა, ევროპაშიაც ცუდს შთაბეჭდილებას მოახდენს. ჩვენი მიზანი უნდა იყოს: ორი სომხეთის – ოსმალეთისა და რუსეთის – შეერთება: უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება, საოსმალო სომხეთისაკენ გადაიხაროს სომხეთის პოლიტიკურმა ცენტრმა, – ჩვენ ამ მიზნით იმაშიაც უნდა დავეხმაროთ სომხებს, რომ მათ გასავალი იპოვონ შავი ზღვის პირით, თუ ასე წავიდა საქმე, მაშინ სომხეთი აღარ მოაწვება საქართველოს, – და ადვილად გადაწყდება სომეხ-ქართველთა გამწვავებული ურთიერთობა; შესაძლოა, მათ ფარული დიპლომატიური გზებით ისარგებლონ, მაგრამ, თუ მათის მხრით გვექნება ხელში ოფიციალური დოკუმენტები შეთანხმებისა, ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ექნება სამშვიდობო კონგრესზე.

დ) სულ სხვაა აზერბაიჯანის საკითხი: იგი ჩვენთვის საშიშროებაა; აზერბაიჯანელები ცნობენ თავის თავს თურქებათ და ოსმალეთში შესვლას ჰლამობენ; მეორე მხრით, ოსმალეთიც მოიწევს აზერბაიჯანისაკენ: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ევროპიდან იდევნება და მეორე – დაჰკარგავს სამუდამოდ სირიას, პალესტინას, მესოპოტამიას, კონგრესზე კი ჩვენ ოსმალეთის წინააღმდეგ მოგვიხდება მოქმედება – და ამისათვის ვერც აზერბაიჯანთან ვიქნებით დაკავშირებული საერთო ინტერესით.

ე) სამშვიდობო კონგრესზე დელეგაცია უნდა ეცადოს სამაჰმადიანო საქართველოს საკითხის დაყენებას და მის ჩვენდა სასურველად გადაჭრას.

ვ) დელეგაცია უნდა შევიდეს პატარა ერთა კავშირის ორგანიზაციაში და მათთან ერთად უნდა გამოვიდეს სამოქმედო სამშვიდობო კონგრესზე.

ზ) ვალის გადახდამ, რაც უნდა დაგვატყდეს თავს, ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს: რაც დაგვედება, უნდა გადავიხადოთ, რომ დამოუკიდებლად იქნეს განმტკიცებული საქართველოს რესპუბლიკა.

თ) თუ დამოუკიდებლობის საკითხი ძალიან გამწვავდა და არას გზით არ იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, იმ შემთხვევაში, დელეგაციას ნება ეძლევა დაუთმოს, მხოლოდ ერთი განსაზღვრით: თუ იქნება პროტექტორატი, – მხოლოდ რომელიმე ევროპულ სახელმწიფოთა.

მთავრობის თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია
საქმეთა მმართველის თანამდ. აღმ: ა. ჯაფარიძე
მდივანი: გ. რობაქიძე
დედანთან სწორია: გ. რობაქიძე

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მოხსენება პარიზის საზავო კონფერენციის სახელზე და საქართ. მთავრობის 1918 წ. 21 ნოემბრის სხდომის ოქმი

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა[1]

(აკაკი სურგულაძისა და პაატა სურგულაძის თარგმანი)

წყარო: აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე. საქართველოს ისტორია. საკითხავი წიგნი (1783-1990). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაცია. გამომცემლობა დავით აღმაშენებლის საზოგადოების მრავალდარგობრივი კომერციული ფირმა ,,მერანი''. რედაქტორები: გ. ფანჯიკიძე, ჯ. ოდიშელი. თბილისი, 1992. გვ. 372-385.

წარდგენილი მშვიდობიანი კონფერენციისადმი
(პოლიტიკური მოთხოვნები. საზღვრები)
აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ რუკითურთ. პარიზი,
1919 წლის ივლისი

I. ისტორიული ცნობა. საქართველოს საკითხი, რომელიც ფაქტიურად მხოლოდ საქართველოსთვის დაისმის, იმაში მდგომარეობს, რომ აღიარებენ თუ არა საქართველოს რესპუბლიკას დიდი სახელმწიფოები და მიიღებს თუ არა იგი საერთაშორისო მხარდაჭერას ხალხის მიერ უკვე გამოცხადებულ და ორგანიზებულ დამოუკიდებლობაში.

საკითხის ამგვარად დასმა რუსეთის იმპერიის დაცემისა და ქართველი ხალხის ეროვნული, დემოკრატიული იდეების განვითარების გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს. თავისუფლებას საქართველოში ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილს მხოლოდ ხანმოკლე პერიოდში (1801-1917 წ.წ.) წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, საქართველოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა საბერძნეთსა და წინა აზიის უდიდეს ცივილიზაციებთან. მისმა პირველმა ყლორტებმა აქ ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში იხარეს.

---

[1] პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მრავალი დოკუმენტი იქნა წარდგენილი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები ცდილობდნენ წარმოეჩინათ თავიანთი ქვეყნის ისტორია, ტერიტორიული მომცველობა და მოთხოვნილი საზღვრები. 1919 წელს პარიზში გამოვიდა სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოდან ოფიციალურად წარდგენილი დოკუმენტი: Memories présenté á la Conférence de la paix (revendications politiques-frontiéres) suivi de l'carte de l'independance de la Géorgie et d'une carte. Paris [Imp. M. Flinikowski] 1919. 1 p. 1., [5] - 22 p., 11. map, 27 cm. At head of title: Délégation géeorgienne á la Conférence de la paix, გვ. 11). ეს დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტების განყოფილებაში. მოგვიანებით ითარგმნა ქართულადაც. ეჭვგარეშეა, რომ ამ დოკუმენტის შედგენაში ივ. ჯავახიშვილიც მონაწილეობდა. გამოცემას თან ერთვის ივ. ჯავახიშვილის მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემული ,,საქართველოს რუკა'' (Carte de la Géorgie).

1926 წელს სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ, კალიფორნია) გამომცემლობამ გამოაქვეყნა ,,პარიზის კონფერენციაზე სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ წარდგენილი დოკუმენტების კატალოგი''. როგორც ამ გამოცემიდან ირკვევა სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილი დოკუმენტები ორ ძირითად კატეგორიად იყო წარმოდგენილი: დელეგაციის მიერ ავთენტურად მიჩნეული დოკუმენტები (Propaganda Authenticated by the Delegations) და დელეგაციის არაავთენტური დოკუმენტები (Propaganda Unauthenticated by the Delegations). ცხადია, სათანადო დოკუმენტებით წარდგა საქართველოც [რედ.].

თანდათან ჩამოყალიბდა ბიზანტიის ცივილიზაციასთან, აღმოსავლეთ არაბეთისა და ირანის კულტურებთან შერწყმული უნიკალური კულტურის საზოგადოება. ძლიერი ეროვნული სული თანდათან გამოვლინდა სახელმწიფოს ეკლესიისაგან დამოუკიდებლად განვითარებისას, აგრეთვე ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რომელიც სწრაფად თავისუფლდებოდა ეკლესიის გავლენისაგან და წმინდა საერო იდეალებით იმსჭვალებოდა.

საქართველოს სახელმწიფომ ამავე ეპოქაში მიაღწია მთლიან პოლიტიკურ ერთიანობას და X–XIII საუკუნეებისათვის კულტურის სრულ აყვავებას, რომლის მრავალრიცხოვანი კვალი შემორჩა ლიტერატურულ ძეგლებს, სადაც ხალხის ცოცხალი ტრადიციებია შემონახული.

ერის ძლიერი და ჰარმონიული განვითარება, რომელმაც შუა საუკუნეებში ესოდენ ძლიერი სახელმწიფო შექმნა, XIII–XIV საუკუნეებში მონღოლების კატასტროფული შემოსევისას შეწყდა. ერთიანი საქართველო ცალკეულ ნაწილებად დაიშალა და მისი ცივილიზაციის თანაზომიერი განვითარება დიდი ხნით შეფერხდა.

აღმოსავლეთ რომის იმპერიის დაცემამ, საქართველოს მრავალი საუკუნით დაკარგვინა კავშირი დასავლეთ ევროპასთან; მას ბედმა ორ მძლავრ მუსულმანურ იმპერიებთან – თურქეთთან და ირანთან მეზობლობა არგუნა. ისინი ყოველთვის ცნობილები იყვნენ რელიგიური შეუწყნარებლობით და თავისი პოლიტიკური ძალაუფლების გაფართოების წყურვილით. თითქოს დაფლეთილი, პოლიტიკურად განცალკევებული და ქრისტიანული სახელმწიფოებისაგან გეოგრაფიულად იზოლირებული საქართველო პირისაგან მიწისა უნდა აღგვილიყო და თურქთა და სპარსთა გაუთავებელი თარეშის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, რომლებიც ერთი-მეორის მიყოლებით იპყრობდნენ მის ოლქებს. მაგრამ მიუხედავად დიდი და უთანასწორო იძულებითი ბრძოლებისა, ქართველი ხალხი უდიდესი მსხვერპლის ფასად გადარჩა, და არა მარტო ფიზიკურად გადარჩა, არამედ XIX საუკუნემდე შეინარჩუნა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ასეთი უჩვეული გამძლეობა საუკუნეებით გამოწრთობილი ხალხის სასიცოცხლო ძალით და ქართველი ხალხის დაუმორჩილებელი, გაუტეხელი ეროვნული სულით შეიძლება აიხსნას, არც ერთი წამით არ ჩამქრალა მასში სურვილი, თავი გამოეხსნა ისლამური სამყაროსაგან და დასავლეთ ევროპის კულტურისაკენ გაეკვალა გზა.

მაგრამ თურქეთის გამგებლობა ამ გზას გაუმტარი კედლით ღობავდა. საქართველო იძულებული იყო ჩრდილოეთისთვის მიემართა, რომელიც მისთვის შედარებით მისაწვდომი იყო და, გარდა ამისა, რუსეთის სახელმწიფო მომძლავრებული და გაზრდილი, სწრაფი ნაბიჯით უახლოვდებოდა შავ ზღვას. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურები, თაობების მანძილზე მთელ თავის საქმიანობას იქითკენ წარმართავდნენ, რომ რუსეთის მხარდაჭერით საქართველო არა მარტო თავისუფლებით, არამედ შიდა განვითარების შესაძლებლობითაც უზრუნველეყოთ. პირველი შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წ. დაიდო. თავდაპირველად რუსეთის უბრალო პროტექტორატის ფორმით აღმოსავლეთ საქართველოზე; იგი ერეკლე II-სა და ეკატერინე II-ს შორის დადებულ ხელშეკრულებას ემყარებოდა. მოგვიანებით რუსეთმა ასეთივე ხელშეკრულებები საქართველოს სხვა სამთავროებთანაც დადო, მაგრამ მალე ეს პროტექტორატი მთლიან მიერთებად გადაიქცა და ამას სახელმწიფოს ყოველგვარი ავტონომიის სრული განადგურება მოჰყვა.

II. საქართველო რუსეთის იმპერიის ძალაუფლების ქვეშ. ალექსანდრე I-მა გააუქმა პროტექტორატი და 1801 წელს ოფიციალურად გამოაქვეყნა მანიფესტი აღმოსავლეთ საქართველოს შემოერთებაზე, რომელსაც მოჰყვა სრულიად თვითნებური და ცალმხრივი ანალოგიური აქტების სერია საქართველოს სხვა დარჩენილი ოლქების მიმართ.

რუსეთის გამგებლობის პირველი 10 წლის მანძილზე ხალხი, დაღლილი თავისი მრავალსაუკუნოვანი განცდებით, გაოგნებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ერთდროულად ორი ამოცანა ხორციელდებოდა: თანდათანობითი ასიმილაცია, ცხოვრების ახალი ფორმების შემოღება და უძველესი სტრუქტურის განადგურება.

გაქრა ფეოდალური და მონარქიული საქართველოს უკანასკნელი კვალი და ამ ფერფლიდან დაიბადა ახალი საქართველო იმ კულტურული და დემოკრატიული იდეებით მოცული, რომლებიც მთელ ევროპას აღაფრთოვანებდნენ. მიუხედავად მძიმე მარწუხებისა, რომელიც იმპერიის რეჟიმმა დაადო მის განაპირა მცხოვრებ ყველა არა რუსი ხალხის თავისუფლებასა და განვითარებას, საქართველომ XIX-ს ბოლოს შეძლო არა მარტო მნიშვნელოვანი პროგრესის განხორციელება ეკონომიკაში, არამედ მთელი კავკასიის მთავარი პოლიტიკური ბირთვი გახდა.

რუსეთის 1905-07 წლების პირველი რევოლუციის დროს, საქართველოს დემოკრატიის ძალა, მისი მოწიფულობა და დისციპლინა, სრულად და აშკარად გამოვლინდა.

ქართველი ხალხი იბრძოდა რა რუსული დემოკრატიის მხარდამხარ, ეხმარებოდა რუს ხალხს ცარიზმის დამხობაში და დემოკრატიის დამყარებაში, რომელიც ხელს შეუწყობდა რუსეთში მცხოვრები ყველა ხალხების ეკონომიკურ განვითარებას და ეროვნულ უფლებებს.

III. საქართველო და მსოფლიო ომი. 1914-1918 წწ. მსოფლიო კატასტროფამ ძირეულად შეძრა საქართველო, რომელიც გმირულად მონაწილეობდა ომში. 200 000 ქართველმა, რომელიც რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მხარდამხარ იბრძოდა ბალტიისპირეთიდან მესოპოტამიამდე, მოიხადა თავისი მხედრული ვალი და სიცოცხლე გაწირა ამ ომში. აზიის ფრონტზე ქართველ მოსალისეთა სპეციალური ქვედანაყოფები იბრძოდნენ.

როდესაც რუსეთის რევოლუციის საათმა დაჰკრა, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების უდიდესი ნაწილი კავკასიისა და რუსეთის მმართველობაში ჩაბეს.

ყოველთვის და ყველა გარემოებაში ეს ადამიანები და ის მასები, რომლებიც მათ მიჰყვებოდნენ, ძალღონეს არ იშურებდნენ რუსეთის რევოლუციის სამხედრო ფრონტის გაძლიერებისათვის გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როდესაც რუსეთში საყოველთაოდ ცნობილი მდგომარეობის გამო, მაქსიმალიზმმა გაიმარჯვა, არმიამ, სახელმწიფო მექანიზმმა და ეკონომიკამ თანდათანობით დაიწყო რღვევა. ქართულმა დემოკრატიამ უარი თქვა, ეცნო პეტროგრადული უზურპატორები. მან ხელში აიღო ინიციატივა, დაეცვა მთელი ამიერკავკასიის როგორც ეროვნული, ისე სამხედრო ინტერესები და რუსეთისაგან გამოყოფილი აღმოჩნდა.

ამგვარად, გახდა რა მთავარი მამოძრავებელი ძალა ამიერკავკასიის ცხოვრებაში, ქართულმა დემოკრატიამ სომხების მხარდაჭერით მთელი ძალები მოახმარა თურქეთისაგან კავკასიის დაცვას.

საუბედუროდ, ამიერკავკასიის სამხედრო ძალები დეზორგანიზებული აღმოჩნდა.

როდესაც 1918 წლის მარტში ბოლშევიკებმა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, ბათუმი, ყარსი და არდაგანი თურქეთს დაუთმეს, ამიერკავკასიის მთავრობამ მრისხანე პროტესტი გამოთქვა ამ მართლაც შემზარავი აქტის გამო და მიიღო გადაწყვეტილება იარაღით ხელში დაეცვა ამიერკავკასიის ტერიტორია თურქეთისაგან.

ეს ამოცანა არ განხორციელდა ფრონტის მთლიანად დაშლის, რუსეთის არმიის უწესრიგო უკანდახევისა და ეროვნული არმიის სწრაფად ფორმირების გამო, რომელსაც უნდა შეეცვალა ძალაგამოლეული რუსები და ახალი მტკიცე ფრონტი შეექმნა.

1918 წლის გაზაფხულზე თურქეთის იერიში, რომელმაც აიძულა რუსები უწესრიგოდ დაეხიათ უკან, ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკური სოლიდარობის სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა.

IV. ამიერკავკასიის რესპუბლიკა და დამოუკიდებელი საქართველო. ამიერკავკასიის რესპუბლიკა 1918 წ. 22 აპრილს ამიერკავკასიის დამფუძნებელი კრების მიერ ოფი-

ციალურად გამოცხადდა, ეფემერული აღმოჩნდა და ძალიან მალე საქართველო, არა მარტო ბათუმისა და არდაგანის, არამედ ახალციხისა და ახალქალაქის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. იგი იძულებული იყო, შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს გამოყოფა მეზობელი თურქეთის აშკარა მტრული დამოკიდებულების გამო გარდაუვალი გახდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ამან მთელი ამიერკავკასიის მუსულმანური პარტიების მტრული დამოკიდებულება გამოიწვია.

1918 წ. 26 მაისს, თბილისის ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საქართველოს მთავრობა დაუყონებლივ შეუდგა თურქების იერიშის მოგერიებას.

ჯარისაგან განადგურებული და მოკავშირე სახელმწიფოებისაგან მთლიანად მოწყვეტილი საქართველო პირის-პირ აღმოჩნდა გამარჯვებულ თურქეთთან, რომელსაც მისი ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი (ოზურგეთი) უკვე დაპყრობილი ჰქონდა, და გადმოცემული ულტიმატუმით მთელ საქართველოს თურქეთის ჯარებით ოკუპაციას უქადდა.

საქართველო ამ მძიმე მდგომარეობაში იძულებული გახდა, გერმანიის დახმარება მიეღო, რომელმაც შესთავაზა, რომ შეაჩერებდა თურქეთის შეტევას და აიძულებდა მას ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიერ განსაზღვრული საზღვრიდან დაეხიათ.

საქართველოს მთავრობამ შეძლო თავი დაეღწია თურქების გარდაუვალი შემოჭრის საშიშროებისაგან და ხალხის მხარდაჭერით აღკვეთა ბოლშევიკური ბუნტის ცდები, რომელიც ნაწილობრივ რუსეთის ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების, ნაწილობრივ კი თურქეთის აგენტების მიერ იყო პროვოცირებული, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ მოსახლეობას შორის სათანადო ნიადაგი ვერ ჰპოვეს.

ყოველივე ამის გამო, საქართველოს მთავრობა სწრაფად გაუსწორდა ბოლშევიკურ რაზმებს, რომლებიც ჩრდილოეთის საზღვრებიდან საქართველოში დამკვიდრებას ცდილობდნენ.

წესრიგი მალე აღდგა და ამ დროიდან ქვეყნის არც ერთ კუთხეში არავითარი უწესრიგობა არ მომხდარა.

V. საქართველოს რესპუბლიკა. საქართველოში სახელმწიფო ძალაუფლებას თავიდანვე ძალიან უბრალო, ძალიან მკაფიო სტრუქტურა ჰქონდა.

სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს, რომელიც ხალხის ნებას გამოხატავს, პარლამენტი წარმოადგენს.

მისი შემადგენლობა დაფუძნებულია საყოველთაო არჩევნების შედეგზე, რომელიც საქართველოში 1919 წ. ჩატარდა, ამ დროს კი, რუსეთში დამფუძნებელ კრებას ირჩევდნენ. შემსრულებელ ორგანოს პარლამენტის ანგარიშვალდებული მინისტრთა საბჭო წარმოადგენს.

პარლამენტსა და მთავრობაში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატების პარტია წარმოადგენს, რომელსაც მხარს უჭერენ ქვეყნის არა მარტო მუშები, არამედ გლეხებიც.

«ამგვარი მტკიცე საძირკველის გამო, რომელიც სტაბილურობის გარანტიას იძლევა, საქართველოს მთავრობას, რომლის ზოგიერთი წევრი ჯერ კიდევ ამიერკავკასიის მთავრობის სათავეში იდგა, მისი დაარსებიდან ხელში ჰქონდა ძალაუფლება.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონებისამებრ ახლახან ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც საყოველთაო არჩევნებზე იყო დამყარებული. ეს ახალი საკრებულო წარმოადგენს ხალხის ძალაუფლების ორგანოს, რომელიც თავისი დანიშნულებით მთავრობაზე წინ დგას და პარლამენტს ექვემდებარება. (საქართველოს დამფუძნებელი კრება შეიკრიბა თბილისში 1919 წ. 12 მარტს და გააგრძელა საორგანიზაციო მუშაობა).

საქართველომ, ასეთი პოლიტიკური დისციპლინის წყალობით, თავი დააღწია სამოქალაქო ომის საშინელებას და ყოფილ რუსეთის იმპერიაში მშვიდი, ნორმალური ცხოვრების ოაზისი შეიქმნა.

რევოლუციამ სახელმწიფო არ დაანგრია. პირიქით, მან შექმნა სუფთა დემოკრატიულ საფუძველზე აღმოცენებული სახელმწიფო – ახალი წესებისა და რევოლუციური პრინციპების განსახიერება.

ქართულმა დემოკრატიამ ასეთ მძიმე, ტრაგიკულ მდგომარეობაში შეძლო პარლამენტისათვის და მთავრობისათვის მყარი ორგანიზაციის შექმნა და მთელი ადმინისტრაციულ სტრუქტურის განახლება. საყოველთაო არჩევნების შედეგად შეიქმნა თვითმმართველობის საქალაქო ორგანოები, იმ კანონების შესაბამისად, რომლებიც პარლამენტმა მიიღო და დაიცვა იდეალური სიზუსტით, ხელმოკლე უმიწო გლეხებს ურიგდებოდათ მიწები, ჩატარდა მართლმსაჯულების წარმოქმნისა და ორგანიზაციის რეფორმა, ბიუროკრატიული უწყებები ჩახშობის მანქანიდან დაწესებულებებად გადაიქცნენ. ისინი ემსახურებოდნენ ხალხს, რომლებსაც სჯეროდათ მათი. ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით, სოფლებში აღდგენილი იყო საფოსტო, სატელეგრაფო, და სატელეფონო ქსელები, თავის პოსტებზე იმყოფებოდა სახალხო არმიის ბაზები, რომლებსაც გამოცდილი, საკადრო ოფიცრები განაგებდნენ.

საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაციაში, რომელიც ასე ძლიერად და ღრმად იყო შეძრწუნებული ომითა და რევოლუციით, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები იყო. სავსებით იზოლირებული, ეკონომიკურ ავადმყოფობას განიცდიდა, რომელიც სახელმწიფოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფულის მიმოქცევაში გამოიხატა.

და მაინც, საერთო შთაბეჭდილება ნათელია: ეს იყო ახალგაზრდა დემოკრატია, წარმოქმნილი ხალხის უძველესი ცივილიზაციის სიღრმიდან, რომელმაც თავისი პოლიტიკურ წყობაში გვიჩვენა დემოკრატიის წრფელი ერთგულება და საღი აზროვნების შესაძლებლობა.

VI. საქართველოს პოლიტიკური მოთხოვნები. 1918 წლის 26 მაისს მთელ მსოფლიოს გამოუცხადა რა თავისი დამოუკიდებლობა, საქართველომ ყველა სახელმწიფოს მიმართა თხოვნით

– ეცნოთ იგი და დავდოთ მასთან საერთაშორისო შეთანხმება.

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას პატივი აქვს ამ დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ იშუამდგომლოს საზავო კონფერენციაზე შეკრებილი დიდი სახელმწიფოების წინაშე.

დელეგაცია სახელმწიფოების ყურადღებას მიაქცევს სწორედ ამ მოთხოვნების ღრმა სახალხო ხასიათს, რომლებიც მათ დასარწმუნებლადაა წარმოდგენილი.

ქართველი ხალხის ნება ამ საკითხში ნათლად და სრულად იყო წარმოდგენილი. საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე რეალობაა, რომელიც სახელმწიფოების მიერ მის ფორმალურ მოწონებას ელის.

საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიული დასაბუთება ნათელია. საქართველოს თავისუფალი დემოკრატია XX საუკუნეში კვლავ დაადგა ეროვნული განვითარების გზას, რომლის დასაწყისიც შორეულ წარსულში იკარგება და თვით XIX საუკუნის დასაწყისამდე არ შეწყვეტილა, მაშინაც კი, როდესაც აყვავებისა და სიძლიერის ხანგრძლივი ეპოქის შემდეგ, დაცემისა და დაშლის გზას დაადგა.

ეს გზა XIX საუკუნეში შეწყდა რუსეთის ძალაუფლების ქვეშ, მაგრამ დღეს საქართველოს დემოკრატიულმა სახელმწიფომ აღადგინა.

ქართველი ხალხის ეროვნული და ეთნიკური ინდივიდუალობა კარგადაა ცნობილი. ამიტომ, ჩვენ მხოლოდ მოკლედ შეგვიძლია ავღნიშნოთ მისი უძველესი ლიტერატურული ტრადიციების, მაღალი კულტურის, ენის, განათლებული ადამიანების შესახებ, რომლებიც კომპეტენტური არიან სახელმწიფოს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

მიუხედავად მცირე ტერიტორიისა, საქართველო საკმაოდ მდიდარ ეკონომიკურ რესურსებს ფლობს.

მმართველობის ძველი სისტემა ხელს უშლიდა მის განვითარებას, ამუხრუჭებდა ხალხის ენერგიას, ვერ იყენებდა წიაღისეულ სიმდიდრეებს.

ამჟამად, საქართველოში ვითარდება სოფლის მეურნეობა, მუშავდება მაღაროები, ყალიბდება კრედიტი, კომერცია და კოოპერატივები: ქალაქების გაზრდა-განვითარება ყოველდღიურად ზრდის ბაზარს.

მისი ტყეების სიმდიდრე, მინერალური ნედლეულის სიუხვე, მდინარეები, მრავალმხრივი ჰავა, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მნიშვნელობა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება დასავლეთის კავშირი სპარსეთთან და ცენტრალურ აზიასთან, წარმოადგენენ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიური მომავლის საუკეთესო გარანტიას.

საქართველოს დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა საზავო კონფერენციაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შუამდგომლობისათვის, ვალდებულად მიიჩნევს განსაზღვროს სახელმწიფოების წინაშე თავისი სახელმწიფოს ტერიტორიალური შემადგენლობა.

განსაზღვრავს რა თავის საზღვრებს, საქართველოს მთავრობა მოითხოვს მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ყოველთვის ეკუთვნოდა ქართველ ხალხს და, რომლებსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამავე დროს, სხვა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს არ ეხება.

საქართველო არ მოითხოვს იმ საზღვრების აღდგენას, რომელიც მას აყვავების ეპოქაში ჰქონდა. უარს ამბობს იმ ტერიტორიებზეც, რომლებიც მას 1801 წელს რუსეთთან შეერთების დროს ეკუთვნოდა და, რომლებიც მეზობელი ხალხების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

მეორეს მხრივ, რუსეთმა ივალდებულა 1783 წლის ხელშეკრულებით საქართველოსათვის თურქეთის მიერ უკანასკნელ მეფეთა მეფობის ხანაში დაპყრობილი ზოგიერთი ტერიტორია დაებრუნებინა. თურქეთმა ეს ტერიტორიები დაუბრუნა რუსეთს ადრიანოპოლში (1829) და ბერლინში (1878) დადებული ხელშეკრულების თანახმად და დღეს საქართველოს თავისი სამშობლოს ამ ნაწილზე უფლება აქვს.

გარდა ამისა, როდესაც სასომხეთის საზღვარი თურქეთის ძველ ტერიტორიაზე გაივლება, საქართველო დაჟინებით მოითხოვს დაუბრუნდეს მას ამჟამად თურქეთის კუთვნილი ლაზეთის ტერიტორია. ასევე მოითხოვს იგი, საზღვრის რეგულირებას ზემო ჭოროხის რაიონში, რადგან არავის არა აქვს უფლება ოდითგანვე ქართულ მიწებს ფლობდეს.

გამოდის რა ამ საერთო მოსაზრებიდან და გარკვეული ადმინისტრაციული შესაძლებლობებიდან, საქართველოს დელეგაცია ამტკიცებს, რომ საქართველოს ტერიტორიამ უნდა მოიცვას: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალის და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთი და არდაგანი) და შავიზღვისპირეთის ოლქის რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე ტრაპეზუნის ვილაიათი (ტრებიზონი). რუკას განმარტებით ვთავაზობთ კონფერენციას.

ამ ტერიტორიაზე, რომელიც მხოლოდ ქართულ მიწებს მოიცავს, მოსახლეობის დაახლოებით 75 პროცენტს ქართველები წარმოადგენენ. ეთნიკური და ისტორიული თვალსაზრისით, აგრეთვე ეკონომიკურადაც იგი არის მთლიანი, გამორჩეული მაღალი ერთგვაროვნებითა და შეურევლობით ყველა აღმოსავლეთ ქრისტიანულ სახელმწიფოთა შორის.

მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური წყობის გათვალისწინებით, საქართველოს დამოუკიდებლობა, ბუნებრივი საზღვრით კავკასიის მთავარი ქედით დაცული და შესაბამისი საერთაშორისო აქტით განმტკიცებული იქნება არა მარტო გარანტია საქართველოს ბუნებრივი [უ]ლებებისა და სამართლიანობისა, არამედ, სხვადასხვა პოლიტიკურ სფეროებს შორის, რომლებიც მუდმივად მზად არიან კონფლიქტისათვის აღმოსავლეთში.

ამიერკავკასიის უდიდესი მისია, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო, გზას გაუხსნის ევროპის, ცენტრალურ და წინა აზიის ქვეყნებთან ეკონომიკურ და სულიერ კავშირს.

ქართული დემოკრატია მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ოფიციალური აღიარება და მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტია გადაჭრით განამტკიცებს თავისუფლების ახალი კერის სოციალურს სამართლიანობას. დამოუკიდებელი საქართველო გახდება დიდი სახელმწიფოების მიერ შექმნილი საერთაშორისო ერთიანობის მაღალორგანიზებული წევრი ხმელთაშუა ზღვით დაწყებული და კავკასიონის მწვერვალებით დამთავრებული მთელი ცივილიზებული ხალხების, კაცობრიობის ინტერესების გათვალისწინებით.

იმედებით და რწმენით სავსე ქართული დემოკრატია, თავის თავისუფლებასა და მომავალს ანდობს მათ, ვინც მოწოდებულია გადაწყვიტოს ევროპისა და მთელი მსოფლიოს ბედი.

პარიზი, 1919 წ. 14 მარტი

დანართი
საქართველოს საზღვრები
ა. აღწერა

საქართველოს სახმელეთო საზღვარი იწყება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, პატარა მდინარე მაკოპსეს შესართავთან, რომელიც მდებარეობს ქალაქ ტუაფსეს სამხრეთ აღმოსავლეთიდან 14 კილომეტრის დაშორებით.

მიყვება რა მდინარე მაკოპსეს ზემო დინებას, საზღვარი გადის პსეუშკოს მთაზე, რომელიდანაც ეს მდინარე ჩამოედინება და იქიდან გრძელდება ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ მთის თხემის გასწვრივ, რომელიც ცილდება დიდი კავკასიონის[1] მთავარ ქედს და ქმნის წყალგასაყარს შავ ზღვაში ჩამავალი მდინარეების ტუაფსესა და აშეს აუზებს შორის.

ჩრდილოეთით საქართველოს საზღვარი კავკასიონის ქედის გასწვრივ გადის, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთით თითქმის ადაიკოხის მასივამდე არ წყდება.

ადაი-კოხის უკან საზღვარი კვეთს მდინარე არდონს კასარის ხეობასთან. (ტაზანტის სახელით ცნობილ წყაროსთან ახლოს) და გრძელდება აღმოსავლეთით (არხონის მასივი) და ყაზბეგის მთების მწვერვალებზე.

ამ სიმაღლეზე საზღვარი მიემართება ჩრდილოეთით, გადის ჩასკოხისა და კაიდჯანის მთებზე და კვეთს მდინარე თერგს სადგურ ლარსიდან ჩრდილოეთით 5 კილომეტრში, პატარა სოფელ ოზმის გასწვრივ, რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე საზღვარი გადის მდინარე არკმეხის – თერგის პატარა შენაკადის გასწვრივ, სოფელ ლიადჟამდე. აქ საზღვარი მიდის სამხრეთით, გაივლის მდინარე არხმის (არკმეხის შენაკადი) მარჯვენა ნაპირის მაღლობს მალჩოჩე კორტის მთამდე.

აქედან საზღვარი გრძელდება აღმოსავლეთისაკენ დიდი კავკასიონის ქედზე კარა-კაიას მთამდე, გადის, ერთი მხრივ, უძველეს საზღვარზე თბილისის რაიონში, მეორე მხრივ, თერგისა და დაღესტნის ტერიტორიებზე.

---

[1] არამართებულია ტერმინი „დიდი კავკასიონი“. იგი რუსული ტოპონიმის (Большой Кавказ) კალკია. უნდა იყოს „კავკასიონი“ [რედ.].

შემდგომ, საქართველოს საზღვარი მიემართება ზაქათალის ოლქსა და ქალაქ ნუხის რაიონის უძველეს საზღვრებზე, უხვევს სამხრეთით და მიჰყვება მდინარე კაჩა-ჩაის დინებას მდინარე ალაზანთან შეერთებამდე.

შემდგომ, საქართველოს საზღვარი მიემართება სამხრეთით მდინარე ალაზანზე მდინარე მტკვრამდე, საიდანაც ის ისევ მაღლდება და იღებს მიმართულებას ჩრდილო დასავლეთისაკენ მდინარე ხრამთან შეერთებამდე. შემდეგ საქართველოს საზღვარი გადის ბორჩალოს (თბილისის გუბერნია) და ყაზახის (ელიზავეტოპოლის გუბერნია) რაიონების ძველი საზღვრების გასწვრივ. გადის მოწინავე კავკასიონის მთების ჯაჭვზე, რომელიც წარმოადგენს წყალგამყოფ ხაზს მდინარეების დებედა-ჩაისა და აღსტაფას (ზაქათალის მთა, ჩატინდაგის მთა, სოუკ-ბულაგის მთა) აუზებს შორის და შემდეგ უფრო შორს ჩრდილო-სამხრეთით შეშკეჩემას მთამდე.

აქედან საზღვარი გადის თბილისისა და ერევნის გუბერნიების ძველი საზღვრების გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთით და გადაკვეთს მდინარე ბამბაკს ჩაგალისა და კარალის სადგურებს შორის; შემდეგ გრძელდება ბეზობდალის ქედზე კარგაჩისა და დეგლიდაგის[1] მთებზე ჩრდილო-დასავლეთით სველი მთების თხემამდე.

დეგლიდაგიდან საზღვარი მიემართება დასავლეთისაკენ მადატაპანის მთებზე, მადატაპანის ტბიდან დასავლეთით, შემდეგ გრძელდება უჩ-ტარაპანამდე, საიდანაც უხვევს სამხრეთის ჩალდილის ტბის[2] შემოვლით, გადის აჩკ-ბაბისა და კისირდაგის მწვერვალზე, და შემდეგ არდაგანისა და ყარსის ტერიტორიების საზღვრებს შორის.

კისირ-დაგადან საქართველოს საზღვარი მიემართება სამხრეთ დასავლეთისაკენ მდინარეების მტკვრისა (საქართველოს ტერიტორია) და არაქსის (სომხეთის ტერიტორია) აუზების წყალგამყოფ ხაზზე. იგი გადის ბუგატაპას, კაბახტაპას და კოპის მთებზე, შემდეგ გაივლის რა სოღნანლუღის[3] ქედს, რომელიც ყოფს მდინარეების ჭოროხისა და არაქსის აუზებს, გადის ძველ რუსეთ-თურქეთის საზღვარზე.

თურქეთის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვარი გადის სამხრეთ-დასავლეთით, გაივლის ჩახირ-ბაბას ქედს, რომელიც წყალგამყოფია მდინარეების არაქსისა და ოლთიჩაის (მდ. ჭოროხის შენაკადი) ზემო წელის აუზებს შორის.

ოსკანის მთიდან საზღვარი მიემართება დასავლეთით, დუმლუდაგის, კაზანბაჩის და კორტიკდაგის ქედებზე, შემოუვლის ჩრდილოეთიდან ჭოროხის ზემო წელს, რომელიც მის საზღვრებს გარეთ რჩება, მაღლა აუყვება ისპირს. კილისაკალუს მონასტრის ცოტა დასავლეთით სოფელ მადნამდე.

ჭოროხის მარცხენა ნაპირზე საზღვარი კვლავ მიდის ჩრდილოეთით, მთების თხემებზე, რომლებიც ლაზისტანის პონტის ქედის განშტოებას (კეშიშკაის მთა) წარმოადგენენ. იგი გადის პონტის ქედთან. რამდენიმე ხანს მიიწევს დასავლეთისაკენ, კირკლიარის მთების რაიონში და სანჯაყ ლაზისტანის (თურქეთის ტერიტორია) საზღვრის ხაზით. მიემართება ჩრდილოეთით მდინარე კალაპოტამოსის სათავისაკენ, რიზესა და ოფომს შორის შავ-ზღვაზე, რომელიც გარს ერტყმის საქართველოს დასავლეთით მაკოპსეს სათავემდე.

---

[1] უნდა იყოს: დეგლიდაღი [რედ.].
[2] უნდა იყოს: ჩრდილის ტბა [რედ.].
[3] უნდა იყოს: სოღანლუღი [რედ.].

ბ. განმარტებანი

მიწები, რომლებიც უნდა შევიდნენ საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის შემადგენლობაში, შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს:

1. მიწები, რომლებიც 1801 წელს საქართველოს რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ პროვინციებად (ოლქებად) იქცა.
2. ქართული მიწები, რომლებიც თურქეთმა მისცა რუსეთს ადრიანოპოლის (1829წ.) და ბერლინის (1878 წ.) შეთანხმებების საფუძველზე;
3. ზოგიერთი მიწები, რომლებიც ოსმანური იმპერიის მფლობელობაშია.

როგორც ისტორიული, აგრეთვე ეთნიკური თვალსაზრისით, სრულიან უდავოა, რომ მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული მიწები ქართველ ხალხს ეკუთვნის. ისინი მთლიანად და განუყოფელი საქართველოს ნაწილს წარმოადგენენ. შემდეგში კი თურქეთმა დაიპყრო და დაიმონა. ისლამზე მოქცეულმა ქართველებმა შეინარჩუნეს ეთნიკური იერი და წმინდა ქართველებად დარჩნენ.

ამ ტერიტორიის ერთიანობა ბუნებრივად განაპირობებს საქართველოს საზღვრების საერთო ხაზს. მხოლოდ რამდენიმე პუნქტში საზღვრების ამორჩევა პრაქტიკული მიზნებითაა ნაკარნახევი.

საქართველოს ოლქები, რომლებმაც შეინარჩუნა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა რუსეთთან შეერთებამდე არიან: ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, გურია-აფხაზეთის სამთავრო, და ასევე რამდენიმე მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ოლქი.

ქართლ-კახეთის სამეფო (ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების გარეშე) მოგვიანებით, თბილისის გუბერნიად გადაიქცა. დანარჩენი ტერიტორიები კი ქუთაისის გუბერნიაში გაერთიანდა.

რაც შეეხება საქართველოს იმ მიწებს, რომლებმაც 1801 წლამდე უკვე დაკარგეს დამოუკიდებლობა, 1783 წლის საქართველოს და რუსეთს შორის დადებული ტრაქტატით ოსმანური იმპერიის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩდნენ. რუსეთი პირობას დებდა, დაებრუნებინა საქართველოსათვის მიწები, თუ კი შესძლებდა მათ მიღებას თურქეთისაგან. ამ მიწების ნაწილი, კერძოდ კი ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, რომლებიც თურქეთს 1829 წელს მისცეს, შემდეგ შეუერთეს თბილისის გუბერნიას. მეორე ნაწილი ბათუმი-ყარსის გუბერნიის, არდაგანისა და ოლთის ოლქებით 1878 წელს რუსეთის მფლობელობაში გადავიდა.

თბილისის გუბერნიას მიუერთეს ზაქათალის მაზრა, რომელიც ყოველთვის იყო კახეთის სამეფო ნაწილი, მაგრამ მას XVII საუკუნეში სპარსეთთან ომის შედეგად, მოწყდა და მასზე სხვადასხვა ეროვნებისა და ტერიტორიების წარმომადგენლები დასახლდნენ.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ საქართველოსთან მიერთებულია მიწები, რომლებიც მეფის რეჟიმის დროს ელიზავეტოპოლისა და ერევანის გუბერნიებს ყოფდა, ყაზახის მაზრას და ალექსანდროპოლის მაზრის ნაწილს წარმოადგენდა. ახლა კი სომხეთსა და თურქეთს შორის გამყოფ საზღვარს წარმოადგენს.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს ემატება სოხუმის ოლქის, ქუთაისის გუბერნიის, თბილისის გუბერნიის, ზაქათალის ოლქის, არდაგანისა და ოლთის (ყარსის რ-ნი), ოლქების ადმინისტრაციული საზღვრები. ამ შემადგენელი ნაწილის მიღებისათვის, საკმარისია ჩრდილოეთით, დიდი კავკასიის რაიონში, სოხუმის ოლქის, ჩრდილო საზღვრების ხაზები გავაგრძელოთ აგრეთვე თბილისის და ქუთაისის გუბერნიების, ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთი საზღვარი და ხაზი, რომელიც სამხრეთში ყოფს ძველი თბილისის გუბერნიას, ელიზავეტოპოლისა და ერევნის ძველი გუბერნიებიდან სადემარკაციო ხაზის გასწვრივ, დასავლეთის ორ

მაზრას შორის (არდაგანი და ოლთი) და ორ აღმოსავლეთ ოლქს (ყარსი და კაგიზმანი) ყარსის რაიონს შორის ამ ხაზის თურქეთის საზღვართან გადაკვეთამდე.

საქართველოს მთავრობის აზრით, ეს დასახული სქემა მთელ თავის მანძილზე პრაქტიკული ხასიათის უმნიშვნელო შესწორებებს მოითხოვს მამისონის უღელტეხილის რაიონში, სადაც საზღვრების დაზუსტება, მხოლოდ ოროგრაფიული წესის გათვალისწინებას მოითხოვს. ანდა სამხრეთით, სახელმწიფოებს შორის, საზღვარმა უნდა გაიაროს იმ მხარეს, სადაც მდინარე მტკვარი თბილისისა და ელიზავეტოპოლის გუბერნიებს შორის ამ მდინარის (ალაზანი) პარალელურად გადიოდა.

საქართველოს საზღვრების ზოგიერთი მონაკვეთები საჭიროებს სპეციალურს განმარტებებს. ეს, ერთი მხრივ, საზღვარი გადის დიდი კავკასიონის ქედსა და შავი ზღვის სანაპიროს შორის, (ყოფილი შავიზღვისპირეთის გუბერნიის საზღვრებში) და, მეორე მხრივ, საზღვარის ნაწილია რუსეთ-თურქეთის (1878 წლის შემდეგ), ყოფილ ხაზსა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს გადაკვეთის წერტილში, ტრაპეზონდის ვილაიეთის ფარგლებში.

რაც შეეხება საზღვრის პირველ უბანს, რომელიც მდინარე მაკოპ[სემ] ჩამოაყალიბა და ხაზი მისივე სათავიდან იწყება, ადმინისტრაციის თვალსაზრისით, ამ საზღვრის მოხერხებულობითაა ნაკარნახევი. ეთნოგრაფიული თვალთახედვით, მდინარეების მაკოპსესა და მზიმთას შორის არსებული ტერ[ი]ტორიის საქართველოსთან მიერთებამ, რომელიც წარსულში მას ეკუთვნოდა, არ შეიძლება წინააღმდეგობა გამოიწვიოს, XIX საუკუნეში ადგილობრივი კავკასიური ტომების აქედან იძულებითი გასახლების შემდეგ, ამ მხარეს განსაზღვრული ენთოგრაფიული ხასიათი უკვე არ გააჩნია.

თურქეთში გაყვანილი მთიელების სამშობლოში დაბრუნების ან ჩრდილო კავკასიის სახელმწიფოსათვის შავიზღვისპირეთის სანაპიროს მიერთების საკითხი რომ დამდგარიყო, ბუნებრივია, საქართველო წინააღმდეგი არ იქნებოდა, რომ შემოთავაზებული ხაზი შეცვლილიყო სხვა ხაზით, რომელიც მდინარეების მაკოპსესა და მზიმთას შორის გაივლის.

რაც შეეხება საქართველოს საზღვარის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში სანდჟაკისა და ლაზისტანის შეყვანას და აგრეთვე ერზერუმის ვილაიეთის ნაწილის მიერთებას (მდ. ჭოროხის რაიონი) ითვალისწინებს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიას ჩვენ ვიხილავთ, როგორც თურქების მიერ საქართველოსათვის წართმეულ უძველეს ქართულ მიწებს, რომლებმაც მიუხედავად მოსახლეობის გამუსულმანებისა, თავისი ეთნიკური ხასიათი შეინარჩუნეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომა
23 ნოემბერი 1918 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომის ოქმი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 7.

საიდუმლო

23 ნოემბრის 1918 წელი შაბათი
სხდომა

თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია

მინისტრები: შ. მესხიშვილი, გ. ჟურული, ნ. ხომერიკი, ნ. რამიშვილი, ბ. ლორთქიფანიძე, ე. გეგეჭკორი, გ. ლასხიშვილი.

მინისტრის ამხანაგები: გ. გველესიანი, გ. მახარაძე.

გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის თავმჯდომარე: დ. აფხაზი.

საქმეთა მართ[ველის] თან[ამდებობის] აღმ[სრულებელი]: ა. ჯაფარიძე

მდივანი: გ. რობაქიძე

მოისმინეს:

გარეშე საქმეთა მინისტრის მოხსენება შესახებ იმისა, რომ ოსმალეთში ბათუმიდან ცნობილ ქართველებს ასახლებენ, იმ მიზნით, რომ ინგლისელების შემოსვლის დროს ბათუმში გავლენიანი ქართველები არ დარჩნენ.

დაადგინეს:

მოწონებულ იქნეს ზომები გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ მიღებული ოსმალოების წინააღმდეგ ბათუმში; თუ პროტესტი 24-ნოემბრის გასვლამდე (ამა წლის) არ იქნა დაკმაყოფილებული, იმ შემთხვევაში იქნეს მიღებული სასტიკი ზომები: ა) საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან გაძევება ოსმალებისა (საზოგადოთ თურქთა ხალხის წარმომადგენელებისა), ბ) დაკავებულ იქნეს გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ გზათა მინისტრთან შეთანხმებით ოსმალოთა ბაქოდან მიმომავალი ეშელონები.

მთავრობის თავმჯდომარე: [ნ. ჟორდანიას ხელმოწერა – რედ.]

მდივანი: გრ. რობაქიძე

26 ნოემბერი 1918 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 9-11[1] საიდუმლო

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ჟურნალი
26 ნოემბერი 1918 წ.
დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია
მინისტრები: ევ. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, გ. ჟურული, ივ. ლორთქიფანიძე, შ. მესხიშვილი, ნ. ხომერიკი.
მინისტრის ამხანაგები: გენ. გედევანიშვილი, კ. კანდელაკი, გრ. გველესიანი, გ. მახარაძე, გ. ერაძე, კ. საბახტარიშვილი.
სახელმწიფო კონტროლიორი: ფ. გოგიჩაიშვილი.
საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის თავმჯდომარე: დ. აფხაზი.
საქმეთა მართვ.: ს. ჯაფარიძე
მდივანი: ვ. კანდელაკი

1. <u>მოხსენება გარეშე საქმეთა მინისტრისა</u>: „მოხალისეთა ჯარი“ და მდგომარეობა სოჭის ოლქში.

1.
ა) მოლაპარკება ეგრედ წოდებულ „მოხალისეთა ჯართან“ უარყოფილ იქმნას;
ბ) მიენდოს სამხედრო განკარგულება რათა სოხუმის და გაგრის ოლქები, როგორც მთავარი სამხედრო ბაზა „მოხალისეთა ჯარის“ მოსალოდნელი მოქმედების წინააღმდეგ, გამაგრებულ იქმნან სტრატეგიულად;
გ) წინადადება მიეცეს გენერალ კონიაშვილს და დანარჩენ რესპუბლიკის აგენტებს სოჭის ოლქში, რომ ისინი გამაგრდნენ იქ თავიანთ ძალებით იმ დრომდე, სანემ საბოლოოდ გამოირკვევოდეს საკითხი სოჭის ოლქზე მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკებით, რაიც მიენდოს გარეშე საქმეთა მინისტრს;
დ) დაევალოს სათანადო უწყებებს, რკინის გზების დროებით გენერალ-გუბერნატორის გ.-მ. ყარალაშვილის დახმარებით, დაუყონებლივ, მიიღონ ზომები. საქართველოში ჩამომსვლელთა და აქედან წამსვლელთა სასტიკი რეგისტრაციისა, განსაკუთრებით კი, ამ მხრივ, ყურადღება უნდა მიექცეს ფოთს და მის ნავთ-სადგურს, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაიგზავნოს განსაკუთრებული რაზმი, რომლის დახმარებითაც დაყენებულ იქმნას ჯეროვან ნიადაგზე რეგისტრაცია წამსვლელ-ჩამომსვლელთა;
ე) დაინიშნოს ქალაქ ნოვოროსიისკში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელად პეტრე ჩინიკაშვილი, რომელსაც მიეცეს გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ განსაკუთრებითი ინსტრუქცია საქართველოში წამომსვლელთა შესახებ.

2. <u>მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა</u> ქართველ მაჰმადიანებზე.

გადაიდოს ათ-მილიონიან ფონდიდან გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ერთი მილიონი (1.000.000 მანეთი) ქართველ მაჰმადიანთა საქართველოს შეერთების საქმისთვის.
[...]

მთავრობის თავმჯდომარე: [ნ. ჟორდანიას ხელმოწერა – რედ.]
საქმეთ. მმართველი
მდივანი: [ვ. კანდელაკის ხელმოწერა – რედ.]
მდივანი: გრ. რობაქიძე

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

28 ნოემბერი 1918 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 12[1] საიდუმლო

28 ნოემბრის 1918 წ. ხუთშაბათი
სხდომა
თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია
მინისტრები: ნ. რამიშვილი, გ. ჟურული, ი. ლორთქიფანიძე, ევ. გეგეჭკორი, გ. გიორგაძე, შ. მესხიშვილი.
მინისტრის ამხანაგები: ა. მდივანი, გ. გველესიანი, კ. კანდელაკი, გ. ერაძე, პ. გელეიშვილი, გ. მახარაძე.
სახელმწიფო კონტროლიორი: ფ. გოგიჩაიშვილი.
გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის თავმჯდომარე: დ. აფხაზი.
სასურსათო საბჭოს თავმჯდომარე: ვ. არდიშვილი.
მდივანი: გ. რობაქიძე

[...]	საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა გამოსცემს წერილობის
4. ქართველ მაჰმადიანთ	მიმართვას მაჰმადიან ქართველთა მიმართ, რომ მათ საქართვე-
მომართვა:	ლოს რესპუბლიკაში მიენიჭებათ ფართო თვითმართველობა.

მთავრობის თავმჯდომარე: [ნ. ჟორდანიას ხელმოწერა – რედ.]
მდივანი: გ. რობაქიძე

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა
28 ნოემბერი, 1918 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომის ოქმი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 2, ფ. 240-ბ-241.

მოისმინეს:

4. მოხსენებანი საგარეო საქმეთა მინისტრისა; *** ბ. ევროპაში გასამგზავრებელ დელეგაციის შესახებ.

დაადგინეს:

1. ნიკოლოზ ნიკოლაძის მაგიერ, რომელმაც ევროპაში მიმავალ დელეგაციის წევრობაზე უარი განაცხადა, ავადმყოფობის გამო, დაინიშნოს დელეგაციის წევრად ჯაყელი.

2. ჯავრიშვილის მაგიერ მიღებულ იქნას იოსებ გობეჩიას კანდიდატურა დელეგაციის წევრად, მხოლოდ წინასწარ ეცნობოს მთავრობას, ევროპაში მიმავალ დელეგაციის თავმჯდომარის აზრი.

3. მიეცეს საგარეო საქმეთა მინისტრს უფლება გააყოლოს აღნიშნულ დელეგაციას თავისი უწყების წარმომადგენელი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის
საიდუმლო სხდომა
30 ნოემბერი 1918 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომის ოქმი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 2, ფ. 239.

მოისმინეს:

9. მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა შესახებ ევროპაში გასამგზავრებელ დელეგაციისა.

დაადგინეს:

დაინიშნოს დელეგაციის წევრად ნოე რამიშვილის მაგიერ, რომელმაც უარი განაცხადა ავადმყოფობის გამო, ირაკლი წერეთელი; ჩაირიცხოს დელეგაციაში აგრეთვე კონსტანტინე ჯავრიშვილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომა
22 დეკემბერი 1918 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომის ოქმი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 16.[1]

მთავრობის სხდომა

დაესწრნენ: თავმჯდომარე – ნ. ჟორდანია

მინისტრები: ნ. რამიშვილი, ევგ. გეგეჭკორი, ნ. ხომერიკი, გ, ლასხიშვილი, ი. ლორთქიფანიძე, გ. გიორგაძე, შალვა მესხიშვილი, გ. ჟურული.

მინ. ამხან.: გრ. გველესიანი, პ. გელეიშვილი, კ. კანდელაკი, მალანია, ერაძე, მდივანი, გედევანიშვილი, გ. მახარაძე.

სახელმწიფო კონტროლიორი: ფ. გოგიჩაიშვილი.

ფრაქციათა წარმოამდგენლები: გ, გვაზავა, ირაკლი წერეთელი, კ. ჩხეიძე, სპ. კედია, სამს. ფირცხალავა, იოსებ გობეჩია.

მოისმინეს:

მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა საფრანგეთ-ინგლისის წარმომადგენელთა წინადადების შესახებ.

დაადგინეს:

[...]

დ) საქართველოს მთავრობამ მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება შესახებ მოკავშირეთა წარმომადგენლების მოლაპარაკებისა და აგრეთვე გაეცნო რა მოკავშირეთა წარმომადგენლების მიერ წინადადებულ დეპეშის პროექტს, ერევნის მთავრობის სახელზე გასაგზავნად დაადგინა:

1) საქართველოს მთავრობა კმაყოფილებით ეგებება მოკავშირეთა წარმომადგენლების სურვილს ბოლო მოეღოს გამანადგურებელ ომს საქართველოსა და სომხეთს შორის.

2) საქართველოს მთავრობა სიამოვნებით ღებულობს წინადადებულს დეპეშის ტექსტს შემდეგი ცვლილებებით:

ა) სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ საქართველოს მხრივ ბრძანება მთავარსარდლისადმი საქართველოს ჯარისთვის უნდა იქნეს გაცემული საქართველოს მთავრობის მიერ.

ბ) ორივე მხრით სამხედრო მოქმედების შეჩერებისთანავე ბორჩალოს მაზრაში უნდა დაიწყოს სომხების ჯარის დახევა იმ პოზიციებიდან, რომელიც მათ ეხლა უჭირავთ, იმ მოსაზრებით, რომ დანიშნული ვადის განმავლობაში, რომელიც განსაზღვრული იქნება. ამ ჯარებმა დაიკავა ხაზები, რომელიც არსებობდა სამხედრო მოქმედების დაწყებამდე, რათა ამგვარად აღდგენილ იქნას ორივე მხარისათვის Status que ante bellum,[2] რაშიდაც საქართველოს მთავრობა ღებულობს თავის თავზე ყველა მცხოვრებთა პირად და ქონებრივ უფლებათა უზრუნველყოფას.

მთავრობის თავმჯდომარე: [ნ. ჟორდანიას ხელმოწერა – რედ.]

მთავრობსი საქმეთა მმართველი: [კ. ჯაფარიძის ხელმოწერა]

მდივანი: გალაკტიონ ტაბიძე

---

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

[2] Status que ante bellum – ლათ. ნიშნავს მდგომარეობას, არსებულს ომამდე. ამ ფრაზას თავდაპირველად იყენებდნენ საერთაშორისო ხელშეკრულებაში მოწინააღმდეგის ჯარების გაყვანის, ანუ ომამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის გამოსახატავად [რედ.].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო სხდომა 28 დეკემბერი 1918 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 263-ბ.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე – ნ. ჟორდანია.

მინისტრები: ნ. რამიშვილი, ევ. გეგეჭკორი, ნ. ხომერიკი, ი. ლორთქიფანიძე, გრ. გიორგაძე, შ. ალექსი-მესხიშვილი, გ. ლასხიშვილი, გ. ჟურული.

სახელმწიფო კონტროლიორი – ფ. გოგიჩაიშვილი.

მინისტრთა ამხანაგები: პ. გელეიშვილი, გრ. გველესიანი, ა. ერაძე, კ. კანდელაკი, მალანია, მდივანი, კ. საბახტარაშვილი; გამცვლელ კომიტეტის თავმჯდომარე აფხაზი.

მდივანი გალაკტიონ ტაბიძე.

[...]

მოისმინეს:

2. მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა ევროპაში მიმავალ დელეგაციის შესახებ.

დაადგინეს:

მიღებული იქნას ზომები, რათა ევროპაში მიმავალი დელეგაცია გაიგზავნოს მთელი შემადგენლობით; ამ მიზნით გაიგზავნოს დეპეშა ბაქოში ტომსონთან ირაკლი წერეთლის რედაქციით. ამ შემთხვევაში, თუ დელეგაციის მთლიანი შემადგენლობით გამგზავრება ვერ მოხერხდა, დელეგაცია გაიყოფა ნაწილებად. პირველი კ. ჩხეიძე და მეორე გრ. რცხილაძის თავმჯდომარეობით. ჯერ გაემგზავრება პირველი ჯგუფი: თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე, წევრები: ირაკლი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე, ღამბაშიძე (თარჯიმანი), ჯავახიშვილი და ოდიშელიძე (ექსპერტები), ელენე წერეთელი, ფრანგი ბაბე, გიგოლაშვილი და ვოიტინსკი (მდივნები), 5 კაცის გამგზავრების დროს დელეგაცია გათავდება ბ-ნი ჯავახიშვილით, 10 კაცის გამგზავრებისას კი ვოიტინსკით.

[....]

მთავრობის თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია

მთავრობის საქმეთა მმართველი: კ. ჯაფარიძე

მდივანი: გ. ტაბიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა 17 მაისი. 1919 წ. დილა

წყარო: საისტორიო არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომების ჟურნალი,[1], ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე № 13, ფ. 154.

[...]

მოისმინეს: [...]

2. ვლადიმერ სავლეს ძე ვოიტინსკის მოხსენება კონსტანტინეპოლში საქართველოს დელეგაციის მუშაობის შესახებ.

დაადგინეს:

მიღებულ იქნას ცნობად და ეთხოვოს ვოიტინსკის წერილობითი მოხსენება გადასცეს სათანადო უწყებებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა 24 მაისი 1919 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 37-37-ბ
[2] საიდუმლო

24 მაისი 1919 წ.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე – ნ. ჟორდანია.

მინისტრები: გეგეჭკორი, კანდელაკი, რამიშვილი.

მინისტრთა ამხანაგები: ჭიჭინაძე, გელეიშვილი, საბახტარიშვილი, ცინცაძე, გზათა დეპარტამენტის დირექტორი – ჭიჭინაძე.

საქმეთა მმართველი – კ. ჯაფარიძე.

მდივანი: დ. დიდებულიძე

მოისმინეს:

1. <u>მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა:</u>

a) გენერალ ბიჩთან მოლაპარაკებისა და მოხალისეთა სარდლობასთან დამოკიდებულების შესახებ.

დაადგინეს:

1) ოფიციალურად ეცნობოს ინგლისელთა მისიას, რომ საქართველოს მთავრობა თანახმაა დაახევინოს თავის ჯარებს მდინარე ბზიბამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ ტერიტორია მდინარე მეხადირიდან ბზიბამდე გამოცხადებულ იქმნება სადავო და ამ

---

[1] რადგან მთავრობის სხდომა 1919 წ. 17 მაისს გაიმართა და მასში დელეგაციის კონსტანტინეპოლში მუშაობას ეხება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მასში ივანე ჯავახიშვილზეც იქნებოდა საუბარი. იგი ხომ კონსტანტინეპოლში 3 თვე იმყოფებოდა (1919 წლის იანვარ-მარტი). ვ. ვოიტინსკი, ალბათ, ამ დავალებას შეასრულებდა – „სათანადო უწყებებს“ წერილობით ანგარიშს წარუდგენდა. სამწუხაროდ, ჩვენ მას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ [რედ.].

[2] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

საკითხის გადაწყვეტამდე სამშვიდობო კონფერენციის მიერ აღნიშნული ტერიტორია დაკავებულ იქმნება ინგლისის ან იტალიის ჯარებით.

2) გაეგზავნოს ნოტა ყველა სახელმწიფოებს, რომელშიაც უნდა აღინიშნოს ჩვენი პირობები მოხალისეთა სარდლობასთან დამოკიდებულების შესახებ და აგრეთვე ისიც, რომ ამ პირობების მიუღებლობა ინგლისელების მიერ უნდა ჩაითვალოს როგორც მოხალისეთათვის მხარის დაჭერა არა მარტო ბოლშევიკების წინააღმდეგ, არამედ პატარა ერებთან ბრძოლაშიაც.

3) სოჭის საკითხის მდგომარეობა და აგრეთვე გენერალ ბრიკსთან და ბიჩთან მოლაპარაკების შინაარსი ამ საკითხის შესახებ ეცნობოს პარიზში საქართველოს დელეგატებს.

[...]

მთავრობის თავმჯდომარე – [ნ. ჟორდანიას ხელმოწერა – რედ.]
მთავრობის საქმეთა მმართველი – [კ. ჯაფარიძის ხელმოწერა – [რედ.]
მდივანი – [დ. დიდებულიძის ხელმოწერა – რედ.]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 38[1]

საიდუმლო

27 მაისი 1919 წ.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე – ნ. ჟორდანია.

მინისტრები: კანდელაკი, ხომერიკი, რამიშვილი.

მინისტრთა ამხანაგები: ცინცაძე, ერაძე, ჭიჭინაძე, გედევანიშვილი, გელეიშვილი, საბახტარიშვილი, დეპარტამ. დირექტორები – ჭიჭინაძე, ჭანტურიშვილი, აფხაზი, აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე – დ. ემუხვარი.

საქმეთა მმართველი – კ. ჯაფარიძე.

მდივანი: ლომთაძე.

მოისმინეს:

1. <u>მოხსენება სამხედრო მინისტრის ამხანაგისა:</u>

ა) რესპუბლიკის სანაპირო საზღვართა დაცვის გაძლიერების შესახებ.

დაადგინეს:

1. მიღებულ იქმნას სასწრაფო ზომები სანაპირო საზღვრების დაცვის გასაძლიერებლად.

2. დაიხუროს დარიალის ხეობა და რაზმის უფროსად გაიგზავნოს გამოცდილი და საიმედო სამხედრო პირი.

3. დაევალოს სამხედრო მინისტრს დ საგარეო საქმთა მინისტრის ამხანაგს მოლაპარაკება გამართონ აზერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენელთან იმის გამოსარკვევათ თუ რა გზას დაადგება აზერბეიჯანი მოხალისეებთან მოსალოდნელ ომის დროს; კატეგორიულათ განეცხადოთ მათ, რომ თუ აზერბეიჯანის მთავრობა არ გაუწევს წინააღმდეგობას დენიკინის ჯარს, საქართველოს მთავრობა დაიჭერს ყველა, აზერბეიჯანის მოსაზღვრე, სტრატეგიულ პუნქტებს.

4. [...]

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

მთავრობის თავმჯდომარე – [ნ. ჟორდანიას ხელმოწერა – რედ.]
მთავრობის საქმეთა მმართველი – [კ. ჯაფარიძის ხელმოწერა – რედ.]
მდივანის თანაშემწე – [დ. ლომთაძის ხელმოწერა – რედ.]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 42[1].

საიდუმლო

26 ივნისი 1919 წ.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე – გეგეჭკორი

მინისტრები: რამიშვილი, კანდელაკი, სახელმწიფო კონტროლიორი – გოგიჩაიშვილი.

მინისტრთა ამხანაგები: ცინცაძე, გელეიშვილი, გედევანიშვილი, ერაძე, საბახტარიშვილი, დეპარტ. დირექტორები – აფხაზი, ჭანტურიშვილი, ჭიჭინაძე.

საქმეთა მმართველი – კ. ჯაფარიძე.

მდივანი: დ. ლომთაძე.

მოისმინეს:	დაადგინეს:
[...]	[...]
ბ) სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის საჭიროებისათვის ერთი მილიონი მანეთის გაღების შესახებ.	გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში სამხედრო ფონდიდან, როგორც კი სათანადო დეკრეტი გამოიცემა დამფუძნებელი კრების მიერ, ერთი მილიონის მანეთი სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფელებელი კომიტეტის საჭიროებისათვის.

მთავრობის თავმჯდომარის მაგიერი [ევ. გეგეჭკორის ხელმოწერა – რედ.]
მთავრობის საქმეთა მმართველი [კ. ჯაფარიძის ხელმოწერა – რედ.]
მდივანის თანაშემწე – [დ. ლომთაძის ხელმოწერა – რედ.]

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 48[1].

საიდუმლო

29 ივლისი 1919 წ.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ – ნ. რამიშვილი.

მინისტრები: კანდელაკი, სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი – ანდრონიკაშვილი; დაესწრო: ვ. ჯუღელი.

მინისტრთა ამხანაგები: ჭიჭინაძე, საბახტარიშვილი, გელეიშვილი, ერაძე, ცინცაძე, გედევანიშვილი, ავალიანი.

საქმეთა მმართველის თან. აღ. – დიდებულიძე.

მდივანი: დ. ლომთაძე.

მოისმინეს:	დაადგინეს:
1. <u>მოხსენება სამხედრო მინისტრისა</u>: ა) მამისონის უღელტეხილზე საქართველოს სადარაჯოებსა და სამხრეთ ოსებს შორის მომხდარ შეტაკების შესახებ. [...]	დაევალოს სამხედრო სამინისტროს გა[ა]გზავნოს კასარის ხეობაში დამსჯელი რაზმი ამ რაიონის დასაკავებლად და მასამისონის უღელტეხილის მიდამოებში მომხდარ ამბოხების სალიკვიდაციოდ. [...]

მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ [ნ. რამიშვილის ხელმოწერა – რედ.]

მთავრობის საქმეთა მმართველი – [დ. დიდებულიძის ხელმოწერა – რედ.]

მდივანი – [დ. ლომთაძის – რედ.]

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა 7 აგვისტო 1919 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 52[1].

საიდუმლო

7 აგვისტო 1919 წ.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე – ევ. გეგეჭკორი.

მინისტრები: კანდელაკი, რამიშვილი; სახელმწიფო კონტროლიორი – გოგიჩაიშვილი.

მინისტრთა ამხანაგები: ავალიანი, ცინცაძე, ნ. ჭიჭინაძე, საბახტარიშვილი, გედევანიშვილი, გელეიშვილი, ნ. ჭიჭინაძე.

საქმეთა მმართველი – კ. ჯაფარიძე.

მდივანი: დ. ლომთაძე.

მოისმინეს:

2. მოხსენება საგარეო საქმეთა მინისტრისა:

ა) ინგლისიდან მოსულ სადემარკაციო ხაზის და გენ. ბარათოვთან მოლაპარაკების შესახებ.

[...]

დაადგინეს:

დაევალოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

1. განუცხადოს ინგლისელებს, რომ საქართველოს მთავრობას მიუღებლად მიაჩნია მათგან შემუშავებული სადემარკაციო ხაზი და რომ-ის (მთავრობა) მოითხოვს მდ. ბზიბიდან მდ. მეხადირამდე ტერიტორიის ნეიტრალიზაციას თუ ამიერ-კავკასიაში დარჩენ ინგლისელების ან იტალიელების ჯარები – წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ჯარი ვერ დასტოვებს ეხლანდელ პოზიციას მდ. მეხადირზე.

2. ასევე მოლაპარაკება გაიმართოს გენ. ბარათოვთან.

3. წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს კონფერენციის მუშაობის განახლების შესახებ.

4. საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს აზერბეიჯანს დაღესტნის საკითხში.

[...]

მთავრობის თავმჯდომარე –

მთავრობის საქმეთა მმართველი – [კ. ჯაფარიძის ხელმოწერა – რედ.]

მდივანი – [დ. ლომთაძის ხელმოწერა – რედ.]

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა 12 აგვისტო 1919 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 53[1].

საიდუმლო

12 აგვისტო 1919 წ.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე – ევგ. გეგეჭკორი.
მინისტრები: კანდელაკი, რამიშვილი, ხომერიკი.
სახელმწიფო კონტროლიორი – გოგიჩაიშვილი.
მინისტრთა ამხანაგები: ცინცაძე, ავალიანი, გედევანიშვილი, ერაძე, ნ. ჭიჭინაძე, საბახტარიშვილი; დაესწრნენ: ოდიშელიძე, ვ. ჯუღელი, ი. რამიშვილი, დ. ღამბაშიძე.
საქმეთა მმართველი – კ. ჯაფარიძე.
მდივანი: დ. ლომთაძე.

მოისმინეს:

1. <u>მოხსენებანი საგარეო საქმეთა მინისტრისა</u>:

a) ინგლისელების წინადადება ბორჩალოს ნეიტრალურ ზონის საკითხის მოსაგვარებლად გენ. ბიჩის თავმჯდომარეობით სომეხ-ქართველთა კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ბ) მელიკ-ასლანოვთან და გენ. კორრისთან მოლაპარაკების შესახებ.

[...]

3. <u>მოხსენება სამხედრო მინისტრის ამხანაგისა</u>:

ა) მამისონის უღელ-ტეხილზე წარმოებულ სამხედრო ოპერაციების შესახებ.

დაადგინეს:

ინგლისელების წინადადება მიღებულ იქნას და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებათ ამ კონფერენციაზე დაინიშნონ: კ. ბ. საბახტარიშვილი და ა. კ. გედევანიშვილი.

წინადადება მიეცეს აზერბეჯანის მთავრობას განხორციელებულ იქნას ხეკლშეკრულების ის მუხლი, რომელიც გულისხმობს საერთო სარდლის დანიშვნას. გაიგზავნოს აზერბეიჯანში სამხედრო მისია გენ. ოდიშელიძის მეთაურობით და დ. ღამბაშიძე როგორც პოლიტიკური წარმომადგენელი.

[...]

მამისონის უღელ-ტეხილზე სამხედრო ოპერაციები განისაზღვროს მამისონის უღელტეხილის და მისი მიდამოების დაჭერით. კასარის ხეობის ჩვენი ჯარის ნაწილებიდან დაკავება უარყოფილ იქნას.

მთავრობის თავმჯდომარის მაგიერი – [გეგეჭკორის ხელმოწერა – რედ.]
მთავრობის საქმეთა მმართველი – [კ. ჯაფარიძის ხელმოწერა – რედ.]
მდივანი – [დ. ლომთაძის ხელმოწერა – რედ.]

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა 28 აგვისტო 1919 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 59[1].

საიდუმლო

28 აგვისტო 1919 წ.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე – ევგ. გეგეჭკორი.

მინისტრები: კანდელაკი, ხომერიკი.

დაესწრნენ: ს. მდივანი, ის. გედევანიშვილი, ვ. ჯუღელი, გენ. შტაბის უფროსი გენ. ზაქარიაძე, თოფურიძე, ქავთარაძე.

მინისტრთა ამხანაგები: გედევანიშვილი ცინცაძე, ერაძე, ნ. ჭიჭინაძე, ავალიანი, საბახტარიშვილი, დეპ. დირ.: აფხაზი, ქიქოძე, ბ. ჭიჭინაძე.

დაესწრნენ: ოდიშელიძე, ვ. ჯუღელი, ი. რამიშვილი, დ. ღამბაშიძე.

საქმეთა მმართველი:

მდივანი: დ. ლომთაძე.

მოისმინეს:

[...]

1. <u>მოხსენებანი საგარეო საქმეთა მინისტრისა</u>:

ა) ნეიტრალურ ზონის შესახებ.

3. <u>მოხსენება სამხედრო მინისტრის ამხანაგისა</u>:

ა) მამისონის უღელ-ტეხილზე წარმოებულ სამხედრო ოპერაციების შესახებ.

დაადგინეს:

[...]

ეთხოვოს ინგლისელებს დასტოვონ ნეიტრალურ ზონაში მათი სამხედრო ძალები, სანამ გადაწყდება საკითხი საერთოდ სომხეთთან სამზღვრების შესახებ, მხოლოთ თუ ეს თხოვნა ინგლისელების მიერ დაკმაყოფილებული არ იქნება, მაშინ ჩვენმა წარმომადგენლებმა მოითხოვონ, ამ საკითხისათვის მოწვეულ სომეხ-ქართველთა კონფერენციაზე, ნეიტრალურ ზონის ეხლანდელ მდგომარეობაში დატოვება, ე.ი. ამ ტერიტორიაზე არ უნდა იქმნას შეყვანილი არც სომხეთის არც საქართველოს სამხედრო ძალები, – ზონის გამგებლობისთვის კი მოეწყოს შერეული ადმინისტრაცია.

დამატებით საქართველოს წარმომადგენლად ზემო აღნიშნულ კონფერენციაზე დაინიშნოს სვ. მდივანი.

მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ – [ნ. ხომერიკის ხელმოწერა – რედ.]
მთავრობის საქმეთა მმართველი – [კ. ჯაფარიძის ხელმოწერა – რედ.]
მდივანი – [დ. ლომთაძის ხელმოწერა – რედ.]

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 60[1].

საიდუმლო

2 ენკენისთვე 1919 წ.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე – ნ. ხომერიკი.

მინისტრები: სახელმწიფო კონტროლიორი[ს] თანაშემ. – ანდრონიკაშვილი. დაესწრნენ: სამხ. კომისიის წარმ. – გენ. ზაქარიაძე, ქუთათელაძე, ჯუღელი, ვ. ჯიბლაძე, არსენიძე, ოდიშელიძე.

მინისტრთა ამხანაგები: საბახტარიშვილი, ცინცაძე, გელეიშვილი, გედევანიშვილი, ავალიანი, ნ. ჭიჭინაძე, დეპატ. დირ. აფხაზი, სასურ. საბჭ. თავმჯდ. – სოღორაშვილი,

საქმეთა მმართველი – კ. ჯაფარიძე.

მდივანი: [არაა მითითებული. რედ.]

მოისმინეს:

[...]

2. <u>გენ. ოდიშელიძის მოხსენება:</u>

ა)

მთავარ სარდლობის საკითხის, აზერბეიჯანის რესპუბლიკის სამხედრო ორგანიზაციის საერთ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

[...]

დაადგინეს:

[...]

მოხსენება გენერალ ოდიშელიძისა საყურადღებოდ იქმნას მიღებული და დებულება, შემუშავებული და ხელმოწერილი ქ. ბაქოში ამ აგვისტოს აზერბეიჯანის მთავრობის და საქართველოს წრმომადგენელთა მიერ, მიღებულად ჩაითვალოს, რაიც სასწრაფოდ ეცნობოს აზერბეიჯანის მთავრობას.

დაევალოს სამხედრო მინისტრს წარმოუდგინოს მთავრობას დასამტკიცებლად ხარჯთ-აღრიცხა, შტატები და კანდიდატები „აზერბეიჯანის და საქართველოს სამხედრო კავშირის თათბირისათვის“.

[...]

მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ – [ნ. ხომერიკის ხელმოწერა – რედ.]

მთავრობის საქმეთა მმართველი – [კ. ჯაფარიძის ხელმოწერა – რედ.]

მდივანის მაგ. – [ხელმოწერა – რედ.]

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 61[1].

საიდუმლო

6 ენკენისთვე 1919 წ.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე – ევ. გეგეჭკორი.

მინისტრები: ხომერიკი

სახელმწიფო კონტროლიორის თანაშემწე – ანდრონიკაშვილი.

მინისტრთა ამხანაგები: ჭიჭინაძე, ავალიანი, გედევანიშვილი, საბახტარიშვილი, ცინცაძე, დეპ. დირ.: აფხაზი, ქიქოძე. მთავარ მომარაგების მმართვ. თავმჯდ. – ი. ქარცივაძე.

საქმეთა მმართველი – კ. ჯაფარიძე.

მდივანი:

მოისმინეს:

1. <u>მოხსენება გენ. ოდიშელიძისა:</u>

საქართველოს და აზერბეიჯანის კავშირის სამხედრო თათბირი საქართველოს წარმომადგენელთა შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა.

[...]

დაადგინეს:

1. მოხსენება და წარმოდგენილი შტატების პროექტი დადასტურებულ იქმნას. 2. ვინაიდან აზერბეიჯანის მთავრობამ თანხმობა განაცხადა გენ. ოდიშელიძის კანდიდატურაზე, დაინიშნოს „საქართველოს და აზერბეიჯნის კავშირის სამხედრო თათბირის“ თავმჯდომარედ გენ. ოდიშელიძე.

[...]

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა 18 ნოემბერი 1919 წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 4, ფ. 80.[1]

საიდუმლო

18 ნოემბერი 1919 წ.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე – ნ. ჟორდანია.

მინისტრები: რამიშვილი, გეგეჭკორი, ხომერიკი, კანდელაკი, ერაძე.

მინისტრთა ამხანაგები: ჭიჭინაძე, გელეიშვილი, ქარცივაძე, ცინცაძე, გედევანიშვილი, ავალიანი, სახელმწიფო კონტრ. ამხანაგი – ანდრონიკაშვილი, იუსტიციის დეპ. დირ. თან. აღმ. – ჟორდანია, გზათა დეპარტ. დირ. – ბ. ჭიჭინაძე.

საქმეთა მმართველი – კ. ჯაფარიძე.

მდივანი: დ. დიდებულიძე.

მოისმინეს:

1. <u>მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა:</u>

ა) ზაქათალის ოლქში შექმნილ მდგომარეობის გამოსარკვევად დაწესებულ კომისიის მოხსენება სიღნაღის მაზრისა და ზაქათალის ოლქის შორის საზღვრის შესახებ.

[...]

დაადგინეს:

1. სიღნაღისა და ზაქათალის ოლქის საზღვარზე დაუყონებლივ გაიგზავნოს სამხედრო ძალა (ერთი ბატალიონი).

2. მოხსენებაში აღნიშნულ კომისიას შეუძლიან იქონიოს მსჯელობა მხოლოდ მიწათ-მფლობელობის საკითხზე და ადმინისტრა[ც]იული საზღვრების შესახებ. – რაც შეეხება საზღვრების საკითხს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით – ეს მხოლოდ სახელმწიფოს საქმეა და მისი გამარტივებული წესით გადაწყვეტა ყოვლად მიუღებლად იქმნას მიჩნეული.

3. დაევალოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაფერი მოლაპარაკება იქონიოს აზერბეიჯანის მთავრობის პრემიერთან ბ-ნ უსუბეკოვთან.

მთავრობის თავმჯდომარე: [ხელმოწერა არაა – რედ.]

მთავრობის საქმეთა მმართველი – [კ. ჯაფარიძის ხელმოწერა – რედ.]

მდივანი – [დიდებულიძის ხელმოწერა – რედ.]

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა ჟურნალი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, აღწ. 3, საქმე 21 ფ. 274-275.[1]

2 სექტემბერი 1920 წ.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე – გრ. ლორთქიფანიძე.
მინისტრები: არსენიძე, ერაძე, სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი – ანდრონიკაშვილი.
მინისტრთა ამხანაგები: პ. ჭიჭინაძე, ავალიანი, გედევანიშვილი, მალანია, ნ. ცინცაძე, საბახტარიშვილი, ბახტაძე; დეპარტამენტის დირექტ. – ალშიბაია, გზათა დეპარტამ. მაგ.-ინჟ. კანდელაკი, უცხო პირნი – მგელაძე.
საქმეთა მმართველი:[2]
მდივანი: ფირცხალავა

№	მოისმინეს	დაადგინეს
1.	დ) სომხეთ-საქართველოს შორის ნეიტრალური ზონის გაუქმებისა და ადმინისტრაციულ საზღვრის დაწესების შესახებ დადებული ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შესახებ.	1. მიენდოს გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილეს ხელის მოწერა იმ ხელშეკრულებაზე, რომელიც დადებული იქნება სომხეთსა და საქართველოს შორის ამ ორი რესპუბლიკათა შუა ნეიტრალური ზონის გაუქმებისა და ადმინისტრაციული საზღვრის დაწესების შესახებ. 2. პროექტი ხელშეკრულებისა ხელის მოწერამდე მოხსენდეს მთავრობას.

[1] დოკუმენტი შედგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბლანკზე [რედ.].
[2] არ არის მითითებული [რედ.].

3. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის დელეგატთა სხდომის ოქმები[1]

საქართველოს დელეგაციის წევრთა და საგანგებოდ მოწვეულ მცოდნე პირთა და სპეციალისტების თათბირისა 20 ნოემბერი 1918 წელი თბილისში

ოქმი №1

თათბირი მოწვეული იყო პარლამენტის თავმჯდომარის ბ-ნ ნ. ჩხეიძის მიერ, რათა მცოდნე პირთა და სპეციალისტების დახმარებით გამორკვეული ყოფილიყო სხვადასხვა საკითხი, დაკავშირებული საქართველოს დელეგაციის ევროპაში გამგზავრებასთან.

პარლამენტის თავმჯდომარის ბ-ნ ნ. ჩხეიძის გარდა თათბირს დაესწრნენ:

1) ვაჭ. – მრეწვ. მინისტრყ გ. ჟურული, 2) სახელმწიფო კონტროლიორი გოგიჩაიშვილი, ევროპული საბჭოს წევრნი: 3) ე. თაყაიშვილი, 4) გრ. რცხილაძე, 5) მ. ნიკოლაძე, 6) ი. ლორთქიფანიძე, და 7) სპ. კედია, აგრეთვე 8) გენ. ო. ოდიშელიძე, 9) პროფ. ი. ჯავახიშვილი, 10) ი. დადიანი და 11) ინჟ. ყიფშიძე, 12) საგარეო საქმეთა სამინისტროსგან – ხელისუფალი ვ. ნაზარაშვილი, 13) მდივანი ი. გოგოლაშვილი.

თავმჯდომარე ბ-ნმა ნ. ჩხეიძემ დამსწრეთ გააცნო მიზანი დღევანდელი თათბირის: მთავრობამ გადაწყვიტა დასავლეთ ევროპაში გაგზავნოს დელეგაცია საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად საქართველოს შესახებ, მოსალოდნელია ამავე დელეგაციამ მონაწილეობა მიიღოს საზავო კონფერენციის მუშაობაშიც. დელეგაციისათვის საჭიროა მასალები, რათა იქ წარსდგეს ყოველმხრივ მომზადებული, ამიტომ თათბირმა უნდა გამოარკვიოს თუ რა მასალებია საჭირო და რა საკითხების შესახებ.

ვაჭ. – მრეწვ. მინისტრი გ. ჟურული საჭიროდ სცნობს, რომ გაშუქებული იქნეს უმთავრესად ყველა ის საკითხები, რომელიც დააინტერესებს ინგლის-საფრანგეთის ფინანსურ წრეებს და ვაჭრობა მრეწველობის წარმომადგენელთ, რადგანაც ამათ აზრს დიდი ზეგავლენა ექნება პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის დროს, ამიტომ აუცილებლად საჭიროდ მიაჩნდა დაწვრილებითი ცნობები იქნას შეგროვილი. 1) საქართველოს რესპუბლიკის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების შესახებ, 2) სტატისტიკა ბუნებრივი მინერალური სიმდიდრის შესახებ. ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი დაამტკიცებს თუ რა ღირებულებას წარმოადგენს საქართველოს ბუნ. სიმდიდრე.

ნ. ნიკოლაძე დაწვრილებით მოახსენებს ბერლინის დელეგაციის მუშაობაზე (ტექსტი არ იკითხება – რედ.) გააცხოველა საქართველოსადმი ინტერესი გერმანიაში; რასაკვირველია, უმთავრესად ამ თვალსაზრისით შეხედავენ თუ რა ღირებულებას წარმოადგენს საქართველო და მაშასადამე ყოველი დარგი ჩვენი მრეწველობისა.

[1] შედგენილია ა. მენთეთაშვილის პუბლიკაციის მიხედვით. იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, № 2, 1992 წ. გვ. 160-177 [რედ.].

20 ნოემბერი 1918 წ.

ოქმი №2

დაესწრნენ სხდომას: თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე, დელეგაციის წევრნი: გრ. რცხილაძე, სპ. კედია. აგრეთვე გ. ღამბაშიძე, ბაბე, ი. გოგოლაშვილი.

ნ. ჩხეიძე, აცნობებს სხდომის მონაწილეთ, რომ ნ. რამიშვილის წასვლა საზღვარგარეთ შეუძლებელი გახდა, ამიტომ მის მაგიერ წამოვა დელეგაციაში ი. წერეთელი. გარდა ამისა ჯავახიშვილი[1*] ყოყმანობს ამ დროს კი მისი წამოუსვლელობა ყოვლად შეუძლებელია. თუმცა დასახელებულია მეორე სპეციალისტიც ბ-ნი ინგოროყვა, მაგრამ უკანასკნელი ვერ გასწევს ჯავახიშვილობას, და თუ ჯავახიშვილი წამოვიდა, მაშინ ინგოროყვა საჭირო აღარ იქნება.

გ. რცხილაძის აზრით, ი. წერეთლის მონაწილეობა კი – აუცილებლად საჭიროა. ბევრი ისეთი მასალა იქნება საჭირო, რომელიც ჯავახიშვილს მოეპოვება და თუ მოგვიხდა მემორანდუმის წერა ისტორიულად და ეთნოგრაფიულად დასაბუთებული, ვინ მოგვაწვდის მასალებს, თუ ბ-ნი ჯავახიშვილი არ იქნა დელეგაციაში. იმ პირებიდან, რომელნიც დასახელებულნი იყვნენ ჯავახიშვილისა და ოდიშელიძის მონაწილეობა აუცილებლად საჭიროა. ჯავახიშვილი უარს ამბობს უნივერსიტეტის საქმეების გამო, მაგრამ თუ დიდხანს არ უნდა იქ დარჩენა ცოტა ხნით მაინც წამოვიდეს.

ნ. ჩხეიძე კითხულობს წერილს, რომელიც მას ბ-ნ ჯავახიშვილისაგან მიუღია. წერილში მიზეზად არ არის უნივერსიტეტის საქმეები მოყვანილი და კიდევაც რომ იყოს ეს საბუთი არ არის, რადგან ამაზედ უდიდესი საქმე არ არსებობს არც ერთი ქართველისათვის. თუ გვექნება დამოუკიდებლობა უნივერსიტეტის საქმეებიც მოგვარდება და თუ არ გვექნება – უნივერსიტეტისაც ვერ შევინარჩუნებთ, ამიტომ საჭირო იქნება ერთხელ კიდევ ეთხოვოს ბ-ნ ჯავახიშვილს წამოსვლა გადაწყვიტოს.

დადგენილ იქნა: ეთხოვოს ჯავახიშვილს წერილობით, რომ მისი მონაწილეობა დელეგაციაში აუცილებლად საჭიროა და თუ დათანხმდება, მაშინ ბ-ნი ინგოროყვა საჭირო არ იქნება.

ნ. ჩხეიძე. აგრეთვე უარს ამბობს სპირიდონ კედია, რომელიც დასახელებულია დელეგატად.

დადგენილ იქნა: ეცნობოს მთავრობას სპ. კედიას უარი.

ნ. ჩხეიძე. გადადის დანარჩენ პირებზე; ამათგან ბ-ნ ვ. ღამბაშიძეს არ აქვს გარკვეული როლი დაკისრებული, ღამბაშიძე უარს არ ამბობს, მოდის, მაგრამ რა სახით, რა საჭიროებისათვის.

გ. ღამბაშიძე. ამბობს, რომ მას არავითარ სამუშაოზე არ უთქვამს უარი თუ კი ამას მოითხოვდნენ მისგან და შესწევდა ამის ძალა. ეხლაც სიამოვნებით იკისრებს დელეგაციის საქმეთა გამგეობას, თუ სხვა უკეთესი კანდიდატი არ აღმოაჩნდა. მაგრამ ერთი რამ (ტექსტი არ იკითხება – ა. მ.) მუდამ, ეს – მდივნის სახელი. აგიტაციისა და საუბრების დროს მდივნის სახელწოდებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ამიტომ იგი კითხულობს, რომ ოფიციალურად სახელეწოდოს „მოთათბირე", ფაქტიურად კი საქმეთა მმართველი იქნება.

ნ. ჩხეიძის აზრით სულერთია, თუ რა სახელი ექნება ბ-ნ ვახტანგს. „მე მგონია, ის სახელი რაც ერქმევა ბ-ნ ჯავახიშვილს და ოდიშელიძეს, დააკმაყოფილებს ვახტანგს".

გადაწყდა ბ-ნი ღამბაშიძე დელეგაციაში წაიყვანონ „მოთათბირის" სახელწოდებით, ფაქტიურად კი მას მიენდოს დელეგაციის საქმეთა მართვა.

ნ. ჩხეიძე. ახლა ვიმსჯელოთ მდივნებზე. დასახელებული იყვნენ: ი. გოგოლაშვილი, ა. დეკანოზიშვილი, ქ-ნი ე. წერეთელი. ამათგან ი. გოგოლაშვილის წაყვანა უკვე გადაწყვეტილია და იგი უკვე მუშაობს დელეგაციის საქმეებზე.

[1*] იგულისხმება ივანე ჯავახიშვილი – (ა. გ.)

ი. გოგოლაშვილი შიშობს, რომ ენების უცოდინრობის გამო უსაქმოდ არ დარჩეს დელეგაციაში და მეტ ბარგად არ დააწვეს მას.

დაადგინეს: ი. გოგოლაშვილს დაევალოს ქართული ნაწილის გამგეობა, აგრეთვე სამეურნეო და ფინანსური მხარეების გამგეობა, ქ-ნი წერეთელი მიღებულ იქნას საქმის მწარმოებლად, რადგანაც კარგი მცოდნეა ენებისა და კანცელარიის საქმეებსაც იცნობს. საკითხი ა. დეკანოზიშვილის შესახებ გადაიდოს.

საინფორმაციო ნაწილისათვის დასახელებულნი იყვნენ გრ. რობაქიძე და მ. ორბელიანი, აგრეთვე თავმჯდომარის პირად მდივნად დასახელებულია ვ. ნაზაროვი.

უკანასკნელთა შესახებ საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა.

ნ. ჩხეიძე ამბობს, რომ ი. გოგოლაშვილს ძლიერ ბევრი აქვს დაკისრებული, ამიტომ მისთვის საჭირო იქნება ვინმე დამხმარე, რომელსაც ენები ეცოდინება.

27 ნოემბერი 1918 წ.

ოქმი №3

სხდომას დაესწრნენ თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე, გრ. რცხილაძე, ვ. ღამბაშიძე, გენ. ი. ოდიშელიძე, ი. ჯავახიშვილი და ი. გოგოლაშვილი.

ნ. ჩხეიძე წინადადებას აძლევს მდივანს, წაიკითხოს დელეგაციის მონაწილეთა სია.

ი. გოგოლაშვილი. დელეგაციაში შედიან: თავმჯდომარე ბ-ნი ჩხეიძე. წევრები: გრ. რცხილაძე, ი. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, მოთათბირენი: ივ. ჯავახიშვილი, ი. ოდიშელიძე, ვ. ღამბაშიძე და ბაბე. საქმის წარმოება დაეკისრა ბ-ნ ვ. ღამბაშიძეს. მდივნები: ე. წერეთელი და ი. გოგოლაშვილი, დასთანხმდა აგრეთვე ა. გვათუა.

დანარჩენების საკითხი ჯერ გადაუწყვეტელია.

ნ. ჩხეიძე. პირად მდივნად ასახელებს დ. შარაშიძეს, ამიტომ ვ. ნაზაროვის კანდიდატურა მოხსნილია. დანარჩენების შესახებ საკითხი კვლავ გადაიდოს, სანამ ყველა დელეგატი დაესწრება კრებას.

ნ. ჩხეიძე. კითხულობს, როგორ არის ფინანსების საქმე.

ვ. ღამბაშიძე. ფინანსთა სამინისტრო იძლევა მხოლოდ 500.000 მან. ძველი რუსული ფულით, დანარჩენს კი კომისარიატის ფულით, რომელიც საზღვარგარეთ არ გამოდგება სრულებით. ამ დროს კი შეიძლება კომისარიატის ბონები აქ გადავცვალოთ ინგლისურ და ფრანგულ ფულებში.

დადგენილია: ამ საქმის მოგვარება მიენდოს ვ. ღამბაშიძეს და ი. გოგაშვილს.

ნ. ჩხეიძე. ვინც კი ღებულობდა დელეგაციაში მონაწილეობას, ყველა უკმაყოფილებას აცხადებდა იმის შესახებ, რომ თანხის გამო ტანისამოსების შეძენა შეუძლებელი გახდა, ამიტომ საჭიროა ეს საკითხი ეხლავე გადაეჭრათ.

გრ. რცხილაძე. ოდიშელიძე და ღამბაშიძე მომხრენი არიან, რომ ტანისამოსებისათვის გადადებულ იქნას განსაზღვრული თანხა თავმჯდომარის განკარგულებაში, რომელიც საჭიროების და მიხედვით ნებას დართავს წევრებს საჭირო სამოსის შეკერვისას.

დადგენილია: გადაიდოს ამ საქმისათვის თავმჯდომარის განკარგულებაში 50000 ფრანკი.

ნ. ჩხეიძე. აგრეთვე საჭიროა მათი ოჯახების მზრუნველობაც, ვინც დელეგაციაში მიდის და შეიძლება დიდხანს მოუხდეს ყოფნა საზღვარგარეთ. დახმარება შეიძლება იმ სახით, რომ მთავრობამ იზრუნოს მათ შესახებ.

ვინც მთავრობის სამსახურში არიან ჯამაგირს მიიღებენ, მაგრამ შეიძლება იყვნენ ისეთნიც, რომელნიც არ არიან ჯერ სამსახურში და წამოსვლისას სამსახურებს კარ-

გავენ. ამიტომ ეხლავე უნდა.. (ტექსტი არ იკითხება – ა. მ.) რომ რაიმე ზარალიც მოსდით. მონაწილეთა ოჯახების მდგომარეობის შესახებ გამოითქვა აზრი, რომ შემდეგ კრებაზე ყველამ წარადგინოს თავის შესახებ ცნობები.

დაადგინეს: იმ პირთა ოჯახებს, რომელნიც მთავრობისაგან ჯამაგირს ვერ მიიღებენ, მიეცათ დელეგაციის ანგარიშში დღიურებისდაკვალად ან საჭიროებისდაკვალად. ამასთანავე გადაწყდა, ორი თვის აქვე დასტოვონ დელეგაციის თანხიდან. შემდეგ კი მთავრობას წარუდგინოს სია, რომ მან დააკმაყოფილოს.

მდივანი მოახსენებს დღიურების შესახებ, რომ კომისიამ გადაწყვიტა დღიურები 50 ფრანკის დაახლოვებით, მაგრამ დეტალურად არ შეეხება მონაწილეთა სიას და კატეგორიებად არ დაუყვია მონაწილენი. პრინციპიალურად კი გამოთქვა აზრი, რომ განსხვავება უნდა იყვეს დელეგატებისა და თანამშრომელთა დღიურებს შორის.

საკითხები გადაუწყვეტელი დარჩა.

შემდეგი კრება დაინიშნა 29/ XI-თვის.

29 ნოემბერი 1918 წელი
ოქმი №4

სხდომას დაესწრნენ: თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე; წევრნი: ი. წერეთელი, გრ. რცხილაძე, ნ. ნიკოლაძე, მოთათბირენი: ი. ჯავახიშვილი, ვ. ღამბაშიძე; მდივანი ი. გოგოლაშვილი.

ვ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე. მოახსენებს ფინანსების მდგომარეობის შესახებ.

ნ. ჩ ხ ე ი ძ ე. წინადადებას აძლევს დამსწრეთ, განიხილონ საკითხი აქ დარჩენილი ოჯახების დაკმაყოფილების შესახებ.

ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. საჭიროა გამოირკვეს თუ რომელთა ოჯახებს რამდენი უნდა მიეცეს, შემდეგ მათ შეიძლება ზოგი აქვე დავუტოვოთ დელეგაციის თანხიდან. შემდეგისათვის კი მთავრობას წარმოუდგინოს სია, რომ ამდენი და ამდენი ეძლეოდეს ამა და ამ პირის დაბრუნებამდე.

ნ. ჩ ხ ე ი ძ ე. ვეცადეთ ამის გამორკვევას, ყოველივე მონაწილეს ვთხოვეთ წარმოედგინა ცნობები, მაგრამ არ წარმოუდგენიათ.

ი. წ ე რ ე თ ე ლ ს მოუხერხებლად მიაჩნია ასეთი გადაწყვეტა საკითხისა, რომ საერთო კრებამ განიხილოს წევრების მატერიალური მდგომარეობა და რაიმე დადგენილება გამოიტანოს, უკეთესი იქნება ეს რამდენიმე ერთ პირს მოვანდოთ და შემდეგ თვით თავმჯდომარემ გადაწყვიტოს.

კრება ეთანხმება ი. წერეთელის აზრს.

ნ. ჩ ხ ე ი ძ ე. აქ წარმოდგენილი იყო დღიურების რაოდენობა – 50 ფრანკი.

ი. წ ე რ ე თ ე ლ ი. მომხრეა 50 ფრანკისა, მხოლოდ დელეგაციამ დაიტოვოს უფლება, ადგილობრივი პირობების მიხედვით შესცვალოს ეს დადგენილება.

ირ. წ ე რ ე თ ე ლ ს საჭიროდ მიაჩნია მსჯელობა იმის შესახებ, თუ ვინ მიდის თავმჯდომარის წინადადებით[.] მდივანი კითხულობს სიას დელეგატებისა, მოთათბირეთა და თანამშრომლებისას, აგრეთვე კანდიდატებისას, რომელთა საკითხი ჯერ გადაუწყვეტელია.

ი. წ ე რ ე თ ე ლ ი. ასახელებს ხუთ პირს, რომელნიც მისი აზრით სასარგებლონი იქნებიან დელეგაციაში.

ამათ გარდა საჭიროა ორი-სამი ისეთი კაცის წაყვანა, რომელნიც გამოდგებიან სხვადასხვა ქვეყნებში წარმომადგენლებად გასაგზავნათ, ისეთები რომელთაც ვენდობით და რომელნიც არ შეგვარცხვენენ. ასეთ პირებად მას მიაჩნია: ა. დეკანოზიშვილი,

ზურაბიშვილი და სოც. რევ. კ. ჯავრიშვილი, რომელიც ესერებმა პერსონალურად დაასახელეს.

ნ. ჩხეიძე – წინადადებას იძლევა კანდიდატებზე ჯერ ნურას იტყვიან და ილაპარაკონ მხოლოდ პრინციპზე.

საჭიროა თუ არა ასეთი კაცების წაყვანა.

გრ. რცხილაძე ფიქრობს, რომ თუ წაიყვანენ ასეთ კაცებს, არა იმიტომ, რომ ელჩებად დაინიშნონ, არამედ დელეგაციის საქმეებში დახმარება გაწიონ. ელჩების გამოწვევა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ უმთავრესი სამუშაო, სანამ ელჩობამდე მივიდოდეს საქმე, კარგი იქნებოდა, წამოსულებმა იცოდნენ, რომ დელეგაციაშიც უნდა იმუშაონ.

მაგალითად, ამათგან ი. ზურაბიშვილი ძლიერ საჭირო და გამოსადეგარია.

ნ. ნიკოლაძე. რასაკვირველია, ყველა წამოსული საქმეს გააკეთებს. მოხდება ხანდახან, რომ უეცრად დაგვჭირდება ხალხში გასაგზავნად და არავინ გეგულებათ. ამიტომ საჭიროა აქედან ასეთი ხალხის წაყვანა.

ნ. ჩხეიძე. მაშასადამე ჩვენი წრე უნდა გავაფართოვოთ და ეს ხუთი კაციც შემოვიყვანოთ.

გრ. რცხილაძე. ინფორმაციისათვის აუცილებლად საჭიროა ინგლისური ენის მცოდნე. ასეთად მე ორი კაცი მომაგონდა: ი. ნაკაშიძე და მ. ორბელიანი.

ნ. ნიკოლაძე – ი. ნაკაშიძე ისეთი ადამიანია, რომ თავის პიროვნებას ვერ აუხვევს გვერდს.[1] პირდაპირ მოგახსენებთ: ევროპაში არასოციალისტურ პარტიებს უფრო მეტი გავლენა აქვთ და ამ წრეებს ნაკლებ ანგარიშს უწევთ. ასეთნაირად დელეგაცია ჭრელდება. კარგია ყველა წრეების წაყვანა. ანარქისტებიც რომ წავიყვანოთ. მაგრამ მან რომ ვერ დაჰფაროს თავისი გრძნობა და რწმენა – ეს შეარყევს დელეგაციას. ყველანი თავმჯდომარის მხლებელნი უნდა იყვნენ და არა ინდივიდუალურად მოქმედნი, არამედ სრული უფერულნი, ნამდვილად აღმასრულებელნი დელეგაციის დედა აზრისა. თუ მას წაიყვანთ წინდაწინ უნდა გააფრთხილოთ, რომ დამოუკიდებელი გამოსვლები არ ექნეს.

ი. წერეთელი. ამის შესახებ საკითხი წინდაწინ უნდა იქნას დაყენებული. წერეთლის აზრით, ეს გარემოება ძლიერ შეუშლის ხელს დელეგაციას, რადგან მის შემადგენლობაში არ იქნება არც ერთი სოციალისტი. ამას ვერ გამოასწორებს ნ. ნიკოლაძის დაგვიანებით ჩამოსვლა. მომხრეა, ეთხოვოს ბ-ნ ნიკოლაძეს ეხლავე წამოსვლა.

ვ. ღამბაშიძის აზრით, რადგან აქამდე დელეგაციები მოწვეული იყვნენ საქართველოდან საჭიროა ეხლა მაინც გვქონდეს მათთან კავშირი. შემოგვაქვს წინადადება, რომ დაევალოს გარეშე საქმეთა სამინისტროს, თვეში ორჯერ გამოგზავნოს შიკრიკი, რათა გვამცნოს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა.

ი. წერეთელი. ამ საქმისათვის დაინიშნონ ვ. ნაზაროვი და კოპალეიშვილი, რომელნიც დარჩნენ სიის გარეშე და მათ დაუნიშნოთ ვადა.

ი. ოდიშელიძეს საჭიროდ მიაჩნია სპეციალისტებისათვის მდივანი. ასახელებს აფხაზს.

ი. გოგოლაშვილი. დარჩა ორი პირი, რომელთა შესახებ არ ყოფილა ბაასი: ესენი არიან: გრ. რობაქიძე და მ. ორბელიანი, რობაქიძის შესახებ საკითხი გადაიდო, ამავე მოსაზრებით, როგორც ი. ნაკაშიძისა, ორბელიანის კანდიდატურას უარყოფს.

ი. გოგოლაშვილი. საგზაო თანხის შესახებ კომისიამ დაადგინა მიეცეს მონაწილეთ 2500 მანეთი თითოს, მაგრამ მაშინ მხედველობაში არ გვქონდა, რომ ტანისამოსებს დელეგაციის ხარჯით შეიკერავენ. ამიტომ შეიძლება ეს თანხა შემცირდეს.

ნ. ჩხეიძე. პრინციპულად გადავწყვიტოთ საკითხი. საჭიროა თუ არა სამგზავრო ხარჯები – „подьемные“.

---

[1] ალბათ, უნდა იყოს ასე: ი. ნაკაშიძე ისეთი ადამიანია, რომ მის პიროვნებას ვერ აუვლით გვერდს – (ა. მ.).

საჭიროდ იქნა ცნობილი და დაადგინეს, მონაწილეთ მაეცეს 1500 მანეთი თითოს.

ნ. ჩხეიძე. ნიკოლაძე მთავრობის მიერ არის დასახელებული და მთავრობამ უნდა გადასწყვიტოს. ჩვენ გამოვთქვამთ ჩვენს სურვილს მთავრობის წინაშე და ვაცნობებთ თქვენს უარს.

ი. წერეთელი უბრუნდება დელეგაციის მონაწილეთა სიას და კრებამ შეიმუშავა შემდეგი სია:

თავმჯომარე – ნ. ჩხეიძე

მოთათბირენი პროფ. ი. ჯავახიშვილი, ი. ოდიშელიძე, ბ. ბაბე

ვ. ღამბაშიძე (საქმეთა გამგე)

პოლიტ. მოთათბირე: ვ. მგელაძე

კ. ჯავრიშვილი

სეკრეტ: ი. ზურაბიშვილი (კანც. მმართველი) ა. დეკანოზიშვილი, ი. გოგოლაშვილი, ე. წერეთელი – (მდივნები)

(უკანასკნელს ევალება აგრეთვე სამეურნეო და საკანონო ნაწილების გამგეობა)

თავმჯდ. პირად მდივანი დ. შარაშიძე

ა. გვათუა – კურიერი.

რადიო-ტელ. სპეციალისტ ვ. წვერავა

აფხაზი.

ილია ნაკაშიძისა და გრ. რობაქიძის შესახებ საკითხი გადაიდო. ნაზაროვი და დ. კოპალეიშვილი რჩებიან ტფილისში დიპლომატიურ კურიერებად.

შემდეგი კრება დაინიშნა 1918 წ. 4 დეკემბრისათვის.

19/ 4/ XII 18 წ.

ოქმი №5

სხდომას დაესწრნენ: თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე, დელეგატები: ი. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და გრ. რცხილაძე, მინისტრები: გ. ჟურული, ნ. რამიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი, მოთათბირენი: ივ. ჯავახიშვილი, ი. ოდიშელიძე, ბ. ბაბე, აგრეთვე: ი. ზურაბიშვილი, დეკანოზიშვილი, ქ-ნი ე. წერეთელი და ი. გოგოლაშვილი.

ა. ჩხეიძე. რადგანაც დელეგატები და მოთათბირენი აქ არიან, ამიტომ შეიძლება შევუდგეთ მასალების განხილვას.

ი. წერეთელი. თუ შეიძლება ჯერ გადავწყვიტოთ, ი. ნაკაშიძისა და გრ. რობაქიძის მოწვევის საკითხი. წარსულ კრებაზე ვლაპარაკობდით, რომ ისინი ინდივიდუალისტებია, თავისებურებას გვერდს ვერ აუხვევენ და ამიტომ მათი წაყვანა სასურველად არა სცნეს, შემდეგ გამოვკითხეთ და გარდა იმისა, რომ სიტყვას იძლევიან სრული აღმასრულებელნი იქნენ თავმჯომარის გადაწყვეტილებისა, ძლიერ სასარგებლონი იქნებიან საინფორმაციო განყოფილებაში.

ნ. ჩხეიძე. მე მინდოდა ეს საკითხი მარტო დელეგატების კრებაზე ყოფილიყო, მაგრამ თუ გსურთ ეხლავე ვიმსჯელოთ საერთოდ სიის შესახებ.

მდივანი კითხულობს სიას.

ი. წერეთელი. ნ. ნიკოლაძის კანდიდატურა იხსნება, რადგანაც ეხლა უარს ამბობს და მერმე ჩამოვა. ამიტომ ის დელეგატი ვერ იქნება. მის მაგიერ ორი კანდიდატი ბ-ნი ჟურული და ი. დადიანია, თუ შეძლებენ წამოსვლას.

ნ. რამიშვილი. ჯაყელი კარგად იცნობს ფრანგულ წრეებს, გავლენა ექნებოდა, ამიტომ მის წაყვანას მნიშვნელობა ექნებოდა.

ი. წერეთელი. ვთხოვთ მთავრობას, რომ პირველ რიგში მოელაპარაკოს ბ-ნ ჯაყელს და თუ იგი ვერ წამოვიდა, მაშინ ი. დადიანის კანდიდატურა მიეღოთ.

წინადადება მიიღო კრებამ.

გზათა მინისტრი ბ-ნი ლორთქიფანიძე. აქ მდგომარეობა გამოიცვალა. სოციალისტურ-რევოლუციონერებიდან დასახელებული იყო კ. ჯავრიშვილი, მაგრამ ის საჭირო შეიქნა აქ სამუშაოდ და ვერ წამოვა. ამიტომ შეიძლება ჩვენ სხვა ვინმე დავასახელოთ. მხოლოდ აქ მდგომარეობა შეცვლილია. მე როდესაც მთავრობასთან მქონდა ლაპარაკი, კ. ჯავრიშვილი დავასახელეთ როგორც დელეგატი, რასაკვირველია იყვნენ სხვადასხვა პირები პერსონალურად. თუ ეხლა ახალ კანდიდატურას წამოაყენებთ, ეს კვლავ მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, ჩვენ ამას ვერ გადავწყვეტთ. ნუთუ ამით დაითრგუნება ინტერესები, რომ პარტიის წარმომადგენელი არ იყვეს დელეგაციაში. თუ პერსონალურად წამოაყენებთ ვინმეს კანდიდატურას და მას სასურველად სცნობენ ეს სხვა არის.

ლორთქიფანიძეს და (ასეა ტექსტში – ა. მ.) ირ. წერეთელის სიტყვა მიაჩნია გაუგებრობით გამოწვეული, ჯავრიშვილიც პერსონალურად იყო დასახელებული, მთავრობასთან ლაპარაკი იყო მისი წაყვანის შესახებ, როგორც დელეგატისა და თუ ეხლა პირობები შეიცვალა თქვენ ჯაყელს და ი. დადიანს ასახელებთ პერსონალურად, ჩვენც პერსონალურად დავასახელებთ ი. გობეჩიას.

ნ. ჩხეიძე. ჩვენ კი დავასახელეთ, მაგრამ ამის გადაწყვეტა არ შეგვიძლია, მთავრობას ვაცნობებთ და ის გადასწყვეტს.

ნ. რამიშვილი. მთავრობას კრება ექნება ხვალ. რამდენიმე წევრს მოვიწვევთ კრებაზე და იქ გადაწყდება, ეხლა კი მოისპოს ამაზე კამათი.

გრ. რობაქიძისა და ი. ნაკაშიძის შესახებ გადაწყდა, რომ ისინი მიიღებენ მონაწილეობას დელეგაციაში, როგორც საინფორმაციო ნაწილის გამგენი.

ვ. ნაზარაშვილის შესახებ კამათი არ ყოფილა, რადგანაც იგი დასახელებულია საგარეო საქმეთა სამინისტროსგან და მიჰყვება დელეგაციას, როგორც სამინისტროს მიერ გაგზავნილი მოხელე.

სამინისტროს მიერ ბ-ნ აფხაზის წაყვანა უარყოფილია.

ნ. რამიშვილი. მთავრობის კრებაზე ლაპარაკი იყო, რომ წაგეყვანათ ერთი მაჰმადიანი ქართველი.

ნ. ჩხეიძე. გნებავთ თუ არა, გამოსთქვათ აზრი ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენელის წაყვანის შესახებ.

გრ. რცხილაძეს წაყვანა წარმომადგენლებისა ყველა წრეებიდან საჭიროდ არ მიაჩნია, რადგანაც მისი აზრით, ამას საზღვარგარეთ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება და თუ საჭირო იქნება, შემდეგაც შეიძლება გამოვიწეროთ.

სხდომა დაეთანხმა ბ-ნ რცხილაძის აზრს.

ი. წერეთელი. ინგლისელები გარშემორტყმულნი არიან ჩვენი მტრებით, რომელნიც ჩვენს შესახებ აწვდიან და ავრცელებენ ყოვლად შეუწყნარებელ ყალბ ცნობებს. შეიძლება საჭირო იყო ტომსონთან კაცის გაგზავნა, რომელიც, ამასთანავე, ერთად იზრუნებს ტომსონი დაგვემხაროს გამგზავრებაში - მოგვცეს მოწმობა.

ნ. ნიკოლაძეს თავისი წასვლა ბაქოში საჭიროდ არ მიაჩნია. ბაქოში ინგლისელებთან არამც თუ სხვები, ქართველთაგანიც რამდენიმე კაცი მისულა მთავრობაზე საჩივლელად. საჭიროა პასუხისმგებლებმა დაამოწმონ მათი ცნობების სიყალბე. კარგი იქნებოდა თუ ერ[თ] წარმომადგენელ[ს] წაიყვანთ ჩვენთან კარგ განწყობილებაში მყოფ ფრანგს ან შვეიცარელს, როგორც ნეიტრალ პირს. ასეთივე კაცების ყოლა საჭიროა ბათუმში.

ნ. რამიშვილი. ჩვენზე საჩივრები დღეს გადმომცეს მე და ზომები იქნება მიღებული, რომ ასეთი საზიზღრობა არ გამეორდეს. ნ. ნიკოლაძის წასვლა აუცილებლად მიაჩნია.

დაადგინეს: ეცნობოს ბაქოში წარმომადგენლების გაგზავნა.

გადადიან მასალებზე.

მდივანი მოახსენებს: 2 მასალაა მზად.

გარდა შეგროვილი მასალისა, საჭიროდ სცნეს შემდეგი მასალების წაღებაც და დაავალეს:

1. იუსტიციის სამინისტროს – წარმოადგინოს მოხსენება სამინისტროს მუშაობის შესახებ.
2. მიწადმოქმედების სამინისტროს: ა) აგრარული რეფორმის შესახებ; ბ) ცნობები სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესახებ.
3. ი. ოდიშელიძეს – რუსეთის დაწესებულებათა ლიკვიდაციის შესახებ.
4. ა. დეკანოზიშვილს – ბათუმის ოლქის შესახებ.

ნ. ჩხეიძე. რადგანაც მასალები უკვე შეგროვილია, საჭიროა მათი გადათვალიერება და ამ მუშაობის განაწილება დელეგაციის წევრთა შორის.

ი. ზურაბიშვილი. უმჯობესი იქნება დელეგაცია ეხლავე გაეცნოს მასალებს.

ი. წერეთელი. თუ მასალები გვაკლია, მაშინ თქვით, რა აკლია და ამაზე ვიმსჯელებთ. შეგროვილი მასალები კი ეხლავე უნდა გადაეცეს კანცელარიის გამგეს, რომელიც გაამრავლებს მათ და თითო ცალს დაურიგებს დელეგატებს. ამისათვის თუ რაა საჭირო, გვითხრან ეხლავე. საჭიროა თუ არა კრედიტი – ეხლავე უნდა გაიხსნას.

გრ. რცხილაძის აზრით, მუშაობა უნდა სწარმოებდეს შემდეგი გეგმით, უნდა გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა საკითხი, რომელიც დელეგაციას დაუდგება და მოგვეპოვება თუ არა მასალა მათ საპასუხოდ. გარდა ამისა ის დაგვიყენებენ საკითხებს, რომელსაც პოლიტიკურ საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, ინგლისიც და საფრანგეთიც იმითაა დაინტერესებული, რომ რუსეთისაგან გაინაღდონ ის ვალი – მილიარდები, რომელიც მათ რუსეთს ასესხეს. დაქუცმაცებულ რუსეთს კი რას გადაახდევინებენ, ამიტომ მათ სურთ რუსეთის ტერიტორიის აღდგენა, რათა შემდეგ პეტერბურღში ან მეორე სხვა ცენტრში დააკისრონ ასეთივე კონტროლი, რომელიც აქამდე სუფევდა ოსმალეთში.

შემდეგ მისდგებიან და დილა-საღამოს (გაურკვეველი სიტყვა – ა. მ). ამიტომ თუ რომელიმე სახელმწიფოს აღადგენენ რუსეთის ტერიტორიაზე, მხოლოდ ისეთს, რომელსაც შეეძლება მისი წილხვდომი ვალის გადახდა. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა დავუმტკიცოთ, რომ საქართველოს შეუძლია ამ ვალის გადახდა, ჩვენ ეხლა დავაინტერესოთ ისინი ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრით. ამასთანავე ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება ნაკლები გადავიხადოთ, რათა ხალხი არ გავაღატაკოთ, საჭიროა აგრეთვე ყველა ის ცნობები, თუ რამდენია ჩვენი რუსეთზე, რათა ეს მივაწეროთ რუსეთს და ამით შევამციროთ ჩვენი მოწერილი ვალი.

ინჟ. ყიფშიძე ამბობს ხე-ტყისა და მინერალური წყლების სიმდიდრეზე, აგრეთვე იმ სიმდიდრეზე, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი მდინარეები, როგორც ელექტრონის ენერგია.

ი. ლორთქიფანიძე ეხება საკითხს ტერიტორიის გამოუყოფლობის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილს აუცილებლად მიაჩნია დასაბუთება ისტორიული და ეთნიური მხარეებისა.

ფ. გოგიჩაიშვილი. შემდეგი ორი საკითხი მიაჩნია უმთავრესად: 1) შეუძლია საქართველოს არსებობა დამოუკიდებლად, თუ არა, ძველი ბალანსი გააკეთოს თუ არა, 2) რუსების მტკიცება, რომ საქართველოზე აუარებელი ფული ეხარჯებოდათ. რუსები მუდამ იმას გაიძახოდნენ საქართველოს ჩვენ ვარჩენთო. წინდაწინ უნდა ვთქვათ, რომ რუსები აქ ბევრ ფულს ხარჯავდნენ, მაგრამ ჩვენი – ქართველი ხალხის მოთხოვნილებას კი არ აკმაყოფილებდნენ, არამედ ფული სჭირდებოდათ მათ სახელმწიფო პოლიტიკის გასახორციელებლად. რუსეთს საქართველო კოლონიად ყავდა გადაქცეული, თავის ინტერესებისათვის. აქედან ყველაფერი გაჰქონდა და ეს უდიდესი ხარჯები მისდიოდა თავისი ჩინოვნიკების შესანახად. მესამე იქნება საკითხი, თუ რა გაუკეთებია რუსეთს ჩვენში რომ (ტექსტი არ იკითხება – ა. მ.) ევროპა, რომელსაც რუსეთისაგან ვალი აქვს გასანაღდებელი. თუ მოინდომებს აქაც მოისურვებს ხელი ჩასჭიდოს, მაგრამ თუ რამე თანა შეექნება გადასახდელი, მაინც მოხერხდეს, რომ კისერზე არ გვაჯდნენ. აგრეთვე საჭირო იქნება ჩვენი საზღვრების ისტორიული დასაბუთება. საბუთები იმისა, რომ ამდენხანს გვიცხოვრია და ჩვენი საკუთარი სახელმწიფოებრიობა გვქონდა. წერა-კითხვის ცოდნისა, შედარებით რუსეთთან და სხვა მეზობელ ერებთან მოგვეპოვება ისეთი კუთხეები, სადაც თითქმის ყველამ იცის წერა-კითხვა. მაგალითად გურია. მიუხედავად იმისა, რომ, სწავლა-განათლების საქმე რუსეთის მთავრობას საძაგლად ჰქონდა დაყენებული, წერა-კითხვის ცოდნა ხალხში მაინც გავრცელებულია. აგრეთვე მეტად საყურადღებოა ხალხის ადმინისტრაციული უნარი, გამგეობის ნიჭი. მიუხედავად, რომ ერობა და თვითმართველობა არ გვქონდა, ხალხმა შეძლო ბევრი საეკონომიო და საკულტო საზოგადოების შექმნა. კოოპერატივებისა და სხვა.

გ. ჟურული. უეჭველია, სომხები წამოგვედებიან ტფილისზე სტატისტიკის მხრით. ჩვენ გვეგონა, რომ ტფილისში 70% არაქართველები იყო. უკანასკნელმა საარჩევნო სტატისტიკამ, რომელიც ხატისოვისა და მისი მომსახურეთა მიერ არის შედგენილი, დაგვიმტკიცა, რომ ქართველებს ძლიერ საპატიო ადგილი უჭირავთ, ეს სტატისტიკა უეჭველად საჭიროა.

ნ. ჩხეიძე. ყველაზე უფრო საჭიროა ჩვენთვის ხარჯთაღრიცხვა რომ გვკითხონ, როგორია ჩვენი ხარჯთაღრიცხვა, ვერაფერს ვეტყვით, გასამართლებელი საბუთი არ გვექნება, იმიტომ, რომ იმას ვერ ვეტყვით დაამზადებინოს დაახლოებით ხარჯთაღრიცხვა; ის, რასაც ეწოდება ჩონჩხი რესპუბლიკის ხარჯთაღრიცხვისა.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადაწყდა:

1. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დაევალოს შეგროვება მასალებისა:

ა) საქართველოს რესპუბლიკის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებისა;

ბ) დაახლოებითი ხარჯთაღრიცხვა;

გ) რა თანხა დაიხარჯა ფრონტისა და რუსეთის დაწესებულებათა მოხელეების ლიკვიდაციის დროს;

დ) რა თანხები გადაგზავნეს რუსეთში სახელმწიფო ბანკებმა და შემნახველმა კასებმა;

ე) რაოდენი თანხის დასაზღვევი მასალებია საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის დამზღვევი საზოგადოებათა (ტექსტი არ იკითხება – ა. მ.)

ვ) (ტექსტი არ იკითხება – ა. მ.)

ბ)[1] ხე-ტყე, მევენახეობა, მინერალური და სამკურნალო წყლები, საქართველოს მდინარეები, როგორც ელექტრონი.

4. განათლების სამინისტროს – სწავლა-განათლების სტატისტიკა.

5. შინაგან საქმეთა სამინისტროს.

რაოდენი პროფესიონალური კავშირებია, კოოპერატივებში, ტეხნიკები და კულტურული ნამუშევარი, რომელშიც ხალხმა გამოიჩინა ადმინისტრაციული და გამგებლობითი უნარი.

6. საგარეო საქმეთა სამინისტროს – დაამზადოს პირები ქართულ და უცხო ენებზე ყველა საქმის საბუთებისა და მიწერ-მოწერისა მეზობლებთან და უცხო სახელმწიფოებთან, ოსმალეთთან მოლაპარაკების დაწყებიდან, (თევზაიას გამგზავრება) უკანასკნელ დღემდე.

7. სახ. კონტროლიორს ფ. გოგიჩაიშვილს.

რუსეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობა ფინანსური მხრით, რუსეთი რას ხარჯავდა საქართველოზე, რამდენად იყო საქართველო რუსეთის ტვირთი.

8. ვ. ყიფიანის სხვადასხვა სტატისტიკური მასალა, რომელიც შეგროვილი ჰქონდა მას მოხსენებაში.

9. თაყაიშვილს – საქართველოს შემადგენლობის სტატისტიკა.

10. გენ. ოდიშელიძეს და პ. ინგოროყვას – დაამზადონ ხუთვერსიანი რუკები[2] საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შემოხაზვით ისტორიულად, ეთნოგრაფიულად და სტრატეგიულად.

11. გენ. ოდიშელიძეს – რაოდენი ქონებაა რუსეთისა საქართველოში და ფრონტზე რუსეთის ჯარის გაქცევის შემედეგ, რამდენი სად დარჩა.

---

[1] აქ და შემდგომ ნუმერაცია აღრეულია ა. მემთეშაშვილის პუბლიკაციაში. რასაც უცვლელად ვტოვებთ [რედ].

[2] 1919 წლის 17 და 23 მაისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ იმსჯელა 5-ვერსიანი რუკისათვის გეოგრაფიული ობიექტების ნუსხის ქართული ვერსიის შედგენის შესახებ. საზოგადოების გამგეობის 17 მაისის სხდომის ოქმში [საზოგადოების გამგეობის სხდომის ოქმები, ფონდი № 481, აღწ. 1, საქმე № 1851, ფ. 42ბ, 45ბ, 46] ვკითხულობთ: ,,სამხედრო სამინისტროს სატოპოგრაფიო განყოფილება თხულობს დაეთმოს მას გადასაწერად საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონი, რაც ხსენებულ განყოფილებისათვის საჭიროა 5-ვერსტიანი მასშტაბის რუქის გამოსაცემად''. საკითხი გადაიდო, თუმცა 23 მაისის სხდომაზე საკითხი დადებითად გადაწყდა: ,,მიეცეს ნება გადაწერისა, მხოლოდ წ.კ.გ.ს. კანცელარიაში''. ამავე სხდომაზე სამწიგნობრო სექციამ დაადგინა, რომ ,,დაიბეჭდოს და გამოიცეს საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონი, შედგენილი პავლე ინგოროყვას მიერ 500-600 ცალამდე''. დღეს რთული სათქმელია, რა ბედი ეწია ,,საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონს''. თანამედროვე მეცნიერთათვის დღეს იგი უცნობია. თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პ. ინგოროყვამ იგი გამოიყენა მის მიერ შედგენილი ,,ტფილისის მაზრის ადმინისტრატიული რუკის'' შექმნისას. რუკა შედგენილია სამხედრო ტოპოგრაფთა კორპუსისა და სამიჯნო უწყების მასალების შესწორებით და გადამუშავებით, ხოლო გეოგრაფიულ სახელწოდებათა რედაქცია და ისტორიული პუნქტების გაადგილება შესრულებულია პავლე ინგოროყვას მიერ. რუკა გამოცემულია 1927 წელს, მაშტაბი 1:100,000. თუმცა ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული რუკა, 5-ვერსიანთან შედარებით, უფრო დეტალური და განახლებულია [რედ.].

შემდეგ დელეგაციის საქმეთა მთავარ გამგის თანამდებობაზე კანდიდატებად დასახელებული იქნენ: ზ. ავალიშვილი, გოზდავა-კოლოვსკი, ს. ახვლედიანი, ვ. ღამბაშიძე და ა. დეკანოზიშვილი.

რადგან ავალიშვილი დელეგატია, მისი კანდიდატურა მოიხსნა, — აგრეთვე გოზდავა-საკალუსკისა (ასეა ტექსტში — ა. მ.) და ს. ახვლედიანისა; უკანასკნელის იმიტომ, რომ თანამდებობას თავს ვერ მიანებებს.

თათბირმა ერთხმად გამოთქვა სურვილი, რომ პროფ. ვ. ჯავახიშვილმა აუცილებლად მიიღოს მონაწილეობა, როგორც მოთათბირემ.

გრ. რცხილაძის წინადადებით საჭიროდ სცნეს აგრეთვე გენ. ი. ოდიშელიძის მონაწილეობა დელეგაციაში. მოთათბირედ დასახელებული იყვნენ აგრეთვე (ტექსტი არ იკითხება — ა. მ.).

ივ. ჯავახიშვილი. საკითხები ტერიტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ მე მექნება დავალებული. ჩვენ გათვალისწინებული უნდა გვქონდეს თუ ვისი მხრით იქნება იერიშები მოტანილი. შევჩერდები უპირველეს ყოვლისა სომხებზე სამხრეთით საზღვრებიდან: ბორჩალო — ახალციხე — ახალ-ქალაქის მაზრებიდან და აგრეთვე ოსმალებისაგან სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ. აქ ვაგროვებთ მასალებს, რომ ყველას ჯეროვანი პასუხი გავცეთ. ოსმალები ძლიერ ფრთხილად იქცევიან. ისინი ეხებიან მხოლოდ სარწმუნოებრივ მხარეს. ამის წინააღმდეგ ბრძოლა გაგვიადვილდება, თუ რაიმე საიდუმლო მოლაპარაკება არ არსებობს ინგლისსა და ოსმალეთს შორის. ამის საბუთები არის, რადგანაც ჯერ ოსმალები არ მიდიან დაპყრობილ ადგილებიდან. მთავრობის პირველ კრებაზე ჩვენ დავაყენეთ საკითხი, აწევს თუ არა დელეგაციას ვალად, რომ პასუხი გავცეთ თუ ამ ადგილების შესახებ იქნება საკითხი დაყენებული. მე მაქვს ამის შესახებ საიდუმლო საბუთები ოსმალეთის მოსახლეობისა და სხვა. რაც შეეხება სომხებს, მათ მოთხოვნილებათა საბუთიანობას — ეს სხვადასხვაგვარია, არის ეთნოგრაფიული მოსაზრებანი, ეკონომიური და ასახელებენ ისტორიულსაც. მაგ., ძეგლები. პროფესორი დეტალურად ეხება სომხების პრეტენზიების ყოველ მხარეს და განმარტავს თუ რა საბუთები აქვს ამის დასარღვევად.

ი. ზურაბიშვილი. საჭიროდ მიაჩნია, აუცილებლად გვქონდეს ცნობები იმის შესახებ, თუ რა აქვს აქ დახარჯული რუსეთს და რა ეხარჯებოდა.

ნ. ჩხეიძე განმარტავს, რომ ეს დავალებული აქვს ბ-ნ გოგიჩაიშვილს. ჩვენ გვაქვს ორი ხანა: ერთი ხანაა ომამდელი, რომლის შესახებ ამდენს ყვიროდნენ, რომ ბევრი გვეხარჯებოდაო. ამის გამორკვევა ბ-ნ გოგიჩაიშვილს აქვს მინდობილი. მეორე ხანაა, რაც დაიხარჯა ომის დროს.

ნ. ნიკოლაძე. თუ ვალების განაწილება ჩვენდა დაუკითხავად მოხდა, მაშინ ჩვენი ბედი გადაწყვეტილი ყოფილა. ინგლისს-საფრანგეთის მოქმედების დედააზრი იქნება, როგორმე გადაახდევინონ ვალი რუსეთს. ეს იქნება დედააზრი აგრეთვე მთელი ჩვენი მოქმედებისა და საჭიროა ამის შესახებ წერილობითი ცნობები.

ფ. გოგიჩაიშვილი. უეჭველია და ყველამ უნდა იცოდეთ, რომ აქ რუსეთს მეტი ხარჯი ქონია, ვიდრე შემოსავალი ქონდა. წინათ და ომის დროს აუარებელი ფული ეხარჯებოდა რუსეთს. საქმე მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გამოსწორდა.

ნ. ნიკოლაძე. ორი სხვადასხვა საკითხია. შეუძლია თუ არა საქართველოს თავისთავის შენახვა და ვალის გადახდაც. ამის დასაბუთება ბ-ნ გოგიჩაიშვილის შრომაში მოიპოვება. არის მეორე უმთავრესი საბუთი მიწერ-მოწერა, რომელიც არსებობდა ინგლის-საფრანგეთ-რუსეთს შორის რუსეთის შველის შესახებ. ეს გამოქვეყნებულია „ჯან"-ში, თუ რანაირად გადაახდევინონ რუსეთს ეს ვალი: ამისათვის განზრახულია პეტერბურგში ისეთივე დაწესებულების დაარსება, როგორიც იყო სტამბოლში, „დეტ. პუბლიქ.", რათა მოკავშირეთა წარმომადგენლებს ჩაბარდეს მთელი შემოსავალი რუსეთისა. ეს გადაწყვეტილება კონგრესში იქნება უეჭველად. ჩვენთვის აუცილებლად საჭირო საბუთებია. რუსეთისთვის იღებდა ვალს და მასზე ხარჯავდა. რა წილი დაედო

საქართველოს: ვალი ფოთის პორტის, – რკინიგზის, ამ ვალების რაოდენობა, რამდენიმე გადახდილი.

ი. ზურაბიშვილი. გვაქვს გათვალისწინებული, თუ რა მიზნით მივემგზავრებით. მე მგონია დელეგაციამ უნდა დაამზადოს ნიადაგი, რომ საქართველოს წარმომადგენელი დაუშვან კონგრესზე და ამისათვის საჭიროა, რომ ცალკე არსებად გვცნონ. ამიტომ უნდა დავუმტკიცოთ, რომ ჩვენ გვაქვს ტერიტორია, ენა, სახელმწიფოებრიობა. როდესაც ამის უფლებას მიიღებთ, მაშინ დაგვჭირდება მასალები და გამოკვლევები. ჩვენი ინტერესები მოითხოვს, რომ ვალის დანაწილების პრინციპი დავიცვათ. ამ საქმეში ბევრი ამხანაგები და ქომაგნი გეყოლებათ: პოლონეთი, ფინლანდია და სხვ.

გრ. რცხილაძის აზრით, საკმაოა ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა მასალა უნდა გვქონდეს. ეხლა მოძებნაა საჭირო. დელეგაციაში ოცამდე წევრია და ყველამ უნდა იმუშაოს, რომ ეს მასალები ეხლავე იყოს მზად, თორემ შემდეგ გვიან იქნება. ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ინგლისელებსა და ფრანგებს სამრეწველო ინტერესები ჰქონდათ საქართველოში. შესაძლებელია ამის შესახებ დაგვჭირდეს ცნობები. შეიძლება ამას დაუკავშიროთ საქართველოს სატრანზიტო მნიშვნელობა. როგორც ვიცით, საქართველოზე დიდძალი საქონელი გაქონდათ სპარსეთით, შემდეგ რუსეთმა მოსპო ეს და მხარეს დიდი ზიანი მიაყენა.

ჟურული. თუ კონგრესზე ჩამოვარდა ლაპარაკი, იქ დამთავრებულ (ასეა ტექსტში – ა.მ.) ყალბი ცნობების წინააღმდეგ, რომელსაც ევროპაში მრავლად ავრცელებენ ჩვენზე მტრები, ამიტომ აუცილებელ საჭიროა სტენოგრაფიული ანგარიში (ტექსტი არ იკითხება – ა. მ.) და პარლამენტის აგრეთვე კომპლექტები ადგილობრივი და ბაქოელი პრესისა.

კ. ჩხეიძე. ეს საქმე მინდობილი აქვს გ. ღამბაშიძეს. სეიმისა და პარლამენტის ანგარიშები ყველა გვაქვს.

ფ. გოგიჩაიშვილი. გავრცელდა ის აზრი, რომ აქ დიდძალი ქონება დარჩა რუსეთს. რუსეთს ბარათები აქვს, რომ დიდძალი საქონელია კავკასიაში გამოგზავნილი, მაგრამ აქ კი არ მოსულა. დელეგაციისათვის აუცილებლად საჭიროა იცოდეს რაოდენი ღირებულებისაა ის ქონება, რომელიც რუსეთს აქ დარჩა.

ი. ოდიშელიძე. მოახსენებს მისი მუშაობის შედეგებს.

ნ. ნიკოლაძე. ვის რა ერგება, ამაზე ლაპარაკი, რასაკვირველია, კომისიებში იქნება, მაგრამ უნდა ჰქონდეთ საქმეში, რომ თქვენ შეგიძლიათ მათი აპეტიტების დაკმაყოფილებისა, კონგრესზე ლაპარაკს რომ დაიწყებთ, პირველად ეს სქემები უნდა გააცნოთ, თორემ ისე არც კი დაგიწყებენ ლაპარაკს.

ნ. ნიკოლაძე. დიდი ინტერესი ექნება რკინის გზებს. შეიძლება კიდევაც მოგვთხოვონ, რომ რკინის გზები მისცეთ გირაოთ. საჭიროა რკინის გზების შემოსავალ-გასავალი და ნაღდი მოგება.

ფ. გოგიჩაიშვილი – საჭიროა ცნობები აგრეთვე კახეთის რკინიგზების შესახებ. ინგლისს აქ დიდი ინტერესები აქვს, რადგან მთელი ობლიგაციები იქ არის განაღდებული, რუსეთს ორი წელიწადია არ გადაუხდია.

შემდეგი კრება დაინიშნა 6 დეკემბერს 1 საათზე.

1918 წელი[1]

ოქმი №6

სხდომას ესწრებოდნენ: თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, გრ. რცხილაძე, ი. ოდიშელიძე, ნ. ჯაყელი, ივ. ჯავახიშვილი, ივ. ზურაბიშვილი, ა. დეკანოზიშვილი, გრ. რობაქიძე, ი. გოგოლაშვილი.

გრ. რცხილაძე. მოახსენებს მთავრობას დადგენილებას, რომ წევრებად დასახელებულნი არიან: ნ. ჯაყელი და ი. გობეჩია, თუ დელეგაციას საწინააღმდეგო არა ექნება ამათი, აგრეთვე გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან მოხელე ვ. ნაზარაშვილი.

ე. გეგეჭკორი. გერმანელების საელჩოდან გვაცნობეს, რომ 15-ს ფოთიდან გადის ნიკოლაევში უდიდესი გემი „ჟენერალ", რომელსაც ჯარები მიჰყავს. შეიძლება ამ გემით წასვლა კიევით, მაგრამ უმჯობესი იქნება, რასაკვირველია, პირდაპირ.

ი. ჯავახიშვილი. დელეგაციის არც ერთ ნაწილს არ შეუძლია გამგზავრება, თუ არ გვექნება გარანტიები ექსტერიტორიალობისა, საჭიროა საბუთები, რომ არ გაგვჩხრიკონ და გვიცნონ, როგორც დელეგაცია.

ე. გეგეჭკორი განმარტავს, რომ წინად, ჩვეულებრივ, ასეთი უფლებით მოგზაურობდა ჩვენი დელეგაციები. იმედია, ეხლაც ისევე იქნება; მაგრამ ამაზე წინდაწინ გვექნება მოლაპარაკება.

მდივანი კითხულობს მანდატების ტექსტს.

ივ. ჯავახიშვილს და ე. გეგეჭკორს საჭიროდ არ მიაჩნიათ „ისტორიული შესავალი", პირველი ნაწილი მანდატისა.

კრებამ მიიღო მანდატის ტექსტი ბ-ნ გრ. რცხილაძის მიერ შემუშავებული პირველი ნაწილის გამოკლებით.

ი. გოგიჩაიშვილი სთხოვს კრებას ეხლავე გადაწყვიტონ ფულის გადახურდავების საკითხი, რადგანაც ინგლისური და ფრანგული ფულის ფასი ბირჟაზე დღითიდღე მატულობს.

კრებამ დაადგინა შეიძინოს ინგლისური და ფრანგული ფული იმ ფასში, როგორც არის ბირჟაზე ამჟამად, უკეთესი იქნება ფრანკები.

დაევალა ი. ჯავახიშვილს, ი. ოდიშელიძეს და ჯაყელს მოხსენება გააკეთონ მთავრობის სხდომაზე: პირველმა საზღვრების შესახებ, მეორემ რუსეთის დაწესებულებათა ლიკვიდაციის შესახებ და მესამე საკანონო საკითხებზე.

ი. ზურაბიშვილს წინადადება შემოაქვს წინასწარ ამ მოხსენებებს თვით დელეგაცია გაეცნოს. გადაწყდა ამისათვის დაინიშნოს კრება კვირას 1 საათზე.

შეერთებული კრება მთავრობასთან დაინიშნოს ორშაბათს ან სამშაბათს.

ი. გოგოლაშვილი. მოახსენებს გეგმას დელეგატების, მოთათბირეთა და თანამშრომელთა გასამსჯელოს შესახებ.

განზრახულია საგზაოდ ყველას ერთნაირად მიეცეს 1500 მანეთი.

დღიურები კი დელეგატებს 50 ფრანკი დღეში, მოთათბირეთ 40 ფრანკი და დანარჩენთ 30 ფრანკი.

ი. ოდიშელიძე. წინააღმდეგია იმისა, რომ რაიმე განსხვავება იყოს დღიურების მიცემაში, რადგან ყველას ერთნაირი ხარჯები ექნება და თანამშრომელთა შრომა კი უეჭველად უნდა იყოს დაფასებული.

კრებამ დაადგინა: ყველას მიეცეს დღეში 50 ფრანკი და ყველაფერი მზად.

ტანისამოსების შესახებ კრებამ დაადგინა გადაიდოს 50 000 ფრანკი, რომელიც იქნება თავმჯდომარის განკარგულებაში ტანისამოსებისათვის. ტანისამოსები შეეკერებათ საჭიროებისდა მიხედვით თავმჯდომარისა და სამეურნეო ნაწილის დადასტურება.

---

[1] ზუსტი თარიღი მითითებული არ არის [რედ.].

მდივანი მოახსენებს წინასწარ მოულოდნელ ხარჯების ხარჯთაღრიცხვას, რომელიც კრებამ დაადასტურა.

(ხარჯთაღრიცხვა ცალკე ფურცელზეა ამავე საქმესთან)

მდივანი მოახსენებს დელეგაციაში მონაწილეთა აქ დარჩენილ ოჯახების შესახებ.

კრებამ დაადგინა: მთავრობას მიმართოს თხოვნით, რომ მან იზრუნოს აქ დარჩენილი ოჯახების შესახებ და ყოველივე დახმარება გაუწიოს მათ.

გარდა ამისა, ისეთ წევრთ, რომელთაც მთავრობისაგან ჯამაგირები არ აქვთ, დელეგაციის თანხიდან დაენიშნოთ ჯამაგირები, ისეთებს კი, რომელთაც წასვლით ეკარგებათ რამე, აენაზღაუროთ.[1]

კრებამ დაამტკიცა სია ასეთ წევრთა:

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობა:[2]

1.	ნ. ჩხეიძე	თავმჯდომარე
2.	ი. წერეთელი	
3.	გ. რცხილაძე	დელეგატები
4.	ნ. ჯაყელი	
5.	პროფ. ი. ჯავახიშვილი	
6.	გენერ. ი. ოდიშელიძე	
7.	ვლ. მგელაძე	მოთათბირენი
8.	ვახ. ღამბაშიძე	
9.	ბ. ბაბე	
10.	ივ. ზურაბიშვილი	
11.	ი. გოგოლაშვილი	სეკრეტარიატი
12.	ა. დეკანოზიშვილი	
13.	ე. წერეთელი	
14.	დ. შარაშიძე	თავმჯდომარის პირველი მდივანი
15.	ი. ნაკაშიძე	საინფორმაციო ნაწილი
16.	გ. რობაქიძე	
17.	ა. გვათუა	სამეურნეო ნაწილის გამგის თანაშემწე
18.	ნაზარიშვილი	საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე
19.	პორ. წვერავა	რადიოს-სპეციალისტი

საქართველოს დელეგაცია ევროპაში გამგზავრების შემდეგაც მართავდა სხდომებს. მათს ოქმებს ჟურნალის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

---

[1] Georgian Archive. Harvard University. Reel 83, box 25, book 6 [რედ.].

[2] საისტორიო არქივი, ფონდი № 1864, აღწ. 2, 149, ფ. 1 [რედ.].

23 მაისი 1919 წელი
ოქმი №4

სხდომას დაესწრნენ: თავმჯდომარე კ. ჩხეიძე; დამსწრენი: ვ. ჩერქეზიშვილი, ზ. ავალიშვილი, ირ. წერეთელი, ი. გობეჩია. მდივანი – ც. დემოლონ წერეთელი.

[...]

5. დადგენილია, საჩქაროთ გადაითარგმნოს ფრანგულათ ჯავახიშვილის მონოგრაფია საზღვრების შესახებ, და აგრეთვე დაჩქარდეს თარგმნა და გამოცემა ყველა სხვა საჭირო მასალის, რომელიც დელეგაციას აქვს.

თავმჯდომარე – [ნ. ჩხეიძის ხელმოწერა – რედ.]
მდივანი – ც. დემოლონ-წერეთელი.
პარიჟი 27 მაისი 1919.
[დასმულია საქართველოს დელეგაციის ბეჭედი, პარიზი – რედ.]

4. ქართული უნივერსიტეტი

ქართული უნივერსიტეტის გამგეობის სხდომის დღიური
ოქმი №4
1918 წლის 7 დეკემბერი

წყარო: საისტორიო არქივი. ფონდი 471. აღწ. 1, საქმე № 6. ფ. 2, 7.

11. განსახილველი საგანი: პროფ. ივ. ჯავახიშვილის შუამდგომლობა, რომ მიეცეს თანხა საზღვარგარეთ წიგნებისა და სხვადასხვა იარაღებისა და ნივთების შესაძენად.

განაჩენი:

მიეცეს ევროპაში საზავო დელეგაციასთან ერთად მიმავალ პროფ. ი. ჯავახიშ-ვილს სპეციალური თანხებიდან სამოცდაათი ათასი მანეთი წიგნებისა და სხვა და სხვა საჭირო ნივთების შესაძენად.

ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სხდომის დღიური
1919 წლის 7 აპრილი

ოქმი №12[1]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, აღწ. 6, საქმე 1, ფ. 14-15.

დაესწრნენ:

ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, ფ. გოგიჩაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ე. ორბელიანი, ვანდა ღამბაშიძე, ილია ყიფშიძე, ა. შანიძე.
არ დასწრებიან:

თავმჯდომარეობდა: ივ. ჯავახიშვილი.
მდივანი: ა. შანიძე
განსახილველი საგანი:
6. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება წიგნების შეძენის შესახებ
მომხსენებელმა ფაკულტეტს აცნობა, რომ სტამბოლში მოხერხდა რამდენიმე ყუთი წიგნის შეძენა: ოსმალური წიგნები, სომხური, და (...)[2] და სხვა.

განაჩენი:
ცნობად

---

[1] ფრაგმენტი ოქმიდან [რედ.].
[2] ორი სიტყვა არ იკითხება [რედ.].

ივ. ჯავახიშვილი
კ. კეკელიძე
შ. ნუცუბიძე
ელ. არტ. ორბელიანისა
ილ. ყიფშიძე
გ. ახვლედიანი
დ. უზნაძე
ა. შანიძე

ქართული უნივერსიტეტის გამგეობის სხდომის დღიური

№ 14. 22 თებ. 1919 წ.

წყარო: უახლესი არქივი, ფონდი 471. აღწ. 1. საქმე 24.; ფონდი 471. აღწ. I. საქმე 6. ფ. 21-22.

...
მელიქიშვილი, ვ. მოსეშვილი, ა, შანიძე.

განსახილველი საგანი: პროფ. იოსებ ყიფშიძის გარდაცვალებით გამოწვეული საკითხები

განაჩენი: 10. დეპეშა გაეგზავნოს რადიოთი სტამბოლში საქართველოს საზავო დელეგაციის წევრს, სიბრძნისმეტყველების დეკანს, ბ-ნ ივანე ჯავახიშვილს და ეცნობოს პროფ. იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების ამბავი.

5. პარიზის საზავო კონფერენცია და ქართული დელეგაცია

საქართველოს დელეგაციის წევრების კონსტანტინეპოლიდან სამშობლოში დაბრუნების საკითხი
7 მარტი, 1919 წ.

წყარო: საისტორიო არქივი. ფონდი 1864. აღწ. 2. საქმე 148. ფ. 76.

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია

7 მარტი, 1919 წ.

ქ. კონსტანტინეპოლი

თანახმად თავმჯდომარის ბრძანებისა, სეკრეტარიატი ამით გაცნობებთ შემდეგს: ინგლისის შტაბმა შეგვატყობინა, რომ თანახმად დელეგაციის თხოვნისა დელეგაციის საქართველოში მიმავალი წევრები გასტუმრებულ იქნებიან პირველსავე გემით, ვინაიდგან შესაძლებელია გემი გავიდეს ორ-სამ დღეში, გთხოვთ მზათ იყოთ გასამგზავრებლათ.

საქმეთა მმართველი [ივანე ზურაბიშვილის ხელმოწერა – რედ.]

ეს განცხადება წავიკითხეთ: [გ. ნაზაროვის,[1] ვ. ღამბაშიძის, ივ. ჯავახიშვილის, აქვსენტი გვათუას, წვერავას ხელმოწერები – რედ.]

[1] გაურკვევლადაა ხელმოწერა [რედ.].

საქართველოს დელეგაციის წევრების კონსტანტინეპოლიდან სამშობლოში დაბრუნების საკითხი[1]

(უთარიღო)

წყარო: საისტორიო არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ოქმები. ფონდი 1864, აღწ. 2. № 148, ფ. 36[2] (ფრანგულ ენაზე).

მის აღმატებულებას
ბრიტანიკის[3] ბატონ უმაღლეს კომისარს

თქვენო აღმატებულებავ!

პატივი მაქვს ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, გამოიჩინოს გულისხმიერება და თქვენს გემზე გამოინახოს თავისუფალი ადგილი იმ ოთხი ადამიანისათვის, რომლებიც სასწრაფოდ უნდა დაბრუნდნენ საქართველოში ბათუმის გავლით. ისინი კონსტანტინეპოლში გახლდნენ როგორც ქართული დელეგაციის წევრები და დღეს უნდა დაბრუბდნენ სამშობლოში. ეს პიროვნებები არიან:

1. მგელაძე ვლასა
2. წვერავა ივანე
3. გვათუა ავქსენტი
4. ნაზარიშვილი ვალერიანი

იმედია, თქვენი აღმატებულება დააკმაყოფილებს ჩემს თხოვნას. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

საქართველოს დელეგაციის პრეზიდენტი

---

[1] დოკუმენტი ფრანგულიდან თარგმნა მამუკა ჭანტურაიამ [რედ.].
[2] დაბეჭდილია საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის ბლანკზე [რედ.].
[3] იგულისხმება გემის სახელი [რედ.].

საქართველოს დელეგაციის წევრების კონსტანტინეპოლიდან სამშობლოში დაბრუნების საკითხი[1]

(უთარიღო)

წყარო: საისტორიო არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ოქმები. ფონდი 1864, აღწ. 2. საქმე 148, ფ. 85 (ფრანგულ ენაზე).

გენერალი სტოქსი,[2] ინტელიჟენს[3]

თქვენო აღმატებულებავ!

ა.წ. 28 თებერვალს გამოგზავნილი თხოვნის საფუძველზე ბრიტანული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა კონსტანტინეპოლში, თანახმაა ხელი შეუწყოს ბათუმის გავლით ქართული დელეგაციის 6 წევრის თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებას ეს ბატონებია:

1. ჯავახიშვილი ივანე
2. დოქტ. ღამბაშიძე ვახტანგი
3. მგელაძე ვლასა
4. წვერავა ივანე
5. გვათუა ავქსენტი
6. ნაზარაშვილი ვალერიანი (დიპლომატიური კურიერი)

გარემოებები გვაიძულებს იმის აუცილებლობას, რომ დავბრუნდეთ სამშობლოში ბათუმის გავლით. ასევე ვთხოვთ, თქვენს აღმატებულებას დაუმატოს გამოსამგზავრებელ პირთა სიას შემდეგი ბატონები:

7. ნიკოლაძე ნიკო
8. ოდიშელიძე ილია
9. ზურბიშვილი (ზურაბიშვილი?) ივანე
10. რობაქიძე გრეგოარი (გრიგოლი)
11. ნაკაშიძე ილია

---

[1] დოკუმენტი ფრანგულიდან თარგმნა მამუკა ჭანტურაიამ [რედ.].

[2] კლოდ სტოქსი (1875-1948) – დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი სამხრეთ კავკასიაში 1920-21 წლებში. თბილისში მისი ჩამოსვლის შესახებ იტყობინებოდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1920 წ, 30 სექტემბერი, № 220, გვ. 3, სტატია: „ინგლისის წარმომადგენლის ჩამოსვლა) [რედ.].

[3] ინტელიჯენს სერვისი (Secret Intelligence Service) – დიდი ბრიტანეთის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანოების ქსელი [რედ.].

საქართველოს დელეგაციის წევრების კონსტანტინეპოლიდან სამშობლოში დაბრუნების საკითხი[1]

(უთარიღო)

წყარო: საისტორიო არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ოქმები. ფონდი 1864, აღწ. 2. № 148, ფ. 75 (ფრანგულ ენაზე).

საქართველოში დასაბრუნებელ პირთა სია:

1. ჯავახიშვილი ივანე
2. ღამბაშიძე ვახტანგი
3. მგელაძე ვლასა
4. წვერავა ივანე
5. გვათუა ავქსენტი

დელეგაციის დიპლომატიური კურიერი

1. ნაზარიშვილი ვალერიანი

[1] დოკუმენტი ფრანგულიდან თარგმნა მამუკა ჭანტურაიამ [რედ.].

6. აკ. ჩხენკელის მოგონებიდან ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციაში ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ 1918 წლის გაზაფხულზე[1]

წყარო: საისტორიო არქივი. ფონდი 1831. აღწ. 2. საქმე 245, ფ. 1.

IV.
ტრაპიზონის კონფერენცია

არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ბოლშევიკების მიერ გარეკვაზე და არც იმაზე, როგორ მოხდა ამიერკავკასიის სეიმის მოწვევა.

ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ დროს ხდება ბრესტ-ლიტოვსკში გერმანია-რუსეთის საზავო კონფერენცია, რომელზედაც, მიუხედავად თურქეთის წინადადებისა, სეიმი უარით უპასუხებს გაგზავნოს ამიერკავკასიის დელეგაცია.

შედეგი ვიცით: ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით აღდგენილ იქნა ბერლინის კონგრესის წინ-არსებული საზღვრები, რაიცა ნიშნავდა ყარსისა და ბათუმის გუბერნიების თურქეთის ხელში გადასვლას, უფრო კონკრეტულად თურქ-ქართველთა საზღვრის ნატანებზე მიტანას.

ამ პირობებში სეიმი იძულებული გახდა მიეცა თურქეთისათვის წინადადება ცალკე კონფერენცია მოგვეწვია, რაზედაც ის დათანხმდა.

ამიერ-კავკასიის სეიმი ირჩევს დელეგაციას სამი ერისაგან, ქართველ-სომეხ-თათრებისგან, მათივე ეროვნულ საბჭოთა მითითებით, და თავმჯდომარედ მე მნიშნავს.

კარგად მახსოვს, საზავო მოლაპარაკება, ჩემი წინადადებით, უნდა გვქონოდა ტრაპიზონში, რომელიც ჯერ კიდევ რუსის ჯარს ეჭირა, ხოლო როცა ჩავედით, ის თურქების ხელში დაგვხდა!

[1] აკაკი ჩხენკელის ეს მოგონება ნაკლულია. მხოლოდ IV თავის ფრაგმენტია შემორჩენილი [რედ.].

7. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ინფორმაცია

წყარო: საისტორიო არქივი. ფონდი 1864. აღწ. 2. საქმე 176, ფ. 1-2.

ინფორმაცია
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
საგარეო საქმეთა მინისტრი[1]
აგვისტო, 1919 წ.

ქ. თბილისი.

მას შემდეგ, რაც ჩვენ უკანასკნელი ინფორმაცია გამოგიგზავნეთ ბევრი არაფერი ცვლილება არ მომხდარა ჩვენს ცხოვრებაში.

1) როგორც ყოველთვის, რესპუბლიკის მთავრობას თავისი საცდელი არ დაუკლია, ინგლისელებთან კეთილგანწყობილების გასამტკიცებლად. ჩვენ ლოიალობას და დათმობის გზას საზღვარი არ ქონდა და მხოლოდ ჩვენი არსებობის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხებში ვცდილობდით მათ ამა თუ იმ საგანზედ საწინააღმდეგო შეხედულებისათვის დაგვეპირისპირებინა ფრთხილი და აწონ-დაწონილი მოსაზრებანი ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების მიხედვით. ასეთი იყო, მაგალითად, ჩვენი კამათი სოჭის ოლქის საზღვრების შესახებ. მთავრობას არას გზით არ შეეძლო ამ საკითხში მეტი დათმობა და ინგლისელების, იგივე დენიკინის, პირობების უსათუო მიღება, უიმისოდ თუ ის არ უღალატებდა თავის მოვალეობას ქვეყნისადმი, ჩვენს დეპეშაზედ ამის შესახებ ლოიდ-ჯორჯის სახელზედ ჯერაც პასუხი არა გვაქვს, მიუხედავად მის, რომ აქაურ ბრიტანეთის ჯარების მთავარ-სარდალმა **კორიმ** ოფიციალურად დაგვარწმუნა, რომ მან უკვე გადასცა ხსენებული დეპეშა ლონდონში და თან დაუმატა, რომ საქართველოს მთავრობის მოქმედება აწ მისაღები და წინდახედულიაო. ჩვენი ჯარები კვლავ იცავენ გამაგრებულ პოზიციას მეხადირზედ.

2) აგრეთვე უცვლელია მდგომარეობა ახალქალაქ-ახალციხის ოლქში. ჩვენი ასეული კვლავ არტაანშია დაბანაკებული. უკანასკნელად, ინგლისელთა მისიამ და მის შემდეგ სომხებმა, გადმოგვიგზავნეს პროტესტი მიწის რეფორმის განხორციელების შესახებ ახალქალაქში, რომელიც მათი აზრით ადგილობრივ რესპუბლიკათა კონფერენციის დადგენილებით სადავოდ არის გამოცხადებული და საქართველოს მთავრობას ამ მიზეზით უფლება არა აქვს იქ ძირითადი კანონები განახორციელოს. ჩვენ უარვყავით ასეთი შეხედულება, ვინაიდან არც ერთი კონფერენციის დადგენილების მუხლი ამ მაზრას სადავოთ არ აცხადებს და თუ იქ დამყარებულია ინგლისის წარმომადგენლობის ზედამხედველობა, ეს მხოლოდ ერთგვარი გარანტის სახით, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დამყარებულმა ადგილობრივმა მმართველობამ თანაბარი და მიუდგომელ კეთილგანზრახულად იმოქმედოს ამ მაზრის მრავალფეროვან მცხოვრებთა მართვა-გამგეობაში.

---

[1] საგარეო საქმეთა სამინისტროს ბლანკზე მანქანაზე ნაბეჭდია. ანაწერში ასეა დასათაურებული: „ინფორმაცია საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების, ინგლისელებთან ურთიერთობის, საზღვრების საკითხის მოწესრიგების, ბათუმის საკითხის გადაწყვეტის შესახებ და სხვა“. დოკუმენტს აწერია თარიღი: „ აგვისტო, 1919 წ.“, რიცხვი კი არაა მიწერილი. არ ჩანს დოკუმენტი ვის ეგზავნება, ხელმოუწერელია და ამიტომ სავარაუდოა, რომ დაუსრულებელია, რადგან მას ბოლო გვერდი აკლია [რედ.].

3) საერთო პრობლემამ და საზღვრების სახიფათო მდგომარეობამ გვაიძულა ჩვენ მიგვემართა ინგლისელებისათვის თხოვნით დაეტოვებინათ იქ თავისი ჯარები, იგივე ნაბიჯი გადასდგა აზერბეიჯანის მთავრობამ ჩვენი რჩევით. ასე წინადადებასთან ერთად მთავრობა პირდებოდა ინგლისელებს ყოველგვარ კონცესიებს და ბათომის ნავთსადგურის, როგორც სამხედრო ფლოტის ბაზას, მაგრამ, როგორც სჩანს, მათ გადაწყვეტილი აქვთ ამიერკავკასიის დატოვება 15 სექტემბრიდან. მთავარსარდალი **კორი** უკვე გამოეთხოვა აზერბეიჯანის მთავრობას თავაზიანი სიტყვით, რომელშიაც ის გამოსთქვამდა თავის მადლობას და კმაყოფილებას მთავრობის მოქმედებით ყველა სახელმწიფოებრივ საქმიანობის დარგში. ამგვარად, აწ თითქმის ეჭვი აღარ არის, რომ ინგლისელები დღეს-ხვალ დასტოვებენ საქართველოს თუ რაიმე მოულოდნელმა განკარგულებამ არ შეაჩერა, რაც ფრიად საეჭვოა.

4) ამ ერთი კვირის წინათ გენერალმა **კორიმ** მოგვმართა ჩვენ და სომხეთს წინადადებით მოგვეწვია კონფერენცია ბორჩალოს ნეიტრალურ ზონის მიღების პირობების შესამუშავებლად გენერალ **ბიჩის** თავმჯდომარეობით. ჩვენ, რასაკვირველია, თანხმობა განვუცხადეთ, მაგრამ აწ ამავე გენერალ **კორის** სიტყვით ბრიტანეთის მთავრობამ უარჰყო მისი წარმომადგენლის კონფერენციის საქმიანობაში ჩარევა და ფიქრობს, რომ ჩვენ და სომხები მათ დაუხმარებლადაც შევძლებთ საკითხის მშვიდობიან და სამართლიან გადაჭრას.

5) ბათომის ბედიც ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. ჩვენმა პროპაგანდამ ბოლო ხანებში მაგარი ფეხი გაიდგა ამ ოლქში. მუსულმან ქართველთა დამხმარე კომიტეტი ირწმუნება, რომ ამჟამად მცხოვრებთა 90 % ჩვენ თანაგვიგრძობს; ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილებაა აჭარაში, მრავალ ადგილას, გამართულ მიტინგებიდან, რომლებზედაც უკანასკნელად ინგლისელებმა ნება დართეს. ხალხი თითქმის ერთხმად თხოულობს ბათომის და მისი ოლქის საქართველოსთან გაერთიანებას ავტონომიურ ნიადაგზედ. ჩვენს მუშაობას საგრძნობლად ხელს უშლის მოხალისეთა გაშმაგებული და დაურიდებელი თარეში. რომანოვსკი, რომელიც **ნათიშვილის** მკვლელობის შემდეგ, რუსეთში გაიქცა, კვლავ ბათომში დაბრუნდა და ხელმძღვანელობს მოხალისეთა პოლიტიკას. ჩვენ ინგლისელებთან მოლაპარაკება გვაქვს ბათომის გადმოცემის შესახებ და თუ ეს საკითხი ჩვენდა სასარგებლოდ გადასწყდა, მოხალისენი დაჰკარგავენ ჩვენთვის ფრიად სახიფათო პოზიციას, საიდანაც ისინი ავანტიურის ქსელს აბამდნენ მთელს ამიერკავკასიაში და წყალს გვიმღვრევდნენ. ჩვენი ჯარები საზღვარზედ დარაჯობენ და [თუ] შემთხვევა მოგვეცა, ვეცდებით ვისარგებლოთ.

6) ფრიად კრიტიკულია ბაქოს მდგომარეობა, ვინაიდან ინგლისელებმა მთელი კასპიის ფლოტი მოხალისეთ გადასცეს და მისი დაცვა კი აზერბეიჯანს არ ძალუძს. საზოგადოთ ამ მეზობელ რესპუბლიკის მთავრობას ბოლო ხანებში აშკარა ყოყმანი და დაბნეულობა ემჩნევა და ვერაფერ თადარიგს ვერ იჩენს; საფრთხილოა, რომ კრიზისის დროს ჩვენს იმედებს ვერ გაგვიმართლებს. აზერბეიჯანის და სომხეთის ურთიერთდამოკიდებულება აწ ფრიად გამწვავებულია. მათ რამდენიმე შეიარაღებული შეტაკება ჰქონდათ ყაზახის მაზრაში. ჩვენ წინადადება მივეცით კონფერენცია მოგვეწვია და ეს კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაგვეწყვიტა. მაგრამ როგორც სჩანს ვერაფერს გავხდებით. საერთო საკითხების მოსაწესრიგებლად ჩვენ განზრახვა გვაქვს მოვიწვიოთ სექტემბერში კონფერენცია, რაზედაც უკვე შევთანხმდით აზერბაიჯანის და სომხეთის მთავრობებთან.

7) სომხებთან მრავალი საკითხი გვაქვს მოსაწესრიგებელი, უმთავრესად კი ჩვენ დაინტერესებული ვართ ბორჩალოს და ახალქალაქის საზღვრების ბედით. ყველა საცდელს ვცდით რათა ბამბაკის უღელტეხილი არ დავუთმოთ, ვინაიდან მოსაზღვრე რესპუბლიკის ხელში იგი შეიქმნება მაგარ განაპირა ბრუსტვერად.[1] შესაძლებელ კონ-

[1] მიწაყრილი სანგრის ნაპირზე [რედ.].

ფლიქტში იგი იქნება ომის ინიციატივის საუკეთესო სიმყარედ და თბილისის სახიფათო დარაჯად. ზოგნი ბამბაკის ბადალს არტაანში ხედავენ, ვინაიდან ეს პოზიცია აგრეთვე ემუქრება ალექსანდროპოლს. მაგრამ არა გვგონია ამ საკითხში სომხებმა უბრძოლველად დაგვითმონ და მერე, კიდევ თუ გავითვალისწინებთ ახალციხე-ახალქალაქის კუთხის უგზო-უკვლობას და მთაგორიან ხასიათს. აგრეთვე მას, რომ სომხებს, როგორც მოსალოდნელია ხელთ ექნებათ სომხეთის ზეგანი და მისი სტრატეგიული პუნქტები, არტაანი ჩვენთვის ფრიად მცირე ნუგეშია. ჩვენ ვიბრძოლებთ ამ საკითხების ჩვენთვის ხელსაყრელ გადაწყვეტისათვის და საბოლოო ნაბიჯს თვით კონფერენცია გვიკარნახებს.

8) ამ ათი დღის წინათ თბილისში ჩამოვიდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის საგანგებო რწმუნებული სომხეთისათვის და ამიერკავკასიისათვის ამერიკელი პოლკოვნიკი **ჰასკელი**. რადგანაც ჩვენ მიერ მიღებული ცნობით **ჰასკელი** მხოლოდ სომხეთისათვის იყო დანიშნული, ამიტომ მას ჩვენი მხრივ სადგურზედ არავინ მისალმებია. მესამე დღეს, როცა იგი სასახლეში მოვიდა სადარბაზოდ, მას ჯეროვანი პატივით შევხვდით, დავაბინავეთ მშვენივრად მოწყობილ სახლში და შემდეგშიაც არ მოვაკლებთ ჩვენს მზრუნველობას. ეს ოთხი დღეა რაც **ჰასკელი** ერევანში გაემგზავრა და მალე დაბრუნდება.

9) პარიზიდან ჩამოვიდა პოლკოვნიკი გამბა, რომელიც ყურადღებას და ინტერესს იჩენს ჩვენი ქვეყნის ბედისადმი. მან წინადადება მოგვცა, რაც შეიძლება სწრაფად მოგვეწყო იტალიაში გასაგზავნი მისია. ამ საკითხზედ ჯერ-ჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არ მიგვიღია.

10) საბერძნეთიდან გვეწვია მისია დოქტორ **სტავრიდკის** ხელმძღვანელობით. ჩვენ მიერ გამართულ ნადიმზედ უკანასკნელმა სხვათა შორის სთქვა: „თუ საბერძნეთმა არ მოუცადა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილებას კავკასიის შესახებ და გამოგზავნა ოფიციალური მისია, ეს მხოლოდ მისთვის, რომ ჩემი მთავრობა დიდი თანაგრძნობით უცქერს ახალ რესპუბლიკათა არსებობას და ყველა საცდელს იხმარს მათი დამოუკიდებლობის მსოფლიურ აღიარებისათვის.“

11) მოხალისეთ გამოგზავნეს ჩვენთან მოსალაპარაკებლად გენერალი **ბარათოვი**, ოსი შთამომავლობით. ჩვენი მოლაპარაკება მასთან უმთავრესად სოჭის ოლქის საზღვრების საკითხის გარშემო ტრიალებს. ბარათოვი დაჟინებით თხოულობს ჩვენი ჯარების ბზიფზედ გადმოყვანას. ჩვენთვის კი ეს შეუძლებელია თუ ხელთ საკმაო გარანტია არ გვექნება. ამგვარად, ჩვენი მოლაპარაკება ჯერ-ჯერობით უნამყოფოა.

8. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების მიმოხილვა[1]

წყარო: საისტორიო არქივი. ფონდი 1861. აღწ. 3. საქმე 21, ფ. 174-175ბ.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

რუსეთსა და საქართველოს შ ო რ ი ს

(ნარკვევი)[2]

I და II მუხლები, უდავოთ აღიარებენ საქართველოს ერის სუვერენულ უფლებებს და რუსეთის ჩაურევლობას მის შინაურ საქმეებში.

II[3] მუხლის პუნქტი 1 ეხება საზღვრებს. ტექსტში არის ერთი უხერხულობა. ჩრდილოეთის საზღვრების ჩვენების დროს აღნიშნულია, რომ საზღვარი გადის «по севѣрной границѣ бывшихъ губерніи Черноморской, Кутасской, Тифлисской до Закаталскаго округа». „მაშინ როდესაც აღმოსავლეთის საზღვრად ნაჩვენებია „ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთის საზღვარი და იქიდან მოყოლებული სომხეთის საზღვრამდე. ცხადია აქ ნათლად არ არის აღნიშნული ტექსტში რომ საქართველოს საზღვარი გაივლის მთის ქედზე, რომელიც ყოფს ზაქათალას დაღესტანისაგან. მაგრამ თუ შევადარებთ ამ პუნქტს მე-I მუხლის 1 პუნქტთან, დავინახავთ, რომ ზაქათალის ოლქი შედის საქართველოში, ცხადია ჩრდილოეთის საზღვრად ამ ადგილას სწორეთ ზაქათალის და დაღესტნის გამყოფი ხაზი უნდა ჩაითვალოს, რომელიც გაგრძელებაა ტფილისის გუბერნიის ჩრდილოეთ საზღვრის და მიდის კავკასიონის ქედით ზაქათალის აღმოსავლეთ საზღვრებამდე.

პუნქტის მესამე მუხლი ქმნის ერთგვარ პრობლემას:

იქ ლაპარაკია მოსაზღვრე ადგილების ნეიტრალიზაციაზე ჩვენსა და რუსეთს შორის. ნეიტრალურათ გამოცხადებული ტერიტორია არ უნდა იქნეს ჯარებისაგან დაჭერილი, ან გამაგრებული 1922 წლის იანვრის 1-მდე.[4] რას ნიშნავს ნეიტრალიზაცია. ქმნის ეს ისეთსავე მდგომარეობას, როგორც ბორჩალოს ნეიტრალური ზონაში, თუ არა.

ჩვენ გვგონია, რომ არა. და აი რატომ.

---

[1] წინამდებარე ნარკვევი დაუსრულებელია და ავტორიც უცნობია. ვაქვეყნებთ მოცემულ საქართველოს საზღვრის საკითხთან მისი შინაარსის კავშირის გამო [რედ.].

[2] აქ მოცემულია რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ცალკეული მუხლებისა და პუნქტების განმარტებები. აღნიშნული ხელშეკრულების თარგმანი – იხ. ალმანახ „ჯავახიანის“ № 1, 2018 [რედ.].

[3] უნდა იყოს III მუხლი. აქ საუბარია ამ მუხლის 1-ელ პუნქტზე: «Государственная граница между Грузией и Россией проходит от Черного моря по реке Псоу до горы Ахахча, через гору Ахахча и гору Агапет и по северной границе бывших губерний Черноморской, Кутаисской и Тифлисской до Закатальского округа и по восточной границе этого округа до границы с Арменией» (ალმ. „ჯავახიანი“, № 1, 2018, გვ. 144: „სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე; გადადის ხსენებულ ასახჩისა და აგაპეტის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალის ოლქამდე და ხსენებულ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრებამდე“) [რედ.].

[4] აქ საუბარია ხელშეკრულების III მუხლის მე-2 პუნქტზე: «Все перевалы на означенной пограничной линии до 1 января 1922 года признаются нейтральными. Они не могут быть занимаемы войсками из обеих договаривающихся сторон и не могут быть ни одной из них укрепляемы» (ალმ. „ჯავახიანი“, № 1, 2018, გვ. 144: „ყველა უღელტეხილი, მდებარე აღნიშნულ მოსაზღვრე ხაზზე 1922 წ. პირველ იანვრამდე ნეიტრალურად არის აღიარებული. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება დაიკავოს ეს უღელტეხილები თავის ჯარებით ანდა გაამაგროს ისინი.) [რედ.].

ბორჩალოში თვით ტერიტორია სადაოთ გამოცხადებული და შიგ[1] ამიტომ განსაკუთრებული შერეული მართველობაა დაწესებული მესამე სახელმწიფოს მეთვალყურეობით.

ჩვენსა და რუსეთს შორის – კი საზღვრის საკითხი გადაჭრილია და თვითეული სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორია გარკვეულად არის აღნიშნული. ცხადია ამ ტერიტორიაზე კუთვნილებისამებრ, თვითეულ სახელწმიფოს სუვერენული უფლებები უნდა იქმნეს გავრცელებული ადმინისტრაციის მოწყობით და სხვა სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებით. მხოლოდ ურთიერთ შორის საზღვარზე შეტაკების და მოულოდნელი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად არის შექმნილი ისეთი მდგომარეობა, რომ ორივე მხარე თავის ჯარებს სწევს უკან საზღვრიდან და დროებით ხელს იღებს სანაპიროების გამაგრებაზე.

ამ მიზნის მიხედვით თუ განვიხილავთ ამ პუნქტს, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ იგი უკრძალავს ორივე მხარეს განსაზღვრულ ფარგალ[ს] შიგნი[თ] იყოლიონ მუდმივი გარნიზონები, და ააგონ ციხე-სიმაგრეები ამ წლინახევრის განმავლობაში. ეს პუნქტი არ შეიცავს ადრე არსებული სიმაგრეების დანგრევის მოთხოვნას, არც სანაპირო, სადარაჯო რაზმების არ ყოლას, რომელთა დანიშნულებაა საბაჟოს დაცვა და გარნიზონათ არ შეიძლება ჩაითვალოს. ამ რიგათ ეს მეორე პუნქტი მე-III-ე მუხლისა მოითხოვს მხოლოდ მეომარ ჯარების უკან დახევას იმ ადგილებამდე, რომელიც ამავე მუხლის მე-3-ე პუნქტშია აღნიშნული. სხვა გვარათ ამ მუხლის გაგება, მიუხედავათ მისი ტექსტის დაუმუშავებლობისა, შეუძლებელია. თუ მივიღებთ, რომ ორივე მხარემ ნეიტრალურ ადგილებში ადმინისტრაციის შექმნასა და სადარაჯო რაზმების დაყენებაზე ხელი აიღოს, ეს იქნებოდა ანარქიის შექმნა და შეტაკებების მიუცილებელი გამოწვევა, რაიც ეწინააღმდეგება იმ მეგობრულ მიზნებს, რომელიც ამ პუნქტს უდევს საფუძვლათ.

ამა III მუხლის პუნქტები 3 და 4 აგრეთვე მუხლი IV მეტათ ნათელია და არავითარ გაუგებრობას არ იწვევს. მე-4-ე მუხლი აღნუსხავს საქართველოს ტერიტორიის ნაწილებს, რომელზედაც უქმდება რუსეთის სუვერენიტეტი და უფლებები საქართველოს სასარგებლოთ და აღიარებს, რომ რუსეთი წინასწარ იღებს ხელს იმ მოსაზღვრე ადგილებზედაც, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით იქმნება მიკუთვნებული საქართველოსათვის კავკასიის სანამესტნიკოს საზღვრებში.

<u>მუხლ.</u>[2]

1. 1-4 პუნქტებში გამოცხადებულია საქართველოს ვალდებულება აყაროს იარაღი, ჩამოართვას სამხედრო ქონება, ფული და ფასიანი საგნები იმ <u>სამხედრო ნაწილებს</u> რომლებიც ამ ხელშეკრულობაზე <u>ხელის მოწერის დროს ან შემდეგ აღმოჩნდება</u> საქართველოს ტერიტორიაზე და გადასცეს რუსეთის მთავრობას როგორც იარაღ-აყრილი სამხედრო ნაწილები, ისე ჩამორთმეული ქონება.

ცხადია, ეს ვალდებულება ეხება იმ <u>შეიარაღებულ</u> სამხედრო ნაწილებს, რომლებიც შეიძლება ყოფილიყო ჩვენს ტერიტორიაზე ხელშეკრულობის დადების დროს არ შეიძლება მომავალში შემოვიდენ ჩვენში, და რომლებსაც იარაღი აეყრება ამ პირობის ძალით. მაშასადამე ეს ვალდებულება არ შეეხება არც იმათ, ვისაც ჩვენ იარაღი ავყარეთ ხელშეკრულობის დადებამდე კარგა ხნით ადრე, საერთაშორისო უფლების მიხედვით, როდესაც თერგის ოლქიდან ჩვენში შემოვიდენ დენიკინელები, არც იმ სამხედრო ქონებას, რომელიც მათ ჩამოვართვით.

---

[1] გაუგებარია ეს 2 სიტყვა [რედ.].

[2] აქ მუხლი არაა მითითებული, მაგრამ მისი შინაარსიდან გამოდის, რომ V მუხლზეა საუბარი [რედ.].

2. მე-V მუხლის პირველ და 8[1] პუნქტებში ნათქვამია, რომ საქართველ ვალდებულია იარაღი აყაროს და თავის ტერიტორიაზე არ დააყენოს არა მარტო შეიარაღებული სამხედრო ძალები და ისეთი სარდლობა ან ჯგუფები, რომლებსაც თავის თავი რუსეთის ან მის მოკავშირე სახელმწიფოს მთავრობად მოაქვთ არამედ ისეთი „წარმომადგენლობანი თანამდებობის პირნი, ორგანიზაციები და ჯგუფებიც, რომლებსაც მიზნით აქვს დასახული რუსეთის ან მის მოკავშირე სახელმწიფოს მთავრობის ჩამოგდება". აქ არის საკითხი: იგულისხმება აქ თუ არა ჩვენში მყოფნი იმ უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლები ინგლისი, საფრანგეთი და სხვანი, რომლებსაც ბოლშევიკები სწამებენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებას.

ჩვენის აზრით – არა: 3 – უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხელშეკრულობას სახეში აქვს ისეთი წარმომადგენლობა, ორგანიზაციები და ჯგუფები რომლებიც შეიძლება გაჩნდენ ჩვენში რუსეთის ან მის მოკავშირე სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის პირდაპირი მიზნით და ამ მიზნისათვის აშკარად იმოქმედენ. ეს მტკიცდება მე-V მუხლის თავში მოყვანილი მოტივიდან, რომლიდან ყველა პუნქტები გამომდინარეობს და რომელშიაც ნათქვამია, რომ საქართველო სცნობს სამართლიანად რუსეთის მოთხოვნას, რომ საქართველო არ იქნეს რუსეთის ან მის მოკავშირის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ოპერაციების ბაზად, ან ისეთ ადგილად, სადაც შეიქნება რუსეთის ან მის მოკავშირის დამოუკიდებლობისათვის საშიში პირობები. ესევე მტკიცდება მე-V მუხლის მე-4 პუნქტიდან, სადაც ნათქვამია, რომ ასეთი წარმომადგენლები და ჯგუფები საქართველომ უნდა გადასცეს რუსეთს. აშკარაა რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობას სახეში არ ექნებოდა მოეთხოვა ჩვენთვის არამც თუ ყოველივე კავშირის გაწყვეტა ევროპის სახელმწიფოებთან, არამედ ომის გამოწვევაც, რადგან იმათი წარმომადგენლების რუსეთისათვის გადაცემა იქნებოდა პირდაპირ ომის გამოცხადება.

3. მე-V მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების ძალით საქართველო კისრულობს ვალდებულებას მიიღოს ზომები, რათა გაყვანილ იქმნას სხვისი ყოველგვარი სამხედრო ძალები იმ თავის საზღვრებიდან, რომლებიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულობის მე-IV მუხლში.

მე I-IV მუხლის ძალით საქართველოში შემოდის, სხვათა შორის, ბათუმის ოლქიც ქალაქ ბათუმით, და ამიტომ აქ ისმება კითხვა ეხება თუ არა ეს მოვალეობა ბათუმში და ბათუმის ოლქში მყოფ ინგლისის სამხედრო ძალებს. ლოღიკურათ, ფორმალურად უსათუოდ ეხება. მხოლოდ უნდა იქმნას ხაზ-გასმული რომ ამ შემთხვევაში კითხვა ეხება ზომების მიღებას.[2] მხოლოდ იმის გარკვევა თუ რა ხასიათის ზომები უნდა იქნას მიღებული, ასე თუ ზომების შერჩევა დამოკიდებულია სრულიად საქართველოს რესპუბლიკაზე, ის მიიღებს ისეთ ზომებს, რომელსაც დაინახავს საჭიროდ და მიზან-შეწონილად.

---

[1] უნდა იყოს 3 [რედ.].

[2] სწორედ ამ ვალდებულებაზეა საუბარი VI მუხლში: «Россия обязуется не допускать на своей территории пребывания и деятельности всякого рода групп и организаций, претендующих на роль правительства Грузии или части ее, а так же всякого рода групп и организаций, имеющих своей целью низвержение правительства Грузии. Россия обязуется оказать все свое влияние на союзные ей государства с целью недопущения на их территории указанных в настоящей статье групп и организаций» (ალმ. „ჯავახიანი", № 1, 2018, გვ. 146: „რუსეთი ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედების არავითარ ჯგუფებსა და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს მთავრობის, ანუ მის ნაწილის მთავრობის როლს მიითვისებენ, და აგრეთვე იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნათ საქართველოს მთავრობის დამხობა ექნება დასახული. რუსეთი ვალდებულია იქონიოს სავსებით თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათს ტერიტორიაზე არ დაუშვან არსებობა ამ მუხლში აღნიშნულ ჯგუფებისა და ორგანიზაციების") [რედ.].

მუხ. XV.

ამ მუხლის ძალით, შეერთებული კომისია გადასწყვეტს, გარდა აქვე პირდაპირ ჩამოთვლილს საქმეების, სხვა, საჯარო უფლებრივ და კერძო უფლებრივ კითხვებსაც. აქ იგულისხმება, ალბათ, დამნაშავის გაცემა, სამხედრო ბეგარის მოხდის წესი რუსეთის ქვეშევრდომთათვის, რომლებიც ჩვენში არიან, ჩვენში გარდაცვალებულის რუსეთის მოქალაქის მემკვიდრეობის ბედი და სხვა ასეთი საქმეები.

დანარჩენი მუხლები არ საჭიროებენ განმარტებას.

9. საქართველოს საზღვრების თაობაზე შექმნილი კომისიები და განმარტებითი ბარათები

ნოე რამიშვილი. საქართველოს ტერიტორიის საზღვრები[1]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 7, ფ. 1 (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამიერკავკასიის გუბერნიებისა და მაზრების საზღვრების შეცვლის პროექტის განმარტებითი ბარათი).

საქართველოს ტერიტორიის საზღვრები შემდეგია:

1. ჩრდილოეთით: საზღვარი იწყება მდ. მაკოფსეს შესართავიდან შავ ზღვასთან, და მიჰყვება ჯერ მდ. მაკოფსეს ვიდრე სათავეებამდე (დიდი ფსეუშხის მწვერვალამდე); აქედან – წყალგამყოფ ხაზს, რომელიც გასდევს მდინარეების ტუაფსეს და აშეს შუა – ვიდრე კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედამდე; შემდეგ საზღვარი მიჰყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს ვიდრე საქართველოს პროვინცია ხევამდე (ვაინქ-ფარსის მწვერვალამდე); აქედან საზღვრის ხაზი მიჰყვება კავკასიონის პირიქითელ მთაგრეხილს, რომელიც სივერაუტის, შაუხოხის, ქაიჯანის და ჩასის მწვერვალებზე გავლით გადასჭრის მდ. თერგის ხეობას სოფ. ლარსიდან ორი კილომეტრის ჩრდილოეთით; შემდეგ საზღვრის ხაზი გასდევს დღევანდელ ადმინისტრაციულ საზღვრებს ჯერ ტფილისის გუბერნიისას და შემდეგ ზაქათალის ოლქისას ვიდრე მწვერვალამდე 11.389 ფუტის სიმაღლისა (= ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ მიჯნაზე).

2. აღმოსავლეთით: საზღვარი მიჰყვება ჯერ მთაგრეხილს, რომელიც ჩამოვარდება კავკასიონის ქედის ზემოხსენებული 11.389 ფუტის სიმაღლის მწვერვალიდან, და ქასაპის მწვერვალზე გავლით მიადგება მდ. ყაშუა-ჩაის სათავეებს; აქედან საზღვარი მიჰყვება მდ. ყაშეჩაის, ვიდრე აგრი-ჩაისთან შერთვამდე, ხოლო შემდეგ საზღვარია პირდაპირი ხაზი, გავლებული ზემოხსენებული მდინარეების შესართავი პუნქტიდან ვიდრე მტკვარ-ალაზნის შესართავამდე; აქედან საზღვარი მიჰყვება ჯერ მდ. მტკვარს – ვიდრე მდ. ძეგამის შესართავამდე, ხოლო შემდეგ მდ. ძეგამს ვიდრე სათავეებამდე (= ალლა-გელარის მწვერვალამდე მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ ქედზე).

3. სამხრეთი საზღვარია: მტკვარ-არაქსის წყალგამყოფი ქედი, დაწყებული მდ. ძეგამის სათავეებიდან (= ალაგელარის ზემოხსენებული მწვერვალიდან), - ვიდრე ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრამდე, აქედან კი ეს უკანასკნელი სახელმწიფო საზღვარი (- ოსმალეთისა) – შავ ზღვამდე.

4. დასავლეთი: შავი ზღვა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
ნოე რამიშვილი

ნამდვილთან სწორია
მდივანი ვ. ღამბაშიძე

---

[1] დოკუმენტი 1-ფურცლიანია. ნაწერია ხელით, შავი მელნით. ხელნაწერი და ნ. რამიშვილის ხელმოწერა ერთი და იგივეა. განსხვავებული ხელითაა შემდეგი მინაწერი: „ნამდვილთან სწორია მდივანი ვ. ღამბაშიძე“. ამ საქმეში ასევე დევს პ. ინგოროყვას რუსულ ენაზე შედგენილი ცხრილი საქართველოში მცხოვრები ეროვნებების სტატისტიკური მაჩვენებლებით, რომელსაც ავტორი ქართულად აწერს ხელს და დათარიღებულია 1918 წლით. წინამდებარე დოკუმენტიც, ალბათ, ამავე წლით უნდა დათარიღდეს. კერძოდ, როცა გახდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918 წლის 26 მაისიდან 24 ივნისამდე) [რედ.].

პავლე ინგოროყვა. ცხრილური მონაცემები საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ტერიტორიისა და მოსახლეობის თაობაზე

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 7, ფ. 3-4 (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამიერკავკასიის გუბერნიებისა და მაზრების საზღვრების შეცვლის პროექტის განმარტებითი ბარათი).

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია და მოსახლეობა (სამუსლიმანოს საქართველოს გარეშე: ახალციხე-ახალქალაქის, აგრეთვე ბათუმისა და არტაანის)[1]

შემოთავაზებულ ამ სტატისტიკურ ცხრილში ნაჩვენებია საქართველოს მუდმივი მოსახლეობა 1916 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების მიხედვით[2]

წყარო: ფონდი 1864, აღწ. 2 საქმე 7, ფ. 1-3.

პროვინციის დასახელება	ფართობი, კვადრატული კილომეტრი	მოსახლეობა	მოსახლეობის განაწილება ეთნოსების მიხედვით					
			ქართველთა ერთობა		სხვა ხალხები			
			ქართველები	აფხაზები	სომხები	თურქები, სპარსელები, ქურთები	ლეზგები ტომები: ჭარელები და წახურები	სხვა მცირე ჯგუფები
1. აღმოსავლეთი საქართველო (ტფილისის გუბერნია)	36.184	812.000	563,000	91,000	76,000			82,000
2. დასავლეთი საქართველო (ქუთაისის გუბერნია)	21.556	1,023.000	1,010,000	1,000	1,000			11,000
3. სამურზაყანო და აფხაზეთ-ჯიქეთი	12.247[3]	141.000[4]	71,000[5]	6,000[6]				81,000[7]
ა) სოხუმის ოლქი	8.407	126,000	70,000	2,000				12,000

[1] არ არის მითითებული ადმინისტრაციული სტატუსი [რედ.].

[2] ეს ცხრილი დაბეჭდილია პ. ინგოროყვას ნაშრომში „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ", გვ. 16-17. მათ შორის მცირე განსხვავებაა. ცხრილს ჩვენ აქ ვბეჭდავთ უცვლელად, ისე როგორც საარქივო დოკუმენტშია [რედ.].

[3] დაწერილია ფანქრით და გადახაზულია [რედ.].

[4] დაწერილია ფანქრით და გადახაზულია [რედ.].

[5] დაწერილია ფანქრით და გადახაზულია [რედ.].

[6] დაწერილია ფანქრით და გადახაზულია [რედ.].

[7] დაწერილია ფანქრით და გადახაზულია [რედ.].

	ბ) სოჭის ოლქი (მაკოფსეს საგუშაგომდე)	3.840	15,000	1,000	4,000				9,000
4.	**აღმოსავლეთ საქართველოს განაპირა მხარეები**								
	ა) ქვემო ყარაიაზი და წინა მინდორი	1.200	დაუსახლებელია						
	ბ) ბამბაკის ხეობა	1.040	47,000			40,000	5,000		2,000
	გ) ყაზახის მაზრა	5.408	131,000			60,000	65,000		6,000
	დ) ზაქათალის ოლქი (მდ. კაშკაჩაიმდე)	3.564	76,000	19,000			12,000	45,000	
A)	საქართველოს სხვა პროვინციების მუდმივი საცხოვრებლიდან სხვაგან მყოფნი[1]		50,000	50,000					
B)			174,000	105,000	1,000	30,000	2,000	1,000	35,000
	ა) ქალაქებში (ტფილისის გარეშე)		251,000	86,000		86,000	9,000		70,000
	ბ) ტფილისი		239,000	186,000		31,000			22,000
	გ) ჯარები (საქართველოს მთელი ქრისტიანი მოსახლეობის 9 %, აფხაზებისა და ინგილო-ქართველების გამოკლებით)		2,94.4,000	2,090,000	44,000	345,000	170,000	46,000	249,000
	სულ	**81,199**	**100 %**	**71,0**	**1,5 %**	**11,7 %**	**5,8 %**	**1,6 %**	**8,6 %**

[1] ეტყობა დროებით სხვაგან საშოვარზე წასულებზეა საუბარი [რედ.].

2. სამუსულიმანო საქართველოს ტერიტორია და მოსახლეობა (სამცხე-საათაბაგოს პროვინციები)

			მოსახლეობის განაწილება ეთნოსების მიხედვით											
			ქართველები					სხვა ეთნოსები						
	ფართობი კვადრატულ კილომეტრებში	ორივე სქესის მოსახლეობა ქალაქებში	ქართველი მუსლიმანები	მ.შ. ქართულ ენაზე მოლაპარაკე	მართლმადიდებელი ქართველები	კათოლიკე ქართველები	ჯამი (ქართველებისათვის)	სომხები	თურქები	ქურთები	სხვა ქრისტიანი ეთნოსები	სხვა მუსლიმანი ეთნოსები	მოცემული მაზრის ან ოლქის ქალაქებისა და ადგილების დასახელება	მოსახლეობის რაოდენობა ქალაქებში (1914 წელს)
I. ახალციხის ოლქი[1]														
ახალციხის მაზრა	2.706	72.000	52.000	(50-60%)	8.000	4.000	64.000	6.000		2.000			ქ. ახალციხე	24.000
ახალქალაქის მაზრა	2.706	108.000	8.000	(40-50%)	7.000	6.000	21.00	72.000		1.000			ქ. ახალქალაქი	7.000
II. ბათუმის მაზრა[2]														
ბათუმის ოკრუგი	3.779	82.000	73.000	(100%)	1.000		74.000		1.000	2.000	4.000	1.000 (აგხაზები)	ქ. ბათუმი	39.000
ართვინის	3.339	61.000	56.000	(50%)			56.000	4.000		1.000	1.000		ადგ. ართვინი[3]	8.000
III. არტაანის მაზრა[4]														
ფოცხოვის უბანი	588	15.000	15.000	(5-7%)			15.000							
არტაანის უბანი	5.1317	56.000	15.000	(1-2%)			15.000		16.000	12.000	13.000		ადგ. არტაანი	4.000
ოლთისის უბანი	3.051	32.000	20.000	(3-5%)			20.000	2.000	3.000	4.000	3.000		ადგ. ოლთისი	3.000
	21.293	**419.000**	**239.000**	**არანაკლებ 135.000 (55-60%)**	**16.000**	**10.000**	**235.000**	**84.000**	**20.000**	**21.000**	**28.000**	**1.000**	**ჯამი ქალაქების მიხედვით**	**85.000**

პ. ინგოროყვა 1918 წელი

[1] Сведенія о населеіи по даннымъ 1916 года

[2] Сведенія о населеіи по даннымъ 1914 года

[3] გაუგებარია და აქ სხვაგან, რატომ ასახელებს პ. ინგოგორყვა ართვინს, არტაანსა და ოლთისს ადგილებად [რედ.].

[4] Сведенія о населеіи по даннымъ 1909 года.

განმარტებითი ბარათი მახლობელი აღმოსავლეთის საკითხების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის ამერიკული სექციის ხელმძღვანელისადმი ოსმალეთის გამგებლობაში მყოფი ლაზებით და ჭანებით დასახლებული უძველესი ქართული ტერიტორიების საქართველოსათვის მიკუთვნებულობის თაობაზე[1]

წყარო: საქართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 209, ფ. 1-2.

Mon le President de la section americaine de la commission international des mandats pour le Froche Orient.[2]

თქვენის, როგორც თავმჯდომარის ქვეშ მყოფმა სექციამ, როგორც სჩანს, უკვე დაასრულა შესწავლა ადგილობრივ მახლობელ აღმოსავლეთის საკითხების და ეხლა თქვენის ხელმძღვანელობით მოგროვილ მასალიდან დასკვნების გამოკრეფა სწარმოებს. რამდენადაც სჩანს იმ ცნობებიდან რომლებიც გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთებში უკანასკნელ დღეებში, სექციას ზედმიწევნით შეუსწავლია ოსმალეთის ყველა კუთხ-ეების მდგომარეობა, მაგრამ თუ არა ვცდები მის ყურადღების გარეშე დარჩენილა ერთი კუთხე ოსმალეთისა, რომლის მოსახლეობაც თითქმის მთლად მუსულმან ქართ-ველებისაგან შესდგება, სახელდობრ ტრაპიზუნდის ორი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ერზრუმის ვილაჰიეთისა, ეს ადგილები საქართველოს მთავრობის და საქართველოს საზოგადოების აზრით შეადგენს უხსოვარ ძველი დროიდან მთლიან საქართველოს განუყოფელ ნაწილს და ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს, მოგახსენოთ ამ ტერიტორიის შესახებ თქვენის აღმატებულობას შემდეგი მცირედი ცნობები:

1. ჩანიკი,[3] ლაზისტანი, ისპირი და ტორტუმი[4] უძველეს ისტორიულ დროიდან დღევანდლამდე დასახლებულია ქართველთა ტომის ერთ-ერთი ჯგუფით. რომაელების ისტორიკოსები პლინი და არიენი[5] მოგვითხრობენ, რომ ეს ზღვისპირი ადგილები დასახლებული იყვნენ მათ დროს ლაზებით და სანიგებით (Sannégues) ანუ სანებით (Zannoi). სანიგები ან სანები ბერძნულ წყაროებში იწოდებიან ჭანებათ. ეს სახელი შერჩენილ აქვს დღევანდლამდე ტრაპიზონის ერთს სანჯაყს Tschanik. ლაზები და ჭანე-ბი ლაპარაკობდნენ ძველად მთელ ამ მხარეში და ლაპარაკობენ დღესაც ლაზისტანში იმავ ქართულ დიალექტს, რომელსაც ლაპარაკობენ დღევანდლამდე საქართველოში მეგრელები. ქართული ენა, როგორც ნაციონალური ენა, წარმოსდგა უმთავრესად სამი ქართული ხალხური დიალექტისაგან, ლაზურის ანუ ჭანურისაგან, სვანურის და ქარ-თულისაგან. სამწერლო და სალიტერატურო ქართული ენის განვითარებაში უდიდესი როლი ეკუთვნის სწორედ ჭანურ ანუ ლაზურ დიალექტს. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ჭანები და ლაზები ქართველი ხალხის სხვა შტოებზე უფრო მჭიდროთ იყვნენ დაახლოვებული ბიზანტიის ქრისტიანულ კულტურასთან. წარმოადგენდნენ გეოგრაფი-ულ ხიდს, საქართველოს შემაერთებელს ევროპასთან და ამიტომ ჭანების და ლაზე-ბის გავლენა ნაციონალურ ქართულ კულტურის განვითარებაზე მეტად ძლიერი იყო. ქრისტიანობა საქართველოში პირველად ანდრია პირველწოდებულ მოციქულის და

---

[1] ავტორი უცნობია [რედ.].

[2] ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო მანდატების ამერიკული განყოფილების პრეზიდენტი (ფრ.) [რედ.].

[3] ალბათ, ჭანეთი იგულისხმება [რედ.].

[4] ავტორი ასე უწოდებს ისტორიულ ქართულ პროვინციას „თორთომს“ [რედ.].

[5] ანტიკური ეპოქის ისტორიკოსები: პლინიუსი და არიანე [რედ.].

წმინდა ნინოს ქადაგებით სწორედ ამ ადგილებში გავრცელდა. ქრისტიანი ჭანები და ლაზები ბიზანტიის ძლიერების დროს შეადგენდნენ ცალკე საეპისკოპოსოს. მთელი ეს მხარე მოფენილი იყო ქართულ მართლმადიდებელი მონასტრებით და ეკლესიებით. ბევრი მათგანი შენახულია დღევანდლამდე. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებონი არიან კარჩხალის (Pan Khal) ტაძარი ლაზისტანში, პონტოს მთების აღმოსავლეთის კალთებზე, ისპირის მახლობლად, და ტორტუმში ხახულის მონასტერი.

2. ჩანიკი, ლაზისტანი, ისპირი და ტორტუმი, როგორც საქართველოს განაპირა ადგილები, პირველნი შეიქნენ ოსმალთა შემოსევის მსხვერპლნი, მას შემდეგ რაც ბიზანტიელების იმპერია დაემხო და ოსმალებს გა... [ფურცლის კიდე მოხეულია, არ იკითხება – რედ.] ნავარდობისა ჩრდილოეთისაკენ. ამ პროვინციებთან ერთად ოსმალეთმა იმავ დროს დაიპყრო ძალით და ჩამოაცილა საქართველოს მესხეთი (ეხლანდელი ახალციხის მაზრა), ჭოროხის ხეობა (ტაო-კლარჯეთი) და აჭარა (ბათუმის და ართვინის ოლქები). მას შემდეგ საქართველოს ყოველთვის, როცა კი გარემოება ხელს უწყობდა, მეცადინეობდა ამ თავის მშობლიურ ადგილების დაბრუნებას, მაგრამ დაუძლურებული გარეშე მტრებისაგან ამ მიწას ვერ აღწევდა. მე-XVII საუკუნის დამდეგს ერთ ხანად მოახერხეს ქართველებმა ამ ადგილების დაბრუნება, მაგრამ მხოლოდ დროებით. ოსმალების გავლენა საქართველოსაგან წართმეულ ადგილებში გამოიხატა უმთავრესად სარწმუნოების საკითხში. ქრისტიანობის ნაცვლად ყველგან ისლამი გაბატონდა. ადმინისტრაციულად ამ ადგილების განცალკევებული მდგომარეობა (შენახულია დღევანდლამდე). ჭანიკში, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობს, ქართველმა მოსახლეობამ სამის საუკუნის ოსმალთა ბატონობისაგან დაივიწყა აგრეთვე თავისი მშობლიური ენა და შეითვისა ოსმალური, მაგრამ იქ მაინც დაცული აქვთ თავისი ძველი ქართული ჩვეულებები და შერჩენილი აქვთ შეგნება, რომ ისინი ჭანები არიან და არა ოსმალნი, ლაზისტანში, ისპირში და ტორტუმში ოსმალების გავლენა უფრო ნაკლებ დაეტყო ადგილობრივ მკვიდრთ, თუმცა მამაკაცები აქ ოსმალურსაც ლაპარაკობენ, მაგრამ ოსმალური მაინც საგარეო ენაა. შინაურობაში ისევ ძველი ლაზურს ე.ი. ქართულს ლაპარაკობენ. ქართული ეროვნული შეგნება ლაზურსა და ჭანებში მეოცე საუკუნეში თანდათან იღვიძებს. განათლებული ლაზების მთელი გულის სუნთქვა მიმართულია საქართველოსკენ, რომელსაც ისე უცქერიან, როგორც თავის დედა-სამშობლოს (mine patrie).

3. ტერიტორიულად ეს ადგილები გადაბმულია ართვინის და ბათუმის ოლქთან (აჭარა), არტაანის ოლქთან და ახალციხის მაზრასთან. ე.ი. საქართველოსთან. ოსმალის ოფიციალური სტატისტიკით 1914 წლისა ჭანიკში 265.950 მუსულმანია, 98.739 ბერძენი და 27.319 სომეხი, ხოლო მთლად ტრაპეზუნი[ს] ვილაჰიეტში 921.128 მუსულმანი, 161, 574 ბერძენი და 98.899 სომეხია. ოსმალური ოფიციალური სტატისტიკა მუსულმანებისათვის ეროვნებას არ უჩვენებს, ალბათ იმ ფიქრით, რომ ყველა მუსულმანი ოსმალათ იყოს ჩათვლილი. მაგრამ ასეთი აბნევა ერთმანეთში ეროვნებისა და სარწმუნოებისა ეხლა ვეღარავის დააკმაყოფილებს. რაც შეეხება ჭანიკს, ლაზისტანს, ისპირს და ტორტუმს, იქაურ მუსულმანების 95 % უცილობლად ქართველთა ტომს ეკუთვნის და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ეკუთვნის ოსმალებს ანუ თურქებს.

4. ოსმალეთის საზღვრებში მოქცეული საქართველოს პროვინციების დაბრუნება საქართველოსთვის შეადგენდა ერთ-ერთ უმთავრესს მუხლს 1783 წლის ტრაქტატისას საქართველოს მეფის ირაკლი II და რუსეთის იმპერატორის ეკატერინისას. ამ პროვინციების დაბრუნება ქართველი ხალხის უღრმესი მისწრაფებაა. ამ მისწრაფებასთან შეთანხმებულია ის ახალგაზრდა ნაციონალისტური მოძრაობა, რომელიც დღითი დღე იმარჯვებს და ძლიერდება ოსმალეთის საქართველოში. ეს მოძრაობა, მიმართული ქართველი ერის ნაციონალური კონსოლიდაციისათვის, ისეთივე საღია და ცხოველმყოფელი, როგორიც არის საერთოდ ყველა სხვა ერის ნაციონალური გამთლიანება. მსოფლიო ომი, რომელსაც აწარმოებდა ანტანტა უფლებრივი პრინციპების გაბატონებისათვის და

ამიტომ საქართველოს მთავრობას და ხალხს სწამს, რომ პარიზის საზავო კონფერენ-
ცია, სხვათა შორის, დაეხმარება ქართველ ერს იმ უსამართლობის გასწორებით, რო-
მელმაც სამი საუკუნის წინათ მოსწყვიტა მას მისი უმშვენიერესი კუთხე და ჩაუგდო
ხელში ოსმალებს.

[... ფურცლის კიდე მოხეულია, არ იკითხება – რედ.] ამასთანავე, ერთად მოკლე
გამოკვლვას ფრანგულ ენაზედ ოსმალეთის ქართველების შესახებ, რომელიც უფრო
მეტ ცნობებს შეიცავს, ვიდრე აქ შეიძლებოდა მომექცია, თქვენო აღმატებულებავ,
და ნებას ვაძლევ ჩემ თავს ვიმედოვანო, რომ თქვენ მიერ უყურადღებოთ არ იქნება
დატოვებული საკითხი შესახებ ოსმალეთის საზღვრებში მყოფ ქართულ პროვინციების
შეერთებისა საქართველოსათან.

IV. საქართველოს სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებული ოფიციალური და კერძო წერილები

1. საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარის კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძის წერილები საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას

წერილი 1.

წერილი გაგზავნილი ინგლისელთა წარმომადგ[გენლობიდან] ბათომში[1]

1919 წლის 14 იანვარი

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე № 148. ფ. 5-7.

„საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.

პატივი მაქვს გაცნობოთ საზავო კონგრესზე გამომგზავრებულ ქართულ დელეგაციის ამბავი.

დელეგაცია ჩამოვიდა ბათომს 10-ს ამ თვეს შუადღისას. სადგურზე დელეგაციას გამოეცხადა ინგლისელ აფიცერი, რომელმაც გვაცნობა, რომ გემი ჯერ არ მოსულა, შემოგვთავაზა სასტუმროში გადასვლა და იკითხა, რამდენი ოთახი დაგვჭირდებოდა.[2]

ჩვენ მადლობა გამოვუცხადეთ და ვაგონებში დარჩენა ვარჩიეთ, რადგან არ ვიცოდით რამდენის ხნის ლოდინი დაგვჭირდებოდა ბათომში, მაგრამ ისიც ვუთხარით, რომ თუ დიდხანს მოგვიხდა დარჩენა და თანაც ვაგონში ყოფნა უსერხული შეიქნა, დელეგაცია ისარგებლებს ამ შემთხვევაში ინგლისელების თავაზიანობით და მოითხოვს სასტუმროში გადაყვანას.[3]

გუშინ დილით ჩამოვიდა გენერალი რაიკფორტი. გუშინვე გავუგზავნე კაცი და შევუთვალე, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდა დელეგაცია. იქ რაიკფორტის ხელქვეით-პოლონელ ლევენსონებთან ლაპარაგიდგან გამოირკვა, რომ აქედგან 8-ს ამ თვეს გასულა გემი და რომ ის ცნობა, რომლიც თბილისში მოსულა, სწორედ ამ გემს შეეხებოდა თურმე. ამნაირად, სთქვა ხსნენებულმა ლევენსონმა, რაღაც გაუგებრობა მომხდარა და ჩვენ ბოდიშს გიხდით დელეგაციის წინაშე, რომ ასეთს უხერხულო მდგომარეობაში ჩავაყენეთო; მაინცა-და-მაინც ეხლა ცნობა გვაქვს, რომ ამ 3-4 დღეში უნდა მოვიდეს გემი და იმ გემით გაგისტუმრებთო.

როდესაც გამოირკვა, რომ 3-4 დღეს და შეიძლება მეტხანს მოგვივიდეს ბათომში დარჩენა, მე შევუთვალე ინგლისელებს, რომ დელეგაციისათვის ოთახები მოენახათ; მათაც სასტუმროში გაგვიჩინეს ბინა, სადაც დღეს გადავედით.

---

[1] წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ მას აგზავნის საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი კ. ჩხეიძე ბათუმიდან. ბუნდოვანი სათაური კი უნდა გავიგოთ ასე: წერილი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს გამოეგზავნა ბათუმში მყოფი ინგლისელთა წარმომადგენლობის ოფისიდან [რედ.].

[2] გადაშლილია აბზაცი: „დელეგაციას, რომელმაც არ იცოდა, რამდენ ხანს დააგვიანდებოდა ბათომში, ვაგონებში დარჩენა არჩია, მაგრამ მადლობა გამოუცხადა ინგლისელ ოფიცერს, მაგრამ“ [რედ.].

[3] გადაშლილია წინადადება: „გუშინ, 11 ამ თვეს ჩამოვიდა აქ გენერალი რაიკფორტი. ან მე გავუგზავნე გენერალ რაიკფორტს კაცი“ [რედ.].

ამრიგად დელეგაცია ჯერ კიდევ ბათომში იმყოფება და როდის გაემგზავრება ჯერაც არ ვიცი დანამდვილებით, თუმცა დღეს კიდე გაგვიმეორა საგანგებოდ ამისთვის გამოგზავნილმა ინგლისელმა აფიცერმა, ამ 2-3 დღეში ველით გემსაო.

ვინაიდგან დელეგაცია სულ ცოტა სამ დღეს კიდევ დარჩება აქ, ვსარგებლობ შემთხვევით და ვგზავნი კაცს, რომელსაც გთხოვთ გამოატანოთ დელეგაციისათვის საჭირო შემდეგი საბუთები:

1) დიპლომატიური დოკუმენტების წიგნი, რომელიც ვოიტინსკის რედაქტორობით უნდა გამოსულიყო.

2) ცნობები იმ განძეულობის შესახებ, რომელიც რუსეთის მთავრობამ გაზიდა საქართველოდგან მე XIX სუკ. განმავლობაში. ეს ცნობები უნდა გამოერკვია ბ. ექვთიმე თაყაიშვილს.

გარდა ამისა გთხოვ გამომიგზავნოთ ყველა გაზეთები 10 ამ თვითგან მოყოლებული.

ყველა ეს, გთხოვთ, გამოატანოთ ამ წერილის მომტანს, რომელსაც სწორედ და საგანგებოდ ამისათვის ვგზავნი თბილისში.

შეიძლება საჭიროდ დაინახოთ ჩვენი დელეგაციის ასეთი მდგომარეობა აცნობოთ ინგლისის მაქაურ წარმომადგენელს.

საჭიროდ მიმაჩნია გაცნობოთ კიდევ შემდეგი ამბავი. აქ მოვიდა ჩემთან რუსეთის „доброволскій флотъ"ის გამგეობის წევრი კონსტანტინე იკობის ძე უშაკოვი და შემომჩივლა, რომ აქამდისინ არ გაუსწორებიათ მასთან ჩვენსა და სომხების ტყვეების ჩამოყვანის ანგარიში. ამას ისიც დაუმატა, რომ იგი მოწადინებულია ურთიერთობა დაიჭიროს ჩვენს მთავრობასთან, მაგრამ ორივე მხარისაგან დაცული იქნება წესიერება და თავ-თავის მოვალეობის აღსრულება.

ტყვეების ოდესიდგან გადმოყვანის ამბავი და[1] თქვენც უეჭველია, მოგეეხსენებათ, მაგრამ რაკი ხსენებულმა უშაკოვმა მეც მომმართა, საჭიროდ მივიჩნიე ამის შესახებაც მოწერა თქვენთვის."

წერილი 2.[2]

1919 წლის 25 იანვარი

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე № 148. ფ. 8-9.

ძმაო ნოე:

25 იანვარს ვრცელი წერილი გამოვაგზავნე ევგენი პეტროვიჩის სახელზე.[3]

ჩამოვედით კონსტანტინეპოლში 20 იანვარს, ველოდებით საფრანეგთის სამხედრო სამინისტროსაგან საფრანგეთში შესვლის ნებართვას, რომლის შესახებაც აქაურ მმართველთაგან გაგზავნილია დეპეშა. ეგევე ვაცნობეთ ღამბაშიძეს ლონდონში.

თებერვლის 1-ს ხელმეორედ ვინახულე საფრანგეთის უფროსი წარმომადგენელი, დაწვრილებითდ ვუამბე ჩვენი დლეგაციის წამოსვლის ყოველივე მიზეზი და გარემოება. სხვათა შორის ხაზი გაუსვი, რომ სომხების დელეგაცია, ჩვენთან ერთად წამოსული ტფილისიდან, უკვე წავიდა პარიზში. ყველა ამაზე მიპასუხა, რომ ჩვენს შესახებ შეკითხვა გაგზავნა დეპეშით პარიზში, ელის პასუხს სამხედრო მინისტრისაგან, და თუ რამდენიმე დღის განმავლობაში პასუხი არ მოვიდა, ხელმეორედ შევეკითხებით. ამ ორ-

---

[1] ის რომ ეს გადმოყვანა მოწყობილი იყო ჩვენის წარმომადგენლობის უშვერიძის მიერ. [ავტორის ჩამატება [რედ.].

[2] საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი იყო კარლო ჩხეიძე. ამიტომ წერილის შინაარსიდან გამომდინარე იგი უნდა იყოს წერილის ავტორი [რედ.].

[3] გადაშლილია წინადადება: „მთავრობის სახელზე ერთ ქუთათურ ებრაელის ხელით" [რედ.].

შაბათს, 3 თებერვალს, აქ ჩამოვიდა ღენერალი მილნი. უთუოდ ვაპირებ მის ნახვას და ჩვენი მდგომარეობის ახსნას. აქ ჩვენ რაც შეგვეძლო – ყოველი ღონე ვიხმარეთ და თუ ამ ამბების მიხედვით მანდედანაც რაიმე ნაბიჯებს გადადგამთ,[1] ეს ძალიან კარგი იქნება.[2]

ვ. ჩერქეზიშვილი აქ დაგვხვდა. ამდენხანს ცდილობდა წასვლას და მხოლოდ დღეს მიიღო ნებართვა საფრანგეთში გამგზავრებისა. ამ დღეებში მიდის კიდეც.[3] სცდილობს წასვლას აგრედვე ვ. ნაზარიშვილი, რომელიც აქ 21 იანვარს ჩამოვიდა; ჩვენ გვინდა კიდევ ცალკე გავისტუმროთ როგორმე ბ-ნი ბაბე, როგორც საფრანგეთის მოქალაქე.

სხვათა შორის საჭიროდ მიმაჩნია გაცნობო შემდეგი: ინგლისელების ნებართვას, რომელსაც მანდ იძლევიან, მხოლოდ კონსტანტინეპოლამდე აქვს ძალა; აქედან გამგზავრებისთვის კი საჭიროა საფრანგეთის მთავრობის ნებართვა. საფრანგეთის მთავრობა საქართველოს ქვეშევრდომთ მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევს ნებართვას თუ კეთილ იმედოვნების მოწმობა (Bona fides)[4] აქვს მგზავრს. ასეთ მოწმობისათვის საკმარისია ინგლისელ სამხედრო პირთა ან მოხელეთა მოწმობა. ვინც მანდედან წამოვა, როგორც კერძო პირი, საჭიროა ჰქონდეს მანდაურ ინგლისელ კომენდატურისაგან ასეთი შინაარსის მოწმობა:

„ესა და ეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ემგზავრება იქ და იქ ამა და ამ საჭიროებისათვის შემდეგი გზით. ვინიცობაა საფრნაგეთის მოხელენი რაიმე მიზეზის გამო დაბრკოლდნენ ნებართვის მიცემაში, ამ მგზავრს „Bona fides-ს ვამოწმებ“.

ასეთი მოწმობა მისცა ბათომის სამხედრო გუბერნატორმა იქაურ ქალაქის თავის შვილს ჯავახიშვილს, რომელიც მას ასე ძლიერ[5] გამოადგა, რომ ამ დღეებში უკვე მიდის პარიზში. ასეთი მოწმობა საკმარისია მხოლოდ კერძო პირთათვის, ხოლო დელეგაციებისათვის კი საჭიროა საფრანგეთის მთავრობის საგანგებო ნებართვა.[6]

ვოიტინსკი, რომელიც აგერ რამდენიმე დღეა ჩამოვიდა აქ ძლიერ შეეცადა პარიზში წასვლას, მაგრამ ვერ ახერხებს. ამიტომ საჭიროა სთხოვოთ გამოაგზავნოთ მანდაურ ინგლისელ წარმომადგენელს[7] კონსტანტინეპოლის ინგლისის საელჩოს სახელობაზე შემდეგი შინაარსის ტელეგრამმა (ასლი – მე, „პერა პალასში“):

„საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ საველის ძე ვოიტინსკი, მწერალი, ანტატისადმი კეთილ განწყობილი ტფილისის გაზეთის რედაქტორი მიემგზავრება ცოლითურთ საქართველოდან საფრანგეთში კონსტანტინეპოლით, თავის კერძო საქმეებზე. იმ შემთხვევისათვის თუ მის მოგზაურობას რაიმე დაბრკოლება შეემთხვა საფრანგეთის მოხელეთაგან, ამით ვამოწმებ, ზემოხსენებულ პირის და მისი ცოლის Bona fides.“

თუ ინგლისელებმა ასეთ ტელეგრამის გამოგზავნა არ ისურვეს, მაცნობე რომ სხვა რამე საშუალებას მივმართო.

---

[1] წაშლილია წინადადება: „შეიძლება ისეთ აზრს დავადგეთ რომ ჩვენ მალე შევეცადოთ და აქედან ტელეგრაფით ვაცნობოთ ჩვენი აქაური მდგომარეობა საფრანგეთის და ინგლისის მთავრობას“ [რედ.].

[2] ბოლო წინადადება მიწერილია ფანქრით [რედ.].

[3] აქედან მოყოლებული მთელი ტექსტი ბოლომდე გადახაზულია [რედ.].

[4] Bona feidas – ლათ. ნიშნავს მანდატს, სარეკომენდაციო წერილს.

[5] წაშლილია სიტყვა „ძლიერ“ [რედ.].

[6] ეს აბზაცი ჩამატებულია ფანქრით [რედ.].

[7] წაშლილია: „ანუ კონსულს და გამოაგზავნით“ [რედ.].

წერილი 3.

1919 წლის 27 იანვარი, ქ. კონსტანტინეპოლი
წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე № 148. ფ. 15-16.

№ 28

გაეგზავნა ელიგულაშვილის ხელით.[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს

ჩვენი მთავრობის წარმომადგენელი ბათუმში უეჭველია გაცნობებდათ დელეგაციის კონსტანტინეპოლში გამომგზავრებას. დელეგაცია მთელი თავისი შემადგენლობით გამოვიდა ბათუმიდან 18-ს ამ თვეს ინგლისის ტრანსპორტით (Indarra) და 20-ს ჩამოვიდა ნაშუადღევს 2-ს საათზე.

სასტუმროში გადმოვედით საბარგო ავტომობილებით, რომელიც ინგლისის საელჩომ გამოგვიგზავნა.

ჩვენს გემზე შემთხვევით იყო გ. მაჩაბელი, რომელიც აქვე ჩამოვიდა.

მეორე დღესვე გაზეთებში დაიბეჭდა ჩვენი ჩამოსვლის ამბავი, ზოგან ყალბი და ზოგან ტენდენციური. ერთში ნათქვამი იყო რომ დელეგაციას მეთაურობს გ. მაჩაბელი, ხოლო ორ სხვაში უკომენტარიოდ დაწერილი იყო რომ მე ვარ მთელი რუსეთის სოვეტების თავმჯდომარე. ერთმა გაზეთმა პირდაპირ უწოდა ჩვენს და ადერბაიჯანის დელეგაციებს „არა სასურველი“ – les deligetions indesirables. ეს გამოცემები ყველანი სომხების ხელშია. კამპანია ჩვენს წინააღმდეგ სომხებს ჩვენს ჩამოსვლამდეც უწარმოებიათ: ამ თვის 8-ში დაბეჭდილი ყოფილა Renaissance-ში წერილი, რომელშიაც ცილს სწამებენ გენერალ ოდიშელიძეს და საზოგადოთ ქართველებს. დღეს Stambol-ში გადმობეჭდილია სომხური გაზეთიდან კიდევ უარესი ცილის წამება. ყველას ამას დაწვრილებით გაეცნობით გაზეთებიდან, რომლებთაც გიგზავნით.

ჩვენ შევეცადეთ რამდენადაც ჩვენ ხელთ იყო პრესისვე საშვალებით გაგვექარწყლებინა ის შთაბეჭდილება, რომელიც აქ შექმნეს სომხებმა. რედაქციებს დაუგზავნეთ მოკლე communiqui და მივეცით ცნობები ინტერვიურებს. ერთმა ისე დაამახინჯა[2] რომ საწინააღმდეგო წერილის გაგზავნა დამჭირდა. ამ გარემოებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა დელეგაციების წევრები, რომ აქ აუცილებლად საჭიროა ჩვენი ინტერესების დამცველი პრესსის მოწყობა. ჩვენ უკვე მივმართეთ ერთ რედაქციას, რომელიც თანახმაა დაგვითმოს თავის გაზეთში ერთი სვეტი. ვიდრე აქა ვართ რასაკვირველია ვისარგებლებთ. მაგრამ ჩვენ წასვლის შემდეგ საქმე შეფერხდება. საჭიროა აქ იყოს ვინმე მუდმივი მცხოვრები, რომ საქმეს გაუძღვეს და ნამდვილი ცნობები გაავრცელოს ჩვენს შესახებ. როგორც მოგეხსენებათ აქ იმყოფება ინგლისის და საფრანგეთის მთავარი შტაბები. როგორც სჩანს ჩვენი წარმომადგენლის აქედან წასვლა მოკავშირეთა შემოსვლის წინ (და მისი მაგიერის უყოლობა) ჩვენთვის მავნებელი გამოდგა. აღძრულ საკითხს საჩქაროდ უნდა გადაწყვეტა და თუ მთავრობა ვისმე[ს] გამოგზავნის, უთუოდ ფრანგული ენის მცოდნე უნდა იყოს.

როგორც ხედავთ ჩვენ ჯერ კიდევ სტამბოლს ვერ გავცილებულვართ. საქმის ვითარება ასეთია.

---

[1] ეს წინადადება შემდგომაა მიწერილი. დასმულია ოთხკუთხა ლურჯი ფერის შტამპი წარწერით: „საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია“. ხელით მიწერილია: „27 იანვარი, 1919 წ. გაგზავნილია № 28“ [რედ.].

[2] წაშლილია ფრაზა: „რომელიც დაიბეჭდა“ [რედ.].

21 იანვარს ნ. ნიკოლაძე და ი. გობეჩია იყვნენ ინგლისის პოლიტიკურ ატაშესთან. აცნობეს დელეგაციის დანიშნულება და წარუდგინეს თბილისიდან მიცემული სია. მან იკითხა არის თუ არა მოკავშირეთაგან ცნობილი თქვენი დამოუკიდებლობა. უპასუხეს, რომ ოფიციალურად არ არის ცნობილი მაგრამ ფაქტიურად ცნობილიო. რაც შეეხება თქვენს წაყვანას, თუმცა ინგლისმა 500 კაცი გაგზავნა კონფერენციაზე, მაგრამ აქედან 12 კაცის წაყვანა უფრო ძნელიაო. ყოველ შემთხვევაში პასუხს გაცნობებთო.

22 იანვარს ვინახულე ინგლიის სრულუფლებიანი მინისტრი სოხლერი. მან გამოგვკითხა სათითაოდ წევრების შესახებ ცნობები. პირადად მე მკითხა თქვენ ის ჩხეიძე ბრძანდებით კერენსკის დროს რომ იყო პეტროგრადშიო. ჯერ ი. წერეთლის შესახებ იკითხა რომელი მინისტრის პორტფელი ებარაო. რამდენი ხანი დარჩით პეტროგრადში და რატომ წახვედით კავკასიაშიო. მერე დამეკითხა ხართ თუ არა ნამდვილი წარმომადგენელნი თქვენის ხალხისა და პატარა დარიგებაც კი აკადრა თავის თავს, უნდა გესმოდეთ რომ მეტად საპასუხისმგებლო საქმე გაქვთ ნაკისრიო. შემდეგ მითხრ: მე დავალებული მაქვს ბრიტანიის[1] ჩემი მთავრობისაგან ამ ქაღალდის შინაარსი გაცნობოთო. დიდი ბრიტანეთის მთავრობა სიმპატიით ეპყრობა საქართველოს რესპუბლიკის დაარსებას და ენერგიულად მხარს დაუჭერს, რომ კონფერენციამ იცნოს მისი დამოუკიდებლობა და მის წარმომადგენლებს მოუსმინოსო. თქვენი წაყვანის შესახებ უნდა მიმართოთ საფრანგეთის წარმომადგენლობას და აგრეთვე ჩვენს სამხედრო წარმომადგენელს სორლიესო.

როდესაც ვკითხე, თუ რად გვიძნელდებოდა ჩვენ წასვლა, მაშინ როდესაც სომხის დელეგაციები ასე ადვილად მიდიან, მან მითხრა სომხებს ბევრი დელეგაციები ჰყავსო და ამ საგანზე ლაპარაკს თავი აარიდა.

სორლიე[ს]თან ვიყავი იმავე დღეს. ეს არის ღენერალი მილნის მაგიერი, მეორე დივიზიის უფროსი. გვითხრა თქვენს შესახებ ცნობები უკვე გადმომცეს (სოხლერმა). მე ამ ცნობებს ტელეგრამით ვაცნობებ პარიზში საფრანგეთის სამხედრო მინისტრს და დელეგაციამ პასუხს უნდა მოუცადოსო.

გამოირკვა რომ საზოგადო წესი ასეთი ყოფილა, სტამბოლამდე ინგლისელებს მოჰყავთ დელეგაციები, შემდეგ კი საჭიროა საფრანგეთის მინისტრის ნებართვა. მიუხედავად ამისა სომხები როგორღაც ახერხებენ ადვილად წასვლას. დელეგაციის წევრების შესახებ ცნობების შეკრების გარდა პოლიტიკურის მოსაზრებით, ის მნიშვნელობა აქვს, რომ საფრანგეთში თურმე უწინ უფრო ადვილად გზავნიდნენ დელეგაციის წევრებს, მაგრამ ყოფილა შემთხვევა რომ პარიზიდან უკანვე დაუბრუნებიათ.[2]

იმავე 22 იანვარს ვიყავი საფრანგეთის ადმირალთან, რომელმაც დროის უქონლობის გამო (კრება ქონდა) პირადად ვერ მიმიღო და თავის ოფიცერს მიანდო ჩემი მიღება. ეს უკანასკნელი გამოდგა თურქული ენის პროფესორი დენი პარიზის უნივერსიტეტში. ამანაც დაწვრილებით გამოგვკითხა ცნობები. იკითხა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები, შეთანხმებული ვართ მეზობლებთან თუ არა, გათავდა თუ არა სომხებთან ჩვენი ომი. წასვლის შესახებ გვითხრა, უწინ უფრო ადვილად ვაძლევდით ნებას საფრანგეთში შესვლისას, მაგრამ იყო შემთხვევა, რომ იქიდან ცნობილი პირებიც დააბრუნეს, არ მიიღეს. ამიტომ ცნობების შეკრება საზოგადო წესად არის მიღებული.

25 იანვარს ვინახულე იტალიის უმაღლესი კომისარი გრაფი სფორცა, რომელმაც დიდი სიმპატიებით და ყურადღებით მიმიღო: ჩვენ გამოვცადეთ უცხოეთის ბატონობა და არავის არ შეუძლია ისე ანგარიში გაუწიოს თავის უფლების გრძნობას როგორც ასეთი ქვეყნის წარმომადგენელსო. იკითხა, მოასწრო თუ არა თქვენმა რესპუბლიკამ რამე რეფორმების განხორციელება და აღგვითქვა ყოველგვარი დახმარებას გაგიწევთო. სომხებთან ომის შესახებ მითხრა მე ცნობები მაქვს, რომ თქვენს მთავრობას ომი არ

[1] სიტყვა „ბრიტანიის“ წაშლილია [რედ.].
[2] ეს აბზაცი გადაშლილია [რედ.].

უნდოდა, მშვიდობიან მორიგების გზაზე იდგა, მაგრამ სომხები არ დათანხმდნენო. გამოსთქვა იმედი რომ ჩვენს და იტალიას შორის დამყარება მჭიდრო კავშირი და კარგი დამოკიდებულება.

ხსენებულ პირთა გარდა ვინახულე დანიის, ჰოლანდიის და ისპანიის წარმომადგენელნი.

უნდა აღვნიშნო და თქვენც ამოიკითხავთ გაზეთებიდან, რომელსაც ამასთანავე გაახლებთ, რომ სომხებს რამოდენიმე დელეგაცია უკვე გაემგზავრა პარიზში. მაგ. პაგარონიანი რომელიც ჩვენთან ერთად წამოვიდა თბილისიდან უკვე პარიზშია. ცნობების შეკრების წესი თითქო ყველასათვის ერთია, მაგრამ სომხები მაინც ახერხებენ ადრე წასვლას. ჩვენ გარდა აქვე იცდიან ადერბაიჯანი და მთიელების დელეგაციები.

ყველა ზემოხსენებული ამბავი და ის გარემოებაც რომ აქ თავმოყრილია მრავალი ხალხის წარმომადგენლობა, აუცილებელს ჰყოფს, რომ ჩვენც აქ გვყავდეს განსაკუთრებული წარმომადგენელი რომელიც ემსახურება ჩვენს ინტერესებს.

ამ სამიოდე წლის წინად დელეგაციის რამდენიმე წევრმა ინახულეს აქ დარჩენილი ჩვენი ტყვეები (80-მდე კაცია); ტყვეებს ახლა კარგად უვლიან, მაგრამ ყველაზე უფრო ისინი სახლში დაბრუნებას ნატრულობენ. ვ. ჩერქეზიშვილს, რომელიც ახლა აქ იმყოფება, მიუმართავს ინგლისელი უფროსისათვის და პასუხად წერილი მოსულა, რომ პირველ შეძლებისთანავე გავისტუმრებთ ტყვეებს სამშობლოშიო. მიუხედავად ამისა დელეგაციამ გადასწყვიტა მეც ვინახულო ინგლისელი უმაღლესი კომისარი და დავაჩქარო მათი გამოგზავნა, რასაც ჩვენის მხრივ, რასაკვირველია, ხარჯი დასჭირდება.

უნდა აღვნიშნოთ საყურადღებოდ რომ ოსმალეთის მდგომარეობა ბევრად გართულებულია. როგორც გამოგზავნილ გაზეთებიდან დაინახავთ, წინანდელი პოლიტიკური პარტიები იმედს არა ჰკარგავენ რომ აღადგინონ ძველი გავლენა და ძველი პოლიტიკა. მივაქცევ თქვენს ყურადღებას იმ ცნობებს, რომ ლაზისტანში და ბათუმისკენ იგზავნებიან ემისრები და აგრეთვე Renessans-ში მოთავსებულ ინტერვიუს.

რაც შეეხება რადიოტელეგრაფის მოწყობას, იმედი გვაქვს რომ მალე მოეწყობა.

მთავრობის თავმჯდომარე[1]

წერილი 4.

1919 წლის [მარტი]. პარიზი – თბილისი[2]

წყარო: საისტორიო არქივი, ნ. ჩხეიძის პირადი ფონდი № 2115, აღწერა 1, საქმე № 20. ფ. 1.

,,საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს

პარიზში ჩამოვედით 27 თებერვალს მთელი ჩვენი დელეგაციიდან მხოლოდ ორი: მე და ირაკლი. სხვები მაშვინ არ გამოუშვეს. ბევრი ცდის შემდეგ ეხლა შემოგვითვალეს საფრანგეთის სამინისტროსაგან, რომ ნიკოლაძეს და გობეჩიას გაეგზავნა ნებართვაო. თუ რატომ გრ. რცხილაძეც არ უნდა ჩამოვიდეს ამაზე არაფერს ამბობენ. სთქვეს მხოლოთ რომ ნიკოლაძე და გობეჩია პარიზში ნამყოფია უკვეო და კონსტანტინოპ-

---

[1] უნდა იყოს: დელეგაციის თავმჯდომარე [რედ.].

[2] დაწერილია ბლანკზე შავი მელნით. მარცხენა კიდეზე აწერია:
Delegacion
De La
Republic Georgiane
37, Rue La Perouse, 37
Paris (16 e) [რედ.].

ოლითგანაც მათთვის ჩვენმა წარმომადგენელმა მოწერაო. გვინდა მოვახერხოთ რომ გრ. რცხილაძეც ჩამოვიდეს ჩვენთან.

თუ რა გაკეთებულა აქ ჩვენ ჩამოსვლამდინ და რა ნოტები გადაუციათ გვარჯალა-ძე-ავალოვ-ღამბაშიძეს ამის შესახებ ცალკე წერილი იგზავნება.

აქ ჩამოსვლისთანავე, როცა კი გავეცანით მდგომარეობას მაშინვე შე[ვ]უდექით ჩვენ[ს] საქმეს. ვინახულეთ აქაური პარტიების გამოჩენილი წარმომადგენლები. ვნახეთ სოციალისტები: ალბერთ თომა, რენოდელი, კაშენი, გუდი(?), ლაფონი, მაუტე(?), და სხვები. მიგვიპატიჟეს ფრაქციაში სადაც მათ გაუკეთეთ მოხსენება ჩვენ საქმეებზე. გა-მოგვიცხადეს სიმპათია და შეგვპირდნენ ყოველ მხრივ დახმარებას.

რადიკალების პარტიიდგან ვნახეთ ფრანკლინ ბულიონი (საგარეო საქმეთა პარლამენტარულ კომისიის თავმჯდომარეა), ბრიანი, ვივიანი, პარლამენტის თავმჯდომარე დებანელი და სხვები. ყველა სიმპათიით მოგვეპყრა.

უნდა ითქვას რომ საფრანგეთი ალიებთა[1] შორის პატარა ეროვნების საქმეს არ უყურებს საზოგადოთ კარგად. საფრანგეთს სურს რომ აღადგინოს რუსეთი ძველ ფარგლებში. ყოველ შემთხვევაში აქამდინ საფრანგეთის მთავრობა ამ საკითხში არ იყო წვრილ ერების დამოუკიდებლობის მომხრე.

საფრანგეთის სამინისტროში ვინახულეთ კრამერესი (?), რომელსაც აბარია რუსე-თის საქმეები. მისი ლაპარაკიდგან ირკვეოდა რომ ის არ არის მომხრე წვრილ ერების დამოუკიდებლობისა. ეხლა როცა ამ საკითხში საფრანგეთი მარტო დარჩა და ეხლა ალიები კი წვრილ ერების დამოუკიდებლობას მხარს უჭერს, ისიც ცდილობს რომ პოზიცია იცვალოს.

როცა ამას წინეთ საფრანგეთის საგარეო მინისტრი პიშონი ვინახულეთ და ჩვენი საქმის ვითარება მოვახსენეთ გვითხრა, რომ ყოფილი რუსეთის წვრილ ერებთა შორის საქართველოს საკითხი ყველაზე უფრო ნათელია და მისი დამოუკიდებლობა ეჭვს არ იწვევსო.[2]

---

[1] გაუგებარია თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა. შინაარსის მიხედვით კი კონფერენციაზე წარმოდგენილ გამარჯვებულ ქვეყნებს უნდა ნიშნავდეს [რედ.].

[2] დაუსრულებელია. წერილის ბოლო ნაწილს ვერ მივაკვლიეთ. [რედ.].

2. საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარის კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძის წერილები საქართველოს დელეგაციის წევრს გრიგოლ რცხილაძეს

წერილი 1.

1919 წლის 20 თებერვალი, მარსელი – კონსტანტინოპოლი
წყარო: საისტორიო არქივი, ნ. ჩხეიძის პირადი ფონდი № 2115, აღწერა 1, საქმე № 90, ფ. 1-2.

„გრიგოლ, ამის მომტანს მიეცი 2 ან 3 ლირა.

20 თებერვალი
ძვირფასო გრიგოლ,

კაი გამარჯობა შენ და მთელ ჩვენს კოლეგიას. ეს არის [ვ]უახლოვდებით მარსელს: ამბობენ ხვალ მივალთ შუადღეზეო. მოგზაურობა არ გვქონდა ცუდი, აქა-იქ გვარიანი ღელვა იყო, მაგრამ ზღვა ყველამ გვარიანათ ავიტანეთ, ასე რომ ფიზიკა ჩვენი საკმაოთ რიგზეა, მაგრამ რაც შეეხება სულს, უნდა გითხრა, მაწუხებს მეტათ. ჯერ ერთი რომ ამ ხნის განმავლობაში სრულიად მოვწყდით ქვეყანას და რა ხდება არ ვიცით; ასეთ მდგომარეობაში უმისოთაც ჩვენი მძიმე საქმე კიდევ უფრო საგრძნობელი ხდება. ახლა ამას დაუმატე შემდეგი: ამბობენ, მარსელში შეიძლება კარანტინში გაგვატარონ და იქ დაგვაყოვნონ გემზე კი[დევ] 14 დღე. შემდეგ ადვილათ შეიძლება, რომ თვით მარსელში მოგვიხდეს რამდენიმე დღე მოცდა, რადგან აუარებელი მოგზაურობის გამო ბილეთებზე ჯერია შემოღებულიო. და თუ ეს ასე იქნა, წარმოიდგინე როდის მივაღწევთ პარიზში. ახლა იქ რა მდგომარეობა დაგვხვდება ვინ იცის და როდის გამოვარკვევთ თქვენი წამოსვლის საკითხს. როცა ამას [ვ]უკვირდები იმ დასკვნამდის მივდივარ, რომ ჩვენი დელეგაციის შემცირება სამერმისოთ აღარ უნდა გადაიდვას და ვინც კი სრულიად აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს თბილისში გაბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში ანდრო დეკანოზიშვილი, ილია ნაკაშიძე, აქვსენტი გვათუა, ვლასა მგელაძე და წვერავა უნდა გაბრუნდნენ და ამისთვის საჭირო არ არი ჩვენ[ს] პასუხს უცადოთ პარიზიდან. რაც შეეხება დანარჩენებს, მივიღებთ ყოველ ზომებს და პასუხსაც დაუყოვნებლივ მოგაწვდით, რამდენიც შესაძლებელი იქნება.

რაც შეეხება მათ დატოვებულ კრედიტს ლიონის ბანკში, იმედია ეცდებით, რომ ძაან არ გააჭიანურონ საქმე და დროზე გამოგზავნონ მიბარებული.

გიძღვნით სალამს და გისურვებთ კარგად ყოფნას.

კარლო ჩხეიძე

P.S. დიდად გთხოვ წერილები გაგვიგზავნო თბილისში. სხვათა შორის ისიც ძლიერ მაწუხებს, რომ ოჯახის არა ვიცი რა და ამბის გაგების საშუალებაც მოსპობილია. როცა აქეთ წამოხვალთ, იმედია ამბავს წამოგვიღებთ.

იგივე“

წერილი 2.

1919 წლის 16 აპრილი, პარიზი – კონსტანტინოპოლი
წყარო: საისტორიო არქივი, ნ. ჩხეიძის პირადი ფონდი № 2115, აღწერა 1, საქმე № 90, ფ. 3.

,,16 აპრილი, 1919 წ.

პარიზი

ძვირფასო გრიგოლ,

მივიღე შენი ერთი ტელეგრამა, ერთი წერილი ფრანგულათ და ერთი მოზრდილი წერილი ქართულათ. დღემდის საშუალება არ გვქონდა თქვენთვის რამე გვემცნო ცოტათ თუ ბევრად. ამის წამომღებს ვატანთ წერილს საქართველოს მთავრობასთან და როგორც ჩანს, შეუძლია თქვენც გადმოგქცეს ეს წერილი. არ ვიცი ასე იქნება თუ არა, მაგრამ მაინც ვატან შენთანაც ამ წერილს.

ჯერ თქვენ აქეთ წამოსვლის შესახებ.

მხოლოდ სწორეთ დღეს გამოირკვა, რომ ნება აქვთ მიცემული აქეთ წამოვიდნენ: ღამბაშიძე, გობეჩია და ნიკოლაძე. ადვილათ დაიჯერებ, რომ დღემდის ვერ გავიგეთ დანამდვილებით ეს ამბავი. ახლა იკითხავ, რატომ მოხვდა აქ ღამბაშიძე და შენ კი როგორც დელეგატი არ მოხვდი სიაში. საქმე ის არი, რომ სანამ ჩვენ მოვიდოდით გვარჯალაძისათვის ვიღაცას ეთქვა დელეგაციაში ღამბაშიძეც არისო. მასაც დელეგატი გონებოდა და ეთხოვა მთავრობისათვის. მას უკან სამჯერ წარვუდგინეთ ჩვენ სხვა სია, მაგრამ აქ ან თაღლითობენ ან დავთარი აქვთ დაბნეული და ვერსა გაიგებ მათსას კაცი. ახლა ჩვენ კიდევ მოვითხოვთ, რომ გამოგიშვან შენ, ოდიშელიძე, ჯავახიშვილი და ვოიტინსკები. ერთი სიტყვით, არ ვეშვებით არაფრით და ვნახოთ რა გამოვა.

საქართველოდან ჩვენ ხომ მოვწყდით: არავითარი ამბავი იქიდან აღარ გვესმის გარდა იმისა, რასაც იწერებოდი შენ ვრცელ წერილში.

დანამდვილებით არც არა თქვენი ვიცით: ვინ წავიდა, ვინ დარჩა, როდის და რა პირობით. არ ვიცით აგრეთვე რა ბედი ეწია ჩვენ ფულებს, რომელიც მანდ დავტოვეთ დასახურდავებლათ ლიონის კრედიტში. აქ რამდენჯერ ვიკითხეთ, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ. ახლა გთხოვ მიიღო ზომები, რომ გაიგო რა ქნეს და რა მდგომარეობაშია საკითხი. ჩვენ იმას ვფიქრობთ, რომ ეს ფულები, თუ მანდ დახურდავება აღარ შეიძლება. აქ გამოგზავნონ და შეიძლება მერმე ლონდონში კერძოთ დავახურდავოთ, რადგან სხვა გზით დახურდავება, როგორც ჩანს, არ შეიძლება. ერთი სიტყვით ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ სულ ტყუილათ არ ჩაგვიაროს ამდენმა ფულმა, თორემ დავიღუპებით.

ახლა ჩვენი საქმის შესახებ. თუმცა დაგვიანებით, მაგრამ ალბათ აქაურ და საერთოთ ევროპულ პრესას ღებულობ და აქედან დაინახავდი, რა ძნელია დღეს რამე ვსთქვათ ოდნავ არი გაჭრილი. ვისაც მივადექით ყველა გვეუბნება: თქვენი საკითხი მეტათ ნათელი და მარტივიაო. წარმოიდგინე სწორეთ ასევე გვითხრა პიშონმაც კი, როცა ვინახულეთ. ვერ ვინახულეთ ჯერ კლემანსო, მალითური (?) და ლოიდ ჯორჯი გვეხმარებიან კი. სხვები ვინახულეთ: პიშონი, კამბონი, კრამერერი (?), მალეტი (ინგლისის წარმომადგენლობა), ბარნსი (ინგლისის სამინისტროს წევრი), იტალიის წარმომადგენელნი: მარკიზი დელატარეტი (?), გენდერსინი (?), ვანდერველდი, ტობა, ბრანტინგი, დებანელი, ფრანკლინ ბაულინი, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, სხვადასხვა ერების დელეგაციების წარმომადგენელნი. ვნახეთ დიუნ ბუაზეაო (?), ველოზელო (?) და სხვა და სხვა. წარვადგინეთ მემორანდუმები, გამოვეცით მონოგრაფიები[1] სხვა-

[1] უცნობია თუ რა მონოგრაფიები დაარიგეს. ისინი ხომ სულ ცოტა ფრანგულად ან კიდევ სხვა ევროპულ ენებზედაც უნდა ყოფილიყო თარგმნილი. გამოსაკვლევია, მასში ხომ არ ივარაუდება ივანე

დასხვა საკითხების შესახებ და დავარიგეთ ფართოთ. პატარა ერების საკითხში ეტყობა ცვლილება ამ ბოლო დროს: მეტი აქტუალური ხასიათი ეძლევა ამ საკითხს. როდის დაისმება ჩვენი საკითხი, უფალმა უწყის. თუ შემთხვევა გექნა და მოახერხო შემატყობინე ჩვენი ქვეყნის ამბავი. კერძოთ ჩემი ოჯახობის ამბავის უქონლობაც მაწუხებს, მაგრამ რა გამოვა.

მარად შენი კარლო ჩხეიძე"

წერილი 3.

1919 წლის 23 აპრილი, პარიზი – კონსტანტინოპოლი
წყარო: საისტორიო არქივი, ნ. ჩხეიძის პირადი ფონდი № 2115,

აღწერა 1, საქმე № 90, ფ. 4.

23 აპრილი, 1919 წ. პარიზი.

ძვირფასო გრიგოლ,

მივიღე თქვენი წერილები იოსებ გობეჩიას ხელით. გმადლობთ დიდი, თქვენი ამ-ბის შეტყობინებისათვის. ჩვენგან ცნობები არ მოგდისთ. გთხოვთ იქონიოთ სახეში, რომ ეს დაბრკოლების მიზეზია და არა ჩვენი. ჩვენ იძულებული ვართ ვისარგებლოთ ხოლმე შემთხვევით. სხვა საშუალება კი არ არსებობს; ის ტელეგრამები, რომლებსაც ჩვენ ვგზავნით იშვიათად აღწევს დანიშნულებას. ახლა გიგზავნი მემორანდუმს და ზოგიერთ დოკუმენტებს. აქაური საქმეები საერთოდ და, რასაკვირველია, ჩვენიც იმ-დენად გართულებულია, რომ აბა მე რის თქმა შემიძლია. ყოველ შემთხვევაში ჩვენი საკითხი ჯერ შორს არი და როგორც ჩანს დაისმება რუსეთის საკითხის გარჩევასთან დამოკიდებულად. როდის იქნება ეს, როგორც მე, ისე სხვამ არაფერი იცის. ჩვენ აქ ვინახულეთ სოციალისტური წრეები, მთავრობის წარმომადგენელნი და კონფერენცი-ის მონაწილენი. სიტყვით ჩვენს საკითხს დღეს უყურებენ ისე, როგორც ეს პიშონმა მითხრა: თქვენი საკითხი უდავო, ნათელი და სიმპატიური საკითხიაო. ეს საერთო ფორმულაა ყველასთვის. წინათ ეს ასე არ იყო, განსაკუთრებით საფრანგეთის წრეებ-ში. ასე რომ წვრილი ერების საკითხს და ჩვენსასაც მათ შორის, უფრო და უფრო აკტუალური ხასიათი ეძლევა. ამიტომაც იყო რომ ჩვენი ნათქვამი სხვადასხვა წრეებში და გაზეთებში პირველათ გვარიან ტენდენციურათ იხატებოდა ხოლმე, თუმცა ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხი ჩვენ სავსებით ნათლათ დავსვით თავითგანვე. ვიმეორებ, აქ ამ საკითხში ერთგვარი ევოლუცია მოხდა და საზოგადოთ წვრილი ერების შესახებ. რა გამოვა აქეთგან ვინ იცის. თვენი წერილიდან ერთმა რამემ გამაკვირვა. თითქო ფულონს ეთქვას ჩემთვის, რომ აქეთ წამოსვლის ნებას მივიღებდით მხოლოთ მე და წერეთელი. გამოდის, რომ ეს მე თქვენ და სხვა დელეგატებს არ უთხარი.[1] ეს არი მტ-კნარი სიცრუე; ერთადერთი პასუხი, რომელსაც მე ვიღებდი, ასეთი იყო: <u>ველით პასუხს პარიზიდან</u>. გთხოვთ ეს სახეში იქონიოთ. თქვენ, როგორც ჩანს(?), მანდ რჩებით, მაგრამ ეს იმას, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ თუ ნებართვა იქნა, თქვენ არ წამოხვალთ; ნების რთვის შესახებ ვერას გაიგებ. ათასგვარად ხლართავენ პასუხს. ფულის შესახებ მინდა გითხრათ შემდეგი: საჭიროა ფული დახურდავდეს ფრანკებათ და გამოიგზავნოს

ჯავახიშვილის რაიმე ნაშრომი? ხომ არ წერს ამის შესახებ კერძო წერილში ი. გობეჩია? (იხ. აქვე) [რედ.].

[1] ასე, ამ ფორმით, წერია [რედ.].

აქ. თუ თქვენ შეგიძლიათ, რომ ნაწილი თვენთვის დაიტოვოთ, რასაკვირველია, ამას იზამთ, რადგან აბა მანდ უფულოთ ხომ ვერ იქნებით. როგორც იოსებმა მითხრა, თქვენ განძრახვა გაქვთ მეუღლე ჩამოიყვანოთ მანდ. რაკი ჩვენი აქ ყოფნა ძლიერ გრძელდება, მეც განძრახული მაქვს ასე მოვიქცე და თუ მანდ ჩამოვიდეს ჩემი ცოლი, იქნება დაეხმაროთ, რომ აქეთ წამოვიდეს. რასაკვირველია, ჯერ [ეს] შეუძლებელია, რადგან აქეთ მიმოსვლა ჯერაც მეტად გაძნელებულია. მოკითხვა სოსოს და ანდროს.[1] მოგიკითხეს ყველა ჩვენებმა.

გისურვებთ ყოველივე კარგს.

მარად თქვენი კარლო ჩხეიძე

P.S. გრიგოლ, თუ მართლა თქვენი მეუღლე აპირებს წამოსვლას, ძაან დაგიმადლებთ თუ მი[ს]წერთ მას, რომ გაეცნოს ჩემ ცოლს, რომ ერთათ წამოვიდნენ კონსტანტინეპოლამდე.

წერილი 4.

1919 წლის 14 მაისი, პარიზი – კონსტანტინოპოლი

წყარო: საისტორიო არქივი, ნ. ჩხეიძის პირადი ფონდი № 2115, აღწერა 1, საქმე № 90, ფ. 5.

,,14 მაისი

პარიზი

ძვირფასო გიგო,

კაი გამარჯობა თქვენი. რაც ამას წინეთ გამოგიგზავნეთ, იმედია მიიღებდი. ცოტა რამ მასალებს ახლაც გიგზავნი. დელეგაციის შესახებ საქმე ასეა: ნიკოლაძეს ნებართვა გაგზავნილი უნდა ქონდეს. თქვენზე, ჯავახიშვილზე, ოდიშელიძეზე რამდენიმეჯერ ვითხოვეთ გამოშვება. თქვენი და ნიკოლაძის აქ ყოფნა აუცილებელია და აგრეთვე ვოიტინსკების; ჯავახიშვილის და ოდიშელიძის მეტად საჭირო; რაც შეეხება დანარჩენებს, ყველას, – აქ საჭირონი არ არიან. გთხოვთ ეს მიიღოთ სახეში და ამისდაგვარად მოიქცეთ. ფულის შესახებ გთხოვთ: რაც თქვენთვის საჭიროა დატოვეთ, დანარჩენი აქ გამოგზავნოთ ჩემ[ს] სახელზე ლიონის კრედიტში. ჩემი ადრესი იცი: 37 Rue la Perouse, ჩემთვის. ადვილშესაძლებელია მანდ გამოიაროს ჩემმა და კოწია გვარჯალაძის ცოლმა. იმედია დაეხმარებით რომ აქეთ წამოვიდნენ.

მარად თქვენი კ. ჩხეიძე''

[1] სოსო და ანდრო – ვინაობა ვერ დავადგინეთ [რედ.].

წერილი 5.

1919 წლის 10 ივნისი. პარიზი – კონსტანტინოპოლი
წყარო: საისტორიო არქივი, ნ. ჩხეიძის პირადი ფონდი №2115, აღწერა 1, საქმე № 90, ფ. 6.

10 ივნისი, 1919 წ.

პარიზი

ძვირფასო გრიგოლ,

ვფიქრობ, ახლა უკვე გამოვლილი იქნება მანდ ბაბე და ღამბაშიძე. აქაურ ამბავს გეტყოდნენ. წერილი მოგწერე იმავე შინაარსის, როგორც მთავრობას მივწერე. ამ დღეებში თბილისიდან მივიღე მთავრობის ცნობები. მოგვიტანა ეს ცნობები იტალიის მისიამ, რომელშიაც სხვათა შორის, იმყოფება იტალიის კონსული ვალერი. საერთოთ, ამ ცნობებმა სრულიად მოულოდნელათ, თუმცა არაფერია, მაგრამ მაინც, ძლიერ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ინგლისელები ჩვენიდან მიდიან, იტალიელები მოდიან, დენიკინს აიარაღებენ, დენიკინი კი ჩვენსკენ აწვება. ინგლისელების დახმარებით მოხალისეებს დერბენდი აუღიათ და სხვადასხვა. ყველა მოსული ცნობები ჩვენ, რასაკვირველია, სათანადოთ უნდა გამოვიყენოთ და ვცდილობთ შესაფერისი ნაბიჯები წარვდგათ. იტალიელებთან უკვე გვქონდა ლაპარაკი; მოკლე ხანში კიდევ უნდა ვინახულოთ. ოთხშაბათს ვინახულებთ ჰაუსს. ფულის თაობაზე მე უკვე მოგწერეთ, რაც თქვენთვის განსაზღვრულია დროის განმავლობაში, აუცილებლათ საჭიროა დაიტოვოთ და სხვა მოსთხოვეთ, აქ გამოგზავნეთ ჩემ[ს] სახელზე. ვოიტინსკები წასულან და, ცხადია, აქეთ ვეღარ წამოვლენ. როგორც გაზეთებიდან ჩანს, ნიკოლაძე წამოსვლას აპირებდა აქეთ, მაგრამ ავად გამხდარა. თქვენ, ვფიქრობ, დიდი ხალისი არ გექნებათ აქეთ წამოსვლის, მაგრამ ჩემის აზრით კი, მეტად საჭიროა რომ აქ იყოთ. ასეთია ყველას აზრი. სოსო აქეთ, როგორც ჩანს, ვერ წამოვა. ვფიქრობ მანდ თქვენთვის იქნება საჭირო. ჩხენკელი აქეთ ვერ მოდის, ჯერ ბერნშია. მას აქვს მიცემული რწმუნება იქნეს განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი წარმომადგენლობით შეეიცარიაში და იტალიაში. სუმბათაშვილიც ბერნშია და აწყობს სავაჭრო საზოგადოების საქმეს.

ახლა ისევ ჩემი თხოვნა. შესაძლებელია, მაინც გამოემგზავროს აქეთ ჩემი ცოლი. მე ძლიერ კარგათ ვიცოდი, რომ ეს ადვილი მოსაწყობი საქმე არ არი, მაგრამ არ მეგონა თუ ამდენათ შეკრული ვიყავით. თბილისიდან გვწერდნენ, რომ ჩვენ არ გვაძლევენ კურიერის გამოგზავნის ნებას კონსტანტინოპოლამდე. თუ ასეთ პირობებში მაინც ჩამოვიდა ჩემი ცოლი, მე ვგონებ ერთადერთი გზა დარჩენია, რომ მიმართოს იტალიის მისიას კონსტანტინოპოლში, რომ რომში გამოუშვან. ჩვენ აქ ვსთხოვთ იტალიის წარმომადგენლებს და ვეტყვით, რომ თუ მიიღოს ასეთი თხოვნა იტალიის მთავრობის წარმომადგენელმა კონსტანტინოპოლში, ნუ დააბრკოლებენ, რომ რომში გამოუშვან. შეიძლება არც ეს მოხერხდეს, მაგრამ გთხოვ, ეს შემთხვევაც იქონიოთ სახეში. სახელობით(?) კიდევ გთხოვ, რომ თუ მანდ მართლა ჩამოვიდეს ჩემი ცოლი და კოწია გვარჯალაძის ცოლიც, ღვთის ანაბარა[დ] ნუ დატოვებ. ამასვე ვსთხოვ სოსოს.

მარად თქვენი კარლო ჩხეიძე.

წერილი 6.

1919 წლის 30 ივნის. პარიზი – კონსტანტინოპოლი
წყარო: საისტორიო არქივი, ნ. ჩხეიძის პირადი ფონდი № 2115, აღწერა 1, საქმე № 90, ფ. 7.

30 ივნისი, 1919 წ.

პარიზი

მივიღეთ თქვენი წერილი. როცა შემთხვევა გვაქვს გიგზავნით ჩვენ[ს] დოკუმენტებს და მასალებს. იმედია მიიღებდი. ახლაც გიგზავნით დოკუმენტებს, რომლებიდანაც დაინახავთ, თუ [რა] ნაბიჯები წავსდგით[1] ამ ბოლო ხანებში. თითქმის სრული მოწყვეტილობა მთავრობისაგან საერთოთ მეტად უხერხულ მსგომარეობაში [გვაგდებს]. მაგრამ ამას არაფერი ეშველება, როგორც გვაქვს. ფულს, როგორც იწერები, ბაბეს გამოატანთ. ჩვენი დელეგაციეს აქეთ წამოსვლის შესახებ ჩვენ ყოველი ღონე ვიღონეთ დღემდის, მაგრამ ჯერ ამას სასურველი ნაყოფი არ მოყვა. რას გვერჩიან არ ვიცით. ნება დამრთეთ აქედან წავიდეო, იწერებით. კი მაგრამ საიდან ვიცით, რომ ერთ მშვენიერ დღეს თქვენ საშუალება არ მოგეცემათ აქეთ წამოსვლის. მეორე – თქვენ რომ წახვიდეთ, ვის ტოვებთ მანდ? ასე რომ ჯერ გთხოვთ კიდევ მოიფიქროთ ამ საქმეზე და ისე გადაჭრათ საკითხი. ახლა ჩემი კერძო სათხოვარი: თუ ვინიცობაა ჩემი და კოწია გვარჯალაძის ცოლ[ებ]I წამოვიდნენ თბილისიდან და მანდ ჩამოვიდნენ, გთხოვთ, უყურადღებოთ არ დატოვოთ მანდ ყოფნის დროს. თუ აქეთ არ გამოუშვან, შეიძლება იტალიაში მაინც მისცენ წასვლის ნება.

თქვენი კარლო ჩხეიძე.

[1] ასე, ამ ფორმით, წერია [რედ.].

3. საქართველოს დელეგაციის წევრის გრიგოლ რცხილაძის წერილები საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს

წერილი 1.

1919 წელი,[1] ქ. კონსტანტინეპოლი

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე № 148. ფ. 20.

ტფილისი
გარეშე საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს.

ვამოწმებ თქვენი დეპეშის მიღებას. უკვე გაცნობებთ, რომ ჩხეიძე და წერეთელი 13 თებერვალს გაემგზავრნენ პარიზს. დანარჩენნი ველით მათგან ცნობებს წასვლის შესახებ. ღამბაშიძეს ვაცნობეთ ლონდონში ჩვენი მდგომარეობა. პასუხი არ მიგვიღია. დოქტორი ბარტონი ვინახულეთ. თქვენ უნდა იქონიოთ დამოკიდებულება დოქტორ შენთან, რომელიც ტფილისში იმყოფება. გამოგვიგზავნეთ სრული ინფორმაცია საქმეების შესახებ.

რცხილაძე

წერილი 2.[2]

1919 წელი, 25 თებერვალი ქ. კონსტანტინეპოლი
წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე № 148. ფ. 41-42.

როგორც უკვე გაცნობეთ, 13 თებერვალს წავიდნენ პარიზისკენ კ. ჩხეიძე და ი. წერეთელი, ბაბე და ელ. წერეთელი – დე-მულინ. სტამბოლიდან პარიზში ჩვენ, არამედ ყველა სხვა აქ მყოფი დელეგაციები, გარდა სომხეთის დელეგაციისა, აქ, სტამბოლში, სხედან და ელიან პარიზში წასვლის ნებართვას დელეგაციები დონისა, ყუბანისა, ჩრდილოეთ-კავკასიელებისა, ადერბეიჯანისა და ჩვენი. დონელები ჩვენზე ადრე არიან მოსულნი, ყუბანელები ჩვენზე გვიან, დანარჩენები ჩვენთან ერთად ან ცოტა გვიან. დონელებისაგან პარიზისკენ გაუშვეს მხოლოდ თავმჯდომარე. ყუბანელები ამბობენ წასვლის ნებართვა გვაქვს, მაგრამ გემს გვალოდინებენო, ჩვენი დელეგაციიდან მხოლოდ ოთხმა ზემო ნაჩვენებმა პირმა მიიღო წასვლის ნება და კიდეც წავიდა. როგორც ეტყობა, მოკავშირეები თითოეულ პიროვნების შესახებ ცალკე იძიებენ და იკვლევენ, შეიძლება თუ არა მისი შეშვება საფრანგეთში. ანტანტის აქაური წარმომადგენლები ამბობენ, საკითხის გადაწყვეტა ჩვენზე დამოკიდებული არ არის, საკითხს პარიზში სწყვეტენო. იმ ლაპარაკიდან, რომელიც ჰქონდა ჩხეიძეს და ზოგიერთ სხვა ჩვენს წევრებს მოკავშირეების წარმომადგებლებთან, ჩვენ ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ ქართველ დელეგაციების შესახებ ორ გარემოებას აძლევენ განსაკუთრებითს ყურადღებას. ბოლ-

[1] ზუსტი თარიღი არ არის მითითებული [რედ.].

[2] გ. რცხილაძის გვარი მითითებული არ არის, მაგრამ წერილის შინაარსიდან გამოდის რომ წერილის ავტორი გ. რცხილაძეა. იგი ხომ კონსტანტინეპოლში დარჩენილი დელეგაციის წევრების ხელმძღვანელად იყო დატოვებული [რედ.].

შევიკურ აზროვნების და მიმართულების ხომ არ არის და გერმანიასთან ხომ არ ჰქონ-და კავშირიო. საქართველოს საკითხი, ჩვენის შთაბეჭდილებით, საფრანგეთში თითქმის სრულიად უცნობია, თუ იციან რამე ჩვენი საქმისა, მხოლოდ რუსეთის იმ მოღვაწეთა სიტყვებიდან, რომელნიც მთლიან რუსეთის აღდგენას ფიქრობენ ძველ საზღვრებში, ე.ი. რუსის კადეტებისაგან და პატრიოტ-სოციალისტებისაგან უნდა ვიფიქროთ, რომ სომ-ხის მოღვაწეებიც თავისებურად აცნობენ პარიზში პოლიტიკურ წრეებს საქართველოს ხალხს. უნდა ვიფიქროთ ეს, იმიტომ რომ აქ, სტამბოლში, ისინი მეტად ყალბ ცნობებს აქვეყნებენ თავის გაზეთების ფურცლებზე. ჩვენი ჩამოსვლის მეორე დღეს სომხების ერთ ქალაქში არა სასურველი ქართული დელეგაცია ჩამოვიდაო, დასწერეს ვითომც ჩხეიძე იყოს თავმჯდომარე და სხვა ამისთანები. სომხური პრესსა ისე, როგორც სომხური ფრანგული პრესსა ჩვენს და სომხეთის კონფლიქტის შესახებ პირდაპირ დაუჯერებელ ცნობებს იძლეოდა, ვითომც საქართველოს მთავრობა ყოფილიყოს წინააღმდეგი კონ-ფერენციისა და მშვიდობიანად სადაო საკითხების გადაწყვეტისა, ვითომც ომის დამ-წყობი ყოფილიყოს საქართველო, ვითომც ომში გამარჯვებული სომხეთი ყოფილიყოს, ქართველებს თბილისი დაეცალოთ, მიხაილოვოში[1] გაქცეულიყვნენ და სხვ. ბევრს წერენ აგრეთვე იმაზე, ვითომც ქართველებმა შეუშალეს ხელი სომხებს ოსმალეთის წინააღმ-დეგ ბრძოლაში, ვითომც ქართველების ბრალი იყოს ერზერუმის, ყარსის და სხვა ადგილების დაცლა. ჩვენ შევეცადეთ ეს ყალბი ცნობები გაგვეფანტა და რამდენადაც შესაძლებელია აქაურ პირობებში. ვცდილობთ ჩვენი ქვეყნის სინამდვილე გავაცნოთ, ვინც დაინტერესებულია ამ საკითხებით.

როგორ მოხდა, რომ მარტო ჩხეიძეს და წერეთელს მისცეს გზა პარიზისკენ. გა-დაჭრით ამის პასუხი ჩვენ დღესაც არა გვაქვს, მაგრამ არის საბუთები ვიფიქროთ, რომ ჩხეიძეს და წერეთელს პარიზში იცნობენ, როგორც ბოლშევიკების წინააღმდეგ მომქმედ <u>რუსეთის</u> მოღვაწეებს და სწორეთ როგორც რუსეთის მოღვაწეები, ისე გაიწ-ვიეს პარიზში და არა როგორც საქართველოს წარმომადგენლები. საფრანგეთის მთელი პოლიტიკა რუსეთის საქმეებში მიმართულია იმის აღდგენისაკენ ძველ საზღვრებში და ამიტომ უჭერენ მხარს და აძლიერებენ დენიკინის არმიას. ეს მიმართულება საფრანგე-თის პოლიტიკის განსაკუთრებით ცხადი შეიქმნა ჩვენთვის ყუბანელ და დონელ დელე-გაციებთან ლაპარაკის შემდეგ. მოკავშირეების მოთხოვნით ყუბანელები და დონელები იძულებულ იყვნენ ეცნოთ დენიკინი თავისი ჯარების მთავარსარდლად და დაემორჩი-ლებინათ თავისი ჯარი მისთვის; უამისოთ დონის და ყუბანის ჯარი ვერაფერის გზით საომარ მასალას და იარაღს ვერ შოულობდა. დენიკინი კი უეჭველად ერთიანი და განუყოფელი რუსეთის რესტავრაციის მომხრეა ისე, როგორც პარიზში მოგროვილი რუსის კადეტები და სხვა პატრიოტები. მარტო საფრანგეთს ეკუთვნის ეს ხაზი მოქ-მედებისა რუსეთის საქმეებში, თუ აგრეთვე მის მოკავშირეებსაც – ძნელი გამოსაც-ნობია. კერძო ცნობებით, რომლებმაც შემთხვევით მოაღწია თავი ჩვენამდე, როგორც საფრანგეთს, აგრეთვე მის მოკავშირებს აზრათა აქვს ყველგან შეასუსტონ სეპარატის-ტული მიმდინარეობანი და შეავიწროვონ დამოუკიდებლივ მომქმედი ადგილობრივი მთავრობანი. ამ აზრით მათ ისე შეასუსტეს უკრაინაში პეტლიურას[2] მთავრობა, რომ უკრაინა ვეღარ გაუმაგრდა ბოლშევიკებს. ამბობენ ასევე მოიქცევიან სხვა ადგილებში, ჩვენი ქვეყნის გამოუკლებლივო. რამდენად მართალია ეს დახასიათება – ვიმეორებ, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მოკავშირეების წარმომადგენლები ადგილობრივ ყოველ წვრილმანის შესახებ მოქმედებენ თანახმად თავის ცენტრალურ

---

[1] სავარაუდოდ, აქ იგულისხმება ქალაქი ხაშური, რომელსაც 1872-1917 წლებში ერქვა მიხაილოვო. მარ-თალია, 1919 წელს იგი უკვე ხაშურად იყო გადაკეთებული, თუმცა როგორც ჩანს, იგი მაინც ძველი სახელითაც იხსენიებოდა არაოფიციალურად [რედ.].

[2] იგულისხმება სიმონ პეტლიურა (1879-1926) – უკრაინის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს – დირექტორიუმის ხელმძღვანელი 1919-1920 წლებში [რედ.].

მთავრობის ინსტრუქციების და არა საკუთარი ინიციატივით. ჩემის აზრით ის ტანჯვა კი, რომელიც ატყვიათ მოკავშირეების მანდაურ წარმომადგენლებს, ნაკარნახევია ცენტრებიდან. პრინკიპოში[1] განზრახულ კონფერენციის საგანიც ერთიანი რუსეთის აღდგენა უნდა იყოს. უკრაინის, დონის, ყუბანის და სხვა ერთეულების წინაშე ორი მოწინააღმდეგე სჩანს: ბოლშევიკები, რომელნიც გაცილებით უფრო ძლიერი არიან, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ, და დენიკინის არმია, რომელსაც ზურგს უმაგრებს ანტანტა. ეს ერთეულები ბოლშევიკების საფრთხის გამო უხალოვდებიან დენიკინს, მაგრამ რეაქციონური რესტავრაციის შიშით ეწინააღმდეგებიან იმავე დენიკინს. ამ გარემობით სარგებლობს ბოლშევიზმი, რომელიც სამხრეთისაკენ მოიწევს.

ჩხეიძეს და წერეთელს მეტად რთულს და ძნელს პირობებში მოუხდებათ პარიზში მოქმედება. ალბათ არც წამოსვლის დროს გვქონდა გათვალისწინებული და, შეიძლება, არც ეხლა ვიცოდეთ. მათი მდგომარეობა მით უფრო ძნელია, რომ ცოტანი არიან. შეუძლებელია სხვა ქვეყნებშიაც შეიქმნეს წასვლა საჭირო, მაგრამ ჰყავთ კი საკმაო ხალხი გასაგზავნად? ჩვენ სტამბოლში ვართ მომწყვდეული და ალბად არსად გაგვიშვებენ. მდგომარეობას ართულებს და აძნელებს საქართველოდან ინფორმაციის უქონლობა. ჩვენმა მთავრობამ აუცილებლად უნდა მოაწყოს კვირაში ერთხელ მაინ[ც] ამ ცნობების გამოგზავნა. უამისო[დ] ჩვენი დელეგაცია ხელ-ფეხ შეკრულად გრძნობს თავს.

ჩხეიძე და წერეთელი პარიზში ეცდებიან, რომ ჩვენ ყველას მოგვცენ გზა პარიზისკენ. თუ ეს მოხერხდა, აქ დავტოვებთ ერთს ან ორის პირს და დანარჩენები წავალთ. თუ არ მოხერხდა, ვინც სტამბოლში ვართ ყველანი დაბრუნდებიან უკან, თბილისში ჩემის და კიდევ ერთი ან ორი პირის გარდა. სტამბოლის დატოვება ისე, რომ აქ კაცი არ გვყავდეს, არ შეიძლება. ასე გადავწყვიტეთ ჩხეიძის და წერეთლის წასვლის წინ, თანახმად მათის სურვილისა. ვიდრე ჩვენი წასვლის ან დაბრუნების საკითხი გამოირკვეოდეს, ჩვენ გვინდა რამდენიმე კაცი ეხლავე გამოვგზავნოთ. ამის შესახებ უკვე შუამდგომლობა აღვძარით. ყველაფერს, რაც ამ წერილით ვერ გაცნობეთ, შეიტყობთ ამ კურიერებისაგან. ეს წერილი შემთხვევითი, სანდო მგზავრის ხელით იგზავნება, მაგრამ მოგიწვევთ თუ არა, ნამდვილად არ ვიცი.

წერილი 3.[2]

შავი პირი. დაუსრულებელი.
წყარო: საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ან. 2. საქმე № 148, ფ. 48-62.[3]

კონ[სტანტინე]პოლი, 12 მარტი, 1919 წ.

28 იანვარს ნ. ჩხეიძემ გამოგიგზავნათ წერილი ქუთათურ ებრაელების ხელით, რომელნიც საქართველოში მიემგზავრებოდნენ.

რადგანაც ვერა ვარ დარწმუნებული, რომ წერილმა თქვენამდის მოაღწია, გაახლებთ მის პირს. (დამატება № 1)

---

[1] პრინკიპო, ამჟამად ბიუკადა – პრინცის არქიპელაგის ყველაზე დიდი კუნძული მარმარილოს ზღვაში. 1919 წ. აქ ჩატარდა კონფერენცია [რედ.].

[2] წრილიდან არ ჩანს ადრესატი, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ წერილი ეგზავნება საგარეო საქმეთა სამინისტროს.

[3] შავი პირი. დაწერილია მოლურჯო მელნით. თარიღი იისფერი მელნითაა სხვა პირის მიერ მიწერილი [რედ.].

როგორც ჩვენ მიერ გამოგზავნილ ორს რადიოდგან[1] 14 თებერვალსა და 5 მარტს) გაიგებდით, ჩხეიძე და წერეთელი გაემგზავრნენ პარიზს ტულონით (გემ Vinhn lang'-ით) 13 წარსულ თებერვალს.

28 იანვრიდგან 13 თებერვლამდე ყველა აქ მყოფნი დიდ განცდაში ვიმყოფებოდით. 20 იანვარს ჩამოსულებმა თითქმის სამის კვირის განმავლობაში ვერაფერი ვერ გავიგეთ ჩვენის გამგზავრების შესახებ. ჩამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ ბაბე მივიდა საფრანგეთის „მაღალ კომისარიატის" საპოლიტიკო ნაწილის გამგე პოლკოვნიკ ფულონთან, გაეცნო მას და მიიღო მისგან ნება დროგამოშვებით მისულიყო მასთან ამბის გასაგებად. სხვა და სხვა დროს და ნელ-ნელა ბაბე სცდილობდა გაექარწყლებინა ის უნდობლობა, რომლითაც ფულონი უცქეროდა ქართველებს, რადგან, როგორც ეტყობოდა, ბევრი რამ იყო დამოკიდებული ამ კაცისაგან. ცოტა ხანს უკან გამოირკვა, რომ ბაბეს, როგორც საფრანგეთის ქვეშევრდომს, აძლევენ პარიზის გამგზავრების ნებას, დელეგაციის გამგზავრების შესახებ კი არა ისმოდა რა. დელეგაციის წევრთა სულიერი განწყობილება მეტად მძიმე ხდებოდა და არა ერთი გამოთქვამდა იმ აზრს, რომ საჭიროა რამე პროტესტის გამოცხადება. სწორედ ამ დროს მოუვიდა ბაბეს ფულონის წერილი, რომლითაც ის იტყობინებოდა, ჩხეიძისა და წერეთლის პარიზში გამგზავრების ნებართვა მოვიდაო. ამ ცნობამ მრავალნაირი აზრი დაბადა დელეგაციის წევრთა შორის. ზოგის აზრით ჩხეიძე და წერეთელი გაიწვიეს პარიზში არა როგორც საქართველოს დელეგატები, არამედ როგორც რუსეთის რევოლუციის ყოფილი მოღვაწენი, ზოგს კი იმედი ჰქონდა, რომ მალე დანარჩენნიც მიიღებდნენ ასეთს ნებართვას და რომ ჩხეიძე და წერეთელი სწორედ ქართულ საქმეების გამო არიან გაწვეულნი. მას შემდეგ გავიდა (სამი კვირა, თითქმის ერთი თვე) და დანარჩენნი ჯერ კიდევ აქა ვართ.

ჩხეიძესა და წერეთელთან ერთად გაემგზავრნენ ბაბე და ელენე წერეთლისა, რომელთაც ნებართვა მიიღეს არა როგორც დელეგაციის წევრებმა, არამედ როგორც საფრანგეთის უბრალო ქვეშევრდომებმა.

ჩხეიძისა და წერეთლის წასვლის წინ გაიმართა ორი კრება, 11-ს და 12-ს თებერვალს, რომლებზედაც გათვალისწინებული იყო ახლადშექმნილ მდგომარეობით გამოწვეული საკითხები და ამ საკითხების შესახებ მიღებული იყო სხვადასხვა გადაწყვეტილება. როგორც გადაწყდა ან რას შეეხებოდა ეს საკითხები, დაინახავთ ამ სხდომების ოქმების პირებიდან, რომელთაც ამასთანავე გაახლებთ (დამატება №№ 2 და 3).

აქ აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამ სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა თანახმად:

1) მე დავრჩი აქ თავმჯდომარის მოადგილეთ;

2) დელეგაციის აქ დარჩენილ ნაწილს აეკრძალა ყოველივე პოლიტიკური გამოსვლა და

3) დელეგაციის მთელი თანხა განაწილდა მომავალ და დარჩენილთ შორის იმ სახით, რომ უდიდესი ნაწილი ფულისა (2.400.000 მან.) გადატანილ იქმნა ჩხეიძის სახელზე. (ჩხეიძემ და წერეთელმა თან წაიღეს 10 000-იანი ინგლისური გირვანქა, 30 700 ფრანგული ფრანკი და 650.000 ფრანკის Credit lionais'ს ჩეკი; დანარჩენი რუსული ფული ჩაბარდა ამავე ბანკს დასახურდავებლად და ჩხეიძისათვის გადასაგზავნად.

ჩხეიძისა და წერეთლის გამგზავრების შემდეგ დელეგაციის აქ დარჩენილი ნაწილი განაგრძობდა დაწყებულ მუშაობას, – მოათავსა რამდენიმე წერილი გაზეთ „Le Jourual d'Orient'-ში",[2] ასრულებს მემორანდუმის შედგენას.

---

[1] ასე წერია [რედ].

[2] დაუწერია „დასრულდა მონოგრაფია საქართველოს საზღვრების შესახებ და ამზადებს მემორანდუმს", რომელიც შემდეგ გადაუხაზავს. რადგანაც აქვე სქოლიოშია ამ მონოგრაფიაზე მითითება, რომელიც ჩხეიძისა და წერეთლის გამგზავრებამდე თან წაუღიათ. ამიტომ, წერილის ავტორი მათი გამგზავრების მერმინდელ მუშაობას ასახავს. აი, ეს სქოლიოც: „ჩხეიძემ და წერეთელმა წაიღეს მონოგრაფია სამზღვრების შესახებ და სამემორანდუმო მასალა. ხოლო თვით მემორანდუმის წერას განვაგრძობთ აქ იმ შემთხვევისათვის, თუ შესაძლებელი გახდა ან ჩვენი წასვლა ან როგორმე მისი მიწოდება" [რედ.].

17 თებერვალს დელეგაციამ დაადგინა დელეგაციის აქ დარჩენილი ნაწილის მდგომარეობის გამოსარკვევად საფრანგეთის წარმომადგენელთან მოლაპარაკება. მოლაპარაკება დაევალა ი. გობეჩიას, რომელმაც მეორე დღესვე ინახულა ფულონი. ამ უკანასკნელმა საუბრის დროს ის აზრი გამოსთქვა, რომ არავითარი იმედი არ არის, დელეგაციის დარჩენილი ნაწილი პარიზში გაემგზავროს და ამიტომ უკეთესია ეხლავე დაბრუნდეს შინაო; გობეჩიას კი უთხრა, თქვენი გაშვება შეიძლება მოხერხდეს, რადგან საფრანგეთში მიგიღიათ განათლება, ომის დროს იქ გიმუშავნიათ და ნაცნობებიც გყოლიათო. ამის გამო დელეგაციის ნებართვით გობეჩიამ აღძრა კერძოდ თავის წასვლის შესახებ შუამდგომლობა, მაგრამ პასუხი არ მიუღია ჯერ.

18-სავე თებერვალს დელეგაციამ თანახმად 12 თებ. სხდომაზე მიღებულ დადგენილებისა საჭიროდ სცნო ვ. მგელაძის, ივ. წვერავასი და გვათუას საქართველოში დაბრუნება და ამათთან ერთად გაგზავნა ვ. ნაზარაშვილისა, როგორც კურიერისა. მხოლოდ ნაზარაშვილი სულ მოკლე ხანში უნდა დაბრუნდეს უკანვე და თან მოიტანოს დაწვრილებითი ცნობანი საქართველოს შესახებ. ამ შინაარსის შუამდგომლობა მეორე დღესვე იყო აღძრული ინგლისის მთავარ კომისარის წინაშე და ამ ნებართვის მოლოდინში გწერთ ამ მოხსენებას. დაგვპირდნენ მათს რამდენსამე დღეში გასტუმრებას.

23 თებერვალს დონისა და ყუბანის წარმომადგენლებმა გვთხოვეს ყველა აქ მყოფ დელეგაციების საერთო სადილს დავსწრებოდით ერთმანეთის გასაცნობათ. სადილს დაესწრნენ დონის, ყუბანის, უკრაინის, ადერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის წარმომადგენელნი და რამდენიმე ჩვენთაგანი. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ნ. ნიკოლაძემ, რომელიც სოლიდარობისაკენ მოუწოდებდა ყველას. ეს მოწოდება ხელში დაიხვიეს, თანდათან გააღრმავეს და ბოლოს გაისმა სიტყვები შეერთებულ სამხედრო და პოლიტიკურ ფრონტების შესახებ. საზოგადოდ და კერძოდ პარიზში გამგზავრების გასაადვილებლად საერთო ნოტით გამოსვლის შესახებ. ბოლოს მიღებულ იყო აზრი, რომ დელეგაციის თავმჯდომარენი შეიყრებიან მოსალაპარაკებლათ. ამის გამო ჩვენმა დელეგაციამ იქონია წინასწარი თათბირი და იმ აზრს დაადგა, რომ ყოვლად შეუძლებელია ჩვენი სხვებთან ერთად გამოსვლა ჯერ პოლიტიკურის მოსაზრებით და შემდეგ ფორმალურადაც – რადგან ჩვენი ორი დელეგატი პარიზში იმყოფება და მათგან დამოუკიდებლად ასეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯის გადადგმამ შეიძლება ხელი შეუშალოს მათს მუშაობას. მე დავესწარი დელეგაციათა თავმჯდომარეების სხდომას. სხდომის გახსნისთანავე ბიჩმა (ყუბანის წარმომადგენელი) და ჩერმევმა (ჩრდილო კავკასია) ჩამოთვალეს მემორანდუმში მოსახსენებელი საგნები. მათის აზრით მემორანდუმში გამოთქმული უნდა ყოფილიყო შემდეგი:

1) ანტანტის სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ და გააძლიერონ თითოეული ახალი სახელმწიფო, რომელიც ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენდა.

2) ყველა ამ ახალ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს უნდა გაუადვილონ პარიზში გამგზავრება სწორ ინფორმაციის მისატანათ, რადგან ისინი, ვინც ეხლა იძლევიან პარიზში ინფორმაციას უპასუხისმგებლონი არიან და თანაც საკუთარ პოლიტიკას აწარმოებენ. და

3) აუცილებლობა ყველა ამ სახელმწიფოთა სამხედრო ძალების დაახლოება დაკავშირებისა ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო ფრონტის შესაქმნელად და საბრძოლველად.

ამასთან ბიჩმა წაიკითხა ამის მსგავსი მემორანდუმი, რომელიც უკრაინის, დონის, ყუბანის და თეთრ რუსეთის წარმომადგენელთ წარუდგენიათ ოდესაში Súleúté-ის წარმომადგენელთათვის. (დამატ. 4).

გარდა ამისა ბიჩმა განაცხადა, რომ მისი აზრით საჭიროა აქ მაღალმა წარმომადგენლებმა შეადგინონ დიპლომატიურ კორპუსის მსგავსი რამ კოლეგია და აირჩიონ თავიანთ შორის ერთი ვინმე უხუცესი, რომელიც ოფიციალურათ გამოვა ხოლმე ყველას სახელით. თანახმად ჩვენი დელეგაციის დადგენილებისა მე უარი განვაცხადე

მათთან საერთო გამოსვლაზე. ოთხი დღის შემდეგ ყუბანის თავმჯდომარემ ბიჩმა და ადერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარემ თოფჩიბაშევმა გადმომცეს პროექტი ახალის მემორანდუმისა, რომელიც უჩვენოდ შეედგინათ და მითხრეს, რომ ეს მემორანდუმი შეეხება მხოლოდ ერთ საკითხს, სახელდობრ ჩვენს აქედან გამგზავრებას და თუ შესაძლოთ დაინახოთ თქვენც ხელი მოაწერეთო. (დამატება 5). 28 თებერვლას ჩვენმა დელეგაციამ განიხილა ეს პროექტიც და იმ მოსაზრებით, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, უარჰყო ეს წინადადებაც.

23 თებერვალს დელეგაციის სხდომაზე პროფესორმა ჯავახიშვილმა და ვ. ღამბაშიძემ აღძრეს საკითხი მათის საქართველოში დაბრუნების შესახებ. თავიანთ სურვილს ისინი ასაბუთებდნენ ცალკე იმ უიმედობით, რომელშიც მათი აზრით ჩავარდნილია დელეგაცია და ცალკე აქაურ კომისარების მოპყრობით. ჩემის თხოვნით მათ მოხსნეს თავიანთი განცხადება. რამდენიმე დღის შემდეგ პრ. ჯავახიშვილმა განაახლა თავისი განთავისუფლების თხოვნა და ამ შემთხვევაში ახალი საბუთები მოიყვანა: ბ-ნი ჯავახიშვილმა ბრძანა რომ:

1) საქართველოს საკითხის გადაწყვეტაში, სახელდობრ მის დამოუკიდებლობის საცნობად ისტორიულ მოსაზრებას ისეთი დიდი მნიშვნელობა არ ექნება, ხოლო დამოუკიდებელ საქართველოს სამზღვრების გამორკვევა ადგილობრივ მოხდება;

2) მაინცადამაინც მას დასრულებული აქვს ისტორიული საზღვრების გამოკვლევა და ეს გამოკვლევა ხელთ აქვთ ჩხეიძესა და წერეთელს. და

3) მემორანდუმის ისტორიულ ნაწილს ის კიდეც ათავებს.

ამრიგად, მისი აქ ყოფნა სრულიად არ არის საჭირო და თუ მომავალში მისი პარიზში ყოფნა საჭიროდ დაინახეს, ალბათ მაშინ გზაც გაიხსნება და მაშინ წამოვა.

ჯავახიშვილთან ერთად დაბრუნების სურვილი განმეორებით განაცხადა აგრეთვე ვ. ღამბაშიძემ, რომელმაც თავისი განცხადება დაასაბუთა იმით, რომ არც მისი დარჩენაა საჭირო, რადგან, როგორც ატყობს ის უფრო საჭირო იქნება თავის ქვეყანაში იქ გავრცელებულ გადამდებ სენთან საბრძოლველად, ვიდრე პარიზში. მე ვერ ვსცანი მოხერხებულად ამ განცხადებისათვის ხმა ჩამომეყარნა[1] კრებაზე, რადგან ეს იქნებოდა დელეგაციის ნაწილ-ნაწილ დაშლა და ამის ნება ჩემის აზრით ჩვენ არა გვქონდა. ამიტომ განვაცხადე: რომ დელეგაციას არა აქვს უფლება ნება დართოს მათ დაბრუნების, მაგრამ არც საშუალება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს მათ დაჟინებით განმეორებულ სურვილსა და გადაწყვეტილებას. ამ სხდომაზე და აგრეთვე არაერთხელ წინადაც ასეთი სურვილი საქართველოში დაბრუნებისა გამოუცხადებია ბ. ნიკოლაძეს.

ამიტომ ამავე კრებაზე ბ. ნიკოლაძეს ნება დართეს სეპარატიულად დაიწყოს მოქმედება ნებართვის მისაღებად და სხვათა შორის ერთ-ერთ საბუთად გამოიყენოს ის ეკონომიური და ფინანსური დავალებანი, რომელიც მას აქვს. ეს შუამდგომლობა მან უკვე დააყენა, მაგრამ პასუხი ჯერ არც მას მოსვლია.

ამ თვის ორს ჩემთან იყო ნიუიორკ ჰერალდის კორესპოდენტი ძლასი(?), რომელიც დაინტერესებული იყო საქართველოთი და დაწვრილებით გამომკითხა მისი ამბავი. დასასრულ მირჩია მენახა აქ მყოფი თავმჯდომარე ახლო აღმოსავლეთ ქვეყნების დამხმარე ამერიკის კომისიისა დ-რი ბარტონი. ჩვენ ის ვინახულეთ 4 ამ თვეს. საუბრისას მან გამოგვიცხადა რომ ტფილისში გამგზავრებულია მათი კომისიის წარმომადგენელი ბ-ნი მენი, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს ყოველგვარი გადაწყვეტილება და მოგირიგდეთ სანოვაგისა და მედიკამენტების შემოტანის შესახებ. მენის წამოსვლა ჩვენ რადიოთი გაცნობეთ და იმედია ნახავდით და ისარგებლებდით მისი მანდ ყოფნით. ამ მოკლე ხანში მანდეთ მოდიან ამავე დამხმარე კომისიის სხვა წევრებიც. (ამ კომისიის ნამდვილი სახელი არის „American Commission for Relief in the Near East“ ახლო აღმოსავლეთისათ-

[1] ასე წერია [რედ.].

ვის ამერიკული დამხმარე კომისია.[1] ამათ დიდძალი წამლები, სანოვაგე და ტანისამოსი მოაქვთ ახლო აღმოსავლეთისათვის.

5 ამ თვეს მესტუმრა ამერიკელი პოლკოვნიკი მოორი. ეს არის წევრი ამერიკის წარმომადგენლობისა პარიზის საერთაშორისო კონფერენციაზე. იგი დიდხანს მესაუბრა და მის საუბრის შინაარსს ამასთანავე გაახლებთ. აქ კი საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ განგიმარტოთ: ვილსონს განუზრახავს ზოგიერთი უცნობი საკონფერენციო საკითხების ძირითადი გამოკვლევა და შესწავლა. ამ აზრით მისის ჩაგონებით ამერიკელ კომისიას მოუნდომებია რუსეთის საკითხის ადგილობრივ შესწავლა. ამისათვის განზრახული ყოფილა სამხრეთ რუსეთისაკენ ერთი დიდი კომისიის გაგზავნა. ეს კომისია ჩამოსულა აქ და როდესაც აქ ინახულა სხვადასხვა მხარეების წარმომადგენელნი, გამოიცვალა აზრი და საჭიროდ დაინახა კომისიის სამ ნაწილად გაყოფა. ერთი ნაწილი ამ კომისიისა უნდა წავიდეს ოდესაში სამხრეთ რუსეთის შესასწავლად, მეორე დონისა და ყუბანის მხარეს და მესამე კი ამიერკავკასიაში. სწორედ ამ მესამე კომისიის მეთაურია პოლკოვნიკი ბ-ნი მოორი. ახლა თქვენ იცით, როგორ დაუხვდებით და როგორ გააცნობთ ჩვენს ქვეყანას და მის საქმეს.

6 მარტს დელეგაციამ დაადგინა ინახულოს თავმჯდომარემ ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სპარსეთის ელჩი და პოლონეთის წარმომადგენელი. ხოლო ბ. ნიკოლაძე სადარბაზოდ მივიდეს პაპის ნუნცთან.

ნიკოლაძემ მეორე დღესვე ინახულა ნუნცი, რომელმაც ძლიერ კარგად მიიღო. სხვათა შორის მას უთქვამს, უწმინდესი პაპი კეთილგანწყობილია ქართველობისადმი და რადგან ჩვენ 300 მილიონ სულთან მოძღვრებას დიდი გავლენა გვაქვს, კერძოთ ინგლისში, ვეცდებით გამოგადგეთო. კერძოთ მე ვეცდები, რომ პაპმა ქართულის ტიბიკონით წირვის ნება დართოსო.

პირადად მე ათ მარტს ვიყავი სპარსეთის ელჩთან სადარბაზოთ. ამანაც კარგად მიმიღო, გამომკითხა ზოგი რამ ამბავი ჩვენის ქვეყნისა და კერძოდ სომხების შესახებ გამოსთქვა ის აზრი, რომ ისინი ამჟამად „განებივრებული ბავშვები არიანო“ (antants gatés). ქართველ-სპარსელთა ურთიერთობის შესახებ სთქვა, რომ ჩვენ ბევრი ეკონომიური ინტერესი გვაკავშირებს და კეთილგანწყობილება უნდა დავიცვათ, მიუხედავად იმისა, რომ ოდესღაც ჩვენს ხალხებს უომიათ. მე ვუპასუხე, რომ ყოველივე ისტორიული უსიამოვნება ჩვენ ქართველებს დავიწყებული გვაქვს, გვახსოვს მხოლოდ ყოველივე კარგი რაც კულტურულ ურთიერთობას დაუტოვებია. ბოლოს მითხრა, რომ ეცდება თავის მთავრობას დაანიშვნინოს ელჩი საქართველოში და მით შეძლება მოგვეცეს სამაგიერო ვიყოლიოთ სპარსეთში.

7 მარტს სრულიად მოულოდნელათ მოგვივიდა აქაურ ინგლისის სამხედრო შტაბისაგან ქაღალდი, რომლითაც გვატყობინებდნენ ინგლისის მთავრობა დეპეშით გვაცნობებს, რომ იგი „წინააღმდეგი არ არის თქვენს პარიზის წასვლისა, საჭიროა მხოლოდ საფრანგეთის მთავრობამ ამის ნება დაგრთოთო“. ეს თვითონაც ვიცოდით აქაურ ინგლისელებისაგან და ახლა კი ამასვე გვატყობინებს თვით ინგლისის მთავრობა. ამის გამო შემდეგი დეპეშა გავუგზავნეთ ჩხეიძეს პარიზში: „Paris, Ministère des Affaires étrangères - M. Beckweidre, délégué géorgien. il n’y a eu aucune nouvelle de vous depuis votre départ. Nous sommes inquiets. Arrêt sans autorisation de retour en Georgie a reçu Depeche du gouvernement anglais, indiquant son accord que notre départ de Paris recommande un permis français. Rtskiladze.”.[2] ამით ვათავებ ჩემს მოხსენებას ჩვენი დელეგაციის შესახებ. მი-

---

[1] უნდა იყოს: „American Committee for Relief in the Near East“ – „ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკის კომიტეტი“. ამერიკის საერთაშორისო და სოციალური განვითარების ორგანიზაცია ACRNE, რომელიც დაარსდა 1915 წელს, სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელს ატარებდა, კერძოდ, Near East Relief (NER) – „ახლო აღმოსავლეთის დახმარების კომიტეტი“, American Committee for Armenian and Syrian Relief (ACASR) – „სომეხთა და სირიელთა დახმარების ამერიკული კომიტეტი“ [რედ.].

[2] „პარიზი, საგარეო საქმეთა სამინისტროს – ბ-ნ ბეკვაიდერს (გვარი კარგად არ იკითხება, მთარგ.)

ვაქცევ თქვენს ყურადღებას „მორნინგ პოსტში“ დაბეჭდილ კორესპოდენციას და ჯაყელის პასუხს, რომელთა თარგმანს ამასთანავე გაახლებთ.

საჭიროდ ვსთვლი გადაჭრილი პასუხი მქონდეს ჩემის მთავრობისა შემდეგ კითხვების შესახებ:

როგორც 12 თებერვლის ოქმიდან დაინახავდით, ჩვენ დადგენილი გვქონდა გვეცადნა ჩხეიძისა და წერეთლის პასუხისათვის სამი კვირის განმავლობაში. შემდეგ კი უნდა შევკითხვოდი ჩვენს მთავრობას დელეგაციის დაბრუნების შესახებ. სამმა კვირამ კიდეც გაიარა და ჩხეიძისაგან არავითარი ცნობა არა გვაქვს. ამიტომ დგება საკითხი: განვაგრძოთ აქ ლოდინი თუ დავბრუნდეთ შინ. ამ საკითხით მივმართავ მთავრობას. ჩემის მხრით კი ვერაფერს განსაკუთრებულს ვიძლევი იმის შესახებ არის რაიმე იმედი ჩვენის პარიზში გამგზავრების თუ არა. იმავე სხდომის ოქმში ნათქვამია, რომ თუ მთავრობამ დელეგაცია უკან გაიწვია, მე უნდა აქ დავრჩე და გავსწიო საქართველოს წარმომადგენლობა. ამასაც მთავრობის დასტური სჭირია და ამიტომ გთხოვთ მაცნობოთ თანახმა იქნება მთავრობა ჩვენის წარმომადგენლობის აქ გაჩერება და თუ თანახმა გახდა და თუ თქვენც, ბ-ნო მინისტრო, თანახმა იქნებით, რომ სწორედ მე დავრჩე აქ, გთხოვთ, საჭირო საბუთები გამომიგზავნოთ. იმ შემთხვევაში თუ მე დავრჩი წარმომადგენლათ, საჭიროდ მიმაჩნია, ორი-სამი კაცის დატოვება ჩემს გარდა. გთხოვთ, თუ საბუთებს გამომიგზავნით იმის მსგავსი რამდენიმე ხელმოწერილი სხვა ბლანკიც გამომიგზავნოთ, რათა საჭირო შემთხვევაში ჩემთან დარჩენილთაგანი რომელსამე სხვა ქვეყანაში გავაგზავნო.

რაც შეეხება ოსმალეთის პოლიტიკურ ვითარებას უნდა აღვნიშნო შემდეგი: რაც ხანი აქა ვართ მთავრობა მუდმივ რყევაში იყო, რაც გამოიხატებოდა სამინისტროს ნაწილობრივ კრიზისებით. აქ გაბატონებულია გარეშე ძალა მოკავშირეთა, პოლიცია ანუ ჟანდარმერია მათ ხელშია და ადმინისტრაციულ მხარეს ისინი განაგებენ. როგორც შემოსვლა ისე წასვლა სტამბოლიდან მათ ნებაზეა დამოკიდებული. უკანასკნელ დღეებში შესდგა მთლად ახალი სამინისტრო დამად ფერიდ ფაშის მეთაურობით ე.წ. „entante liberale“-ის პარტიისა. როგორც ამბობენ მთელი სამინისტროს შემადგენლობა ნაკარნახევია „მოკავშირეებისაგან“ ეს ახალი სამინისტრო ტეფიკ ფაშის სამინისტროზე კიდევ უფრო სასტიკად დევნის „უნიონ და პროგრესის“ მეთაურებს. 10 მარტს დაატუსაღეს სხვა მრავალთა შორის ჰალილ-ბეი და ვეჰიბ-ფაშა. ამისდა მიუხედავად ამბობენ ვითომც ამ პარტიას დიდი გავლენა ჰქონდეს ხალხში.

დელეგატი საქართველოდან. თქვენი გამგზავრების შემდეგ, თქვენგან ახალი არაფერი მოსულა, რის გამოც შეშფოთებულები ვართ. არც საქართველოში დაბრუნების ნებართვა გვაქვს. მართალია, ბრიტანეთის მთავრობამ დეპეშა გამოგვიგზავნა, რომელშიც ისინი შინ დაბრუნების ნებას გვრთავენ, მაგრამ თან რეკომენდაციას გვაძლევენ, რომ ჩვენი გამომგზავრება საფრანგეთის მთავრობას შევუთანხმოთ. რცხილაძე“. (თარგმნა მ. ჭანტურაიამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.) [რედ.]

4. ევროპაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო წარმომადგენლის აკაკი ჩხენკელის წერილები საქართველოს დელეგაციის წევრებს პარიზში

1919 წელი, 4 მარტი

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 51. ფ. 1-4.[1]

საქართველოს დელეგაციას პარიზში

გუშინ მივიღე ზედიზედ ორი დეპეშა ბ. სუმბათაშვილისაგან და მეც ვსარგებლობ პირველსავე შემთხვევით გამოვთქვა ჩემი დიდი სიხარული კარლო და კაკის ჩამოსვლის შესახებ. მათი ამდენი ხნის დაყოვნება და გზაში დაკავება პირდაპირ შემაძრწუნებელია. მე არ ვიცი რა სურდათ ამით [2] ვინც მათ აკავებდა, ყოველ შემთხვევაში, კარგი არაფერი. მეორეს მხრივ დელეგაციის ნაწილს [3] დაკავება აღმაშფოთებელია. შეიძლება პარიზშივე ვერ მიიღეს ჩვენებმა შესაფერისი ზომები, თან რასაკვირველია, ნუთუ გზაში მყოფ დელეგაციას არ შეეძლო თავის თავზე რამე ეცნობებია დეპეშით.

რაც შეეხება ჩემს ჩამოსვლას, მე ველი კოწიასგან პასუხს, რა უთხრეს მას ჩემს დეპეშაზე სამინისტროში. თქვენი რჩევა, რომ მივმართო აქაურ საელჩოს, საკმაოთ უნაყოფოთ მიმაჩნია, ვინაიდან ეს საელჩო არ სწყვეტს საკითხს, თან მოსალოდნელია ხელსაც დამიშლის. ბ. სუმბათაშვილის დეპეშიდან არა სჩანს ჩამოიტანეს თუ არა ჩემთვის ფორმალური მანდატი. ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო ადვილია საქმის მოგვარება. უნდა მოითხოვოთ მანდვე სამინისტროში ნება დართონ ერთ-ერთ ოფიციალურ დელეგატს. თუ მანდატი არ ჩამოუტანიათ, მაშინ საჭიროა, სხვა გზით მოქმედება, უკეთესია რომელიმე დეპუტატის გაგზავნა. ლაფორი [?[4]] უკვე ყოფილა, როგორც მწერენ და კიდევ წავა, თუ მიმართავთ, აგრეთვე სხვებიც.

მე უკვე ვიწერებოდი წინეთ, რომ საჭიროა ჩვენებმა აქტიურათ მონაწილეობა მიიღონ ბერნის კონფერენციის მიერ დანიშნული (ფაქტიურათ დანიშნა პერმანენტ[ულმა] კომისიამ) პარიზის „აქციონ-კომიტე"-ში, რომელსაც დავალებული აქვს გადადგას შესაფერისი ნაბიჯები ბერნში მიღებული რეზოლუციების გასატარებლათ: მას ევალება აგრეთვე ჩვენს დამოუკიდებლობასაც დაუჭიროს მხარი. მასში ფრანგებიდან შედიან რენოდელი და ლონგე(?). ჩვენ შეგვეძლო, მაგ. კაკი ახლავე ჩაგვეწერა პერმანენტ[ულ] კომისიის წევრად. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ოფიციალურათ შეტყობინება ჰისმანისათვის, მაგრამ თავი შევიკავეთ, სანამ თქვენგან არ მოგვივა დასტური. ამ წერილის წამომღების ხელით ჩვენ ოფიციალურათ მივმართავთ ჰიუსმანს, რომ რუსეთში წამსვლელმა საინფორმაციო კომისიამ საქართველოც ინახულოს უთუოთ. ამ წერილის გადმომცემი, სხვათა შორის, არგენტინის დელეგატია და თან წევრიც საინფორმაციო კომისიისა. მას უნდა გაეცნოთ თქვენ და შეუძლია ხელიც შეგიწყონ. პარიზიდან თქვენ უნდა აცნობოთ საქართველოში, რომ შესაძლოა იქ ჩავიდეს კომისია. რომ უკანასკნელი მართლაც წავიდეს, რაიც დიდათ სასარგებლოა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეო-

---

[1] ეს წერილი მეორე პირია. დედანს ვერ მივაკვლიეთ. მხოლოდ ბოლო ნაწილია შემორჩენილი, რომელიც სხვა საქმეშია დაცული. იხ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1831. აღწ. 2. საქმე 52, ფ. 6 [რედ.]

[2] აქ ერთი სიტყვა არ იკითხება [რედ.].

[3] აქ ერთი სიტყვა არ იკითხება [რედ.].

[4] გვარი კარგად არ იკითხება [რედ.].

ბის განსამტკიცებლათ, თქვენც მიიღეთ ზომები ფრანგების წინაშე, ვინც მიემგზავრება ამ კომისიაში.

ამ წუთში მე არა მაქვს საშუალება გამოვთქვა ჩემი აზრი ჩვენი მოქმედების შესახებ პარიზში: არ ვიცი რა ხდება ჩვენში, როგორია პოზიცია ინგლისელების ჩვენდამი, არც ის ვიცი რიგიანათ თუ რა გაკეთდა ჩვენებისგან პარიზში. ერთი კი მაინც ცხადია ჩემთვის: ანტანტას გაუცრუვდა იმედები რუსეთის აღდგენისა ამ დროებით და სურს იცნოს გამოყოფილი სახელმწიფოები. ეს ოფიციალურათ მათ გადაწყვეტილიც უნდა ჰქონდეს. ნიშანდობლივია ამ მხრივ კავკასიელი(?) სომხების დელეგაციის მოსმენა, ამით ყინული უკვე ჩამტვრეულია, უნდა იცნონ საქართველოც.

მაგრამ დიდი საკითხია, როგორ უნდათ ჩვენი ცნობა: უნდათ მიგვიშვან ჩვენს ნებაზე თუ აპეკუნს გვინიშნავენ. ჩვენი ცდა, რა თქმა უნდა, პირველ შესაძლებლობაზე უნდა დაემყაროს, თუმცა, როგორც ერთხელ მივწერე კოწიას, რუსეთისა და ინგლისის აპეკუნობას შორის, უკანასკნელი უფრო საჭიროა ჩვენთვის. მაგრამ ჩვენ არ გვინდა და არც გვჭირია არც ერთი, თუ დაგვაყენებენ. მართალია, ჩვენ გვჭირდება ფინანსური, ეკონომიური დახმარება, მაგრამ ყველა ამას ძლიერ ადვილათ ვიშოვით ნეიტრალურ, პატარა სახელმწიფოებში, რაიც პოლიტიკურადაც არაა საეჭვო. ამიტომ დელეგაციამ უნდა გააჩაღოს ენერგიული მუშაობა სწორეთ სრული დამოუკიდებლობის ნიადაგზე. მე ძალიან მაფიქრებს ინგლისელების ქცევა, რომელიც თითქო გამოიხატება იმაში, რომ საიდუმლოთ გვემუსაიფონ და გვაძლიონ დაპირებანი, ხოლო საჯაროთ მიჩქმალონ ჩვენი საკითხი.

არა, ჩვენმა დელეგაციამ უნდა აღიმაღლოს ხმა, უნდა ილაპარაკოს თავის თავზე, ალაპარაკოს სხვებიც, რომ ჩვენი საკითხი საერთაშორისოთ გადაიჭრას მანდ ყოველ მონაწილეთაგან. ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ იმას, რომ ჩვენი თავი მიაბარონ ვინმეს, როგორც მცირეწლოვანი, თუმცა ამავე დროს ჩვენ ვერ გავუწევთ ბრძოლას ინგლისის განსაკუთრებულ ინტერესებს ჩვენში, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, შეეფერება და ეთანხმება ჩვენს ინტერესებს <u>სრულს და აბსოლუტურ</u> დამოუკიდებლობაში. მე მაფიქრებს ძალიან, რომ მანდ ისეთი არა ათქმევინონ დიპლომატებზე ჩვენებს, რომელიც ავნებს საქმეს. ანტანტის, განსაკუთრებით საფრანგეთის თვითოეული დიპლომატი თავის მოვალეობად სთვლის გასინჯოს ჩვენი საკითხი რუსეთის ინტერესების თვალსაზრისით. თითქო ჩვენ არა გვქონდეს ჩვენი საკუთარი ინტერესი. ყველა ამბობს არა იმაზე, თუ რამდენათ შეეფერება ჩვენს ინტერესებს დამოუკიდებლობა, არამედ იმაზე, თუ რამდენათ სასარგებლოა თუ მავნე რუსეთისათვის ჩვენი გამოყოფა. კითხვის ასე დაყენებას დელეგაციამ, ჩემის აზრით, სასტიკათ უნდა შეებრძოლოს. ეს მით უფრო, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა სრულიად არ ავნებს რუსეთს. მას აქვს თავისის საკუთარი გასავალი შავი ზღვით ევროპაში, კასპიის ზღვით – თურქესტანში-სპარსეთში. ჩვენმა დელეგაციამ არას გზით არ უნდა დააყენოს, ან უკეთ, არ მისცეს თავისი დასტური ან უბრალო იმედი ვინმეს, რომ ჩვენ რუსეთის კონფედერაციაში შევალთ ოდესმე. ჩვენთვის ეს საკითხი არ არსებობს.

ძლიერ სიფრთხილე გვმართებს სომხეთის მიმართ: ჩვენ არ გვარგებს მათთან ბრძოლა უცხოეთში, თუმცა ისინი მუდამ ჩვენს ძაგებაში არიან, მაგრამ იმავე დროს საჭიროა აილაგმოს მათი მადაც. ამისათვის გამოსაყენებელია: ბერნის სომეხ-ქართველ დელეგაციათა შეთანხმება, რომელთიც საჯაროთ გამოცხადდა თვით კონფერენციაზე, და მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი სადაო საკითხები გადაწყდეს თანახმად კონფერენციის მიერ მიღებული პრინციპიალურ რეზოლუციისა. ჩვენ არას გზით არ უნდა დავუთმოთ მათ რამე პარიზში, უნდა მოვითხოვოთ, რომ რომელიმე ნეიტრალურმა ორგანომ, ან თვით ერთა-კავშირის მიერ შექმნილმა, ადგილობრივ შეისწავლოს საკითხი და კიდეც გადაჭრას, უნდა იქნეს მიღებული, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი, საკუთარი ინტერესი და სურვილი სადაო ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხისა. ეს ეხება ბორჩალო-

ახალქალაქს, ხოლო არტაანის[ა] და ოლთისის ოლქებზე სომხების გაბატონება გამოიწვევს ადგილობრივ მაჰმადიანების გაქრობას, ესენი კი 95 % შეადგენენ!

[[1]] თუ ისინი მოსწყვიტეს რუსეთს და ოსმალეთს, რა თქმა უნდა, ისინი საქართველოსთან შეერთებას ისურვებენ. სომხების შავ-ზღვაზე გასვლა ჩვენს ინტერესს შეეფერება, თუ ლაზისტანი მათ არ მიაკუთვნეს, როგორც მათ სურთ. ჩვენ ყოველგვარი იმპერიალიზმის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ თუ ლაზისტანი ოსმალეთს ჩამოგლიჯეს, ამ შემთხვევაში ესენი ჩვენთან ყოფნას ირჩევენ. ნუ დაგავიწყდებათ, ისინი ლაპარაკობენ მეგრულ ენაზე და იკვებებიან ჩვენი სიმინდით. სამაგიეროთ მხნე, მშვიდობიანი და თაოსანი ხალხია. სომხები თითქმის სულ არ არიან იქ.

საჭიროა აუცილებლათ „პრესბიურო" შეჰქმნათ და წეროთ ჩვენ[ს] შესახებ ბიულეტენები, სტატიები, წიგნაკები. ამ მხრივ, ცოტაა გაკეთებული. ერთი პიროვნება დამისახელეს აქ, „ტანის" კორესპოდენტი რუსეთში ბიქტორი მაიერი, ფრანგია, თან ჩვენი კაცია და შეუძლია დაუფასებელი დახმარება გაგვიწიოს, ახლა პარიზშია. იყო ოფიცრად, ადრესი არ ვიცი, მაგრამ მიმართეთ ქალბ. შჩუპაკს, ჩვენი ამხანაგის ცოლია, 7 rucLeclerc, ის გასწავლით მაიერის ადრესს. თვითონაც ბევრი ნაცნობობა ყავთ ორიენტ[ალისტ] პროფესორებში, რომელთაც ეკითხებიან ხოლმე ჩვენს, საზოგადოთ, აზიელების შესახებ. ქ[ალბატონი] შჩუპაკი თვითონაც კითხულობს ლექციებს, კაკი იცნობს, კარლოც მის ქმარს. ახლა ბერნშია.

სავაჭრო საზოგადოების დაარსება ჩვენთვის მეტათ მნიშვნელოვანია. არა მგონია ამან ავნოს ჩვენს საქმეს პოლიტიკურათ. პირიქით. შეგვიძლია გამოვიყენოთ ამ მხრივაც. ბ. სუმბათაშვილი ჩქარა უნდა დაბრუნდეს. აქ შვეიცარიელებისაგან უკვე მზადდება საქმე, ინგლისელების და ფრანგების მონაწილეობაც უზრუნველყოფილია.

ველი ცნობებს ძლიერ საჩქაროთ.

სალამი. აკ. ჩხენკელი.

---

[1] ამ წერილის ეს ბოლო მონაკვეთის დედანი იხ. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 52. ფ. 6 [რედ.].

1919 წელი, [მარტი]

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 51. ფ. 5-6.[1]

საქართველოს დელეგაციას პარიზში

[2] ადგილობრივი ვითარება კავკასიაში არც ამ უკანასკნელ [3] მაგ. ინგლისს არც კი [ეჭი]რებდა ჯარები ყოლოდა ჩვენში, მას შეეძლო მხოლოდ ტეხნიკური ძალები მოეცა [4]. მარტო მისი პრესტიჟი საკმარისი იყო, რომ არავის გაებედნა ჩვენი ანგრევა, დანარჩენს ჩვენ თვითონ [მივხედავდით] თუ მისი მორალური დახმარება გვექნებოდა. ახლაც არაა გვიან. ამიტომ გაგზავნეთ იქ სამოქმედოთ [5] წინდაწინვე უნდა ჰქონდეს შემუშავებული მოქმედების გეგმა. ვიმეორებ, ინგლისში ძალიან ბევრი [6] დახმარებით, თუ მოხერხებულათ მიუდგა კაცი ამათ. საჭიროა მთელი რუსეთის პრობლემის და პერსპექტივის [7] თუ გვსურს მეტი ყურადღება მოგვაქციონ. მე, მაგ. არავინ მეგულება თქვენზე უფრო მოწოდებული, რომელსაც [8] ...საც საფუძვლიანათ გაურკვიოს ევროპელებს რუსეთის პრობლემა. ამისთვის საჭირო იყო წერილების მიცემა [რედაქ]ციებში. თუ არ დაბეჭდნენ, ცალკე წიგნაკების გამოშვება. მაგ., ის, რაც ბერტელოს უთქვამს [9] ჯერ ერები და მერმე რუსეთიო, ნათლათ მოწმობს, რომ შესაძლოა ევროპელების აზრის შეცვლა ჩვენდა სასარგებლოთ... [10] წარმოდგენა რუსეთის ვითარებაზე. ნუთუ ძნელია მათთვის ახსნა, რომ რუსეთში რეაქციის გამარჯვება და რესტავრაცია უდრო სახიფათოა (მაგალითად საფრანგეთისთვის, ვინაიდან ცარიზმი ყოველთვის შესძლებს დაუახლოვდეს [11] [რეაქ]ციონურ ძალებს), ვინემ იქ დემოკრატიის გამარჯვება. დემოკრატიული რუსეთი მეტ გარანტიას იძლევა [მშვი]დობიანობის განსამტკიცებლათ. სამხედრო ჩარევამ უფრო გააძლიერა ბოლშევიზმი, ამას უკვე გრძნობს [12] თუ გინდ ეს საკითხი ჯერ კიდევ სადაო იყოს, ყოველთვის აშკარაა, რომ განაპირა ქვეყნის [დამოუკიდებლობის] ცნობა, მათი ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება, ძალზე ხელს შეუწყობს თვით რუსეთის გამო...[13] თან ეს ერები ერთგვარი ბარიერი იქნება ბოლშევიზმის მათ გადაღმა გავრცელების ხელშესაშლელათ.

უკანასკნელი სამხედრო ცნობები რუსეთიდან თითქო ააშკარავებენ, რომ ეს ზაფხული ამაოთ ჩაუარა კოლჩაკ-დენიკინს, ისინი ვერ შესძლებენ ისე ადვილათ რუსეთის დაპყრობას. შემდეგ დადგება შემოდგომა-ზამთარი [ჯარებს გაუ]ძნელდებათ სამხედრო ოპერაციები. ფილლანდია უკვე ამჟღავნებს, რომ მას არ მოსდის ჭკუაზე ომი რუსეთთან. [ამასვე ამ]ჟღავნებენ ბალტიის მხარენი. მაშასადამე, გაძლიერებულ მიხდომას არ უნდა ველოდეთ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ყველა ეს და თან ევროპის დემოკრატიის მტრული განწყობილება ჩარევის მიმართ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ პოლიტიკური

---

1 ეს წერილი მეორე პირია. დედანს ვერ მივაკვლიეთ [რედ.].
2 აქ ეს ადგილი, მთელი 5 წინადადება, არ იკითხება [რედ.].
3 აქ ეს ადგილი არ იკითხება [რედ.].
4 აქ ეს ადგილი არ იკითხება [რედ.].
5 აქ ეს ადგილი არ იკითხება [რედ.].
6 აქ ეს ადგილი არ იკითხება [რედ.].
7 აქ ეს ადგილი არ იკითხება [რედ.].
8 აქ ეს ადგილი არ იკითხება [რედ.].
9 აქ ეს ადგილი არ იკითხება [რედ.].
10 აქ ეს ადგილი არ იკითხება [რედ.].
11 აქ ეს ადგილი არ იკითხება [რედ.].
12 აქ ეს ადგილი არ იკითხება [რედ.].
13 ამ სიტყვის დასასრული არ იკითხება [რედ.].

კონიუქტურა ჩქარა შეიცვლება ჩვენდა სასარგებლოთ: ადრე თუ გვიან იძულებული გახდებიან შესცვალონ მეთოდი [1] და ჯერ მართლაც განაპირა ქვეყნების მოწესრიგებას შეუდგნენ...

კოწია მწერდა, მოკავშირეთა პროპაგანდამ თითქო გასჭრაო და რუსეთის ზოგიერთი ერების დელეგაციები მართლაც იწყებენ ფედერაციაზე ლაპარაკსო. მე ამ მოვლენას არ ვთვლი მაინცადამაინც მავნედ ჩვენთვის, ვინაიდან დიდი სხვადასხვაობაა, ჩემის აზრით, კავკასიის და ხსვა განაპირა ქვეყნების პრობლემათა შორის. რუსეთისათვის დიდათ საძნელოა [2] და სასარგებლოაო არ იქნება მოულოდნელი, რომ სომხებსაც, [3] დააჯილდოვებენ ჩვენს ხარჯზე. საჭიროა და აუცილებელიც ენერგიული ნაბიჯები ამ საშიროების წინააღმდეგ. ყველაზე უკეთესი იქნება სიტყვიერი მოლაპარაკება იმათთან, ვისაც ეს საერთო საქმეები აბარია. მაგრამ ამასთანავე ერთხელ კიდევ უნდა აღძრათ ეს საკითხი ნოტაში, უფრო ნათლათ უნდა დაასაბუთოთ, ვინემ ეს შეიძლებოდა საზოგადო საზღვრების აღწერილობაში. ერთი სიტყვით, საჭიროა განსაკუთრებული ნოტა მეზობლებთან საზღვრების შესახებ.

მერმე მე არ ვიცი, განუცხადეთ თუ არა ოფიციალურათ მოკავშირეთ, განსაკუთრებით საფრანგეთის მთავრობას, რომ ჩვენ ვკისრულობთ ჩვენს პროპორციულ წილს რუსეთის ვალისას, სანამ ბოლშევიკები გაბატონდნენ. ამის შესახებ კოწია მწერდა, დელეგაციის ჩამოსვლას უცდითო და მაშინ გადავდგამთ საჭირო ნაბიჯსო. თქვენი წერილებიდან და ასლებიდან [4] არა სჩანს, გააკეთეთ ეს ნაბიჯები თუ არა. თუ არ გაგიკეთებიათ, საჭიროა დაუყოვნებლივ გადადგათ ეს ნაბიჯი. საზოგადოთ, ამავე ჩვენი მეზობლებიც გადადგამენ ამ ნაბიჯს და თან გამოაქვეყნებთ მას, შთაბეჭდილებას მოახდენს იგი უეჭველათ საზოგადოებაზე. ჩვენ უნდა დავუდასტუროთ საფრანგეთის მთავრობას, რომ ამ გზით ის უფრო ადვილათ გაანაღდებს თავის სესხს. ამას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა ეცადოთ, ჩემის აზრით, კლემანსოს პირად ნახვას და, სხვათა შორის, ესეც უნდა უთხრათ მას.

თბილისიდან ჩამოსული ამბებზე აბა რა უნდა მოვიწერო. ინგლისელებთან აშლა დიდად სამწუხაროა და დაუშვებელი. შეუძლებელია ინგლისის მთავრობა მთლათ იზიარებდეს მის გენერლების პოლიტიკას კავკასიაში. მაშინ ის არც ნოტას გადმოგვცემდა ლონდონში ჩვენი დამოუკიდებლობის სასარგებლოთ. უეჭველია, ჩვენში თავიდანვე ვერ მოხერხდა სათანადო ტაქტიკის წარმოება მათ მიმართ. ჯერ იყო და ერთობ დემონსტარტიულათ ამჟღავნებდა ხალხი თავის სიმპატიას გამარჯვებული მხარის მიმართ, მერმე ჰქონდა ალაგი წვრილმან შეტაკებას ამა თუ იმ სამხედრო პირთან, ამას თან დაერთო სომხების წასისინება და ჩურჩული... ასე თუ ისე ჩვენ უთუოთ უნდა განვაგრძოთ მუშაობა ინგლისთან დაახლოების ნიადაგზე. ეს მაშინაც კი, როცა ჩვენთან იტალიელები ეპირებიან გამაგრებას. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ, ჩემის აზრით, იტალიელებით, რომ მათ გაგვიწიონ დახმარება იარაღით, საქონლით, სესხით, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ინგლისელებს ზურგი ვაქციოთ. იტალიელები იმ მხრივ არიან კიდევ სასარგებლო, რომ მათი საშვალებით ჩვენ შეგვიძლია გერმანიიდან მივიღოთ [5] ძალები, ცოტა გვიან. ყოველ შემთხვევაში, მათი მანდატორობა არაა ჩვენთვის სახარბიელო, თუმცა ბოლოს და ბოლოს, თუ ჩვენი დამოუკიდებლობა იცვნეს, შეიძლება მასაც შევურიგდეთ დროებით. მაგრამ ერთი კია, თუ ჩვენ გვიცნეს, ინგლისი ისევ ჩამობრუნდება ჩვენთან, ჩემის აზრით. ისე, მანამ არ დარჩება ჩვენში, სანამ ჯერ კიდევ რუსეთის ნაწილად მივაჩნივართ, თორემ ერთხელ დამოუკიდებელ საქართველოს

---

[1] აქ ერთი სიტყვა არ იკითხება [რედ.].
[2] აქ ეს ადგილი არ იკითხება [რედ.].
[3] აქ ერთი სიტყვა არ იკითხება [რედ.].
[4] აქ, ა. ჩხენკელისათვის გაგზავნილი დოკუმენტების ასლები უნდა იგულისხმებოდეს [რედ.].
[5] აქ ერთი სიტყვა არ იკითხება [რედ.].

ის არასგზით არ ჩაუგდებს სხვას ხელში. ამიტომ, სანამ იტალიელებთან დავიწყებთ ლაპარაკს, უთუოთ კიდევ უნდა შევეცადოთ შევიტყოთ ინგლისის ნამდვილი განზრახვანი. ჩვენ შეიძლება ვუშობთ[1] საუკეთესო დროს რომში სამუშაოთ. იტალიას, როგორც ვთქვი, შეეძლო დროებითი დახმარება მაინც გაეწია, მაგრამ არც იმის გაბედვა შეიძლება, მთავრობის დირექტივების უ[ი]მისოთ ვიმოქმედოთ. ჩვენ გვჩვევია, სამწუხაროთ, სიგვიანე, პოლიტიკურ მისიას მხოლოდ ახლა გზავნიან. ისიც გამოუცდელებს. ეკონომიური მისია ვაჭრობა-მრეწველობის მონაწილეობით გაცილებით უფრო სასარგებლო იქნებოდა. ერთი სიტყვით, ყველა ამეებზე და ბევრ სხვაზედაც მოვილაპარაკებ კაკისთან, მხოლოდ გთხოვთ მის წამოსვლამდის დასვათ იტალიის საკითხი და თქვენი აზრი გამოიმუშავოთ. უთუოთ მაძლიეთ ბიუროსათვის ცნობები. საჭიროა. ფურცელს ვსცემ, გამოდის მთელი რვეული(?).

სალამი. აკ. ჩხენკელი.

[1] ასე წერია [რედ.].

1919 წელი, 12 მარტი
ბერნიდან პარიზში

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 52. ფ. 1-2.[1]

,,12/III.19.
Brusinadern str. 30.

საქართველოს დელეგაციას პარიზში

ერთ კვირაზე მეტია, რაც გამოვატანე ვრცელი წერილი არგენტინის დელეგატს ბერნის კონფერენციაზე ტომაზოს. შემდეგ გამოვგზავნე ფოსტით ზოგიერთი მასალა სომეხ-ქართული დელეგაციათა ,,შეთანხმების'' შესახებ იმავე კონფერენციაზე, კომენტარი ღია წერილით მოვიწერე კოწიას[2] სახელზე, მეორე ღია გამოვუგზავნე დათიკოს.[3] თქვენგან მომივიდა მხოლოდ ერთი დეპეშა ინგოროყვას წიგნაკის შესახებ, რომელსაც ამასთანავე გიგზავნით. მიკვირს, საქართველოდან საზავო კონფერენციაზე წამოსულხართ და მასალა კი დაგვიწყნიათ. გარდა ნახსენებ წიგნაკისა, ბევრი სხვაც იყო საჭირო, რომელიც აქ არ იშოვება. მე ვფიქრობ, ზურაბმა[4] კარგათ უნდა იცოდეს ჩვენი საზღვრების, ეთნოგრაფიის და საზოგადო წარსულის საკითხი. მე ვათარგმნინებ აქ ვეშაპელს[5] რუსულ წიგნაკს ფრანგულ ენაზე და, როცა მზათ იქნება, გამოვგზავნი, – ის ეხება ლაზისტანს. წიგნაკი საკმაო საინტერესოთ არის შედგენილი და რამდენიმე სურათიც აქვს ჩართული.

ინგოროყვას წიგნაკს, იქ ნაჩვენებ საზღვრებს (ვგზავნი აგრეთვე ჩვენი მთავრობის მიერ ოფიციალურათ გამოცემულ საზღვრების აწერილობას[6] გერმ. ენაზე)[7] შესწორება დასჭირდება: ეგ[რეთ] წოდებული ჯიგეთი[8] და ყაზახი, აგრეთვე ყარაიაზის ნაწილი უნდა ჩამოსჭრათ. აქვე ვგზავნი ჟენევის გაზეთიდან ამონაჭერს, სადაც მოთავსებულია პლეხანოვის სიძის კორესპოდენცია სომხეთის შესახებ. (თქვენ უნდა გაეცნოთ უთუოთ მას, მანდ გაიგებთ მის ადრეს[ს], ნიჭიერი და გავლენიანი მწერალია შვეიცარიაში, საფრანგეთშიც იცნობენ. მას მოსწერა სიდედრმა მიაქციოს ჩვენს საკითხს ყურადღება – ჟენევიდან). თქვენ გმართებთ ძალიან მოხერხებული ნაბიჯები სომხების იმპერიალიზმის წინააღმდეგ. საჭიროა მათ დელეგაციასთან საფუძვლიანი მოლაპარაკება და შეთანხმება. არტაანის და ოლთისის ოლქები არას გზით არ უნდა დაუთმოთ, ვინაიდან იქ 95 % მაჰმადიანებია და, თუ ამათ ასარჩევი შეექმნათ ჩვენსა და სომხებს შორის, უეჭველათ ყველანი ჩვენთან ყოფნას არჩევენ. თუ სომხები ეყრდნობიან ისტორიულ უფლებაზე, ჩვენ მეტი გვეთქმის ამ მხრივ. მე არ ვიცი, როგორ პირობებში გიხდებათ მუშაობა, სომხებს, როგორც ეტყობათ, პრივილეგიური მდგომარეობა უჭირავთ ჩვენთან შედარებით, ამიტომ ძნელია გადაჭრით რამის თქმა. მე იჭვი მაქვს თქვენ შესძლოთ მანდ სომხებთან შეთანხმება საზღვრებზე, მაგრამ ერთში მაინც უნდა დაგეთანხმონ: შედგეს არადაინტერესებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან კომისია და მას მიენდოს

---

[1] ამ წერილის მეორე პირი იხ. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 51. ფ. 7-8 [რედ.].
[2] კონსტანტინე გვარჯალაძე უნდა იგულისხმებოდეს [რედ.].
[3] დავით ღამბაშიძე უნდა იგულისხმებოდეს [რედ.].
[4] ზურაბ ავალიშვილი უნდა იგულისხმებოდეს [რედ.].
[5] გრიგოლ ვეშაპელი უნდა იგულისხმებოდეს [რედ.].
[6] ასე წერია [რედ.].
[7] ჩვენ ამ დოკუმენტს ვერ მივაგენით [რედ.].
[8] ასე წერია. უნდა იყოს ჯიქეთი [რედ.].

ადგილობრივ გამოარკვიოს საკითხი, გაიგოს აგრეთვე მცხოვრებთა სურვილი და ისე გადაიჭრას დავა.

პირდაპირ აღმაშფოთებელია, რომ ტრაპეზუნდის ვილაიეტზე[1] სომხები და ბერძნები ვაჭრობენ ურთიერთ შორის, როცა იქ ერთნიც და მეორენიც უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ! მე ვფიქრობ, ეს ვილაიეტი უნდა გაიყოს დაახლოებით შუაზე, რომლიდანაც მარჯვენა მხარე, რიზედან დაწყებული, უნდა შეუერთდეს საქართველოს, ხოლო მარცხენა მხარე, პლატანიდან დაწყებული, თურქებს უნდა დარჩეს. შუა ნაწილი ტრაპეზუნდით შეიძლება გადაეცეს სომხებს, თუმცა უფრო სამართლიანი იქნებოდა მისი ინტერნაციონალიზაცია. ასე თუ ისე, ლაზისტანი სამეგრელოა ენით და მისი სომხებზე გადაცემა პირდაპირ შეუწყნარებელია. ოჰანჯიანი სრულიად მეთანხმებოდა, რომ ის საქართველოს უნდა შეუერთდეს. მე ვიცი ეს მხარე, მქონია ლაზებთან ხშირი ლაპარაკი მათ დედა-ენაზე, მათ, უნდა ითქვას, სარწმუნოების გამო ოსმალეთთან ურჩევნიათ ყოფნა, მაგრამ თუ მას მოაშორეს, რა თქმა უნდა, ჩვენთან ყოფნას ირჩევენ, მათ შორის არ ცხოვრობენ არც სომხები და არც ბერძნები.

საზოგადოთ ისე უკუღმა წარმოებს მანდაური საზავო მოლაპარაკება, რომ ვშიშობ ცალმხრივათ არ გადაჭრან ჩვენი საკითხი. ჩვენ უნდა დავტოვოთ დუმილი და ხმამაღლა ვილაპარაკოთ ჩვენს საქმეებზე. საჭიროა უთუოთ რომელსამე გაზეთში მოახერხოთ ჩვენს შესახებ ხშირათ იწერებოდეს რამე, გამოეცით ბიულეტენებიც. წავიკითხე „ჰუმანიტეში“ ჟორდანიას გადაუღლება[2] დენიკინთან და კაშენის[3] შენიშვნა მეორე დღეს. მე ვფიქრობ, ამის შემდეგ შეგიძლიათ აიძულოთ კაშენი მოათავსოს ჩვენზე რამეები. საქართველოს დასახელებაც კარგი იყო თავის თავათ, განზრახულია ალბათ, ცნობა. საფრანგეთს აინტერესებს ბოლშევიკების ძლევა, ამისათვის ის მზათაა დახმარება გაუწიოს ანტიბოლშევიკურ მთავრობებს. ჩვენ კი გვინდა არა ბრძოლა, არამედ მშვიდობიანი ცხოვრება დამოუკიდებელ სახელმწიფოში. საზოგადოთ საჭიროა შებრძოლება ცრუმორწმუნეობასთან, – თითქო, რაც რუსეთის მთავრობას დაუპყრია და უყვლეფია საუკუნეთა განმავლობაში, ხელუხლებელი უნდა დარჩეს! რუსეთს ეყოფა თვით რუსებისგან დასახლებული თვალუწვდენელი ტერიტორია, არარუსები კი, ვისაც კი ნაციონალური კულტურა აქვს, უნდა განთავისუფლდნენ. ჩვენ არ გვეჭირვება მანდატორი, ამიტომ თავისუფალი უნდა გვყონ მისგან.

თქვენ არაფერს იწერებით, რა ხდება მანდ, რას გეუბნებიან, რას გვიპირებენ. მე მეტი არა ვარ ფიქრისაგან, არც საშუალება მაქვს შინ მაინც წავიდე, რადგან მანდ არ მაძლევენ ჩამოსვლის ნებართვას. ბევრი ნიშნებია, რომ ანტანტი[4] ვერ შეძლებს დაამთავროს ზავის საქმე. მანდაური მოდარბაზენი იმდენათ გონება დაბნეული არიან, რომ ვერ ამჩნევენ მოახლოებულ ქარიშხალს. მათ დააგვიანეს ზავი, ახლა უნდათ ის შეკრან ძალადობის ნიადაგზე, რაც უმზადებს სამარეს მის ავტორებს. მოსალოდნელია ისეთი მდგომარეობაც, როცა ევროპა რევოლუციის ალში გაეხვევა და აზია კი თავს წამოყოფს, ჩვენს წინაშე შეიძლება ისევ ოსმალეთის საშინელება გაჩნდეს! გვმართებს დიდი სიფრთხილე მოქმედებაში...

მოიწერეთ უთუოთ, რა ხდება ჩვენში, პირდაპირ გაშმაგებული ვარ ცნობების მოუწდვნელობის გამო. არც ასე შეიძლება. თქვენ შეგიძლიათ იაპონიის საელჩოთი ისარგებლოთ, ეტყვით იქ გამოუგზავნონ აქაურ იაპონიის საელჩოს მრჩეველს ბიტოს ჩვენდა გადმოსაცემათ. გთხოვთ მომწეროთ.

---

[1] ასე წერია. ა. ჩხენკელი ყველგან ვილაიეთის ნაცვლად ვიალიეტს წერს [რედ.].

[2] ასე წერია: „გადაუღლება“, რაც გადაჯაჭვას, დაკავშირებას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში კონტექსტი გაუგებარია. „ჰუმანიტესთან“ დაკავშირებული მასალების მოძიება ვერ მოვახერხეთ [რედ.].

[3] კაშენი – 1869-1958 წწ. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. თუ რა როლი ითამაშა მან მოცემულ მომენტში, ვერ დავადგინეთ [რედ.].

[4] ანტანტი – ასე უწერია ა. ჩხენკელს, უნდა იყოს ანტანტა [რედ.].

ეს არის დეპეშა მოუვიდა პარიზიდან ერთ ნაცნობს მის ცოლისაგან: პაკეთს სუმბათაშვილს[1] ვატანო. აქედან ვასკვნი, რომ სუმბათაშვილი მოდის აქეთ. ეს ძალიან საჭიროა, რადგან სავაჭრო საზოგადოების საქმე უკვე იწყება, ბიუროც გაიხსნა და მისი აქ ყოფნა აუცილებელია. მე ამ საზოგადოებას არა ნაკლებ მნიშვნელობას ვაწერ, ვინაიდან, სანამ თქვენ მანდ პოლიტიკურ საქმეებს აწყობთ, სანამ თვით ანტანტი გართულია საზავო კითხვებით, მას შეუძლია გააჩაღოს მოქმედება და რამდენათმე მაინც ხელი შეუწყოს ჩვენს ეკონომიურ დამოუკიდებლობის საქმეს. ჩამოვიდეს მაშ საჩქაროთ. სალამი. აკ. ჩხენკელი.

[1] მიხეილ სუმბათაშვილი – საქართველოს ელჩი შვეიცარიაში [რედ.].

1919 წელი, 17 აპრილი
ბერნიდან პარიზში

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 52. ფ. 3-6.[1]

,,17/IV-19.
ბერნი

საქართველოს დელეგაციას პარიზში

მივიღე ,,ერთობის'' კოლექცია და 11 ასლი-საბუთები. ეს პირველათაა, რომ ისარგებლეთ ამ გზით და კარგათაც ჩაიარა. იმედი მაქვს, უფრო ხშირათ გამოგზავნით ამ გზით ცნობებსაც, მხოლოდ კოწიას[2] ღია წერილიდან გავიგე, რომ გქონიათ მოლაპარაკება სხვადასხვა დელეგაციებთან, მხოლოდ არ ვიცი, რა შინაარსის. მემუარი მოსაწონია. კარგი იქნებოდა ცოტა რამ გეთქვათ იქ, რამდენათ მისაღებია თვით რუსეთის თვალსაზრისითაც ჩვენი დამოუკიდებლობა. მართლაც, საქართველო წინ არ ეღობება რუსეთის განვითარებას არც ახლო და არც ცენტრალურ აზიაში. მე არა ერთხელ მოვიწერე, რომ საჭიროა გაურკვიოთ პრესით თუ მემუარებით ევროპიელებს რუსეთის პრობლემა. გარდა ეგოისტურ ინტერესებისა ბევრს გულწრფელათაც არ გაეგება რუსეთის ვითარება. საქმე ისე აქვთ წარმოდგენილი, თითქო რუსეთის ძველი აღმოსავლეთისებური იმპერიალიზმი, დაწყებული პეტრე დიდიდან, თითქო ბუნებრივი და საღი რამ იყო, თითქო რუსეთის მთლიანობა ძველ საზღვრებში რაღაც უმაღლეს სამართლიანობას მოასწავებდეს და სხ. და სხ. ამის გასარკვევათ თქვენ სხვებზე უარესათ არა ხართ მოწოდებული და მომზადებული.

აუცილებლათ საჭიროა, ჩემის აზრით, რაც შეიძლება მჭიდრო და ხშირი დამოკიდებულება იქონიოთ ინგლისის მთავრობასთან და დელეგაციასთან. უნდა იყვეს ერთი ვინმე კარგათ გაცნობილი და დაინტერესებული ჩვენი საქმით, რომ მხარი დაუჭიროს ენერგიულათ ჩვენს დამოუკიდებლობას. ინგლისელები ჩვენში ბატონად გრძნობენ თავს, მათ იციან, რა უნდა გააკეთოთ იქ, მაგრამ ჩვენც უნდა უჩიჩინებდეთ მათ, თუ რა გვინდა. ,,ტაიმსის'' ღვარძლიანი გამოსვლები უკვე იძლევა კლიტეს მთავრობის გულისნადების გასაგებათ. ისინი არ გადაუხვევენ თავიანთ ტრადიციულ პოლიტიკას, უთუოთ მაგრათ ჩასჭიდებენ ხელს მთელს კავკასიას, ხელს გადაუსობენ თავზე ჩვენს მეზობელ მაჰმადიანებს, ქართველ მაჰმადიანებსაც დაგვიპირდაპირებენ, რომ ამით შეასუსტონ, თუ მთლათ ვერ მოსპეს, ქართველი ერის განსაკუთრებული მდგომარეობა კავკასიაში და მისი დემოკრატიული მისწრაფებანი. ამის მასალას, სამწუხაროთ, ჩვენც ვაძლევთ ხშირათ... ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობა ისეთია ახლა ჩვენში, რომ ინგლისელების სერიოზულათ ჩათრევა კავკასიის საქმეებში უფრო დადებითია ჩვენთვის, ვინემ უარყოფითი. მომავალში კი, თუ ახლა უზრუნველვყავით ჩვენი საზღვრები და თვით ფიზიკური არსებობაც, საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობა ევროპაში, მათ შორის ინგლისშიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, საშუალებას მოგვცემს ადვილათ მოვიცილოთ თავიდან ის უარყოფითი მხარეებიც, რომელიც შეიძლება გვარგუნოს პარიზის ზავმა. ინგლისი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული გააფართოვოს ჩვენი საზღვრები არტაან-ოლთისისაკენ და ლაზისტანისაკენ. ბოლოს და ბოლოს ჩვენთვის არც ის იქნება საზარალო, თუ ამ სამაჰმადიანო საქართველოს ცალკე გამოყოფს და დაუმორჩილებს თავის ბატონობას, ვინაიდან ეს ასწევს ამ მხარის განვითარებას და ჩვენი ეკონომი-

[1] ამ წერილის მეორე პირი იხ. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 51. ფ. 9-11 [რედ.].

[2] კონსტანტინე გვარჯალაძე უნდა იგულისხმებოდეს [რედ.].

ურ-კულტურულ მუშაობას იქ, რომლითაც ვისარგებლებთ უფრო მარჯვე შემთხვევაში მომავალში, როცა ჩვენც წელში გავმაგრდებით.

მე არ ვიცი გაქვთ თუ არა თქვენ მოლაპარაკება სომხებთან ლაზისტანის შესახებ. მათთან შეთანხმება ამ საკითხში დიდი გამარჯვება იქნებოდა ორივე მხარისათვის. ჩვენ მეტს ვერ მოვითხოვთ, რა თქმა უნდა, იმისა, რაც თქვენ აღგინიშნავთ კარტაზე,[1] მაგრამ ეს საზღვრები რომ შეთანხმების შედეგი ყოფილიყო სომხებთან, დიდათ წინ წასწევდით საქმეს. ხოლო, სანამ ამას ვერ მიგვიღწევია, საჭირო იყო ტაქტიკურის მოსაზრებით ცოტა შორსაც გაგვეწია სამხრეთ-დასავლეთის საზღვრები. ჩვენ არასდროს არ ვიყავით და არც ახლა ვიქნებოდით ლაზისტანის პრეტენდენტები, ოსმალეთის ბატონობის მოსპობა რომ არ იყოს იქ განზრახული. ამ შემთხვევაში კი სომხებთან შედარებით ჩვენი პრეტენზია მთელ ტრაპეზუნდის ვილაიეტზე უფრო კანონიერია ერთი ათად. დღევანდელი თქვენი საზღვრები, მაშასადამე, შეთანხმების შედეგი უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ ოგანჯანიანი სრულიად მეთანხმებოდა აქ მე, ის იმასაც კი შიშობდა, რომ ჩვენ ტრაპიზუნდს მათ არ დავანებებდით! ახლაც არაა გვიან გამართოთ მოლაპარაკება სომხებთან.

როგორც ეტყობა, ინგლისელები მთიელებსაც უშვერენ ხელს, ეს კი გავალებთ დიდ სიფრთხილეს საზღვრების შესახებ აბხაზეთში და ზაქათალაში. თქვენ არ დაივიწყებთ, რომ აბხაზეთში მეგრელ-ქართველები <u>აბსოლუტურ</u> უმრავლესობას შეადგენენ, მაშასადამე, დათმობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება იქ მდინარე მზიმთას საზღვრამდე. არც პლებისციტის არ უნდა შეგვეშინდეს იქ. ზაქათალაში სულ სხვაგვარათაა საქმე, იქ ერთად-ერთი სერიოზული საბუთი ჩვენს სასარგებლოთ ისაა, რომ მხარე <u>გეოგრაფიულათ და ეკონომიურათ საქართველოსთან არის მჭიდროთ დაკავშირებული.</u> პოლიტიკური ფორმულა, მისაღები, როგორც ჩვენთვის, ისე ადგილობრივ მცხოვრებთათვის <u>თვითმართველობაში გამოიხატება</u>.

ეს არის ტელეფონით მითხრა შჩუპაკმა,[2] რომ მას მოსვლია ამბავი თქვენი აუტანელ მდგომარეობაზე მორალურათ: ეწევიან თურმე თქვენს წინააღმდეგ ქვენა კომპანიას <u>რუსები</u>. ბურცევის[3] წერილი მეც წავიკითხე. ამიტომაა საჭირო თქვენც უზღოთ სამაგიერო. მერე რამდენი საბუთი გაქვთ კადეტების და ძველი რეჟიმის მოხელეების წინააღმდეგ! უნდა იშოვოთ ყოველ მიზეზის გარეშე საშუალება სწეროთ რომელსამე გაზეთში. მაგ., მიიღეთ თუ არა ზომა დაგეინტერესებიათ Qeuire-ი? თქვენ, როგორც მცოდნენი რუსეთის საქმეებისა, შეგეძლოთ დიდი სამსახური გაგეწიათ გაზეთისათვის და თქვენი საქმეც დაგეცვათ. არ შეიძლება <u>პასიურათ ყურება, ზიანს</u> მოგვიტანს. ზურაბიც[4] მანდა გყავთ, აგრეთვე ფრანგებიც, თანამშრომელად, ნუ თუ ვერ შესძელით ვერაფერი?

მე ძალიან მეშინია, რომ თქვენი პირველი საჯაროთ გამოსვლები ვერ მოახდენდა კარგ შთაბეჭდილებას მანდაურ ფაქტორებზე. თვითონ კაკი[5] მწერდა, ჩვენი საქმე დიპლომატიურათ და დახურულ კაბინეტში წყდებაო., სწორეთ ამიტომ უნდა აგეცდინათ თავიდან საჯარო მუსაიფი სოციალისტებთან „ინტერვენციაზე", ჩვენი „საბჭოების" ძლიერებაზე და სხ. სოციალისტებმაც დაამახინჯეს თქვენი ნათქვამი, „გისარგებლეს", როგორც კარლო იწერებოდა. თქვენ დაგავიწყდათ, რომ <u>სახელმწიფომ გამოგგზავნათ და არა პარტიამ</u>. ამას იმიტომ არ ვამბობ, თითქო არ უნდა გენახათ სოციალისტები... პირიქით, მხოლოდ სხვა სახით. მათი პრესსის ალაპარაკება ჩვენს შესახებ თავის თავად საჭირო იყო, უნდა ეცადოთ ხშირათ აწერინოთ **<u>ბოლშევიზმის</u>** შეუხებლათ.

---

[1] გამოდის, რომ ამ დროისათვის რუკა უკვე დაბეჭდილია და გავრცელებულიც. მასში, ალბათ, ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობით, მისი მონოგრაფიის საფუძველზე შედგენილი რუკა უნდა იგულისხმებოდეს [რედ].

[2] ამ პიროვნების შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ [რედ.].

[3] ამ პიროვნების შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ [რედ.].

[4] ზურაბ ავალიშვილი უნდა იგულისხმებოდეს [რედ.].

[5] კაკი – ირაკლი წერეთელი (1881-1959 წწ.) ქართველი პოლიტიკური მოღვაწე [რედ.].

გავიგე აგრეთვე, შეიძლება კაკის ამსტერდამიდან უკან დაბრუნების ნება არ მისცენო. ამ შემთხვევაში არასგზით არ წავიდეს იქ. მე მოგწერეთ, რომ საზოგადოთ ვშიშობ კაკის იქ წასვლამ ცუდი შთაბეჭდილება არ მოახდინოს მანდ. არც ისე დიდი ამბები წყდება იქ, რომ ამისათვის საქმე წავახდინოთ. მე გიგზავნით ამასთანავე ჩემგან გაგზავნილ წერილის ასლს ჰუისმანსთან,[1] ჩვენც რომ არ ჩავიდეთ, ისინი მიიღებენ რეზოლუციას და შემდეგ პარიზში თქვენ შეგიძლიათ აამოქმედოთ მათი აპარატი. მე უკვე ვითხოვე წასვლის ნებართვა და იმედია მივიღებ. ძლიერ საჭირო იყო კაკის იქ შეხვედრა, მაგრამ ამისათვის, ვიმეორებ, საქმე არ უნდა გააფუჭოთ, თუ ცოტა იჭვი გაქვთ. ხშირათ ყოფილა მაგალითი, რომ ფრანგები დაბრუნების ვიზას აძლევენ იმას, ვისი თავიდან მოშორება სურთ და შემდეგ კი მაინც არ უშვებენ უკან! მე ვფიქრობ, თუ მოხერხებულათ ეცდებით, შეიძლება მე მომცენ ადრე თუ გვიან მანდ ჩამოსვლის ნება. **მიმართეთ ინგლისელებს**, მათი დახმარებით მიიღო მგონი, ამის მომტანმა მანდ ჩამოსვლის ნებართვა. რასაკვირველია, ჩემი გულისათვის დიახაც არ გეჭირვებათ აშლა მთავრობასთან, მხოლოდ თქვენ გარდამეტებულ მნიშვნელობას აწერთ ჩემი „კომპრომეტაციას" ანტანტის თვალში. ის ღებულობს, როცა მათი ინტერესი მოითხოვს, ვილჰელმის[2] ყურმოჭრილ მონებსაც ყოფილ რუსეთიდან. მე კი, საზოგადოთ ჩვენი დელეგაცია, სრულიად უმწიკვლო იყო ბერლინში. ძალიან დავრწმუნდი, რომ ხშირათ ძალიან სასარგებლოა, როცა ჩვენს გარდა მოქმედებენ ჩვენი „ბურჟუაზიის" წარმომადგენლებიც. ამ მხრივ ბევრი გააკეთეს ზურაბმა[3] და ნიკომ[4] ბერლინში. საზოგადოთ მე ვამჩნევ თქვენ (არც კი აჩენთ გარეთ ზურაბს), მაშინ როდესაც ის ძალიან თავდაჭერილი, მტკიცე და მცოდნე მომლაპარაკებელია. არც ერთ რუსეთიდან ჩამოსულ დელეგაციას არა ყავს მაგისთანა მრჩეველი, თქვენ კი არ სარგებლობთ, ასეთია ჩემი შორეული შთაბეჭდილება.

გიგზავნი აქსელროდის[5] ძველ წერილს. აგრეთვე საქონლის სიას, ბერლინში შეძენილს. დათიკომ[6] უნდა მიიღოს ყოველი ზომა ინგლისელებთან წაგვაღებინონ ჩვენში. დააკვირდით, რა საჭირო საგნებია, თან უმნიშვნელო ინგლისელებისათვის. ველი ცნობებს. სალამი. აკ. ჩხენკელი.

---

[1] ჰიუსმანი (1871-1968 წწ.) – ბელგიელი პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე.

[2] ალბათ, იგულისხმება გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II (1888-1918 წწ) [რედ].

[3] ზურაბ ავალიშვილი უნდა იგულისხმებოდეს [რედ.].

[4] ნიკო ნიკოლაძე უნდა იგულისხმებოდეს [რედ.].

[5] აქსელროდი - უნდა იგულისხმებოდეს რუსი რევოლუციონერი (1850-1928 წწ) [რედ.].

[6] დავით ღამბაშიძე უნდა იგულისხმებოდეს [რედ.].

1919 წელი, 16 მაისი
ბერნიდან პარიზში

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 52. ფ. 7.[1]

16/V-19.
ბერნი

საქართველოს დელეგაციას პარიზში

გიგზავნით ორ მოხსენებას: ერთს საქართველოს წარმომადგენლისას ბერლინში და მეორეს თფილისის ტრამის მთავარ ინჟენერისას, რომელსაც აქვს სათითაოთ ჩემი წარწერა. პირად მოლაპარაკებიდან გამოირკვა ბერლინში, რომ ახმეტელი[2] არ თანხმდება წარმომადგენლობაზე, ხოლო ბაქრაძე[3] მზათაა კიდევ რამდენიმე ხანი დარჩეს, სანამ საქართველოს პოლიტიკური ბედი გადაიჭრება პარიზში. ისე კი გვარიან შეწყობილათ მუშაობენ ორივენი, ისე რომ წარმომადგენლობას საერთოდ შესაფერისი ალაგი უჭირავს. როგორც ირაკლისთან[4] მოვილაპარაკეთ ამსტერდამში, წარმომადგენელს მართლაც უნდა მიემატოს 2 000 მარკა თვეში, მაგრამ არა ჯამაგირად, არამედ <u>წარმომადგენლობისათვის</u> და ისიც იმ დრომდე, სანამ სამინისტროს სმეტაში არ იქნება განსაზღვრული მზგავსი ხარჯები. საჭიროა ამის შესახებ დელეგაციის დადგენილება. ბაქრაძის მიერ ნათქვამს მოხსენების ბოლოში ნუ მიექცევა ყურადღება, რადგან ჭორებზე უნდა ემყარებოდეს იგი. ტყვეების შესახებ მე იმავე აზრზე ვსდგევარ, რაც ამსტერდამში გამოვთქვით მე და ირაკლიმ: გემის შოვნა თქვენ უნდა იკისროთ, ვინაიდან იქ უფრო მოსახერხებელია და სახეირო ეს. დაყოვნება შეუძლებელია. საჭიროა უთუოთ ტყვეებთან ერთათ საქონელიც გაიგზავნოს, ამის ნებართვაზე განაგრძობენ ცდას ბერლინში. ინჟ. კაჩკერის[5] ვრცელ მოხსენებიდან გაიგებთ, თუ რამდენათ საჭიროა უსაჭიროეს საგნების ყიდვა გერმანიაში და ბოჰემიაში და აგრეთვე თუ რატომ არ შეიძლება ამ საგნების შეძენა სხვაგან. 250 000 მარკის მეტს ვერ გადავდებთ ყოველ შემთხვევაში და ისიც მაშინ, თუ ზავი შეიკვრის. საჭიროა თქვენი დადგენილება თანახმათ ჩემი წარწერისა. საჩქაროთ გამოგზავნეთ.

კოწიას ღია [წერილი] 8/V-19 დამხვდა, მაგრამ გაზეთის კომპლექტი და მანდატი ჯერ არ მიმიღია. საჭიროა მიიღოთ ზომა, რომ იტალიის „აპეკუნობა" საქართველოს თავიდან ააცილოთ. სამწუხაროა, მაგრამ აქამდისინ ვერ მოხერხდა თქვენი შინაურული მოლაპარაკება და შეთანხმება ინგლისელებთან. ან კიდევ, თუ ამერიკელები ლამობენ ანატოლიაში და ჩვენშიც მანდატორობას, როგორც ეს გაზეთებში იყო ნათქვამი, მაშინ საჭიროა მათთან მოლაპარაკება. თუ ჩვენ გვიცნობენ და მათ შექმნიან ერთგვარ საერთაშორისო გარანტიას, მე ვფიქრობ ჩვენ თამამათ შევიძლებთ ჩვენი არსებობის დაცვას და სახელმწიფოს მოწყობას ნეიტრალურ ქვეყნების დახმარებით. ინგლისის პარლამენტში ყოფილა შეკითხვა ჩვენს შესახებ, მთავრობის პასუხი მე სახეიროთ მიმაჩნია ჩვენთვის, თუმცა გამორკვეული არაა. მარტო აღიარება ჩვენი ფაქტიური არსებობისა და დამფუძნებლის მოწვევისა უეჭველი ნაბიჯია წინ. სჩანს ჩვენმა მთავრობამ მეტი ნდობა ჩაუნერგა ინგლისელებს ჩვენში. მიაქციეთ ყურადღება „მორნინგ პოსტის" და

---

[1] ამ წერილის მეორე პირი იხ. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 51. ფ. 12.
[2] ვლადიმერ ახმეტელი (ახმეტელაშვილი) – (1875-1942 წწ.) საქართველოს ელჩი გერმანიაში [რედ.].
[3] ამ პიროვნების შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ [რედ.].
[4] ალბათ, ირაკლი წერეთელი იგულისხმება [რედ.].
[5] ამ პიროვნების შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ [რედ.].

„ტაიმსის“ ჩმახვას ჩვენს შესახებ, მიკვირს, რომ პრესას ნაკლებ ყურადღებას აქცევთ, ეს დიდი შეცდომაა. მე ძალიან მეშინია, რომ „ოთხთა თათბირმა“ თუ მისგან დანიშნულმა კომისიამ უჩინარათ არ გადაჭრას ჩვენი და სომხების საზღვრების საკითხი, როგორც ამას სჩადიან გერმანიის და ყოფილი ავსტრო-უნგრეთის ხალხთა მიმართ. ადვილად შესაძლებელია მათ ცალმხრივათ დაეყრდნონ სომხების ცნობებს და შესრულებული ფაქტის წინაშე დაგვაყენონ, ეს ნიშნავს ჩვენს დაღუპვას. გმართებთ განსაკუთრებული სიფხიზლე ამ მხრივ. მთელის მხნეობით ეცადეთ გააცნოთ სათანადო პირებს, ვისაც ჩვენი საქმეები აბარია, საქმის ვითარება.

ველი პასუხს ირაკლიზე დაბარებულ კითხვებზე, აგრეთვე დადგენილებებს. სუმბათაშვილი საჩქაროდ უნდა დაბრუნდეს. უამისოთ აქ დაწყებული საქმე ჩაიფუშება, მე არაფერი გამეგება ამისი. სალამი. აკ. ჩხენკელი.

1919 წელი, 28 მაისი
ბერნიდან პარიზში

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 52. ფ. 8.[1]

28/V-19.
ბერნი.

საქართველოს დელეგაციას პარიზში

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ორიოდე სიტყვა მოგწეროთ. ვგრძნობ, რომ დაგვიდგა გადამწყვეტი და თანაც საბედისწერო მომენტი. კოლჩაკის[2] ცნობა და მის მოგზავნილების კონფერენციაზე დაშვება მხოლოდღა ორიოდე დღის საკითხია, რომელიც ალბათ გამოქვეყნდება, როგორც კი პეტროგრადს აიღებენ. ანტანტის განზრახვა აშკარათ რესტავრაციაა ძველი რეჟიმისა რუსეთში, სხვაგვარ არც კი შეიძლება დემოკრატიულ ძალების უძლურების გამო, მაშასადამე, ჩვენ მოგველის ძველი უღელი გაერთიანებულ რუსეთში. როგორ შეგვიძლია ამ საშინელებას დავაღწიოთ თავი? აშკარაა, საკუთარის ძალით ამას ვერ შევძლებთ: ერთის მხრით დენიკინი,[3] ზურგ-გამაგრებული ჩრდილოეთიდან, მეორეს მხრით საეჭვო მეზობლები, შიგნითაც არა ვართ მტკიცე და ფინანსურათ გაკოტრებული ვართ. ამ პირობებში შეუძლებელია სხვის დაუხმარებლათ არსებობა. საქართველო, საუბედუროთ, ყველაფერში გამონაკლის წარმოადგენს, ეხმარებიან ყველას, მხოლოდ მას არა. მე დიდი იმედი მქონდა, რომ ადგილობრივ ჩვენი მთავრობა შეძლებდა გამორკვეული და მკვიდრ დამოკიდებულების შექმნას ინგლისელებთან, დააინტერესებდა მათ ჩვენით, მოიგებდა მათ გულს. უეჭველათ, სანამ ინგლისელები ჩავიდოდნენ ჩვენში, მათ ქონდათ განზრახვა ხელი შეეწყოთ ჩვენთვის და მეზობლებისათვის დამოუკიდებლობის საქმეში, მხოლოდ ამით უნდა აიხსნებოდეს ლონდონში გამოცემული ოფიციალური ნოტა.

თქვენ გეჭირვებათ, ჩემის აზრით, გარკვეული გეგმა და მტკიცე ნაბიჯები. ვშიშობ, რომ ბევრი დრო დაჰკარგეთ ცდაში, თან თქვენი მუდმივი მიმოსვლა უცხო ამხანაგებთან აღიზიანებდა ღვარძლიან მოხუცს.[4] უნდა დაისვას ნათლათ კითხვა: რა ემჯობინება,

---

[1] ამ წერილის მეორე პირი იხ. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 51. ფ. 13.
[2] ალექსანდრე კოლჩაკი (1874-1920 წწ.) – რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე [რედ.].
[3] ანტონ დენიკინი (1872-1947 წწ.) – რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე [რედ.].
[4] შესაძლოა, აკ. ჩხენკელი აქ ნოე ჟორდანიას გულისხმებოდეს [რედ.].

მანდატი თუ რუსეთის ქაოსში ჩავარდნა? მანდატი, რა თქმა უნდა. მე არ მეშინია იმისიც, თუ გინდ ინგლისმა შეკვეცოს ჩვენი შინაური მმართველობაც, ვინაიდან იმას მხოლოდ დროებითი ხასიათი ექნება და მანდატი კიდევ არ გვისპობს საშუალებას საერთაშორისო ნიადაგზე ვეცადოთ საქმის გამოსწორებას. დემოკრატიის გაძლიერება უეჭველია ინგლისში და სხვაგან, მაშ მოკავშირეთაც ვიშოვით. იმავე დროს ინგლისი ფეხზე დაგვაყენებს ეკონომიურათ. მე არა მჯერა და ვერც დავიჯერებ, რომ ინგლისს არ ქონდეს ინტერესი ჩვენს გამოყოფვაში[1] და დამოუკიდებლობაში, უამისოთაც კი ჩამოვიდოდა ჩვენში, მისი აქტივობა ჩრდილოეთშიც მაჩვენებელია იმისი, რომ ის მოსთხოვს რუსეთის რეაქც[იულ] მთავრობას გასამრჯელოს. მაგრამ დრო ისეთია, რომ მას არ შეუძლია აშკარა ანექსია გაუკეთოს რუსეთის ამა თუ იმ ნაწილს. საჭიროა თვით ერები მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას და მიმართავდნენ მას დასახმარებლათ. ამ საპასუხისმგებლო მომენტში მე მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს გთხოვოთ: <u>ნუ დაიყოვნებთ ერთ წუთსაც, ინახულეთ ინგლისის ხელმძღვანელნი და სთხოვეთ მათ იკისრონ ჩვენი მანდატობა</u>. იგივე უნდა ჰქნან თათრებმა და მთიულებმა, თუ არ უნდათ ხელიდან გამოეცალონ ყველაფერი. ფორმა და ხასიათი თქვენი ნაბიჯებისა დამოკიდებულია მანდაურ პირობებზე, მე ვამბობ მხოლოდ, რომ რყევა და ყოყმანი შეუძლებელია, საჭიროა გეგმა და სისტემატიური მუშაობა. ნუ დაივიწყებთ, ინგლისს არც კი ეჭირვება ჯარები იყოლიოს ჩვენში, საჭიროა მხოლოდ მისი სახელი და ეკონომიურ-ტეხნიკურ-ფინანსური დახმარება. საჭიროა განუწყნარებელი ლაპარაკი პატარა პირებთან, ვინც ამუშავებს მასალას და მოხსენებებს აკეთებს. იტალიასთან ლაპარაკი სახიფათოა, თვით კაცის გაგზავნაც რომში, ორპირობას დაგვწამებენ.

მეტი ვერ დავწერე, წამომღები მიდის. გაზეთები და მანდატი გუშინ მივიღე. სალამი. აკ. ჩხენკელი.

1919 წელი, 31 მაისი
ბერნიდან პარიზში

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 52. ფ. 9.[2]

31/V-19.
ბერნი

საქართველოს დელეგაციას პარიზში

ხელახლავ მეძლევა შემთხვევა, რომ მოგწეროთ. ისეთ მოუსვენრობას ვგრძნობ, რომ წერას ვაყოლებ გულს! რუსეთის კითხვა წყდება და თქვენი კი არაფერი <u>ისმის.</u> გადაეცით თუ არა კიდევ ნოტა უმთავრეს დელეგატებს? საჭიროა უთუოთ ხმის ამოღება, რომ ჩვენს უკან არ გადაწყვიტონ ჩვენი ბედი. ნოტა ძლიერ მტკიცეთ უნდა იქნეს შედგენილი, უნდა ითქვას კატეგორიულათ, რომ მხოლოდ <u>იარაღით</u> შეიძლება ჩვენი ერის თავისუფლების და <u>დამოუკიდებლობის</u> გაუქმება, რომ მან უკვე გამოთქვა თავისი გადაჭრილი სურვილი დამფუძნებლის დადგენილების სახით, რომ ის მზათაა, თუ მოსთხოვენ, პლებისციტით დაადასტუროს თავისი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი. საჭიროა, მე ვფიქრობ, საზოგადო მოსაზრებაც იმის შესახებ, თუ რამდენათ აუცილებელია რუსეთისათვის საქართველო: ეს უკანასკნელი არ ეღობება რუსეთის

[1] ასე წერია [რედ.].
[2] ამ წერილის მეორე პირი იხ. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 51. ფ. 14.

არც ეკონომიკურ, არც პოლიტიკურ განვითარებას, მას აქვს საკუთარი გასავალი როგორც შავ, ისე კასპიის ზღვაზე. მეორეს მხრით, მთელი ჩვენი მომავალი მჭიდროთაა დაკავშირებული პირდაპირ მიმოსვლასთან დასავლეთ ევროპასთან; თუ ბარბაროსულ და ფეოდალურ დროს ვახერხებდით დამოუკიდებლათ ცხოვრებას, ახლა მით უფრო მოვახერხებთ ერთა კავშირის ეპოქაში, რომელიც, რაც უნდა არ გადაეღობოს იმპერიალიზმ-მილიტარიზმი, ჩქარა მომავალში უნდა დადგეს, ვინაიდან ამას თხოულობს თვით ცხოვრება.

ი-ს[1] ცალკე უნდა გაახსენოთ მათგან მოცემული წერილობითი დაპირება, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა ყოველ მიზეზს გარეშე მიაღწიოთ მათთან საიდუმლო მოლაპარაკებას და შეთანხმებას. შეიძლება უკეთესი ყოფილიყო ვინმე თქვენგანი მათ დედაქალაქში წაულიყო და იქ ემოქმედნა. საზოგადოთ, თუ ამ მომენტში გაუბედაობა და რყევა გამოიჩინეთ, შეიძლება სამუდამოთ გაფუჭდეს საქმე. მე მიკვირს, რომ პრესსაში სულ ვერაფერი მოახერხეთ. ნუთუ მთელს პარიზში არ არის ისეთი ცნობილი მწერალი, რომელსაც გამბედაობა შესწევდეს და თან ჩვენს სამართლიან საქმეს სიმპათიით შეხედოს? უნდა ეძიოთ, დაიხმაროთ სხვებიც. თქვენ შეგეძლოთ პარლამენტიც გამოგეყენებიათ, განა ალბერ თომას[2] არ შეეძლო შეკითხვა შეეტანა დენიკინის შესახებ, რომელიც ემუქრება კავკასიის რესპუბლიკებს? განა არ შეეძლო მას ეთქვა რამე თავისუფალ პატარა ერების სასარგებლოთ? რატომ არ მოსთხოვთ უფრო ენერგიულათ „ჰუმანიტეს", რომ გამოვიდეს ერთხელ მაინც? როცა კითხვა დიპლომატიურათ წყდება, საჭიროა ყოველი ზომა იხმაროთ, რომ რამე გავლენა მოახდინოთ გადამწყვეტებზე. ჯერ თქვენ ჰაუზიც[3] არ გინახავთ, არც ერთი დელეგაციის ხელმძღვანელი, ვაი თუ მათ არც არაფერი იციან, არ მოახსენეს, ან ცუდათ მოახსენეს. მე მეშინია, თქვენი დუმილი უღონობად არ ჩაგითვალონ, ან კიდევ „სოციალისტურ ტაქტიკად", ვითომ თქვენ არ გსურთ „ბურჟუებთან" ლაპარაკი. ერთი სიტყვით, გამონახეთ გზა და საშუალება აცნობოთ ხმამაღლა ევროპას, რომ არსებობს თავისუფალი სახელმწიფო საქართველო, რომელსაც სერიოზულად სურს დამოუკიდებელი დარჩეს. პირდაპირ წარმოუდგენელია, რომ ძალმომრეობა იხმარონ, თუ იციან ვითარება, თუ გვიცნობენ. – გიგზავნით სტოკჰოლმის წარმომადგენლის ბ. ჭუმბაძის[4] ანგარიშის ასლს. აუცილებელია მეზობლების დელეგაციებთან შეთთანხმებული მუშაობა, ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული. ა. ჩხენკელი.

---

[1] ასე წერია. უცნობია თუ ვის გულისხმობს ა. ჩხენკელი. კონტექსტიდან გამოდინარე შეიძლება ინგლისი ვივარაუდოთ [რედ.].

[2] ალბერ თომასი (1878-1932 წწ.) – ფრანგი პოლიტიკოსი [რედ.].

[3] ჰაუზი - ევროპელი პოლიტიკოსი. ზუსტი ვინაობა ვერ დავადგინეთ [რედ.].

[4] ა. ჭუმბაძე (1880-1971) – საქართველოს წარმომადგენელი სტოკჰოლმსა და ანკარაში [რედ.].

1919 წელი, 5 ივნისი
ბერნიდან პარიზში

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 52. ფ. 10.[1]

5/VI-19.
ბერნი

საქართველოს დელეგაციას პარიზში

ამით ვაგზავნი ბერლინის ეკონომიურ კომისიის თავმჯდომარის ბ. ბაქრაძის ანგარიშს დამატებით. საჭიროა იგი დაკვირვებით გასინჯულ იქნას და შესაფერისი დადგენილებანი დელეგაციისა დროზე გამოიგზავნოს.

სამწუხაროა, რომ დელეგაციამ ვერ მოახერხა ტყვეებისათვის გემის დაკვეთა, რაც მისთვის უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო და ხაზინისათვისაც უფრო სახეირო. ბ. სუმბათაშვილმა ჩემდაუნებურათ მოგმართათ დეპეშით კომისიას ნება დაერთო.

აუცილებლათ საჭიროა დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ თქვენი დადგენილება შესახებ თფილისის ტრამის, ელექტრონის სადგურის და წყალსადენისათვის აუცილებელ საგნების ყიდვა გერმანიაში. ვრცელი მოხსენება მთავ. ინჟ. კაჩკერისა წინასწარი სმეტით კარგა ხანია გამოგეგზავნათ.

კომისიამ რამდენჯერმე ითხოვა და ეხლაც თხოულობს გამოირკვეს მის წევრთა მდგომარეობა. დელეგაციამ უნდა დაადასტუროს, ჩემის აზრით, ჩემ თავმჯდომარეობით მომხდარ სხდომის ოქმი ამ საკითხზე: ე. ი. ეკონომიურ კომისიის წევრები უნდა გაემგზავრონ საქართველოში, ვინც დარჩება, სამსახურს თავი უნდა დაანებოს და მიიღოს ერთი თვის ჯამაგირი საჩუქრათ. სხვა ქართველები, ვინც დღეს დახმარებას საჭიროებს, სტუდენტების გარდა, უნდა წავიდნენ პირველ შემთხვევისთანავე სამშობლოში, სამგზავრო ხარჯის მიცემით.

დელეგაციამ არ მოიწერა თავისი დადგენილება ბერლინის წარმომადგენლის ჯამაგირის შესახებ. ჩემი აზრი ასეთი იყო: მიეცეს ჯამაგირი თვეში 2 000 მარკა, ხოლო წარმომადგენლობისათვის კიდევ 2 000 მარკა თვეში. ყველა ეს დროებით, სანამ საათანადო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაში არ შევა ეს მუხლი.

ველი პასუხს იმ კითხვებზე, რომელიც წერეთელმა ჩაიწერა ამსტერდამში. ველი აგრეთვე ცნობებს თქვენი პოლიტიკურ ნაბიჯების შესახებ. სალამი. აკ. ჩხენკელი

[1] ამ წერილის მეორე პირი იხ. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 51. ფ. 15.

1919 წელი, 2 ოქტომბერი
ჟენევიდან პარიზში

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 53, ფ. 1.[1]

,,ჟენევა, 2.10.19.

საქართველოს დელეგაციას პარიზში

ამასთანავე გიგზავნით ერთი ნოტის პირს, საიდანაც გაიგებთ, რომ არგენტინის მთავრობას უცვნია ფორმალურათ საქართველოს დამოუკიდებლობა. გარდა ამ ცნობის პრესაში გამოქვეყნებისა, მე ვფიქრობ საჭიროა ჩვენმა დელეგაციამ ინახულოს არგენტინის ელჩი პარიზში და მადლობა გამოუცხადოს მის მთავრობას. მე ვთხოვე რომში, რომ უმავთულო დეპეშით გადაეცათ ეს ამბავი ჩვენს მთავრობისათვის, მაგრამ, ვინაიდან არ ვიცით გაიგზავნება თუ არა ის, საჭიროა დელეგაციამც გაგზავნოს ინგლისის თუ საფრანგეთის საშვალებით. ჩვენ შეგვეძლო ამის გარდა, გვესარგებლნა ამ შემთხვევით და ელჩი გაგვეგზავნა არგენტინაში, რომ მას შეძლებოდა იქიდან შეერთებულ შტატებში წასულიყო სამოქმედოთ. გარდა ამისა, ეკონომიურ დაახლოვებაც არის საჭირო, განსაკუთრებით იმ იზნით, რომ არგენტინის ულეველ პურით ჩვენც გვესარგებლნა. გთხოვთ მისწეროთ მთავრობას და თვითონაც იმსჯელოთ.

გუშინ ჩამოვედი ბერნიდან სრულად მომზადებული ვიზებით და სხვებით რომში გასამგზავრებლათ და დამხვდა ყიფიანის ქალის[2] წერილი, საიდანაც ვტყობილობ: იტალიის სამინისტროში უთქვამთ, რომ მოვიდა დეპეშა თფილისიდან ,,საქართველოს მისია ამ კვირას სტამბოლიდან რომში გაემგზავრებაო". თუ ეს გამართლდა, მაშინ მისია დღეს, ხუთშაბათს, უნდა ჩასულიყო რომში. მე ყოველ შემთხვევისათვის დეპეშით შევეკითხე რცხილაძეს,[3] აგრეთვე ვთხოვე ყიფიანის ქალს, ეცნობებია მისიის ჩამოსვლა. მაშასადამე, ჩემი რომში გამგზავრება მეტია, ეს მით უფრო, რომ 10-15 დღეში იქ საეჭვოა პოლიტიკური კრიზისი განელდეს, შეიძლება უარესათ გამწვავდეს. მე ვუცდი დელეგაციის ინსტრუქციას. ჩემი აქამდის წაუსვლელობის მიზეზი, როგორც კარლოს ვწერდი, ნებართვის დაგვიანება იყო.

მე ვფიქრობდი ასათიანის[4] რომში წაყვანას, მასაც მოუვიდა ნებართვა, მაგრამ ეს არ ხდება. ამიტომ მე მომივიდა ერთი აზრი: ის პარიზში გაიწვიოთ ჟორჟოლიანის[5] მაგიერ. ჩემის შთაბეჭდილებით, მას შეუძლია იგივე როლი იკისროს, რასაც ჟორჟოლიანს აკისრებდით იმ უპირატესობით, შეიძლება, რომ ის თან იურისტია და აქვს უნარი თავის სპეციალურ სფეროში ნაყოფიერათ იმუშავოს. შეიძლება დელეგაციამ არ გადაუხვიოს თავის ადრინდელ აზრს და საჭიროთ დაინახოს მისი სტამბოლში გაგზავნა დამხმარედ რცხილაძესთან, – ამ შემთხვევშიც დელეგაციამ უნდა მაცნობოს თავისი დადგენილება. ჟორჟოლიანი რომ პარიზში ჩაეშვათ, მაშინ რა თქმა უნდა, ასათიანი აქ დარჩებოდა, ხოლო ორივეს გაჩერება აქ უხერხულია, როცა სხვაგან ძალები გვეჭირვება.

---

[1] ამ წერილის მეორე პირი იხ. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 51. ფ. 25 [რედ.].

[2] ყიფიანის ქალი – ვინაობა ვერ დავადგინეთ [რედ.].

[3] გრიგოლ რცხილაძე (1876-1934 წწ.) – საქართველოს დელეგაციის წევრი, რომელიც კონსტანტინეპოლიდან პარიზში არ გაუშვა საფრანგეთის ხელისუფლებამ და კონსტანტინეპოლში დარჩენილ დელეგაციის წევრებს ხელმძღვანელობდა [რედ.].

[4] ასათიანი სოსიპატრე (1872-1971 წწ.) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი [რედ.].

[5] ჟორჟოლიანი - ვინაობა ვერ დავადგინეთ [რედ.].

მე მივწერე ბ. თუმანიშვილს[1] და ახლაც ვიმეორებ ჩემს თხოვნას: 2 000 ცალი ჩვენი რუქა გამომიგზავნეთ.[2] აგრეთვე კაკის[3] სიტყვა რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე გთხოვთ გამომიგზავნოთ. დიდი ხანია, არ მომსვლია გაზეთები, თუ მოგივიდათ, ჩვენც გაგვიზიარეთ ნაწილი მაინც. სალამი. აკ. ჩხენკელი.

გამოგვიგზავნეთ 20 ცალი დელეგაციის მემუარისა.''

[1] თუმანიშვილი - ვინაობა ვერ დავადგინეთ [რედ.].

[2] აქ საუბარი უნდა იყოს ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობით შექმნილ საქართველოს საზღვრების რუკაზე [რედ.].

[3] ასე ეძახდნენ ირაკლი წერეთელს [რედ.].

1919 წელი, 17 ოქტომბერი
ჟენევიდან პარიზში

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი,
ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 53, ფ. 2-3.[1]

,,ჟენევა, 17.10.19.

საქართველოს დელეგაციას პარიზში

გუშინ მივიღე საბახტარაშვილის[2] დეპეშა რომიდან, სადაც მატყობინებს 15.10 ჩამოვედითო (მის გარდა: ვოიტინსკი,[3] ჯაყელი,[4] გედევანიშვილი)[5] და განაგრძობს ,,ayaut communications trouve necessaire votre arrive". ვინაიდან ეს ერთი კვირაა, რაც არ ვარ კარგათ, ამიტომ ვუპასუხე, რომ ჩავალ შემდეგ კვირაში, თუ მართლა აუცილებელია ჩემი ჩასვლა. ვუცდი პასუხს. ვიზა უკვე მაქვს და ადვილიცაა 1-2 კვირით ჩავიდე. თან მივწერე, თანახმად კარლოს დეპეშისა, ტყვეების[6] შესახებ მიიღონ ზომები. ჩემის აზრით, თუ სხვა გზა არაა, შეგვიძლია ეს ორიოდე ტყვე ჩვენის ხარჯით გავისტუმროთ ტარანტოდან.[7]

აქვე უდებ პატარა ნაგლეჯს, სადაც აღნიშნულია ცნობა, თუ როდის გამოგზავნა აქაურმა საკონსულომ საფრანგეთის საგარეო სამინისტროში ასათიანის შუამდგომლობა. საჭიროა ვინმემ შეიაროს სამინისტროში საქმის დასაჩქარებლათ. სამხედრო წესები უკვე მოიხსნა და ალბათ გაადვილდებოდა ნებართვის მიღება. როგორც კი მისცემენ ვიზას, ასათიანი წამოვა.

კანდელაკის შესახებ ძალიან სამწუხაროა, რომ დელეგაცია არ იწერება თავის აზრს. თუ მას ეფიქრება, რომ ეს საქმე მის კომპეტენციაში არ შედის, ჩემსაშიდაც მით უფრო არ უნდა შედიოდეს. მეორეს მხრით კი კანდელაკი დღესაც სავაჭრო სამინისტროს მოსამსახურედ ითვლება და, როგორც ასეთის, მისი შინ დაბრუნებაც არანაკლებ 2 000 ფრ[ანკი] დაჯდება. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა ამას ცოტა რამ დამატებოდა, თან 4 000 მარკის შეღავათიანი დახურდავება და ასე გაგვესტუმრებია ამერიკაში. ის ამჟამად ჩემს ანგარიშებს აწყობს ბუჰალტერიის წესზე და გასამგზავრებელი ბილეთიც ალბათ ნოემბერში მოუვა, რომელიც უკვე დაკვეთილი აქვს. კარგი მოძრავი ყმაწვილია. აქვს, როგორც ვფიქრობ, თავის სპეციალობის ინტერესი და უნარი. შეიძლება ინფორმაციაც მოგვაწოდოს ამერიკიდან. ამიტომ განმეორებით ვითხოვ თქვენს დასტურს. გასტუმრება ჩემი თანხიდან მოხდება.

მე არ შემიძლია დავეთანხმო დელეგაციას მეორეხარისხოვან სახელმწიფოებში ჩვენი დიპლომატიურ აგენტების ყოლის შესახებ. ჯერ ერთი, ბუქარესტი და სტოკჰოლმი ერთმანეთში არაა ასარევი. ბუქარესტს de facto არ უცვნია ჩვენი დამოუკიდებლობა. ასათიანი იქ იყო მთავრობის ბრძანებით დროებით, და თუ მე მოვითხოვდი მისი იქ ყოფნის გაგრძელებას, სახეში მქონდა ინფორმაციული მუშაობა. სტოკჰოლმში წარმომადგენლობის ყოლა შედეგია ჩემი წინადადებისა, როგორც საგარეო მინისტრისა იმ დროს, და შვეციის მთავრობის დადებითი პასუხისა. ასე იყო დანიის მთავრობის

---

[1] ამ წერილის მეორე პირი იხ. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე № 51. ფ. 23-24.

[2] საბახტარაშვილი კონსტანტინე (კოწია) (1884-1938 წწ.) - ქართველი დიპლომატი [რედ.].

[3] ვოიტინსკი ვლადიმერ (1885-1960 წწ.) – რუსი პოლიტიკოსი. ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ დაუკავშირდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს [რედ.].

[4] ჯაყელი – ქართველი სოციალ-დემოკრატი, დიპლომატი [რედ.].

[5] გედევანიშვილი - ვინაობა ვერ დავადგინეთ [რედ.].

[6] იგულისხმება ქართველი მებრძოლები, რომლებიც პირველ მსოფლიო ომში ჩავარდნენ ტყვედ [რედ.].

[7] ქ. ტორონტოს ამ ფორმით ახსენებს [რედ.].

მიმართაც. მაშასადამე, ამ ორ სახელმწიფოში ჩვენი წარმომადგენლობის გაუქმება შესაძლებელია ოფიციალურ ნაბიჯის გაკეთების შემდეგ. ისე უსიტყვოთ წარმომადგენლის წასვლა მიუტევებელი ცუღლუტობა იქნებოდა. იმასაც ნუ დავივიწყებთ, ჭუმბაძე საგარეო მინისტრის გეგეჭკორის ტელეგრამით არის დანიშნული ნაცვლად მ. წერეთლისა.[1] მე ვფიქრობ, ამ წუთში. როცა ნეიტრალურ სახელმწიფოებში ენერგიული მუშაობაა საჭირო ჩვენი ცნობის ნიადაგზე, მართლაც მიზანშეუწონელი იქნებოდა სკანდინავიაში ჩვენი წარმომადგენლობის გაუქმება. პირადათ ჭუმბაძეს არ ვეხები, შეიძლება სხვას მეტიც გაეკეთებინა, მაგრამ მარტო ფაქტი ჩვენთან საერთაშორისო დამოკიდებულებისა სკანდინავიის სახელმწიფოებისა და ჩვენი წარმომადგენლის მათთან ყოლისა ზედმიწევნით დადებითი მოვლენაა, რაც არა მგონი არ ღირდეს იმდენი მაინც, რაიც წარმომადგენელზე იხარჯება (თვეში 2 000 ფრ[ანკი]). ყოველ შემთხვევაში, თუ დელეგაცია მაინც თავის აზრზე რჩება, მას შეუძლია ნაბიჯებიც გადადგას მთავრობის სახელით შვეციის და დანიის მთავრობათა წინაშე. – მე კი ამის უფლება არა მაქვს და არც ვიზამდი კიდეც რომ მქონდეს. ე.ი. ნდობის საკითხად გავხდიდი. მოსალოდნელია ჩვენი საკითხი არც კი დაისვას კონფერენციაზე და პირდაპირ ერთა კავშირს გადაეცეს. ამ შემთხვევაში ნეიტრალურ სახელმწიფოებს დაუფასებელი სამსახური შეუძლიათ გაგვიწიონ. სკანდინავია აფასებს თავისთავისა და ჩვენს დამოკიდებულებას.

სტოკჰოლმის საკითხი სხვა საკითხსაც სვამს. შეიძლება ჩვენი შვეიცარიაში ყოფნაც არ იყოს მიზანშეწონილი, მით უფრო, რომ აქ შედარებით გაცილებით მეტი იხარჯება. დელეგაციის თითოეული წევრი მიცნობს პირადათ და სწორედ ამიტომ ვსვამ ამ საკითხს, დარწმუნებული, რომ ჩხირკედელაობად არ ჩამეთვლება. ჩემი შთაბეჭდილებით, დელეგაცია პარიზის არაჩვეულებრივ ატმოსფერის გავლენით არ უწევს სათანადო ანგარიშს პროპაგანდა-აგიტაციის მნიშვნელობას ნეიტრალურ სახელმწიფოებში, სადაც თვითეულ დიდ სახელმწიფოს ჰყავს თავისი განსაკუთრებული აგენტები და ღებულობს მათგან სისტემატურ ცნობებს ამა თუ იმ საერთაშორისო საკითხებზე. არგენტინის ცნობას დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს, ჩემის აზრით, საჭიროა მის მაგალითს მიბაძონ სხვებმაც, რაც სულაც არაა მოულოდნელი. შვეიცარიის დეპარტამენტში უკვე არის ლაპარაკი ჩვენი ცნობას შესაძლებლობაზე. ამიტომ, თუ ბ. სუმბათაშვილი მოიცლის ერთი კვირით ბერნში ნიადაგის გასასინჯავათ, ურიგო არ იქნება. მაგონდება ერთი აქაურ რედაქტორის ნაამბობი, თუ როგორ მოხერხდა ვენის კონგრესზე ჟენევის ცნობა და მისი კონფედერაციაში შესვლა. ჩვენ აბა ვინ მიგვიშვებდა, ამბობდა ის, დიდ სახელმწიფოების დელეგატებთან, მით უფრო ნაკლებ გვირგვინოსნებთან, ჩვენი დელეგატები დაძრწოდნენ სხვადასხვა სახელმწიფოებში, ხმაურობდნენ პრესაში, იჭერდნენ საქმეს უბრალო მდივნებთან, დიპლომატიურ კურიერებთანაც, შოულობდნენ ჩამჩურჩულებლებს სხვადასხვა წრეებში, სახვადასხვა სალონებში, ერთი სიტყვით, არ ერიდებოდნენ არავითარ მცირე ნაბიჯს, რომ ყურადღება მიექციათ თავიანთ საქმიზა... რა თქმა უნდა, ახლა სხვა პირობებია და მოქმედებაც ხშირათ სხვანაირია საჭირო, მხოლოდ მოვიგონე ეს ნაამბობი იმის ხაზგასასმელათ, რომ ჩვენი დელეგაცია, ჩემის შთაბეჭდილებით, ხშირათ რომელიმე დიდ და ძლიერ სახელმწიფოს დელეგაციას წაგავს, რომელსაც არ ანაღვლებს არც ცნობის, არც ფინანსურ გაკოტრების და არც მიწიდან აღგვის საკითხი. მე ვფიქრობ, აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს პროპაგანდა-აგიტაციის საქმეს. შეიძლება მე ვცდები, მაგრამ სანამ ამას არ დამიმტკიცებენ, მე, მაგ., პირდაპირ დიდ დანაშაულად ვთვლი კაკის ლონდონში წაუსვლელობას, პარიზის გავლენიან წრეებთან მუდმივ შეხვედრების მოუწყობლობას, პრესის უყურადღებობას და სხვა. ახმეტელი[2] იყო აქ რამდენიმე დღით. ჩვენ დამოკიდებულება მთავრობის წევრებთან მეტის-მეტათ კარგია. ბევრიც იწერება ჩვენზე პრესაში. გადავწყვიტეთ ერთი

[1] მ. წერეთელი – მიხაკო წერეთელი (1878-1965 წწ.) ცნობლი მეცნიერი და პოლიტიკოსი [რედ.].
[2] ახმეტელი ლადო (ვლადიმერი) (1875-1942 წწ.) – ქართველი დიპლომატი [რედ.].

ძალიან დახელოვნებულ ადამიანის აყვანა უფრო ნორმალურ ნიადაგზე დასაყენებლათ ინფორმაციის საქმისა. აქ ორიენტაცია იცვლება რუსეთის გაერთიანების სასარგებლოთ. მხოლოთ განსაკუთრებული ალაგი უჭირავს ამიერკავკასიას და საქართველოს. სწორეთ იმიტომ, რომ შეიძლება ჩქარა მომავალში იქაურ მთავრობას მეტი ხმა მიეცეს საერთაშორისო კონცერტებში. ჩვენც ვცდილობთ განწყობილება რაც შეიძლება კარგი დავიჭიროთ, რა თქმა უნდა, ისე კი, რომ სხვებმა რამე საეჭვო არ დაინახონ. გარდა ამისა, ვინაიდან საქონლის ფასები იწევს და კურსი კი ეცემა, გადავწყვიტეთ ნახევარ მილიონის კიდევ შევიძინოთ სამეურნეო იარაღები, მედიკამენტები, საქსოვი იარაღები. ერთი სიტყვით, რაც სხვაგან არ იშოვება ან უფრო ძვირათ დაჯდება. შეთანხმების კომისია ძლიერ კარგად ეპყრობა ჩვენს წარმომადგენლებს და ყიდვაც მისი დასტურით მოხდება.

ვგზავნი ორ ქაღალდს ეკონომიურ კომისიის[თვის] გადასაცემათ. ბ. სუმბათაშვილმა[1] იცის ორივე საქმე. საჭიროა უთუთ კომისიამ იქონიოს საჩქაროთ მსჯელობა და თავისი აზრი მომაწოდოს.

სალამი. აკ. ჩხენკელი

[1] სუმბათაშვილი მიხეილ (1885- ?) – ქართველი დიპლომატი [რედ].

5. ევროპაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო წარმომადგენლის აკაკი ჩხენკელის წერილები გრიგოლ რცხილაძეს კონსტანტინეპოლში

1919 წელი, 2 ოქტომბერი
ჟენევიდან კონსტანტინეპოლში გ. რცხილაძეს

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 91, ფ. 1.

ჟენევა, Britishpension, 26 B/d des Philosophes
14/ VII. -19.

დიდათ პატივცემულო ბატონო გრიგორ,

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ რამდენიმე სიტყვით მოგაწვდინოთ [ხმა]. ამის მომტანი ქართველი მაჰმადიანი იზმაილ ლორთქიფანიძე, რომელიც 7 წელი გარეთ ყოფილა, ბრუნდება ოსმალეთში და პირადათ გინახულებთ.

თქვენგან არაფერი მსმენია, რასა იქთ, როგორაა ჩვენი საქმეები? მე იმედი მაქვს, თქვენ შეგეძლოთ, ვინაიდან სტამბულში იმყოფებიან მოკავშირეთა სამხედრო სარდლები აღმოსავლეთისა, სამსახური გაგეწიათ ჩვენი საერთო საქმისათვის იმ მხრივ, რომ შეგეტანათ ჩვენსა და მოკავშირეთა დამოკიდებულებაში ადგილობრივ მეტი გაგება და თანხმობა. როგორც მოგეხსენებათ, მდგომარეობა ძლიერ გართულდა თფილისში, ლამის აშკარა მტრობით დათავდეს ჩვენი და ინგლისელების შეხვედრა. მე მაქვს მხოლოდ 5 ივნისის ცნობები, ინგლისელები უნდა წასულიყვნენ, იტალიელნი უნდა მოსულიყვნენ, ბათუმი თითქო რუსებისათვის მიეცეთ, დენიკინი უნდა გვემუქრებოდეს და სხ. და სხ. არ ვიცი რა მდგომარეობაა ამ წუთში, იქნებ თქვენ მომაწვდინოთ რაიმე ცნობა.

საზოგადოთ ინფორმაციის საქმე ძალიან ცუდათაა დაყენებული. მთავრობას აქვს ძლიერი რადიო, შეუძლია აგრეთვე უკვე რეგულარულათ მოსიარულე გემებით ისარგებლოს, თქვენც მანდა ხართ ცენტრში, სადაც წამსვლელ-წამომსვლელები ხშირია, - და მაინც ისევ მოწყვეტილათ ვგრძნობთ თავს, როგორც 7 თვის წინეთ. იქნებ მიიღოთ რაიმე ზომა, მოვიფიქროთ მთელი გეგმა ინფორმაციის მოსაწყობათ, ამით ძლიერ დაგვავალებთ.

22-23 ივლისს ჰამბურგიდან უნდა გავიდეს ჩვენ[ს] მერ დაქირავებული ორი გემი, ტყვეებით და საქონლით, მიემგზავრება ბ. ბაქრაძეც. ბერნში დაარსდა სავაჭრო ქართულ-შვეიცარიული სააქციო საზოგადოება, ძირითადი თანხა 2 000 000. ნახევარი შეაქვთ შვეიცარიელებს, ნახევარი ქართველებს. ამათ მაგიერ დროებით მთავრობის თანხიდან შევიტანე. აქაური მონაწილენი მწარმოებელნი არიან, საქონელი უკვე მზათა აქვთ და ამიტომ პირველი გამგზავრება საქონლისა აგვისტოში უნდა მოხდეს. საზოგადოებას ეწოდება „ივერია“. შვეიცარიაში ხშირათ იწერება საქართველოზე, ასე რომ აქედან პარიზშიც წვდება ხმა. რაც შეეხება ინტერნაციონალს, ეს მხარს გვაძლევს. 1 აგვისტოსთვის დანიშნულია კონფერენცია ლუცერნში, რომლისათვის ვამზადებ ცალკე ფურცელს საქართველოდან მოსული ცოტათი დაძველებული მასალებიდან. პარიზიდან ამ უკანასკნელათ არაფერი მსმენია; მოსალოდნელია, რომ ჩქარა გადაწყდეს ჩვენი საკითხი, იტალია უნდა აჩქარებდეს. რა შეთანხმებაშიც არ უნდა შევიდეთ იტალიასთან ინგლისს არ უნდა ავეშალოთ, რადგან ჩვენი დამოუკიდებლობის უზრუნველოფა მხოლოდ მას შეუძლია. სანამ არ განხორციელებულა ერთა ნამდვილი კავშირი. იტალიაში ჯერ კიდევ არ ჩამოსულა ჩვენი მისია, მე მინდოდა წასვლა, მაგრამ აბა რაზე

უნდა მელაპარაკა სახელმწიფო მოღვაწეებთან, როცა არ ვიცი მთავრობის მიზნები და განზრახვანი. როცა კონფერენცია დასრულდება, მე ვფიქრობ გამომგზავრებას სამშობლოში, ვინაიდან ჩემი მისია ცოტათ თუ ბევრათ დასრულებულად მიმაჩნია.

გთხოვთ, ეს ცნობები საჩქაროთ მიაწოდოთ ჩვენს მთავრობას, აგრეთვე მომაწოდოთ უკანასკნელი დაწვრილებითი ცნობები.

მიიღეთ მხურვალე სალამი.

მარადის თქვენი პ[ატივის] მც[ემელი] აკ. ჩხენკელი.

გიგზავნი ვეშაპელის და წერეთლის წიგნაკებს.

თბილისიდან კონსტანტინეპოლში გ. რცხილაძეს
1920 წელი, 21 მარტი

წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 91, ფ. 3.

,,თფილისი, 21. III. 20.

დიდათ პატივცემულო ბატონო გრიგოლ,

ვსარგებლობ შემთხვევით და გწერთ ორიოდე სიტყვას, პარიზში მომავალ სამხედრო მისიას დავალებული აქვს, რამდენადაც მე ვიცი, თქვენთან ერთათ როგორც მილნის,[1] ისე უმაღლესი კომისრის ადმირალის (გვარი არ მახსოვს) ნახვა. არ ვიცი გწერდნენ თუ არა აქედან, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ ბათუმის საკითხმა ლამის არის გადაგვიტანოს, დაგვავიწყოს ყველაფერი ე.ი. ხიფათი ჩრდილოეთით, მეზობლებისგან, რაიც ჩვენს დაღუპვას მოასწავებს. კუკოლისი[2] უკვე აშკარა ბრძოლას ეწევა ჩვენს წინააღმდეგ, არ ერიდება არავითარ საშუალებას, ბნელსა და გასვრილსაც კი. მისი აგენტები (ადერბაიჟანელები, თურქოფილები, დენიკინელები, თვით ბოლშევიკებიც) დაძრწიან სოფლიდან სოფელში და აქეზებენ ხალხს ჩვენს წინააღმდეგ გასალაშქრებათ. ამ უკანასკნელთ ისინი რაზმავენ ჩეტნიკებს,[3] აგზავნიან ემისრებს ლაზისტანში, რომ იქიდანაც მოაწყონ ჩეტნიკების თავდასხმა, ახერხებენ ყალბ წერილების ხალხში გავრცელებას, ვითომ სტამბულიდან უბრძანებდნენ მას, ქართველები არ დაზოგოს, ვითომ ჩქარა მოაშველებს ოსმალეთი ჯარს და სხ. და სხ. კარგი ქნებოდა, თუ მოსახერხებელია, მაჰმუდ ფაშამ[4] ერთხელ კიდევ ამცნოს აჭარლებს და ქობულეთელებს, რომ ოსმალეთის იმედი არ იქონიონ. ჩვენი მტრები ხარჯავენ აუარებელ ფულს, რყვნიან ხალხს; ბათუმში ხომ აუწერელი მდგომარეობაა: ერთის მხრით, სპეკულიანტების ვაკხანალია, მეორეს მხრით, ანარქიული ვულკანი. არჩევნები, მართალია, ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა ბათუმში, მაგრამ კუკოლისი არ ამტკიცებს მას, არ იწვევს...

თქვენ გეტყვიან, თუ ჯერ კიდევ არ იცით, მთავრობის უკანასკნელი ნაბიჯები: ჯარმა გადალახა ქედები და შევიდა ზედა აჭარაში (ხულო), შავშეთში (სათლელი) და კლარჯეთში (არტანუჯი). იყო დიპლომატიური გამწვავება, მაგრამ ბოლოს შეურიგდა კუკოლისი იმ პირობით, რომ ჯარი საერთო სარდლობას დაუქვემდებარეს და უშუალო სარდალი ჩვენგნით ბათუმში გაგზავნეს თავის შტაბით. ახალციხე-ახალქალაქი-არტაანის ხაზის გაძლიერებას ეპირებიან, ვინაიდან უკანასკნელი ცნობით ოლთისიდან სერვერბე-

[1] მილნი – ბრიტანელი სამხედრო მოღვაწე [რედ.].

[2] კუკოლისი – ბრიტანელი სამხედრო მოღვაწე [რედ.].

[3] ჩეტნიკები – გასამხედროებული რაზმები ოსმალეთსა და ბალკანეთში [რედ.].

[4] მაჰმუდ ფაშა – ოსმალო სამხედრო პირი [რედ.].

გი[1] თავდასხმას ლამობს, მას ჰყავს 800 ასკერი, 1000-მდე ჩეტკინი, არტილერია, ტყვიისმფრქვევლები და სხ. იმავე დროს სოჩის ხაზით უკვე საბჭოთა მთავრობაა, კავკავში დღეს თუ ხვალ იგივე იქნება, ბაქო ბოლშევიკურ გადატრიალების წინ სდგას, სომხები ემზადებიან ბორჩალოსა და ახალქალაქზე თავდასასხმელად.

საჭიროა ნათლათ დაუსვათ კითხვები მანდაურ სარდალს და უმაღლეს კომისარს: რას ისახავს მიზნად ინგლისი საქართველოში და ამიერ-კავკასიაში? ფიქრობს თუ არა ის სერიოზულათ ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვას? თუ ფიქრობს, რად არ გვაძლევს იარაღს, რად გვიშხამავს სისხლს ბათუმში? აღმოუჩენს თუ არა მისი ფლოტი დახმარებას ჩვენს ჯარს გაგრის ხაზზე? რად არ უნდა მას [საკითხი] ბათუმის შესახებ პირდაპირ ჩვენ შეგვითანხმოს? რად არ გვაწვდის სურსათს? რად გონია მას, რომ ანარქია საქართველოში და თფილისში მისთვის ხელსაყრელია? რატომ ავიწყდება მას, რომ უსაქართველოთ ვერც ადერბაიჯანი და სომხეთი იარსებებენ? ერთი სიტყვით, რატომ არ ვხედავთ მისგან არავითარ მეგობრულ ნიშნებს, რატომ უყურებს ასე გულგრილათ ბოლშევიკების მოხლოებას?

ინგლისს, როგორც ეტყობა, მოლაპარაკება აქვს ბოლშევიკებთან, შესაძლოა გერმანელებსავით ისიც ზავს ეპირება მათთან ჩვენს ხარჯზე. მე არ ვფიქრობ, რომ ინგლისის წარმომადგენელნი გულახდილათ გვამცნევენ თავიანთ განზრახვებს. ეს არც საჭიროა. თავი და თავი ისაა, ჩვენ თვითონ გაუთვალისწინოთ მათი პოლიტიკის დამღუპველი შედეგები არა მარტო ჩვენთვის. ჩვენ არ უნდა ვცდებოდეთ, როცა ვამბობთ, რომ ჩვენი და ინგლისის ინტერესები ერთმანეთს ეთანხმებიან, ერთმანეთზე გადახლართულნი არიან. ამიტომ ჩვენი ლოიალობა მათ მიმართ არის არა სიმპატიის საკითხი, არამედ ობიექტური პირობებიდან ლოღიკურათ გამომდინარე. ჩვენ არა ვთხოვთ მათ ჯარს, არ ვთხოვთ მოწყალებას, გვინდა მეგობრულათ მოგვეპყრან, გამოგვიგზავნონ იარაღი, სურსათი, მოგვცენ საშუალება მედგრათ შევებრძოლოთ ანარქიას როგორც გარედან, ისე შიგნით. ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდეს ინგლისს ბათუმის ნავთსადგურში, იქცეს იგი მის სამხედრო ბაზად, ჰქონდეს მას ეკონომიური შეღავათებიც და სხ. მაგრამ ყველა ამას არამც თუ არ უშლის ხელს მმართველობის ჩვენს ხელში გადმოსვლა ქალაქსა და ოლქში, არამედ მხოლოდ და მარტო ამ გზით შეიძლება მისი, ისე ჩვენი ინტერესების სავსებით დაკმაყოფილება. ნუთუ ინგლისისათვის ხელსაყრელია, რომ მის გვერდით იბატონებენ ფრანგნი და იტალიელნი, განა უკეთესი არაა თვითონ მარტო იყოს, როგორც სამხედრო ძალა ნავთსადგურზე, ჩვენ კი გადმოგვეცეს მმართველობა, ან უკეთ შევიდეს ქალაქი და ოლქი საქართველოს ფარგლებში? განა წააგებს ინგლისი, ჩვენს ლოიალობაზე დაყრდნობილი? განა ჩვენ თვითონ არა ვართ დაინტერესებული გაუხდეს სააღებმიცემო ხიდი ევროპასა და აზიას შორის? ვის იშოვის ინგლისი უკეთესს, განა მთელს აზიაში არის კიდევ ისეთი ერი, როგორიც ქართველი, რომელიც მომწიფებულია პოლიტიკურათ, სურს ევროპულათ იცხოვროს და მთელსს არსებით დაინტერესებულია დიდ ბრიტანეთის გვერდით, მის პატარა მეგობრის სახით, შეასრულოს თავისი ისტორიული მისია? თბილისი გეგემონია ამიერ-კავკასიისა, ის ერთგვარი სულიერი სიმაგრეა, რომლის დაყრდნობა ინგლისათვის მეტად სახეიროა. რაც უფრო ძლიერი ვართ ჩვენ პოლიტიკურათ და ეკონომიურათ, მით უფრო კარგია თვით ინგლისასთვის, ამით მის გავლენას დაექვემდებარება მთელი კავკასია, მე არას ვიტყვი უფრო შორ ქვეყნებზე. რატომ არ ესმის მას ეს გარემოება, რატომ უნდა ამიერ-კავკასია ბოლშევიკების სათელაოდ გახადოს? ერთი უნდა ახსოვდეს და კიდეც საჭიროა ეთქვას: ვინიცობაა ეს პოლიტიკა (მე მას [ვ]უძახი თვით ინგლისის სასიცოხლო ინტერესების ღალატს) გაგრძელდა, ვინიცობაა შემოგვესია ურდოები სამხრეთით, ვინიცობაა ჩვენ გარიყული დავრჩით, საშინელ შურს იძიებთ, შეურიგდებით იმავ ბოლშევიკებს, ჩაუგდებთ მათ სათავეში, ჩაუბერავთ მათ ახალ

[1] სერვერბეგი – ოსმალო სამხედრო პირი [რედ.].

სულს და მაშინ იხილავს ინგლისი, თუ რა შეძლებია ქართულ დემოკრატიას... მე ვამბობ არა ჩემ თავზე, ალბათ პირადათ ბოლომდის წინააღმდეგი ვიქნები ასსეთ ნაბიჯისა, ხოლო სასოწარკვეთილი და გამწარებული ჩვენი ხალხი ამას იქს უეჭველათ. მომენტი ერთობ საპასუხისმგებლოა... გთხოვთ იმოქმედოთ ენერგიულათ, მთელის ძალ-ღონით, ჩააგონოთ მაგ ხალხს ნამდვილი მათი ინტერესი, ნუ გვღუპავენ ჩვენ, ნუ ღალატობენ თვით ინგლისს. გწერთ კერძოდ, ვიცი მიხვდებით, რომ ეს ბუნებრივია ჩემის მხრით.

სალამი და სურვილები. მარადის [თქვენი] აკ. ჩხენკელი.

მოკითხვა თქვენს მეუღლეს ჩვენგან. სოსოს მადლობა მის წერილისათვის. ა. ჩ.

1920 წელი, 22 მარტი

თბილისიდან კონსტანტინეპოლში გ. რცხილაძეს
წყარო: საქართველოს საისტორიო არქივი,
ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 91, ფ. 4.

„22. III. 20.

გუშინ დავწერე თქვენთვის წერილი, დღეს კი გადმომცეს თქვენი პასუხი პირველ წერილზე. მის შინაარსზე მე მქონდა უკვე ბაასი საღამოს სამხედრო მინისტრთან და მის ამხანაგთან გენ. ოდიშელიძესთან. გეგეჭკორის სახელზე მოსულ წერილს ჯერ არ გავცნობივარ. თქვენ თვლით ბათუმის მეტოქედ რუსეთსა და საქართველოს, მაშინ როდესაც უმთავრესი მეტოქე თვით ინგლისია. მისი მიზანია ბათუმი და მისი ოლქის გამოყოფა და მის პროტექტორატის ქვეშ დაყენება. ამიტომ იყო ბათუმის არჩევნები მოხდენილი, და, რომ ის კუკოლისის სასტიკ დამარცხებით არ გათავებულიყო, უეჭველია, საბჭოში დაისმებოდა და კიდევაც გავიდოდა ბათუმის და ოლქის საქართველოდან ჩამოცილება. ახლა იგივე კუკოლისი აწყობს პარლამენტის არჩევნებს ოლქში, ქობულეთში უკვე აირჩიეს ექვსი დეპუტატი, რა თქმა უნდა, უბრალო ყრილობაზე და ისიც დენიკინელების ზედამხედველობით. ლოზუნგი შემდეგია წამოსროლილი, რომელსაც რეზოლუციებში ატარებენ: დამოუკიდებელი აჭარისტანი (!), არ გვინდა საქართველო, ბრესტ-ლიტოვსკმა დასვა ჩვენი თვითგამორკვევის კითხვა, გავიდნენ საქართველოს ჯარები, მოვიწვიოთ პარლამენტი... ჩვენც ვიწყებთ კამპანიას, ჩაუშლით პარლამენტს და მოვიწვევთ აგვისტოს მეჯლისს, რომელიც თავის თავს ფაქტიურ მმართველათ გამოაცხადებს ოლქში, ავტონომ[იურ] ნაწილად საქართველოსა, მოთხოვს მას სესხს ადმინისტრაციის მოსაწყობათ, დიეტა დეპუტატებს და სხ. ვინაიდან ვამბობ მე, ინგლისი ასეა დაინტერესებული ბათუმით, საჭიროა შეუთანხმდეთ მას, საჭიროა დაუმტკიცდეს მას, რომ ეს ინტრიგები მეტია, მავნეა მისთვის, პრესტიჟის დამცემი. ნუ დაივიწყებთ ინგლისელებს უფრო აქვთ ახლა სახელი გატეხილი ოლქში, ვინემ რუსებს, ქალაქშიც რა თქმა უნდა. საქმის გამოსწორება შეგვიძლია მხოლოდ ჩვენ, მე ვამბობ სრულიად გულწრფელათ, და იმავე დროს ჩვენ დაინტერესებული ვართ ინგლისს მიეცეს განსაკუთრებული მდგომარეობა ნავთსადგურში, აგრეთვე ეკონომიური უპირატესობანი. პორტო-ფრანკო არ [უნდა] იყოს თავით ურიგო ჩვენთვის, ეს მით უფრო, რომ რუსეთის შავი ზღვის ნაპირები და ცოტა ზევით დაკმაყოფილდება ამ გადაწყვეტილებით, მისთვისაც გზაა საჭირო კასპიის ზღვისაკენ, – მაგრამ მე ვამბობ სახელმწიფო ხელისუფლებაზე, რომელიც ჩვენს ხელთ უნდა იყოს როგორც ქალაქში, ისე ოლქში. ჩვენ ვიცით. და თქვენც მართალი ხართ, რომ საშიშროება ჩრდილოეთით მოგველის, მაგრამ ბათუმზე საკითხს თვით კუკოლისი აყენებს თავისი შეჩვენებული პოლიტიკით,

აქეთ კიდევ ჩეტნიკები შემოგვესევიან ოსმალეთიდან და მაშინ, დაიჯერეთ, ახალციხეზე დაისმება საკითხი!

მე სრული დარწმუნებული ვარ, გონიერი ინგლისელი შეიგნებს ჩვენსა და მის ინტერესების ერთიანგივეობას ამიერ-კავკასიაში. საქართველოს შეგნებული აქვს ეს ინსტიქტიურათ. ამიტომ ითმენს ამდენ სისაძაგლეს ინგლისის მოხელეებისაგან. სრულიად არაჩვეულებრივ ენერგიის გამოჩენაა საჭირო თუ დააჯერეთ ეგ ხალხი, პირდაპირ საშვილიშვილო საქმეს გააკეთებთ. უნდა ისარგებლოთ სამხედრო მისიით. წინდაწინ მისწეროთ მათი ტიტული, მიზანი, რომ ლონდონში და პარიზში მიდიან... ერთი კიდევ უნდა გთხოვოთ: ნუ უცდით აქედან წერილებს, დირექტივებს, იმოქმედეთ დროსა და ადგილის მიხედვით. – გისურვებთ სრულს გამარჯვებას. მილნი და ადმირალი მოისურვებენ მათთან სხვა საქმეზე ბაასს ესეც ხელსაყრელია. სამხედრო მისიას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ტაქტიკურის მოსაზრებით, რომ სხვებმაც შესაფერისად მიიღონ. მათი ბიოგრაფია და ნაღვაწი არ დაივიწყოთ.

6. ივანე ჯავახიშვილის წერილი იოსებ ყიფშიძესა და აკაკი შანიძეს ბათუმი. 1919 წლის 11 იანვარი

წყარო: ალმანახი ივანე ჯავახიშვილი. გაზეთ „ქართული უნივერსიტეტის“ დამატება. თბ. 2000 წ. გვ. 26-27.

„ბათუმი. 1919. 11. I.

ჩემო ძვირფასო ბ-ნებო იოსებ და აკაკი!

ინგლისელების სიტყვა ისევ მრუდე აღმოჩნდა: გემი აქ არ არის და ერთ კვირაზე ადრე ვგონებ არც იქნება. ვისარგებლე შემთხვევით და რაკი ჰუსეინ ეფფენდი დევიძე, რომლის მოწვევაც არაბული ენის ლექტორად ჩვენ გვინდოდა, აქ აღმოჩნდა – ჩამოსულა სტამბოლითგან, – ვნახე და ველაპარაკე. ვგონებ ლექტორობაზე მეტს ვერ შესძლებს, რადგან ევროპ[ული] მეცნიერებისა არა გაეგება რა. მაგრამ ენა იმ მეთოდით როგორც აღმოსავლეთში მიღებული იყო კარგად ეცოდინება და ლაპარაკიც იცის. ამას გარდა შარიათიც რასაკვირველია მის განსაკუთრებული ცოდნის საგანს შეადგენს. შეიძლება ევროპ[ული] მეცნიერება შევასწავლოთ და გამოგვადგეს უფრო და ჩვენთვის შესაფერისად მომზადებითაც. იქნებ ოსმალურის ლექტორობაც შესძლოს. ერთი კვირის შემდგომ ტფილისში ჩამოვა და საფუძვლიანად გამოარკვიეთ და გადასწყვიტეთ შეიძლება რომ გამოვიყენოთ, თუ არა გამოვა რა. თუ მოვიწვევთ მხოლოდ ლექტორად და აუცილებელად საჭიროა, რომ ქ[ართუ]ლი გრამატიკული და არაბული ტერმინოლოგია და სქემები წინასწარ შეასწავლოთ. მის მოწვევას ჩვენთვის ეროვნული პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს და თქვენ იცით როგორც მოახერხებთ ამ საქმეს. ოჯახობით არის ჩამოსული და 1000 მან. თვეში არ შეუძლიან. ძალიან პატიოსანი და გულწრფელი ქართველი ჩანს და ყველანი ასეც ამბობენ.

ყველას ჩემი გულითადი სალამი. იქნება ერთ კვირასაც მოგვიხდეს აქ ყოფნა.

თქვენი ივ. ჯავახიშვილი“

7. იოსებ გობეჩიას წერილი ივანე ჯავახიშვილს

იოსებ გობეჩია[1] ივანე ჯავახიშვილს

1919 წ. 7 ივნისი. პარიზი-თბილისი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 471, აღწერა 1, საქმე 24, ფ. 28. პუბლიკაცია იხ.: საისტორიო მოამბე, ტ. 21-22, თბ., 1967 წ. გვ. 366. დაწერილია საქართველოს დელეგაციის ბლანკზე.

ბატონო ივანე! თქენი მონდობილობა – უნივერსიტეტის ლაბორატორიის მოწყობილობის შეძენა, გადავეცი ბ. გამბაშიძეს,[2] რადგან მან გამოაცხადა სურვილი ამ საქმის ინგლისში მოწყობა; ამჟამად ბ. გამბაშიძე მანდ არის და მე მას ვთხოვე გაგაცნოთ თქვენ საქმის მდგომარეობა. ასი ინგლისური გირვანქა, რომელიც თქვენ მე გადმომეცით მე მაქვს. შემდეგში, როდესაც ბ. გამბაშიძე დაბრუნდება აქ და თქვენი აზრიც მეცოდინება, მაშინ შეიძლება საბოლოოდ საქმის მოწყობა.

ჩემის აზრით, ძალიან დანაკლისია, რომ თქვენ აქ არ ბრძანდებით ჩვენთან. ჩვენ მუშაობისთვის თქვენი აქ ყოფნა მეტად სასარგებლო იქნებოდა. თქვენი ნაწარმოები საზღვრების შესახებ გადითარგმნა ფრანგულად და ამ დღეებში მივცემთ დასაბეჭდათ.

მეორე, თქვენი ისტორიული მიმოხილვა, რომელიც მეტად საჭირო არის, ვერ ითარგმნება, რადგან მხოლოდ ერთი ნაწილი არის ჩვენ ხელში; გემახსოვრებათ სტამბოლში ვერ მოასწრეს მისი გადაწერა, ამიტომ გთხოვთ პირველი შემთხვევისამებრ გამოგვიგზავნოთ ეს თქვენი ისტორიული მიმოხილვა. უკეთესი იქნება თუ გამოგზავნით სულ ერთად თავიდან ბოლომდე. ბ. ბაბე[3] და გამბაშიძე დაბრუნდებიან და მათი ხელით შეიძლება მისი გამოგზავნა. ამის გარდა ძალიან სასარგებლო იქნება, თუ ამ ისტორიულ მიმოხილვაში რაიმე შესაფერი სურათები ჩაერთვება. ამიტომ, თუ თქვენ დაინახავთ საჭიროთ, სურათებიც გამოგვიგზავნეთ. ჩვენ შეძლება გვაქვს აქ ზოგიერთ ილუსტრილებულ ჟურნალებში მოვათავსოთ სურათები საზოგადოთ საქართველოს შესახებ. მაგრამ საუბედუროთ აქ არ გვაქვს ასეთი სურათები. ამიტომ თუ რამეს გამოგზავნა შეიძლება ამ მხრივ არ იქნება ურიგო...

b. პროფესორ მელიქიშვილს[4] გადაეცით ჩემი სალამი. იოს[ებ] გობეჩია.

---

[1] იოსებ გობეჩია (1879-1963) – ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

[2] ბ. გამბაშიძე (ბატონი გამბაშიძე) – იგულისხმება დავით ღამბაშიძე (1884-1963), დიპლომატი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე [რედ.].

[3] ბ. ბაბე (ბატონი ბაბე) – იხ. აქვე „ტომის შედგენილობისათვის" [რედ.].

[4] ბ. პროფესორი მელიქიშვილი (ბატონი პროფესორი მელიქიშვილი) – იგულისხმება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი (1850-1927) [რედ.].

8. ივანე ჯავახიშვილის წერილები ანასტასია ჯამბაკურ ორბელიანს[1]

წყარო: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ანასტასია ჯავახიშვილის ფონდი: № 239-243.

წერილი 1.

1919 წლის 11 იანვარი, ბათუმი – თბილისი

,,1919. 11. I.

საყვარელო სტაზიაჯან!

ბათუმში ვზივარ, რათგან ინგლისელების ცნობა სწორე არ გამოდგა, როგორც ხშირად სხვა დროსაც: გემი არ არის, ვითომც გუშინწინ წასულიყოს რაკი სტამბოლითგან ბრძანება მოსვლოდეს. როდის მოვა ჯერ არ იციან, შეიძლება ერთ კვირასაც დაუგვიანდესო, უსაქმოდ ვართ. აქ მშვენიერი დარია, თბილა. ხალხი ძალიან ცოტაღა დარჩენილა. დღეს ინგლისელი გენერლები უნდა ჩამოვიდნენ ტფილისიდან და იმედია როგორც შეგვაცდინეს, ისევე გამოასწორებენ და გემს გვიშოვიან. [...] შენი მარად ვანო ჯავახიშვილი.''

წერილი 2.

1919 წლის 17 იანვარი, ბათუმი, გემიდგან – თბილისი

,,ბათუმი, გემზე

1919. 17. I.

ჩემო საყვარელო სტაზიაჯან!

უკვე გემზე ვსხედვართ. მშვენიერი, დიდი საუცხოვოდ მოწყობილი გემია. სალონიკამდის მიგვიყვანს და იქითგანაც შეიძლება ამითვე წავიდეთ, ან სხვა გემს მოგვცემენ. ინგლისის მთავრობის ბრძანებით უფასოდ მივყევართ. ზღვა დამშვიდებულია სრულებით. [...]

მარად შენი ვანო''

წერილი 3.

1919 წლის 27 იანვარი, სტამბოლი – თბილისი

,,სტამბოლიდან
1919.27.I

ჩემო საყვარელო სტაზიაჯან! გუშინ ბათუმითგან შიკრიკი ჩამოვიდა ტფილისითგან წამოსული და წერილები ჩამოგვიტანა. [...] ერთ კვირაზე მეტია რაც ჩამოვედით, მაგრამ ჯერაც საფრანგეთიდან ჩვენი იქ წასვლის ნებართვა არ მოსულა. ვზივარ აქ და ვუცდით. მე ძალიან ბევრი სამუშავო მაქვს და საწერი ისე, რომ დღევანდლამდის არსადა ვყოფილვარ. მხოლოდ დღეს დავათვალიერე აქაური მუზეუმი. ამ თექვსმეტ წელიწადში დიდი ცვლილება მომხდარა და ძალიან გამდიდრებულა. ბევრი კარგი ნაწარმოებია ბერძნული და ბიზანტიური ხელოვნებისა. დელეგაციის წევრები და მრჩეველები

[1] წერილს არ ახლავს კონვერტი. დაწერილია ცალხაზიან ფურცელზე ლურჯი მელნით [რედ.].

და მდივნები უსაქმოდ არიან ყველანი ჩემს გარდა და ბევრი რამის ნახვა შეუძლიათ, მაგრამ ძნელად იძვრიან. მე სრულებით დრო არა მაქვს. [...] უსაათოდ დავიტანჯე და აქ ვიყიდე მაჯაზე გადასაკეთელი პატარა კოხტა საათი ოქროთი დაფერილი 7 თუმნად. პარიზში მინდა შენთვის მაჯაზე გასაკეთებელია კარგი საათი და ჩემთვისაც რიგიანი ვიყიდო, ამას-კი ნათელას ვაჩუქებ. ხვალ უნდა ფეხსაცმელიც ვიყიდო. აქ ყიდვა არ მინდოდა, მაგრამ რა გაეწყობა: ამ ფეხსაცმლით აქ პირდაპირ სირცხვილია. ტფილისთან შედარებით იაფი ყოფილა. სხვაფრივ-კი ცხოვრება და განსაკუთრებით ჭამა-სმა ჩვენზე ძალზე ძვირია. [...]

შენი მარად ვანიკო"

წერილი 4.[1]
1919 წლის 5 თებერვალი, სტამბოლი – თბილისი

„სტამბოლი
1919.5.II

ჩემო საყვარელო სტაზიკოჯან! მესამე კვირა მიდის რაც აქ ვსხედვართ და ჯერაც არ ვიცით მოგვცემენ ნებას პარიზში წასასვლელად თუ აქ ტყუილად დროსა ვკარგავთ. იმ დროს როდესაც ტფილისში მყოფი ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები გვაჩქარებდნენ ჩქარა წადით, არ დაიგვიანოთ თქვენ და სომხებმაო, თქვენი სამზღვრის საქმე იქ უნდა გაირჩეს, სომხები ბათუმითგან მეორე დღესვე წაიყვანეს სტამბოლში და ამგვარადვე საჩქაროდ სტამბოლითგან პარიზში, ჩვენ კვირაზე მეტი გვაცდევინეს ბათუმში და აქ-კი ეს მესამე კვირა მიდის, რაც ვსხედვართ და გვეუბნებიან ჯერ საფრანგეთის სამხედრო სამინისტროთგან არავითარი ცნობა არ მოგვსვლია თქვენს შესახებაო. სანამ ჩამოვიდოდით და ჩამოსვლისასაც ერთი კვირის განმავლობაში აქაუ[რ] ფრანგულს გაზეთებში, რომელნიც სომხების მიერ იბეჭდება, ჩვენს შესახებ თითქმის ყოველდღე საზიზღარი ცილისწამება და ტყუილები იბეჭდებოდა: ქართველები ფრანგებსა და ინგლისელებს ცხადად ჰღალატობენ და გერმანელებს მომხრენი იყვნენ იმ მიზნით, რომ მოკავშირეები დაემარცხენიბათო და იმავე დროს სომხები ერთადერთი ერთ იყო, რომელიც თავის თავზე-კი არა, არამედ მხოლოდ ფრანგებისა და ინგლისელების გამარჯვებაზე ფიქრობდნენ და ამისთვის იღვწოდნენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს-და-ბოლოს სიმართლე გამოირკვევა, მაგრამ ეხლა-კი ჩვენ პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ვართ: სომხები პარიზში არიან და თავიანთ საქმეს არიგებენ როგორც უნდათ, ალბად ათასგვარ ტყუილს ავრცელებენ და თაღლითობას სჩადიან, ჩვენ-კი აქ განზრახ ჩაგვსვეს, რომ მათ პასუხის გამცემი არავინა ჰყავდეთ და მათს სიცრუეს პირში მთქმელი სიმართლისა არ წარუდგეს. მე მგონია უკეთესია შინ დავბრუნდეთ, ვიდრე აქ, ასეთს სამარცხვინო მდგომარეობაში ვისხდეთ. მაინც ვგონებ დელეგაციას ლონდონში და პარიზში ტელეგრამებს გაუგზავნიან (თუ გაგზავნეს) და, თუ ამ ერთ კვირაში დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მოვიდა, შეჰკრავს ბარგს და შინ წამოვა. ისე ჯანმრთელობის მხრივ ყველანი კარგადა ვართ, მხოლოდ სულიერად და ზნეობრივად ჩვენი მდგომარეობა ყველას გვაწუხებს და გვაღელვებს. მე ყოველ დღე ვმუშაობ ისე, რომ თავისუფალი დრო ცოტა მაქვს. სხვებიც ზოგნი მუშაობაში ჩაებნენ. წერეთელმა და ჩხეიძემ მაინც თავისი გაიყვანეს და ჩუმად ვოიტინსკი და მისი ცოლი დაიბარეს და ჩამოიყვანეს. არ მეგონა, თუ რომ დელეგაციის წევრების საერთო

[1] წერილს არ ახლავს კონვერტი. დაწერილია 4 ფურცელზე ლურჯი მელნით [რედ.].

სურვილის წინააღმდეგ წავიდოდენ: ეს საქმე სულ კაკი წერეთლის საქმეა: ისა ყოფილა თურმე მათი და ისინი მისი განუყრელი მეგობრები.

ჩემი წერილები მიღებული გექნება, შენგან-კი არა მომსვლია რა და თქვენი ფიქრი მაქვს. ძნელია როდესაც ადამიანი თავისიანებს ასე მოწყვეტილია და არა იცის რა. თუ ვინცობაა ეხლავე დავბრუნდით, მაშინ აქ ვიყიდი ზოგს რამეს. თუმცა აქაც სიძვირეა, მაგრამ ისეთი არ არის ქსოვილები და ფეხსაცმელი გაძვირებული, როგორც ჩვენში და ამას გარდა ყველაფერი უკვე მოდის და იშოვნება. წარმოიდგინე ტილოს პერანგები არც აქ არის, ბატისაა მხოლოდ. ფეხსაცმელი ვიყიდე, სრულებით აღარ ჩაიცმევოდა ჩემი ძველი და 23 თუმანი გამომართვეს. ისე კარგი ჩანს, თუ მკვიდრი გამოდგა. ორი პერანგი, 6 საყელო და 3 წყვილი სამაჯური ვიყიდე. სხვა ჯერ არაფერი მიყიდნია იმ იმედით, რომ პარიზში წავალთ და იქ უფრო უკეთესს და იაფად ვიშოვი, ვნახოთ! [...]

შენი მარად ვანო"

წერილი 5.
1919 წლის 7 თებერვალი, სტამბოლი – თბილისი

,,1919.7.II

სტამბოლითგან

ჩემო საყვარელო სტაზიკო! ის ინგლისელი, რომელსაც ჩვენი წერილები უნდა წამოეღო ბათუმში, ჯერაც აქა ყოფილა და მხოლოდ ხვალ მიდის თურმე. ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და წერილსაც ვატან. ჩვენ ისევ აქა ვსხედვართ და ვუცდით პარიზთგან ნებართვას. ოთხი დღეზე მეტი იქმნება, რაც ბათუმითგან აქ როინ ჯავახიშილის (ის ეხლა ბათუმის ქალაქის თავად არის) ვაჟი ჩამოვიდა საფრანგეთში წასასვლელად იქ უნდა შევიდეს პოლიტექნიკუმში სასწავლებლად. კარგი ყმაწვილი ჩანს. იმან როგორც კერძო პირმა მიიღო კიდეც ნებართვა და 11 თებერვალს მიემგზავრება. ვ. ჩერქეზიშვილმაც ძლივაძლივობით მიიღო ნებართვა. ამიტომ საფიქრებელია რომ მალე ჩვენს დავიძვრებით. არა ვიცი რა მანდ რა ამბავია. [...] რამდენი რამე მაქვს საკითხავი და როდის მივიღებ პასუხს. ისე ძნელია ასე გამოურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა. მეჩქარება. მალე უნდა წერილების წასაღებად მოვიდეს. [...]

მარად შენი მოტრფიალე ვანო. [..]".

დანართი

დანართი 1. რუკები

1.1. ტიმოთე გაბაშვილი. 1737 წლის დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) რუკა



1.2. ჩანართი რუკები ვახუშტი ბატონიშვილის 1842 წელს გამოცემული ნაშრომისათვის (ფრანგულ ენაზე): Bagrationi (Batonichvili) Vakhouchti (1696-1757). Description geographique de la Georgie, par la tsarevith Wakhoucht, publiee d'apres l'original autographe / par M. Brosset. - S.-Peterbourg, 1842 (La Typ. de l'Acad.):

- № 1. Samtzkhé



- № 2. Géorgie au s. du Kour



- № 3. Karthli au n. du Kour



- № 4. Cakhéthi


CAKHÉTHI.
№ 4.
THOUCHÉTHI
PHARSMANI
KHOUNZAKHI
COULMOURKI
CHIRAKI
CAMBETCHI
TSINA-MANDORI
CHAKI
CHAMCHADILO
DJERAN TCHOUCHOURI
ORAHAGHI
MACTOPHI
OMANIS-KHEVI
Le Cakhéthi, le Gurkhéthi et le Hérétli, aujourd'hui nommés seulement Cakhéthi, ayant à l'E. le Daghistan, au S. le Carabagh, au N. le Chéghéni, le Bécard, ceux et le Kistéthi, à l'O. le Kaethli et Gurzakhi; dressé d'après la nouvelle graduation de M. Philé, avec ses églises, ses monastères, ses montagnes, ses rivières, ses bourgs, ses forteresses, et avec l'addition du Kistéthi et du Thouchéthi, par mes le Tarcévitch Wakhoucht.
Lieu ou fut une ville
Ville ruinée
Evêché
Monastère
Résidence du roi
" d'un Atthavar
" " Amaéur
Gros bourg
Bourgade
" Thathare
" ruinée
Forteresse
Position fortifiée
Limite
Limite d'une bannière
Limite d'une cattée
Lac de Gokcha ou de Gélakoun.
Parasangs, Aghadj ou Kdj, dont 17½ font un degré.
Lithogr. de A. Barrigues, Grande-Morsvage, maison Saint.
Verstes russes de 115 au degré.

- № 5. Iméréthi


IMÉRÉTHI.
MER
NOIRE
TCHERKÉZI
SOUANÉTHI
RADCHA
RÉTHI
SAMTZKHÉ
GOURIA
GUDIANÉTHI

▪ № 6. Carte Générale des pays Géorgiens


CARTE GÉNÉRALE DES PAYS GÉORGIENS.
N°6
MER
NOIRE.
Djikethi
Apkhazethi
Souanethi
Oseth
Kartli
Kakhethi
Tchetchnia
Djidoethi
Bas-Kasthi
Ratchi
Imeretti
Mingrélie
Guriel
Samtskhé
Karthalinie
Kakhétie
Tiflis
Ararat
Erivan
Kars
Erzerum
Trébizonde
Batoum
Poti
Sukhum
Anapa
Kertch
Taganrog
Tiflis
Mtskhéta
Gori
Akhalzikhé
Akhalkalaki
Alexandropol
Erivan
Nakhitchevan
Tchoroh
Phasis
Kouban
Terek
Kouma
Kour
Aras
Mer Caspienne
Mer d'Azof
Mer Noire
Caucase
Ararat
Elbrouz
Kazbek
Ararat

1.3. 5-ვერსიანი რუკები: 5-ти верстовая картыv

Е 5.
Терской области.
ОКРУГЪ НАЛЬЧИКСКІЙ
ОТД. СУНЖЕНСКІЙ
НАЗРАНОВСКІЙ ОКРУГЪ
ОТД. СУНЖЕНСКІЙ
ВЛАДИКАВКАЗЪ
ГРОЗНЕНСКІЙ ОКРУГЪ
ГРОЗНЕНСКІЙ ОТД.
Грозный
Ардонъ
Дигоръ
Христіанское
Ногкау
Ногкаусъ
Ногкаусъ
Ногкаусъ

1.4. Бурнашев **С.Н., 1901. Генеральная карта Грузинскихъ царствъ; Кахетіи, Карталиніи и царства Имеретіи еъ его Княжествами Гуріей и Мингреліей уъ обладающими областями и народами обитающими въ кавкаскихъ городахъ. Составлена Подполковникомъ и кавалеолмь Бкрнащовымъ въ 1784 года Въ г. Тбилисѣ**

1.5. საქართველოს საზღვრების რუკა, 1919. ქართული. მასშტაბი 1:3,000,000

კავკასიის საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილებისა.

1.6. Carte de la Gèorgie, 1919 (ვარიანტი 1). საქართველო. ფრანგული. მასშტაბი 1:3,000,000.

1.7. Carte de la Gèorgie, 1919 (ვარიანტი 2). საქართველო. ფრანგული. მასშტაბი 1:3,000,000

დანართი 2. თანმხლები დოკუმენტური მასალები

2.1. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის საარქივო ვარიანტის თავფურცლის ასლი





2.2. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიმართვა ივანე ჯავახიშვილისადმი საზღვრის დამდგენ კომისიაში მონაწილეობისათვის[1]

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის ეროვნული არქივი, ფონდი 471, ან.73, ფ.25

სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს ი. ჯავახიშვილს

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატთან მოწვეულია განსაკუთრებული კომისია შემდგარი საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენელთაგან, რომელსაც მიღებული აქვს ხსენებულ რესპუბლიკათა საზღვრების მცხოვრებთა შორის ურთიერთ დამოკიდებილების მოგვარებით.

გაცნობებთ, რა ამას, გთხოვთ თუ შესაძლოდ დაინახავთ, გასწიოთ <u>პავლე ინგოროყვასთან</u> ერთად საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობა აღნიშნულ კომისიაში.

სახალხო კომისარი [ხელმოწერა – რედ.]


Гр. С. С. Р.
Народный Комиссариат Внутренних дел
№ 5716/2462
г. Тифлис
Адрес Евангуловская
Телефон
ივნისი 1921 г.

ბ. ბ. ბ. რ.
Гр. С. С. Р.
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი
Народный Комиссариат Внутренних дел

№ 5716/2462

ქ. ტფილისი
г. Тифлис
მისამართი ევანგულოვის ქუჩა, 1
Адрес Евангуловская ул., 1
ტელეფონი
Телефон 376

1921 г.

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს.
ი. ჯავახიშვილს.-

№ 5713

1921 г.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატთან მოწვეულია განსაკუთრებული კომისია შემდგარი საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენელთაგან რომელსაც მიღებული აქვს ხსენებულ რესპუბლიკათა საზღვრების გადამიჯნვა და ამრიგად მოსაზღვრე სოფლების მცხოვრებთა შორის ურთიერთ დამოკიდებულების მოგვარება.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ თუ შესაძლოდ დაინახავთ, გასწიოთ პავლე ინგოროყვასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობა აღნიშნულ კომისიაში.-

სახალხო კომისარი

[1] 1921 წლის 6 ივნისს ს.ს.ს.რ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი მიმართავს ივ. ჯავახიშვილს, რომ მან, პავლე ინგოროყვასთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკათა საზღვრების დამდგენ კომისიაში. ამ საკითხების განხილვაში ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობის სხვა მასალები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ვიმედოვნებთ, რომ ეს მასალები მიკვლეული იქნება ამ პერიოდში შექმნილ მრავალრიცხოვან საარქივო საქმეებში [რედ.].

2.3. ივანე ჯავახიშვილის პასუხი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს[1]

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის ეროვნული არქივი, ფონდი 471, ან.73, ფ.24

პასუხად თქვენს მომართვაზე 6 ივნისიდან № 5716/2462 პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ მე თანახმა ვარ ვიკისრო საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობა მეზობელ რესპუბლიკებთან საზღვრების გამომრკვევ კომიასიაში.

რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი[2]


№ 5716

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს.

პასუხად თქვენს მომართვაზე 6 ივნისიდან № 5716/2462 პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ მე თანახმა ვარ ვიკისრო საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობა მეზობელ რესპუბლიკებთან საზღვრების გამომრკვევ კომისიაში.

რექტორი, პროფ. ივ.

[1] 1921 წლის 7 ივნისს ივანე ჯავახიშვილი თანხმობის წერილს უგზავნის შინაგან საქმეთა სახალო კომისარს [რედ.].

[2] ხელმოწერა ივ. ჯავახიშვილის არაა, სავარაუდოდ, უნივერსიტეტის კანცელარიის მოხელისაა, რადგანაც ამგვარი შემთხვევები სხვაცაა [რედ.].

2.4. მასალები საქართველოს საზღვრებზე შექმნილი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების პუბლიკაციის თაობაზე

დოკუმენტი №1. *წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო არქივი, ფონდი 481, აღწ. 1, საქმე 1904, ფ.1*





3

საქართველოს მთავრობის

სტამბა

თბილისი,

ლოტბნის და ლორის-მელიქ. ქ კუთხე.

ტელეფონი 67.

ТИПОГРАФІЯ

ГРУЗИНСКАГО ПРАВИТЕЛЬСТВА

Тифлисъ.

Кавоуб. и Лорисъ-Мел. ул. Телеф. 67.

ლიტ. № 742

„24„ აგვისტოს 1919 წ.

ანგარიში

ნაბეჭდი-ბეჭედის კეთებისთვის

საქართველოს მთავრობის კანცელარიისა

№		რამდენი დაიბეჭდა	ჯამი	
			მან.	ქ.
	ფრაგ. ივ. ჯავახიშვილის ნიგნი:			
	„საქართველოს საგაზეთო“ —	2000		
	ოფსეტი 54 ფურ. × 50 — 2700.			
	ბეჭდვა 4 ფერად × 200 — 800.			
	ყდის ბეჭდვა — — 100		3600	
			3600.	

საქართველოს მთავრობის
სტამბის მმართველი: [illegible]

[illegible] 3.VIII.
28/VIII 1919 წ.

24 ოქტომბერი,
1919 წ.

ი .ჯავახიშვილის
საქართველოს საზღვრები

ანგარიში

დაიბეჭდა 2000 ც.

1.	ქაღალდი 7 ოზმა[1] 250 ფ. – – –	7500	[ლემბნი-სა[2]]
2.	ქაღალდის [მისტო[3]] – – –	33	
3.	აწყობა და დაბეჭდვა – – –	3600	
4.	ჰონორარი ფულად და წიგნებად – – –	2550	
5.	ასაკინძი – – –	800	
6.	კანის[4] ქაღალდი –260 ც. – – –	520	[ლემბნი-სა[5]]
7.	ქაღალდის [მისტო[6]] – – –	10	
		15 013 მან	

ცალი დაჯდა 7 მ. – 50 კ.
ფასი დაედო 15 მანეთი

[ხელმოწერა]

დოკუმენტი №2

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო არქივი, ფონდი 481, აღწ. 1, საქმე 1904, ფ.2

ივ. ჯავახიშვილის საზღვრები მივიღე სრულად ორი ათასი ცალი წიგნი
რომელზედაც ხელს ვაწერ.
ვასილი ყიფიანი[7]

---

[1] ოზმა – ქაღალდის საზომი ერთეული იყო და უდრიდა 480 ფურცელს [რედ.].
[2] გაურკვეველი სიტყვა [რედ.].
[3] გაურკვეველი სიტყვა [რედ.].
[4] ალბათ, ყდა იგულისხმება [რედ.].
[5] გაურკვეველი სიტყვა [რედ.].
[6] გაურკვეველი სიტყვა [რედ.].
[7] ვასილ ყოფიანი (1855-1936) – პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი. 1883 წელს, ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, მიწვეული იყო თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში მასწავლებლად. პირველმა შექმნა ქართული სახელმძღვანელო ალგებრაში [რედ.].

დოკუმენტი №3[1]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო არქივი, ფონდი 481, აღწ. 1, საქმე 1904, ფ.3

ლიტ. № 742
24 ოქტომბერი, 1919 წ.

ანგარიში

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას

პროფ. ივ. ჯავახიშვილი წიგნი:		3600
„საქართველოს საზღვრები“ –	2000	
აწყობა 54 გვერ. x 50 – 2700		
დაბეჭდვა 4 ფორმა x 200 – 800		
ყდის დაბეჭდვა – 100		
საქართველოს მთავრობის		3600
სტამბის მმართველი:[2]		

[1] დაბეჭდილია საქართველოს მთავრობის სტამბის ბლანკზე. როგორც მითითებულია, სტამბა მდებარეობდა კალოუბნისა და ლორის-მელიქოვის ქუჩების კუთხეში [რედ.].

[2] ფაქსიმილია [რედ.].

დოკუმენტი №4

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო არქივი, ფონდი 481, აღწ. 1, საქმე 1871, ფ. 1.

11 დეკემბერი 1919 წელი
ხარჯთაღრიცხვა
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების

	რაოდენობა	ფასი	ჯამი
რუკის ბეჭდვა ქართულ ენაზე წარმოდგენილი ნიმუშის მიხედვით ერთ ფერში, ქაღალდის გარეშე	2000		2600
გრავირება ქვაზე			1600
ყოველ დამატებულ საღებავზე			3000

კ.ი. მესხიევი[1]

დოკუმენტი №5

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო არქივი, ფონდი 481, აღწ. 1, საქმე 1871, ფ.2.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას[2]
15 იანვარი
№ 26

პროფესორ ჯავახიშვილის წიგნში დასართავი რუკისთვის, რომელიც იბეჭდება სამხედრო ტოპოგრაფიულ განყოფილებაში, გთხოვთ გამოუგზავნოთ შესაფერი რაოდენობა ქაღალდისა, რომლის მისაღებათ იგზავნება ლეიტენანტი ხუნჯუა.[3]

განყოფილების უფროსი
გენ[ე]რალი [ა. ბენაშვილის[4] ხელმოწერა – რედ.]
მდივანი: [ბალაბუევის[5] ხელმოწერა – რედ.]

---

[1] კ. მესხიევის ტიპოლითოგრაფიული სტამბა ფუნქციონირებდა ქ. ტფილისში XX საუკუნის დასაწყისში. აქ იბეჭდებოდა წიგნები, რუკები და სხვა გამოცემები [რედ.].

[2] ქაღალდზე დასმულია საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს სატოპოგრაფიო განყოფილების შტამპი [რედ.].

[3] სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს გრიგოლ ხუნჯუა – გეოდეზისტ-ტოპოგრაფი, რომელიც მოგვიანებით მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრაზე დოცენტად.

[4] ანდრია ბენაშვილი (1867-1941) – მეცნიერი, ქართველი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, ქართული უნივერსიტეტის, აწ უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ერთ-ერთი დამაარსებელი. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში გეოდეზიურ-კარტოგრაფიული საქმიანობის ფართოდ დანერგვაში [რედ.].

[5] გიორგი ბალაბუევი – საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილებაში ასრულებდა მდივნის ფუნქციას. ამას მოწმობს 1921 წლის 11 თებერვლის დოკუმენტი „სია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილების მოსამსახურეთა, რომლებმაც უნდა მიიღონ

დოკუმენტი №6

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო არქივი, ფონდი 481, აღწერა 1, საქმე 1871, ფურცელი 1.

11 დეკემბერი 1919 წელი

ხარჯთაღრიცხვა

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების

	რაოდენობა	ფასი	ჯამი
რუკის ბეჭდვა ქართულ ენაზე წარმოდგენილი ნიმუშის მიხედვით ერთ ფერში, ქაღალდის გარეშე	2000		2600
გრავირება ქვაზე			1600
ყოველ დამატებულ საღებავზე			3000

კ.ი. მესხიევი[1]

დოკუმენტი №7

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო არქივი, ფონდი 481, აღწერა 1, საქმე 1871, ფურცელი 2.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას[2]

15 იანვარი

№ 26

პროფესორი ჯავახიშვილის წიგნში დასართავი რუკისთვის, რომელიც იბეჭდება სამხედრო ტოპოგრაფიულ განყოფილებაში, გთხოვთ გამოუგზავნოთ შესაფერი რაოდენობა ქაღალდისა, რომლის მისაღებათ იგზავნება ლეიტენანტი ხუნჯუა.[3]

განყოფილების უფროსი

გენ[ე]რალი [ა. ბენაშვილის[4] ხელმოწერა – რედ.]

მდივანი: [ბალაბუევის[5] ხელმოწერა – რედ.]

სესხი შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდიდან". ამ დოკუმენტს ხელს აწერენ განყოფილების უფროსი, გენერალი ა. ბენაშვილი და თვით გ. ბალაბუევი [საისტორიო არქივი, ფონდი 1969, აღწ. 2, საქმე 265, ფ. 1ბ] [რედ.].

[1] კ. მესხიევის ტიპოლითოგრაფიული სტამბა ფუნქციონირებდა ქ. ტფილისში XX საუკუნის დასაწყისში. აქ იბეჭდებოდა წიგნები, რუკები და სხვა გამოცემები [რედ.].

[2] ქაღალდზე დასმულია საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს სატოპოგრაფიო განყოფილების შტამპი [რედ.].

[3] სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს გრიგოლ ხუნჯუა – გეოდეზისტ-ტოპოგრაფი, რომელიც მოგვიანებით მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრაზე დოცენტად [რედ.].

[4] ანდრია ბენაშვილი (1867-1941) – მეცნიერი, ქართველი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, ქართული უნივერსიტეტის, აწ უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის, ერთ-ერთი დამაარსებელი. მას დიდი წვლილი მიუძღვის გეოდეზიურ-კარტოგრაფიული საქმიანობის ფართოდ დანერგვაში საქართველოში [რედ.].

[5] გიორგი ბალაბუევი – საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილებაში ასრულებდა მდივნის ფუნქციას. ამას მოწმობს 1921 წლის 11 თებერვლის დოკუმენტი „სია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილების მოსამსახურეთა, რომლებმაც უნდა მიიღონ სესხი შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდიდან". ამ დოკუმენტს ხელს აწერენ განყოფილების უფრო-

დოკუმენტი №8
პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილი დოკუმენტების ნუსხა (საქართველო)

წყარო: A Catalogue of Paris Peace Conference Delegation Propaganda in the Hoover War Library. // Stanford University Publications, Hoover War Library, Bibliographical Series I. Stanford University Pressss, Stanford University, California, 1926.

დელეგაციის მიერ ავთენტურად მიჩნეული დოკუმენტები Propaganda Authenticated by the Delegations		დელეგაციის არაავთენტური დოკუმენტები Propaganda Unauthenticated by the Delegations (გვ. 84)
დელეგატების მიერ წარდგენილი Docments Presented to the Peace Conference (გვ. 11)	საჯაროდ გავრცელებული დოკუმენტები Documents Distributed to the Public (გვ. 36-37)	
„ქართული დელეგაცია მშვიდობის კონფერენციაზე. მოხსენება წარდგენილი მშვიდობის კონფერენციაზე. პოლიტიკური პრეტენზიები – საზღვრები. თან ერთვის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და რუკა. პარიზი – 1919 წ. ივლისი.“ **Paris. Peace Conference**, 1919. *Georgia*... Mémoire présenté á la conférence de la paix revendications politiques-frontiéres): suivi de l'acte de l'Indépendance de la Géorgie et d'une carte. Paris [Imp. M. Flinikowski] 1919. 1p. 1., [5]-22 p., 11. map. 27 cm. At head of title: Délégation géorgienne á la Cpnférence de la paix.	▪ ბაბე ვ. საქართველოს ეკონომიკური რუკა. მასშტაბი 1:1,680,000. პარიზი: გრავირებული ლობროტის მიერ, 1919 (?). ფერადი, 45½ x 62 სმ. **Babet V.** Carte économique de la Géorgie, dressée par V. Babet. Échelle 1:1.680.000... [Paris] Gravé par Lobrot [1919?] col. map. 45 ½ x 62 cm. (in folder 31 sm); ▪ საქართველოს რუკა. მასშტაბი 1:3,000,000. პარიზი: გრავირებული ლობროტის მიერ, 1919 (?). ფერადი, 21½ x 35 სმ. Carté de la Georgie, Echelle 1:3.000.000... [Paris] Gravé par Lobrot [1919?] col. map. 211/2 x 35 cm. (in folder 31 cm.); ▪ ჩერქეზოვი ვ. საქართველო; ტრადიციები და პოლიტიკური უფლებები, 1919. **Cherkesov V**. ... La Géorgie: ses traditions et ses droits politiques... Paris, Impr. L. Pochy, 1919. 1 p., 1., 14 p. 24 cm. At head of title: V. Tcherkeésoff. 1Extrait de la Revue de Paris du 1 octobre 1919“; ▪ ილუსტრაციები, საქართველო. პარიზი, 1 ნაწყვეტი პარიზიული ჟურნალიდან, 1919 წლის 1 ოქტომბერი. **L'Image**, no 221, octobre 1919. En Géorgie. [Paris, 1919] [16) p. ollus. (incl. ports., map) 28 sm. Cover-title. "La Géeorgie doit étre libre". by Jacques de Layr: p. [2-4]; „საქართველო უნდა იყოს თავისუფალი“; ▪ რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებები 1762-1796 წლებში. რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ისა და საქართველოს მეფის, ერეკლე II-ს შორის დადებული ტრაქტატი. (რუსეთის შრომების კრებული, ტ. XXI 15838) პოლ მორეოდის წინასიტყვაობა, ბატონ მ. ოკუმელის კომენტარები). **Russia**. Treatlies, etc., 1762-1796 (Catherine II) Traté conclu en 1783 entre Catherine II, impératrice de Russie, et Irakly II, roi de Géorgie. (Recueli des lois rudsses, vol. XXI, no. 15838) Avec une préface de M. Paul Moraiaud... et commentaires de M. A. Okoumeli. Genéve [Impr. Chaulmontet] 1919. 19, [1] p. 27 cm. Published by the Bureau de presse géorgien, Bern; ▪ წერეთელი ი. ამიერკავკასიის გამოყოფა რუსეთიდან და საქართველოს დამოუკიდებლობა. ირაკლი წერეთლის მოხსენება, სტენოგრაფიული ჩანაწერი, 1919. ალბერტ ტომასის წინასიტყვაობა. **Tsereteli**, Irakly. ... Séparation de la Transcaucaise et de la Russie et indépendance de la Géorgie; discours prononcés á la Diéte transcaucaienne, par Irakly Tsérételli (compterendu sténographique) Préface d'Albert Thomas. Paris, Imprimerie Chaix, 1919. 55 p. 21 sm. At head of title: Irakly Tsérételli; ▪ ვეშაპელი გ. საქართველო - თურქეთი: ლაზისტანი, ტრაპიზონი და ჭოროხის მიდამოები. ბერნი, 1919, გ. იზელი, 52 გვ. ილუსტრ. შინაარსი-წინასიტყვაობა საქართველო-თურქეთის ისტორია. საქართველო და თანამედროვე თურქეთი. ლემანი, სომხების ავტონომია ქართველების მომავალი თურქეთში. **Veshapeli,** G. ... La Géorgie turque: Lasistan, Trenizonde et contrée du Tchorokh... Berne, Imp. G. Iseli, 1919. 52 p. incl. illus., tables, map. 23 cm. Contents. - Preface. - Histoire de la Géorgie turque. - La Géorgie turque contemporaine. - L'Al. lemagne, l'autonomie armenienne et l'avenir de la Géorgie turque.	▪ საქართველოს ეროვნული კომიტეტი. საქართველოს დამოუკიდებლობის უფლება. **Comité national géorgien**. Le droit de la Géorgie á l'independance. [n.p., 1918?] [4] p. 28 sm. Caption title; ▪ ემანუელ კიუნე. დამოუკიდებელი საქართველო: წარსული, აწყმო, მომავალი. ჟენევა, 1920. La Tribune de Géneve," 1920. **Kuhne,** Emmanuel, ... La Géorgie libre; son passé - son présent - son avenir (avec une carte) Genéve, Impr. de "La Tribune de Géneve," 1920; ▪ ნიპოლდი ო. საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალთახედვით. ბერნი, 1920. Nippold, Otfried, 1864 - La Géorgie du point de vue du droit international. par O. Nippold... Berne, Impr. G. Iseli, 1920. 78 p., 11. 23 cm. "Edition du Bureai de presse géorgien"; ▪ **პარიზი. სამშვიდობო კონფერენცია**, 1919. საქართველო: მემორანდუმი წარდგენილი სამშვიდობო კონფერენციაზე (პოლიტიკური პრეტენზიები - საზღვრები), საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიხედვით (თან ერთვის რუკა), გამოქვეყნებულია ფრანგულადაც. Paris. Peace Conference, 1919. *Georgia*... Memorandum presented to the Peace conference (political claims - frontiers) followed by the act of independence of Georgia and a map. Paris [Imp. M. Flinikowski] 1919. 1 p. 1., [5] - 20 p. fold. map. 27 ½ cm. At head of title: Georgian delegation to the Peace conference. Issued also in French.

სი, გენერალი ა. ბენაშვილი და თვით გ. ბალაბუევი [საისტორიო არქივი, ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე 265, ფურცელი 1ბ] [რედ.].

დანართი 3

ალექსანდრე სიგუა, ლავრენტი ბერია და ქართული ისტორიული ძეგლები[1]

წყარო: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ-28898-9.

[XX ს-ის]

30-იანი წლებში ვმუშაობდი სახელმწიფო გამომცემლობის მხატვრული ლიტერატურის გამოცემის განყოფილებაში რედაქტორის თანამდებობაზე, რომელსაც განაგებდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლო მიწიშვილი. იგი ერთდროულად იყო მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივანი, სადაც დიდ ეროვნულ მოღვაწეობას ეწეოდა.

ნიკოლო მიწიშვილთან გამომცემლობაში თავს იყრიდა მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, რეჟისორები და მსახიობები. აქ ნახავდით ილია ჭავჭავაძის უახლოეს მეგობრებს ვალერიან გუნიას, შალვა დადიანს, თედო სახოკიას, ილია ზურაბაშვილს, ილია აგლაძეს, ივანე მაჭავარიანს, სეიდ დევდარიანს, აპოლონ წულაძეს, დეიტ იაშვილს, არაქელა ოქუაშვილს და სხვებს.

თუ სხვაგან ხმამაღლა ლაპარაკი აკრძალული იყო ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ, ნიკოლო მიწიშვილის კაბინეტში კი ხშირად ცხარე კამათი იმართებოდა ხოლმე ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე, მის შემოქმედებაზე. განსაკუთრებით მაშინ, თუ განყოფილებაში ერთმანეთს შეხვდებოდნენ ვალერიან გუნია, თედო სახოკია, ლუარსაბ ხელაძე და აპოლონ წულაძე. ხანდაზმული ლუარსაბ ხელაძე „სახელმწიფო გამომცემლობის" საწარმოო განყოფილებაში მუშაობდა. იგი ძალიან ახლოს იყო ილია ჭავჭავაძესთან და მისი ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდათ. ლუარსაბ ხელაძე პროფესიით ასოთამწყობი იყო, რომელსაც ჰქონდა კერძო სტამბა და, როგორც ცნობილია, მის სტამბაში აიწყო და დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ელგუჯა" და მწერლების სხვა მოთხრობები. ლუარსაბ ხელაძეს უყვარდა საუბარი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე და მწერლის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. მე მის საუბარს ვიწერდი ვალერიან გუნიას, თედო სახოკიას, აპოლონ წულაძის და სხვების საუბართან ერთად. ეს ჩემი ჩანაწერი ერთხელ გავაცანი და წავუკითხე ვალერიან გუნიას, თედო სახოკიას და შალვა დადიანს, რომლებმაც ძალიან მომიწონეს და მითხრეს გამეგრძელებინა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ნაამბობის ჩაწერა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობასა და მკვლელობაზე. ამის შემდეგ ლუარსაბ ხელაძისა და თედო სახოკიას შემწეობით გადავწყვიტე ხელი მომეკიდა და შემეგროვებინა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარშემო მასალები და დოკუმენტები – ლუარსაბ ხელაძემ მიმითითა, რომ რაღაცნაირად მომენახა დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფაღავა, რომელიც აწარმოებდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებას. და აი, შევხვდი მას თავის ბინაზე, რომელმაც გადმომცა ილიას მკვლელობის ხუთი სურათი და მკვლელობის ადგილის ტერიტორიული განაზომი. გადავწყვიტე ხუთივე ავაზაკის სურათი გამომექვეყნებინა გაზეთში, რომელსაც თან დავურთე პატარა წერილი. მთელი მასალა, სურათები და წერილი ვაჩვენე ნიკოლო მიწიშვილს, საშა აბაშელს და ქრისტეფორე რაჭველიშვილს, რომლებმაც წაიკითხეს წერილი და ძალიან მოეწონათ. ნიკოლო მიწიშვილმა მითხრა წერილი უთუოდ უნდა დაიბეჭდოს მწერალთა კავშირის ორგანოშიო. ეს იყო 1933-1934 წლები. წერილი მზად იყო და უნდა წამეღო რედაქციაში, ამ დროს განყოფილებაში შემოვი-

[1] ამ საარქივო მასალას ვბეჭდავთ მხოლოდ ერთი მიზეზით: მასში ივანე ჯავახიშვილის რომელიღაც უცნობი ნაშრომია ნახსენები. ალ. სიგუას სხვა საარქივო მასალებს, მიუხედავად გულდასმით ძებნისა მისი საცხოვრებლის ჩათვლით, ვერ მივაკვლიეთ [რედ.].

და ბატონი შალვა დადიანი, რომელსაც გავაცანი დასაბეჭდად დამზადებული წერილი. როცა ბატონმა შალვამ წერილი წაიკითხა, ამის დაბეჭდვა არ შეიძლება ჭაბუკოო, თუ ლავრენტი ბერიას არ შეუთანხმდებიო. [მე მივუგე:] ეს კი ბატონო შალვა, ჩემთვის მიუწვდომელია. არა, – მითხრა მან, აიღო ტელეფონი, დაურეკა მას და რამდენიმე ხანში მასთან ვიყავი. ბერიამ სურათები გადაათვალიერა და მითხრა: – მე უფრო მეტი სურათები მაქვს და რამდენიმე წუთში მის სამუშაო მაგიდაზე ათამდე სურათები იყო და სხვა მასალები.

ბერიასთან დიდხანს დავყავით...

შემდეგ შეხვედრაზე მან დაიწყო აფხაზეთზე საუბარი: აფხაზები უმცირესობაა და რაც მთავარია ჩვენს მიწაზე ცხოვრობს და უმრავლესობას ებრძვის და ეწინააღმდეგება. ეგ არაფერია, აფხაზეთს მე მოვუვლი ამ რამდენიმე თვეში, მაგრამ შავი ზღვის სანაპიროს იპყრობენ სომხები და სხვა ეროვნების ხალხი და იქ სახლდებიან. ამაში ხელს უწყობენ რუსები. უცებ მან მაგიდის უჯრიდან ამოიღო რუსულად დაწერილი ერთ თაბახამდე წერილი ბერიას სახელზე, რომლის ავტორი იყო ივანე ჯავახიშვილი და გადასცა ბატონ შალვას. შემდეგ, როდესაც წერილს გავეცანი, ღრმა მეცნიერული სინდისით იყო დაწერილი, სადაც გულისტკივილით იყო აღნიშნული ის კოლონიზაცია, რომელიც მიმდინარეობდა შავი ზღვის სანაპიროზე...“

საძიებლები

პირთა საძიებელი

აბასასძე ი. 46
აბაშელი ს. 298
აბაშიძე კ. 17
აბბას ოღლი 57
აბხაზი ივ. 57
აბხაზი კ. 57
აგლაძე ი. 298
ადონცი ნ. 41, 43, 74
ავალიანი 180-187
ავალიშვილი ზ. // ავალოვი// ზურაბი 198, 251, 255-256
ავერიანოვი პ. 69, 74
ავეტისოვი ვ. 57
ალბერთ თომა 230, 260, 297
ალექსანდრე I 162
ალექსანდრე მეფე 28, 89
ალშიბაია 187
ანდრია პირველწოდებული 221
ანდრონიკაშვილი 180, 184-187
ანთელავა ი. 78
ანტიოქოს დიდი 41
ანტონი (კათალიკოზი) 36
არაბული ა. 11
არაველეცი ვ. 48, 74
არდიშვილი ვ. 173
არიენი (არიანე) 221
არმენ შაჰი 47
არსენიძე 184, 187
არტარქსი 41
არშაკი 43
არჩილ მეფე 36
ასათიანი ბ. 156
ასათიანი ს. 262, 264
აფხაზი დ. 171-173, 176, 178, 179, 183-185, 193, 195
აქსელროდი 256
აღა-მაჰმად-ხანი 49, 54, 79, 131
ახვლედიანი გ. 203, 204
ახვლედიანი ს. 198
ახმედ მირზა 57
ახმეტელი (ახმეტელაშვილი) ვ. 257, 265
აჰარონიანი ა. 81
ბაბე (ბაბეტი) ბ (ვ). 19, 24, 176, 189, 190, 193, 194, 201, 226, 235-237, 240, 272, 297
ბაბე ა. 19
ბაგრატ III 46, 126
ბაგრატ IV 46
ბაგრატუნი აშოტ 44, 45
ბალაბუევი 295-297
ბარათაშვილი ი. 57, 156
ბარათოვი 181, 212
ბარნსი 232
ბარტოლდი 32
ბარტონი 237, 242
ბაულინი 232
ბაქრაძე გ. 257, 261, 267
ბაქრაძე ა. 26
ბახტაძე 187
ბახშინოვი მ. 57
ბგაჟგბა ო. 127
ბენაშვილი ან. 13, 71, 295-297
ბერია ლ. 9, 298, 299
ბერჟე ად. 75
ბიტო 252
ბიჩი 177, 178, 182, 211, 241, 242
ბჟალავა თ. 25
ბრანტინგი 232
ბრიანი 230
ბრისკი 178
ბროსე მ. 34, 50, 59, 65, 74, 277
ბულიონი ფ. 230
ბურნაშევი 28, 35, 36, 49, 51, 84, 126, 134
ბურნაშევი ს. 35, 36, 38, 49, 51, 99, 126
ბურნაშოვი (მოსამართლე) 57
ბურცევი 255
ბუტკოვი ნ. 51, 53, 54, 61, 62, 72
გაბაშვილი ტ. 28, 75, 276
გაგიკი (სომეხთა მეფე) 45
გაიბმოვი ა. 57
გამბა (პოლკ.) 212
გამბა ფ. 28
გეგეჭკორი ე. 70, 157, 159, 171-173, 175-177, 179, 181-183, 185, 186, 200, 237, 265, 270
გედევანიშვილი ის. 172, 175, 178-187, 264
გელეიშვილი პ. 159, 173, 175-181, 184, 186
გენდერსინი 232
გვაზავა გ. 156, 157, 175

გვათუა ა. 19, 190, 193, 201 205-208, 231, 241
გვარჯალაძე კ. // კოწია 230, 232, 234, 235, 245, 246, 249, 251, 254, 257
გველესიანი გ. 171-173, 175, 176
გიგოლაშვილი 176
გიორგაძე გ. 156, 159, 173, 175, 176
გიორგაძე ე. 81
გიორგი III 48, 145
გიორგი II 46
გიორგი მეფე (XIII) 48, 54, 79
გიორგი უფლისწული 152
გობეჩია ი. 9, 174, 175, 194, 200, 202, 228, 229, 232, 233, 241, 272
გოგაშვილი ი. 190
გოგიჩაიშვილი მ. 159
გოგიჩაიშვილი ფ. 172-173, 175, 176, 179, 181, 182, 188, 194, 196-199, 200, 203
გოგოლაშვილი 19, 188-194, 200, 201,
გოზდავა-კოლოვსკი 198
გოზდავა-საკალუსკი 198
გორგასალი 43
გრემიაკინი ვ. 64
გუდი 230
გუნია ვ. 298
გურამიშვილი დ. 78
გურული ვ. 11
დადიანი ი. 188, 194
დადიანი ს. 156
დადიანი შ. 298, 299
დავით აღმაშენებელი 26, 30, 33, 47, 48, 130, 145, 159, 161
დათიკო (დ. გვარჯალაძე) 251, 256
დებანელი 230, 232
დევდარიანი ს. 298
დევიძე 271
დეკანოზიშვილი ა. 19, 189, 191, 193-195, 198, 200, 201, 231
დელატარეტი? 232
დელიბაში 64
დემეტრე მარზპანი 45
დენი 228
დენიკინი ა. 128, 129, 178, 210, 235, 238, 239, 248, 252, 258, 260, 267, 268
დვალი ნ. 153
დიდებულიძე დ. 177, 178, 180, 186
დიუნ ბუაზეო? 232
დუბროვინი ნ. 49
ეკატერინე II 61, 78, 162, 222, 297
ელიგულაშვილი 227
ელიმზიროვი (ელიმიზროვი) 57
ემუხვარი დ. 178
ერეკლე //ირაკლი II//ირაკლი 62, 64, 67, 93, 112, 128, 180, 242
ერეკლე II 36, 38, 39, 40, 51, 53, 54-56, 61, 65, 67, 74, 78, 84, 118, 141, 162, 197
ერიბეკოვი 57
ვალერი 235
ვანდერველდი 232
ვაჩნაძე დ. 156
ვახტანგ VI 30, 49, 51, 52, 59, 77, 78, 126
ვახუშტი (ბატონიშვილი ვ.) 28, 30, 31, 33, 35, 36, 38, 39, 48, 50, 52, 59, 61, 65, 66, 74, 75, 126, 152, 277
ველოზელო 232
ვერმიშევი 141
ვეშაპელი გ. 156, 251, 268, 297
ვეჰიბ-ფაშა 244
ვივიანი 230
ვილსონი 243
ვილჰელმი 256
ვოიტინსკი ვ. 176, 177, 225, 226, 232, 234, 235, 264, 274
ვორონცოვ-დაშკოვი ილ. 57, 64, 133
ზარიადრი 41
ზაქარიაძე 183, 184
ზახარიანცი 57
ზურაბაშვილი ილია 298
ზურაბიშვილი ვანო (ივანე) 19, 192-195, 198-201, 205, 207
თამარ მეფე 26, 31, 48, 61, 77, 78, 130, 131, 133, 145, 146
თაყაიშვილი ექ. 25, 35, 74, 188, 197, 225
თეიმურაზ მეფე 78
თეიმურაზ II 61
თოფურიძე 183
თოფჩიბაშევი 242
თუმანიშვილი 263
იაშვილი დ. 298
იბრაჰიმ ხანი 54
ივანენკო ვ. 29, 55, 62, 63, 75
იზელი გ. 297
ინალიშვილი 57
ინგოროყვა პ. 5, 8, 11, 14-16, 20, 25, 86, 94, 109, 110, 112, 189, 197, 217, 218, 220, 251, 289
იოანე 117
იუზბაშევი კ. 57

კალინინი 64
კამბონი 232
კანდელაკი კ. 159, 172, 173, 175-183, 186, 187, 264
კაროიანცი 64
კაშენი 230, 252
კაჩკერი 257, 261
კედია ს. 156, 158, 175, 188, 189
კეკელიძე კ. 12, 203, 204
კერენსკი 228
კვირიკე (სომეხთა მეფე) 12, 46
კიუნე ე. 297
კლემანსო 232, 249
კნორრინგი 79
კობახიძე რ. 25
კოვალენსკი ს. 39-40, 54-55, 75
კოვალენსკი ს. ?
კოლჩაკი ა. 248, 258
კონიაშვილი 172
კოპალეიშვილი 192
კოპალეიშვილი დ. 193
კორვინ-პავლოვსკი 57
კორრი//კორი 182, 210, 211
კრამერერი? 230, 232
კუზმინა-კარავაევი ა. 127, 128
კუკოლისი 268, 270
ლაზარაშვილი 15
ლაზარევი 64
ლაკობა ს. 127
ლასხიშვილი გ. 156, 171, 175, 176
ლაფონი / ლაფორი 230, 245
ლევან მეფე 36, 131
ლევენსონი 224
ლეონიძე გ. 14-15, 94, 109-110, 112, 298
ლიახოვი ვ. 143
ლიპარიტ ერისთავი 46
ლისოვსკი ვ. 144
ლობროტი 19, 297
ლოიდ-ჯორჯი 82, 210, 232
ლომთაძე დ. 178-183
ლონგე? 245
ლორთქიფანიძე ბ. 171
ლორთქიფანიძე გრ. 187
ლორთქიფანიძე ვ. 194
ლორთქიფანიძე ი. 159, 172, 173, 175, 176, 188, 194, 196, 267
ლუკა (სომეხთა კათალიკოსი) 54
მაევსკი ვ. 29
მათურელი ი. 28
მაიერი ბ. 247
მალანია 175, 176, 187
მალეტი 232
მალითური? 232
მამფალი გუარამ 44, 45
მარრი ნ. 46, 69
მარტიროსიანი 40
მაუტე? 230
მაყაშვილი 64
მაჩაბელი გ. 227
მაჭავარიანი ი. 298
მახარაძე გ. 171-173, 175
მაჰმუდ ფაშა 268
მგელაძე ვ. 187, 193, 206-208, 231, 241
მგელაძე ვლადიმერ 19, 201
მდივანი ს. 156, 183
მელიკ-ასლანოვი 182
მელიქიშვილი პ. 204, 272
მენთეშაშვილი ა. 20, 21, 159
მენი 242
მესხიევი კ 13, 295, 296
მესხიშვილი შ. 156, 159, 171-173, 175, 176
მეტრეველი რ. 26
მეწატუნინცი 64
მეჯლუმი 55
მეჰრაბოვი ვ. 57
მილნი 226, 228, 268, 271
მირვან მეფე 33
მისენკო მ. 57
მიწიშვილი ნ. 298
მიჰრდატი 42
მოორი 243
მორვოდი პ. 286
მოსეშვილი ვ. 204
მჟავია ნ. 25
მროველი ლ. 27, 45, 125
მტბევარი სტ. 45
მურჯიკნელი 64
მუჰტი-აღა სულთანოვი 57
ნადირ შაჰი 131, 137
ნაზარაშვილი ვ. 19, 188, 195, 200, 207, 241
ნაზაროვი გ. 205
ნაზაროვი ვ. 190, 192, 193
ნაკაშიძე ი. 19, 192-194, 201, 207, 231
ნიკოლაიშვილი დ. 16, 25, 125

ნიკოლაძე ნ. 18, 158, 159, 174, 176, 188, 190-195, 198, 199, 207, 228, 229, 232, 234, 235, 241-243, 256
ნიპოდი ო. 297
ნოე 225
ნუბარ ფაშა 81, 82
ნუცუბიძე შ. 203, 204
ოგაჯიანი 204
ოდიშელი ჯ. 159, 161
ოდიშელიძე ილია 5, 11, 14, 16, 19-20, 24, 25, 81, 86, 125, 129, 133, 142-144, 147, 155, 176, 182-185, 188-190, 192-195, 197-201, 207, 227, 232, 234, 270
ოკუმელი მ. 297
ორბელიანი ე. 203
ორბელიანი მ. 190, 192
ორბელიანი პ. 51, 52, 65, 74
ორბელიანისა ელ. 203, 204
ოქუაშვილი ა. 298
ოჰანჯიანი 252
პაგარონიანი 24, 229
პანოვი 57
პაპაჯანოვი მ. 17
პაპი (სომეხთა მეფე) 43
პასკევიჩი 63, 137, 141
პერშკე ს. 57
პეტლიურა 238
პეტრე I 77-78, 254
პიმენ სალოსი 35
პიშონი 230, 232, 233
პლინიუსი 41, 42, 221
პოტიომკინი 79
ჟამთააღმწერელი 35, 36, 61
ჟორდანია ნ. 9, 22-24, 70, 81, 157-160, 171-173, 175-179, 186, 224, 252, 258
ჟორჟოლიანი 262
ჟურული გ. 156, 159, 171-173, 175, 176, 188, 194, 196, 199
რაიკფორტი 224
რამიშვილი ნ. 8, 156, 158, 159, 171, 172-183, 186, 189, 194, 195, 217
რატიშვილი 79
რაჭველიშვილი გ. 298
რენოდელი 230
რობაქიძე გ. 19, 158-160, 171-173, 190, 192, 200, 201, 207
რომანოვსკი 211
რცხილაძე გიგო (გრიგოლ) 9, 18-20, 24, 156, 159, 176, 188-192, 194, 195, 198-201, 229-231, 237, 244, 262, 267, 268, 270
სააკოვი ვ. 57
საბინინი გ. 45, 74
საბახტარაშვილი კ. / საბახტარიშვილი 159, 172, 176-185, 187, 264
სართანია დ. 78
საყვარელიძე პ. 156
სახოკია თ. 298
სერვერ ბეგი 268, 269
სიგუა ა. 9, 298
სლავინსკი კ. 57
სმირნოვი 57
სოლომონ II 78, 79
სორლიე 228
სოღორაშვილი 184
სოხლერი 23, 228
სტავრიდკი 212
სტოქსი კ. 207
სტრაბონი 41, 42, 75, 136
სტრელბნიცკი ი. 34
სუმბათაშვილი მ. 235, 245, 247, 253, 258, 261, 265, 266
სუმბატი 12, 46, 56
სურგულაძე ა. 159, 161
სურგულაძე პ. 159, 161
სფორცა 228
ტაბარი 126
ტაბიძე გ. 175-176
ტარონეცი (ასოკიღ) ს. 45, 74
ტაუში ი. 57
ტაციტი 42
ტეფიკ ფაშა 244
ტომაზო 251
ტომასი / თომასი ა. 260, 297
ტომსონი 149, 176, 195
ტოპოროვი (ტოროპოვი) 64
ტოტლებენი 78, 79
უგლოვი 64
უზნაძე დ. 203-204
უორდროპი 25
ურჰაელი მათე//ურჰაეცი მ. 48, 74
უსუბეკოვი 186
უშაკოვი კ. 225
უშვერიძე 225
უჯმაჯურიძე ა. 5, 25
ფალავანდიშვილი მამედი 64

ფალავანდიშვილი მუსტაფა 64
ფანჯიკიძე გ. 159, 161
ფარსმანი 42
ფაღავა გ. 156
ფაღავა ყ. 298
ფილიპოვი ვ. 32, 75
ფირცხალავა ს. 156, 175, 187
ფულონი 233, 240, 241
ქავთარაძე 183, 185
ქარცივაძე ი. 185, 186
ქიქოძე ტ. 57, 183
ქუთათელაძე 184
ღამბაშიძე გ. 189, 199
ღამბაშიძე დ. 182, 183, 251, 256, 272
ღამბაშიძე ვანდა 203
ღამბაშიძე ვახტანგ 19, 176, 189-193, 198, 201, 205, 207, 208, 217, 225, 230, 232, 235, 237, 242
ყაზახაშვილი (ყაზახიშვილი) 67, 74
ყაზბეგი ა. 298
ყარალაშვილი 172
ყიფიანი 262
ყიფიანი ვ. 197, 293
ყიფშიძე ი. 9, 23, 69, 188, 196, 203, 204, 271
შანიძე ა. 23, 203-204, 271
შარაშიძე დ. 19, 190, 193, 201
შაჰ აბაზი (აბას I) 36, 48, 52, 84, 118, 131, 132, 136, 137
შაჰატუნიანი ა. (შახატუნიანი) 44, 51, 54, 55, 61, 68
შენი 192
შერვაშიძე სერვერ ბეი 23
შესტაკოვი მ. 57
შირვანშაჰი 47, 53
შრაშიძე (შარაშიძე) დ. 19, 190, 193, 201
შუბერტი ფ. 33
შჩუპაკი 247, 255
ჩალხუშიანი 71
ჩანტლაძე ნ. 25, 43
ჩაპლიგინი 64
ჩაჩხიანი ა. 135
ჩერმევი 241
ჩერნევსკი 57
ჩერქეზიშვილი ვ. 202, 226, 229, 275
ჩერქეზოვი 297
ჩინიკაშვილი პ. 172
ჩიჩერინი მ. 82
ჩუბინაშვილი გ. 203
ჩხეიძე ნიკოლოზ //კარლო 8, 9, 18-20, 23, 24, 70, 158, 159, 175, 176, 188-194, 200-202, 224, 225, 228, 229, 231-240, 242-244, 274
ჩხეიძე რ. 92, 112
ჩხენკელი ა. 8, 17, 81, 156, 209, 235, 245, 247, 249, 250, 252, 253, 256, 258-261, 263, 266-268, 270
ჩხიკვიშვილი 135
ციგანკოვი ვ. 57
ცინცაძე დ. 13, 26
ცინცაძე ნ. 177-187
წერეთელი იარაკლი//კაკი//ირაკლი 19, 24, 70, 158, 174-176, 189-195, 201, 202, 228, 233, 237-240, 242, 244, 252, 255-257, 261, 263, 274, 275, 297
წერეთელი ე. 19, 24, 176, 189-190, 193-194, 201, 237
წერეთელი კ. 139, 152-153, 155-156, 161
წერეთელი მ. 265, 268
წერეთელი ც. დემოლონ 202
წვერავა პ.// წვერავა ვ.// წვერავა ი. 19, 193, 201, 205-208, 231, 241
წმინდა ნინო 222
წულაძე ა. 298
ჭავჭავაძე ი. 293, 298
ჭანტურაია მ. 25, 206-208, 244
ჭანტურიშვილი 178, 179
ჭიჭინაძე ბ. 183, 186
ჭიჭინაძე ზ. 74
ჭიჭინაძე ნ. 177-180
ჭიჭინაძე პ. 187
ჭუმბაძე ა. 260, 265
ხარლამოვი ვ. 17
ხელაძე ლ. 298
ხომერიკი ნ. 171, 172, 175, 176, 178, 182-186
ხოსრო 43
ხუნჯუა გ. 295, 296
ჯავახიშვილი ალ. 125, 226
ჯავახიშვილი ივანე// ვანო 4, 5, 9, 11-14, 16, 18-28, 30, 32, 34, 35, 41-51, 53, 55, 59, 60, 66, 74, 76-79, 82-84, 86, 90, 125, 126, 130, 133-135, 159, 161, 176, 177, 188-191, 193, 194, 196, 198, 200, 201-205, 207, 208, 226, 232-234, 242, 255, 263, 271-273, 288-291, 293-296, 298-299
ჯავახიშვილი რ. 275
ჯავრიშვილი კ. 174, 192-194

ჯამბაკურ-ორბელიანი ა.// სტაზიკო 9, 23, 273, 275
ჯანაშვილი მ. 36, 37
ჯანაშვილი მ. 74
ჯანელიძე ო. 25
ჯაფარი-ამირა 46
ჯაფარიძე ა. 159, 160, 171, 172, 175-179, 181-186
ჯაფაროვი მ. 17
ჯაყელი ნ. 19, 21, 141, 143, 174, 194, 200, 201, 244, 264
ჯიბლაძე ვ. 184
ჯიმშედი 55
ჯიფფორდი პ. 69
ჯუღელი ვ. 180, 182-184
ჰალილ ბეი 244
ჰაუზი 260
ჰაუსი 235
ჰეკერი 22
ჰისმანი 245
ჰიუსმანი 245, 256

გეოგრაფიული ობიექტების საძიებელი

აბაიყაუ 152
აბასთუმანი 62, 115
აბოცი 42, 44, 52, 59, 60, 65, 73, 91, 94, 98, 99, 101, 105, 109
აბული 72-73, 75, 78, 80, 86
აგეფსთა 128
აგლაგანი 139
აგრიკარი 139
აგრი-ჩაი 35, 114, 131, 217
აგუნდირი 149
აგუნდირკი 150
ადაი ხოხი 31, 33, 125, 129, 130, 151, 152
ადაი-კოხი 167
ადიგენი 141
ადიდია-გელარ 175
ადრიანოპოლი 166, 169
ავაშეჯი ბარონდი 130
ავრანლო 94-96
ავსტრო-უნგრეთი 258
აზავრეთი 99
აზერბაიჯანი (ადრბაიჯანი) 15, 17, 53, 79, 84, 111, 126, 132-135, 138, 146, 160, 211, 289
აზმანა 99
ათინა 69
აირი-თაფა 140, 146
აირჩაი 132
ავსანდაღის 32
ალაგელარი 114, 217
ალავერდი 94, 95, 98
ალაზანი 35, 36, 38, 41, 90, 112, 114, 118, 131, 132, 134, 147, 168, 170, 217, 232, 234-246, 251, 254
ალაივარი 149
ალანია 32
ალასტანი 99
ალექსანდროპოლი 57, 64, 65, 91, 94, 96, 97, 102-105, 134, 135, 138, 142, 169, 212
ალიაბადე (ელისენი) 118
ალიბექლო (ალი-ბეგლო) 118
ალის სასულთნო 36
ალიხანი 94, 104
ამამლო 135
ამასია 95
ამერიკა 80, 82, 85, 188, 242, 243, 264
ამიერკავკასია 8, 15, 17-19, 22, 25, 28, 47, 53, 54, 66, 68, 86-89, 94, 132, 134, 151, 155, 160, 163, 164, 167, 209, 211, 212, 217, 218, 243, 266, 297
ამიერკავკასიის გუბერნია 217, 218
ამსტერდამი 256, 257, 261
ანაკერტი 99
ანატოლია 107, 257
ანისი 48
ანკარა 260
არაბეთი 162

არალი 122
არაქსი 134, 145-147, 168
არაშხანი 99
არგენტინა 245, 251, 262, 265
არდონი 129, 130, 151, 152, 154, 167
არდონის (ნარდონის) ქვაბ-ხეობა 32, 33
არზრუმი (აზრუმი) 24, 48, 81, 87
ართვინის ოლქი 122, 123, 220, 222
არიშის წყალი 35
არკმეხი 167
არსიანი 139, 149, 150
არტაანი 44, 50, 60, 62, 68, 69, 73, 91, 95, 100, 110-111, 114-116, 119-124, 140, 143-146, 149-151, 154, 210, 212, 218, 220, 222, 247, 251, 254, 268
არტაან-ოლთისი 254
არტაშატი (არტაქსატა) 42
არტაშენი 69
არქაბე 69
არღუნი 114
არხამი 167
არხონი 31, 33, 125, 129, 130, 152, 167
ასახაჩა 213
ასპინძა 62, 141
აფნია 99
აფშილეთი 29
აფხაზეთი (აბხაზეთი) 15, 27-30, 33, 72, 81, 89-91, 107, 108, 116, 117, 119, 121, 126-127, 169, 178, 218, 255, 299
აფხაზეთ-ჯიქეთი 116, 121, 218
აქორი 95, 97-98, 104
აღაბაბას მთა 59
აღლაღან 104, 105
აღმოსავლეთ რომი 162
აღსტაფა 168
აღსტაფურა 38
აშაღა სარალი 97
აშე 114, 127, 167, 217
აშკალა 94-96
აშშ 19, 22, 161
აჩკაძორი 97
აჩკ-ბაბი 168
აწყვერი 62
აწყური 115, 122, 146
აჭარა 62, 141, 143, 211, 222, 268
აჭარისტანი 270
ახ-აგის 128
ახალბაიაზეთი 111
ახალი ლალაო 97
ახალქალაქი 57, 62-68, 84, 94-102, 115, 116, 119-124, 133-135, 138-144, 146, 149, 164, 169, 210, 211, 218, 220, 247, 268, 269
ახალციხე 61-65, 82, 84, 96, 98, 102, 103, 115-116, 119-124, 139, 141-144, 146-149, 151, 164, 169, 198, 210, 212, 218, 220, 222, 268, 271
ახალციხის ოლქი 210, 220
ახოტი 30, 31, 33
ახტალა 51
ახუკ-დარა 128
ახქერპი 97
აჯინოური 6, 133
ბაბაკარი 139
ბაბაკი 50
ბავრა 122
ბაზარ-თალა 118
ბათუმი // ბათომი 12, 15, 16, 23, 25-26, 62, 69, 71, 80, 82, 89, 91, 93, 110, 111, 115, 116, 119, 120-124, 139, 141, 143-145, 148-151, 154, 158, 160, 163, 164, 166, 169, 171, 195, 206, 207, 209-211, 215, 218, 220, 222, 224, 226, 227, 229, 267-271, 273-275
ბათუმის ოლქი 62, 69, 139, 141, 143-145, 148-150, 154, 166, 195, 215, 222
ბათუმი-ყარსი 169
ბაკფანდაღი 32
ბაკურიანი 64, 102, 142
ბალანთა 99
ბალტიისპირეთი 163
ბამბაკი 21, 42, 50, 51, 59, 71, 78, 84, 91, 94, 96, 98, 104, 105, 107, 109, 110, 115-118, 121, 134-136, 138, 168, 211, 219
ბარალეთი 64, 99
ბასიანი 31
ბაქო 66, 82, 111, 160, 171, 176, 184, 195, 199, 211, 269
ბახ-თალა 118
ბახ-ფანდახი 130
ბეზობდალი 21, 50, 57, 59, 71, 135-136, 138-140, 146, 168
ბელაქანი 35, 36, 49
ბეჲუკ-დერე 69
ბერდაძორი 97
ბერდუჯი 21, 39, 48, 50, 59, 65, 71
ბერთაყანა 99
ბერლინი 166, 169, 188, 209, 256, 257, 261

ბერნი 235, 245-247, 254, 257-259, 261 262, 267, 297
ბზიბი 28, 29, 177, 181
ბიზანტია 43, 60, 162, 221, 222
ბირთვისი 46
ბიუკადა 239
ბიჭვინთა (ბიჭვინტა) 28
ბლუხა 114
ბნელა 122
ბოგდანოვკა 64, 65, 100, 102, 142
ბოზ-დაღი 114
ბოლნის-დმანისი 42, 45, 46,
ბოლნისი 43, 55, 135, 136
ბოლნის-ხაჩინი 57
ბორჩალო 39, 42, 49, 51, 55-58, 65-67, 89-90, 94-95, 97-99, 104, 107 109, 134-140, 142, 168, 175, 182, 198, 211, 213-214, 246, 269
ბორჯომი 60, 64, 96, 102, 103, 142, 146
ბოსტან-ქალაქი 38
ბოჰემია 92, 257
ბრესტ-ლიტოვსკი 16, 92, 114, 115, 120, 163, 164, 209, 270
ბრიტანეთი 210, 211, 228, 244
ბრუტსაბძელი 31
ბუგატაპა 168
ბულგარეთი 113
ბურნაშეთი 99
გიული-ბულახი 57, 97, 101
გაგრა 90-91, 127-129, 151, 172, 269
განჯა 14, 39-40, 53-54, 66, 78, 82, 91, 111
გარდაბანი 39, 43
გარეჯი 38, 66
გარეჯის მთა 66
გეგი 128
გელაქუნი 50
გელსუნდა 99
გერმანია 18, 19, 80-82, 85, 163, 164, 188, 209, 238, 249, 256-258, 261
გველეთი 33
გიუმრი 135
გიუნე 99
გიშის ციხე 35
გიშის წყალი 21, 35, 36, 38, 71
გლოლა 31
გ.ულიბულახი 57, 97
გოგაშენი 99
გოითხი 114, 127
გოკია 99
გომარეთი 96, 109
გონია 123
გორი 71, 139, 152
გორის ოლქი 32,
გორის ციხე 33
გუგარეთი 41-45
გუდამაყარი 33
გუდაუთა 29
გუდახევი 69
გულიბულახი 57
გუმბრი (ალექსანდროპოლი) 57, 58, 64, 65, 111
გურია 90, 196
გურია-აფხაზეთი 169
გურუქ-არხისა (გეურ-არხისას) 97
გერგერი 104
გუჯარეთი 42
დავით გარეჯი 38
დალავერი 101
დანია 80, 229, 264, 265
დარიალანი 30, 33, 72
დარიალი 33, 130, 131, 151-154, 178
დარუბანდი 53, 78
დასავლეთ ევროპა 80, 87, 162, 188, 260
დაღესტანი 35, 36, 53, 118, 129, 131, 132, 167, 181, 213
დებედა 21, 38, 39, 50, 59, 71, 94-95
დებედა-ჩაი 168
დეგლიდაღი 168
დერბენდი // დერბენტი 53, 151, 235
დერქსინი 41
დვალეთი 30-33, 72, 130, 152-154
დიდგორი 31
დიდი ალათემური 118
დიდი ბრიტანეთი 82, 207, 228, 269
დიდი კავკასიონი 167, 170
დილიჟანი 135
დმანისი 45, 135
დონი 23, 237-239, 241
დონღუზ-ორუნ-ბაში 125
დუმლუდაგი 168
ეგვიპტე 126
ევროპა 9, 18, 20, 21, 25, 80, 87, 158, 160, 162, 163, 167, 174, 176, 188, 192, 196, 199, 201, 203, 215, 221, 232, 245-246, 248, 252, 254, 260, 267, 269
ელდარი 38, 129, 131-133
ელენოვკა 135
ელისავეტოპოლი 134, 139

ელისენი 36, 118
ემირი 97
ენგიანი 118
ენგური 29
ერევანი 53, 64, 66, 78, 103, 105, 135, 138, 169, 212
ერეკანი 17, 31, 33, 38-40, 51-53, 57
ერზერუმი 24, 140, 146, 147, 149, 150, 170, 238
ერზრუმი 221
ერინკა (ერინჯა) 99
ერუშეთი 62, 65
ეფრემოვკა 100
ეჩმიაძინი 111
ვაინქ-ფარსი 114, 217
ვალაგირი 31
ვალე 122
ვარგავი 99, 122
ვარევანი 99, 122
ვარსამბეკი (ვერშემბეკი) 69
ველი 100, 122
ვენა 265
ვერხვიანი 118
ვიწე 69
ვლადიმიროვკა 100
ვოგოსი 104
ვორონცოვკა 104
ზამახი 152
ზარამაგა 152
ზარამახა 130
ზარდანესი 150
ზარიშტიანი 101
ზარუშადი 101
ზაქათალა 5, 9, 11, 29-30, 37, 38, 67, 73, 84, 87-88, 90, 91, 92-93, 96, 103, 105-106, 110, 111, 114-119, 121, 129, 131-135, 149, 166, 168, 169, 186, 205, 213, 217, 219, 255
ზაქათალას ოლქი 5, 11, 37, 84, 110, 111, 172, 175, 177
ზაქი 99
ზახა 31
ზედა აჭარა 268
ზეკარი 31, 32, 130
ზემო ტაო 69
ზემო ქართლი 59, 60, 61, 73
ზემო ყულარისი 97
ზემო შავშეთი 122
ზრამაგა 30, 31
ზურზუნა 149
„თამარ მეფის ციხე“ 131, 152, 153
თავრიზი 53, 79, 82, 87
თაზაქენდი 104
თათარისტანი 113
თალიში 108
თბილისი //ტფილისი//თფილისი 18, 19, 23-26, 28, 29, 32-34 42-44, 46-48, 51, 55, 57, 58, 64, 65, 68, 70, 71, 74, 77, 78, 79, 81, 82, 84, 91, 95-97, 102, 103, 105, 110, 114, 115, 116, 118, 119, 121, 126, 129, 130, 135, 136, 138-140, 142, 143, 146, 147, 155, 156, 159, 161, 164, 166, 168-170, 188 193, 196-197, 207, 210, 212, 213, 217, 219, 224, 225, 226, 228, 229, 231, 235, 236, 237, 238, 239, 242, 249, 257, 261, 262, 267-275, 293, 295-296
თბილისის // ტფილისის გუბერნია 33, 64, 91, 110, 115, 116, 121, 133, 168, 169, 218
თეზი 42
თეთრიციხე 59
თეთრიწყარო 135
თელავი 55, 139
თერგი 32, 33, 91, 114, 129-131, 152, 153, 167, 214, 217
თიანეთი 139
თოკი 99
თორთომი // თორთუმი 59, 60, 68, 69, 73, 91, 221, 222
თრიალეთი 42, 44, 52, 94
თრუსო 30, 32, 130, 152
თურქეთი 141, 145, 148, 149, 150, 152 162-164, 166, 168-170, 209, 297
თურქესტანი 246
თუშეთი 90
იაგდანში 104
იალბუზი 125, 130
იალღუჯი 38
იაპონია 252
იბერია 42, 43
იერუსალიმი 153
ითი-თალა 118
ილმაზლო 104
იმერეთი 28, 75, 76 79, 90, 126, 135, 169, 176, 276, 281

იმერხევი 122
ინგლისი 25, 69, 81, 82, 149, 158, 175, 178, 181, 188, 195, 198, 199, 205, 207, 210, 215, 225-228, 232, 241, 243, 246, 248-250, 254, 257, 259, 260, 262, 267, 269-274
ინდოეთი 77, 78, 82, 126
იორი 35, 38
ირანი 53, 107, 126, 162
ირგანჩაი 104
ირჯანი 59
ისპანია 80, 229
ისპირი 59, 60, 68, 69, 73, 91, 110, 168, 221, 222
იტალია 178, 212, 228, 229, 232, 235, 236, 250, 257, 259, 262, 267
იუხარი სალარისა 97
კაგიზმანი 170
კავკავი 269
კავკასია 5, 12, 15, 19, 21, 22-24, 26, 27, 28, 30, 33, 41, 44, 46, 53, 57, 58, 63, 64, 69, 71-72, 80-92, 94, 100-103, 105, 107, 109, 110, 112, 113, 118-120, 125, 126-128, 131-133, 143, 144, 153, 160, 163, 166, 167, 169, 170, 181, 184, 199, 201, 204, 207, 208, 212, 214, 228, 229, 241, 248, 249, 254, 260, 269
კავკასიონი 15, 27-36, 82, 90, 93, 107, 112-114, 125-132, 134, 145, 151-153, 167, 168, 213, 217
კავკასიის ქედი 27, 90-91, 126
კაზანბაჩი 168
კაბახტაპა 168
კაკი 118
კალიფორნია 22, 161
კამაროვანი 95
კამაცანადაღი 125
კამბეჩოანი 38, 41
კამპუში 149
კაპოეტის წყალი (ბზიბი) 28
კარა-კაი 167
კარალი 168
კარა-ჩაი 132
კარაბელი 95
კარგაჩი 168
კარნუქალაქი 61
კარინი 41
კარტიკამი 100, 122
კარწახი 43
კასარი 130, 151-154, 167, 180, 182
კასპიის ზღვა 41, 77, 82, 107, 151, 246, 260, 270
კასრის ხევი 31
კაღფაქარი 45
კაშკა-ჩაი 71, 131, 132, 219
კაჩკად ჩაი 104-105
კარახაჩაი 138
კაჭიო 99
კახეთი 36, 49, 84, 86, 90, 91, 103, 131-133, 169, 199
კახი 36, 90
კაჯანი 130
კედელა 30
კვერნაქი 90-91
კიევი 200
კილიკია 82
კარჩხალის 222
კისირ-დაღი 146, 168
კისკიმი 91
კისტინკა 130, 153, 154
კლარჯეთი 59, 60, 62, 268
კობი 152
კოდორი 29, 32
კოზი 32
კოთელია 99
კოლა 60, 62, 68, 73
კილისაკალუ 168
კონსტანტინოპოლი (კონსტანტინეპოლი) 9, 11, 12, 23, 24, 26, 61, 71, 80, 112, 124, 174, 177, 205-208, 225-227, 229, 231-237, 262, 267, 268, 270
კოპი 168
კორტიკდაგი 168
კრასნოდარი 126
კუდარო 30
კუმურდო 99
კუპახი 130
კურუ-ოღლი 140
ლაზარევსკაია 126
ლაზისტანი 59-61, 69, 73, 90, 91, 107, 110, 141, 143-145, 147, 151, 168, 170, 221, 222, 229, 247, 251, 252, 254, 255, 268, 297
ლალვარი 95, 140
ლარსი 91, 114, 115, 131, 153, 167, 217
ლეკეთი 35

ლემანი 297
ლენინაკანი 135
ლიახვი 129, 152
ლივანი 122
ლიონი 231, 232, 234, 240
ლიტვა 113
ლომატურცხი 99
ლომეკი 31
ლონდონი 25, 210, 225, 232, 237, 249, 258, 265, 271, 274
ლორე // ლორი 5, 14, 42, 45-49, 52, 78, 84, 85, 94, 98, 104, 105, 108-111, 136-138, 142
ლორე-ტაშირი 46, 48
ლოქი 42, 95-96, 140
მაგარაჯიქი 95
მაგუჩკალი 131
მარნეული 135
მადათაფა 142, 146
მადანი 19
მადატაპანი 168
მაკოპსე 114, 115, 121, 126, 127, 167, 168, 170, 217, 219
მალჩოც-კორტი 131, 153, 167
მამისონი 32, 130, 170, 180, 182, 183
მანგლისი 64, 96, 97, 102, 142
მარაღი 53
მარგასტანი 99
მარმარილოს ზღვა 239
მოსული 118
მარსანი 118
მარსელი 231
მერედისი 95
მესოპოტამია 82, 160, 163
მესხეთი 59-62, 65-67, 69, 73, 89-91, 94, 95, 119, 124, 141, 143, 222
მეშაბაში 118
მეშეხი 114
მეჰადირი // მეხადირი 110, 128, 129, 151, 154, 177, 181, 210
მზიმთა 170, 255
მთიულეთი 32
მიხაილოვო 24, 104, 238
მოდეგა 99
მოსკოვი 14, 28, 50, 75, 84
მოქუზი 101
მტკვარ-ალაზანი 90, 217
მტკვარ-არაქსი 94, 105, 107, 114, 217
მტკვარი 38, 39, 41, 42, 90, 107, 112, 114, 131-133, 146, 147, 170, 217
მტკვარ-არაქსი 94
მუარუკალი 99
მუზალი 154
მურღული (მურდულის) 122
მურჯახეთი 100
მცხეთა 43, 71, 82
მწარე წყალი 38
ნარდევანი 94-96
ნარი 31
ნარიმანი 150
ნატანები 209
ნაქალაქევი 99
ნახჭევანი 53, 86
ნიკოლაევკა 104
ნიკოლაევი 200
ნიაკჩაი 150
ნიალისყური 65
ნიქოზი 31
ნოვო ალექსანდროვკა 104
ნოვო პოკროვკა 104
ნოვოროსიისკი 172
ნუზალი 152, 153
ნუხი 168
ოდესა 241, 243
ოზმი 130, 131, 153, 167
ოზურგეთი 148, 164
ოლთისი 59, 60, 62, 68, 69, 86, 91, 110, 111, 122-124, 140, 143-146, 149-150, 154, 169, 220, 247, 251, 254, 268
ორბეთი 46
ორთა-ქილისა 101
ორლოვკა 100
ორჯა 99
ოსეთი 15, 130
ოსკანი 168
ოსკანცი 146
ოსმალეთი 8, 16, 20, 22, 24, 29, 49, 55, 57, 61-65, 67, 69, 77-79, 81, 82, 89, 91, 95, 102, 103, 110, 115, 118-120, 144, 160, 171, 195, 197, 198, 217, 221-223, 229, 238, 243, 244, 247, 252, 255, 267, 268, 271
ოსტარია 140
ოფრეთი 46, 94, 95, 98
ოფრეთის ციხე 46
ოძრხე 62
პალაკაციო 59, 62, 66, 73, 95
პალესტინა 160

პარიადრი 41-42
პარიზი 4, 6-9, 11-14, 17, 26, 28, 80, 81, 120, 126, 128, 133, 146, 148, 151, 159, 161, 167, 178, 188, 202, 205, 212, 223, 225, 226, 228, 229, 231-248, 251, 253, 254, 256-262, 264, 265, 267, 268, 271, 272, 274, 275, 297
პარხალი 69
პატარა ალათემური 118
პატკანა 100
პაჭანიკები 130
პენიაკჩაი 123
პეტერბურგი 19, 28, 49, 74, 75, 84, 195, 198, 277
პეტროგრადი 228, 258
პილენკოვო 149
პლატანა 252
პოზნანი 92
პოლონეთი 113, 199, 243
პონტოს მთები 222
პონტის ქედი 168
პონტის ტავრი 149
პონტო 69
პრინკიპო 239
პსეუშკო 167
ჟენევა 251, 262, 264, 265, 267, 297
ჟღელის ხევი 30
რანი 50
რაჭა 30-31
რიზე 69, 91, 168, 252
რიონი 32, 70, 129, 147, 152
რკინის პალო 91
როკი 32, 130
რომი 42, 264
როსტოვი 71
როქი 31
რუსეთი 8, 13-20, 21, 25, 27-30, 32-33, 36, 49, 51, 53-56, 62, 63, 65, 67, 69, 73, 77-82, 84, 85, 88-92, 94, 100, 103, 113, 116, 118-120, 122, 123, 125-128, 130-141, 143-146, 148-154, 157, 159-166, 168-170, 195-200, 209, 211, 213-216, 222, 225, 227, 230, 233, 238-241, 243, 245, 246-249, 252, 254-256, 258, 259, 263, 266, 270, 297
რუსთავი 38, 43, 46
საბერძნეთი 161, 212
სადახლო 94, 95, 97-98
საინგილო 11, 15, 21, 36, 37, 71, 72, 74, 84, 89, 90, 107, 108, 132
საკანი 118
სალონიკი 80, 273
სამეგრელო 90, 169, 252
სამტრედია 148
სამურზაყანო 29, 30, 116, 117, 119, 121, 218
სამუსლიმანო საქართველო 15, 108, 110, 143, 144, 179, 218
სამშვილდე 45-47
სამცხე 42, 60, 61, 62, 63, 65, 141, 143
სამცხე-საათაბაგო 62, 90, 141, 143, 220
სამცხე-ჯავახეთი 62, 63, 65, 73
სამცხე-ერუშეთი 65
სამხრეთ ოსეთი 130
სამხრეთი ქართლი 94, 135, 136, 137, 138, 140
სანაჟიხინის 12
სარალი 94, 95, 97, 98
სარპი (სარფი) 69
საუხოხი 31, 130
საფრანგეთი 9, 11, 14,, 15, 19, 23, 65, 66, 70, 80-82, 112, 124, 125, 137, 142, 151, 157-159, 175, 182, 183-186, 188, 189, 192-195, 197, 198, 199-201, 215, 225-230, 233, 237, 238, 240, 241, 243, 244, 246, 248, 249, 251, 252, 262, 264, 273-275
საქართველო 4-9, 11, 28, 30-33, 35, 36, 38, 39, 41-44, 46-57, 59, 61, 62, 65-68, 70-75, 77-92, 94, 95, 97-99, 101-122, 124-152, 156-188, 192, 196-199, 201-208, 210, 211, 213-215, 217-232, 237-249, 251-255, 257-264, 266-272, 276, 285-287, 289, 291, 293-297
საჩეჩნო 114
სვანეთი 30, 31, 33, 90
სველი მთები 139-142, 146, 168
სინოპი 70
სიონი 79, 98
სულდა 99
სირია 126, 160
სოსკანი 118
სიღნაღი 38, 55, 132, 139, 186
სკანდინავია 265
სომხეთი 5, 14-16, 20, 21, 24, 41-45, 50, 52, 53, 56, 64, 66-68, 70, 71, 73, 80-82, 84, 88, 90-92, 94-98, 101-108, 110-111, 113, 126, 133-140, 142-143, 145-147, 150,

157, 160, 166, 168, 169, 175, 183, 187, 211-213, 237, 238, 246, 251, 269, 289
სომხითი 46-52, 55, 105
სოუკ-ბულაგი 168
სოუხ-ბულახი 104, 139
სოღანლუღი 149, 168
სოჭი // სოჩი 110, 115, 116, 127, 128, 178, 269
სოჭის ოლქი 30, 91, 115, 116, 121, 172, 210, 212, 219
სოხუმი 30, 110, 114-117, 121, 128, 166, 169, 172, 218
სოხუმის ოლქი 30, 91, 110, 114, 116, 117, 121, 166, 169, 172, 218
სპარსეთი 36, 37, 39, 40, 43, 48, 49, 52, 54-55, 57, 60, 77, 78, 80, 82, 84, 118, 131, 132, 136, 137, 166, 169, 199, 243, 246
სპასკოე 100
სპერი 41, 51, 141, 143-145, 147, 150, 151
სტენფორდი 22, 161
სტოკჰოლმი 260, 264, 265
სუეცის არხი 77
სულთანაბადი 95
სურმალუ 111
ტამალი 123
ტამბოვკა 100
ტაო 41, 60, 62, 68, 69
ტაო-კლარჯეთი 44, 222
ტაოსკარი 122, 145, 150
ტაოლთისი 59, 60
ტაოისპირი 60, 73
ტარანტო (ტორონტო) 264
ტაშაღანი 59
ტაშირი 42, 44-45, 52, 59, 105
ტაშისკარი 60
ტახტარტი 131, 153
ტრაპიზონი // ტრაპეზუნტი // ტრაპიზუნ-დი // ტრაპეზუნდი 8, 59-61, 69, 70,, 87, 144-147, 149, 166, 209, 221, 222, 252, 255, 297
ტროიცკოე 100, 142
ტუაფსე (მდ.) 114, 127, 217
ტუაფსე 28, 126, 127, 167
ტულონი 240
ტურცხი 99, 122
ტფილისი იხ. თბილისი
უკრაინა 87, 113, 238, 239, 241
ურაველი 122
უფადარი 38
უჩთაფალარი 114
უჩ-ტარაპანი 168
ფაიქომი 31
ფამბაკი 49, 54
ფანაკი 150
ფანჯურეთი 149, 150
ფარავანი 100
ფარცხისი 46
ფექრაშენი 95
ფილლანდია 248
ფიფინეთი 36
ფოთი 166, 172, 199, 200
ფოილო 146
ფოცხოვი 62, 65, 122, 123, 143, 145, 146, 220
ფსოუ 128, 213
ფშეუსხო 114, 127, 217
ქამარული 66
ქართლი 15, 27, 30, 31, 35, 36, 39, 44-49, 52, 59, 61, 66, 74, 90-94, 108, 136, 138
ქართლის ოსეთი 15, 108
ქართლ-კახეთი 103, 169
ქარცები 99
ქარჯანი (ქაიჯანის) 217
ქასაპი 114, 217
ქემერის კონცხი 69
ქვემო ქართლი 30-32, 35, 38-42, 44-47, 48-52, 55-57, 59, 61, 66, 73, 75-76, 78, 94, 95, 98, 105, 108, 109, 135, 136, 140
ქვემოყარაიაზი (ქვემო ყარაიაზი) 219
ქვემო ყარაია 91, 110, 111, 115-117, 121
ქიზიყი 38, 72, 103
ქისტეთი 91
ქისტურა 33, 34, 130
ქობაირის ციხე 46
ქობულეთი 62, 148, 270
ქოთუქლო 118
ქუეშის ჭალა 46
ქუთაისი 126
ქუთაისის გუბერნია 66, 91, 110, 114-116, 119, 121, 128, 129, 166, 169, 213, 218
ქურდვაჭრის ხევი 39
ქურთისტანი 107
ქურმუხი 90, 112, 114
ქცია 90
ღადო 99

ღალიძგა 29
ღართა 99
ყაზანდაღი 147
ყაზანჩი 59
ყაზახი 52, 91, 110, 115-118, 121, 135, 139
ყაზახ-ბორჩალო 90
ყაზახის მაზრა 111, 134-135, 169, 211, 219
ყაზბეგი 114, 125, 129-131, 152, 167
ყაზიმანი 111
ყაიყული 59, 66
ყანდახი 118
ყარა ქილისა 101
ყარა ყალა 104
ყარაბაღი 39, 53-54, 78, 98, 107, 118
ყარაგაჩი 139
ყარადაღი 53-54
ყარაია 66
ყარაიაზი 251
ყარაოღლი 99
ყარაღაჯი 59, 104-105
ყარაყუზე 99
ყარაჩაი 95, 114
ყარსი 16, 24, 59, 60, 62, 63, 65, 66, 68, 81, 86, 91, 92, 94, 111, 140, 144, 146, 163, 166, 168-170, 209, 238
ყაფანახჩი 118
ყაშუა-ჩაი 217
ყაშყაჩაი 114-115, 117, 121
ყიზილკოჩი 95
ყიზილ-ქილი 104
ყიმიშლო 104
ყინალი-დერე 69
ყონჯიშინი 114
ყორაღანი 118
ყუბანი (მდ.) 27, 90, 125-127
ყუბანი 23, 87, 129, 237-239, 241-243
ყუდრო 97
ყულარისი 99
ყურუტაში 140
შავი ზღვა 27, 29, 33, 48, 70, 90, 91, 107, 112, 115, 125, 129, 148, 151, 160, 167, 170, 213, 217, 246, 270, 299
შავი ზღვის გუბერნია 114, 170, 209
შავი კლდე 114
შავშეთი 60, 62, 141, 143, 268
შამქორი 39-40
შამშადილი 39-40, 49, 52, 110, 115, 117, 118, 121, 135
შაურ-დარალაგიოზი 111
შაუხოხი 217
შაქი (შექი) 35, 53
შეერთებული შტატები 262
შემკეჩემა 168
შვეიცარია 19, 251, 253, 265, 267
შვეცია 264, 265
შვინდრევანთა 99
შიდა ქართლი 60
შინიხი 94, 98, 104
შირაქი 91, 129, 131-133
შირვანი 53
შიშ-თაფა 140, 146
შოთავარი 118
შულავერი 57, 94, 95, 97, 98, 135
შურაგელი 49
შუშა 54
ჩაგალი 168
ჩალტინ-დაღი 139
ჩანახჩი 97
ჩანიკი (ჭანეთი) 221, 222
ჩასკოხი 167
ჩასხოხი 130
ჩასა 130, 153
ჩახირ-ბაბა 146, 168
ჩერქეზის მთა 31
ჩეხეთი 92
ჩილდირი // ჩრდილი 90, 95, 98-100, 109, 114, 168
ჩრდილო კავკასია 170, 241
ჩრდილოეთ ქართლი 138
ჩრდილოეთ ოსეთი 130
ჩუბუხლო 96, 104, 105
ჩუდულო 118
ჩურა 125
ჩხარი 28
ცეი 151, 153
ცენტრალური აზია 166, 254
ცხრაწყარო 146
ძეგამი 112, 114, 134, 217
ძედო 32, 130
ძერნა 47
წალკა 64, 92, 95-98, 109, 135
წებელდა (წიბელდა) 29
წერაქვი 98
წინა მინდორი 38, 219
წინამინდორი 38
წინწალი 95
ჭალა 95
ჭანეთი 59, 60, 69, 143, 221

ჭანიკი 222
ჭარი 36
ჭიმჭიმი (ჭირჭიმი) 69
ჭიხარულა 99
ჭოროხი 60, 61, 70, 107, 112, 114, 145-147, 166, 168, 170, 222, 297
ჭოჭკანი 42, 94, 95, 97
ხაგეთი (ხავეთი) 99
ხალაწა 130
ხასუფსე 128
ხაშური 238
ხახული 222
ხდე 130
ხევეკი 69
ხევი 90, 91, 95
ხევსურეთი 90, 91
ხემშინი 69
ხერთვისი 62, 69
ხიზაბავრა 99, 100, 122
ხმელთაშუა ზღვა 70, 167
ხოზაფინი 99
ხოზიგენდი (ხოზიქენდი) 95
ხოი 53
ხოჟორნი 97
ხორანთა 38
ხორზენი 41
ხოროსანი 149
ხოსპიო 100
ხოფა 69
ხოხის მთა 31, 33
ხოხმელი 97
ხრამი 90, 94, 138, 142, 168
ხულგუმო 100, 122
ხულო 268
ხუმრისი 99
ხუნანი 39
ჯავახეთი 5, 45, 59, 62-68, 73, 91, 94-96, 98-103, 108, 109, 139-140
ჯალალოღლი 57
ჯაჯალ-ოღლი 104
ჯამბაზი 95
ჯანჯური 134
ჯარუხი (ჯერახოვსკოე) 33, 34
ჯეირანჭალა 132-133
ჯერახოვი 153, 154
ჯიქეთი 27-28, 30, 72, 110, 116, 119, 121, 218, 251
ჯუჯაქენდი 104
ჰამბურგი 267
ჰერეთი 35, 36, 38, 39, 45, 72, 84, 90, 107
ჰოლანდია 229

საგამომცემლო-სარედაქციო ჯგუფი

ნინო გიორგაძე
ლანა გრძელიშვილი
ვლადიმერ პერანიძე
თამთა ჯანაშია

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42
www.manuscript.ge info@manuscript.ac.ge
1/3 M. Alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

9 772449 319005